

ქველი ქართული ენის ქვებები. 8.

გამათა სწავლანი

X და XI ს. -თა ხელნაწერების ძიხედვით

გამოსტა
ილია აბულაძე

ე. შანიძის
რედაქციით

**„ქველი ქართული ენის ძეგლები“ ეს ტომი
დამზადებულია გამოსაქვეყნებლად საქართველოს სსრ
მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუ-
ტის ვეგმით.**

შენსავალი

ძველი ქართული ენის ძეგლთა შორის მოგვეპოვება მწერლობის ამა თუ იმ დარგისათვის ძველიდანვე შემუშავებული კრებულები, რომლებშიც ფართოდ არის წარმოდგენილი უცხო და ქართველი ავტორების თვალსაჩინო ნაწარმოებები. ასეთ კრებულთა წყებას ეკუთვნის ის ძეგლიც, რომელსაც ამჟამად ვაქვეყნებთ. ამ კრებულში შესული მასალა საგანგებო სახელწოდებას არ ატარებს. კრებულის ამგვარსავე ნუსხას, რომელიც ათონს იპოვება, სამოთხე ეწოდება მასში შემავალი ერთ-ერთი ვრცელი თხზულების¹ სათაურის მიხედვით, მაგრამ ძირითად ხელნაწერში ეს ნაწარმოები არ მოიპოვება. ამიტომ უმჯობესია პირობითად მას „სწავლანი“ ვუწოდოთ, თუმცა ერთი (H-1662) ნუსხის გადამწერი თავის წინასიტყვაობაში მსგავს კრებულს «მარხვათა საკითხავ-ს» უწოდებს.

1. ბავოყენებული ხელნაწერები

ძირითადი ნუსხა, რომელიც ჩვენ გამოცემას უდევს საფუძვლად, წარმოადგენს ერთ უძველეს ნიმუშს კუთხოვანის, ანუ ნუსხა-ხუცური დაწერილობისას. ნუსხა-ხუცური დაწერილობის ეს მეტად საგულისხმო ხელნაწერი დაცულია საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა S ფონდში (ყოფილი წერა-კითხვის საზოგადოების მუზეუმის კოლექციაში) № 1139-ის ქვეშ. თავში მას აკლია ოთხი რვეული და მეხუთე რვეულით იწყება. ხელნაწერი ბოლო-ნაკლულიცაა, ამჟამად მისი უკანასკნელი რვეული, სათვალავის მიხედვით, ოცდამეექვსმეტეა. რამდენი აკლია მას ბოლოს, ძნელია გადაჭრით ითქვას. გვგონია, რომ მას აქ ერთ ათეულზე მეტი რვეულიც კი უნდა აკლდეს. რვეული ჩვენს ნუსხაში ყველგან რვა-ფურცლიანია. ხელნაწერი მთლიანად ეტრატისაა.

დაზიანებულია ხელნაწერი არა მარტო თავში და ბოლოში, არამედ შიგნითაც. მთლიანად დაკარგულია ორი რვეული, სახელდობრ—მერვე და ოცდამეშვიდე. ნაწილობრივი დანაკლისი მოეპოვება სხვა რვეულებსაც. ასე მაგ., VI რვეულს აკლია 2 ფურცელი, VII-ს— 3 ფ., XIV-ს— 1 ფ., XVI-ს— 1 ფ., XVIII-ს— 2 ფ., XXXI-ს— 4 ფ., და XXXVI-ს— 4 ფ.; უადგილო ადგილას არის მოთავსებული ხელნაწერიდან ამოცივებული რამდენიმე ფურცელი, როგორც მაგ., XX რვეულში ჩართულია 1 ფ. (221—222 გვ.), XXVI-ში— 1 ფ. (305—306 გვ.) და XXX-ში— 1 ფ. (359—360 გვ.). ასე რომ დღეს ხელნაწერი შედგება 224 ფურცლისაგან $[(8 \times 32) - (8 \times 2 - 19) + 3]$, ანუ 448 კაბადონისაგან (ხელნაწერს დღეს კაბადონების მიხედვით აქვს დასმული სათვალავი).

კაბადონზე, რომელიც ყველგან ორ სვეტად არის ნაწერი, ზოგან 25 სტრიქონია მოთავსებული და ზოგან— 26. კაბადონის ზომაა 26,7 × 22 სმ., ხოლო

ნაწერი სვეტისა — 22, 7 X 7, 3 სმ., სვეტებს შუა თავისუფალი ადგილი კი უდრის 1, 6 სმ.-ს.

ხელნაწერში ორი ხელი შეიმჩნევა. ერთი ხელით დაწერილია პირველი 25 კაბადონი და 26-ე კაბადონის პირველი სვეტი, მეორე ხელით კი შესრულებულია დანარჩენი, უდიდესი ნაწილი ხელნაწერისა, სახელდობრ (448 — 25, 5 =) 422, 5 კაბადონი.

ნუსხის ეს ორი ნაწილი არა მარტო ხელის მიხედვით განსხვავდება ერთი-ნეორისაგან, არამედ რამდენადმე ორთოგრაფიითაც, რაზედაც ქვემოთ საგანგებოდ შეეჩერდებით.

ასეთ გარემოებასთან დაკავშირებით შეიძლება იფიქროს ვინმემ, რომ ხსენებული ნაწილები, წარმომდგარნი შემთხვევით თუ შრომის (გადაწერის) განაწილების საფუძველზე, ალბათ, რომელიმე ცალკეულ თხზულებათა ან თავთაგან შემდგარ წიგნს წარმოადგენსო, მაგრამ საქმის ახლო გაცნობით ასეთი ვარაუდი არ მართლდება. საქმე ისაა, რომ ახალი ხელით ხელნაწერში შემაჯავალი ახალი თხზულება ან ახალი თავი კი არ იწყება, არამედ დაწყებულია და დაუმთავრებელის გაგრძელებაა წარმოდგენილი, ისიც ისე, რომ კაბადონის პირველ სვეტზე, სადაც პირველი გადამწერი წყვეტს წინადადებას, მეორე, ახალი გადამწერი განაგრძობს მას, ამ გაწყვეტილ წინადადებას. საქმის ასეთი ვითარებიდან უპირველეს ყოვლისა ის დასკვნა უნდა გამოვიტანოთ, რომ ხელნაწერი წარმოადგენს ერთ მთლიან წიგნს, რომლის გადამწერა თავიდანვე დაწყებული და, უნდა ვიფიქროთ, შესასრულებლად გათვალისწინებული ერთი პირის მიერ, მალე შეუფერხებლივ განუგრძვია ბოლომდის მეორეს.

ხელნაწერს, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, თავი და ბოლო აკლია. ასეთ ადგილებში ხელნაწერებს ჩვეულებრივ ანდერძი ახლავს ხოლმე, რაც ნაკლულევანობის გამო ჩვენს ნუსხას აღარ შემორჩენია. მაგრამ, ძიუხედავად ამისა, დროის განსაზღვრა, როდესაც ხელნაწერი უნდა დაწერილიყო, მაინც ხერხდება. ნუსხას, საბედნიეროდ, მოეპოვება გადამწერის ხელით შესრულებული ისეთი მინაწერი, რომელიც მისი აღმოცენების სათარილო მაჩვენებელს გვაწვდის. მეექვსე რვეულის პირველი ფურცლის ზურგზე, ე. ი. მეორე კაბადონზე, კაბადონის მარცხენა კიდის დასაწყისში, ზემოთ, ფერადი წამლით შესრულებული მცირე ფიგურაა წარმოდგენილი, რომლის ქვეშ ხუთ სტრიქონად მეტად წვრილი შრიფტით სწერია:

«ჩინ» შადიქიანი ბეზ

ფართო შთ შიიქისა

იოსელით შე სიძისთი

თათ

ეჩ

რაც ქარაგმების გახსნით და დღევანდელი ასოებით შემდგენიარად წაიკითხება: «[ქრისტემან] დაიცვიინ მამფალი დავით დღეგრძელობით და სიმართელით! ამენ».

დავით მამფალი სუმბატ დავითის-ძის ქრონიკის მიხედვით¹ ყოფილა შვილი სუმბატ არტანუჯელისა, შვილიშვილი აშოტ დიდის ძის ადარნასესი (§ 48). ამავე ქრონიკის თანახმად, იგი გარდაცვლილა „მონაზონობასა შინა ქორანიკონსა რგგ (= 163, ე. ი. 943 წ.)“ და დარჩენია შვილი სუმბატი, „რომელიცა დასუეს ერისთავთა-ერისთავად“-ო (§ 63).

სხვა დავით მამფალი ხსენებულმა წყარომ არ იცის. ვინაიდან მინაწერში დავით მამფლის „დღეგრძელობით და სიმრთელით“ დაცვაზეა საუბარი, ამიტომ ჩვენი ხელნაწერი 943 წლამდის, ე. ი. დავითის გარდაცვალებამდის არის გადაწერილი, დაახლოვებით 930—40-იან წლებში (რომ ვიცოდეთ, თუ რა დროიდან იწყება მისი მამფლობა, მაშინ ეს ხანა, როდესაც ხელნაწერია აღმოცენებული, უფრო ზედმიწევნით შემოიფარგლებოდა).

ნუსხა-ხუცური დაწერილობის მქონე თარიღიანი სხვა რომელიმე ხელნაწერი წიგნი დასახელებული დროისათვის საქართველოში ჩვენ არსად გვეგულება. ჩვენი ქვეყნის გარეთაც იშვიათად ჩანს ასეთი ძველი ნუსხა. მხოლოდ სინას მთაზეა დაცული ძველი ხანისავე ასეთი დაწერილობის იადგარი (№ 34)², მაგრამ მისი ნიმუში ჯერ არსადაა გამოქვეყნებული. სინის მთის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობაში ივ. ჯავახიშვილს მხოლოდ ის აქვს აღნიშნული, რომ ალაგ-ალაგ ტექსტი ნაწერია წერილი და ალაგ-ალაგ მსხვილი ნუსხურით. ცხადია ამიტომ, თუ რა დიდი მნიშვნელობა ენიჭება ჩვენს ხელნაწერს ქართული პალეოგრაფიისათვის, კერძოდ ნუსხა-ხუცური დაწერილობის ისტორიის გასათვალისწინებლად.

უძველესი ნუსხა-ხუცური დაწერილობის ნიმუში ჯერ-ჯერობით 864 წლის ცნობილ მრავალთავშია მოცემული გადამწერის ანდერძის სახით³. შემდეგში ეს ხელი წარმოდგენილია ანდერძითვე 936 წლის (ე. წ. ჯრუჭის) ოთხთავის მინაწერში⁴. სხვა რომელიმე ხელნაწერი, რომელიც ნუსხური ხელით იყოს ნაწერი და უსწრებდეს ჩვენს ხელნაწერს, ან მისი ასაკისა იყოს, არ გვეგულება.

პალეოგრაფიული და ენობრივი დახასიათების დროს ჩვენი ხელნაწერის ტექსტის ორივე ნაწილი, რომლებიც სხვადასხვა პირის მიერაა გადაწერილი, ერთმანეთთან დაპირისპირებით უნდა შევისწავლოთ, რადგან მათ ამ მხრივ ზოგიერთი რამ თავისებური აქვთ.

ასოების მოყვანილობა ორივე ნაწერისა უმთავრესად ერთნაირია. პირველ ნაწერს მეორესთან მიმართებით საერთო განმასხვავებელი ნიშანი ის აქვს, რომ აქ ასოები ყველა ნიწილში უფრო მაღალია და ამიტომ სტრიქონთა შორის გაშვებული მანძილი აქ უფრო მცირეა, ვიდრე მეორის ნაწერში. პირველთანვე შუა ორ ხაზს შორის მოთავსებული ასოებისა და მათ გარეთ გამავალ

¹ სუმბატ დავითის ძის ქრონიკა ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონთა შესახებ, გამოცემა ვ. თაყაიშვილისა, თბ., 1949 წ.

² ივ. ჯავახიშვილი, სინის მთის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, თბილისი, 1947 წ.

³ Н. Я. Марр, Описание грузинских рукописей Синайского монастыря, М.-Л., 1940 г., таблица XVIII.

⁴ ქართული ოთხთავის ორი ძველი რედაქცია სამი შატბერდული ხელნაწერის მიხედვით, გამოსცა ა. შანიძემ, «ძველი ქართული ენის ძეგლები. 2», თბ., 1945 წ., ტაბულა 12.

ასოთა ამ ხაზებს შორის მოქცეული ვერტიკალური ხაზები ჰორიზონტალურზე უფრო მეტია. ამდენად, ამ ხაზებს შორის მოთავსებული არე აქ კვადრატს კი არ კმნის, როგორც ეს ჩვეულებრივ მეორე ნაწერშია, არამედ ისეთ ოთხკუთხედს, რომლის ფერდები საფუძვლებზე უფრო გრძელია.

1. თავისებურებათაგან, ცალკეულ ასოებს რომ ახასიათებს, აღსანიშნავია: დონის მრგვალი ნაწილი მეორე გადამწერთან ძალზე ხშირად შეუკრავია (შდრ. სურ. 2, სვ. II, სტრიქ. 1).

ზენის ზედა ნაწილის დასაწყისი თუ მეორე გადამწერთან წარმოადგენს მსხვილ წერტილს, საიდანაც ზემოთ ოდნავ აწეული სწორი ხაზი მიმართება ამ ასოს ვერტიკალური ხაზისაკენ (შდრ. სურ. 2, სვ. I, სტრიქ. 23), პირველ გადამწერთან ეს გამოსავალი პუნქტი წარმოადგენს მარცხნივ დაწვენილ მოკლე ხაზს, რომელიც ასოს ვერტიკალურ ხაზს ოდნავ ძირს დაშვებული სწორი ხაზით უერთდება (შდრ. სურ. 1, სვ. I, სტრიქ. 13).

მანის თვალი მეორე გადამწერთან თითქმის ზედ ეკვრის ამ ასოს მარჯვნივ დახრილი ნაწილის მარცხნივ მოსახრელ პუნქტს (შდრ. სურ. 2, სვ. I, სტრიქ. 1), მაშინ როცა პირველთან ეს თვალი ამ მოსახრელ პუნქტს საკმაოდ არის ძირს ჩამოცილებული (შდრ. სურ. I, სვ. I, სტრიქ. 9).

ტარის, ცანისა და ხანის ქვემოთ ჩამომავალი ნაწილი მეორე გადამწერთან უფრო მალე იხრება მარჯვნივ (შდრ. სურ. 2, სვ. I, სტრიქ. 6 და 20), ვიდრე პირველთან (შდრ. სურ. 1, სვ. I, სტრიქ. 1).

ჭარს მეორე გადამწერთან უფრო ფართო თავი აქვს (შდრ. სურ. 2, სვ. I, სტრიქ. 20), ვიდრე პირველთან (შდრ. სურ. 1, სვ. I, სტრიქ. 6).

უნი პირველთან სამ-კბილაა. ასევეა მეორესთანაც, ოღონდ აქ ძლიერ ხშირად ის, მსგავსად ასომთავრული დაწერილობისა, ორი ნიშნით არის ხოლმე გადმოცემული (აჟ). სიტყვის გადატანის დროს სტრიქონის ბოლოს პირველი ნიშანი რჩება, ხოლო ახალ სტრიქონზე მეორე გადადის, მაგ.: *ა-ჟჟჟჟჟჟ* (29 ხ, 6), *წჟჟჟჟჟჟ* (30 ა, 14)...

ეს გარემოება ნათლად მოწმობს, თუ როგორი წარმოშობისაა უნის ნუსხა-ხუცური დაწერილობა.

2. სასვენ ნიშნად პირველ გადამწერთან ყველგან ორწერტილს ვხვდებით. ეს ნიშანი მასთან გრძელ-გრძელი პერიოდებისა და აბზაცების ბოლოს მოიპოვება. მეორე გადამწერთანაც ძირითად განკვეთის ნიშნად ორი წერტილია, მაგრამ უკვე ან მოკლე-მოკლე პერიოდების შემდეგ, ანდა უფრო ხშირად ყოველი სიტყვისა და ზოგჯერ სიტყვის პირველი შემადგენელი ნაწილის შემდეგაც კი. ამ გადამწერთან აბზაცის ბოლოს ალაგ-ალაგ სამი წერტილიც იხმის (···). იშვიათად ვხვდებით მასთან ერთ წერტილსაც, რომელიც შუა ორი ხაზის ქვემო ხაზზე კი არა ძვეს, არამედ ზემოზე (·)

3. ჭარაგმის ნიშანსაც გადამწერლებთან სხვადასხვა ფორმისას ვხვდებით. პირველი თუ ამ ნიშანს, შემოკლებული სიტყვის თავზე გავლებულ სწორ ხაზს, მარცხნივ წერტილს უსვამს და მარჯვნივ ან ასეთსავე წერტილს, ანდა ოდნავ ჩამოზიდულსა და მოსხოდ გამართულს, თუ გაცქინტულს, მცირე ხაზს უკეთებს (იხ. სურ. 1, სვ. I, სტრიქ. 8), მეორე გადამწერი ჭარაგმის ნიშანს ისე

სვამს, რომ ის წარმოადგენს მსხვილი წერტილიდან მარჯვნივ გაკრულ სწორ ხაზს, რომლის ბოლო წამახულია (იხ. სურ. 2, სვ. II, სტრიქ. 11).

4. ორთოგრაფიის მხრითაც ზოგიერთი სხვაობა შეინიშნება ჩვენი ხელნაწერის გადამწერლებთან. უმათერესად ეს ეხება უ-ბრჯგუს, ყ-სა და ც-ს ხმაურებს.

პირველ გადამწერთან უ-ბრჯგუ ყველგან ყ-თია გადმოცემული, მაგ.: უქვე (21^ბ 4), მოგვმადლენით (21^ბ 13), მოგვაკვდინნეთ (21^ბ 14). განირყვნეს (26^ა 13) და სხ... მეორე გადამწერთან კი უ-ბრჯგუ სისტემებზე უნის ნიშნით არის გადმოცემული, მაგ.: ლუარძლი (30^ბ 7), დაიწუვიედ (31^ა 8), დაამქუნა (33^ა 3) და სხ... კანტი-კუნტად ვხვდებით მხოლოდ ამასთან ყ-ს უ-ბრჯგუს ნაცვლად, მაგ.: შეგვმოსნა ჩუენ ნათლის-ღებითა (73^ბ 4) და სხ...

მ პირველ ნაწერში ზოსალოდნელი შემთხვევებისას სახელებთან შემდეგი სახით გვაქვს: სახელობით ბრუნვაში უმეტესად მ არის, მაგ.: სიბოროტე ჩნი (25^ა 4), გულს იდგინოს კეთილისა საქმე (3ა^ბ), საქმე მათი (3^ა 11), დღე იგი განკითხვისა (9^ბ 18), გვბრძანა სახე ესე (13^ბ 10). აქა-იქ ვხვდებით საწინააღმდეგოსაც: „არა თუ მძიმე, არამედ ფრიად სუბუქი და მარჯვე (9^ა 8), საფასე დიდძალი (20^ა 14) და სხ...

ნათესაობითი ბრუნვის დაბოლოებაში მ-ის ნაცვლად ე არის: ლაზარესთჳს გლახაკისა (6^ბ 4), ქეს ტაბლასა (16^ა 17) და სხ...

უფროობითი ხარისხის დაბოლოებაში აგრეთვე ე არის მ-ის ნაცვლად: უფრომს-ლა და უმეტეს იგი თავადი (10^ა 3), უმჯობეს არს კაცისა (10^ბ 7), უძრეს ავაზაკთა (12^ბ 18) და სხ...

ზმნიზედებში მ-ს ნაცვლად ე არის, მაგ.: ესრეთვე (8^ა 21), ეგრეთვე (16^ბ 15).

ამგვარად, I ნაწერში მ თითქმის გამოსულია ხმარებიდან. მას თუ სადმე ვხვდებით ნორმის შესაბამისად, ეს ისევე სახელობით ბრუნვაში, სადაც ის ჯერ კიდევ შედარებით შეურყეველია.

მეორე ნაწერში მ, შეიძლება ითქვას, საზოგადოდ არ იხმარება, თუ არ მივიღებთ მხედველობაში თითო-ორჯოლა შემთხვევას. ყველგან, სადაც ის მოსალოდნელია, შეცვლილია. ე ფუძიან სახელთათვის სახელობით ბრუნვაში გვაქვს ან ეჲ, ანდა ე; მაგ., ერთი მხრით არის: მცირედი საფასე (87^ბ 3), სახე (32^ა 15), მზე (57^ა 13), ხოლო მეორე მხრით მოიპოვება: სიმშუღე მისი (32^ბ 21), მზე და მთოვარე დაბნელდენ (57^ა 13) და სხ...

ნათესაობითი ბრუნვის დაბოლოებაში კი მოსალოდნელი მ შეცვლილია ე-თი, მაგ.: უღელსა მას ქესსა (90^ბ 22) და სხ...

უფროობითი ხარისხის დაბოლოებაშიც მ-ს ნაცვლად აქ ე გვაქვს ყველგან, მაგ.: უძლიერეს არიან (47^ბ), უმეტეს (93^ა 9) და სხ...

ზმნიზედებში კი მას (მ-ს) ეჲ სცელის, მაგ.: ზემთ და ქუემთ (57^ა 18), ეგრეთვე (31^ბ 2).

გამონაკლისს მ-ს აღნიშნული წესიდან მეორე გადამწერთან წარმოადგენს მხოლოდ ასეთი შემთხვევა: ჰმ (61^ბ 13) და იშლისანი (72^ბ 4), რომლებიც

შეიძლება უნებლიეთ გაპარვოდა გადამწერს დედნიდან გადმოწერის დროს, რადგან „იერუსალმდ“-ის (ი¹შმდ—414^b) გვერდით გვაქვს „იერუსალმდ“ (286^b).

სხვა ორთოგრაფიული მომენტებიდან აღსანიშნავია კიდეც შემდეგი:

უქარაგმოდ ვხვდებით „ყოლაღვე“-ს (280^b) და არა „ყოვლაღვე“-ს, როგორც ამას ზოგჯერ ქარაგმის გახსნისას ვიძლევიტ. ასევე გვხვდება უქარაგმოდ „წინაწარმეტყუელი“ (276^b, 283^a) — „წინაწარმეტყულება“ (301^a) და არა „წინადაწარმეტყუელი“, რომელიც მხოლოდ ერთგან არის ასე უქარაგმოდ წარმოდგენილი (51^a 13).

პარალელურად გვაქვს; „იყუნენ“ (285^b) — „იყვენენ“ და „გულისხმა“ (294^a) — „გულისგმა“ (294^b).

ნ. ბრუნება-უღლების მხრივ შემდეგი საგულისხმო მოვლენები შეინიშნება:

წოდებით ბრუნვაში გვაქვს „ჟ ეპისკოპოს“ (441^a);

„იგი“ მოქმედებით ბრუნვაში ემფატიკური ანითაა ერთგან წარმოდგენილი: „მითავე შეკრულ არიან“ (409^a);

უფროობით ხარისხშია აყვანილი ერთგან ნამყოს მიმღეობა: „უშეშინებულეს არს მისა“ (416^b);

პირის ნიშანი „თავკედობა“ ზმნას, რომელიც სახელისა და ზმნისაგან არის შედგენილი, თავში მოუღის: ვ-თავკედობ (379^b);

მოსალოდნელია „აქუნდეს“ ერთგან და გვაქვს „ჰქონდეს“: „დაეცა ყოველთაგან კეთილისა საქმეთა მისთა, რომელ ჰქონდეს“ (145^a);

თურმეობით I-ში ხშირად -იეს დაბოლოების ნაცვლად გვაქვს -ია: „მცნებაჲ მოუცემია შენდა ღმერთსა“.

„და“ კავშირიანი წყვილი პრევერბი გვაქვს ზმნასთან: შე-და-გამოკრბებინ.

გვხვდება აწმყოში ძველი ქართულისათვის არც თუ ხშირი ხმარება ასეთი ზმნებისა:

მზირის: „ლომი იგი მზირის შთანთქმად“ (124^a); „გზასა ზედა ლომი არს და ავაზაკნი მზირიან“ (346^b).

უფლის: წინააღუდგების ნისლი იგი გულის-თქუმისაჲ წინაშე თუალთა მისთა და არა უფლის ხილვად მცნებათა ღმრთისათა“ (177^b); „არა უფლის მას სუმაღ გრილი წყალი“ (260^a)¹.

როგორც აღვნიშნეთ, ჩვენი ძეგლის წინამდებარე გამოცემას საფუძვლად უდევს S-1139 ხელნაწერი, რომელიც X-ს-ის 30-იანსა თუ 40-იან წლებში ჩანს გადაწერილი. მაგრამ ამ ძირითადი ნუსხის გვერდით ჩვენ კიდეც ორი სხვა ხელნაწერიც გამოვიყენეთ.

¹ ხელნაწერს სხვა იშვიათი ხმარების ფორმებიც მოეპოვება. მათ შესახებ იხილეთ ჩემი წერილი: „ქართული ზმნის იშვიათი ფორმები VIII — IX სს-ის ძეგლების მიხედვით, „სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები“, ტ. 53, 1954 წ., გვ. 131 — 147.

მეორე ხელნაწერი, B-თი აღნიშნული ვარიანტებში, პირია ათონზე დაცული ე. წ. „სამოთხისა“, რომელიც თორნიკის დავალებით არის გადაწერილი 977 წელს და თითქმის ისეთისავე შედგენილობისაა მთავარ ნაწილში, როგორისაც ჩვენი კრებული დავით მამფლის სახელთან დაკავშირებული. ხსენებული კოპია ათონზე მოღვაწე ილია ბანძელის (ფანცულაიას) მიერ არის გადმოწერილი მხედრულად 1915 წელს¹. გადმოწერისას, ირკვევა, ორთოგრაფია რამდენადმე შეუცვლია გადამწერს. ამდენად, მისი სხვაობანი ამ სფეროში ძირითად ნუსხასთან მიმართებით სრულიად სანდო არაა, მაგრამ სხვა მხრით, თუ უნებლიე შეცთომებს არ ვიგულისხმებთ, აღნიშნული ხელნაწერის პირი ანგარიშ-გასაწვეია, რის გამო ასეთი სხვაობანი ჩვენ თითქმის ყველა მოვეცით ვარიანტებში, მაშინ როცა ორთოგრაფიული სხვაობანი სრულიად არ მოგვიყვანია.

მესამე ხელნაწერი, გამოცემაში C-თი წარმოდგენილი, 1040 წელს არის შესრულებული ხარიტონის ლავრაში (პალავრას), პალესტინაში. ხელნაწერი ნუსხა-ხუცურიტაა ნაწერი². დაცულია სრულად და თითქმის ისეთივე შედგენილობისაა, როგორისაც ჩვენი ძირითადი ნუსხა. ის ნაწილი, რომელიც ამ უკანასკნელს დაზიანების გამო აკლია, ამ ნუსხიდან შემოვიტანეთ. წაკითხვა-სხვაობანი ყველა აღნუსხული და ვარიანტებშია შეტანილი.

ათონური ნუსხის პირიდანაც აქა-იქ, სადაც სხვა ნუსხებში რომელიმე ადგილი აღარ მოიპოვებოდა, სათანადო ტექსტი ამოვიღეთ, მხოლოდ ორთოგრაფიული შესწორებებით ზემორე ხსენებული მიზეზის გამო.

გამოცემაში როგორც ძირითადი კლარჯული ხელნაწერის (A-ს) გვერდები, ისე პალესტინურის (C-ს) ფურცლები ტექსტშია ნაჩვენები; პირველის სათვაღავი შავად ფრჩხილებშია ჩასმული, ხოლო მეორისა კავებშია მოთავსებული.

ძირითადი ხელნაწერის გადაღებული ადგილები ან დაკლებული სიტყვები კავებშია ჩასმული, დაკლებული—სწორსა, ხოლო გადაღული—ტეხილში.

2. უმღგენილობა

შინაარსობლივ ჩვენი ხელნაწერი ასკეტიკური ხასიათის ნაწარმოებთა კრებულს წარმოადგენს. მასში შესულია იოანე ოქროპირის, ბასილი კესარიელის, ეფრემ ასურის, საჰაკ მონაზვნის, მარკოზ მონაზვნისა და მარტვირი მონაზვნის ნაწერები. სხვათა შორის, მარტვირი მონაზვნის ნაწარმოები პროფ. კ. კეკელიძის ბოლო დროის ნაშრომის მიხედვით ქართველი ავტორის მიერ ქართულად გამოთქმული შრომაა («ლიტერ. ძიებანი», III, გვ. 261—313).

ასეთივე შინაარსის კრებულებს და, რაც მთავარია, რომ შიგ მოქცეული თხზულებანი ისეთივე თანმიმდევრობით იყოს, როგორც ეს ჩვენს კრებულშია,

¹ საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა (A კოლექცია), შედგენილი კრ. შარაშიძის მიერ, ტ. IV, თბილისი, 1954 წ., გვ. 179—188.

² საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა (II კოლექცია), ტ. IV, შედგენილი ე. მეტრეველის მიერ, თბილისი, 1950 წ., გვ. 86—89.

სხვებსაც ვხვდებით¹. ერთი ამნაირი ხელნაწერი დაცული ყოფილა სინას მთაზე, რასაც ივ. ჯავახიშვილის აღწერილობით ვიტყვობთ (№ 36). და რაც X ს. ჰქუთუნებია, ერთიც, 977 წლისა, —ათონზე (№ 9), რაც განსვენებული პროფ. რ. ბლეიკის აღწერილობიდან ირკვევა. სინას მთის ხელნაწერს ნაკლულევანობის გამო, ჩვენი ნუსხის მსგავსად, ანდერძი აღარ შემორჩენია, ხოლო ათონისას ის გააჩნია. ეს უკანასკნელი იოანე-თორნიკის დავალებით ყოფილა გადაწერილი ოშკში.

სამივე ხელნაწერი მეთვე საუკუნისაა. ერთინეორის გვერდით რომ დავაყენოთ შიგ შემაგალი მასალა, შეძლევ სურათს მივიღებთ:

ათონური	სინის მთური	ჩუენი ნუსხით
1. თაენაკლულია	აკლია	აკლია
2. იოანე ოქროპირი, მარხვისათჳს „რაჳამს იმარხვიდე...“	თაენაკლულია	„
3. იოანე ოქროპირი, მარხვისათჳს და ძკრუჳსენებლობისა—„ვითარცა-იგი რომელნი ასპარეზსა...“	მოიპოვება	უკანასკნელი სვეტია მხოლოდ (1 ^ა).
4. იოანე ოქროპირი, დაბადებულისათჳს და წინამთჳე განჩინებულისა. — „მრავალნი კაცთაგანნი იტყუედ...“	„	მოიპოვება (1 ^ბ — 7)
5. იოანე ოქროპირი, სინანულისათჳს „ფრიად ვცოდავთ...“	„	(7 — 17)
6. იოანე ოქროპირი, სინანულისათჳს და ლოცვისა.—„ძმანო საყუარელნო...“	„	(17 — 23)
7. იოანე ოქროპირი, მოწყალებისათჳს ღმრთისა.—„წყალობასა და სამართალსა...“	„	(23 — 28)
8. იოანე ოქროპირი, თარგმანებაჲ იოანე მახარებელისაჲ და პავლესი.— „ამიერითგან ყოველსავე ვიქმოდით...“	„	(28 — 37)
9. იოანე ოქროპირი, სინანულისათჳს,— „გევედრები თჳუენ, ძმანო...“	„	(37 — 54)
10. იოანე ოქროპირი, მოწყალებისათჳს, მდიდრისა... — „საყუარელნო, სამოთხესა...“	„	რვეულის დაკარგვის გამო აღარაა

¹ ამ კრებულში შემაგალ იოანე ოქროპირის, ბასილისა და ეფრემის ნაწერებს ვხვდებით ჩვენს მუხეუმში დაცულს ხელნაწერში (H 1662), რომელიც პალაგრას (პალესტინაში) არის გადაწერილი 1049 წელს. მას C ლიტერით ვიყენებთ ჩვენ წინამდებარე გამოცემაში. ოქროპირის ნაწერები სინაზე ნაწილობრივ კიდევ ერთ სხვა ნუსხაშია დაცული (№ 50 -II. 84.—M a P P. Опис. гp.з. p.кoп. Син. монастыp.з.).

ათონურიით	სინის მთურით	ჩუენი ნუსხით
11. იოანე ოქროპირი, სოფლისა ამის წარმავალისათჳს,—„იხილეთ, საყუარელნო...“	მოიპოვება	მოიპოვება (54—70)
12. იოანე ოქროპირი, სიტყჳსა მისთჳს მოციქულისა.—„მოვედით, ძმანო...“	„	(70—82)
13. იოანე ოქროპირი, ებისტოლჳ თვედორეს მიმართ.—„უკუეთუმცა შესაძლებელ იყო...“	„	(82—105)
14. იოანე ოქროპირი, ებისტოლჳ თვედორეს მიმართ.—„იტყჳს უფალი...“	„	(105—123)
15. იოანე ოქროპირი, სინანულისათჳს.—„ისმინეთ, საყუარელნო...“	„	(123—145)
16. ბასილი ეპისკოპოსი, სინანულისათჳს.—„არა არს საშინელ...“	„	(145—171)
17. ბასილი ეპისკოპოსი, შურისათჳს.—„ვითარცა-იგი რაჲ ორბი...“	„	(171—189)
18. მარკოზ მონაზონი, მდურგაჲ და ყუუდღრებაჲ.—„ისმინე სულა ჩემო...“	„	(189—199)
19. მარტკრი მონაზონი, სინანულისათჳს და სიმდაბლისა.—„რ“ ფ“დ უხბარინ...“	„	(199—240)
20. საბჳკ მონაზონი,—„ძმანო გაჳქუნდინ...“	არაა (ფფ. თუ აკლია?)	„ (240—242)
21. აღშენებისათჳს ლუდიისა ეკლესიისა	არ მოიპოვება	არ მოიპოვება
22. ეფრემი, სინანული.—„შ“ სულა ჩემო...“	მოიპოვება	მოიპოვება (242—251)
23. ეფრემი, სწავლაჲ მონაზონთა მიმართ.—„სწავლამან ძისა...“	„	(251—276)
24. ეფრემი, თარგმანებული მეექჳსისა ფსალმუნისაჲ.—„შ“ კრებულა მორწმუნეთაო...“	„	„ (276—287)
25. ეფრემი, სიყუარულისათჳს —„ძმანო ჩემო საყუარელნო...“	„	„ (287—305)
26. ეფრემი, სინანულისათჳს.—„საყუარელნო, რომელთა გნებაჲს...“	„	(305—316)
27. ეფრემი, სიკუდილისათჳს.—„ვაჲ ჩუენდა შენ მიერ...“	„	(316—322)
28. ეფრემი, სიცილისათჳს.—„პირველი მონაზონისაჲ...“	„	(323—328)
29. ეფრემი,—„მო-ოდესმე-ვიდეს...“	„	მოიპოვება (329—358)
30. ეფრემი, სინანულისათჳს.—„მო-ოდესმე-ვიდა ვრთი ვინმე...“	„	„ (361—369)
31. ეფრემი, სინანულისათჳს.—„ჯჯერ-არს ჩუენდა...“	„	(369—375)
32. ეფრემი, მხილებისათჳს თავისა თჳსისა.—„ვაჲ ჩემდა საწყალობელისა...“	„	(375—382)
33.	ეფრემი, დიდების მოყუარებისათჳს.—„გაუწყებ თჳქუნ...“	„ (382—402)
34. ეფრემი, მხილებისათჳს მონაზონთა.—„რომელი აბრალობდეს სხუათა...“	მოიპოვება	(402—428)

ათონურიით	სინის მითურიით	ჩვენი ნუსხით
35. ეფრემი, მონაზონათათს. — „რომელსა ჰნებავს...“	მოიპოვება	მოიპოვება (428—448).
36. ეფრემი, სინანულისათს. — „ნეტარ არს კაცისა...“	„	არაა, ბოლონაკლულღვა-ნობის გამო
37. ეფრემი, სავსე ცხორებითა.—# კაცო უძღურო ..“	„	„
38. სიტყუანი მამათანი, შიშისათს... — „შიში ღმრთისაჲ მოიგებვის...“	„	„
39. აბრაჰამ მონაზონი.—„არა ჯერ-არს მონაზონთა...“	„	„
40. ამონაჲს სიტყუანი.—„ოთხნი საქმენი არიან...“	„	„
41. მაკარი. — გულის-სიტყუათათს. — „მიუგო და ჰრქუა...“	„	„
42. სამოთხე. აღწერა იოანე მოძღუარმან სოფრონი იერუსალემელ პატრიარქისამან. — „საყუარღონო, ხილვაჲ სამოთხისაჲ...“	„	„
43.	წმიდისა მარკოზ განშორებულისათს, თქმული. — „გვთხრობდა ნეტარი სერაპიონ (წყდება)	„

როგორც ვხედავთ, ერთნაირი შედგენილობისაა თითქმის ეს სამი ერთი ხანის ხელნაწერი კრებული. ყველაზე მეტად დაზიანებულია ჩვენი ნუსხა, რომელსაც უფრო მეტად ბოლოს აკლია. აქ მას აღარ შემორჩენია უკანასკნელი (36 — 43) საკითხავები, რომელთაგან უმთავრესია სოფრონი პატრიარქის ნოდღრის, იოანეს (ე. წ. მოსხის) შრომა «სამოთხე», რომელიც ე. წ. პატერიკის ანუ მამათა ცხოვრების ერთ-ერთ სახეობას წარმოადგენს. ათონის ნუსხის მიხედვით ეს დანაკლისი მთელი წიგნის თითქმის ერთ მესამედს შეადგენს; მაშასადამე, თუ ამ ანგარიშით შევხედავთ ჩვენს ნუსხას, მას ბოლოს ჰკლებია 12-ოდე რვეული.

ათონის ნუსხისაგან განსხვავებით დანარჩენ ნაწილში, თუ მხედველობაში არ მივიღებთ იმ დანაკლისს, რომელიც რვეულების დაკარგვით არის გამოწვეული, როგორც ჩვენს ნუსხას, ისე სინურსაც არ მოეპოვებათ „აღმენებისათს ლუდიისა ეკლესიისა“, რომელიც ძირითადად ათონის ნუსხის მიხედვით გამოსცა ნ. მარმა¹. სხვა მხრივ, ვიმეორებ, დასახელებული ნუსხები თავისი შედგენილობითა და მასალის თანმიმდევრობით თითქმის ყოველმხრივ ერთნაირია.

თუ ჩვენს ნუსხას თავიდანვე ჰქონდა ის ბოლო ნაწილი, რომელსაც სხვებში სამოთხე ეწოდება, მაშინ ამ ნუსხებისათვის ერთი საერთო პრო-

¹ Иосиф Аримафейский—Сказание о построении первой церкви в городе Лидде. «Тексты и Разыскания по армяно-грузинской филологии», II, Спб. 1900 г.

ტოტიპი, პირველ-დედანია საგულეებელი, განსაკუთრებით სინურისა და ჩვენი ნუსხისათვის, რომელთაც თანაბრად აკლიათ ათონის ნუსხის ზემოთ დასახელებული ერთი ტექსტი—„აღშენებისათვის ლუდიისა ეკლესიისა“.

კრებულში შესულ თხზულებათა ავტორები უცხოელები არიან. მხოლოდ მარტივი მონაზონია, ქართველად რომ მიიჩნევეს პროფ. კ. კეკელიძე. მარტივის ნაწარმოებიც, — „სინანულისათვის და სიმდაბლისა“, — რომელიც გვიანდელი ნუსხების მიხედვით გამოსცა ამ მკვლევარმა, ქართულად დაწერილ თხზულებად არის აღიარებული მის მიერ¹.

ყველა დანარჩენი ნაწარმოები თარგმანს წარმოადგენს. ამათგან დღემდის გამოქვეყნებულია იოანე ოქროპირის ერთი თხზულება «ბადებულისათვის და წინაშთვე განჩინებულისა კაცსა ზედა ღმრთისა მიერ კეთილისა და ბოროტისა», რომელიც სინას მთის ზემოთ ხსენებული ხელნაწერის მიხედვით გამოსცა ივ. ჯავახიშვილმა². გამომცემელმა, როგორც წინასიტყვაობაშია აღნიშნული, ცალკე ნაწარმოებად საგულეებელი ბერძნული დედანი ვერ დაუძებნა ქართულ თარგმანს იოანე ოქროპირის გამოქვეყნებულ ბერძნულ თხზულებათა შორის, რის გამო მან შესაძლებლად მიიჩნია, რომ ეგების იოანეს რომელიმე ვრცელი შრომიდან იყოს გამოღებულიო.

შესაფერისი ბერძნული ტექსტი არც სხვა ნაწარმოებთათვის არის დაძებნილი, ყოველ შემთხვევაში, ამ მხრივ სათანადო მითითება ამ ნაწერებს არა აქვს არც პროფ. რ. ბლეიკის აღწერილობაში³, და არც პროფ. კეკელიძის ნაშრომში: „უცხო ავტორები ძველ ქართულ მწერლობაში“, სადაც სამაგიეროდ ეფერენ ასურის თხზულებათა ძველი თარგმანების შესახებ, მათ რიცხვში ჩვენს კრებულში შემავალთათვის, შენიშნულია, რომ ესენი IX—X სს.-ს ეკუთვნისო. ეფერემის თხზულებათა ქართული თარგმანები, პროფ. კ. კეკელიძის აზრით, უფრო ადრეც, ე. ი. IX ს.-მდეც, არის სავარაუდებელი, რის სამოწმოდ მას გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებიდან ერთი ადგილი მოჰყავს, სადაც ნათქვამია, რომ გრიგოლი ეფერემის თქმულთა საკითხავთა ზეპირადაც კი ამბობდაო⁴.

3. ხაიდან და ჩოღის

ჯერ კიდევ ცალკეა საკვლევი, თუ რომელი ენიდან არიან ნათარგმნი ჩვენს კრებულში შესული ნაწარმოებნი. ყოველ შემთხვევაში, ამათვის შეიძლება გარკვევით ითქვას, რომ ისინი სომხურიდან არ მოდიან. ამას ნათლად გვიჩვენებს, თუ შევადარებთ თუნდ ზოგიერთ მათგანს (მაგ., ამას: ებისტოლე იოანე

¹ მარტივი ქართველი (VI—VII) და მისი შრომა „სინანულისათვის და სიმდაბლისა“ კ. კეკელიძის რედაქციითა და გამოკვლევით: „ლიტერ. ძიებანი“ III, 1946 წ., გვ. 261—313.

² Слово св. Иоанна Златоуста „О врожденном и predeterminedном добре и зле“ в древнегряз. переводе. «Христианский Восток», т. II, вып. 3, стр. 275—280, СПб., 1914 г.

³ Catalogue des manuscrits géorgiens de la bibliothèque de la laure d'Iviron au mont Athos, par R. P. Blako. Extrait de la Revue de l'Orient Chrétien, 3-e série, t. VIII (XXVIII) № 3 et 4, 1931—32, pp. [41—51].

⁴ კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, ძველი მწერლობა, ტ. I, თბ., 1941 წ., გვ. 609.

ოქროპირისა, რომელი მიუწერა თევდორეს მთავარსა ჰრომისასა, რომელი მონაზონებით კუალად იქცა სოფლადვე) სომხურ ძველ თარგმანს (*Առ Քիւրդիրոս որ անկանել հანդերձხալ էր ի վանականութենէն և ի սուրբ վարուցն*¹), ისე თვით ქართული თარგმანების ენა, რომელიც სომხურიდან თარგმნილი ქართული ტექსტების ენისაგან საკმაოდ განსხვავებულია.

პასუხი კითხვაზე, თუ რა ხანის თარგმანს უნდა წარმოადგენდეს მაინც ჩვენს ხელნაწერში შესული ნაწარმოებები, შეიძლება მხოლოდ თარგმნის ენობრივი მაჩვენებლების მიხედვით გაიცეს. მორფოლოგიის მხრით უმთავრესი სპეციფიკური რამ, რაც კი ტექსტების ენაში შეინიშნებოდა ძველი ქართულის სხვა აღრინდელი ძეგლების ენასთან მიმართებით, მოკლედ შემოთაც აღვნიშნეთ. ზოგიერთ არქაულ მოვლენასთან ერთად აქ არა ნაკლები ოდენობით უფრო ახალი მოვლენაც იყო შესამჩნევი. გრამატიკულ წყობასთან მიმართებით შედარებითი სიახლე უფრო ლექსიკას ატყვია. იგია, რომ „თითქმის განუწყვეტლივ იცვლება... არსებული ლექსიკის იმ სიტყვებით შევსების გზით, რომლებიც წარმოიშვნენ სოციალური წყობილების შეცვლასთან, წარმოების განვითარებასთან, კულტურის, მეცნიერებისა და ა. შ. განვითარებასთან დაკავშირებით“². საზოგადოებრივი ცხოვრებისადმი გამოძახილს, მაშასადამე, უწინარეს ყოვლისა ლექსიკა ახდენს.

4. ძველის ლექსიკა

როცა ლექსიკის მხრით ვუკვირდებით ჩვენს ხელნაწერ კრებულში შესულ თხზულებათა ენას, შევნიშნავთ, რომ ლექსიკური სიახლე მასში მოიპოვება სიტყვათა ერთს ისეთ წყებაში, რომელიც უცხოურიდან არის ქართულში შემოიხიზნული და დროთა მსვლელობაში მასში იმდენად დაძვივრებული, რომ მისი მარაგიდან ბევრ სიტყვას ქართული მაწარმოებლებით ახალი სიტყვები წარმოუქმნია და ასეთი ცხოველმყოფელობის გამო სალიტერატურო ენაშიც გაუკაფავს გზა.

ძველ ქართულში (V—XI სს.) შემოსული უცხოური სიტყვები უმეტესად იმ ხალხთა ენებიდან მომდინარეობს, რომლებთანაც ქართველებს ძველად ურთიერთობა ჰქონია. ესენი არიან უპირატესად სპარსელები (საშუალი და ახალი სპარსული ენებით), სომხები, ასურელები (სირიელები), არაბები და ბერძნები. ქართულ ენაში უფრო მეტად ასახულია ბერძნული, სპარსული (როგორც საშუალი, ე. წ. ფალაური, ისე ახალიც, — არაბობის ისტორიის ასპარეზზე გამოჩენის შემდგომი ხანისა) და სომხური. საშუალი სპარსულის გვერდით, რომელიც არაბების გამოჩენამდის იყო ხმარებაში, საკმაო ოდენობით მოგვეპოვება ახალი სპარსული ენის სიტყვებიც, რომლებიც ქართულ მწერლობაში, როგორც მიჩნეულია, IX ს.-იდან შეინიშნება.

ფალაურიდან ძველიდანვე შეთვისებულია შემდეგი სიტყვები ჩვენი ხელნაწერისა: ამბოხი (ამბოხიანი—109^ა), არზანიგი (უარზანიგი — 387^ბ, 388^ა),

¹ *Մովսեսի Ասկեբերանի հაռք, Վենետիკ, 1861, 17—26.*

² ი. სტალინი, მარქსიზმის შესახებ ენათმეცნიერებაში, გვ. 10—25, თბ., 1950 წ. გამომცემლობა „კომუნისტ“.

დაშნი (111^ა), დროშა (117^ბ), ვახში (უვახშო—119^ა), მატინე (114^ა), სადაგი (176^ა), სპა (445^ა), ტაჯგანაგი (163^ბ) და ხუასტაგი (327^ა).

მათ გვერდით მასში მოიპოვება ახალი სპარსული სიტყვებიც:

1. აუგი آه آهō (ნ. მარო, გრ. ხანძთელის ცხ-ბა, გვ. LXIII)
 „რომელსა ეშინოდის დაფარულთაგან, ნუ მოიგებნ აუგთა დაფარულთა“ (35^ა);
 „ბრძენი, რომლისა განგებასა აუგი ერთოს, იგი არა ბრძენი არს“ 179^ა);
 „რადსა გამოიწულილავ აუგთა ძმისა შენისათა“ (394^ა).
2. ბოსტანი—بستان bustān (ივ. ჯავახიშვილი, საქ. ეკონ. ისტ. II, გვ. 104)
 „და იყო მას შინა (სოდომს) მდინარები და სარწყავნი უხუებით ბოსტანთა, და ვენაქთა და ხილოანთა სიმრავლე აურაცხელი“ (270^ა);
 „ერიდების იგი (ორბი სპეტაკი) ბოსტანთა და სამოთხეთა და აღგილთა სურნელთა“ (172^ა).
3. განძი—گنج ganj (სომხური, ჰრ. აქარიანი, ეტიმ. ლექსიკ., II)
 „განძი ოქროსაჲ არა არს ჩუენ თანა“ (194^ბ).
 ამ სიტყვას ფალაურშიც ვხვდებით, მაგრამ IX ს-მდის ქართულ მწერლობაში არ გვხვდება.
4. დასტური (დასტურად)—داستور dāstur
 „რამეთუ ცოდვანი, დასტურად ვიცი, მქონან“ (429^ა).
5. დაფი—داف daf (ჰრ. აქარიანი, ეტიმ. ლექსიკ., II)
 „ვითარცა დაფისა ცემამან განალჯდნის მჭედარნი“ (123^ა).
6. დივანი—ديوان dīvān (ჰრ. აქარიანი, ეტიმ. ლექსიკ., II)
 „ვითარცა მჭედარი, რომელმან დაიწერის თავი თვისი დივანსა შინა მეფისასა და მიერთგან წამოიღებნ იგი განწესებულსა როქიკსა ერის-კაცთასა, ვერლარა შემძლებელ არნ იგი თავით თვსით განთავისუფლებად მსახურებისა მისგან“ (107^ბ, 82^ბ).
7. ლალი (ლალობა)—لالي lālī
 „არა მივისწრაფოთ სუმაღ და განცხრომაღ და არცა სიცილაღ და ლალობაღ (295^ბ, 136^ა).
8. მიზდი—میزد muzd
 „შენ, უფალო, გზბრძანე ჩუენ მიზდი მუშაკობისაჲ“ (25^ა)
9. პასუხი (პასუხობა)—پاسخ pasax (ჰრ. აქარიანი, ეტიმ. ლექსიკ., V)
 „მო-უკუე-გვწერე ჩუენ პასუხი წიგნისაჲ ამის ჩუენისაჲ“ (105^ბ),
 „გეშინოდენ სიტყუს-გებისაგან და პასუხობისა და ცილობისა“ (156^ა).
10. სუბუქი (აღსუბუქება)—سبک subuk (ნ. მარი, გრ. ხანძთელის ცხ-ბა, LXVII)
 „სინანული მსგავს არს უძღურსა ქუე მდებარესა, რომელი განმრთელდების სენისაგან და აღსუბუქნის ვითარცა მფრინველი“ (20^ა).
11. ფლიდი —فلید flid „ჭურისა სძულსა ლორი და იგი უფლიდეს მისსა არს“ (164^ა).

12. ფოლი—فول pūl

„ორითა გინა სამითა ღრაჰკნითა... და შენ ორითა ფოლითა არა-
დაჯერებულ ხარა“ (50^ა)

13. ქულბაგი — کلبه kulba (პრ. აჭარიანი, ეტიმ. ლექსიკ., VI)

„ხუარბლის ვაჰართა დაჰჰშნეს კარნი ქულბაგთა მათთანი“ (24^ა)

14. ხაშმი (სიხაშმი)—خاشم xašm

„მისთჳს დააყენის სუმაღ, რადთა არა გრილად სიხაშმედ გარდა-
ექცეს მას საღმობაჲ მისი“ (260^ბ).

15. ხუარბალი—خواربار xōrbār (პრ. აჭარიანი, ეტიმ. ლექსიკ., III)

„ხუარბლისა ვაჰართა დაჰჰშნეს კარნი ქულბაგთა მათთანი და გა-
ნაინელეს იფქლი გლახაკათჳს და მსყიდელნი შეიწირდეს“ (24^ა)

16. ხუე[ი]შანი (მეხუე[ი]შნი)—خوشان xōšān (→ ხუიშანი xοδαταιн ნ. მარკი, გრ. ხანძთელის ცხ—ბა, LXX)

„რამეთუ მუნ სინანული არღარა შეიწირვის და არცა ვედრებაჲ
მიითუალვის და არცა მეხუე[ი]შნი შეიწყნარების“ (422^ა)

ლექსიკიდან სიახლეს წარმოადგენს აგრეთვე არაბულიდან შემოსული შემდეგი სიტყვებიც:

1. მუსმარი—مسمار mismār (პრ. აჭარიანი, ეტიმ. ლექსიკ., IV)

„შენ განაცჳ აქლემსა მუსმარი ცხურთა და მით დაიმორჩილე იგი“
(163^ბ).

2. სირაჯი—سراج siraj კანდელი.

„განაღძებს ვნებათა, ვითარცა ზეთი პატრუქსა, ვიდრემდის ადგნ-
ლა, სირაჯსა აწოვებნ, და ცეცხლი იგი ძლიერად ინათებინ; და
რადეამს მოაკლდის, მოუძღურდის და დაივსის“ (240^ბ)

ახალი სპარსულისა და არაბული ენებისაგან ქართულში შემოსული აქ წარმოდგენილი ლექსიკა, როგორც ირკვევა, IX ს.-ში უნდა იკიდებდეს ფეხს სალიტერატურო ქართულ ენაში, ვინაიდან X ს.-ის 30-იანი წლებისაა აღნუს-
ხული სიტყვების შემცველი ჩვენი ხელნაწერი, რომელშიც მოთავსებული
ნაწარმოებები უთუოდ IX ს.-ის თარგმანებად უნდა იქნეს აღიარებული.

• **შვიათი ხმარების სიტყვებიც**, რომლებიც ქართული ჩანს, შესაძლებე-
ლია, ამ ხანის სალიტერატურო ქართულისათვის სპეციფიკური იყოს, ამ დროს
იყოს დანერგილი მწერლობაში. ასეთი ვარაუდი მიტომ უფრო მიგვაჩნია
შესაძლებლად, რომ წინა ხანის ცნობილსა და იმ დროისად საგულებელ ლი-
ტერატურულ ძეგლებში მათ ვერ ვხვდებით. ასეთებია:

1. ბარჯი.—„უკუეთუ ქელი შენი ბარჯისათჳს და საჰივისა ემზადების
დადებად“ (244^ა);2. ბაყლი (ბაყლენი).—„რადმე რად არს სამოსელი იგი ბაყლენი“ (419^ა;
—„სამოსელი თჳსი უკუეთუ არს წმიდაჲ და უბაყლოჲ“3. ბირთჳ.—„გუემღერიან ჩუენ, ვითარცა ყრმანი რად იმღერიელ ბირთჳთა.
მიმოგდებით“ (369^ბ);

4. ბოყინი (აღმობოყინება). — „პირი აღმობოყინებს უკეთურებასა“ (160^ბ);
5. გოვარი. — „ვინ უკუე შემძლებელ არს მიწდომად გოვარსა უპატოს-ნესსა, ანუ ვინ შემძლებელ არს სახელის-დებად თავისა თვისსა-მამად უფროდსა ქრისტესა, არა ყოველნი ერთობით ვიტყვთა: მამაო ჩუენო, რომელი ხარ ცათა შინა. აჲ უკუე, რომელი იქადის მამასა თვისსა ზედა გოვართა ქუეყანისადათა და იკადრებს მისა სიტყუად, ვითარმედ: შენ ვინ ხარ? და არს იგი ქრისტეანე მისებრე და მამა მისი მადლითა, და იგი უვარ-ჰყოფს მას და იქადის მამასა ქუეყანისასა დაღევადსა“ (80^ბ).
- [მაშასადამე, გ უ ა რ ი — გ ო ვ ა რ ი არის ჩამომავლობა, რომელიც სხვისაგან განირჩევა მამით. ანრავად, გ ო ვ ა რ ი აქ სოციალური ტერმინია. ასეთი წრის საწყოფელს თუ სამფლობელოს აგრეთვე ეს სახელი ჰრქმევიო, რაც ჩანს ამ სიტყვის სომხური ფორმიდან, რომელიც ქართულიდანაა ნასესხები: *გაღვარ* — გ ო ვ ა რ ი¹].
6. დუხპირი (დადუხპირება). — „არა იყოს ესე აუგ და დუხპირ“ (97^ა);
— „დადუხპირდეს ხედვა მათი“ (147^ა).
7. ზარ-ი (დაზარება, მოზარე). — „ფრიად დამიკვრდა თქუენთვის, თუ ვითარ არა დანიზარეთ სიშორისაგან გზისა მოსლვად ჩემ გლახაკისა“ (359^ა),
— „მარხვასა—მოლალე, და ჭელთსაქმარსა—მოზარე“ (338^ბ).
8. თავ-ქედი. — „საქმე ჩემი და შენი მსგავს არს კაცსა თავ-ქედითა სნეულსა, რომელი პირითა წარჰრევენ სიტყუათა მრავალთა და გონებითა არა უწყინ“ (190^ბ).
9. იოგი. — „ზარი დაეცის ყოველთა იოგთა და დასაქსნელთა გუამისა მათისათა“ (147^ა).
10. კობრ. — (მეკობრე, მეკობრება, მეკობრობა), — „მრავალნი ვაქარნი, მეკობრენი და ავაზაკნი იფარვენ ბოროტისა საქმეთა და უდაბნოს გარე მეკობრობენ, ესე ცხად არს, ვითარმედ რომელმან განყიდის რაჲ უმეტეს ფასისა მისისა, რაჲ-იგი ღირდეს, იგი მეკობრე არს“ (12^ა).
- „უკუეთუ... სამართალსა არა მისცემდე, არს იგი პარვა და მეკობრობა“ (13^ა).
11. მაშუალა. — „და ვითარცა აგრძენს ესე მოწაფეთა, შთასუეს პავლე მაშუალასა და მით გარდაუტევეს იგი ზღუდესა“ (46^ბ).

¹ ამაზე უფრო ვრცლად ამ სიტყვის შესახებ საუბარი ნაკვს წერილში: ძველი ქართული ლექსიკიდან. 1. გოვარი—გუარი. „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება“, ტ. IV, 1952 წ. გვ. 363—369.

12. მღოვრ.—„ყოველმან, რომელმან განდევნა შფოთისა სიყუარული, არს იგი ყოლადვე დაწყნარებულ და მღოვრ“ (339^ა).
13. ნანარი.—„ასული არს აზნაურთაჲ და დაშნი და ნანარი და მოყუარე კეთილისაჲ და ტომთაგან პატიოსანთა გამოსრული“ (111^ა).
14. ტილი.—„ძონძითა მოსილნი და ტილითა შეკმულნი“ (9^ბ);
—ტილთა გამოიფარცხნი თმათაგან თავისა შენისათა“ (165^ა).
15. ფარილ (შეფარილება).—„ნეტარ არს, რომელი იგლოვდეს სულისა თვისისათჳს მცირედსა ამას ჟამსა, რადთა არა შეაფარილოს იგი ცოდვითა და ბრალითა“ (22^ა).
16. ფატარი.—„შეუძლის ხესა მაგარსა და ფიცხელსა განრყუნად, არამედ ლბილსა და ფატარსა ეუფლის და შეკამის“ (173^ა).
17. ჩივ-(მჩივანი).—„მონაზონი ურჩი და მჩივანი ფრიალ მავნებელ არს“ (346^ა).
18. ჩმუნვა.—„და არნ მდებარე და ჩმუნავნ კელითა და ზრახავნ წარეულთა კირისა მისგან“ (148^ა).
19. წამალი [ფერის, საღებავის აზრიჲ].
—„შევამკვე კეთილითა და მრავალ-ფერითა წამლითა გონებაჲ შენი, რადთა არა შენ ძლით იგმოს გამომხატველი შენი“ (440^ბ).
20. წუნობა (მწუნობარი).—„ჰხედავს იგი გლახაკთა შიშულობასა და წუნობით განასხავს მათ“ (364^ა);
—„ვიყავ მე... მომხუეველი მდიდართა, მწუნობარ გლახაკთა“ (378^ა);
—„მწუნობარ მსწავლელთა ჩუენთა“ (403^ბ).
21. კმუხა (შეკმუხა).—„ოდეს ესმინ სიტყუაჲ წიგნისაჲ სარგებელისათჳს, შეიკმუხის პირი თჳსი“ (355^ა).
22. ხარბი (სიხარბე).—„სიხარბით სუმაჲ სასუმელთა“ (109^ა);
23. ჯარბი.—„არა განვბოროტნეთ და ვიქმნნეთ ვითარცა ჯარბნი წამლენანი“ (393^ა);

ამათგან მეტად იშვიათი ხმარებისაა მოგვიანო ხანის მწერლობისათვისაც კი — ბირთჳ (3), გოვარი (5—ამ ფორმით მხოლოდ), იოგი (9), მაშფალა (11) და ჯარბი (23).

საგულისხმოა ჩვენი ხელნაწერის ნაწარმოებთა ენა სხვა ტერმინების მხრითაც. ზოგი მათგანი სიტყვის მაწარმოებელი აფიქსებით არის წარმოქმნილი, ზოგიც კიდევ აღწერით.

აფიქსებით წარმოებული ტერმინებიდან აღსანიშნავია:

1. განმარგლეა.—„მუშაკემან კეთილმან განმარგლის ყანაჲ თჳსი ლუარძლისაგან“ (403^ა).
2. მოსესხე [= განესხებელი].— „არარაჲ არს ჩემ თანა, რომლითა თანანადები ჩემი გარდაჲიჯადო და განვერე მოსესხისაგან“.

3. სარცხელი (=სარეცხი ნივთი).—„რომელსა სამოსელი ბაყლენი ჰმო-
სიეს, განირცხენ იგი ცრემლითა, რამეთუ ამით განსპეტაქნების
უფროსს ყოელისა სარცხელისა“ (422^ა).
4. სასნეულო სახლი (=საადამყოფო).—„დასნეულდა ავაზაკი იგი და
დააწვინა იგი სახლსა სასნეულოსა მეფისასა“ (446^ა).
5. საფიცი (= ფიცის წიგნი).—„წარსცა მძივი იგი, რომელი ჰქიდავს ყელსა
მეფისასა, რადთა მისცეს მას საფიცი მტკიცე და დაუბეჭდოს
მძივითა მით“ (445^ბ);
—„მიენდო საფიცსა მისსა“ (446^ა).

აღწერით წარმომდგარ ტერმინთაგან აღსანიშნავია:

1. ბულე სასწორისა (=სასწორის თეფში).—„შთაკრიბეს ყოფილი... ცოდ-
ვაჲ ავაზაკისაჲ მის ერთ კერძოსა მას ბულესა სასწორისასა“ (448^ბ).
 2. ენა-ბრგუნეილი [=ბლუ].—„რამეთუ იყო იგი ენა-წულილ და ენა-
ბრგუნეილ“ (414^ა);
 3. განხილვა გრწყილთაგან [=გრწყილის გაშორება].—„სამოსელსა შენსა
განხილავ გრწყილთაგან“ (165^ა);
 4. კონა მხლისაჲ.—„ცრულ იწამებდეს განსყიდასა და მოსყიდასა კონისა
ერთისა მხლისასა, რომელი ოდესმე არა ღირს ქრთილად“ (188^ბ).
- ვხვდებით ასტრონომიული ტერმინების მთელ წყებას, როცა მეორედ
მოსვლის სურათია აღწერილი.—

„რაჲმს-იგი ცულ იქმნეს სრბაჲ მზისაჲ, ოდეს-იგი დაირლუნ
მრავალ-ფერად განწესებანი ძალთა ცისათანი, რაჲმს-
იგი დაირლუნ აგებულეზანი ეტლის-თუალთანი, ოდეს-
იგი დაჰქსნდეს ეამთა ზანწესებაჲ მთოარისაჲ, რაჲმს-
იგი ნოაკლდეს ეამი ეომთა სრბისაჲ და წარმოჩინებაჲ
გმირისაჲ, და განსრულდეს ნათობაჲ მთიებისაჲ და ცულ
იქმნეს რიცხვარსკულავთაჲ, რაჲმს-იგი წარიგრაგნოს
ცაჲ ვითარცა წიგნი ტყავისაჲ და იცვალოს და განახლდეს ქუე-
ყანაჲ“ (115^{ა-ბ}).

საგულისხმოა ისიც, რომ ჩვენს ხელნაწერში გვაქვს ჯერ-ჯერობით უა-
ღრინდელესი შემთხვევა ეტრატის ხმარებისა, რკინის კალმისა და
ჰუნესი.

1. ეტრატი.—„და ცაჲ წარიგრაგნოს ვითარცა ქსელი ერთი ეტრა-
ტი“ (57^ა),
2. კალამი.—„რამეთუ არა თუ მელნითა დაწერილ არს იგი, ვითარცა
შეუძლე ავოცად, არამედ დაწერილ არს იგი კალმითა
რკინისაჲთა, რადთა გამხილოს დღესა მას განკითხვი-
სასა“ (129^ა).
3. ჰუნე.—„შენ აღვრითა და ტანჯგანაგითა სწავლი ჰუნესა შენსა
ეთილად სლვად“ (163^ბ).

ასეთია ზოგადად ჩვენი ხელნაწერი კრებულის ლექსიკა. ვფიქრობ, არ შეეცდები, თუ დაეასკვნი, რომ ის წარმოგვიდგენს ქართული ენის ისტორიის არა ადრეულ საფეხურს, არამედ რამდენადმე ახალს, იმ ეტაპს, რომელიც არაბების საისტორიო ასპარეზზე გამოჩენისა და საქართველოსა და მეზობელ მხარეებში მათი ჩამოღდომის შედეგად აღიბეჭდა ჩვენს მწერლობაში, რომლის ენაშიც, უმთავრესად ლექსიკაში, აისახა კიდევ ახლო აღმოსავლეთის ცხოვრებაში მომხდარი ახალი ძვრები. შექმნილ ვითარებას ქართულ მწერლობაში შეიძლება გამოძახილი ეპოეა IX ს.-იდან, როგორც ქართლის, უმთავრესად ტაო-კლარჯეთის სამწერლობო ცენტრებში, ისე უპირატესად პალესტინის სალიტერატურო კერებში. ამდენად, ჩვენ ის ძეგლები, რომლებიც ჩვენს ხელნაწერ კრებულშია მოთავსებული, მიგვაჩნია პალესტინის ანდა ტაო-კლარჯეთის სალიტერატურო წრეებში წარმოშობილად, ე. ი. თარგმნილად.

* * *

ტექსტებს ლექსიკონიც შევუდგინეთ. ის საკმაოდ ვრცელი გამოვიდა, რის გამო მიზანშეწონილად ვცანით, აქ მოგვეხსნა, მაგრამ გადაწყვეტილი გვაქვს, ავსახოთ იგი „ძველი ქართულის ლექსიკონში“, რომელსაც გამოსაქვეყნებლად ამზადებს ჩვენი უნივერსიტეტის ძველი ქართული ენის კათედრა პროფ. ა. შანიძის ხელმძღვანელობით.

ილია აბულაძე

მამათა სწავლანი

Տղկապետ ին ժամեր
պատկար զգարակ իր ճիգ
և ոգի ի շնորհ կարգա
և ցանկե արկ:

Կարկի պատկար զգի
Կանանց զբանայցե:
Կեկուսակի ծա իւր թա
արչիսիսեւ: Կո՞ն իւր ճի
սկից պտեղից իւր: Կսկեւ:

(Ընկարգաւ պնդապե ճի
պարտաւ ի ստանեա իւր
և ճարչ ճիգապատեւ: Կը
ստանեա: Կնո իւր ճիգ
գաւ արկայի ճաւ ճիւր
ձե արկեապա ճիլ սապ
ևս արկեա: Ծա արեապ
կեկարգա ճիլ: Ծապա
իւր: Կեկ արեւ ճիւր ձե
պարտ արեւ: Կստանե
արեւ: Կպարտարեւ:
ձե կնո պսե ճա արեւ:
ճաւ ճապարակ ճիլեւ:
Կն: Կպարտ արկ արե
ճա արեւ արկեւ ճիլ:

Ճանապարհ ճապարակ
կարկարե արկեւ
և ճալի ճա կարկարե:
արեւ արկարկարե:

Կար և արկի ճաւ ար
արկիւ ճա արկարե:
Կար արե ճա արեւ
արկարե: Կար ճալի ճա
արեւեւ: արկեւ: Կեկ
իւր արեւ արկարե իւ
արկարե: ճա ճաւ ճիլ
ճապարակեւ արկեւ: Ծա
արեւեւ: ար արե արեւ:

Կար արե իւր արե
արե արե արե արե
արե արկարե ճալե և
արե ճիլար արեւ: Կեկ
արե արկարե ճալե:
ճաւ արեւ արե ճալե
արեւ արեւ արե ճալե
արկարե արկարե:

Կար արե արե արե
արկարե արե արե
արե արե: արկարե արե
արե արե: արկարե արե
արե արե: արկարե արե
արե արե: արկարե արե

ტექსტი

A —S 1139, ხელნაწერი დავით მამფლის დროისა (გარდაიცვ. 943 წ.)

B —A 1142, პირი (ახალი გადმონაწერი) 977 წლის ოშკის «სამოთხის» ხელნაწერისა

C —H 1662, პალესტინური ხელნაწერი 1040 წლისა.

[C 17] თქმული წმიდისა იოვანე ოპროპირისად
შიშისათჳს ღმრთისა და სინანულისა

სწავლასა ქეშმარიტსა გუასწავებს ჩუენ დავით წინაწარმეტყუელი და
იტყუს: „მოვედით, შეილნო, ისმინეთ ჩემი და შიში უფლისაჲ გასწაო თქუენ“¹⁾.
და რამეთუ დასაბამი სიბრძნისაჲ არს შიში უფლისაჲ, ამისთჳს ჯერ-არს
ჩუენდა, რაჲთა ყოვლისა პირველად ვისწაოთ შიში ღმრთისაჲ, რამეთუ
ცხოვრებასა საუკუნესა განგვზადებს ჩუენ, და განსდევნის ცოდვასა და სიკუ-
დილსა. და არა ხოლო თუ ცხოვრებასა ოდენ მოგუატყუებს ჩუენ შიში ღმრთი-
საჲ, არამედ დიდებასაცა და ქებასა.

აწ უკუე ვინაჲთჳნ შიში ღმრთისაჲ ესევეითართა კეთილთა მომატყუ-
ებელ არს ჩუენდა, ჯერ-არს, იმანო საყუარელნო, რაჲთა ვჰმონებდეთ უფალსა
შიშით, ქეშმარიტით[ა] მონებითა, არა ხოლო სიტყუთ, არამედ საქმით. და
ვყოთ საფუძველ მონაგებისა ჩუენისა სიმდაბლუე, რაჲთა მივემსგავსნეთ
სიმდაბლესა და სიყუარულსა მაცხოვრისა ჩუენისასა. იხილეთ, იმანო,
ნუშეცა რაჲთ ნებითა ამის ქუეყანისაჲთა შეურაცხ-ვჰყოფთ მცნებათა უფლისა
თჳსისათა. [2] უწყოდით, რამეთუ განხრწნადნი ჳორცინი გუმოსიან და არა
უწყით, თუ ხვალემ[დღე] ცოცხალ ყოფად ხარ, რამეთუ დღენი შენნი აღ-
რაცხილ არიან. რასა უკუე ზუაობ ურგებთათჳს, რომელი უკუე ქუეყანისა სა-
ქმეთაგანი ჰგვის სამარადისოდ, რაჲთა შევიკრძალოთ იგი, იმანო, რომელი
იშვა და არა მოკუდა. რომელა შუენიერებაჲ არა იცვალა უკუანადსკნელ, გინა
რომელი ჰაბუკი არა დაბერდა. ნუუკუე და-ვინ-იმკუდრა სადა ქუეყანაჲ ესე
საუკუნოდ,—არა სამე, აწ უკუე გულისგმა-ყვენ ესევეითარნი საქმენი და განაგდე
შენგან ზუაობაჲ და უწყოდე, ვითარმედ კაცი ამაოებასა მიემსგავსა და დღენი
მისნი ვითარცა აჩრდილნი წარჯდეს.

ოდეს უკუე იხილო მდელიჲ ქუეყანისაჲ, ამსგავსე მას ბუნებაჲ კაცისაჲ,
რამეთუ ვითარცა-იგი მდელიჲ ქუეყანისაჲ მარადის შეიცვალების, ეგრეცა ყო-
ველნი საქმენი ძეთა კაცთანი. უფალსა შენსა აღუთქუამს შენდა ცხოვრებაჲ წა-
რუვალი, და შენ შეგიყუარებიეს ცხოვრებაჲ წარმავალი. [5] შეურაცხ-ყვენ
გემონი და მძლე-ექმენ ნებასა მუცლისასა, და ნუ უდებ იქმნები მცირედთა
ამათ დღეთა, რაჲთა არა შეგიყვანონ შენ სატანჯველთა მათ საუკუნეთა,
დაუღვევნელთა, რამეთუ უმჯობეს არს შენდა, რაჲთა აქა მცირედ შრომაჲ თავს-
იდვა, და განერე საუკუნეთა მათ სატანჯველთა, და არა წარხვდე ტურთ-მძიმე
ცოდვითა და იქმნე შენ საქმლად ცეცხლისა მის უშრეტისა.

1 აოვნე C. 2 შიშისათუის C. 4 იტყუის C. 5 ამისათუის C. 7 განგუიმზადებს C. 12 სიტ-
ყუით C. 16 თუისისათა C. 18 ურგებთათუის C. 21 და-ვინ-იმკუიდრა C. 32 წარხუიდე C.
ტურიტ-მძიმე C.

¹⁾ ფსალმ. 33, 12.

ამისთვის გვედრები, საყუარელო, რადთა არა უგულებელს-ჰყო სული შენი, და მიიწიო შენ სუფევასა მას დაუსრულებელსა და შუებასა მას გამოუთქუმელსა ანგელოზთა თანა, და ზეცისა ცხორებასა და საღმრთოთა სამკვდრებელთა, რამეთუ ვართ ჩუენ ჟამიერნი, რადთა მცირედ ვილუაწოთ და საუკუნოდ განვისუენოთ. აწ უკუე ნუმცა კადნიერ ვიქმნებით სულგრძელებისათვის ქრისტეს ღმრთისა ჩუენისა ჩუენ ზედა, რამეთუ აქა მოთმინე და სულგრძელ არს [3] ჩუენ ზედა, ხოლო მუნ გამოიწულილავს საქმეთა ჩუენთა და იცევ კარი პირისა შენისაჲ, რომელ არს ენაჲ შენი, რამეთუ უფროდსნი ცოდვანი ენისა მიერ შეითხზვიან; ნუუკუე იტყვ, ვითარმედ მცირედსა სიტყუასა ვიტყოდეთ.

იხილე, რავდენნი განსაცდელნი შეუდგან სიტყუასა, ძმაო. გეშინოდენ უკუე წარდგომად წინაშე მსაჯულისა მის საშინელისა, სადა იგი ყოველნი საქმენი შენნი საცნაურ იყუნენ ცხადად, რამეთუ ყოველნი ცოდვანი ჩუენნი მუნ აღწერილ არიან. ყოველსა რავდენსა ვიქმთ ანუ ვიტყვთ, მასვე ჟამსა მუნ აღიწვივის. აწ უკუე გეშინოდენ, ზუბადრუკო, რადთა არა დაიწერენ შენ ზედა ყოლადვე ბოროტნი საქმენი შენნი, არამედ რომელღა-იგი დაწერილ არიან. ისწრაფე ავოცაჲ მათი ხოლო, საჯმარ არს შენდა ტირილი ფრიადი, ლოცვაჲ და სინანული და აღსაარებაჲ ცოდვათა შენთაჲ და სხუანი მრავალ-ფერნი სათნოებანი, რადთა ამით ესევითარითა აჰვოცნე შეცოდებანი შენნი და განერე სატანჯველთა მათგან [4] და სირცხვისა მისგან საუკუნოდსა.

არად საჯმარ არიან მუნ მონაგებთა სიმრავლენი, არამედ საქმენი კეთილისანი. აწ უკუე არა ვზრუნვიდეთ მონაგებთათვის, არამედ ვტიროდით წინაშე მსაჯულისა მის უკუდავისა. და უკუეთუ გაქუნდეს მონაგები, განუყავ იგი გლახაკთა, რამეთუ შემსლებელ ხარ ჯსნასა სულისა შენისასა, ვიდრე-ესე სოფელსა-ღა შინა ხარ. უკუეთუ შენ გინდეს, იხილე და ნუმცა მიიგისწრობენ სასუფეველად მეზუერენი და მეძავნი. სულთ-ითქუმედ აქა, რადთა მუნ მხიარული იყო, და ტირილითა ამით წარმავალითა მოისპე ტირილი იგი წარუვალდასთესე აქა შრომაჲ, რადთა მუნ მოიმკო სიხარული. თავ-მოდრეკით სულთ-ითქუმედ და დასთხიენ ცრემლნი შენნი მჭურვალედ. იხილე უკუე, მეძავსა მას, რომელ სახარებასა წერილ არს, ტირილითა შეუნდვნა ქრისტემან ყოველნი ცოდვანი მისნი¹⁾; [4] რავდენ უფროდს შენ, ოდეს სტიროდი მარხვითა და სიწმიდითა, უფროდს მისსა ღირს იქმნე წყალობასა! უკუეთუ საქმენი კეთილნი არა გქონან, ჭანანელისა მისებრ ვმობდი: „შემიწყალე მე, უფალო“²⁾. უკუეთუ არა გაქუს შენ კადნიერებაჲ საქმეთაგან კეთილთა, მიივლტოდე მრავალ-მოწყალე-ბათა მიმართ მაცხოვრისათა, გამოუთქუმელთა, და მიისწრაფე მდინარედ, ღმრთივ-სულიერთა წიგნთა კითხვასა. რამეთუ ვითარცა-იგი რომელნი ჟამსა სიციხისასა მახლობელად სხდიედ გამოსადინელსა წყალთასა და სიგრილისა მისგან ჰაერისა განერნიან მძლათურისა მისგან სიციხისა, ეგრეთვე რომელი მიივლტოდის წიგნთა წმიდათასა, განარინოს სული თვისი ყოველთაგან ვნებათა,

1 ამისთვის C. 3 სამკვიდრებელთა C. 5 სულგრძელებისათვის C. 7 დაიკვე C. 9. იტყუი C. 13 ვიტყუი C. 15 დაიწერენ C. 19 სირცხვილისა C. 21 მონაგებთათვის C. 26 იყო C. 27 მოიმკო C. 38 თუისი C.

¹⁾ ლუკა 7, 37-48. ²⁾ მათე 15, 22.

ვითარცა რომელი განერის საჭუმეღისაგან ცეცხლისა, რამეთუ სიტყუანი წიგნთანი ნუგეშინის-ცემანი ღმრთისანი არიან. ვინ უკუე შემძლებელ არს შეწუხებად მისა, რომელსა ჰქონდის ღმერთი ნუგეშინის-მცემელად!

[ა] მოიგე უკუე წიგნის კითხვაჲ მოუწყინებელად, დაღაცათუ მცირედ და-
 შურე, არამედ გული შენი განათლდეს, უკუეთუ ილუაწო სარწმუნოებითა ჰქმ-
 შარიტითა, ლოცვითა და მღვდარებითა და მოთმინებითა. ლოცვასა შინა მა-
 რადის ნუ იტყვ, ვითარმედ „ვევედრე ერთ გზის და ორ გზის, გინა მრავალ გზის და
 ვერ მივემთხვე სათხოელსა ჩემსა“. ნუ დააძადებ ლოცვასა, ვიდრემდის მოილო
 საწადელი შენი. და ოდეს თაყუანის-სცემდე, ნუმცა პირი შენი ილოცავს და
 გონებაჲ შენი იარების, რამეთუ ღმერთსა არა ხოლო თუ სიტყუანი ოდენ
 ჰნებვენ, არამედ საქმენი მვედრებელთა მისთანი. ნუ იმქნები მცირედ მორ-
 წმუნე წყალობათა მისთა. ვინ უკუე მიენდო ღმერთსა და სირცხულეულ იქმნა,
 ანუ ვინ დაადგრა შიშსა მისსა და მან უგულუბელს-ყო! ანუ ვინ ითხოვა სარ-
 წმუნოებით და მან არა ისმინა მისი! რამეთუ ღმერთი სახიერ და მოწყალე
 არს, შეუნდენის შეცოდებანი [ჯ] და აცხოვნის ჟამსა ჰირისასა მოსაენი მისნი.)
 გულს-ეტყოდე მარადის, საყუარელო, განსლვისათვის შენისა ამიერ სოფლით
 და დღისა მისთვის საშინელისა. და ვითარ იყო ჟამსა მას, ოდეს სული შენი
 გუამისა შენისაგან გაეშორებოდის დაერდომილი სარეცელსა ზედა შენსა, ძმაო,
 და ვერ შემძლებელ იყო ყოლადვე შეწევნად თავისა შენისა, დაჰნერგე გო-
 ნებასა შენსა მარადის, რეცა სახლეულნი და მეგობარნი შენნი მსხდომარე
 არიან გარემოჲს შენსა და მწუხარედ იგლოვენ და სულ-თქუმით ტირან წარ-
 ყვანებისათვის სულისა შენისა და ვერვინ მათგანი შემძლებელ არს ვედრებად
 ანგელოზთა მათ, რომელნი ასწრათებდენ სულსა შენსა გამოსლვად გუამი-
 საგან.

აწ უკუე მოიგონენ საქმენი შენნი ყოველნი და შეასწორენ კეთილნი იგი
 ბორორტთა მათ და, უკუეთუ ჰპოვენ ბორორტნი იგი უფროჲს კეთილთასა, დაჰ-
 ფლენ იგინი აწვე სათნოებითა. თუაღნიმცა [ა] შენნი მარადის მხედველ არიან
 ბატლსა მას დაუძინებელსა და ცეცხლსა მას დაუშრეტელსა და ქუხილსა
 მას ბნელისასა და საჭუმეღსა მას განუგრილებელსა. დაშრიტე ცეცხლი იგი
 ვნებათა შენთაჲ, არა თუ წყლითა, არამედ ცრემლითა მცირითა განწმიდე
 შეგინებულებაჲ სულისა შენისაჲ ტირილითა, რამეთუ ტირილი არა ხოლო თუ
 ოდენ ცეცხლისა მის საუკუნოჲსა დამშრეტელ არს, არამედ განჰბანსცა მწინ-
 კულებანებასა ცოდვათასა, (ვითარცა იტყვს დავით წინაწარმეტყუელი, რო-
 მელსა-იგი გამოეცადა და უწყოდა ძალი ცრემლთაჲ, ვითარმედ: „დავბანე მა-
 რად ღამე ცხედარი ჩემი“¹⁾. არა თქუა, ვითარმედ: „დავასოვლე“, არამედ „და-
 ვბანეო“. რაჲთა გაუწყოს შენ, ვითარმედ სინანულისა ცრემლთა ძალი ნათლის-
 ლებისაჲ აქუს. აწ უკუე ვინაჲთგან უწყით, ვითარმედ საღმრთოჲ მწუხარებაჲ
 განსდევნის ცოდვისა მწუხარებასა, იგლოვდ აქა ცოდვათა შენთათვის, რაჲთა
 არა მუნ ტანჯვათაგან იგლოვდე ურგებად.)

6 მღუძარებითა C. 7 იტყუი C. 8 მივემთხვიე C; მოდლო C. 12 სირცხულიეულ C. 16 გან-
 ძლურსათუის C. 17 მისთუის C. 21 წარყვანებისათუის C. 25. მოგგონენ C. 30 არაჲ თუ C. 32
 მაუკუნულსა C. 33 იტყუის C. 34-35 მარად ღამე მარადლე C. 38 შენთათუის C.

¹⁾ ფსალმ. 6.5.

[6]. უჩუენე მკურნალსა წყლულებამა შენი და გამოუცხადე მას ცოდვამ სულისა შენისაჲ, რამეთუ იგი არს სულთა მკურნალი და ლხინებასა მიმცე-
 5 გელი. გეშინოდენ მსაჯულისა და დღისა მისთჳს საშინელისა და მსაჯულისა საზარელისა, სადა-იგი იყოს ძრწოლამ, და ტირილი თუალთაჲ და ბნელი წარ-
 საწყმედელისაჲ, სადა იყოს სულ-თქუმამა დაუცხრომელი და ვაებამა დაუდუ-
 მებელი. მოიჯსენენ, ჳ უბადრუკო, ესევეთარნი წინამდებარენი და ნუ ეძულობ
 სულსა შენსა. და უწყოდე, ვითარმედ არა რამ სარგებელ ეყოფის სულსა
 კაცისასა, ვითარ ესენებამა მარადის ცოდვათა თჳსთაჲ.

აწ უკუე მოსწრაფე იყავ ლოცვისა, რამთა დააჯერო უფალი შენი, და
 10 მიეც მიზეზი მოწყალესა ღმერთსა ცოდვათა შენთა შესანანებელი შესანდო-
 ბელად. ნუმცა უკუე სახიერებამა მისი შენითა უღებებითა უქმიქმნების. [ჟ] და-
 ლათუ ქუესკენლთა ჯოჯოხეთისათა შთაწევნულ ხარ ცოდვითა, იგი შემპლე-
 ბელ არს შენდა მიერ აღმოყვანებად. (შენ ხოლო ნუ დასცხრები ლოცვასა
 მასა მიმართ სულ-თქუმით და ცრემლით. და უკუეთუ არა გაქუს კადნიერებამა
 15 მისა მიმართ, ილოცვედი-ვე, რამთა მოგცეს შენ კადნიერებამა. ნუ ვითარცა
 კაცი გგონიეს იგი, რომელიმცა განარისხე და კუალად დაჯერებად გრცხუე-
 ნოდა. იგი მოწყალე არს და უფროჲს შენსა ჰნებაჲს ჳსნამა შენი ცოდვათაგან.
 და არა ჰზრუნავ შენ სულისა შენისათჳს, ვითარ-იგი ჰზრუნავს შენთჳს, რამთა
 გაცბოვნოს შენ.

ამისთჳს, უკუეთუ არა გაქუს კადნიერებამა თხოვად მისგან, მოგცეს მან
 20 კადნიერებამა. და ესე არს კადნიერებამა, ოდეს ჰგონებდე შენ თავით თჳსით,
 ვითარმედ არა გაქუს შენ კადნიერებამა ლოცვად მისა მიმართ, სულგრძელ იყავ
 მარადის ლოცვად ღმრთისა მიმართ, საყუარელო, რამეთუ არა ფრიადი შრო-
 მამა აქუს. იქმოდე საქმესა დაუშრომელსა, და უწყოდე, ვითარმედ ძილითა
 25 [7] გვრგვნი ვერ მოიგების, რამეთუ მღჳძარენი და მშრომელნი და მლოცველ-
 ნი გვრგვნოსან იქმნებიან, და არავინ უშრომელად კეთილსა მიემთხუევის კაც-
 თაგანი. აღზრ-ასხენ გულის-თქუმასა ჳორცთასა კითხვითა წიგნთა საღმრთო-
 თათა და ესენებითა სასჯელისა მის მომავალისაჲთა.

განალუძე სული შენი ესენებითა ჯოჯოხეთისაჲთ, ევლტოდე საცთურთა
 30 სოფლისათა, დაყავ სული შენი მცირედ განსუენებათა, რამთა ჰყო იგი მო-
 ყუარე მაცხოვრისა. ვერ შემძლებელ ხარ შენ ორთა უფალთა მონებად¹⁾. აქა
 ტიროდე და მუნ გიხაროდის, რამეთუ ვამ არს მის კაცისა, რომელი აქა იხა-
 რებდეს, ხოლო უკუანამსკენელი მისი ტირილი იყოს და ღრჳენამა კბილთაჲ²⁾. იყავ
 შენდა საზრდელ აქა ტირილი და ღამე, რამთა ნაცვალად მისა მოილო სიხა-
 35 რული საუკუნომ. ნუ აცთუნებ თავსა შენსა, რამეთუ გიღირს შენ შრომით
 ბრძოლამა [ჟ] წინააღდგომასა მუცლისა განძლომისასა და მოკუდინებამა— ჳორცთა
 გულის-თქუმასა და მონებამა და მორჩილებამა— დატკებნად ნებასა და განსუენე-
 ბასა. და ყოველი საქმე შენი სიწმიდით იყოს სახელისათჳს ღმრთისა შენისა.

5 სადა აყოს C. 6 მოაქსენენ C. 8 თუისთაჲ C. 18 შენისათუის C; შენთუის C. 20
 ამისთუის C. 21 თუისით C. 25 გუირგუინი C. მოაგების C; მღუიძარენი C. 26 გვრგუინოსან C.
 27 აღური-ასხენ C. 29 განალუძე C. 38 სახელისათუის C.

¹⁾ მათე 6, 24. ²⁾ მათე 8, 12.

რამეთუ ფრიადი შიშ(ი) და მწუხარებაჲ შეუდგს მათ, რომელთა უდებ-ყონ საქმე ღმრთისაჲ დაჯსნილობით.

იხილე, # უბადრუკო, და ნუ უდებ იქმნები, რადთა არა მიიწიო შენ სიმკურვალესა დაწუფვისა მისისასა, რამეთუ არა ხოლო თუ ჯორცთა ოდენ დასწუავს, არამედ სულსაცა საუკუნოდ და უკუნისამდე. აწ უკუე გულისგმა-ყვენ მარადის სატანჯველნი იგი საუკუნენი და საშუებელნი დაუსრულებელნი, და ნუმცა გექმნების შენ საბრჯე და ბორკილ ცეცხლი იგი უშრეტი, არამედ მოუგე სულსა შენსა საჯსრად სიმდაბლე. უკუეთუ საფარველად შენებულისა შენისა ჰყო სიმდაბლე, შემძლებელ იქმნე შენებად მას ზედა, რომელიცა გენებოს სათნოებათა ნაშენები. და უკუეთუ ესე საფუძველი არა დასდვა პირველად, [8] ყოველი კეთილი, რადცა ჰქმნე, არა დაადგრეს და ვერცა დამტკიცდეს. არცა მარხვად, არცა სიწმიდე, არცა მოწყალებაჲ და არცა სხუად რად კეთილისა საქმე სრულ იქმნების თუნიერ მისა. მო-უკუე-იგე სიმდაბლე და ევლტოდე ამპარტავანებასა, ვნებასა მას ბოროტსა, შიშითა ღმრთისაჲთა. დაშრიტე იგი და იყავნ მდაბალ სიმდაბლითა ქეშმარიტითა. ნუმცა არს სახე და ხილვად შენი კინი და შეურაცხი, და ფერი პირისა შენისაჲ ყუთელ, და გონებაჲ შენი მზუაობარ და ამპარტავან, რამეთუ ვითარცა მოაუძღურებს ძალსა ღჯნისასა წყალი, ეგრეთ მოაუძღურებს სულსა მზუაობარსა სიმდაბლე. დამდაბლე სული შენი, რადთა აღამაღლო იგი. ვითარცა ამპარტავანებაჲ აღმომაცენებელი არს ყოვლისა ბოროტისაჲ, ეგრეთცა სიმდაბლე თავი არს ყოვლისა კეთილისაჲ. ესრეთ აღმაღლებულ არს სიმდაბლე, რამეთუ ღმერთი ჩუენთვის დამდაბლდა, რადთა ჩუენ მსგავს მისსა მყენეს. რამეთუ იტყჳს: „ისწავლეთ [9] ჩემგან, რამეთუ მშუდ ვარ და მდაბალ გულითა“¹⁾.

მრავალი გზად გიჩუენა შენ სინანულისაჲ, რადთა განგამარჯოს შენ ზეცად აღსავალი. უკუეთუმცა ერთი ხოლო გზად ეჩუენა შენდა, ნუუკუმცა ჰმიზეზობდი და სთქუ: ვერ შემძლებელ ვარ ამას გზასა მისლვად. ამისთვის მრავალი გზად გიჩუენა შენ მრავალ-ფერთა სათნოებათაჲ განმარჯუებისათჳს შენისა სლვად გზასა მშუდობისასა.

უკუეთუ გქონან შენ მრავალნი ცოდვანი, თქუ ხოლო, ვითარმედ: ვცოდე, და აღიწოცნენ ყოველნი ცოდვანი შენნი, რამეთუ ესრეთვე ყო დავით წინაწარმეტყუელმან და აჰკოცნა ცოდვანი თჳსნი²⁾. ესე პირველი გზად არს შემნდობელი ცოდვათაჲ, რომელ არს სიმდაბლე. და მეორე გზად—[ი]გლოვდ ცოდვათა შენთათჳს.

არა ჯამს მონაგებთა სიმრავლე და არცა ფრიადი შრომაჲ და არცა შორსა გზასა მკვრცხლ სლვად. და მოწამე არს ამას ზედა აქაბ, ოდეს-იგი მწუხარედ იგლოვდა, ღმერთმანცა შეინანა განბჰობილი იგი³⁾, გამოსრული მისგან შურისსაძიებელად, [9] ვითარცა რომელნი იგლოვდიან მკუდართა ზედა, არარამან ვნებათაგანმან სძლის მათ და არცალა გულის-თქუმათა ჟამსა გლოისასა, რამეთუ გონებაჲ მათი ყოველი იგლოვენ. ეგრეთვე შენ, უკუეთუ ქეშმარიტად

¹ შეუთჳს C. 11 დაადრგეს C.13 თუნიერ C. 16 ყუითელ C. 18 ღუინისასა C: სიმდაბლით C. 22 ჩუენთვის C: იტყუის C. 23 მშუიდ C. 26 ამისთვის C. 27 განმარჯუებისათუის C. 28 მშუიდობისასა C. 33 შენთათუის C. 35 მკუირცხლ C. 38 გლოისასა C.

²⁾ მათე 11, 29. ³⁾ შდრ. ფსალმ. 50, 2; 50,9. ⁴⁾ III მეფ. 21, 17-29.

იგლოვდე ცოდვათა შენათაჲს, არარამან სოფლისა ამის სიყუარულმან გძლოს შენ. აწ უკუეთუ გნებაჲს ნუგეშინის-ცემის, იგლოვდე, რამეთუ ვინაჲთგან ღმერთი ნუგეშინის-მცემელ შენდა არს, საყუარელო.

დალაცათუ ყოვლით კერძოვე წვმდენ შენ ზედა მწუხარებანი, ვერ შეგიძლონ შენ, რამეთუ ნუგეშინის-ცემად ღმერთისაჲ უზეშთაჲს არს ყოველთა მწუხარებათა. და მესამე გზად გიჩუენა შენ, რაჲთა აღკრ-ასხნე გულის-წყრომისა და მოიგო სიმშვდე, რაჲთა ნეტარებაჲ მოგეცეს შენ, რომელი მშვდთა გვრგვინოსან-ჰყოფს.

და ეკრძაღე, ნუუკუე წარსწყმიდო მოთმინებაჲ, თავს-დებად და სიმშვდე, და უფროდსლა მცირესა რასმე და საწუნელსა ზედა, ვითარცა ოდესმე მსახურმან შენმან შემუსრა ჰურჩელი რაჲმე, გინა დასთხია ზეთი, [ჲ] გინა წარაჲმე-წყმიდა, და აღშფოთნე მისთჲს და მით წარსწყმიდო ნეტარებაჲ იგი მშვდთა და მდაბალთაჲ. (არამედ რაჲმს აღიძრა ვისდამე გულის-წყრომად, მოიგსენე სიმდაბლე იგი ღმერთისაჲ გონებასა შენსა და მით დაშრიტე სიმჭურვალე იგი გულის-წყრომისა შენისაჲ და დაუთმე, რაჲთა მიიღო გვრგვინო მოწამეთაჲ, და შერაცხილ იყო წინაშე კაცთა ვითარცა მოწამე, აღმსა[ა]რებელი მბრძანებელსა სიმდაბლისა და მოთმინებისასა. მიხედენ წმიდასა პეტრეს, ვითარ-იგი ენება საზღვარი უწყებად შენდობისა და მოთმინებით თავს-დებისაჲ. ჰკითხა უფალსა და ჰრქუა: „უკუეთუ შემცოდოს ძმამან ჩემმან, რაჲდენ გზის შეუნდო?“ და ჰგონებდა ესე ნეტარი, ვითარმედ გარდაჰრია-თავს-დებად და შენდობად, ოდესლა ჰრქუა, ვითარმედ: „შვდ გზის მიუტეოა?“

მაშინ აუწყა უფალმან ჩუენმან მოწყალემან, რაჲდენ არს წყალობად შორის კაცთა და შორის ღმერთისა. მიუგო და ჰრქუა მას: [10] „არა, გეტყჲ შენ შვდ გზის, არამედ სამეოცდაათშვდ გზის მიუტევე“¹⁾. გულისგმა-ყავ წყალობად ღმერთისაჲ გამოუთქუმელი, და დაიცვენ მცნებანი და შეიწყნარე სწავლად, რომელი-იგი თქუა, ვითარმედ: „რომელმან აღიმაღლოს თავი თჲსი, იგი დამდაბლდეს“²⁾. და ვიდოდე გზასა მშვდთასა და დაუტევე ყოველი გულის წყრომად სიმჭურვალისაჲ და ისარი შურისაჲ. რამეთუ შური ძირი არს სიკუდილისაჲ, და მრავალნი საღმობანი შეუდგან, რამეთუ მუსმარი არს მახული გულისაჲ. რამეთუ არა შეაწევეს გულად ტკივილი მუსმრისაჲ, ვითარ-იგი შეაწევეს ტკივილი შურისაჲ, რომლისა შინა დასობილ არს იგი.

ვერცა სენი და ვერცა სიმძიმე შესცვალებს ფერსა და ქმნულებასა ხატისასა, ვითარ-იგი შესცვალებს შური შეუენიერებასა სულისასა. აწ უკუე ევლტოდე შურსა ბოროტსა და ჰმონებდი უფალსა მონებითა ჰეშმარიტითა, და ზრახევი მარადის ლოცვასა შინა [ჲ] არა თუ ენითა მზაკუარითა, არამედ დიდებითა და სიყუარულითა. და დაიცვე პირი შენი ფიცისაგან, დალაცათუ სამართლად ჰფუტვიდე, რამეთუ ენისა საცთური მსწრაფლ იქმნის და მცირედნი დაიცვებიან მისგან. (მოსწრაფე იყავ დაცვად თესლისაგან მტერისა, რამეთუ იგი ყოვე-

1 შენათუის C. 4 წუმიდენ C. 6 აღური-ასხნე C. 7 მოგო C; სიმშუიდე C; მშუიდა C. 8 გურიგუინოსან C. 9 სიმშუიდე C. 12 მისთუის C. 13 მშუიდა C. 15 გურიგუინი C. 21 შუიდ გზის C. 23 გეტყუი C. 24 შუიდ გზის C; სამეოცდაათშუიდ გზის C. 25 დაიცვენ C. 26 თუისი C. 27 მშუდთასა C. 29 მახული C. 36 დაიცვენ C.

1) მათე 18, 21-22. 2) მათე 23, 12.

ლითურთ მოსწრაფე არს წარწყმედად სულსა ამას უბადრუკსა და უფროდსად
ენისა მიერ და პირისა, რამეთუ არარაჲ არს ჩუენ შორის შემწე საცთურისა
და წარწყმედისა ჩუენისაჲ უფროდს ენისა ჩუენისა განტევებულისა და პირისა
განღებულისა, და უფროდსი და უმრავლესი საცთური და ცემისა ჩუენისაჲ ამათ
მიერ იქმნების. ამისთვის უთქუამს მეტყუელსა: „უმჯობეს არს შენდა, რადთა
გობრკუმეს ფერკთა და დაეცე ქუეყანასა, ვიდრე არა ბრკუმად ენისაჲ“¹⁾; რამეთუ
რომელი დაეცის ქუეყანასა, წყლულებად შეამთხვის გუამსა, ხოლო რომელსა
უბრკუმეს ენითა, მან წარწყმიდნის სულნი ჯორცთა თანა საუკუნოდ.)

[11] აჰა ესერა ვხედავთ ყოველი, რომელი ილოცავს და იგლოვს,
ითხოვს, რადთა დაიცვას იგი ენისაგან. აწ უკუე ვინაჲთგან სიკუდილი და ცხო-
რებაჲ ენისაგან იქმნების, აღზრ-ვასხნეთ მას სიმდაბლითა და ვეველტოდით
ფიცსა და ყოველსა საცთურსა და ვიდოდით გზასა მშუდობისასა. და
კუალად ვეველტოდით კაცთ-მოთნებასა და მაჩუენებლობასა, რამეთუ მაჩუე-
ნებლობად ფიცხელი ვნებაჲ არს და იგი არს პირველი საქმე ეშმაკისაჲ, რა-
მეთუ მით დასცა ადამი. და ყოველი ბოროტი მაჩუენებლობით დაიწყების,
ვითარცა ყოველი კეთილი სიწრფოებით და სიმართლით იქმნების, რომელსა
არა არს ზაკუვაჲ. ხოლო მაჩუენებლობად მედგარ არს ყოველით კერძოვე, ღო-
ნის-ჰეძიებელ, მოსწრაფე შთადებად კაცისა, რომელი არა მოეგონოს, და-
ლათუ ზაკუვად მისი კაცთაგან დაიფარის, ხოლო ღმრთისაგან არარაჲ დაი-
ფარვის.

იხილე, ნუუკუე შენ თანა იყოს სენი ესე და შენ ძმასა შენსა აბრალობდე
მისთვის. [12] რამეთუ კაცმან სახიერმან, რაჟამს იხილის ძმად თუსი დაბრკოლე-
ბად და დაეცმად, არა განიკითხავნ მას, არამედ ეკრძალებინ, რადთა არა იგიცა
ეგრეთვე დაეცეს. განიშორე შენგან ტყუილი და ვერ მიგეაბლოს შენ მაჩუე-
ნებლობად, რამეთუ ტყუილი საქმე არს ეშმაკისაჲ. და ვერ განჰკუეთს მახული,
ვითარ-იგი განჰკუთ[ს] ენად, რამეთუ მახულმან ჯორცი ოდენ განკუეთის, ხოლო
ენამან წარწყმიდნის სულნი და ჯორცნი.

ამისთვის განაგდე შენგან კაცთ-მოთნებაჲ, და მოიგე სიწრფოებაჲ და
სათნოებაჲ, და ქუემო ყავ გონებაჲ შენი ყოველთა კაცთასა და ნურას იქმ
საქმესა, რომლითა ღმერთი განრისხნეს. და ოდეს ჰქმნე რადმე კეთილისა
საქმე, ნუ აღზუავენბი, რამეთუ სხუათავე თანა მრავალ-ფერთა ბრძოლათა ბო-
როტთა ამითცა გუბრძავსევე მტერი ჩუენი. იხილე, უბადრუკო, და ნუ შეურაცხ-
(ჰ)ყოფ ღმერთსა დაბადებულობითა შენითა მის მიერ, რამეთუ ვითარცა მარ-
თალთაგან იდიდების ღმერთი, ეგრეთვე ცოდვილთაგან შეურაცხ იქმნების.

[12] უკუეთუ აღგიღებიეს თავით თუსით მსახურებაჲ ღმრთისა და განშო-
რებულ ხარ საქმისაგან კაცობრივისა, და ზეცისა საზრდელი გიყოფიეს სა-
ზრდელად შენდა, და მინდობილ ხარ ღმრთისა, და სასოებაჲ გაქუს კეთილთა
მათ საუკუნეთაჲ და ცხოვრებისა დაუსრულებელისაჲ, და გნებავს დიდებაჲ იგი

5 ამისთვის C. 7 შეამთხუიის გუამისა C. 10 დაეცვას C. 11 აღური-ვასხნეთ C. 12 ფი-
ცისა C; მშუიდობისასა C. 19 დააფარვის C. 22 მისთვის C; თუისი C. 25 მახული C. 26 მა-
ხულიან C. 28 ამისთვის C; მოგდე C. 34 დიდების C. 35 თუსთ C. 38 ცხურებისა C.

¹⁾ ზირ. 20,18.

უცვალებელი, ევლტოდე უკუე დიდებასა ქუეყანისასა, რომელი წარსწყმედს სულსა კაცთასა და ნუ აჰმალდები ქებითა კაცთაჲთა და ნუცა მძიმე გიხს განებაჲ მათი. და განეშორე შფოთთაგან კაცობრივთა და მიივლტოდე მათდა. რომელნი იტყოდინან. ვითარმედ: „მუჟღნი ჩუენნი მოუძღურდეს მარხვითა“, და მიემსგავსე მათ, რამეთუ იგინი არიან სუეტნი საღმრთონი, რამეთუ სიმცი-
 5 რითა საზრდელისაჲთა და სიდიდითა შრომათაჲთა მოიხადეს მათ მადლი ღმრთისაჲ და იქმნეს მკვდრ ქალაქსა მას ზეცისასა.

მოიგე შენცა განგებაჲ მათი და განაგდე შენგან ვნებაჲ ამპარტავნებისაჲ, რამეთუ ეშმაკი არს, რომელიცა ყოვლისა პირველად შთაჲარდა სიღრმესა [x] ამპარტავნებისასა და წარწყმიდა ყოველი კეთილი თვისი. იყავ შენ მდაბალ არა-
 10 სიტყუთ, არამედ საქმით, და უწყოდე, რამეთუ ღმერთი შეკმუსრავს ამპარტავნთა, ხოლო მდაბალთა მოსცის მადლი ესე - განგებაჲ გონიერი, ოდეს ქმნეს კაცმან კეთილი და არა აღზუავენს. აწ უკუე ისწრაფე, რომელ დააჯერო ღმერთი და არა კაცნი, რაჲთა მიიღო ქებაჲ ღმრთისაგან და არა კაცთაგან.
 15 იხილე და ნუ გამოუცხადებ კაცთა სათნოებათა შენთა, რაჲთა არა დაიპირვო მადლი ღმრთისაჲ, რამეთუ დიდებაჲ სოფლისა ამის წარმავალ არს, ვითარცა აჩრდილი და ვითარცა მდელი დაქნების. ამისთჳსცა, რომელთა ქეშმარიტი სათნოებაჲ მოიპოეს, იტყოდეს კაცთაგან და შეევედრნეს იგინი მათთა და უდაბ-
 20 ნოთა, რაჲთამცა განერნეს იგინი დიდებისაგან კაცთაჲსა. და მოიღეს პატივი ღმრთისაგან. ისმინე, მშაო საყუარელო!

შემუსრე გონებაჲ შენი ფიცხელი და განალუქე სული შენი უდებებისაგან, რომელი არს შენ თანა, ვითარცა-ლა ვინ განალუქის ძილისაგან მიიმისა. და შეწირე ღმრთისა [Iკ] საკუმეველი სურნელი, ლოცვაჲ უბიწოდ, და ნუმცა ლო-
 25 ცვაჲ შენი ცოდვად შეგერაცხების და ნუცა საკუმეველი შენი ამაო იქმნების. ილუქებდი მოუწყინებელად, რამეთუ ღმერთსა მღვდარებაჲ მხიარულებით უყუარს. და ყოველი, რომელი მხიარულებით იყოს, იგი ნაყოფიერ არს; და ყო-
 ველი, რომელი მოწყინებით და დრტუნვით იყოს, არა აქუს მას მადლი, არა-
 მედ სასჯელი. აწ უკუე ვინაჲთგან გიცნობია საენებელი სულისა შენისაჲ და
 30 განებაჲს, რაჲთა შეერაცხო შენ კრებულსა მას პირამშოთასა, განიშორენ შენგან საქმენი სოფლისანი და გემონი ძეთა კაცთანი. ივლტოდე ვეცხლის მოყუარე-
 ბისაგან, რომელ არს ძირი ყოვლისა უკეთურებისაჲ და მცირე ყვენ მონაგებნი შენნი, რამეთუ ესე არს სისრულე სათნოებათაჲ. უკუეთუ გნებაჲს სიმდიდრე, ილუაწე, რაჲთა განჰმდიდრდე კეთილთაგან საქმეთა, რამეთუ სიმდიდრე სოფ-
 35 ლისა ამის მსწრაფლ წარმავალ არს, ხოლო სიმდიდრე იგი სულიერი მჴსნელი არს სულისაჲ სიკუდილისაგან, [y] ვითარცა თქუმულ არს, ვითარმედ: „საფა-
 სენი არად სარგებელ ეყუნენ ცოდვილთა, ხოლო სიმართლემან იჴსნის სიკუ-
 დილისაგან“¹⁾. ხოლო აწ ვინაჲთგან გაცნობიეს ვნებაჲ იგი ვეცხლის მოყუარები-
 საჲ, ელტოდე მას, ხოლო უკუეთუ გაქუს მონაგები, ისხენ უკუე მეგობარნი

7 მკუიდრ ო. 10 თუისი. იყავ ო. 11 სიტყუით ო. 15 დაჰკირვო ო. 17 ამისთუისცა ო. 18 მოაპოეს ო. 21 განალუქე ო. 22 განალუქის ო. 24 ქმნების ო. 25 აღუიქებდი ო; მღუი-
 ძარებაჲ ო. 27 დრტუნვით ო. 33 აღუაწე ო; განჰმსდიდრდე ო. 36 ოჴსნის ო. 37 გუიცნობიეს ო.
 38 ასხენ ო.

¹⁾ იოვანი 10,2.

ფასისა მისგან მამონაჲსა, რომელ არს სიცრუისაჲ, რამეთუ არა თვნიერ სარგებელისა იყო. რამეთუ უფალმან თქუა: „ნეტარ იყუნენ მოწყალენი, რამეთუ იგინი შეიწყალნენ“¹⁾. განაგდე ოქროჲ, ვითარცა განაგდეს მოგუთა მათ, რომელთა-იგი ძლუნად უფლისა შეწირეს; მათ სამე ოქროჲ შეწირეს²⁾, შენ მცირედი პური მიეც გლახაკსა; იგინი სამე მოიწინეს გზით შორით, შენ ერთი ხოლო ფოლოცი ვერ განჰვლოა, რაჲთა სნეული იკითხო? მათ სამე ვარსკულავი იხილეს და განიხარეს, ხოლო შენ ხედავ ქრისტესა შიშუელსა და მშინერსა და უცხოსა, და არა გეწყალის ყოლადვე; და ნუუკუე განჰვლე ფოლოცი ერთი, რაჲთა იხილო ქრისტე უძლური, არა ვიტყვ წარსლევსა შენსა შორად ქუეყანად!

10

[14] აჰა ესერა ხედავ შენ ყოველთა დღეთა კართა ზედა ეკლესიისათა, გვედრების და გეტყვს: „შემიწყალე მე“. და არა ხედავ მას, არამედ გარე მიიქცევ პირსა შენსა მისგან, ვითარცა ვინ გარე მიიქციის პირი თვისი ქვისა კერპისაგან. და ოდეს შეხვდე შინაგან ეკლესიად, ევედრები მას და ეტყვ: „ნემიწყალე მე“. აწ უკუე ოდეს გიცნობიეს, რომელი უყო ერთსა გლახაკათაგანსა, ქრისტესა უყოფ, შენ უკუე შეიწყალე გლახაკი, უკუეთუ გნებავს ღმრთის მსახურებაჲ. ნუ გნებავს სიყუარული მონაგებთაჲ, რამეთუ ეძიებს შენგან კეთილსა სარწმუნოებასა არა მისაცემელთა სიმრავლესა და სიმცირესა.

15

ვეცხლის მოყუარებაჲ და საქმე ცოდვისა ბოროტისაჲ მოიძლე, უკუეთუ ღმერთი გიყუარს, ვითარცა წიგნი იტყვს: „რომელთა გიყუარს უფალი, მოიძულეთ უკეთურებაჲ“³⁾. აწ ვინაჲთგან უწყი, ვითარმედ მოწყალეებაჲ თავი არს სათნოებათაჲ, რომელი განუღებს კაცთა კართა ზეცისათა, ესე მოიგე მეოხად და შემწედ. [15] და უკუეთუ გქონან შენ მრავალნი ცოდვანი, ნუ გეშინინ, რამეთუ არავინ ზეცისათაგანი წინააღუდგების მას, არამედ შევიდეს წინაშე მსახულისა და ჯელთა მისთა აქუნდეს წიგნი, რომელსა წერილ იყოს სიტყუაჲ იგი, რომელი თქუა, ვითარმედ: „რომელი უყოთ ერთსა მცირეთაგანსა, იგი მე მიყავთ“⁴⁾. უწყოდეთ, რამეთუ ღმერთი ეძიებს ყოველთაგან საქმესა სარწმუნოებისასა, და სარწმუნოებაჲ ჰეშმარითად საქმე სიმართლისაჲ არს. (მოიგე სარწმუნოებაჲ საქმიუთრთ და დაიციე სული შენი ვნებათაგან, რაჲთა არა პოვოს მტერმან შენ თანა ადგილი სამკვდრებელი და ევედრე ღმერთსა, რაჲთა შეგეწიოს შენ და გასწაოს, ვითარ ჯერ-იყოს შენდა განშორებაჲ ბოროტთა გულის სიტყუათაგან. გასმიეს, რომელი-იგი თქუა ქრისტემან, ვითარმედ: „რომელსა უნდეს შემოდგომად ჩემდა, უვარ-ყავნ თავი თვისი“⁵⁾. ვითარ უკუე უვარ-ყოს კაცმან თავი თვისი, გარნა თუ დაუტეოს ნებაჲ თვისი და მოთმინე იქმნას ღმრთისა სიყუარულისათვის, და განიშორნე გულის-სიტყუანი მწინკულევანნი და საქმენი ბოროტნი და ყოველნი უკეთურებანი.

20

25

[17] აჰა ესერა გიჩუენენ შენ სრულებით საქმენი კეთილისანი და საქმენი ბოროტისანი. და-უკუე-იცვენ ესენი, და განიხილე გონებაჲ შენი და დაი-

1 სიცრუისაჲ C; თუნიერ C. 2 აყო C. 9 ვიტყუი C. 11 ეკლესიასათა C. 12 გეტყუის C. 13 მიიქციის C; თუისი C. 14 შეხვიდე C; ეტყუი C. 19 მოიძულე C. 20 მოიძულეთ C. 22 მოგვე C. 28 ჰეშმარიდატ C; მოგვე C. 29 დაეციე C. 30 სამკვიდრებელი C; 33 თუისი C. 34 თუისი C. 35 სიყუარულისათვის C. 38 და-უკუე-მცვენ C; დაიციე C.

1) მათე 5,7. 2) მტრ. მათე 2,1-11. 3) ფსალმ. 96,10. 4) მათე 25,40. 5) მათე 16, 24; ლუკა 9,23.

ეცე სული შენი, ვითარცა ბრძენმან და ჯელოვანმან მკურნალმან, რომელმან მოჰკუთების კორცი დამპალი და განრყუნილი და წამალი დასდვის შემდგომად. განიკურნენ აწ შენცა სულნი და ჯორცინი შენნი სრულითა კურნებითა, რაჟთა მიიწიო შენ პატივსა მას და განსასუენებელსა საუკუნესა დაუსრულებელსა.

ესე არს სწავლად ზეცისაჲ, რომელი მიუძღუს გზასა ზეცისასა და ჰყოფს კაცსა, რაჟთა არა განვარდეს დიდებისა მისგან საუკუნოდსა, და მიჰყავს უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესა, რომლისაჲ არს სუფევად და დიდებაჲ მამისა თანა სულით წმიდითურთ აწ და მარადის და უკუნით(ი) უკუნისამდე, ამენ.

თქუთული მისიჲ

მოთმინებისათჳს და ამის სოფლისა აღსასრულისათჳს და მოსლვისათჳს უფლისა ჩუენისა იესუ ძრისტესა მმოკრძად განსჯად ცხოველთა და მკუდართა. წიგნის კითხვისათჳს და დაუფლებისა.

გუაჟურთხენ უფალ!

[ს] ცხორებაჲ ყოველთა წმიდათა და მართალთაჲ მოთმინებითა განშუენ-
 ნებულ და განბრწყინებულ არს. ამისთჳს, ჳ კაცო, გიყუარდინ მოთმინებაჲ,
 ვითარცა ფსალმუნი გასწავებს და გეტყჳს: „დაუთმე უფალსა, დაიცვენ გზანი
 ნისნი“¹⁾. და წმიდაჲ მოციქული პავლე გასწავებს, რაჟთა მოიგნე საქმენი კე-
 თილნი, და იტყჳს, ვითარმედ: „მწუხარებასა შინა მოთმინებაჲ“²⁾ და ოდეს მო-
 იგო მოთმინებაჲ, მაშინ ჰპოვო წყაროჲ ცხორებისაჲ, რომელ არს სასოებაჲ, რა-
 ნეთუ იტყჳს, ვითარმედ: „მოთმინებამან ყვის გამოცდილებაჲ და გამოცდილე-
 ნამან სასოებაჲ, ხოლო სასოებამან არა არცხუნის“³⁾.

დაემორჩილე უფალსა და ემონე მას, და მან მოგცეს შენ ყოველი თხო-
 ვად გულისა შენისაჲ. რაჲ უსაანატრელეს არს ამისსა, უკუეთუ ესრეთ მოიგნე
 შენ სასმენელნი მეუფისანი კეთილად მსმენელად ვედრებასა შენსა! ვისმე არა
 ჰნებავენ, რაჟთა ყურნი მსაჯულისანი მორჩილ სიტყუათა მისთა იყუნენ. ხოლო
 შენ, ძმაო, მუშაკი ხარ კეთილასა საქმისაჲ. და [რ]გიმიზდა ქრისტემან საქმედ
 ეენაჲვისა თჳსისა. აწ ვიდრემდის გაქუს-ლა ეამი, იქმოდე კეთილად. ისმინე, რაჲ-იგი
 ტქუა მოციქულმან პავლე, ვითარმედ: „რადეა სთესოს კაცმან, იგიცა მოიმკოს“⁴⁾.

აწ უკუე სთესედიით სულთა, რაჟთა ნოიმკოთ ცხორებაჲ საუკუნოჲ,
 რაჟეთუ იტყჳს, ვითარმედ: „რომელი სთესვიდეს ჯორცთა შინა, ჯორცთაგანცა
 მოიმკოს ხრწნილებაჲ“⁵⁾. ისმინე ალტქუმაჲ კეთილისაჲ, რომელი იტყჳს: „სთესე-
 დით სულთა შინა თქუენთა სიმართლესა და მოისთლოთ ნაყოფი ცხორები-
 საჲ“⁶⁾. ნუ სულმოკლე იქმნები შრომასა შინა, რომლისაგან ესვიდე მოსაგე-
 ბელსა, რაჟეთუ სადაცა არნ ბრძოლად, მუნცა არნ პატივი, და სადაცა ლუაწ-
 ლი—მუნცა გკრგზნი. აწ ოდეს ესე გულისგმა-გიყოფიეს, დააჯერე სულსა შენსა
 მოთმინებაჲ, ლალადებდ მარადის თავით თჳსით და ემობდ წმიდათა თანა: მვენ

4 მიიწიო C. 7 აჯ C. 10 აჯ C. 13 უფალო + ქე შე მდღელი გრიგოლი და შეუნდვრ
 ცდვანი, აწ C. 15 ამისთუის C: გიყუარდენ C. 16 გეტყუის C; დაიცვენ C. 17 მოაგნე C. 18
 ატყუის C. 20 იტყუის C. 21 არცხუნის C. 23 მოაგნე C. 25 მყუნენ C. 27 მსმინე C. 28 მოამ-
 კოს C. 29 მოამკოთ C. 30 იტყუის C. 31 მოამკოს C; მსმინე C; იტყუს C. 32 მომსთლოთ C. 35
 ჰურიგუნინი C.

1) ფსალმ. 36.34. 2) შდრ. რომ.5,3. 3) ჰრომ. 5, 4-5. 4) გალ. 6,7. 5) გალ. 6,8. 6) ოსე 10,12.

იყავ და განძლიერდინ გული ჩემი, დაუთმენ უფალსა, საქმისა შენისათვისმცა. განმზადებულ ხარ მარადის განსლვად და შრომად ყანასა შენსა [x], რამეთუ ყანაჲ ესე სოფელი არს. მიიღე საქმარი კეთილი, რომელ არს მცნებაჲ ძუელისა და ახლისა სჯულისაჲ. შეზღუდე მტილი შენი ეკლითა, რომელ არს მოთმინებაჲ, ყავ სული შენი ვითარცა ვენაჲ კეთილი, ნაყოფის გამომღებელი, და იქმენ შენ ვითარცა მჭუმბილნი, რომელნი მჭუმბილვიდიედ სამწყსოსა გინა სავენაჲჲ, რამეთუ იტყუელვედ ჰელთა მათთა და ჰმითა მალღითა ღალადებენ და იზახებედ, და ოხრისა მათისაგან ივლტიედ ყოველნი, რომელთა ჰნებან მპარვად სამცველოჲ მათი, რომელსა სცვიდიედ. ეგრეთვე შენ ღალადებდ ლოცვასა შინა და განსცხრებოდე გალობით, და ესრეთ განსდევნო მჭეცი იგი მზაკუარი, მელი მცბიერი, რომელ არს ეშმაკი, რომლისათვის იტყვს წერილი, ვითარმედ: „მიპყართ ჩუენ მელეზი მცირე, განმრყუნელი ქუეყანისა ჩუენისაჲ“¹. მღუძარედ ეკრძალებოდე მტერსა შენსა მარადის, ნუჟუე სტყორცოს [17] გულსა შენსა ისარი ბოროტთა გულის-სიტყუათაჲ. და უკუეთუ გესროდის შენ შურდულითა შეგინებულთა გულის-თქუმათაჲთა, წინა-აღუდეგ მას ფარი იგი სარწმუნოებისაჲ და დაიდგ ჩაფხუტი იგი სასოებისაჲ და შეირტყ მახვლი იგი სულისაჲ, რომელ არს შიში ღმრთისაჲ, და ესრეთ შეიქურე მტერთა წყობასა. მოთმინე იყავ ბრძოლასა და ნუ სულმოკლე იქმნები, ათამედ ყოლადვე მეცნიერ იყავ ყოვლისათვის და იტყოდე მოციქულისა თანა: „არა ვითარცა ქართა ესცემ“². გიხაროდ ენ მარადის, ვითარცა წერილ არს: „რადთა უწყოდინ ყოველთა კაცთა სიბრძნე შენი“.

იყავნ მარადის შიში ღმრთისა გონებასა შენსა. ნუ იქმნები შენ მჭედარ ჩუკენ, აბჯრის დამაბნეველ. ნუ იქმნები მუშაკ მცონარ და მოწყინე. ნუ ევლტი გვრგვნსა, რამეთუ ლუაწლი მცირედ ჟამ არს, ხოლო მოსაგებელი საუკუნო. აწ უკუე ოდეს [y] იხილო ესევითარი, ზ კაცო, ღალატ-ყავ გონებასა შენსა წმიდათა თანა: მენე იყავნ და განძლიერდი[ნ] გული ჩემი, დაუთმენ უფალსა. ესრეთ ასწავებდ და შენ მოქმედ იყავ, რომელსა-იგი ასწავებდე. და უკუეთუ მოგიქდენ შენ ბოროტნი გულის-სიტყუანი, ძლიერად წინა-აღუდეგ მათ და მასვე სიტყუასა იტყოდე: მენე იყავ[ნ] და განძლიერდინ გული ჩემი, დაუთმონ უფალსა. მიემსგავსე დავითს წინასწარმეტყუელსა, რომელმან-იგი ერთისა ქვისა ტყორცებითა დასცა გოლიათი იგი მბრძოლი, რამეთუ ანგელოზნი მდგომარე არიან და ხედვენ ცხოვრებასა შენსა, ვითარცა წერილ არს, ვითარმედ: სახილველ იქმნენით სოფლისა ანგელოზთა და კაცთა, და უკუეთუ გიხილონ შენ მძლედ ჰეშმარიტად, განიხარონ; ხოლო უკუეთუ გიხილონ შენ ძლეულად, წარვიდენ იგინი შენგან თავ-მოდრეკილნი, რამეთუ ვერ თავს-იდებენ. [18] მაშინ ეშმაკნი სიხარულით გეცინოდინ შენ ძლევისა შენისათვის.

აწ უკუე შეირტყ ნაცვალად მახვლისა შიში უფლისაჲ, რამეთუ შიში ღმრთისაჲ ვითარცა მახვლი ორპირი განმკუეთელ არს ყოველსა გულის-თქუმასა ბოროტსა. მოიგე უკუე მარადის შიში უფლისაჲ და მოიჭსენე შიში.

1 ყყავ C. 11 რომლისათვის C; იტყუს C. 13 მღუძარედ C. 16 დაადგ C; მახული C. 17 შეგჭურე C. 22 მქმნები C. 24 გუირგუნისა C. 27 ყყავ C. 36 შენისათვის C. 37 მახული C. 38 მახული C. 39 მოადე C; მოქსენე C.
 1) ქება 2,15. 2) I კორ. 9,26.

სიკუდილისაჲ და დღე იგი საშინელი, ოდეს-იგი აღეგზნენ ცანი და დაიწუნენ სამყარონი, დადნენ და დაივსნენ, და ქუეყანაჲ და საქმენი მისნი დაიწუნენ. რაჟამს დამოცვენი ვარსკულაენი, ვითარცა ფურცელნი, მზე და მთოვარე დაბნელდენ. რაჟამს-იგი გამოჩნდეს ძე ღმრთისაჲ გარდამომავალი ზეცით ქუეყანად და ძალნი ცათანი იძრვოდნან წინაშე მისა. რაჟამს-იგი ერთი-ერთსა უსწრობდენ გუნდნი ანგელოზთანი და ვმაჲ საყვრისაჲ დასწუვიდეს ყოველსა და დაინთქმოდის უკეთურებაჲ. და იყუნენ გარემოჲს მისა სასტიკებაჲ ქართაჲ და ძრვანი [ჲ] საშინელნი, და ქუხილნი საზარელნი, და მეხის-ტეხანი შესაძრწუნებელნი, რომელ ეგვევითარი არაოდეს ყოფილ არს და არცა ყოფად არს ვიდრე მუნ ჟამამდე, რამეთუ ძალნი ცათანი შიშითა ძრწოდნან ზარისა მისგან საშინელისა, რომელი იუჲს მას დღესა შინა.

ვითარ უკუე ყოფად ვართ, იმანო ჩემნო, მას დღესა შინა საშინელსა და შესაძრწუნებელსა. ვითარ სამე ძრწოლასა ზევეპყარნეთ ჩუენ. იხილე-ლა ოდეს-იგი იყუნეს ძენი ისრაჲლისნი უდაბნოსა მას სინაჲსასა, რამეთუ ვერ შემძლებელ იქმნეს დათმენად სასტიკებასა ქარისასა, და ბნელსა, და ნიაყულ(ილ)სა, და ვქასა საყვრისასა და ზრახვასა უფლისასა ცეცხლით გამო. არამედ უსწრვეს და ლალატ-ყვეს, რაჟთა არლარა შესძინოს მათდა სიტყუად, რამეთუ ვერ თავს-იდებდეს, რომელი იყო ფრიად უმშუდეს და უდარეს საშინელებასა მას მეორედ მოსლვისა მისისასა, რამეთუ არა რისხვით გარდამოვიდოდა მათდა [19] და არცა გულის წყრომით ზრახვიდა მათ, არამედ სახიერებითა და სიმშუდითა, რაჟთა გულ-პყრობილ ყუნეს და ნუგეშინის-სცეს, ვითარმედ მათ თან-არს შეწევნად მათდა.

აწ ისმინეთ, ძმანო ჩემნო, რამეთუ ოდეს-იგი სახიერებით ნუგეშინის-ცემად ჩემდა გარდამოვიდა უფალი და ვერ დავითმინეთ მოსლვისა მისისა ზარი, რაჟამს-იგი არცა ცანი აღგზებულ იყუნეს და არცა სამყარონი დადნებოდეს, და არცა ქუეყანაჲ და საქმენი მისნი დაიწუებოდეს, და არცა ოხრიდა ვმაჲ საყვრისაჲ, ვითარცა ქადაგი მკუდართა განმაღჯებელი, რომელნი საუკუნით-გან დაძინებულ არიან. და არცა ცეცხლი შთანსქმნიდა, და არცა სხუაჲ საშინელებაჲ რაჲ იყო, რომელი უკუანაჲსკენელ ყოფად არს ზარი შესაძრწუნებელი. რაჲ უკუე ყოფად გვც, ოდეს-იგი გარდამოვდეს რისხვითა და გულის წყრომითა მიუწლომელითა, და დაჯდეს საყდართა დიდებისა თვისისათა, [ჲ] და მოუწოდოს ყოველსა ქუეყანასა მის წინაშე აღმოსავალითგან მზისაჲთ ვიდრე დასავალამდე და ყოველთა კიდეთა, რაჟთა განიკითხოს ერი თვისი და მიაგოს კაცად-კაცადსა საქმეთა მათთაებრ.

ვაჲ ჩუენდა, ძმანო ჩემნო, ვითარ უკუე ვიყუნეთ ჟამსა მას, ოდეს-იგი ყოველნი შიშუელნი და ქედ-დადრეკილნი წარვდგეთ წინაშე მისა ადგილსა მას შესაძრწუნებელსა და ზარის ასაწდელსა. ვაჲ ჩუენდა, სადა უკუე იყოს ჟამსა მას თავვედობაჲ იგი სიჭაბუკისა ჩუენისაჲ, ანუ ძლიერებაჲ გუამისაჲ ამის? სადამე იყოს შუენიერებაჲ იგი მტყუვარი და უსარგებლოჲ? მაშინ სადამე

იყოს შემკულებად სამოსლისაჲ, ანუ გულის-თქუმაჲ ცოდვისა და ბილწებისაჲ? სადა უკუე იყუნენ მაშინ სოდომიანნი? სადამე იყუნენ მაშინ მსუმელნი ღვნი-სანი და განმცხრომელნი მრავლითა სახიობითა და ჯმითა ქნა[20]რისა და სტურისაჲთა, რომელნი საქმესა საღმრთოსა ყოლადვე არა მიხედვიდეს? სადა იყუნენ ჟამსა მას უღებნი და განსუენებით ცხორებულნი ნებასა შინა თავისა მათისასა? არა ნუ ესე ყოველივე წარჯდა და ვითარცა ნისლი დაჯსნილი გან-ქარდა?! ¹⁾

სადა უკუე იყოს მაშინ სიყუარული ოქროდსა და ვეცხლისაჲ და მოყუარულნი მისნი, რომელნი შეურაცხ-ჰყოფდეს ყოველსა და ჰგონებდეს თავთა თუსთა, ვითარმედ არიან რადმე? სადა იყოს მაშინ ცუდი დიდებულებად და პატიოსნებაჲ კაცისაჲ? სადა იყოს სიმკნე და ახოვნებაჲ? სადა იყოს მეუფებაჲ, სადა იყოს მთავრობად, სადა იყოს ერისთაობად? სადა იყოს მაშინ მრჩობლი ჯელმწიფობად, რომელნი-იგი ზუაობენ მონაგებთა მათთა სიმრაველსა, და ღმრთისათვის არას ზრუნვიდიან? მაშინ იხილონ და დაუკვრდეს, შეეშინოს და შეძრწუნდენ, და ძრწოლამან შეიპყრნეს იგინი და ელმოდის მათ [უ] ვითარცა საღმობად შობადისაჲ, და ვითარცა ჭურნი მეკეცეთანი შეიმუსრნენ. სადა უკუე იყოს ჟამსა მას სიბრძნე იგი ბრძენთაჲ და გამოძიებაჲ იგი მათი ცუდი? ვაჲ მათდა, რამეთუ შეშფოთნენ და შეძრწუნდენ, ვითარცა მთრვალნი, და ყოველი სიბრძნე მათი დაინთქას. სადა იყოს მაშინ ბრძენი, სადა იყოს მწიგნობარი, სადა იყოს ჟამსა მას მფლობელი დაცუდებადი?

ჟ მმანო ჩემნო, გულისჴმა-ყოთ, ვითარ უკუე ჯერ-არს ყოფად ჩუენი, რაჴამს-იგი სიტყუაჲ მიგუჴეჯადებოდის ყოველთაჲ საქმეთა ჩუენთათვის, დიდ-თათვის და მცირეთა. რამეთუ სიტყუაჲ მივსცეთ მსაჯულსა მას სიმართლისასა ყოვლისათვისცა სიტყუსა ცუდისა, ვითარ უკუე ჯერ-არს ყოფად ჩუენი ჟამსა მას, უკუეთუ დავიდგინნეთ ჩუენ მარჯუენით კერძო მსაჯულისა მის და მეუფისა დიდებისაჲსა: ვითარ უკუე ვიყუნეთ, ოდეს-იგი მოგაკითხვიდენ ჩუენ ყოველნი წმიდანი და მართალნი, მუნ მყოფნი, [21] ოდეს-იგი მოგაკითხოს აბრაჰამ, ისაკ და იაკობ, დავით, მოსე, ნოვე და იობ, და წინაწარმეტყუელთა ყოველთა, მოციქულთა და მოწამეთა და ყოველთა წმიდათა, და რასალა ვიტყვ წმიდათა, რომელნი სათნო ეყუნეს ღმერთსა ცხორებასა მათსა თუთეულად, არამედ ყოველთა მოგიკითხონ შენ და ყოველთათვის, რომელთაჲ გესმოდა აქა ცხორებაჲ მათი, დაგიკვრდა. მოვიდენ შენდა და შეგიტყბონ შენ და მოწოდენ მოგიკითხონ შენ მხიარულთა ჴსნისა შენისათვის.

ვითარ უკუე ჯერ-არს ყოფად ჩუენი ჟამსა მას და რომელი-მე სიხარული იყოს ჩუენდა, სიხარული მიუწოდომელი, ოდეს-იგი ჰრქუას მეუფემან მარჯუენით მდგომარეთა მათ მხიარულითა პირითა: „მოვიდით, კურთხეულნო მამისა ჩემისანო, და დაიმკვდრეთ სასუფეველი განმზადებული თქუენთვის სოფლის დაბადებითგან წინაჲთ¹⁾. მაშინ, მმანო ჩემნო, მიილონ გვრგვნი შუე-

2 ლუინისანი C. 4 სტუორისაჲთა. C. 11 მყოს C. 14 დაუჴვირდეს C. 19 დაინთქას C. 24 ყოვლისათვისცა სიტყუისა C. 26 მოგუკითხვიდენ C. 27 მოგუკითხოს C. 28 ააკობ C; აობ C. 29 ვიტყუი C. 30 თუთეულად C. 32 დაგიკვირდა C. 33 შენისათვის C. 37 დაამკვიდრეთ C.

¹⁾ მათე 25,34.

ნიერი [ჲ] და სასუფეველი დიდებული ჯელისაგან ღმრთისა თვისისა და სუფევედენ ქრისტეს თანა, რაჟამს დაიმკვდრნენ კეთილნი იგი აღთქუმულნი ღმრთის მოყუარეთათჳს. მაშინ არღარა იყოს შიში და მწუხარებაჲ, ყოლადვე გულისჯმა-ყავ, ² ძმაო, რად არს სასუფეველი ცათაჲ. ესე არს ვითარცა თქუმულ არს, რამეთუ მიილო გვრგვინი ჯელისაგან ღმრთისა შენისა და ქრისტეს თანა სუფევედღე უქუნისამღე.)

- აწ გულისჯმა-ყავ, ძმაო, რად არს ხილვად პირსა ღმრთისასა ყოველსა ეამსა, რამეთუ იყოს განმანათლებლად შენდა. მაშინ არა ესე მზე იყოს ნათელ შენდა დღისი, ვითარცა თქუა ესაია წინაწარმეტყუელმან, და არცა ესე მთოვარე განმანათლებელ შენდა ღამე, არამედ უფალი იყოს ნათლად შენდა საუკუნო და ღმერთი დიდება შენდა. ესე არს, ძმაო, რომელი აღუთქუა ღმრთის მოყუარეთა, და რომელთა ეშინის მისა, დაიმაძრხვენ მცნებათა მისთა. [22] და კუალად გულისჯმა-ყავ, ძმაო, წარწყმედაჲ იგი ცოდვილთაჲ, ოდეს-იგი წარიდგინნენ საშინელსა მას სამსჯავროსა. რომელი სირცხული და მწუხარებაჲ დაეცეს მათ ზედა წინაშე მართლმსაჯულისა, ოდეს-იგი არა აქუნდეს სიტყვს გებაჲ; რომელი სიწბოჲ და სირცხული დაეცეს მათ ზედა, ოდეს-იგი დაადგინნეს მარცხენით მეუფისა; რომელმან ბნელმან დაფარნეს იგინი. მაშინ რისხვითა და გულის წყრომითა მისითა შეაძრწუნნეს იგინი, რაჟამს-იგი ჰრქუას: წარვედით ჩემგან, დაწყუელნო, ცეცხლსა მას საუკუნოსა, რომელი განმზადებულ არს ეშმაკი-სათჳს და ანგელოზთა მისთა. ვაჲმე, იმანო ჩემნო, რად მწარე მწუხარებაჲ და იწროებაჲ გარე მოადგეს მათ და სულთა მათთა, ოდეს-იგი ჯმანი კრებულისანი ღალადებდენ, მიიქცენ ცოდვილნი ჯოჯოხეთად. ვაჲმე, იმანო ჩემნო, რომლითა ჯმითა ღალადებდენ [ჲ] გლოით და ტყებით, ოდეს-იგი მიისხმოდინ ვითარცა საცხოვარნი შეყენებად სატანჯველსა მას საუკუნესა, დაუთმენელსა და დაუღევნელსა. ვაჲმე, რომელსამე ადგილსა, სადა-იგი ტირილი თუალთაჲ განუწყუედელი და ღრქენაჲ კბილთაჲ დაუცადებელი და ტარტაროსი იგი დაუცხრომელი, რომლისაგან ეშინის ეშმაკათა.

- ვაჲმე, საყუარელნო, რად-მე არს ჯოჯოხეთი?—არამედ ცეცხლი დაუშრეტელი. რად ბნელი იგი წყუდიადი გარესკნელი საუკუნოჲ უქუნისამღე? ვაჲმე, რომელნიმე ანგელოზნი არიან სატანჯველთა ზედა და უწყალონი, რომელნი ყოლადვე არავის ზე დაადგრებიან და არცა ელმის, არამედ მარადის ჰყუედრიდენ უწყალოდ და სტანჯვიდენ მათ მოსწრაფედ. მაშინ მწარითა ჯმითა ღალადებდენ სატანჯველით გამო ღმრთისა მიმართ, და არა ისმინოს მათი. მაშინღა ცნან, ვითარმედ ამაო იქმნა ყოველი ცხორებაჲ მათი ცუდსა ამას სოფელსა, რომელსა-იგი არა ჰგონებდეს [23], ვითარმედ აქაჲ წუთისა სიტკბობებაჲ მუნ საუკუნესა სიმწარედ გარდაექცეს მათ უქუნისამღე. სადა იყოს მაშინ გულის-თქუმაჲ იგი ცოდვისა მტყუევარისაჲ მუნ, რამეთუ გულის-თქუმაჲ სხუაჲ არღარაჲ არს მუნ, არამედ შიში ხლოო ღმრთისაჲ ჰქმმარიტად. ესე გულის-თქუმაჲ აღავსებს სულსა ვითარცა ცმელითა სიპოხისაჲთა. მას ეამსა

სულთა მათთა და საქმეთა მათთა, რომელ ქმნეს, აღიარებდნენ და იტყობიან, ვითარმედ: სასჯელი უფლისაჲ სამართალ არს, რამეთუ გუესმა და გუეუწყა ამისთვის და არა ვინებთ მოქცევად ბოროტთაგან საქმეთა ჩუენთა. მას ეამსა არლარა სარგებელ ეყოს მათ ესრეთ ღალადებაჲ.

ვაჲ ჩემდა, ძმანო ჩემნო, რამეთუ გითხრობ თქუენ ყოველთა და განვა-
კრძალვებ ცოდვისაგან, და მით ვარცხუენ თავსა ჩემსა, რამეთუ ცოდვანი ჩემნი
უმრავლეს ქვშისა ზღუსა არიან და მე შეკრულ ვარ მათგან, ვითარცა საკრე-
ვლითა რკინისაჲთა, და არა მაქუს კადნიერებაჲ ახილვად სიმაღლესა ცისასა.
ვისა მივილტოდი, [ჟ] არამედ შენდა მიმართ, უფალო მოწყალეო, რამეთუ
ძვრ-უქსენებელ ხარ. „მოწყალე მე, ღმერთო, დიდითა წყალობითა შენითა, აპ-
ჯოცე უსჯულოებაჲ ჩემი, უფროჲს განმბანე მე უსჯულოებისა ჩემისაგან, და
ცოდვათა ჩემთაგან განმწმიდე მე, რამეთუ ურჩულოებაჲ ჩემი უწყი და ცოდ-
ვაჲ ჩემი წინაშე ჩემსა არს მარადის. შენ მხოლოსა შეგცოდე, უფალო, და
ბოროტი შენ წინაშე ვყავ¹⁾“.

შენდა მოვილტი და მრავალთა მოწყალებათა შენთა შეუვრდები; შენ,
უფალო, ურჩ გექმენ და შენდავე მოვისწრაფი ძვრ-უქსენებლისა, შენ განგი-
დეგ და შენვე შეგივრდები, და ვევედრები მრავალთა სახიერებათა შენთა და
ღმობიერად გიღალადებ: გარე მიიქციე პირი შენი ცოდვათა ჩემთაგან და
ყოველნი ურჩულოებანი ჩემნი აპჯოცენ სახელისა შენისათვის მხოლოჲსა, რამეთუ
არაჲ მაქუს მე, რომელიმცა წარგიდგინე შენ, არცა საქმენი კეთილნი და არცა
გული წმიდაჲ, არამედ სასოებაჲ მაქუს წყალობისა შენისაჲ.

[24] და დავსდებ სულსა ჩემსა წინაშე კაცთ მოყუარებისა შენისა, რაჲთა
გული წმიდაჲ დაჰბადო ჩემ თანა და სულითა წმიდითა დამამტკიცო მე²⁾, რაჲ-
თა არა დავეცე მე კუალად ცოდვისა განწირულობასა, არამედ ამიერითგან
გმონო შენ სიმართლით და ქეშმარიტებით ყოველთა ღღეთა ცხორებისა ჩე-
მისათა, რამეთუ შენი არს სუფევაჲ, ძალი და დიდებაჲ უკუნითი უკუნისა-
მდე, ამენ.

გევედრები თქუენ, ძმანო, ვინაჲთგან ამას მოველით, ვისწრაფოთ გან-
წმედად თავთა თვისთა, და უბიწონი მშვდობით წარუღვინნეთ უფალსა სულნი
ყუენნი. ოდეს მოგივლეს შენ გულის-სიტყუაჲ ბოროტი, იჯადე მახული შიშისა
ღმრთისაჲ და მით განჰკუეთო ყოველი ძალი მტერისაჲ, და გაქუნდინ შენ მა-
რადის წიგნნი საღმრთონი ნაცვალად საყვრისა. და ვითარცა, რაჲამს საყვრსა
დასციან, მუნთქუესვე მკედარნი შეკრბიან. ეგრეცა რაჲამს წიგნთა საღმრთოთა
ვმა-ყვიან ჩუენდა მომარ(თ), მუნთქუესვე შეკრბიან გულის-სიტყუანი ჩუენნი [ჟ]
და მოიქციან შიშსა ღმრთისასა. რამეთუ მსგავს არიან გულის-სიტყუანი
ჩუენნი მკედართა მეფისათა, მბრძოლთა მტერთა მიმართ, და ვითარცა საყვრ-
მან, რაჲამს ვმა-ყვის ეამსა ბრძოლისასა, განალუძნის და მოსწრაფე ყუნის
მბრძოლნი იგი, ვითარცა მკუდარნი, და მაშინ ეწყენიან მტერთა ძლიერად.

3 ამისთვის C. 7 ქუიშისა ზღუსა C. 10 ძვირ-უქსენებელ C. 16 ძვირ-უქსენებლისა C. 19 შენისათვის C. 29 თვისთა C; მშუიდობით C. 30 ჯადე C; მახული C. 32 საყუირისა C; საყუირისა C. 35 მოაქციან C 36 საყუირმან C. 37 ბრძულისასა C. 37 განაღვინის

1) ფსალმ. 50, 1—4. 2) შდრ. ფსალმ. 50, 10.

ეგრეთვე წიგნნი საღმრთონი განაღვებენ გონებათა ჩუენთა საქმედ კეთილისა და განაგრილიან გულის-თქუმაჲ ცოდვისაჲ, და განაძლიერიან ვნებათა მიმართ. ამისთჳს, ჟ მძაო, რავდენ შემძლებელ იყო, აიძულე სულსა შენსა და აბრალოზდ მას, და ისწრაფე შეკრებად გულის-სიტყუათა შენთა, რომელნი განუბნევიან მტერსა მანქანობითა და ვერაგობითა, ღონისძიებითა, რაჲმს შთაგიგდოს გულსა შენსა გულის-სიტყუაჲ ბოროტი და მწუხარებაჲ, რამეთუ მრავალ გზის მწუხარებაჲ ფრიადი მოაწიის კაცსა ზედა, რაჲთა მით დასცეს, და მრავალ გზის--სიხარული და ფართობაჲ.

[2.] რამეთუ ამას ყოველსა იქმს იგი მანქანებით და ზაკუევით, რაჲთამცა განაშორა კაცი ღმრთისაგან. რამეთუ ოდეს ვერ შეუძლის ვნებად კაცსა და წარწყმედად გულის-სიტყუათა მიერ, მოაწიის მის ზედა მწუხარებაჲ, რაჲთამცა ბუნებაჲ დააბნელა, და შემდგომად მისა დასთესის, რაჲცა უნებნ. და ესევეთარი შთაუგდის გულის-სიტყუაჲ და ეტყუნ დარწმუნებით, ვითარმედ: „ვინაჲთგან ვიწყე კეთილისა საქმედ, დღენი ბოროტნი მოიწინეს ჩემ ზედა, არამედ ვიქმოდნი აწ ბოროტსა და მივემთხვო კეთილსა“. მაშინ უკუეთუ პოის კაცი არა მღვდარედ, შთანთქის იგი, ვითარცა ჯოჯოხეთმან. და უკუეთუ ამით ვერ შეუძლის ვნებად მისა, მაშინ მისცის მას სიმდიდრე და ფართობაჲ, და აღამალლის და მისცნის მას საცთურად მონაგებნი მრავალნი, რომელი არს უძლიერეს ყოველთა ვნებათა. რამეთუ ესე ყოველი, რომელი უყვის კაცსა ამალღებისა და ზუაობისათჳს, რაჲთა დაღვას პირი მისი ზეცას, ვითარცა წერილ არს, დასხნეს ცათა შინა პირნი მათნი. ამით ყვის კაცი არღარა მეცნიერ ღმრთისა და არცა მეცნიერ უძლურებასა თჳსსა, [ჲ] და არცა მეცნიერ დღესა სიკუდილისასა. ესე არს გზაჲ ყოვლისა ბოროტისაჲ და, რომელსა ჰნებაჲს სლვაჲ მას ზედა, მსწრაფლ მიიწევის იგი საუნჯეთა ჯოჯოხეთისათა. ესე არს გზაჲ ყოველთა განსაცდელთაჲ და წარწყმედისაჲ.

არა გასმიესა, მძაო, რავდენ გზის მოიწევის მტერი შენ ზედა ამისგან, რამეთუ გპოის შენ მრავალ გზის შუებასა და ფართობასა და მრავალ გზის იწროებითა და მწუხარებითა და განსაცდელითა? რამეთუ შემძლებელ არს გამოცდად საქმესა კაცისასა. და რომლითაცა აგონის ძლევაჲ, მითცა ჰბრძან და ეწყებინ ახოვანად, რაჲთა აღაშფოთოს იგი და განაშოროს სიმართლისაგან. აწ უკუე განიფრთხე შენცა, საყუარელო, და ეწყებოდე მას მარადის მოუწყინებელად წიგნის კითხვითა, და მათგან ისწაო, ვითარ განერე საბრკეთა მტერისათა და მიიწიო შენ ცხოვრებასა საუკუნესა. რამეთუ ძალი საღმრთოთა წიგნთაჲ განმანათლე[26]ბელ არს გონებისა და მოსცემს ღმრთისამიერსა შეწევენსა, რომელმან მოიცალოს კითხვად მათ შინა.)

რამეთუ წერილ არს: „მოიცალეთ და გულისგმა-ყავთ, რამეთუ მე ვარ ღმერთი“. არა უწყია, საყუარელო, რამეთუ რომელმან მოიგოს მარადის წიგნის კითხვაჲ გულითა წმიდითა, მან მოიგოს ცნობაჲ ღმრთისაჲ? ამისთჳს ნუ

1 განაღვებენ C. 3 აიძულე C. 7 მოაწიის C. 9 ექმს C. 12 გუნებაჲ C. 13 ეტყუნ C. 14 მოაწინეს C. 15 მივემთხვო C; აპოის C. 16 მღუიძარედ C. 27 გპოის C. 36 მოაღალეთ C. 37 მოაგოს C. 38 ამისთჳს C.

უღებ იქმნები მარადის კითხვად წიგნთა საღმრთოთა, არამედ მარადის განუშორებელ იყავ ლოცვისა და წიგნ(ი)ს კითხვისაგან, რაჟთა განანათლოს გონებაჲ შენი და სრულ იყო ყოვლითავე უნაკლულად.

არა უწყაა, ვითარ რომელნიმე იქადიედ პირველთა მეფეთა ცხორებასა თხრობად, და რომელნიმე ჰამბავთა და ზღაპართა მთავართასა ზედა ზუაობენ და იქადიედ, ხოლო შენ იქადოდე წინაშე ღმრთისა, და სულსა წმიდასა ეუბნებოდე საღმრთოთა მიერ წიგნთა, რამეთუ სული წმიდაჲ ზრახავს წიგნთა შინა საღმრთოთა. შე-უკუე-იკრძალე წიგნის კითხვაჲ და ლოცვაჲ მარადის, [ჟ] რამეთუ, რაედენ შეიყუარო ღმერთი წიგნის კითხვითა და ლოცვითა, იკურთხოს გუამი შენი, სული და სამშვენელი. აწ ვინაჟთგან ამას მეცნიერ ხარ, ვითარმედ წიგნის კითხვითა იკურთხევას ღმრთისაგან, ისწრაფდი მარადის კითხვად წიგნთა საღმრთოთა მოუწყინებელად და, თუ ვერ ძალ-გიც კითხვად უმეცრებითა, ითხოვდი გონებითა წმიდითა, *რამეთუ ნეტარი ანა, დედაჲ სამოელ წინაწარმეტყუელისაჲ, გულსა ხოლო შინა თქსსა ილოცვიდა და ბაგენი ოდენ იძრვოდეს და ჯმაჲ არა გამოვიდოდა, ხოლო ღმობიერად ვედრებაჲ იგი მისი აღიწერდა სასმენელთა უფლისა საბაოთისათა და მის მიერ მოემადლა თხოვაჲ მისი.

ეგრეთვე შენ, # კაცო, უკუეთუ ვერ იკითხავ პირითა, ილოცვიდი გონებითა, რამეთუ ღმერთსა ესმის მღუმრიადიცა ვედრებაჲ. უკუეთუ უმეცარ ხარ წიგნის კითხვასა, მისწრაფე მკითხველისა, რაჟთა გესმეს [27] და სარგებელ გეყოს, რამეთუ წერილ არს, ვითარმედ „უკუეთუ იხილო კაცი მრჩობლად მეცნიერი, აღიმსთუე მისა და ფერკნიმცა შენნი ზღურბლთა მისთა სტკებნიან“¹⁾. და ესე არა მათთვის უთქუამს, რომელთა კითხვაჲ არა იციან, არამედ მათთვის, რომელნი მეცნიერად იკითხვენ, მათთვის თქუმულ არს, რამეთუ მრავალნი იკითხვენ და არა მეცნიერებით.

აწ იხილე, ძმაო, და ნუ შეურაცხ-ჰყოფ ნიქსა მას, რომელი მოცემულ არს შენდა ღმრთისა მიერ, არამედ მოსწრაფედ ეძიებდი და გულისწმის-ყოფით სათნო ეყავ ღმერთსა, რომელი გულის-სათქუმელ არს უფროჲს ოქროსა და ანთრაქისა. რაჟთა მიიწიო შენ ნეტარებასა მას წმიდათასა. რამეთუ წერილ არს: „ნეტარ არიან, რომელნი გამოიკულებენ წამებათა მისთა, ყოვლითა გულითა მათითა გამოიძიონ იგი“²⁾. აწ უკუე ნუმცა დაგაბრკოლებს შენ მტერი წიგნის კითხვასა. რამეთუ მოაწიის კაცსა ზედა სიცონილი და მოწყინებაჲ, და შთაუგდის გულსა ურვაჲ და მწუხარებაჲ, და ეტყუნ: „ქმენ ესე და ესე პირველად“, [ჟ] და შემდგომად ურრველად იკითხვედი წიგნსა. ოდეს ამას ესევითარსა გაზრახებდეს და მოსწრაფე გყოს საქმესა, უწყოდე, რამეთუ შექცევისა და დაბრკოლებისა შენისათვის გიზამს ამას, რაჟთა მოგაცთუნოს შენ

10 სამშინველი C. 14 ხოლო—B. 16 უფლისათა B. 18 დლოცვიდი C. 19 მღუმრიადიცა B. 20 მისწრაფე C. 21 გეყოს]+შენ B. 23 არა)—C. 24 იკითხვენ—B. 26 ~ იხილე აწ B; მოცემულა C. 27 არს)—C. 28 ოქრუჲსა C. 30 გამოიკულებენ] გამოიკითხვენ B. 31 მათითა] მისითა B; გამოიძიონ C. 33 ეტყუნ C; იტყუნ B; და ესე—B. 34 და ურრველად B; იკითხვედ B. 35 რამეთუ—B. 36 დაბრკოლებისა] ორგულებისა B; შენისათვის C; გიზამს] იქმს B; შენ—B.

* აქიდან იწყება B ხელნაწერი.

1) ზირ. 6.36. 2) ფსალმ. 118,2.

წიგნის კითხვასა და სარგებელსა სულისა შენისასა, რამეთუ ოდეს იხილის კაცი მოსწრაფედ და მჭურვალედ წიგნის კითხვასა, სარგებელისათჳს სულისა თჳსისა მოინადირის ამით ესევეთართა, რაჲთამცა ვითარ დააბრკოლა.

- ხოლო შენ ეკრძალე, ძმაო, და ნუ შეიწყნარებ მზაკუარისა მის ზრახე-ბასა, არამედ იყავ შენ ვითარცა ირემი წყურიელი, რომელსა სურინ და მისწრაფინ წყაროდ მიმართ წყალთაჲსა, რაჲთა სუას და განისუენოს წყურილისაგან. ეგრეთვე შენ სურვიელად მიივლტოდე კითხვად საღმრთოთა წიგნთა და განაგრილნე ვნებანი ეგე გულის-სიტყუათა შენთანი, რაჲამს სუა სარგებელი იგი, რომელი მის მიერ იყოფების. რაჲამს მოგცეს შენ ღმერთმან განგონებაჲ და გულის[2ა]კმის-ყოფაჲ სიტყუათაჲ, რაჲთა იკითხვიდე მეცნიერებით და დაიწერდე გონებასა და დაიცივიდე მარადის ჳსენებითა, რაჲთა არა განგეშოროს შენგან. რამეთუ წერილ არს: „გულსა ჩემსა დავიფარენ სიტყუანი შენნი და სიმართლეთა შენთა ვიტყოდე, და არა დავივიწყენ მე სიტყუანი შენნი“. და კუალად იტყუჳს: „რაჲთა-მე წარიმართინის ჳბაბუკმან გზანი თჳსნი.
- არამედ იმარხნის თუ სიტყუანი შენნი“¹⁾.

- ხედავა, ძმაო, რამეთუ ჳსენებითა სიტყუათა ღმთისათაჲთა შემძლებელ არს კაცი სლვად გზათა მისთა. ხოლო რომელი სიტყუათა ღმრთისათა იკითხვიდეს და გზათა მისთა არა ვიდოდის, საწყალობელ არს კაცი იგი, რამეთუ გამოცდილებაჲ ვერ მოუგია. ესევეთარსა არარაჲ აჳსო[ვ]ს, არამედ რომელსა²⁾ საცა მეცნიერად ჳგონებნ, და-ვე-ავიწყდის. და ღმერთი ეტყუჳს ესევეთარსა მას: აწ, შენ, ვითარლა იტყუ სიმართლეთა ჩემთა, აღიღებ აღნათჳემთა ჩემთა პირითა შენითა; შენ ეგერა მოიძულე სწავლულებაჲ, განიშორენ და განსთხიენ [შ] ყოველნი სიტყუანი პირისა ჩემისანი. და უბრძანის მოლებაჲ მისი, რომელსა იგი ჳგონებნ, ვითარმედ აჳუს მას სარწმუნოებაჲ, რამეთუ სახელ-იდებნ თავსა³⁾ თჳსსა ქრისტეანედ და საქმით უვარ-ჳყოფნ, და არნ იგი უძრეს ურჩულოთა. მაშინ უბრძანის მისგან განძარცუვად სული წმიდაჲ, რომელი მიუღებიდ მას დღესა მას გამოჳსნისასა, რომლისასა ჳგონებნ მის თანა ყოფასა.

- მაშინ იჳმნის კაცი იგი ვითარცა ჳური ღზნისაჲ, სავსე რყუნილებითა და რომელმან იხილის იგი და არა უწყინ, რაჲ შეემთხვა, ჳგონებნ სავსესა ღზნითა კეთილითა, ხოლო რაჲამს ზედამიწევით განიხილის, პოის იგი სავსე სიმყარალითა. ეგრეთვე კაცი იგი, რაჲამს განიხილოს დღესა მას სასჯელისასა, იპოვოს იგი სავსე ჳაკუეთითა. მაშინ განეცხადოს ყოველთა საქმე მისი, ვითარცა-იგი მათი, რომელნი ეტყოდიედ მეუფესა დღესა მას განკითხვისასა: „უფალო, უფალო, არა სახელითა შენითა ვწინაწარმეტყუელებდითა და სახე-

1 წიგნის]—C. 2 სულისა თჳსისა]—C. 3 ესევეთართა] ესევეთართა სახითა B; ვითარ]—B; დააბრკოლა]—იგი B. 5 მიისწრაფინ] მიივლტინ B. 7 მიივლტოდე] მიისწრაფე B. 8 განაგრილენ B; ეგე] იგი B; -სიტყუათა შენთანი] სიტყუათანი B. 9 რაჲამს] რათა B. 10 გონებაჲ B. 11 იწერდე B. 13 მე]—B. 14 თუისნი C. 15 იმარხნეს B. 16 ჳხედავა B. 17 გზასა თჳსსა B. 19 მოუგოს B; აჳსოვ B. 20 და დავიწყდეს C; ეტყუის C. 21 იტყუი C. 23 რომელსა B. 24 გონებ B; თავსა თჳსსა]—B. 25 უძურეს C. 27 რომლისასა] რომლითა B. 28 ღუინისა C. 29 და რომელმან] რომელმან B; შეემთხუია C. 30 ღუინითა C; პოეს C, პოვის B. 31 ესრეთვე B. 32 იპოვის B. 33 მათი] მათ B; იტყუედ B. 34 წინასწარმეტყუელებდით B..

1) ფსალმ. 118, 11-16.

ლითა შენითა ძალთა მრავალთა ვიქმოდეთა? [29] მაშინ მიუგოს მათ: „ამენ, გეტყვ თქვენ, ვითარმედ: არა გიცნი“¹⁾.

ხედავა, ძმაო, რამეთუ ესევეთარსა არარაჲ ავსოვს, ხოლო შენ გეტყენენ სიტყუაჲ, რომელი გესმას, რაჲთა ხვლოდი გზათა მისთა. იხილე, და ნუ უტეობ მფორინველთა გარდამოსლვად და აღტაცებად თესლსა მას ძისა ღმრთისასა, რამეთუ სიტყუაჲ ღმრთისაჲ თესლად წოდებულ არს, და-უკუე-ჰფალ იგი ურ-ნატსა ქუეყანისა შენისასა, რაჲთა ნაყოფი მრავალი გამოილოს, ესე არს, რაჲთა დასთესო სიტყუაჲ ღმრთისაჲ გულსა შინა შენსა, რაჲთა ნაყოფიერ იქმნას ღმრთისა. და რაჲჲმს იკითხვიდე საღმრთოთა წიგნთა, გულს-მოდგი-ნედ იკითხვედი და ქეშმარიტად ილუაწე, რაჲთა გულისწმა-ჰყოფდე, რომელსა-იგი იკითხვიდე. და ნუ ისწრაფი ფურცელთა გარდაყარასა და გარდათუალვასა ოდენ, არამედ უკუეთუ ჰპოვო რომელიმე სიტყუათაგანი და ვერ გულისწმა-ჰყო, ნუ გცონინ მეორედ და მესამედ და უფროჲს მისა ქცევად და კუალად წარკითხვად, [2] ვიდრემდის გულისწმა-ჰყო ძალი იგი სიტყუსაჲ მის. და რა-ჲჲმს დასჯდებოდი შენ კითხვად გინა სმენად მკითხველისა, ევედრე ღმერთსა და თქუ: ~~მ უფალო ჩემო~~ და ღმერთო ჩემო, იესუ ქრისტე, აღალე პირი ჩემი და განახუენ თუალნი გონებისა ჩემისანი, რაჲთა ვისმინენ სიტყუანი შენნი და გულისწმა-ვეყუნე მცნებანი შენნი, და ვყო ნებაჲ შენი; უფალო, მე უცხო და მწირ ვარი ქუეყანასა ზედა, ნუ დამირწყავ მე მცნებათა შენთა, არამედ აღმიხილენ თუალნი ჩემნი, რაჲთა ვიხილენ საკრველებანი შენნი. მასწავე მე, უფალო, საიდუმლოჲ სიბრძნისა შენისაჲ, რამეთუ მე შენ გესაჲ, განაბრწყინვე გონებაჲ ჩემი. ~~ჰე ძმაო, გვედრები~~, რაჲთა ესრეთ ილოცვიდე შენ ყოლადვე ღმრთისა მიმართ, რაჲთა განანათლოს ცნობაჲ შენი და გულისწმა-გიყოს ძალი სიტყუათა მისთაჲ.

ხოლო მრავალთა ილოცეს, და რაჲჲმს მიენდენეს თუსსა ცნობასა და გულისწმის-ყოფასა და ჰგონებდეს იგინი ბრძენ თავთა თუსთა, და განცოჲნეს [3] და ვერ გულისწმა-ყენეს წერილნი და მთხრებლსა გამობისასა შთაცუვეს და წარწყმდეს [4] უკუეთუ ჰპოვო შენ წიგნთა შინა სიტყუაჲ რაჲმე, ვერ გუ-ლისწმის-საყოფელი, ეკრძალე, რაჲთა არა გასწაოს შენ ეშმაკმან და თავით თუსით სთარგმანო იგი და სთქუა, ვითარმედ: ესე არს ძალი სიტყუსაჲ ამის და საუებრ არა ეგების ესე თქუმად. ეკრძალე თავსა შენსა, რაჲთა არა ესე-ვითარსა რასმე თავით თუსით ქელი შეჰყო, არამედ უკუეთუ გრწამს ღმერთი, სიტყუათა მისთაჲ გრწმენინ მართლითა სარწმუნოებითა და არქუ ეშმაკსა მას, რომელი სიტყუასა მარადის თარგმნიდეს: მართლუკუნ იქეც. ეშმაკო, რამეთუ

1 ვიქმოდეთ B. 2 გეტყუი C. 3 ავსოვს B; გეტყენედ B. 4 გესმის B; ხუილოდი C. 6 ღმრთი-საჲ—B; იგი—B. 7 გამოილო B. 8 შინა—B. 9 იქმნეს B; ღმრთისაჲ—B. 12 სიტყუათაგან B. 13 მესამედ C. 14 სიტყუისაჲ C. 16 ესე C. 17 ვისმინე C]+ მე B. 19 ვარ B. 20 საკუთრველებანი C; მე—B. 21 საიდუმლოჲ C; ~ სიბრძნე საიდუმლოჲსა შენისაჲ B. 22 ილოცვიდი B. 25 ელოცის B. რაჲჲმს]+ ელოცის B; მიენდის B]+ ლოცვასა და B; თუისსა C. 26 თუისთა C; ~ თავსა თუსსა ბრძენ B. 27 ~ წერილნი იგი ვერ გულისწმა-ყენეს B; შთაცუივეს C. 30 თუისთი C; სიტყუისაჲ C. თუისთი C; ღმრთისაჲ B. 34 მარადის] მას B; გითარგმნიდეს B; იქეც]+ ჩემგან B; რამეთუ—B.

1) მათე 25,12.

მე უწყვი, ვითარმედ სიტყუანი ღმრთისანი უბიწო არიან ვითარცა ვეცხლი გამოკურვებული, გამოცდილი მის წილ შვდ წილად; და არარაჲ არს მათ შინა გულარძნილი და არცა ქცეული, არამედ ყოველნი მართალ და წმიდა არიან. [უ] მათთჳს, რომელნი გულისკმა-პყოფენ, და ქეშმარიტ არიან მათთჳს, რომელნი სწავლულებასა მეცნიერ არიან, ხოლო მე არა მეცნიერ ვარ და არცა უწყვი, არამედ ესე ხოლო, ვითარმედ ყოველნი წერილნი ღმრთისანი სრულ არიან. და მოციქული პავლე იტყჳს, ვითარმედ: „სჯული სულიერ არს“¹⁾. და კუალად აღიხილენ ზეცად და თქუ: უფალო, მე მრწამს სიტყუად შენი და არა გამოვიწულილავ, არამედ მინდობილ ვარ მე სულისა მიერ წმიდისა თქუმულთა:

20 „აღდეგ, უფალო, მაცხოვრე მე“²⁾, რაჲთა ეპოვო მე მადლი წინაშე შენსა, რამეთუ, არარაჲ ვარ, არამედ მივსენ მე, რაჲთა ეპოვო წყალობად შენი, # მოწყალეო, რამეთუ შენი არს სუფევაჲ, ძალი და დიდებაჲ უკუნითი უკუნისამდე.

საყუარელნო ძმანო ჩემნო, მოიგეთ დაყუდებაჲ ვითარცა ზღუდე რეალი-საჲ, მტკიცე, რამეთუ დაყუდებამან ზეშთა გყოს შენ ვნებათა, რამეთუ შენ

25 ზეშთა ეწყობი და იგი არს ქუეშე შენსა. მოიგე უკუე დაყუდებაჲ შიშითა ღმრთისაჲთა და ვერ შემძლებელ იქმნენ ვნებად შენდა ისარნი მტერისანი, რამეთუ ოდეს შეიერთნენ [ქ1] დაყუდებაჲ და შიში ღმრთისაჲ, ექმნენ იგინი ეტლ ცეცხლისა მომგებელთა მისთა ზეცად აღმყვანებელ, და ესე ისწავე ელია წინაწარმეტყუელისაგან, რომელმან-იგი შეიყუარა დაყუდებაჲ და შიში

30 ღმრთისაჲ, ვითარ-იგი ზეცად აღიტაცა ეტლითა ცეცხლისაჲთა. დაყუდებაჲ: ესნაჲ და მაცხოარი არს მონაზონთაჲ ყოველთაგან ვნებათა, დაყუდებაჲ კიბე არს ზეცად აღსავალი, დაყუდებაჲ მოგზაური კეთილი არს მიმყვანებელი ზეცისა მეუფისა.

დაყუდებაჲ თავი არს შიშისა ღმრთისა მოგებისაჲ. დაყუდებაჲ მიმყვანებელი არს გზასა სინანულისასა, დაყუდებაჲ სარკე არს ცოდვათა სახილავი, რომელმან უჩუენნის კაცსა ცოდვანი თავისა თჳსისანი. დაყუდებაჲ მომპოვნებელი არს ცრემლთაჲ და დედაჲ ტირილისაჲ. დაყუდებაჲ მშობელი არს ყუდროებისაჲ, დაყუდებაჲ სამკვდრებელი არს სიმდაბლისაჲ და შესავედრებელი მოთმინებისაჲ. დაყუდებაჲ კეთილი [უ] მოძღუარი არს მასწავლელი სათნობათაჲ. დაყუდებაჲ შიშსა თანა ღმრთისასა განმანათლებელ არს გონებასა კაცისასა. დაყუდებაჲ მსტოვარი არს მღჳძარე ბოროტთა გულის-სიტყუათა. მოწვევანასა. დაყუდებაჲ მიზეზი არს ყოვლისა კეთილისაჲ და დამამტკიცებელი ლოცვისა და მარხვისაჲ და წიგნის კითხვისაჲ და განმაშორებელი ნაყროვნებისაჲ და უძღებებისაჲ. დაყუდებაჲ [და]მაცხრობელი არს უკეთურთა გულის-

35 სიტყუათაჲ და მყუდროჲ ნავთსაყუდელი ლელვა-გუემულთაჲ.

2 მის წილ] მიწით B; შუიდ C. 3 არაცა B. 5 სწავლულ- B; მეცნიერ]—B; არცა] არა B. 6 სრულ] სულიერ B. 7 იტყუის C. 9 წმიდისა მიერ B; თქმულსა B. 12 უკუნისამდე] + ამინ B. 13 ძმაო ჩემო B; მოიგე B. 14 შენ]—B. 18 და]—B. 22 აღსავალი] აღმყვანებელი B. 24 მოგებისაჲ]—B. 25 სახილავი B. 26 ცოდვანი] ბრალნი B; თუისისანი C. 28 სამკვიდრებელი C. 30 გუნებასა C. 31 მსტოვარი C; მღუძარე C. 34 და უძღებებისაჲ]—B..

1) რომ. 7,14. 2) ფსალმ. 3,7.

დაყუდებამ განსუენებამ არს სულისაჲ. დაყუდებამ უღელი არს სულ-
მცირე და ტვრთი სუბუქი, რომელი განუსუენებს მტვრთველთა მისთა. დაყუ-
დებამ სიხარული არს სულისაჲ და მხიარულებამ გულისაჲ. დაყუდებამ აღკრი
არს სასმენელთა და სახედველთაჲ და ენისაჲ. დაყუდებამ მტერი არს ამაჲრ-
ტავანობისაჲ და მბრძოლი ცუდად-დიდებისა და კადნიერებისაჲ.

დაყუდებამ დედაჲ არს ძლიერებისაჲ და მშობელი ახოვნებისაჲ მტერთა
წყობასა. დაყუდებამ საკრველი არს ვნებათაჲ და მოქლონი გულის-თქუმათაჲ.
დაყუდებამ მუშაკი არს უძილი და მოქმედი ყოვლისა საქმისა კეთილისაჲ.
დაყუდებამ მოძღუარი არს უპოვრებისაჲ და მასწავლელი სულგრძელებისაჲ,
დაყუდებამ მტილი არს შეუენიერი სავსე ნაყოფითა კეთილითა. დაყუდებამ და 10
შიში ღმრთისაჲ გოდოლ მტკიცე არიან წინაშე პირსა მტერისასა, შესავედ-
რებელ მოღუაწეთა მეუფისა მის ცათაჲსა, მომპოვნებელ გვრგვანსა ბრწყინ-
ვალესა.

ჰე ძმაო, მოიგე თავისა შენისა ესე ნაწილი პატროსანი, რომელი გამო-
ირჩია მარიამ, დამან ლაზარესმან. რამეთუ ესე მარიამ დაყუდებულად იყო, 15
რამამს ჯდა იგი ფერჯთა თანა უფლისათა; [ს] იგინი ხოლო მარტოდ ეპყრნეს
და მათ ოდენ შევრდომილ იყო. ამისთვის აქო იგი უფალმან და თქუა, ვითარ-
მედ: „მარიამ კეთილი ნაწილი გამოირჩია თავისა თვისისაჲ, რომელი არაოდეს
მიეღოს მისგან“ 1). ხედავა, ძმაო, რაჲ არს დაყუდებამ? რამეთუ ღმერთი აქებს
მომგებელთა მისთა. აწ უკუე მოიგე ესე და იშუებდ ღმრთისა შენისა, დაჯედ 20
ფერჯთა ნისთა თანა და შეევედრე მათ ხოლო, რაჲთა იტყოდი კადნიერად
წინაწარმეტყუელისა თანა: „მიგდევდა შენ სული ჩემი და მე შემოწყნარა მარ-
ჯუნამან შენმან, და ვითარცა ცმელითა სიპოხისაჲთა განძლეს სული
ჩემი“ 2).

ჰე ძმაო, მოიგე ესე, რომელი უტკბოძს თათლისა არს, რამეთუ პური 25
ხოლო და მარილი, დაყუდებით და განსუენებით, უფროძს და უზენთაჲს
არს მრავალთა სანოვაგეთა და საშუებელთა გემოვანთა ურვასა შინა და
მწუხარებასა და შფოთთა სოფლისათა. ისმინე, რაჲ-იგი თქუა უფალმან სა-
ხარებასა შინა: „მოვედით ჩემდა ყოველნი მაშურალნი და რომელთა [კკ] ტვრთი
მძიმე გეტვრთოს, და მე განგისუენო თქუენ“ 3), რამეთუ ღმერთსა ჰნებაჲს განსუე- 30
ნებამ თქუენი მწუხარებათაგან და ურვათა ამის სოფლისათა. ჰნებაჲს მას,
რაჲთა იყუნეთ განსუენებულ და უზრუნველ, ვითარცა ერისაჲ მის ეგვპტით
ჰნებაჲს განყვანებამ შენი უდაზნოდ, რომელ არს დაყუდებამ, რაჲთა განგინა-
თლოს გზაჲ შენი სუეტითა მით და ღრუბლითა, რაჲთა გაქამოს შენ მანანაჲ,
რომელ არს პური დაყუდებისაჲ, განსუენებამ და უურველობამ, რაჲთა და- 35

2 ტურითი C; მტურთველთა C. 3 აღური C. 6 მტერთა წყობასა]—B. 8 უძი-
ლი] მხნე B; და]—B. 9 უპოვარებისა B. 11 გუდოლ C. 12 მის ცათაჲსა] ცათაჲსათა B;
გუირგუინსა C; მომპოვნებელ ... ბრწყინვალესა]—B. 17 მათ ოდენ] მათდა B; ამისთვის
C. 18 თუისისა C, თავისა თვისისაჲ]—B; არაოდეს] არა B. 19 ხედავა] ჰე ძმაო ჰხედავა B;
რაჲ] რაოდენ B; თუთ აქებს B. 21 რაჲთა] და B; იტყოდ B. 22 მარჯუნემან B. 27 სანუა-
გეთა C. 29 დამშურალნი B; ტურითი C. 30 გეტვრთა B, გეტურითოს C. 31 ჰნებაჲს მას]—B.
32 ეგვიპტით C. 35 უურველობამ] უშფოთველობამ B.

1) ლუკა 10,42. 2) ფსალმ. 62,5-9. 3) მათე 11,28.

გიმკვდროს ზენ ქუეყანაჲ იგი აღთქუმისაჲ, რომელ არს ზეცისა იერუსალჴში. ჰე საყუარელო, მოიგე ესე, რაჲთა იხარებდე და განსცხრებოდი გზასა წამე-
ბათა ღმრთისა ზენისათა, ვითარცა ყოვლითა სიმდიდრითა. ჰე ძმაო, მოიგე
ესე დაყუდებამ და შიში ღმრთისაჲ, და ღმერთი მშუდობისაჲ იყავნ ზენ
თანა, რომელსა ზუენის დიდებამ და თაყუანის-ცემამ უკუნითი უკუნისამდე,
ამენ.

გევედრები თქუენ, ძმანო ჩემნო საყუარელნო ღმრთისანო, რაჲთა ყო-
ველსა ჟამსა იგსენებდეთ თქუმულსა ამას სარწმუნოებისათჳს [ჟ] და სასოებისა
და სიყუარულისა და სიმდაბლისა, რაჲთა შეჰკრებოდით ყოველსა ჟამსა ლოც-
ვად შიშითა ღმრთისაჲთა და სწავლითა წიგნითა საღმრთოთაჲთა და დაყუ-
დებითა. რამეთუ ოდეს განამრავლოთ და გარდაჰმატოთ ამას, არა იყუნეთ
თქუენ ცალიერ და არცა უნაყოფო ცნობითა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტე-
სითა, რამეთუ ყოველმან მონაზონმან, რომელმან ესე არა მოიგოს, არამედ
უდებ იქმნას ცხოვრებისა თჳსისათჳს, იგი ბრმა არს და მწუხარე, და დაუვიწ-
ყებიეს მას ბრალთა თჳსთა საურავი, და მსგავს არს იგი ძალსა, რომელი
მიექცის თჳსსა ნათხევარსა და ვითარცა ღორი, რომელი იმწუბის სიმყრალესა
მწუკრისასა. რამეთუ რომელნი ივლტოდეს სოფლისა საცთურთაგან მეცნიე-
რებითა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესითა, უკუეთუ კუალად იქცენ და შე-
ერინენ სოფლისა საურავთა და ზრუნვასა ჯორციელსა და იძლიენ, ესევეითართა
ექმნის [ჟჲ] უკუანადსკენელი უძრეს პირველისა. უმჯობეს იყო მათდა, ეცნავე
თუმცა არა გზამ იგი ქეშმარიტებისაჲ, ვიდრელა ცნობასა და კუალად ქცევასა.

აწ უკუე, ჰ მონაზონნო, ჰ საყუარელნო, ჰ მორწმუნენო, ჰ მონანო ქრის-
ტესნო, ჰ ახოვანნო, ჰ მოლუაწენო და მვედარნო მისნო, აღვილოთ ყოლადვე
ყოველსა ჟამსა საქურველი ესე, რომელი მე გითხარ, და გუაჯსობსმცა ესე
დაუვიწყებელად, რაჲთა შემძლებელ ვიქმნეთ ლუწად ლუაწლსა მას და დაე-
ტკებნოთ ყოველი ძალი მტერისაჲ, რაჲთა განვერნეთ რისხვისაგან მომავალისა
შვილთა ზედა განდგომილთასა და ვბოვოთ მადლი და წყალობამ დღესა მას
სასჯელისასა წინაშე მართლმსაჯულისა, რომელი მიაგებს ყოველთა საქმეთა
მათთაებრ, რომლისა მხოლოდსა არს სუფევამ და ძლიერებამ აწ და მარადის
და უკუნითი უკუნისამდე, ამენ.

1 აწში ც. 2 ჰე + ძმაო B; მოგე C; ~ ესე მოიგე B. 3 ღთისა შნისათა | ღთისათა B; მოგე C. 4 მშუიდობისაჲ C. 5 რომელსა ზუენის... ამენ]—B. 6 ამას] + ჩემსა B; სარწმუნო-
ბისათუის C. 9 სიყუარულისათჳს B. 10 სწავლითა] + და კითხვითა B. 11 გარდაჰმატოთ
ამას] ლოცვაჲ B. 12 თქუენ]—B; ცარიელ B; ცნობითა] მადლითა B; აწ C. 13 მოგოს C;
არამედ] და B. 14 იქმნეს B; თუისისათუის C; მწუხარე] უდებ უქმნიეს C. 15 მას]—B. 16 თუისა
C, თსავე B; და] გინა B. 17 მწუკრისასა C; სოფლისა] + ამის B. 18 აწ C. 20 უძრურეს C.
21 ვიდრელა] + რა B. 22 აწ] არამედ აწ B; მონაზონნო B; საყუარელნო B; მორწმუნენო B; მონ-
ანო ქესო B. 23 ახოვანნო მოლუაწენო B; და მვედარნო მისნო] ახოვანებით ილუაწეთ მისთჳს B;
აღიღეთ B. 24 გაქსობსა B. 25 იქმნეთ B. 27 განდგომილთასა B; დიდი წყალობამ B.

[ვ] თქვენი მისივე მარხვისათვის

რაემს იმარხვიდე შენ, # კაცო, საზრდელი იგი, რომელი მოგემზადოს შენ დღისა მისთვის, მისგან ნაწილი უყავ გლახაკთა და ესრეთ იმარხვედი, რადთა გლახაკი შეიწყალო და გამოზარდო საზრდელითა შენითა, რომლითა იზარდები. უკუეთუ გლახაკი არა შეიწყალო, და შენ იმარხვიდე და ილოცვიდე, გერქუას შენცა ვითარცა-იგი ჰრქუა უფალმან ესაია წინაწარმეტყუელსა: „უკუეთუ ძაძაჲ შეიმოსო და ნაცარი დაიფინო და განჰკაფო გუამი შენი მარხვისა სიმრავლითა, და გლახაკი არა შეიწყალო, არა შეიწირავს ლოცვასა შენსა და მარხვასა“ 1).

სულსა მდაბალსა, რომელსა ეშინის ღმრთისა, ამას ვეტყვ: [რგ] კაცსა განდგომილსა ათ დღე თანა-აც სწავლასა ქუეშე ყოფაჲ და მისა შემდგომად, უკუეთუ არა აღეჰჰადო, ჯერ-არს თქუენდა, რაჲთა მაბრალთ. არა თუ თავსა ვიქებ ამით სიტყუთა, არამედ რომელი საქმე სხუათა დაუდებიეს. ნინე-ველნი იყუნეს უცებ, ვითარცა პირუტყუნი, და მძნვარე, ვითარცა მჭეცნი, უგუნურ და უცნობელ და უგულისკმო, და არა ესმინა სიტყუაჲ კაცისა განმგებელისაჲ კეთილად განგებისათჲს და არცა დადებულ იყო მათდა ესე-ვითარი მცნებაჲ. და ვითარცა ესე სიტყუაჲ იგი წინაწარმეტყუელისაჲ, ვითარმედ: სამ დღე-ლა და ნინევი დაქცევად არს. ამათ ხოლო სამთა დღეთა შინა განაგდეს მათგან ბოროტის ჩუეულებაჲ იგი მათი. რამეთუ მეძავნი მათნი წმიდა იქმნეს და ამპარტავანნი დამდაბლდეს, მომხუტეკლნი და მტაცებელნი მოწყალე იქმნეს და უდებნი მოსწრაფე იქმნეს. არა ხოლო თუ ცოდვაჲ ერთი, გინა ორი, გინა სამი, ანუ თუ ოთხი განაგდეს მათგან დატევებითა მით ჩუეუ-ლებისა ბოროტისაჲთა, [შ] არამედ ყოველნი სიციბილნი მათნი დაუტევენს³⁾. და

1 სიტყუის-გებაჲ C; გნებაჲს B. 2 მ'თთვის C. 4 გულძკრ C; შ'ნთვის C. 5 და]-B. 6 მისა B; თუთ C; ~ თუთ თავით შენით B. 7 არა] არავის B. 9 მისისასა] მისა ზედა B. 11 აღუაწუა C. 12 გებად C; თუისსა C. 13 შენთათვის C. 14 გისწრვეს B. 15 გუირგუინი C; იტყუად B. 16 ჩუეულებაჲ გუაქუს მრავლით ჟამითაგან B. 17 ვიტყუი C. 18-19 არა ჯერ-არს] ჯერ-არს B. 19 დახედვად] და არა ხედვად B. 22 ვეტყუი C. 23 ყოფაჲ] ჯერ-არს ყოფაჲ B. 25 სიტყუითა C; დაუდებიეს] + საქმე C. 26 მძუნვარე C. 28 განმგებელისაჲ C]-B; მათა B. 29 და ვითარცა] რა B. 31 ბოროტისა B. 32 და მომხუტეკლნი B.

1) მათე, 5,23-24. 2) მათე 5,24. 3) იონა 3,1-10.

ვინაჲ უწყით ესე, არამედ სიტყუსა მისგან წინაწარმეტყუელისა, რომელი უკა-
დაგებდა, ვითარმედ: აღვიდა ჳმაჲ უკეთურებისა მათისაჲ წინაშე ღმრთისა¹⁾.
ესევე წინაწარმეტყუელი კუალად იქცა, მანვე წამა და თქუა, ვითარმედ:
იხილა ღმერთმან ყოველი კაცი მათგანი, განეშორა გზათაგან თვსთა ბოროტთა²⁾.
რამეთუ არა თქუა მეძავთათვის ხოლო, გინა მტაცებელთა, არამედ ყოველთა
გზათა მათგან ბოროტთა. და ვითარ უკუე განეშორნეს, ღმერთი მეცნიერ
არს ამას. ესე ყვეს უგუნურთა და უცებთა და ამისთვის არა გურცხუენის და
კდემულ ვართ. უკუეთუ უცებთა კაცთა სამ დღე დაუტევეს ბოროტისა იგი
ჩუეულებად და ჩუენ გრძელთა ამთ ჟამთა, რომელთა გვსწავიეს და მიწევნულ
ვართ, ვერ შეუძლეთ ძლევად, არცაღა თუ ერთსა ჩუეულებათა ჩუენთაგანსა
ბოროტსა, და ესე ნინეველნი მიწევნულ იყუნეს ყოველთა ბოროტისა საქმეთა,
ვითარცა გუენსმის წერილისაჲ, რამეთუ იტყვს, ვითარმედ: ჳმაჲ ბოროტებისა
მათისაჲ აღვიდა წინაშე ღმრთისა¹⁾. ნუ ჰგონებ, თუ სხვსა რაჲსათვის [59] იტყვს,
არამედ სისრულესა ბოროტთა საქმეთა მათთასა.

სადა უკუე იყოს შიში ღმრთისაჲ, არად ჳმს დღეთა სიმრავლე და არცა
ჟამთა სიგრძე, და სადა არა არს შიში ღმრთისაჲ, არად სარგებელ არს ჟამთა
სიგრძე და არცაღა სიმრავლე დღეთაჲ. ვითარცა ჳურჳელი რაჲმე დაგესლე-
ბული დაღათუ მრავალ გზის განჳრცხა წყლითა, გესლი იგი არავე განეყარის
მისგან, ხოლო უკუეთუ შეიღო იგი ბრძმედსა ცეცხლისასა, მაშინ განათლდის
და ბრწყინავნ იგი. ეგრეთვე სული დაგესლებული ცოდვითა, უკუეთუ განჳრცხე
იგი უდებებითა, დაღათუ ყოველთა დღეთა აჩუენებდღე სინანულსა, არად სარ-
გებელ გეყოფის, ხოლო უკუეთუ შეჳლებო იგი ბრძმედსა შინა შიშისა ღმრთი-
სასა, ყოველთაგან გესლთა უკეთურებისა მისისათა განწმინდნეს მცირედთა
დღეთა და ბრწყინვიდეს და შუენიერიებაჲმან მისმან სხუანი მრავალნი სულნი
განაბრწყინვნეს.

აწ ნუ ჰმიზეზობ და იტყვ: ხვალითგან ვიწყო კეთილისა საქმედ. რამეთუ
არა უწყი შენ, რაჲ ყოფად არს ხვალესა. [შ] არამედ ესრეთ ვიტყოდით და
არა განვეშორნეთ ვიდრე მზისა დასლვამდღე, ვიდრემდის განეადლოთ ჩუენგან
ჩუეულებად ბოროტისაჲ. დაღაცათუ ვიგუენნეთ, გინა მოვსწყდეთ, გინა მი-
გუელოს მონაგები ჩუენი, რაჲთა არა ვსცეთ ჩუენ ზედა მიზეზი ეშმაკსა უდებე-
ბითა და უთმინოებითა ჩუენითა. უკუეთუ ესრეთ განაჩინო თავსა შინა შენსა
და იხილოს ღმერთმან მჳურვალეებაჲ შენი და მოსწრაფებაჲ, მაშინ შეგეწიოს
და განგაძლიეროს შენ კეთილისა საქმისათვის.

ჳე საყუარელნო, გევედრები და ვითხოვ თქუენგან, რაჲთა ვილუაწოთ
მოსწრაფედ სულთა ჩუენთა ცხორებისათვის, რაჲთა არა გუერჳუას ჩუენ

1 სიტყუისა C. 5 მეძავთათვის C. 6 მათგან B; ღმრთი მეცნიერ არს ამას] ღმერთმან
იცის იგი B. 7 ამისთვის C. 9 გუისწავიეს C. 10 ერთი B; ჩუენთაგანი B. 11 ბოროტი B. 12
იტყუის C. 13 აღვიდა] აღიწია B; სხუისა რაჲსათვის C; იტყუის C. 18 დაღაცათუ B. 21 უდებე-
ბებით B; აჩუენებდღე B. 22 გეყოფის B; იგი]—B. 23 განწმინდეს B. 26 ~ ნუ ჰმიზეზობ აწ B; იტ-
ყუი C. 27 ხვალუ B. 28 დასლვამდღე B. 30 მიზეზ B. 33 საქმისათვის C. 35 ცხორებისათვის
C; გურჳუან B.

1) შდრ. იონა 1,2. 2) შდრ. იონა 3,10.

წერილი იგი, ვითარმედ: „კაცნი იგი ნინეველნი აღდგენ სასჯელსა ნათესავისა ამის ზედა და დასჯიდენ მათ“¹⁾. რამეთუ შეინანეს ერთისა მის ქადაგებისაგან, რომელი-იგი ესმა მათ, და განიშორეს ყოველივე იგი ბოროტისა ჩუეულეზა მათგან და მიიწინეს იგინი თავსა სათნობისასა. რამეთუ ვითარცა ესმა მათ, ვითარმედ ქალაქი მათი დაიქცევის, შეშინდეს და ძრწოდეს, [60] და მოიქცეს ღმრთისა სინანულითა. ხოლო ჩუენ მარადის გუესმის ჯოჯოხეთისათჳს და საუკუნეთა მათთჳს სატანჯველთა და არა მეშინის. მათ არაოდეს ესმინა სწავლად წინასწარმეტყუელთაჲ, ხოლო* (1) ჩუენ მარადის ვიშუებთ თქუმულითა მათითა და ვიხარებთ ნიჭთა მიერ მადლისათა, რომელი გარდაემატა ჩუენ ზედა ქრისტეს მოსლვითა.

არა ხოლო თუ თავთა ჩუენთაჲ ჯერ-არს ზრუნვაჲ და განთავისუფლებაჲ ცოდვისაგან, არამედ გკლის-ვე ზრუნვაჲ ასოთა ჩუენთათჳს. და არა მოვიწყინოთ, ვიდრემდის სხუანიცა ვიქსნეთ ცოდვისაგან. და ჩუენ ყოველთა განვიშოროთ ჩუეულეზაჲ ფიცისაჲ და მეგობართაგანცა და შევწირნეთ ღმრთისა. და თუ მათცა ესხნენ მონანი და მოწათენი, ესრეთვე ასწავებდედ, რაჲთა ყოველნი ერთობით უბიწონი წარდგეთ წინაშე საყდართა მათ სარჩელისათა და ღირს ვიქმნეთ მარჯუენით მეუფისა მის ღიდებისაჲ, რომლისაჲ არს ღიდებჲ და სუფევაჲ უკუნითი უკუნისამდე, ამენ.

[ვ] თქუილი მისიჲ

დაგადებულისათჳს და წინადთჳმ განჩინებულისა კაცსა ზედა
ღმრთისა მიერ კეთილისა და ბოროტისა, ვითარმედ არაჲჲ არს

მრავალნი კაცთაგანნი იტყუან, ვითარმედ წერილ არს კაცსა ზედა წინადთ-ვე განჩინებული ღმრთისა-მიერი კეთილი და ბოროტი და თუ ვერას შემძლებელ არს საქმედ, თუნიერ რომელი ღმერთმან უბრძანოსო პირველითგანვე და განაჩინოს. და ესრეთ ჰგმობენ და აგინებენ ღმერთსა უმეცრებით და უგუნურად, რამეთუ ღმერთმან დაჰბადა კაცი კეთილად და ჰელმწიფე ყო იგი თავსა თჳსსა ზედა და უჩუენა გზაჲ ცხოვრებისაჲ და წარწყმედისაჲ, ვითარცა თქუა ღმერთმან წიგნსა შინა: უკუეთუ ისმინოთ ჩემი, კეთილსა ქუეყანისასა შუამდეთ. იხილეთ, ვითარ თქუა ღმერთმან, ვითარმედ: „უკუეთუ ისმინოთ ჩემი“.

არა განუჩინა კაცსა საქმედ კეთილისა, და უკუეთუმცა ღმრთისაგან განჩინებულ იყო კეთილისა საქმეც კაცსა ზედა, (2) რაჲ უკუეთუმცა მადლი აქუნდა მას

1 ~ ამის ნათესავისა ზედა B. 5 ძრწოდეს] შეძრწუნდეს B. 6 სინანულით B; ჯოჯოხეთისათჳს C. 7 მათთვის C; მეშინის] + ჩუენ C. 11—12 განთავისუფლებაჲ ცოდვისაგან]—B. 12 გულირს-ვე C; ჩნთათჳს C. 14 ჩუეულეზა A; მეგობართაგანცა] + ჩუენთა B. 15 მათცა]—B; ისხნედ B; ასწავებდ B. 16 სარჩელისათა] მათ სასჯელისათა C. 17 მის]—B; ღიდებისაჲ]—B. 18 და სუფევაჲ]—B. 20 დაგადებულისათჳს C. 22 იტყუიან C; იტყუედ B; არსო C. 23 ღმრთისა-მიერ C; და] გინა C; თუით C. 24 თუნიერ C. 26 უგუნურებით B. 27 უჩუენა A; და] + გზაჲ B. 28 უკუეთუ A. 29 სუამდეთ C. 30 უკუეთუმცა A; განაჩინა B. 31 საქმე C.

1) მათე, 12,41.

* აქიდან შემოდის A ხელნაწერი.

კეთილისა საქმისათს?—არა რად. [61] არამედ კაცი აუფლა და თავით თსით იქმს კეთილსა და ბოროტსა არა თუ განჩინებითა ღმრთისადათა და არცა დაუწერია კაცსა ზედა, რადთამცა ქმნა ბოროტი. ნუ იყოფინ!

აწ უკუეთუ ეგრეთ არს თქუმულისა მათისაებრ, ღმერთი უკუე უსამართლოდ სტანჯავს მონასა თსსა მისთს, რომელი-იგი მან უბრძანა საქმედ და დაწერა მას ზედა. არა განუჩინებოეს ღმერთსა ბოროტისა საქმე და არცა დაუწერიეს. წარამედ უკვლმწიფებოეს კაცი თავსა თსსა ზედა ყოფად კეთილისა და, თუ ენებოს, ბოროტისა. აწ უკუე ნუ ვინ ჰგონებთ, ვითარმედ ღმერთსა კაცისათს უნებს ბოროტი. უკუეთუ ქმნეს კაცმან კეთილი, ღმრთისა მიერ იქმს, და უკუეთუ ქმნეს ბოროტი, ეშმაკისა მიერ იქმს და თავით თსით. რამეთუ ოდეს ინებოს კაცმან საქმე კეთილისა, ღმერთი შეეწვევის მას; და უკუეთუ ინებოს ბოროტისა, ეშმაკი შეეწვევის მას ზედა. ამისთს შემძლებელ არს კაცი თავით თსით შესლვად [ხ] სასუფეველად და ჯოჯოხეთად. და უკუეთუ ინებოს კაცმან სლვად გზასა ცხოვრებისასა, უწყებულ არს მისა, რამეთუ სიყუარული არს და გლახაკთ-მოწყალებად, და მარხვად და ლოცვად, და სიწმიდე და სიმდაბლე.

რამეთუ უკუეთუ ქმნეს კაცმან ყოველი კეთილი და მას ზედა აღზუავნა და ამპარტავან იქნა, არა შეიწირავს ღმერთი კეთილისა საქმესა მისსა, რომელ ქმნა, რამეთუ ამპარტავანებად არს თავი ყოვლისა ცოდვისა. და რომელსა ენებოს სლვად გზასა წარსაწყენდელისასა, რომელ არს ძვრის-ქსენებად და მანკიერებად, შური, სიძვა და ანგაპრებად, რომელ არს კერპთ-მსახურებად, და რისხვად, და სმენად მოყუსისა და ზაკუვად. რომელნიმე კაცთაგანნი იტყვან, ვითარმედ გუნებავს კეთილისა საქმე და სათნოებათად, რადთა შევიდეთ სამოთხედ და ვერ შეუძლეთ. (შ) # კაცო, ვითარ უკუე სხუანი შემძლებელ არიან კეთილისა საქმედ და შენ ვერ შემძლებელ ხარ, რამეთუ ყოველმან კაცმან, რომელმან გულს-იდგინოს [62] კეთილისა საქმე, ღმერთი მოატყუებს მას, და ყოველმან რომელმან გულს-იდგინოს ბოროტისა საქმე, ეშმაკი შეეწვევის მას.

მრავალნი კაცთაგანნი აჩუენებენ სახიერებასა და ღმერთსა არა სთნავს საქმე მათი. და სხუანი ეჩუენებიან კაცთა სულელად და საქმენი მათნი სათნო

1 საქმისათს C. 2 თსისით A. 3 დაუწერიეს BC. 4 უკუეთუ A; უკუე A. 5 თსისა C; მისთს C. 6 მის ზედა BC; საქმე BC. 7 უკვლმწიფებოეს კვლმწიფე უყოფიეს B; თსისა C. 8 ჰგონებნ B; კაცისათს C. 8—9 აწ უკუე... ბოროტი—A. 9 უკუეთუ A. 10 იქმს] იქმნების C. 10-11 ~ ქმნეს კაცმან ბოროტი, ეშმაკისა მიერ არს, და თუ კეთილი ქმნეს ღმრთისა მიერ არს B. 10 იქმს] + აწ უკუე ნუ ვინ ჰგონებნ, ვ'დ ლ'ა კაცისათს უნებს ბოროტი A; და]—A: თავით თსით—B. 11 საქმე BC; საქმე ბოროტისა B; მას] მის ზედა B; უკუეთუ] თუ C. 12 მის ზ'ა B. 11-12 და უკუეთუ ინებოს... მას ზედა]—A. 13 უკუეთუ A. 14 სლვად B; მისდა B; სიყუარული A. 15 და სიწმიდე] სიწმიდე C. 15-16 სიმდაბლე C. 17 რამეთუ]—B; უკუეთუ A; ~ ყოველი კეთილი ქმნეს კაცმან BC; აღზუავნა A, აღზუავნეს C. 18 იქმნეს B; კეთილსა მისსა საქმესა B; რომელი BC. 19 ამპარტავანებად C. 20 სლვად C; ძვირის- C. 22 შესმენად C; ზაკუვად A. 23 იტყვად B; სათნოება B. 25 ~ საქმედ კეთილისა BC; 26 საქმე BC; მოატყუებს A. 27 ~ საქმედ ბოროტისა C; საქმე B. 27-28 შესწვეს C. 29 აჩუენებენ A. 30 საქმე BC; სხუანი A; ეჩუენებიან A, ეჩუენებიედ B; სულელად A, რეცა სულელად B.

არიან წე ღმრთისა, და მრავალნი იყვნეს პირველ სახიერ და უკუანადასკენელ დაეცნეს და წარწყმდეს. და მრავალნი პირველად იყვნეს ძკრის-მოქმედ დღეთა მათთა და უკუანადასკენელი მათი იქმნა კეთილ და წმიდა, და ღმერთი დაჯერებულ იქმნა მათგან, რანეთუ მეძავი იგი პირველად იყო ეშმაკისა და უკუანადასკენელ იქმნა იგი ღმრთისად. და სოლომონ პირველად იყო ღმრთისა და შემდგომად ეშმაკისა და იუდა პირველად ღმრთისა იყო და უკუანადასკენელ იქმნა იგი ეშმაკისად. ამისთჳს, ძმანო ჩემნო, არა ვთქუათ კაცისათჳს ნეტარებად ვიდრე სიკუდილაღმდე, და არა უდებ ვიქმნეთ სულთა ჩუენთა ცხორებისათჳს ვიდრე განსლვად ჩუენდამდე ამიერ სოფლით. რამეთუ პრკუა ღმერთმან ეხეკიელს წინაწარმეტყუელსა, ვითარმედ: რომელსაცა ზედა ვპოო კაცი [ჟ] დღესა განსლვისა მისისასა ამიერ სოფლით, კეთილსა გინა ბოროტსა, მითცა განვიკითხო. რამეთუ მრავალნი კაცთაგანნი იზმნიან ჳმასა მფრინველთასა. ვაჲ არს მზმნელთა, რამეთუ არს ოდესმე პირუტყჳ შუენიერი, იხილის ეშმაკმან, გინა ხენი, დასცის მას თუალი კაცისა და მოკუდის, და თქჳან, ვითარმედ: მან კაცმან თუალითა მოკლა იგი. რამეთუ ბოროტი იგი ეშმაკისაგან არს და ყენის კაცი მიზეზად თუალსა კაცისასა. და ოდეს იხილნის ეშმაკმან კაცი მზმნელად და (4) და მგმობელად ღმრთისა, მაშინ დააჯერის მათ და ათქუმიის ესევითარი და მსგავსი ამისი მრავალი.

ღმერთმან, რომლისა და დიდებულ არს სახელი მისი, შექმნა ჳელითა თჳსითა კაცი ხატად და მსგავსად თჳსა. ვითარმცა უკუე ბოროტად შექმნა იგი? ანუ ვითარ იყოს ესე გმობა და მბაღებელისა ზედა, რამეთუ იტყჳან ვიეთნიმე, რამეთუ ბოროტად დაჰბადაო, ნუ იყოფინ ესე ღმრთისა! რამეთუ ესრე თქუა ღმერთმან დაბადებასა შინა, ვითარმედ: ყოველი რომელი დაჰბადა ღმერთმან— [6] კეთილად ფრიად¹⁾. და უკუეთუ სთქუა, ვითარმედ: ეშმაკი ვითარ ბოროტ არს, გრკუათ შენ, ვითარმედ ღმერთმან ესეცა კეთილადვე დაჰბადა და ამპარტავანებითა თჳსითა იქმნა იგი ბოროტ, რაჲმს-იგი განლალნა და მბაღებელსა თჳსსა ზედა. იყო იგი ვითარცა ჰიქაელ და გაბრიელ მთავარანგელოზნი და ნეფსით თჳსით იქმნა იგი ბოროტ ეშმაკ.

არა გიხილავსა კაცი, რომელმან იხილის მდინარე მძაფრი და ძლიერი და ჰნებავნ მას წიალსლვაჲ ამპარტავანებით და სილალით და ვერ შეუძლის და მოიშთვის იგი მას შინა? გინა რომელმან იხილის მწეცი ბოროტი და ზუაობით ზედა მიუტდის მას მოკლვად და იგი ძლეულ იქმნის და შექმულ მის მიერ.

1 წიქ—A; და]—BC; იყუნეს C; უკუანადასკენელ A. 2 ~ იყუნეს პდ BC; ძიერის—C. 3 უკუანადასკენელი A. 4-5 უკუანადასკენელ A. 6 ჟუდა C; უკუანადასკენელ A; ~იყო ღმრთისა B. 7 იქმნა იგი]—B; ეშმაკისა B; ამისთჳს C; ვთქუათ A; კაცისათჳს C. 8 სიკუდილაღმდე A, სიკუდილაღმდე C, სიკუდილაღმდე B] + მისა B; ცხორებისათჳს C. 9 ჩუენდაღმდე C. 10 ეხეკიელ B; ვპოო C. 12 ~ მითცა განვიკითხო კეთილსა გინა ბოროტსა CB. 13 მზმნელთა B; პირუტყუი C; შუენიერი A. 14 თუალი A; მოკლდის A. 15 თუალითა A. 15-16 ეშმაკისა მიერ BC. 16 ყენის C; თუალსა A; მიზეზ B. 17 მგმობრად BC. 18 ათქუმის A; მრავალი]—B. 19 თუისითა. C. 20 თუისად C; უკუე A. 21 იტყუიან ვინმე C. 22 რამეთუ] ვითარმედ CB. 24 სთქჳა A. 25 გრკუათ A, გრკუა C, გრკუას B; კეთილად C. 26 თუისითა C. 27 იყო] ხ იყო BC. 28 ნებსით თუისით C. 29 მძლაფრი C. 30 ამპარტავანებით C. 31 ~ მას შინა იგი C. შინა] + ნუ უკუე სისხლი მისი არა ჳელთაგან მისთა იძისა ღმერთმან (დამბაღებელმან B) BC; გინა] + თუ BC; ზუაობით A.

1) შდრ. შესაქ. 1,31.

ნუუკუე სისხლი მისი არა ჳელთა მისთაგან იძიოსა ლმერთმან? ჳე ჳეშმარი-
ტად, რამეთუ იძიოს. ნუ ემსგავსებით მათ, ძმანო ჩემნო, და ნუ აღჳზუავენებით
სილაღით, რამეთუ სილაღე და ამჳარტავანებაჲ ეშმაკისაგან არს და არა
ღმრთისაგან.

[ჲ] უკუეთუ შეიპყრას კაცი მკეცმან უმეცრებით, გინა წარილოს ლუარმან 5
თჳნიერად ცნობისა მისისა, მშუღობაჲ აჳს მას ღმრთისაგან და არა ევენოს ვი-
თარცა პირველთა მათ, ნუ იყოფინ! და უკუეთუ მოკლას კაცინან მოყუასი თჳსი,
ვერ შემძღებელ არს, ნუ იყოფინ! ესე საქმეშ ეშმაკისაგან არს და მან შემძღებელ
ყო იგი, ვინაჲთგან (5) კაცმან ჲან იუფლა იგი თავსა თჳსსა ჲედა. და არნ
ოდესმე, განსაცდელსა და ვნებასა ჳორცთასა და სენსა ბოროტსა შევარდის 10
კაცი ღმრთისა მიერ გამოსაცდელად უმჯობესისა მისისათვის და სწავლისა. ხოლო
რომელნი მორჩილ ეჳმნენ ეშმაკსა და ჳმნენ ბოროტი, ლმერთმან მიაგოს მათ
მისაგებელი საშჯელი იგი ჳოჯოხეთისაჲ. და ნეტარ არიან, რომელნი უძღურ
იჳმნენ ჳორციითა და სულგრძელებით დაუთმონ სენსა მას მადლობითა ღმრთი-
საჲთა, რამეთუ მის მიერ ყოველნი შეცოდებანი მისნი მიეტევნენ უფლისა 15
მიერ მისისა.

დაუთმეთ, საყუარელნო, სულგრძელებით და ნუ წარ[64]ხუალთ უძღურე-
ბისათვის კითხვად და კურნებად გრძნეულთა და მისანთა, არამედ მადლობით
შეიწყნარეთ ყოველი განსაცდელი მომავალი, ვითარცა იობ მართალმან
ღმრთისათვის შეიწყნარნა ყოველნი ჳირნი და დაჳსნაჲ გუამისაჲ, და არა მი- 20
ვიდა იგი კითხვად და კურნებად მისანთა და გრძნეულთა, და არცა შემლოც-
ველთა და არცა წიგნის მწერალთა, რომელი-იგი ყელსა გამოაბიან. რამეთუ
ესე ყოველი ეშმაკისა ლონე არს კაცთა საცთურისათვის. რამეთუ რაჳამს კაცი
დასნეულდის, მისწრაფინ მისანთასა. ვაჲ არს მათა, რომელნი შელოცვით
კურნებასა ეძიებენ და წიგნის წერით—სიცოცხლესა, რომელი არა ბრძანა 25
ღმერთმან საქმედ, არამედ განშორებად მისგან ჳერ-არს ჩუენდა, რაჲთა ოდეს
უძღურებაჲ და განსაცდელი შეგუემთხვოს, რაჲთა ღმრთისა, დამბადებელისა
ჩუენისა მივიღტოდით და იგი მხოლოჲ შემწე ვიყოთ და ვილოცვიდეთ ეკლე-
სიათა შინა მისთა, [ჲ] და მეოხ ვიყოფდეთ წმიდათა მოწამეთა ტაძართა შინა
მათთა სრულითა სარწმუნოებითა, და ლმერთი არს ნკურნალი ჩუენი. უკუეთუ 30
ინებოს, განმკურნეს, და თუ ინებოს, დამიტევნეს უძღურებასავე შინა, რო-
მელი მომცა ჩუენ უმ(6)ჯობესისათვის ჩუენისა, ვითარცა მან უწყის.

1 ნუუკუე A; ჳელთაგან მისთა C; ჳელთაგანვე მისთა B; იძიოს B. 2 ამით C; აღზუავენებით C
აღზუავენებით A. 5 უკუეთუ A; შეიპყრას C; ლჳარმან A; თუნიერ CB. 6 აჳს A; მშუღობაჲ C;
არა]—C. 7 უკუეთუ A; მოყუასი A; თუისი C. 8 არს] + ესე საქმე B; ესე]რ' ესე B; საქმე BC. 9
აუფლა C; თუისსა C. 11 გამოსაცდელად] + მისა CB; მისისათუშ C. 13 მისაგებელი] ბორო-
ტი C; სასჯელი] სატანჯველი BC. 15 მიეტევნენ] + მას C. 17 წარხუალთ A; უძღურები-
სათუის C. 19 აობ C. 20 ღმრთისათუის C; გუამისა მისისაჲ BC. 21 გრძნეულთასა B. 22 მწე-
რალთასა B. 23 საცთურისათუის B; კაცი] მცირედ C. 24 მისწრაფის C; მათა] მათდა C; შეჳ-
ლოცვილით C. 27 შეგუემთხვოს A, შეგუემთხუიოს C. 28 მივიღტოდით C. 29 მეოხს BC. 30 უ-
კუეთუ A. 31 განგუკურნეს B, განკურნეს C. 32 უმჯობესისა ჩუენისათვის A, უმჯობესისა ჩუენისა-
თუის C.

ჰმადლობდი ღმერთსა, რომელსა ჰნებაეს გამწმედაჲ შენი ცოდვათაგან უძლურებითა მაგით შენითა. რამეთუ რომელნი სენითა ჯორცთაჲთა გუემნის ღმერთმან, იგინი უყუარან მას, ვითარცა სიბრძნესა სოლომონისსა წერილ არს და ვითარცა თქუა ჰავლე მოციქულმან: მსწავლის ჩუენ ღმერთი აქა, რაჲთა არა ვისწავლნეთ დღესა მას აღდგომისასა. გამოაჩინა აქა მოციქულმან და თქუა, რამეთუ: რომელი განისწავლა ღმრთისა მიერ განსაცდელითა აქა, არა იტანჯოს იგი საუკუნესაჲ

არა არს ზაკუვაჲ ღმრთისა თანა და არცა ვის ტანჯვით კუალად სატანჯველად მისცვალეზს, რომელნი ჰმადლობენ მას, [67] არაჲმედ მცირედითა ამით უძლურებითა, რომლითა აქა ვიტანჯნეთ, შეგვზნდობს და მოგვსპობს ჩუენ სატანჯველთა მათ საუკუნეთა, ხოლო რომელნი მოკუდენ და არა შეემთხვოს განსაცდელი აქა, მათთჳს იტყჳს წიგნი: ბოროტ არს სიკუდილი ცოდვილთაჲ 1). არა არს ვითარცა სიკუდილი უძლურთაჲ, ვითარცა თქუა ღმერთმან ლაზარესთჳს გლახაკისა და მდიდრისა მისთჳს, ვითარმედ: მიგიღებდეს შენ კეთილი შენი საწუთროსა და მიიღე აქა სატანჯველი საუკუნოჲ კეთილთა მათ წილ 2). და ლაზარე სიგლახაკისა და უძლურებისა მისისათჳს შთაისუა წიალთა აბრაჰამისთა და სუფევს იგი საუკუნეთა შინა კეთილთა უკუნისამდე. და რომელნი უძლურ იქმნენ აქა ჯორცითა მცირედ და ჰმადლობდენ, საუკუნეთა მათ განსუენებათა ღირს იქმნენ, და აქა განსუენებულნი და ნუკვეულნი საქმლითა და სასუმლითა და ნები[შ]თა ჯორცთაჲთა საწუთროსა მცირედ ეამ მივიდენ მერმესა მას საუკუნესა შიმშილსა და წყურილსა, ბნელსა მას და ტირილსა და სატანჯველთა (7) დაუღევნელთა, ვითარცა თქუა უფალმან ჩუენმან იესუ ქრისტემან, ვითარმედ: გზაჲ იგი ცხორებად მიმყვანებელი იწრო და საჭირველ არს, ხოლო გზაჲ იგი, რომელსა მიჰყავს წარსაწყმედელად, ვრცელ და ფართო არს იგი 3).

აწ ვევედრნეთ უფალსა ჩუენსა იესუ ქრისტესა, რაჲთა შემრაცხნეს ჩუენ სახიერთა მათ მონათა თჳსთა თანა, რომელნი განსწავლნა განსაცდელითა საწუთროსა ამას, და სუფევასა მას საუკუნესა ღირს ყენა, და რაჲთა მოგუმადლოს ჩუენ საქმედ ნებაჲ მისი და სათნოებაჲ და ჯელმწიფებაჲ, რამეთუ მისი არს მეუფებაჲ და ჯელმწიფებაჲ და სუფევაჲ აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამენ.

2 უძლურობითა C; გვემნის A. 3 ~ იგინი ღწ B; უყუარან A. 4 ~ მოციქულმან ჰავლე BC. 5 აღდგომისასა C. 8 ზაკვაჲ A. 9 ჰმადლობდენ BC. 10 შეგუინდობს C; მოგუისპობს C. 11 მოკუდენ A; შეემთხუიოს C. 12 მათთჳს C; იტყჳს C; სიკუდილი A; ცოდვილთათჳს B. 13 ~ სიკუდილი ვა B. 14 ლაზარესთჳს C; მისთჳს C. 15 შენ]—C. 17 მისისათჳს C; შთაისუა A, შთაისუა C. 19 ჰმადლობდენ] + ღმერთსა B; განსუენებათა A, განსასუენებელთა C; დიდებათა B. 20 განსუენებულნი A; სასუმლითა A. 22 და სატანჯველთა] სატანჯველთა B. 23 ვა—იგი BC. 25 წარსაწყმედელსა B. 26 აწ] და აწ B; ფესუ C. 27 თჳსთა C; განსაცდელითა]—A. 28 ყუნა C; მოგუმადლოს A. 29 საქმედ]—B. 30 და ჯელმწიფებაჲ]—BC.

1) შდრ. ფსალმ. 33,22. 2) შდრ. ლუკა 16,25. 3) შდრ. მათე 7,13-14.

სწავლად ჳმიდისა იოვანე ოძროპირისად სინანულისათჳს

გუაჳურთხენ, უფალ!

ფრიად ვცოდავთ, ძმანო ჩემო, საყუარელნო, [66] ყოლადვე გონებითა, სიტყუთა და საქმითა, და ესე უწყოდეთ ქეშმარიტად, რამეთუ რომელნი ესრეთ ცხონდებიან, მოელიან იგინი ცეცხლსა მას საუყუნესა საშინელსა შევრდომად და უძკრეს ამისა დაკლებასა სასუფეველისაგან ცათაჲსა და სამოთხისა. აწ უკუე ვინაჲთგან ამას მოელით, რაჲსა იშუებთ და განცხრებით და იციინით, და უფალი თქუენი გულ-ძკრ და მრისხანე არს თქუენთჳს და თქუენ უდებ გიყოფიეს მისი, რასა-იგი გეტყჳს თქუენ დლითი-დღე, ვითარმედ: „მშოიდა და არა მეციით მე საზრდელი, მწყუროდა და არა მასუთ მე“ 1), და შემდგომი ამისი. რომელსა-იგი იტყჳს, ვითარმედ: „წარვედით ჩემგან, დაწყუელნო, ცეცხლსა მას საუყუნესა, რომელი განმზადებულ არს ეშმაკისათჳს და მსახურთა მისთა“ 2). და უკუეთუ სთქუა, ვითარმედ: მიცემია საზრდელი და მისუამს სასუმელი, რავედენ გზის გრქუას შენ, ათ გზის გინა ოც გზის, [ჟ] არა ესრე გიბრძანებს შენ უფალი, არამედ ვიდრემდის ამას სოფელსა შინა სცხოვნდებოდი-ლა, მიცემიად გინებს საზრდელისა (მ) და სასუმლისაჲ გლახაკსა. რამეთუ ხუთნი იგიცა ქალწულნი ცოფნი სწყალობდეს-ვე და მისთჳს აღენთნეს სანთელნი მათნი, ხოლო ვინაჲთგან არა სრულიად გულს-მოდგინე იყვნეს, ამისთჳს კუალადცა დაევენეს-ვე, ვიდრე მოწვენამდე სიძისა და ესრეთ დაშთეს გარეშე საქორწინესა მას და დაეწმა კარი და დაკლებულ იქმნეს იგინი სიხარულსა მას ზეცისა სიძისასა 3). ამისთჳს გვლირს ჩუენ, რაჲთა მოვიგოთ სრული სიყუარული და უცვალებელი სათნოებაჲ და მოწყალებაჲ ვიდრე სიკუდილადმდე.

იხილეთ ვითარ-იგი ილოცავს წინაწარმეტყუელი: „მიწყალე მე, ღმერთო, დიდითა წყალობითა შენითა“ 4). და ესრეთვე ჯერ-არს ჩუენდა, რაჲთა ყოველთა ვსწყალობდეთ, რამეთუ ვითარცა უყოთ ძმათა ჩუენთა, ეგრეთვე მეყოს ჩუენ უფლისა მიერ. და მოწყალებაჲ სრული იგი არს [67], ოდეს-ლა ნაკლულევა-ნებისაგან ჩუენისა შევიწყალნეთ ძმანი ჩუენნი, ვითარცა-იგი ქურივმან, მან სარეთთელმან ელია 5), და კუალად ქურივმან მან ორთა მწულილთა შემწირველმან 6). ხოლო უკუეთუ ნამეტავისაგანცა ჩუენისა არა შევიწყალნეთ ძმანი ჩუენნი, რომელსა წყალობასა ღირს ვიქმნეთ ჩუენ ღმრთისა მიერ! რამეთუ უკუეთუ

1 წმიდისა იე თკროპირისაჲ] მისივე C; სინანულისათუის C. 2 გუაჳურთხენ, ო'ო]—A, კსნ B. 3 საყუარელნო A. 5 ცხოვნდებიან BC. 6 უძკრეს C; დაკლება C; სასუფეველისაგან BC. 7 უკუე A; ამას]—A; რასა აშუებთ C. 8 გულძკირ C; თქუენთ' C. 9 მისი] არა გვსმისა C, არა განმისა B; გეტყუის C; თქუნე] შენ BC; დლითი-დღე C. 10 მასუთ C. 11 ჳ დაწყუელნო BC. 12 რ'ი განმზადებულ არს] განმზადებულსა BC; ეშმაკისათუის C. 13 უკუეთუ A; სთქუა A; მიცემიეს BC] + მე BC; მისუამს A; სასუმელი A. 14 გრქუას A; ათ გზისა C. 15 სცხოვნდებოდი-ლა] იყო C. 16 სასუმლისა A; და სასუმლისაჲ]—B. 17 იგიცა] იგი B; ამისთჳს B, მისთუის C. 18 სრულიად]—B; იყუნეს C] იქმნეს B; ამისთუის C. 18-19 კუალადცა A. 21 ამითუის C; გუიღირს C; სიყუარული A] სათნოებაჲ და მოწყალებაჲ BC. 22 სათნოებაჲ და მოწყალებაჲ] სიყუარული BC; სიკვდილადმდე A. 23 იხილეთ C. 25 უყოთ] + ჩუენ BC. 26 ნაკლულევაენებისა ჩუენისაგან BC. 28 კუალად ქურივმან A; მან]—B; მწულილთა A. 29 უკუეთუ A; ნამეტავისა ჩუენისაგანცა C; არა] არავე C. 30 წყალობას C; ვიქმნეთ] ვართ BC; უკუეთუ A.

1) მათე 25,42. 2) მათე 25,41. 3) მათე 25,1-12. 4) ფსალმ. 50,1. 5) III მეფე 17,9-16. 6) ლუკა 21,2.

ქალწულთა მათ შემდგომად ეგოდენთა შრომათა ვერ პოეს წყალობაჲ და არცა ნუგეშინის-ცემად, ჩუენ რაჲ უკუე სასოებაჲ გუაქუნდეს ოდეს, ვინაჲთ-გან გუესმის ვმაჲ იგი, რამეთუ: ვინაჲთგან არა ჰყავთ წყალობაჲ ერთსა მცი-რეთაგანსა თანა, ჩემ თანა არა ჰყავთ¹⁾. ესე არა ხოლო თუ მოწაფეთა და მო-
 5 ნაზონთა ოდენ ამცნო [უფალმან], არამედ ყოველთა, რომელთა ჰრწამს სახელი მის მხოლოდსაჲ.

უკუეთუ შეურაცხ და უგულბელს ვყოთ გლახაკი მშიერი, გუესმეს ჩუენ ვმაჲ იგი საშინელი, ვითარმედ: „წარვედით ჩემგან, (9) დაწყეულნო“²⁾. მოედით აწ და გულისვმა-ვყოთ, ფრიად მძიმე რაჲმე მცნებაჲ გუამცნოა ჩუენ უფალ-
 10 მან, რომლისა ვერ შემძლებელ ვართ აღსრულებად, ანუ სუბუქი? არა თუ მძიმე, არამედ ფრიად სუბუქი და მარჯუე. რამეთუ არა ნრქუა ჩუენ, ვითარმედ: „სნეულ ვიყავ და არა განმკურნეთმე“, [უ] არამედ: „არა მომხედეთ მე“³⁾. და არცა თქუა, ვითარმედ: „მშიერ და გლახაკ ვიყავ და არა განმამდიდრეთ მე, არამედ: არა მეცით მე საზრდელი“⁴⁾. და არა თქუა, ვითარმედ: „საპურობილესა ვიყავ
 15 და არა გამომიყვანეთ მე“, არამედ: „არა მოხუედით ჩემდა“⁵⁾.

აწ ვინაჲთგან ცირე ესე და სუბუქი მცნებაჲ მამცნო ჩუენ უფალმან, და ჩუენ ესეცა უგულბელსვე ვყავთ, ამისთჳს ძვრ-ძვრთა სატანჯველთა შემავალ ვართ. რაჲ უკუე სიმძიმე აქუს ამას, უკუეთუ მიხუდე შენ საპურობილედ კითხვად პურობილისა, გინა რასა დაიჭირებ, არამედ უფროდსა სარგებელ
 20 იყო, რაჲეაზს იხილნე კაცნი პურობილნი: რომელნიმე შებორკილებულნი მრჩობ-ლითა ბორკილითა და რომელნიმე ჭუნდთა შინა დამდნარნი ქირითა, მშიერნი და ძონძითა მოსილნი და ტილთა შექმულნი, და რომელნიმე უწყალოდ ტან-ჯულნი და მწარედ გუემულნი, და ოდეს ესენი იხილნე, დაღაცათუ გული შენი ქვისაჲ იყოს [ნა], მო-ვე-ლბეს იგი და დამდაბლდეს ხილვითა მათ სატანჯ-
 25 ველთაჲთა. და მოგეკსენოს დღე იგი განკითხვისაჲ და საუკუნენი იგი მრავალ-ფერნი სატანჯველნი. და ოდეს ესე მოიქსენო, შეწუხნეს გული შენი და გველტოდის შენ ყოველი ამპარტაფანებაჲ და ზუაობაჲ, და იყო შენ ვითარცა ყუდროჲ ნავთ-საყუდელი.

რამეთუ ოდეს გულისვმა-ჰყო, ვითარმედ ღმერთმან უ(10)ბრძანა კელ-
 30 მწიფეთა სწავლად და ტანჯვად ძვრის მოქმედთაჲ, უფროდსა და უმეტეს იგი თავადი განმზადებულ არს გუემად ცოდვილთა, რამეთუ: „არა არს კელმწიფე-ბაჲ გარნა ღმრთისა მიერ“, ვითარცა იტყჳს მოციქული პავლე. ხოლო არა თქუა,

1 ეგოდენისა შრომისა B. 2 უკუე A; გვაქუნდეს A; ვინაჲთგან]—BC. 3 გუესმეს C, გუესმის A; იგი]—C; ერთსა] + ზედა B. 3—4 მცირეთაგანსა] ერთსაგანსა თანა მცირედეთაგანსა C. 4 თანა]—C; თუ]—B. 7 შეურაცხ] + ვყოთ CB; გუესმეს A. 8 დაწყეულნი C; # დაწყეულნი B; მოედით BC. 9 ფრიადი C; გუამცნო A, გუამცნო B. 11 მარჯუე A] კეთილი B; რამეთუ არა]—B; მრქვა A; ფრიად]—B. 12 სნეული C; მე]—AB. 13 გლახაკი C. 15 მოხუედით A. 17 უგულბელს BC; ამის-თუის ძირ-ძირთა C] + და ბორტთა BC. 18 უკუე A; აქუს A; მიხუდე C. 19 დაჭირებ C; 20 იყო] გვეოს B; იხილნი B. 21 ჭუნდსა BC. 22 გუმულნი A; ესე C. 24-25 ~ იგი ხილვითა მათ სატანჯველთაჲთა და დამდაბლდეს C. 25 დღეს C; ~ და საუკუნო იგი მრავალფერი სატანჯ-ველი B. 26 მოიქსენო C; გული] სული BC. 27 შენ]—B; ზუაობა A. 28 მყუდრო B; ~ნავთსაყუ-დელი მყუდრო C. 30 ძირის C. 31 თავადითუთი C, თჳთ B; გვემად A. 32 იტყჳის C.

1) მათე 25,45. 2) მათე 25,41. 3) მათე 25,43. 4) მათე 25,42. 5) მათე 25,43.

ვითარმედ: არა არს ჳელმწიფჳ, არამედ ჳელმწიფობაჲ, რამეთუ უკუეთუ ჳელ-
მწიფე უმსჯავროჲ და უსამართლოჲ იყოს, ესე არა ღმრთისა მიერ არს, არა-
მედ თავისა თჳსისა დასაშჯელად აღდგების.

ხოლო უკუეთუმცა არა პატიეულ ჰყოფდეს ჳელმწიფენი ძჳრის მოქმედთა
[უ] მყისა შინა, მო-მცა-ისპო ყოველი ქუეყანაჲ მათ მიერ, რამეთუ ესერა მრა-
ვალნი იტანჯებიან და არავე დასცხრებიან ძჳრის საქმედ, რავედენ უფროჲს
უკუეთუმცა არა იტანჯებოდეს. და ოდეს იხილო ესე ხილვაჲ საპყრობილეს,
სარგებელ გეყოს იგი უფროჲს ხილვასა თიატრონისასა მომღერალთა და გან-
მცხრომელთასა, ვითარცა-იგი თქუა სოლომონ ბრძენმან, რომელი შემძლებელ
იქმნა და მოიგნა ყოველნი საშუებელნი და განსასუენებელნი და განსაცხრო-
მელნი ქუეყანისანი,—ამან თქუა, ვითარმედ: „უმჯობეს არს კაცისაჲ მისლვად
სახლით განსაცხრომელით სახლად გლოვისა, რამეთუ მისგან დაჯერებულ
იქმნე და ამისგან სარგებელ გეყოს“¹⁾.

აწ უკუე ნუ უდგებ იქმნები ესევეთარისა სავაჳროდსაგან, დაღაცათუ რა-
ჯამს-იგი შევიდეთ საპყრობილედ, ვერ შემძლებელ ვართ მიცემად ღრაჳკნისა
და ვერცა ღრაშისა. არამედ სხჳსა შემძლებელ ვართ ნუგეშინის-ცემად სიტყჳთა
შეურვებულსა მას [69] მწუხარებითა და ვედრებად მესაპყრობილეთა, რაჲთა
აუსუბუქონ სატანჯველი იგი მათი. ვეზრახნეთ ზედამდგომელთა მათთა და
ესრეთ სათნო ვეყვნეთ მათ და უფროჲსლა ჩუენ სარგებელ ვიყოთ (11) მათგან.
და უკუეთუ სთქუა, ვითარმედ საპყრობილესა არავეინ კეთილისა მოქმედთაგანი
შეყენებულ არს, არამედ ძჳრის მოქმედნი და კაცის-მკლველნი, ავაზაკნი და
მსიძაენი, ხოლო მე გეტყჳ, დაღაცათუ ეგე ვგრეთ არს, არამედ გიღირს შენ
მისლვაჲ მათა, რამეთუ არა ბრძანებულ არს შენდა წყალობაჲ სახიერთაჲ ხოლო
და კეთილთაჲ, არამედ ყოველთაჲ, ვითარცა სახარებასა წერილ არს: „იყენით
უკუე მოწყალე, ვითარცა მამაჲ თქუენი ზეცათაჲ“²⁾, რაჳეთუ აღმოავლინებს
ზხესა და აწჳმებს მართალთა ზედა და ცოდვილთა³⁾.

აწ უკუე ნუ ხარ გამომეძიებელ ცოდვათა სხჳსათა, არამედ თჳსთა ცოდ-
ვათა იურვოდე. და უკუეთუთუ არა ხარ მპარავ და არცა მეძავ და არცა კა-
ცის-მკლველ, არამედ [უ] სხუაჲ ცოდვაჲ გაქჳს მსგავსი ამათი, რამეთუ მრა-
ვალ გზის ჰრქჳ მასა შენსა ცოფ, და ესე მოგიგებს შენ ცეცხლსა საუკუნესა⁴⁾.
და კუალად მიჰხედი დედაკაცსა თუალითა გულის-თქუინისაჲთა და ესე სრული

1 ჳელმწიფე BC; უკუეთუ A. 2 ~ უსამართლო და უმსჯავროჲ C. 3 თუისისა C. 4 უკუეთუმცა A; ძჳრის C. 6 ძჳრის C. 7 უკუეთუმცა A. 8 თიატრონისასა C, თეატრონისასა B. 10 მო-
გნა C; საშუებელნი A; განსასუენებელნი A. 11 კაცისა BC. 12 სახლად| სახლსა C; გლოვასა
C. 14 უკუე A. 16 და ვერცა| ვერცა B; სხუისა C; ნუგეშინის-ცემად| + მათა B. 17 შეურვებუ-
ლისა მის B. 18 აღუსუბუქონ BC; ვეზრახნეთ ზედამდგომელთა მათთა|—B. 19 სათნო| სარგე-
ბელ BC; ვეყუნეთ C. მეყოს B; მათ|—B; და უფროჲსლა... მათგან|—B. 20 უკუეთუ სთქუა A;
არავეინ საპყრობილესა კეთილისა მოქმედი C, არავეინ კეთილის მოქმედ საპყრობილესა B. 21
ძჳრის C. 21-22 და მსიძაენი|—B. 22 გეტყუი C; გუიღირსვე CB; შენ|—C, ჩუენ B. 23 მათდა
C; შენდა| + მისლვაჲ და B. 24 და კეთილთაჲ|—B. 25 უკუე A; ზეცათა| + მოწყალე არს B.
26 აწუიშებს C. 27 უკუე A; ხართ C; სხუისათა C; თუისთა C. 28 აურვოდე C; უკუეთუ A;
~ მეძავ, არცა მპარავ C, მეძავ და არცა მპარავ B. 29 სხუაჲ A; გაქჳს A; ამათი| მათი C.
30 ჰრქუი C; მოგაგებს B. 31 კუალად A; მიხედე C; თუალითა A, თუალით B; -თქუმისაჲთა A.

¹⁾ ეკლ. 7,3. ²⁾ ლუკა 6,36. ³⁾ მათე 5,45. ⁴⁾ მათე 5,22.

სიძვად არს და ამისა უფროდს¹⁾, რამეთუ ვეზიარებით ეამსა უღირსებით, და ესე მოაწვეს ჩუენ ზედა არა მცირედთა სატანჯველთა. და ამას ყოველსა თანა, რამეთუ საპყრობილესა მრავალნი კეთილის მოქმედნი არიედ, და ჩუენ არა უწყოდით, რამეთუ ოდესმე იოსებცა კეთილის მოქმედი უსამართლოდ შეყენებულ იყო საპყრობილესა მას მრავალთა თანა ბოროტის მოქმედთა, და იგი სწყალობდა მათ და უმსჯავროდ პყრობილ იყო, რომელსა ყოველი ეგვპტე ვერესწორებოდა სიმართლითა²⁾. და ესე ეგების, რაჲთა იყენენ საპყრობილესა მრავალნი მართალნი უსამართლოდ, რომელნი ჩუენ არა უწყნით. ხოლო დალა-ცათუ ერთიცა არა [70] იყოს კეთილის მოქმედი, ჯერ-არს ჩუენდა თუალვად მათი, რამეთუ უფალმანცა ჩუენმან არა თუ (12) კეთილის მოქმედნი შეიწყნარნა და ძკრის მოქმედნი უგულუბელს-ყენა, არამედ მეძავსაცა მიუშუა შეხებად და დაბანად ფერკთა მისთა წმიდათა³⁾. და ურჩულონი ჰურიანი უგუნურობით აყუედრებდეს და ჰგმობდეს მას. ამისთვის, და რამეთუ მეზუერეთა და ცოდვილთა თანა ქამდა⁴⁾. და ჩუენ გუასწავა ცოდვილთა შეწყნარებად და წყალობად, და არა განგდებად და განშორებად.

და უკუეთუ სთქუა, ვითარმედ: ყოველი საპყრობილს საესე არს ავაზაკითა და მრავალ-ფერითა ძკრის მოქმედებითა, მითხარ-ლა ქალაქისა მკვდრნი ყოველნი კეთილის მოქმედნი არიანა? რამეთუ მრავალნი ვაჰარნი, მეკობრენი და ავაზაკნი, იფარვენ ბოროტისა საქმეთა და უდაბნოსა გარე მეკობრობენ. ხოლო მრავალნი მოქალაქენი [8] ცხადად და ურცხვროდ თუალთა წინაშე. მოიტაცებენ მონაგებსა კაცთასა ზაკუევით და ისამართლებენ. და ძნიად ჰპოო ქალაქსა შინა კაცი, რომელსა სიმართლისა მონაგები აქუნდეს. და უკუეთუ, სთქუა: არავის მონაგებსა ძლით მოულებენ, ხოლო მე გრქუა, ვითარმედ: ზაკუევით შეიტყუებენ და შეაცთუნებენ კაცთა და უსამართლოდ წაულებენ.

რამეთუ ესე ცხად არს, ვითარმედ რომელმან განყიდოს რაჲ უმეტეს ფასისა მისისა, რაჲ-იგი ღირდეს, იგი მეკობრე არს და უძკრეს ავაზაკთა არს. იგი: რამეთუ ავაზაკმან იცის ბრალი თვისი და მრავალ გზის შე-ცა-იკდიმის და შეინანის, ხოლო ვაჰარმან, ოდეს შეიტყუის კაცი და წარილის მონაგები მისი, ცხადად შეძინების უჩნ და სამართლად ჰხედავენ, და უფროდსა გულს-მოდგინე იქმნის საქმედ უჯეროდსა მის. და უკუეთუ ეგრე სთქუა: არა არს ვაჰ-

2 თანა] ხედა B. 3 არიან C. 4 უწყით C] ვიცით B; მოსებცა C; კეთილის მოქმედი] + იყო B; და უსამართლოდ B. 5 მას]—B. 6 ეგუიპტე C. 7 იყუნენ C; საპყრობილესა] + შეყენებულ BC. 9 თუალვად A. 10 კეთილის მოქმედნი] + ოდენ C, + ხოლო B. 11 -ყუნა C; მიუშუა A; მეძავნიცა B] + შეიყუარნა და B. 12 ბანად CB; უსჯულონი C. 12-13 უგუნურობით BC. 13 მას]—BC; ამისთვის C; და რამეთუ] რ BC; ამისთვის C; მეზუერეთა A; 14 გუასწავა A; და წყალობად]—C. 16 საპყრობილე BC; ავაზაკითა] + და ყოველითა B. 17 ძკრის C; მითხარ-ლამე C; მკუიდრნი C. 18 ვაჰარნი] + მეკობრეთას უძკრეს არიან რამეთუ BC. 19 ფერგენ: C; ბოროტის საქმესა B. 20 ურცხვროდ C; თუალთა A. 21 მოიტაცებენ C; ზაკუევით A; ისამართლებენ] უსამართლოდ B; ჰპოო C. 22 აქუნდეს A; უკუეთუ A. 23 სთქუა] + თუ B; გრქუა A. 23-24 ზაკუევით A. 24 შეიტყუებენ C; წარულებენ CB. 25 რაჲ]რაჲმე BC. 26 რაჲ-იგი] რადენის. BC; ~ ავაზაკთა უძკრეს C. 27 იგი]—C; თვისი C. 29 ხედავენ C. 30 უკუეთუ A; სთქუა A] + ვითარმედ C.

1) მათე 5,28. 2) გამოსვლ. 39,19-23. 3) ლუკა 7,37-38. 4) მათე 9,10-11.

რობად პარვა, გრქუა შენ: (13) უკუეთუ სამართლით არა ჰზრახვიდე და სა-
შართალსა არა მისცემდე, [71] არს იგი პარვა და მეკობრობა; და უკუეთუ რამდე
ჯანჭყიდო უფროს ფასისა თჳსისა, არს იგი მოტაცება; და უკუეთუ სთქუა,
არა კაც-მიკლავს, გეტყვ შენ: უკუეთუ თუალ-ახუნე და სიმართლით არა გან-
ჭბჳო, კაცის-კლვად არს ესე.

აწ უკუე ნუ უდებ ხარ შენტა ცოდვათათჳს და განიკითხავ სხჳსა ცოდ-
ვათა, არამედ გულ ისჯმა-ვყოთ, ვითარ ვიყვენით პირველ, და დაემდაბლდეთ,
ვითარცა თქუა წმიდამან პავლე, ვითარმედ: ვიყვენით ოდესმე განდგომილ,
ხოლო აწ შევიწყალენით, რამეთუ გარდამოიხილა ჩუენ ზედა ღმერთმან და
გამომიყვანნა ჩუენ საპყრობილისაგან მტერისა და არა სირცხულ უჩნდა მას
მსგავსებად ჩუენი, არამედ მოვიდა და გამომიქსნნა ჩუენ თჳსითა სისხლითა,
რომელნი ღირს ვიყვენით ბევრეულთა სატანჯველთა და აღმითქუა სასუფე-
ველი ცათად.

უკუეთუ მივემსგავსნეთ საქმეთა მჯსნელისა ჩუენისათა, რომლითა შეუძლოთ,
ვითარცა ჰრქუა მოწაფეთა თჳსთა: „უკუეთუ [ჟ] მე დაგბანენ ფერჯნი, უფალმან
და მოძღუარმან თქუენმან, ჯერ-არს თქუენდაცა, რადთა ესრეთვე ჰყოფდეთ ურ-
თიერთას, რამეთუ სახშ მიგეც თქუენ, რადთა უწყოდით, რომელი გიყავ თქუენ“¹⁾.
და არა ხოლო თუ დაბანისათჳს გვბრძანა სახშ ესე და მსგავსებად მისი, არა-
მედ ყოვლისავეთჳს, რომელი მიყო ჩუენ. დაღაცათუ რომელი-იგი საპყრობი-
ლეს არს, კაცის-მკლველ არს, ხოლო ჩუენდა არა ჯერ-არს გამოწულილვად ბო-
როტთა მისთად, არამედ წყალობად შენთხუევათა მისთათჳს.

და ნუუკუე არიანცა საპყრობილეს კაცნი უმჯობესნი ყოველთა მკვდრთა
ქალაქისათა, და ოდეს ვიიძულოთ მისლვად მათა დლითი-დღედ სიყუარულით,
არა წარგვწყმდეს სასყიდელი შრომისა ჩუენისად. ვითარცა-იგი აბრაჰამ შეიწყნა-
რებდა ყოველთა მიმავ[ა]ლთა მისა, ვიდრენღის ანგელოზნიცა (14) ისტუმრნა²⁾, და
ჩუენცა, უკუეთუ მოსწრაფე ვიყვენთ მისლვად საპყრობილედ, მოვიგოთ მადლი.
კაცთა წმიდათად შრომითა [72] მნებავს უკუე სიტყუად თქუენდა და არს იგი
საკრეველ, რამეთუ არა ყოველმან რომელმან შეიწყნაროს მართალი და წმიდად,
ღირს არს იგი ქებასა, ვითარ-იგი რომელმან შეიწყნაროს ცოდვილი და მდაბა-
ლი. რამეთუ მართალი იგი სამართლად ღირს არს შეწყნარებად და ყოველნი კაცნი
პატივ-სცემენ მას, ხოლო ცოდვილი და ბოროტის მოქმედი არავის ეწყაღინ

1 უკუეთუ A; ზრახვიდე C. 2 და უკუეთუ უკუეთუ B. 3 ~ განჭყიდო რამდე BC; თჳსისა|
მისისა რაას იგი ღირდეს C; უკვეთუ A; სთქვა A] + ვდ BC. 4 გეტყვი C; უკვეთუ A; თვალ-
ახუნე A; სამართალით C. 5 -კლვა BC. 6 უკვე A; ცოდვათა შენთათჳს CB; სხუისა C; ცოდვა-
თასა B. 7 ვიყვენთ B; პირველად BC. 8 წმიდამან]—C. 9 გარდამოიხილა C. 10 სირცხული C.
11 თუისთა; C. 12 რომელნი] ესე რომელნი B; ტანჯვათა BC; აღმითქვა A]+ჩუენ C. 14 უკ-
ვეთუ A; რომელთა B. 15 თუისთა C; უკვეთუ A; ფერჯნი]+ თქუენნი C. 16 მოძღუარმან A.
18 დაბანისათჳს C; გუიბრძანა C, გიბრძანა B; გვბრძანა]+ მაცხოვარმან სახე BC. B. 19
ყლისავეთჳს C. 20 გამოწულილვად A. 21 შემთხვევათა A; მისთათჳს C. 22 ნუკუე A; ნუუკუ-
ეცა არიან BC; საპყრობილესა შინა B, საპყრობილოს C; კაცნი]+ პყრობილნი C; უმჯობესნი|
უმსჯავრონი B; მკუიდრთა C. 23 მათდა C; სიყუარულით| სურვილით BC. 25 მისა| მისთა B.
26 ვიყუნეთ C. 27 უკვე A; სიტყუად A. 28 საკუირველ C. 29. და მდაბალი]—A. 30 სამართლად C.

1) იოანე 13,14-15. 2) შესაკმ. 18,1-8.

თვნიერ დიდად მოწყალისა ვისმე. ესე არს წყალობაჲ წმიდაჲ და უბიწოჲ-
რამეთუ რომელმან შეიწყნაროს ღირსი წყალობისაჲ, არარაჲ საკვრველ არს,
ხოლო რომელმან შეიწყალოს არაღირსი წყალობისაჲ ღმრთისათჳს, მან აღის-
რულოს ბრძანებაჲ იგი ღმრთისა ჩუენისაჲ, ვითარმედ: ოდეს ჰყო სერი, მოუ-
წოდე მწუხარეთა, მკელობელთა, განრღუეულთა, უღონოთა¹⁾. და კუალად ბრძა-
ნებულ არს ჩუენდა მიცემად მისა ყოველი, რომელი მევედრებოდის ჩუენ²⁾.

აწ უკუე ვინაჲთგან მიცნობიეს ჩუენ საფასჲ იგი, რომელი საპყრობილეს
არს, [ჟ] ვისწრაფოთ მისლგად მუნ; დაღაცათუ არაჲ მაქუნდეს ჩუენ მიცე-
მად მათდა, შენძლბებელ ვართ ნუგეშინის-ცემად ნათდა სიტყჳთა, რამეთუ
10 არა თქუა ქრისტემან, ვითარმედ: „საპყრობილეს ვიყუად და არა მომიტანეთ“,
არამედ „არა მოხვედით ჩემდა“³⁾. რამეთუ ოდეს მიხზდე და ნუგეშინის-სცე, მოგ-
ცეს შენ აურაცხელი ნადლი მის მიერ. და არაჲ დაამდაბლებს გულსა კაცისასა
და შეჰმუსრავს გულის-სიტყუათა, ვითარცა-იგი შემთხვევაჲ განსაცდელისაჲ
და მწუხარებისაჲ. და უკუეთუმცა ეტყოდე შენ ამას კაცსა არა-პყრობილსა
15 საპყრობილესა შინა, შეურაცხ-მცა სამე-ყვნა სიტყუანი შენნი და განბასრნა
იგინი, ვითარცა-იგი ჰურიათა შეურაცხ-ყვნეს ზრახვანი პავლესნი, ხოლო პყრო-
ბილნი იგი მისთანანი ერჩდეს (15) სიტყუათა მისთა გონებითა წმიდითა⁴⁾.

აწ უკუე ვინაჲთგან გვცნობიეს ეჲე ყოველი, ვსძლოთ და მოვიცალოთ
მსოფლიოჲსაგან უცალოებისა ჩუენისა და ცუდთაგან განზრახვათა და მივის-
წრაფოთ [73] საპყრობილედ და ნუგეშის-ვსცეთ მას შინა პყრობილთა მყოფთა
20 და ვასწაოთ გულთა ჩუენთა სიმდაბლჲ ხილვითა სატანჯველთა მათთაჲთა და
ვიქმნეთ ჩუენ მოწყალე, სახიერ და გულ-ჩჩულ ყოველთა ზედა მწუხარეთა და
ქირვეულთა. და ვექმნეთ ჩუენ მიზეზ კეთილის ყოველთა, რომელთა მიხილნენ
ჩუენ დიდებად სახელსა ღმრთისა ჩუენისასა, და მივემთხვნეთ კეთილთა მისთა
25 დაუსრულებელთა მოწყალებითა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესითა.

პირველი გზაჲ ვსნისა და ცხორებისა ჩუენისაჲ არს მოწყალებაჲ და ქვე-
ლის საქმჲ სამართლით მონაგებთაგან, ხოლო რომელი უსამართლოდ მონაგებ-
თაგან იქმნ ქველის-საქმესა, იგი უფროჲს-ლა შეიგინებინ ნით ნაცკალად მად-
ლასა. ვისწრაფოთ უკუე განზნად ცოდვათა ჩუენთა, რამეთუ პირველად გა-
30 ნიბანების იგი ნათლის-ლებითა და შემდგომად მისა მრავლითა საქმითა გან-
წმიდნების, რამეთუ ღმერთი მოწყალე და სახიერ არს, და მოგუცნა ღონენი
[ჟ] მრავალნი შესანდობელად ცოდვათა ჩუენთა მრავალთა. ხოლო პირველი

1 თვნიერ C; მოწყალისა C. 2 შეიწყნაროს) შეიწყალოს BC; საკუირველ C. 3 შეიწყალოს) შეიწყნაროს BC; ღმრთისათუის C; აღასრულოს B, აღასრულა C. 5 განდევულთა A; კვალად A. 7 უკუე A; საფასე BC. 8 მაქუნდეს A; მიცემად მათდა) რომელ მივსცეთ მათ B. 9 მათა B; სიტყუი-
თა C. 11 მოხვედით A; მიხუიდე C; მოგეცეს BC. 12 არაჲ) არარაჲ BC. 13 სიტყუათა A; ვა-იგი) ვა A; შემთხვევა A; განსაცდელისა C. 14 უკუეთუმცა A. 15 შინა)—C; შეურაცხ-სამე-მცა (C; ყუნა C; სიტყუანი A. 16 ზრახვანი) + იგი B. 18 უკუე A; გუიცნობიეს C. 20 საპყრობი-
ლოდ C; პყრობილთა)—BC. 21 სიმდაბლე BC. 22 ვიქმნეთ B; გულ-ჩჩრული C. 23 კეთილისა B. 24 მივემთხუიეთ)—C. 25 დაუსრულებელთა)—B; ეესუ C; ქრისტესითა) + რომლისაჲ არს დიდე-
ბაჲ C. 27 საქმე BC; მოგებულთაგან C. 28 შეგინებინ C, შეიგინებინედ B. 29 უკუე A. 30-31 განწმიდების BC. 31 მოგუცნა A) + ჩუენ BC.

1) ლუკა 14,13. 2) მათე 5,42. 3) მათე 25,43. 4) საქმე მოც. 28,24.

ლონე შემდგომად ნათლის-ღებისა არს ქველის საქმს, ვითარცა თქუა წინა-
წარმეტყუელმან, ვითარმედ: ქველის საქმითა და სარწმუნოებითა აღიგოცე-
ბიან ცოდვანი. ხოლო ქველის საქმესა მას იტყვს, რომელი არს სიმართლით
მონაგებთაგან და არა თუ უსამართლოთა, რამეთუ უსამართლოდ მოგებუ-
ლისაგან ყოფად არა არს ქველის საქმს, არამედ მოკლვად და მომძლავრებად. 5
და ვითარცა ჰპოე გზასა ზედა დაგდებული მძორი ვირისაჲ და აღილე და
წარუდგინე იგი შესაწირავად (16) საკურთხეველსა ზედა, არამცა ყოველთა
კაცთა, რომელთა იხილეს ესე, აღეგზნეს მოკლვად შენდა გულის წყრომით,
ვითარცა შემაგინებელსა და შემაბილწებელსა საკურთხეველისასა? ეგრეთვე
უსამართლოდ მონაგებთაგან ქველის საქმს უმწინკულეგანეს და უბილწეს ამისა 10
არს. რამეთუ საკურთხეველი ქვათაგან [74] აღშენებულ არს და უკუეთუ შეი-
გინოს იგი, კუალად იკურთხოს და განწმიდნეს, ხოლო ქველის საქმს ქრისტეს
საზრდელი არს და წმიდაჲ და უბიწოჲ, ჯერ-არს წარდგინებად ქრისტეს ტაბ-
ლასა. და უკუეთუ სთქუა, ვითარნედ: არა მას მივსცემ ქველის საქმარად,
რომელი-იგი უსამართლოდ მოვიტაცე კაცთაგან, არამედ სხუასა მონაგებთა 15
ჩემთაგანსა სიმართლისასა.

ესე ფრიად უგუნურება და ცთომილება არს. არა უწყია, რავეთუ (უკუეთუ)
ფრიადსა მონაგებსა სიმართლისასა მცირედი-ლა რაჲმე უსამართლოჲ შეერთოს,
არა ყოველივე იგი შეიგინოსა? ვითარლამცა ქურსა ფრიად დიდსა, სავსესა ზე-
თითა გინა ღვინთა გინა ლაკუასა, სავსესა წყლითა, შთავარდა მცირე თაგვ, გინა 20
სხუაჲ რაჲმე ქუეწარძავალთაგანი და მოიშთოს, არამეა ყოველი იგი სიმრავლს
შეიგინოსა მცირედითა მით? გინა ვითარცა შთააგდო წყაროჲსა თავსა მძორი
რაჲმე, არამცა ყოველი ღვინარე შეიგინისა? ეგრეთვე ოდესლა შეერთოს
ფრიადსა მონაგებსა [7] მცირედი რაჲმე უსამართლოჲ, ყოველსავე მას შეა-
გინებს უცილობელად. და უკუეთუმცა ეკლესიად შეხვდოდე, არამცა ინებე 25
შესლვაჲ ჰელ-უბანელმან. უფროსლა გიღირს განწმიდაჲ უსამართლოჲსაგან და
მოხუეჰისა, რამეთუ არა ჰელ-უბანელობაჲ შეაგინებს კაცსა, ვითარცა თქუა
მატხოვარმან¹⁾, არამედ სულისა მწინკულეგანებასა განიკითხავს ღმერთი.
(17) და ესე ფრიად უგუნურება არს ჩუენდა, რამეთუ მცირეთაგან გუე-
შინის და ვეკრძალვით, და ფრიადნი უდებ და შეურაცხ გკყოფიან მედგრობით. 30
აჲ უკუე პირველად განვიბანოთ მწინკული ცოდვათა ჩუენთაჲ მოწყალეებითა
და დაეაყენნეთ ჰელნი ჩუენნი უმსჯავროდ მოხუეჰისაგან, და მაშინ განვირთხათ

1 საქმე BC. 3 იტყუის C; არნ)—A, არს B. 4-5 მოგებულთაგან B; განყოფა B, ყოფა C.
6 ვითარცა B; ჰპოე B; ~ მძორი ვირისაჲ დაგდებული B. 8 აღეგზნეს BC. 8-9 ~ გულის წყრომითა
მოკლვად შენდა B. 9 საკურთხეველისასა] საკურთხეველსა ზედა B. 10 საქმე BC; უმწინკულეგანეს
A; ამისა A. 10-11 ~ არს ამისა B. 11 უკუეთუ A. 12 კვალად A; განწმიდეს BC; საქმე BC.
14 უკუეთუ A; სთქუა A; ქველის საქმედ C. 15 სხვას A. 18 მცირედი BC; უსამართლოლა BC.
19 შეაგინოს C; და სავსესა B. 20 ლაკუასა A; სავსესა წყლისა] წყლისასა BC; შთავარდეს BC;
თაგლი C. 21 სხუაჲ A; ქუეწარძავალთაგანი A; მოიშთო C, იშთო B; არამე B, არამე C;
სიმრავლე BC. 22 შეიგინისა C, შეიგინის B; ვარცა BC; შთააგდე BC. 23 არამ-
ცა] არამე CB; ყი იგი HC; შეიგინის B. 24 ყოველსა C; მასვე C. 25 უცილობელად — B;
უკუეთუმცა A; შეხუიდოდე C; ანებე C. 26 გვიღირს A. 27 მოხუეჰისა A; არა] არათუ CB. 28
მტხოვარმან C; მწინკულეგანებასა A. 29-30 გვეშინის A. 30 ვეკრძალვით C; გუიყოფიან C. 31
უკუე A; მწინკული A; განებანოთ მწიკული B; ცოდვათა A] სულთა C, სულისა B; ჩუენ-
თაჲ]—B. 32 მოხუეჰისაგან A.

1) მათე 15,20.

იგი მიცემად ქველის საქმარსა. ხოლო უკუეთუ მითვე ჭელითა მოვიხუეკდეთ რომელთამე მონაგებთა და მითვე რომელთამე განუყოფდეთ, დალაცათუ არა მონახუეკსა მისცემდე, არამედ სხუასა, არა განერები სატანჯველთაგან საუკუნეთა. [75] რამეთუ გექმნა ქველის საქმე იგი მიზეზ მოხუეკისა. და რომელი ესრეთ იქმოდის ქველის საქმესა, უმჯობეს არს მისა არა საქმე. და ვითარმედ მცირედისათუცა და უნდოესა შეწირვასა ღმრთისა მიმართ უმჯობეს არს ყოლადვე არა შეწირვაჲ, რამეთუ ამისთუც განრისხნების ღმერთი, რავდენ უფროას რომელმან მონახუეკი და უსამართლოჲ განუყოს, რამეთუ ჰრქუას მას, ვითარმედ: მე გიბრძანე ყოლადვე არაივისი მოხუეკაჲ და შენ სხუათა მონახუეკითა გნებაესა დაჯერებაჲ ჩემი? ჰგონებ სამეა, ვითარმედ ესე სათნო არს ჩემდა? ვითარცა თქუა დავით წინაწარმეტყუელმან: „ჰგონებ სამეა, ურჩულოო, გულსა შენსა, ვითარმცა მეცა შენვე გემსგავსე?“ 1).

აწ შეგატყუა და წარმოგიდგინო შენ წინაშე. ხოლო ნუ იყოფინ ჩუენდა სმენად ესე სიტყუანი, არამედ ვიქმოდით ქველის საქმესა წმიდასა და უბიწოსა და ბრწყინვალედ აღვინთნეთ სანთელნი სულთა ჩუენთანი და ესრეთ შევიდეთ საქარწინესა მას უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესსა 2) და მის თანა ვიშუებდეთ უკუნისამდე, რამეთუ მისი არს სუფევაჲ, ძალი და დიდებაჲ მისისა თანა სულთ წმიდითურთ უკუნითი უკუნისამდე, ამენ.

[უ] თქვათული ჟიღისა იოვანე ოქროპირისაჲ

20

სინანულისათუც და ლოცვისა მოუწყინებელად

გუაჟურთხენ, უფალო!

(18) * ძმანო საყუარელნო, მივისწრაფოთ ტირილით სინანულად, რამეთუ ტირილითა განერა პეტრე რისხვისაგან ღმრთისა, რამეთუ ტირილისაგან მწარისა შეიწყნარა იგი ღმერთპან და მისცნა მას კლიტენი სასუფეველისანი და ჰრქუა მას: „რომელი შეჰკრა ქუეყანასა ზედა, კრულ იყოს იგი ცათა შინა; და რომელი განჰჰსნე ქუეყანასა ზედა, ჰსნილ იყოს იგი ცათა შინა“ 3).

მოვისწრაფოთ უკუე ცრემლითა სინანულად, რამეთუ ცრემლითა მოეტევენეს მეძავსა მას აურაცხელნი ცოდვანი მისნი, რომელმან-იგი თმითა თუსითა

1 საქმისა C; უკვეთუ A; მოვიხუეკდეთ A. 2 და რომელთამე C. 3 მონახუეკსა A; სხუასა A; განერები]+შენ B; სატანჯველთა B. 4 გექმნა]+ შენ BC; საქმე BC; მოხუეკისა A. 5 საქმე C] ქმნა B. 6 მცირედისათუცა C. 7 ამისთუის C. 5-7 ვითარმედ მცირედისათუცა... არა შეწირვაჲ]—B. 8 მონახუეკი A. 9 მოხუეკაჲ A; სხუათა A; მონახუეკითა A. 11 უსჯულოვო C. 13 შეგატყუა A; ყოფინ C; ~ სმენად ჩნდა C. 14 სიტყუანი A. 15 სანთელნი] ლამპარნი C. 16 ქესა C. 17 ვიშუებდეთ A; და]—C. 18 უკუნითი უკუნისამდე, ამენ] აწ და C. 19-წმიდისა იოვანე ოქროპირისაჲ] მისივე C. 20 სინანულისათუის C; მოუწყინებელად]+ თავი მეშუიდე C. 21 გუაჟურთხენ ო'ო]—A, კნ B. 23 ღმრთისა რ ტირილისაგან]—A. 24 შეიწყალა B. 26 გაჰსნა C. 28 უკვე A; ცრემლით C; მიეტევენეს B. 29 ~ ცოდვანი მისნი აურაცხელი C, შეცოდებანი იგი მისნი აურაცხელი B; თუისათა C.

1) ფსალმ. 49,21. 2) შდრ. მათე 25,1-10. 3) მათე 16,19.
 * ამ გვერდის მარცხენა კიდებზე ზემოთ სწერია: „ქნ დაიცვინ მამფალი დ'თ დღეგრძელობით და სიმრთელით, აწ“.

წარტკოცნა ფერჯნი მაცხოვრისანი ¹⁾ და ცრემლთა მისთათვის მისცა მას ქრისტემან დღჲ იგი დიდი ხუთშაბათი.

მოვისწრაფოთ ცრემლითა სინანულად, რამეთუ ცრემლთა მიერ აღადგინა ქრისტემან საფლავით ლაზარე ოთხისა დღისა მკუდარი, რაჟამს-იგი მარიამ და მისი ცრემლოდა წინაშე მისა, [76] და რამეთუ უყუარდა ქრისტე ლაზარეს, ამისთვისცა იქსნა იგი ბოროტისაგან უვარის-ყოფისა, და ინაჯით დაისუა იგი ტაბლასა, რაჟამს-იგი კრებულ იყვნეს ჰურიანი, რადთა იხილონ ლაზარე აღდგომილი მკუდრეთით ²⁾.

მოვისწრაფოთ ლოცვითა სინანულად, რამეთუ ლოცვითა ღირს იქმნა მოსე ზრახვად ღმრთისა ³⁾; და ლოცვითა აღმოიყვანა იონა წინაწარმეტყუელი სიღრმეთაგან ზღუასათა და მუცლისაგან ვეშაპისა ⁴⁾; ლოცვამან განაცეცა საჭუმილი იგი საშთა ყრმათაჲ ⁵⁾; და ლოცვამან ყენა მონაზონნი სწორ ანგელოზთა; ლოცვითა განახლდებიან გონებაჲ კაცისაჲ გულისგმის-ყოფად სიერცესა ცისასა.

მოვისწრაფოთ სინანულად მოწყალეებითა გლახაკთა, ობოლთა და ქურივთაჲთა და რომელნი-იგი დაგლახაქნეს მერმისათვის სიმდიდრისა. იყვენით მოწყალე, რამეთუ იტყუას წიგნი: „შემძრწუნდით პირისა მისისაგან, რომელი-იგი მაჰად არს ობოლთაჲ და მსაჯული ქურივთაჲ, ღმერთი მოწყალე“ ⁶⁾. მიეცით მას, რომელმან-იგი თქუა, [7] ვითარმედ „მშიოდა, და არა (19) მეცით მე ჰამადი; მწყუროდა, და არა მასუთ; უცხო ვიყავ, და არა შემიწყნარეთ მე; შიშუელ ვიყავ, და არა შემმოსეთ მე; საპყრობილეს ვიყავ, და არა მოხუდით ჩემდა“ ⁷⁾ იყვენით მოწყალე, რამეთუ წიგნი იტყუას: „მდიდარნი დაგლახაქნეს, შეემშია, ხოლო რომელნი ესვენ უფალსა, არა ნაკლულევან იქმნენ ყოვლისაგან კეთილისა“ ⁸⁾.

მოვისწრაფოთ სინანულად დატევებითა ცოდვისაჲთა, რამეთუ მსგავს არს სინანული სახლსა დაცემულსა, რომელი-იგი სახლისა უფალმან მოსწრაფედ განაახლის; (ეგრეცა ცოდვილი განახლდების სინანულითა.) სინანული მსგავს არს სამოსელსა მწინკულითა შესუარულსა და შეურაცხსა ადგილსა ჯდებარესა, რომლისაჲ მოვიდის უფალი და აღიღის და განრცხის იგი წმიდად და განწმიდის და შეკეცის და კიდობანსა შთადვის იგი, და ოდეს დღჲ არს დღესასწაულისაჲ და სიხარულისაჲ, შეიმოსის და შეიმკვის მით. [77] ეგრეცა ცოდვილი არს წინაშე ღმრთისა მწინკულევან და სულ-მყრალ, და ოდეს შეინანის, შეჰმოსის ქრისტემან სამოსელი თვისი და შეამკვის იგი შუენიერად.

2 დღე BC; ხუთშაფათი C. 4 ქრისტემან ოზ C; მკუდარი A. 5 ცრემლოდა A; და—C; უყუარდა A. 6 ამისთვისცა C; უარის-ყოფისა C; დაისუა A. 7 იყუნეს C. 10 ლოცვამან C; იონა C. 11 ზღუისა C; ვეშაპისა B; საჭუმილი A. 12 ყენა C. 16 მერმისათვის C. 17 იტყუის C; რომელი-იგი B. 20 მასუთ C. 21 შიშუელი C; საპყრობილესა BC; მოხუდით A. 22 ჩემდა—B; იტყუის C. 23 და შეემშია C; იქმნეს B. 27 განაახლის განაგის და განაახლის C; ეგრეთვე B; განახლდის B, განაახლდის C. 28 მწინკულითა A; შესუარულსა A. 29 და აღიღის აღიღის C; უფალი + იგი მისი B; და განწმიდის—B. 30 ~ შთადვის იგი კიდობანსა B; დღე BC. 30-31 დღესასწაულისა C. 31 და სიხარულისაჲ—B; მითა C; ეგრეთვე B. 32 მწინკულევან A. 33 თვისი C; შუენიერად A.

¹⁾ მათე 7, 37-48. ²⁾ იოანე 11, 20-45; 12, 2-3. ³⁾ შდრ. გამოსლ. 31, 11... 34, 28.

⁴⁾ შდრ. იონა 2, 1-11. ⁵⁾ შდრ. დანიელ 3, 25... ⁶⁾ ფსალმ. 67, 5. ⁷⁾ მათე 25, 42-43. ⁸⁾ ფსალმ. 33, 11.

სინანული მსგავს არს კაცსა სნეულსა სიკუდიდ მიახლებულსა, რომელნიან მოუწოდის მკურნალსა ჯელოვანსა და მოძლუარსა, და მეცნიერებით განკურნის და უხარინ. ეგრეთვე ცოდვილი, რომელი მომკუდარ არს ცოდვითა, ხოლო რაჟამს შეინანის, განაცხოველის იგი ღმერთმან და სახელი მისი დაწერის წიგნსა მას ცხოველთასა. არა გიხილავსა, ძმაო, სახლი ოჯერი და დაცემული? რამეთუ სავსე არს სიმყრალითა, ხოლო რაჟამს აღაშენიან და განავიან, შეამკვიან იგი მრავალ-ფერითა სამოსლითა და კუმევეითა მას შინა, და მიერითგან საწადელ არს იგი ყოველთაგან, რომელნი შეველენედ მას შინა (20). ეგრეთვე ცოდვილმან რაჟამს ქმნის ცოდვაჲ, სულ-მყრალ და ბილწ არს იგი წინაშე ღმრთისა, ხოლო რაჟამს შეინანის, განწმიდის იგი ქრისტემან წყალობითა, [ჟ] და სულნელად ფშვნ იგი და პატიოსან არს იგი წინაშე ღმრთისა და წინაშე ანგელოზთა მისთა.

სინანული მსგავს არს უძლურსა ქუე მდებარესა, რომელი განმრთელდის. სენისაგან და აღსუბუქნის ვითარცა მფრინველი; სინანული მსგავს არს გლახაკსა პურის მთხოელსა, რომელმან პოის საფასე დიდძალი და იქმნის იგი მდიდარ და ღონიერ; სინანული მსგავს არს კაცსა მწუხარესა, რომელი ვალ ბნელსა შინა წყუდიადისასა და მუყსეულად აღიხილნის და იხილის ნათელი ცხორებისაჲ და იხარებნ მას შინა.

მოვისწრაფოთ, საყუარელნო, სინანულად ქველის საქმითა და გულისწნა-ევოთ, რად-იგი შეემთხვა მდიდარსა მას, რომელმან-იგი არა შეიწყალა ღაზარე გლახაკი ¹⁾, რამეთუ მდიდარმან მან ჰკითხა მსახურთა თვსთა და ჰრქუა: ვინაჲ უკუე არს საზრდელი გლახაკისაჲ ამის? ჰრქუეს მსახურთა მისთა: ტაბლისა შენისა [რქ] გარდანაგევისაგან, რომელი გარე განეყარით მისგან, ესე იზარდების. ჰრქუა მათ მდიდარმან მან: ამიერითგან ოდეს ტაბლაჲ გარდა-²⁾ ჰგაოთ, დაწუთ გარდანაგევი იგი ცეცხლითა და ნუ გარდაჰყრით ამიერ კერძო, რადთა არა იპოოს საზრდელი და წარვიდეს კარისაგან ჩუენისა, რამეთუ ფრიად მძაგს ხილვაჲ მისი ყოველსა ეამსა შესლვასა და გამოსლვასა.

ჟ უბადრუკო ნდიდარო, რადღა უწყალო არს გული შენი, რამეთუ ძალ-ლნიცა მოვიდიან და ჰლოშნიედ წუთხსა მას წყლულებათა მისთასა ²⁾, და იქმნეს პირუტყუნი უმოწყალებს შენსა. ჟ მდიდარო უწყალო, ჟ საწყალო, რადსალა-³⁾ მყისა შინა ურგებ და შეურაცხ იქმნა სიმდიდრე ეგე შენი, ვიდრემდის იძულებ შენ სატანჯველსა შინა თხოვად (21) ღაზარესგან ნაწუეთი წყლისაჲ, რადთა

1 სიკვიდ A. 2 მოძლუარსა A; განკურნის]+იგი C. 3 მომკუდარ A. 4 განაცხოველის C. 5 ცხოველთასა C. 7 და კუმევეითა მას შინა]—A. + სულნელთათა B. 8 ყოველთა A, ყ'ლთათვს B. 9 ცოდვილი B; ქმნეს B. 11 სურნელად C; ფშვნ C. 13 ქვე A. 15 რომელმან რ' A; პოის C, პოის B. 17 წყუდიადისასა A. 19 მოვისწრაფოთ]+ ძმანო ჩემნო CB; საყუარელნო A. 20 შეემთხვია C; ~ გლახაკი ღაზარე B. 21 თუისთა C. 22 უკვე C; ტაბლისაგან B. 23 გარდანაგევისაგან C, გარდანაგევისა B. 25 დაწუთი C; გარდანაგევი BC. 26 ეპოვოს C; კარისაგან] კარით B; ჩუენისა] ჩემით B. 27 მძაგს]+ იგი და BC; ყოველსა ეამსა... გამოსლვასა]—A. 29 მოვიდიედ B. 29 ჰლოშნიდიან C. 30 პირუტყუნი A; უმოწყალებს] უფროს მოწყალე B; რადსალა] რადღა B, რასა C. 31 იძულებ BC. 32 თხოვად C; ნაწუეთი A.

1) ლუკა 16, 19-31. 2) შდრ. ლუკა 16, 21.

განგიგრილოს სასაჲ შენი და ვერ მიემთხვე მასცა ¹⁾. იხილე რაჲ-იგი შეემთხვა ქალწულთა მათ უწყალოთა, [ჟ] ვითარ-იგი დაევშა კარი საქორწინისაჲ მის და დაშთეს იგინი გარეშე ბქეთა მათ, ხოლო იგინი ტირილითა მწარითა ლალადებდეს და იტყოდეს: „განგვლე ჩუენცა, უფალო“ ²⁾. და ესმა მათ ვმაჲ, ვითარმედ: „არა გიცნი, წარვედით ჩემგანო“ ²⁾.

აწ უკუეთუ იგინი უწყალოებისათჳს ესრეთ განიდევნეს სასუფეველისაგან, ვითარმე უკუე ეყოს მათ, რომელნი ურიდად ცოდვასა იქმან და კაცთა უსამართლოსა უყოფენ? არა თუ განსხმით განისხნენ, არამედ საუკუნესაცა ცეცხლსა მიეცნენ დასაწუელად. ისმინეთ, რაჲ-იგი შეემთხვა კაცთა მათ, რომელნი დათქმულ იქმნეს ზღუასა შინა, რამეთუ ჳელითა თჳსითა შთააბნიეს ყოველი მონაგები მათი, რაჲთამცა აღუსუბუქეს ნავსა და განირინეს თაენი თჳსნი დათქმისაგან და მცირედ ჟამ ჳირისაგან მოწევნულისა. აწ უკუე მიეც მონაგები შენი ნებითა შენითა გლახაკთა და იქსენ სული შენი ჯოჯოხეთისაგან და სატაჯველთაგან საუკუნეთა [79] მომავალთა.

ისმინე, რაჲ-იგი შეემთხვა კაცთა მათ რომელნი-იგი შეეცვეს ჳელთა ავაზაკთასა, რამეთუ ტირილითა ლმობიერითა ევედრებოდეს მათ და ეტყოდეს: მიიღეთ მონაგები ჩუენი ყოველი და მოგუმაღლენით ხოლო ჩუენ სულნი ჩუენნი, რაჲთა არა მოგუაკუდინნეთ. აწ უკუე, ჳ კაცო, შიშისათჳს მახვლისა და მცირედ ჟამისათჳს ცხორებისა მისცემ მონაგებსა შენსა ყოველსა ნეფსით და სიხარულით ავაზაკთა, გან-ხოლო თუ-სთავისუფლდე სიკუდილისა მისგან მცირედ ჟამისა, მიეც უკუე მონაგები შენი გლახაკთა და იქსენ სული შენი დაუღვეველთაგან სატანჯველთა. ნეტარ არს, რომელმან ილუაწოს მცირედსა ამას ჟამსა საქმეთათჳს კეთილთა. (22) ნეტარ არს, რომელი იგლოვდეს სულისა თჳსისათჳს მცირედსა ამას ჟამსა, რაჲთა არა შეაფარილოს იგი ცოდვითა და ბრალითა.

ნეტარ არს, რომელმან შეაიწროს მუცელი თჳსი საწუთროსა ამას სათნოებისათჳს ღმრთისა და სასუფეველისათჳს ცათაჲსა. [ჟ] ნეტარ არს, რომელმან დაიცენეს მცნებანი უფლისა და ღმრთისა თჳსისანი, რამეთუ მას დიდ ეწოდოს სასუფეველსა ცათასა. ნეტარ არს, რომელმან დაუთმოს განსაცდელსა და მწუხარებასა სოფლისა ამის წარმავალისასა, რამეთუ პატივეცემულ იქმნეს იგი ღმრთისა მიერ საუკუნესა მას.

1 მიემთხუის C; შეემთხუია C. 4 ლალადებით იტყოდეს B; განგვილე C; უფალო მეუფეო C. 6 უკუეთუ A; იგინი — B; განიდევნეს C. 7 უკვე A; იქმოდინ B, აქმოდინ C. 8 უყოფდენ C, უყოფდიან B; არა] + ხოლო BC; საუკუნესა B. 9 დასაწველად A; შეემთხუია C. 10 დანთქმულ CB; თუისითა C. 12 დანთქმისაგან C.B; ჟამისაგან ჳირისა C; ჟამისა B; ~ მოწევნულისა მათ ზედა ჳირისა B; უკვე A. 13 გლახაკსა C. 14 სატანჯველთა საუკუნეთაგან C; სატანჯველისა საუკუნოჲსა მომავალისა B. 15 შეემთხუია C; რომელნი CB; შეეცუივეს C. 17 მოგუმაღლენით A; ~ ჩუენ სულნი ხ' ჩ'ნი C; ხოლო] — B. 18 მოგაკვადინნეთ A] მოვისრნეთ ჩუენ თქუენ მიერ B; უკვე A; შიშისათუის მახუილისა C. 19 ჟამისათუის C; ნებსით CB. 20 გან- ხ' თუ-თავისუფლდე BC. 21 უკვე A. 22 ილუაწოს A] + სული თჳსი B. 23 საქმეთათუის C; საქმითა კეთილითა B. 24 თუისისათუის C. 26 შეაწროს C; თუისი C; სათნოებისათუის C. 27 სასუფეველი-სათუის C. 28 და] — A; თუისისანი C. 29 განსაცდელთა BC. 30 მწუხარებათა C; წარმავალისათა C...

1) შდრ. ლუკა 16, 24. 2) მათე 25, 4-12.

ნეტარ არს, რომელმან თავს-იდევას დევნაჲ და ჭირი და შეურაცხებაჲ
სარწმუნოებისათჳს ღმრთისა თჳსისა, რამეთუ მოეგოს მას მრჩობლი მოსა-
გებელი მის მიერ, რომელმან-იგი თქუა, ვითარმედ: „აჲა ესერა წარგავლინებ
თქუენ ვითარცა ცხოვართა შორის მგელთა“ ¹). ნეტარ იყვენენ, რომელთა შიო-
დის სიმართლისათჳს, რამეთუ მათი არს სასუფეველი ცათაჲ საუკუნოდ ²).
ხოლო ვაჲ ცოდვილთა, რომელთა არა შეენანოს პირველ სიკუდილისა მოწვე-
ნამდე მათ ზედა, ოდეს-იგი ანგელოზნი მრისხანენი გარე მოადგენ მათ წარ-
ყვანებად სულთა მათთა.

ძმანო ჩემნო, არა გუეშინისა ჟამისა მისგან, ოდეს-იგი განცივნიედ
ფერჯნი და ძ(რ)წოლაჲ შეედვის მუჯლთა, [ძო] ოდეს-იგი შეშფოთნეს სტომაქი
და დაიჭვნენ თუალნი და დადუმნეს პირი, და გამოჰყავენ სული ანგელოზთა
მათ საშინელთა და მრისხანეთა და ამხილებედ მას საქმეთა მისთა ბოროტთა,
და რაჲთა სიტყუაჲ მისცეს მან ყოველთათჳს ცოდვათა მისთა, რომელნი
ექმნეს მას სოფელსა ამას შინა საწუთროსა?

მაშინ ეტყოდის სული იგი მწუხარებით: მართალ ხარ, უფალო, რამეთუ
ზრავალ გზის მიწოდედ მე წმიდათა მიერ წერილთა, და მე არა ჯმა-ვეც წო-
დებასა შენსა. რაჲდენ გზის შეგცოდედ, და შემინ*დვენ მე ცოდვანი ჩემნი.
რაჲდენ გზის ეკლესიასა შინა გვედრე წყალობისათჳს, და შენ შემიწყალე მე
და აღმმართე მე დაცემისაგან ჩემისა, ხოლო მე არა დაეიმარხე წყალობაჲ
შენი, არამედ აწ გვედრები შენ, ზ მწყალობელო ყოველთაო, შემიწყალე მე.
მე უწყი, უფალო, რამეთუ ავაზაკი გვედრა შენ მოჰსენებად, და შენ მიანიჭე
მას სამოთხე ³), და მეძვიე მიგეახლა, და შეუნდვენ მას ცოდვანი მისნი ⁴), [ჟ] და
გეზუერემან სულთ-ითქუნა და შეიწირე მისგან ⁵). ხოლო მე არა ვარ მსგავს
მათსა, რამეთუ არა ნაქუს მე ცრემლთა მდინარე და არცა ლოცვაჲ წმიდაჲ
შეწირული და არცა წყალობაჲ, რომლითა შევიწყალო; აწ უკუე მოვიგოთ
ჩუენ, ძმანო, სინანული პირველ დადგინებადმდე ჩუენდა მარცხენით ქრისტესა,
ოდეს-იგი ვიტყოდით: ზ, ვითარლა უდებ ვყავთ სათნოებაჲ ღმრთისაჲ, ოდეს-
იგი ვხედვედით სხუათა სინანულსა და ჩუენ არა შევიანეთ? და ვხედვედით
კუალად სხუათა, რამეთუ ივლტოდეს სოფლისა ამისგან, ხოლო ჩუენ სიყუა-
რულითა მისითა ვიძლიენით; და სხუანი განჰყდებოდეს მარხვითა, და ჩუენ
ყოლადვე არა ვიმარხვედით; იგინი ღამე ყოველ იღუძებდეს, და ჩუენ მეძინა;

2 სარწმუნოებისათჳს C; თუისისა C. 4 იყუნენ C; შიოდის] + და სწყუროდის BC.
5 სიმართლისა C. 6 შეინანეს B; სიკდილისა A. 9 გუეშინისა A, გუეშინისა CB; განცივნიედ]
განცუბრდიან A. 11 დაიჭვიედ C, დაიჭვიედ B; თვალნი A; და დადუმნეს] დადუმდებინ C, და
დადუმნებოდ B. 12 და მრისხანეთა] მრისხანედ B; ამხილებოდ B. 13 სიტყუა A; მან] მას B;
ყოველთათჳს C; ცოდვათა] საქმეთა BC. 14 ექმნეს მას] უქმნიან B; მას] — C. 15 იტყოდის
C. 17 რაიდენ გზის B; შეგცოდედ] + შენ B; და] + შენ C; შემინდენი B. 18 რაოდენ გზის B; შე-
ვედრი B; შენ] — B. 19 აღმმართი B; მე] — B. 21 გვედრებოდა B; მოჰსენებად] — B. 23 და
გეზუერე იგი სულთქმით გვედრებოდა და შეიწყალე იგი B. 25 და შეწირული B. 27 სათნო-
ებაჲ] საქმე B. 30 განჰყდებოდეს] ჭორცთა მათა დააქნობდეს B. 31 იღუძებდეს C.

1) მათე 10, 16. 2) მათე 5, 6-10. 3) ლუკა 23, 42-43. 4) მარკ. 5, 25-34. 5) ლუკა 18, 10-14.

* აქედან აკლია A-ს.

და სხუანი მონაგებთა მათთა განუყოფდეს გლახაკთა, ხოლო ჩუენ სხუათა მონაგებსა გული გვთქუმიდა და მცნებაჲ ღმრთისაჲ უგულუბელს-ვეყავთ უღებებით.

ხოლო აწ, უკუეთუ მოვისწრაფოთ სინანულად, ვი[მ]პოვნეთ მარჯუენით ქრისტესა და იგი მეტყოდის ჩუენ: მოვედით, კურთხეულნო მამისა ჩემისანო, და დაიმკვდრეთ სასუფეველი ცათაჲ¹⁾; მოვედით, ყოველნო წმიდანო, რომელთა გშიოდა და გწყუროდა სახელისა ჩემისათვის; მოვედით, რომელთა დაუტრევთ სოფელი და დაემკვდრენით მათთა და ქუაბთა და ნაპრალთა ქუეყანისათა სახელისა ჩემისათვის, ვითარცა ნადირნი, და დაგამკვდრნე თქუენ მოწამეთა და წინაწარმეტყუელთა თანა; მოვედით ჩემდა ყოველნი გლახაკთა მოწყალენი და უცხოთ მოყუარენი და შიშუელთა შემშოსელნი, მმარხველნი და მლოცველნი, რაჲთა შეგიყვანნე თქუენ წინაშე მამისა ჩემისა ზეცათაჲსა; მოვედით ჩემდა, რომელთა-იგი დაჰმარხეთ ბექედი გუამისა თქუენისაჲ შეუგინებელად სიყუარულისათვის ღმრთისა; მოვედით კრებული ეგე ობოლთა და ქურციკთაჲ და რომელნი მოითმენდით სოფელსა მას ჰირთა და განსაცდელთა მადლობით და განწმენილ იქმნენით ცოდვათაგან, რაჲთა დაგამკვდრნეს თქუენ სასუფეველსა ცათასა.

აწ უკ[უ]ე, ძმანო, ვეკრძალნეთ ცოდვისაგან, რომელი წარმწყმედელი არს სულისაჲ, და ვითხოვოთ ღმრთისაგან შენდობაჲ ბრალთა ჩუენთაჲ, და ვიტყოდით ესრეთ: უფალო, ცოდვანი ჩემნი აღმემატნეს თავსა ჩემსა და მე ვითარცა ტურთი მძიმე დამიმძიმდა, რამეთუ სახელი წმიდაჲ შენი შეურაცხავ და მცნებანი შენი უგულუბელს-ვეყვენ, და საფასე შენი განვაბნიე და სიმდიდრე შენი წარვწყმიდე ბოროტად. და მე უწყი, უფალო, რამეთუ მარცხნო უკუანაქსენელ, არამედ გვედრებთი შენ, უფალო, რაჲთა „არა გულისწყრომითა შენითა მამხილო მე და ნუცა რისხვითა შენითა მსწავლი მე“. მე უწყი, უფალო, რამეთუ ავაზაკი გვედრებოდა, მოიკსენე იგი სასუფეველსა შენსა და მიანიჭე მას სამოთხე²⁾. ამისთვის, უფალო, მეცა გვედრებთი, შემოწყალე მე და მიჩუენე გზაჲ ცხორებისაჲ, რაჲთა ვილოდი მას შინა მოსწრაფედ.

[მ2] ძმანო ჩემნო, ყოველმან რომელმან ქმნეს ცოდვაჲ, უწყოდენ, რამეთუ აღუგზნიეს სულისა თვისისათვის ცეცხლი იგი საუკუნოდ უშრეტი. უკუეთუ არა აქუნდეს მას მდინარე ცრემლთაჲ, რამეთუ ცრემლთა მდინარე დაშრეტს საქუმილსა ცეცხლისასა და ცოდვასა აგზებულსა გუამსა შინა კაცისასა, ვითარცა ღა-იგი წამალმან, კეთილად შემზადებულმან მკურნალისა მიერ ჰელოენისა, დაჰკვნის სენთა სიმძაფრე, რომელ არნ გუამსა შინა სნეულისასა და დასუ-

2 გუითქუმიდა C] + მიღებად B. 6 დაამკვიდრეთ C. 7 ჩემისათვის C. 8 დაემკვიდრენით C. 9 დაგამკვიდრნე C. 14 სიყუარულისათუჲს C; და] — B. 15 მოათმენდით C; ~ სოფელსა ამას მადლობით განაცდელთა და ჰირთა მადლობით B. 16 იქმნენით] + თქუენ B; დაგამკვიდრნეს C. 20 აღმემატნეს B. 21 ტურითი C; შენი] — B. 23 უფალო] — B; მარცხუნიო C, მრცხუენეს B. 26 გვედრი B; მოიკსენე] რა მოიკსენო B. 31 თუისისათუის C; იგი] — B; უშრეტი] — B. 33 ცოდვასა] ცეცხლსა B; გუამსა] გულსა B. 34 შემზადებულმან] შეხავებულმან B.

1) მათე 25. 34. 2) ფსალმ. 6, 1. 3) ლუკა 23, 42-43.

ლიბნის ძარღუნი, რადთა განეგოს ტკივილი. ეგრეთვე უწყოდეთ, რამეთუ ცრემლნი გამოვლენ სინედლისაგან გუამისა მოზიდვითა თუალთადათ ნაწვეართაგან ყოველთა, რადთა განაბნინეს ცოდვანი, რომელ დაფარულ არიან გუამსა შინა კაცისასა.

აწ უკუე, ძმანო, ნუ იტყვთ, ვითარმედ: არა მქონან ცრემლთა მდინარენი; რამეთუ რომელსა ჰნებავენ თხრაჲ ჯურღომულისაჲ, უკუეთუ არა მოიწყინოს და არცა დაშურეს; უწყოდენ, რამეთუ აღმო[უ]ცეს წყალი. და რომელსა ეშინოდის სატანჯველთაგან და ცეცხლისა მისგან უშრეტისა, მან მოიპოვოს მდინარე ცრემლთაჲ უეჭუელად.

11 აწ უკუე, ძმანო ჩემნო, ვეტყოდით თავთა ჩუენთა ღწობიერად და ვრქუათ ესრეთ: # სულო ჩემო ცოდვილო, განეშორე ცოდვასა, რადთა განერე სატანჯველთა მათგან საუკუნეთა. # სულო ჩემო უბადრუყო, მოიგე მარადის გლოვად ცოდვათა შენთათჳს და ნუ განიშორებ მას ნუცა სლვასა და ნუცა ჯდომასა, ნუ საქმესა და ნუ წოლასა. და იყავ შენ მღვდარე ღამე ყოველ, და აღ-
15 რაცხე შენ რადენი თანა-ნადები თანა-გაც და იტყოდენ ღმრთისა მიმართ: უფალო, არა ხოლო თუ მე ოდენ ვარ პირველი თანა-მდები, რომელსა არაჲ აკუნ, რადთამცა გარდაიჭადა თანა-ნადები თჳსი, რამეთუ შენ სთქუ, უფალო: „ნიუტევებდით ურთიერთას თანა-ნადებთა თქუენთა და მე მიგიტევენ თქუენ ყოველნი შეცოდებანი თქუენნი“ 1). და აწ, უფალო, ღმობიტევენ შეცოდებანი
20 ჩემნი და ნუ მო[ქ]იქსენებ წათ საშინელსა მას განკითხვასა შენსა.

მწყალობელო ძეთა კაცთაო, შემიწყალე მე უძღური ესე სენითა დაფარულითა, რომლისა ვერვინ შემძლებელ არს კურნებად თვნიერ შენსა ცათა დამბადებელისა, რომელი ხედავ დაფარულთა. შენ უწყი, უფალო, ყოველი, რომელი იე თანა-წარმჭდა, და შენ უწყი უძღურებაჲ და სიგლახაკე ჩემი,
25 რომლისა მიერ დავეცემით ჩუენ ღღე და ღამე. მომეც ჩუენ, უფალო, მარჯუენად შენი, ვითარცა-იგი პეტრეს, და იჯსენ იგი დანთქმისაგან; ეგრეთვე, უფალო, მიჯსენ ჩუენცა ცოდვათა ჩუენთაგან. მოგუშადლე ჩუენ სინანული, ვითარცა-იგი მიანიჴე ნინეველთა²⁾ და ვითარცა-იგი მიანიჴე (არიამს მეგვტელსა და ყოველთა ცოდვილთა, რომელნი შენ მოაქციენ სინანულად, ეგრეთვე
30 მე, მონასა შენსა, მომანიჴე ცოდვილსა მოტევებაჲ ცოდვათა ჩემთაჲ.

აწ უკუე ვეკრძალნეთ, ძმანო, ყოვლისაგან ცოდვისა, ვეკრძალნეთ სიკვისაგან და მტერობისა და ჰარვისაგან, [უ] და შესწენისა ტყუილისაგან

3 განაბნინეს] განაბნენს B; არიედ B. 5 იტყუით C. 6 ჯურღმულისაჲ B. 7 და] ხოლო B. 8 მოპოვოს C. 11 განერე] + შენ B; სატანჯველთა მათგან] სატანჯველთაგან B. 12 მოგე C. 13 შენთათჳს C] — B. 14 ნუცა საქმესა და ნუცა წოლასა B; და] — B; მღუიძარე C. 15 რადენი B. 17 რათამცა] რომლითამცა B; გარდაიჭადა C; თვისი C; თქუენ] — B. 19 მომიტევენ] + კწლნი B. 21-22 სენითა დაფარულითა] რომელი დაფარულ ვარ სენითა B. 22 რომელსა B; თუნიერ C; ცათა დამბადებელისა] — B. 25 დავეცემი B; ჩუენ] მე B; მარჯუენე B. 26 მიჯსენ მე B. 28 მეგუიბტელსა C. 30 მე] მეცა B; ცოდვილსა] — B. 31 ძმანო ჩემნო B.

1) შდრ. მათე 6, 15. 2) იონა 3, 10.

და ცრულ ფიცისა, სასჯელისაგან და ცილობისა, სიძულილისაგან და გულმანკიერობისა, ბოროტად ხედვისაგან და გულის-თქუმისა და ყოვლისაგან საქმისა, რომელი განარისხებს ღმერთსა. რამეთუ ვითარცა გესლი მაკუდინებელი აღდილით ერთით განეზავების ყოველსა გუამსა, ეგრეცა ცოდვაჲ განეზავების ყოველთა ასოთა და მოაკუდინებს სულსა საუკუნოდ.

აწ, უფალო, შეგივრდები შენ ვედრებით, მასწავე მე სინანული, რომლითა განვერე ცოდვისაგან, რადთა განვიდე მე უღაბნოდ და ვიქცეოდი მგეცთათნა და ესტიროდი ცოდვათა ჩემთა, რამეთუ მე უწყვი, ვითარმედ შიშუელი წარდგომად ვარ წინაშე შენსა, რაჟამს-იგი მეტყოდე მე: ზ ბოროტო მონაო, რომელმან არა დაიმარხე აღთქუმაჲ ჩე ი და შეურაცხ-ყვენ წერილნი ჩემნი, რომელთა მიერ დღითი-დღე გიწოდდი შენ, [მ4] ხოლო შენ არცა ისმინენ და არცა გულისწემა-ჰყვენ სიტყუანი ჩემნი, არამედ დაიყვენ ყურნი შენნი, რადთა არა ისმინენ ზრახვანი ჩემნი შენდა მიმართ ყოლადვე, (მშ) ამისთვის * წარვედ შენ სატანჯველსა საუკუნესა, რომელსაცა ღირს არს უგუნურებაჲ შენი მსგავსად საქმეთა შენთაებრ.

აწ, უფალო, ვევედრები მოწყალებათა შენთა, მიჰსენ მე ცოდვისაგან, ვითარცა იჰსნენ ყოველნი, რომელნი მოიველტოდეს შენდა სინანულითა ღმობიერითა, რამეთუ შენ ხარ ღმერთი მოწყალე და კაცთ მოყუარე და შენდა დიდებასა შევეწირავთ მამისა და ძისა და წმიდისა სულისა აწ და მარადის და უკუნითი უკუნისანდე, ამენ.

თქუებული წმიდისა იოვანე ოპროპიჩისაჲ წყალობისათვის ღმერთისა

წყალობასა და სამართალსა დღითი-დღედ გაქებდე შენ, უფალო, რამეთუ სახიერებითა დაამტკიცე ქუეყანაჲ, ვითარცა ჩუეულეზაჲ არს მადლისა შენისაჲ, მოწყალეო! მადლობაჲ ჩუენი მცირე არს, უფალო, [უ] ვედრებაჲ ჩუენი ნაკლულ არს, სახიერო! ფრთენი ლოცვისა ჩუენისანი უძლურ არიან, კაცთ მოყუარეო, და ვერ ღირს არს მდგრობაჲ ჩუენი ამას მადლსა უზეშთაესსა მადლობად, რამეთუ ვედრებაჲ ჩუენი უნდო არს, ხოლო მოცემაჲ შენი ფრიად არს და მიგებაჲ შენი უსაზომო. უკუეთუმცა აღსწონენ თხოვანი ჩუენნი და შეატყუენ ვედრებათა ჩუენთა მსგავსად მოცემულნი შენნი, ნუუკუმცა ნაკვალად წკმისა ცეცხლი აწკმე ჩუენ ზედა.

1 და]—B; ცრუ-ფიცობისა B; სასჯელისაგან]—B; და ცილობისა] ცილობისაგან B; 1-2 სიძულილისა და გულმანკიერობისაგან B. 2 და ბოროტად ხედვისა B; და გულის-თქუმისა]—I. 4 განეზავის B. 7 და რადთა B. 9 მეტყოდი B. 10 დამარხე C; იგი ჩემნი B. 11 გიწოდი B. 13 მომართ B; ამისთვის C; ~ წარვედ შენ ამისთვის B. 14 არს უგუნურებაჲ... მსგავსად] ხარ B. 15 შენთათვის B. 17 ე] იგი B. 18 რ]—C; მოყუარე A. 21 წმიდისა იოვანე ოპროპიჩისა] მისივე (. 22 ღმერთისა] + თავი მერვე C. 24 სახიერებით C; დაამტკიცე A. 27 მადლობა B. 29 უსაზომო] უხუებით B; თხოვანი C. 30 შეატყვენ A: ნუ უკუმცა A. 31 წმიდისა C; აწუიმე C.

* ამით იწყება A-ს გაგრძელება (იხ. გვ. 60).

რამეთუ ვედრებამ ჩუენი ბოროტ არს და არა შევინანეთ მსგავსად ცოდ-
ვათა ჩუენთა და არცა დაუტევენით სახენი იგი, რომლითა განგარისხეთ შენ,
რამეთუ უსამართლომ დაადგრა თუსსავე ზედა ბოროტსა და მტაცებელი არა
განძლა და არცა მოიქცა უმჯობესისა მოპოვნებად, რამეთამცა დაგაჯერა შენ,
ვითარცა სახედ ყოველთა წმიდათა. ნაყოვანნი და უძღვებნი არა მოიქცეს.
მარხვად, და არცა დაუტევეს ჩუეულეებამ მათი მომთრვალეთა, რამეთამცა და-
[მწ]გაჯერეს შენ, ღმერთი, ვითარცა სათნოთა მონაზონთა.

ვეცხლის მოყუარეთა არა და(მჰ)უტევეს აღნადგინებისა ვახში მოღებად
და არცა მცნებათა შენთა შეუდგეს. საკვრველ არიან საქმენი შენნი, უფალო,
10 თუ ვითარ შეგვწყალებ ესრეთ არა-ღირსთა ამით წყალობად, რამეთუ ყოველივე
კაცი დადგრომილ არს აქამომდე ბოროტსავე თუსსა, და არა დააყენენ ჩუენ-
გან მოცემულნი შენნი. წვამამან შენმან განჰჰსნა ნასკვ იგი უსამართლოებისაჲ.
რამეთუ ხუარბლის ვაჰართა დაჰჰვნეს კარნი ქულბაგთა მათთანი და განა-
ძნელეს იფქლი გლახაკთათუს, და მსყიდელნი შეიწოდეს. ხოლო რაჲმს აღმოავ-
15 ლინენ ღრუბელნი შენნი და უბრძანე წვამად, განჰსნა ბოროტად შეკრული
იგი გონებამ ვაჰართამ, რომელსა ვერ შეუძლეს განჰსნად მეფეთა, და არცაღა
ვედრებამ ჩუენი შემძლებელ იყო მიმთხუევედ კეთილთა შენთა, უფალო! არა-
მედ წყალობამ შენი უხუად დადგრომილ არს ჩუენ ზედა, უფალო, რამეთუ
არა შეიცვალეების, ვითარცა-ესე ჩუენ; არა შეიცვალენით [ე] ცოდვისაგან სი-
20 ნანულად, არამედ უშრომელად მოგუაქუს სასყიდელი შენ სახიერისა ღმრთი-
საგან, რამეთუ ცუდად განაბნიენ საფასენი შენნი ჩუენდა, ბოროტის მო-
ქმედთა ამათ და ცოდვილთა.

წვამამან მორწყო ყანობირი ჩუენი, ამის მიერ გუეუწყა სასიერებამ შენი,
რამეთუ მიანიჰებ კეთილთა შენთა მონათა შენთა უკეთურთაცა, და ესე წყა-
25 ლობითა შენითა; შენ გშუენის, უფალო, დიდებამ, და ჩუენ—კდემულეებამ.
რამეთუ უკუეთუმცა მოგუაგებდ ბოროტთაებრ ჩუენთა, უბრძანემცა ქუეყანასა
დათქმამ ჩუენი, ვითარცა დათან და აბირონისი¹⁾. და უკუეთუმცა არა გარ-
დარეულად სახიერ იყავ, ვედრებისა ჩუენისათუს განჰრისხენ ჩუენ ზედა. ხოლო
არა ინებე, უფალო, მოწყალებითა შენითა, უკუეთუ მოგვხუნე მოცემულნი
30 შენნი კეთილნი, ვინამთგან არა დაგემორჩილენით შენ, არამედ უხუად გარ-
დაჰრიენ ჩუენ ზედა ნიჰნი მოწყალებისა შენისანი (მწ) უმადლოთა ამათ და
ულირსთა მონათა შენთა. [მწ] პირველვე დაბადებისა ჩუენისა, უფალო, იცოდე

3 თვისსავე C. 4 მოჰქცა C. 5 ვაჲ — B; ნაყოვანი და უძღვები BC; არა მოჰქცეს C.
6 ჩუეულეებამ A; მომთრვალებამ B. 8 იგი ვახში B. 9 არცაღა B; საკუირველ C. 10 შეგუიწყა-
ლებ C; ყოველი B. 11 დადგრომილ A; თვისსა C; და შენ არა დააყენენ C, და შენ არავე
დააყენენ B. 12 წუიშამან C; ნასკუი C. 13 ხუარბლის A; ხუარბალისა ვაჰართა C, ხუარბალის-
ვაჰართა B. 14 გლახაკთათუს C. 15 წუიშამ C. 16 იგი — C. 17 იყო იქმნა C; მიმთხუევედ A.
18 უხუად A) უცვალეებელად BC; დადგრომილ C; უფალო — A. 19 არა — A; და არა შეიცვა-
ლებით C. 20 მოგუაქუს A; სახიერისაგან ღისა B. 21 ჩუენდა) ჩუენ ზედა BC. 23 წუიშამან
C) + რომელმან BC; გუეუწყა A. 24 და ესე წყალობითა შენითა) — B. 25 გშუენის A. 26 უკუ-
ეთუმცა A; მოგუაგებდ C, მოგუაგებდი B; უბრძანემცა) უბრძანე სამემცა BC. 27 დანთქმამ BC;
ვა) ვაღა C); აბიროვნისი C; და უკუეთუმცა A) უკუეთუმცა B. 28 ჩნისათუსმცა C. 29 ძნებე
C; მოგუიხუნე C. 30 უხუად A. 31 ამათ მონათა B. 32 შენთა) — A, შენთათუს B; იცოდე) + შენ C.

1) რიცხ. 16, 1 - 32.

ურჩებად და სიბოროტჲ ჩუენი, არამედ სახიერებით დაგუბადენ ჩუენ, რამეთუ არა მოიძაგე უგუნურებად ჩუენი, უკუეთუ ხოლო შევიწინათ. შენ, უფალო, გვბრძანე ჩუენ, მიზღი მუშაკობისაჲ ღამით არა დაღიპყრათ თანა, რომელ ვიმსახუროთ. და ვითარცა რჩულის მდებელმან თავით თვისით მიჩუენე ჩუენ ესე, რამეთუ მიზღი ვედრებისა ჩუენისაჲ არა დაადგრების ღამით შენ თანა, სახიერო უფალო, არამედ მოგუცემ ჩუენ, ცუდთა მუშაკთა, მოწყალეებითა შენითა.

ჰაერნი შეიცვალნეს და გუაუწყეს რისხვაჲ შენი, არამედ ნებაჲმან შენმან სძლო რისხვასა შენსა და კუალად განაგნა, და წვმიტა გუახარა ჩუენ, და კეთილის ყოფითა განგუახარა, რადთა აღვიესნეთ პირნი ჩუენნი დიდებითა შენითა. აჰა ესერა ღრუბელნი სავსე არიან დიდებითა შენითა და აპკურებენ ქუეყანასა ზედა სიხარულსა. აჰა ესერა ღრუბელნი მალჯებენ ჩუენ [ჟ], რადთა სათნო-გვეყნეთ შენ, ღმერთსა, და აღავსნე პირნი ჩუენნი გალობად შენდა, რა განმამდიდრენ ჩუენ ნიკთაგან შენთა. თესლი რომელი დაფლულ იყო ქუეყანასა მსგავსად მკუდართა, აწ ესერა მიწისაგან აღმოუყოფიეს თავი თვისი, რადთა უგალობდეს მადლთა შენთა.

მუშაკნი და მთესვარნი, რომელნი გულითა მწუხარე იყვნეს თესულთა მათათაჲს, წვამამან შენმან განამხიარულნა და გმადლობენ შენ, ღმერთსა, რამეთუ მოვიდა წვამა და მოილო მის თანა სიხარული ყოველთა მწუხარეთათჲს და განსუენებდა ყოველთა მაშურალთათჲს, და განამხიარულა პირი მქმუნებარეთაჲ, და აღადგინნა დაცემულნი და განკურნნა შემუსრვილნი გულითა, და აღახუნა ყოველნი პირნი მადლობად ღმრთისა სახიერისა. დაგემორჩილა შენ წვამად და განაგო ქუეყანაჲ, რომელი შემფოთებულ იყო. განბანნა პირნი ცრემლთაგან და ცხებულ ყვნა ცუართა, და (26) დააცხრო შფოთი. [27] და კუალად აქცინა განქცეულნი საყოფლადვე თჲსა, და განაქარგნა სიმწარისა ჰამბავნი და დააწყნარნა დაბადებულნი თჲნიერ ბრძოლისა და საკურველისა. დაათრო წვამამან ქუეყანაჲ ჩუენი, რამეთუ გკთუალენ ჩუენ წყალობითა შენითა და მექმენ ჩუენ მცველ კეთილ, რამეთუ ძალსა შენსა უპყრიან დაბადებულნი; და უკუეთუ მცირედ მიუშუა, ყოველივე განირყუნეს. შეაბენ ზღუასა ბქენი ქვშისანი, შენი არს შური და წყალობაჲ და შენ განსწავლი, ვითარცა შუ-

1 სიბოროტე BC; დაგვბადენ A. 2 მოძაგე C. 3 გუბრძანე C; ჩუენი+რა C; მუშაკისაჲ BC; დაღიპყრათ; დავიყნოთ C; თანა) ჩუენ თანა BC; რომელთა C, რომელი B. 4 და ვა) რ ვა B; თუისით C; მიჩუენე A. 5 გაადრგების C. 6 მოგუცემ A. 8 შეიცვალნეს C; გუაუწყეს A; ნებაჲმან] სიტკბობეჲმან. B. 9 კუალად A; კუალად განაგნა და) — B; წუიმითა C; გუახარა A, გუახარე B. 10 განგუახარა A, განგუამხიარულნა C; და კეთილის-ყოფითა განგუახარა) — B; აღავსნეთ B. 11 არიედ B; დიდებითა) კურთხევითა CB. 12 ქუეყანასა) + ჩუენსა BC; ღრუბელნი]ქუხილნი BC. 13 გვეყნეთ C. 15 მკუდართა A; ~ აღმოუყოფიეს მიწისაგან BC; თუისი C. 17 იყუნეს C. 18 მთათთუისი C; წუემამან C; გმადლობდეს C. 19 წუიმაჲ C; მოალო C. 20 განსუენებდა A; მაშურალთათჲს A, დამაშურალთაჲ C. 22 აღახუნა A. 23 წუიმაჲ C. 24 ყუნა C; ცუართა A; და დააცხრო CB. 25 კალად A; თუისი A; განქცეულნი) წარსულნი B; საყოფელთაგან B; თჲსა] მათა B. 26 დაბადებულნი) — B; თუნიერ C; და საკურველისა) — B. 27 წუიმამან] + შენმან B; წუიმამან C; გუათვალენ A. 28 დაბადებულნი) + შენნი C. 29 უკვეთუ A; მიუშუა A; განირყუნეს A; ზღუასა A. 30 ქუიშისანი C; განსწავლე ვა შურის მეძიებელმან B.

რის მეძიებელი, და შენ სწყალობ, ვითარცა სახიერი. შენ დააცადი ბრძოლად კილითგან კიდემდე ქუეყანისა. შენ შეჰმუსრე საქურველი, რაჟთა გმადლობდენ ყოველნი კაცნი. და ოდეს შეკრბენ წარმართნი ბრძოლად, „აღწდეს კუამლი რისხვისაჲ ცოდვასა მათსა“ ¹⁾, ვითარცა წერილ არს. და ესე ბრძანებაჲ სრული არს, ვითარმედ: „რომელმან ცოდოს, იგი იგუემოს“ ²⁾. და ცოდვისათჳს იგუემნენ * ყოველნი მოქმედნი მისნი.

უფალო, მოგუეც ჩუენ მშუდობაჲ შენი, ვითარცა მოგუეც [ჟ] ჩუენ წმუაჲ, რამეთუ მშუდობაჲ მობაძავ წჳმისა არს. უბრძანე ბრძოლასა დაყუდებაჲ და მახზლსა დაცხრომაჲ, და წამ-უყვენ შიმშილსა წარსლვად, და მოუწოდე მშუ-
 10 დობასა, რაჟთა მოვიდეს. შენი არს მიცემაჲ ყოველთა მვედრებელთა შენთაჲ და საუნჯენი შენნი მოუკლებელ არიან. მიჰფინე ქალაქთა მშუდობაჲ და სოფელთა დაწყნარებულებაჲ, რაჟთა ყოველთა მიერ იდიდებოდის სახელი წმიდაჲ შენი. მორწყე წჳმითა ქუეყანაჲ შენი და ნუ სისხლითა კაცთაჲთა. კუალად დააგენ მახზლნი ქარქაშთა მათთა, რაჟთა არა აღმოიქადოს ბრძოლად. შე-
 15 მუსრე საქურველი ბრძოლისაჲ (27) და აღახუნე პირნი კაცთანი დიდებად შენდა. დაამშუდე ქუეყანაჲ, რაჟთა გიგალობდენ მკვდრნი მისნი. მახზლი ჰგებს ბრძანებასა შენსა და, თუ არა უბრძანო, არა მოჰკლავს. ვის ჰქონან საფასენი შენებრ და ვინ შემძლებელ არს [ჳჳ] მიცემად შენებრ.

უკუეთუ მისცეს მდიდარმან პური ერთი გლახაკსა, იტყვს: შენდა, უფა-
 20 ლო, ჯერ-არს მიცემაჲ. რამეთუ უკუეთუ მისცე უხუებით, არა დააკლდების საუნჯეთა შენთა, რამეთუ უზეშთაეს აღმოეცენების. უბრძანა ძალმან შენმან ღრუბელთა და გარდამოავლინე ჩუენ ზედა წჳმაჲ კურთხევისა შენისაჲ. უწოდე წყალთა, და ჳმა-გცეს; და აჰკურე მათთა ზედა, და აღმოაცენეს თივაჲ პირუტყუთათჳს, და აღავსენ ჯურღმულნი [სასუმელად] წყურიელთათჳს, რამეთუ
 25 შენ განაცხოველებ ყოველთა. და აღავსე ქუეყანაჲ ყოველითა კეთილითა, და საუნჯენი შენნი მოუკლებელ არიან. რომელი მდიდარი შემძლებელ არს ესრეთ მიცემად და საფასესა მისსა არა მოაკლდეს თჯიერ შენსა, უფალო. შენ მისცემ ყოველსა კეთილსა ყოველთა დაბადებულთა შენთა, და სიმდიდრე შენი ეგრეთვე ჰგიეს. შენ იდიდები ზეცისა და ქუეყანისათაგან დიდებითა მიუწოდო-
 30 მელითა, რომელი მიიღებ მადლობასა და მისცემ წყალობასა [ჟ] შენსა. და შეიწირავ თაყუანის-ცემასა აწ და მარადის და უკუნიითი უკუნისამდე, ამენ.

2 შეჰმუსრი CB. 3 კვამლი A. 5 იგუემოს A; ცოდვისათჳს C; იგუემნენ A. 7 მშუიდობაჲ C; ჩუენ წჳმაჲ წუიმაჲ C. 8 მშუიდობაჲ C; წუიმისა C. 9 მახუილსა C; მშუიდობასა C. 10 შენი[რ] შენი C. 11 მშუიდობაჲ C. 13 მოჰრწყე C; წუიმიითა C. 14 დააგენ[ი] აგენ C; მახუილნი C; ქარქაშსა მათსა B; აღმოიქადოს C, აღმოიქადონ B. 16 დაამშუიდე C; მკუიდრნი C; მახუილი C; ჰგებს[ი] ჰგიეს B. 17 ვის[ი] და ვის C. 19 მისცის B; იტყუს C. 20 რ[ი] — B. 22 წუიმაჲ C; ~ შენისა კურთხევისაჲ B; უწოდი B. 23 მათთა ზედა[ი] პირსა ზედა მათათსა B; აღმოეცენის B; პირუტყუთათჳს C. 24 ჯურღმულნი C] + სასუმელად B, სასუმლად C; წყურიელთათჳს C. 25 განაცხოველებ C; აღავსი C. 26 არიან[ი] + ო[რ] C. 27 და საფასესა[ი] საფასესა C; არაჲ C; თუნიერ C.

1) შდრ. ფსალმ. 17, 9. 2) შდრ. I პეტრე 2, 20.

* აქედან, კაბადონის მეორე სვეტიდან, იწყება ახალი ხელი A-ში (იხ. სურათი 1).

(28) თქუთული წვილისა იოვანე ოპროპირისად
თარგმანება იოვანე მახარებლისა და პავლესი

ამიერიტგან ყოველსავე ვიქმოდიოთ, რომელსა შემძლებელ ვიქმნეთ მო-
ლებად სულითა წმიდითა, და პატივ-ვსცემდეთ მღდელთა უზეშთაესითა პა-
ტივითა, რამეთუ დიდ არს საქმე მღდელობისაჲ; ვინაჲთგან მღდელობაჲ მი-
ცემულ არს მათდა ქუეყანასა ზედა, რომელთაჲ ენებოს მიტევენბაჲ ცოდვა-
თაჲ, ვითარცა ეტყუს უფალი, ვითარმედ: „რომლისანი განჰქსნეთ ცოდვანი
ქუეყანასა ზედა, ჰსნილ იყვენ ივინი ცათა შინა“¹⁾. ამისთჳსცა წმიდაჲ პავლე
იტყუს: „დაემორჩილენით წინამძღუართა თქუენთა და ერჩდით მათ“²⁾. რა-
ნეთუ თქუენ თაეთა თჳსთათჳს ხოლო ჰზრუნავთ და არა სხჳსათჳს, ხოლო
მღდელი, უკუეთუ კეთილითა საქმითა არა ზრუნ[ვი]დეს თქუენთჳს, ორგულთა
თანა დაისაჯოს ჯოჯოხეთს შინა. დალაცათუ არა დაისაჯოს თჳსთა საქმე-
თათჳს, უდებებისა თქუენისათჳს დაისაჯოს.

[29] წერილ არს: „ნეტარ იყვენ მგლოვარენი გულითა, რამეთუ ივინი
ნუგეშინის-ცემულ იყვენ“³⁾. რამეთუ აჩუენებს, რომელი მადლი აქუნდეს მგლო-
ვართა ნუგეშინის-ცემითა. აწ უკუეთუ გნებავს ნუგეშინის-ცემად, იგლოვდით,
ვინაჲთგან ღმერთი ნუგეშინის-მცემელ თქუენდა არს. უკუ[ე]თუ ყოვლით კერ-
იოვე მოგიცენეს მწუხარებამან, ღმერთი მჳსნელ თქუენდა არს, რამეთუ იგი
მოგუაგებს მოსაგებელსა ჩუენსა უფროჲს საქ[29]მეთა ჩუენთა კეთილთა. იქ-
მოდეთ კეთილსა, რაჲთა ნეტარებაჲ მოილოთ არა ხოლო თუ ფრიად მოლუა-
წებისა თქუენისათჳს, არამედ მრავალთა მოწყალებათა მისთაგან. რომელნი
იგლოვენ, ცოდვათა მათთათჳს იგლოვენ, და ღმერთი, რამეთუ მოწყალე არს,
ზეუნდობს და იქსნის პატივთაგან ცოდვისათა და ნეტარებასაცა მისცემს და
კადნიერებასა მის წინაშე. და კუალად იტყუს: „ნეტარ იყვენ მოწყალენი“⁴⁾;
არა თუ ქველის საქმარსა მიმცემელნი ხოლო. არამედ რომელნი ყოველსა ზედა
მოწყალე იყვენ, რამეთუ მოწყალებაჲ ფრიად და მრავალ-ფერ არს, და რაჲმე
უკუე არს მოსაგებელი მათი, [ჲ] „რამეთუ ივინი შეიწყალენო“⁵⁾. ჩუენ შევიწყა-
ლებთ ვითარცა კაცნი, და მისთჳს წყალობაჲ ღმრთისაჲ მოიწვევის ჩუენ ზედა,
ვ’ა იგი სახიერ არს, ესე უწყით, რამეთუ ვერ ესწორების წყალობასა ღმრთისასა,
არამედ ვითარცა-იგი სახიერებაჲ უფროჲს არს მანკიერებისა, ეგრტ[ვი]ე წყა-
ლობაჲ ღმრთისაჲ უფროჲს არს წყალობასა კაცთასა, იტყუს მოციქული. „ნუ

1 წმიდისა იოვანე ოპროპირისაჲ მისივე C. 3 ვიქმნეთ B. 4 პატივისათა B. 5 მღდე-
ლობაჲ ქელმწიფებაჲ BC. 6 მიტევენბად C. 7 იტყუსი CB; ოქ—C. 8 იყუნენ C; ამისთჳსცა C.
9 იტყუსი C. 10 თუისთათჳსი C; ზრუნავთ C; სხუისათჳსი C, სხუათათჳს B. 11 თქნთუისი C. 12
დალათუ CB; თუისთა C; საქმეთათჳსი C. 13 თქუენისათჳს C; დასაჯოს C. 14 იყუნენ C. 15
იყუნენ C; 19 ჩუენთა—A. 20 მოდლოთ C. 22 მთათუისი C; და ღმერთი რ’ ღ’ ი C; რამეთუ—
AB. 24 იტყუსი C; იყუნენ C. 26 იყუნენ არიან C, არიედ B. 27 რ’ იგი შეიწყალენენ A. 28 მის-
თუისი C; მოჲწვევის C; ზედა+ვ’-იგი C. 29 ვ’ა—A. არს—BC. 30 ~ მანკიერებისა არს BC;
ეგრეთჲ A. 31 კაცთასა + სწურლნო C; იტყუსი C.

1) მათე 18,18. 2) ებრ. 13,17. 3) მათე 5,4. 4) მათე 5,7. 5) მათე 5,7.

მიაგებთ ბოროტსა ბოროტისა წილ²⁾, და ნუ ჰგმობ მზაკუარსა, ვითარმედ ბოროტ არს. მოიძულე და განგმე ზაკუად და ნუ მზაკუვარი, რამეთუ თქუა: ნუ მიაგებთ ბოროტსა მორწმუნესა ხოლო, არამედ არცალა წარმართსა ჯერ-არს მიგებად ბოროტისად³⁾.

5 მოსწრაფე იყვინით კეთილის ყოფად ყოველთა კაცთა მიმართ, და ყოველთა თანა მშ(30)დობასა ჰყოფდით, და ესრეთ ნათობდინ ნათელი თქუენი ქუეყანასა ზედა წინაშე კაცთა⁴⁾. ნუმცა ვინ მიზეზ შფოთისა და ბრძოლისა ექმნებით კაცთა „და ნუცა თავით თუსით შურსა ეძიებთ, რამეთუ იტყვს: ჩემი არს შურის-გებად, და მე მივაგო, იტყვს უფალი“⁴⁾. [90] უკუეთუ ავაზაკნი რა-
10 ეჟამს შეკრბიან, დაუტევიან სახე იგი მათი ბოროტი და მშ(30)დობით მოიკითხნიან ურთიერთას, ჩუენ-მე რომელი სიტყვს-გებად ვპოოთ წინაშე ღმრთისა, რამეთუ ყოველნივე ერთსა ჯორცსა მოვიღებთ უფლისასა და ავაზაკთაცა სწორად ვერ ვიპოვებით. უმჯობეს არს სასტიკად გუემად ჩუენი აქავე, ვიდრე პირი იგი ტკბილი ხილვად უფლისა ჩუენისაჲ გარემიქცეული ჩუენგან ეჟამს
15 მას საშინელსა. ამისთჳს ჰრქუა უფალმან მონათა თუსთა, რადთა აცადონ ღუარძლი იგი თანა აღორძინებად იფქლსა⁵⁾, რადთა სცეს ადგილი ცოდვილსა სინანულისაჲ, არა თუ ამისთჳს, რადენ ოდეს სცოდეთ, არა გაქუნ ტკივილი და უღებ-ჰყოთ სინანული, არამედ უფროჲს გიღირს სინანული, სულ-თქუმაჲ და ცრემლნი. რაჟამს ვერ აგრძნობთ ცოდვისა ტკივილსა სულთა შინა თქუენთა,
20 არა თუ რაჟამს ცოდვაჲ არა გტკივის, მისთჳს არა იგლოვ, არამედ რადენ სული ცოდვასა უღებ-ზამს და ვერ (31) აგრძნობს. [9] ხოლო რომელსა ცოდვაჲ სტკივის და განკითხვასა მოელის, იგი ღალადებს ღმობიერად უფროჲს მათსა, რომელთა-იგი ასონი მოეჭრებიედ მახვლითა და წყლულნი ცეცხლითა დაიწუფიედ, ვითარ-იგი საწყალობელად ღალადებნ, რადთა განერეს ტკივილთა
25 მათგან.

აღიარენ შენცა ცოდვანი შენნი წინაშე მსაჯულისა, რადთა უწყოდი, რომელი მოტევებად მოგემაღლა და რადენსა ზადლობასა გიღირს შეწირვად ღმრთისა შენ. ოდესლა კაცი განარისხო, მოსწრაფე ხარ კულად დაჯერებად მისა, და ევედრიცა ზისთჳს მოძმეთა და მეგობართა მისთა, რადთა ევედრენ
30 შენთჳს მშ(30)დობისა ყოფად მის თანა. ვითარცა შემდგომად მძაფრისა წჳმისა გამობრწყინდის უფროჲსი მცხინვარებაჲ მზისაჲ, ეგრეთვე შემდგომად ცრემლთა ცუარისა იქმნის გონებასა შინა ფრიალი დაწყნარებაჲ, და ყოველნი იგი

2 მოძულე C; თქუა] არა თქუა BC. 3 წარმართისაჲ B. 6 მშუიდობასა C; ნათობდეს B. 8 თუისით C; იტყუის C. 9 იტყუის C. 10 მშუიდობით C. 11 ჩუენ აწ რომელიმე სიტყვს-გებაჲ B; სიტყუის-გებაჲ C; ვპოოთ C. 12 ~ უფლისასა მოვიღებთ BC; უფლისასა] + მოვიღებთ A. 13 აქავე] აქა AB. 15 ამისთჳს C; თუისთა C. 16 ცოდვილთა BC. 17 ამისთჳს C. 18 უფროჲს-ლა BC; გიღირს]+თქნ C; გვიღირს ჩუენ სინანული B. 19 ტკივილთა B. 20 მისთჳს C. 21 უღებ-ზამს] იქმნ B. 23 მახვლითა C. 24 დაიწუფიედ C, დაიწუფებიედ B; ღალადებენ C; განერენ C. 27 მოჯუემაღლა B; გიღირს]+შენ B; შეწირვაჲ C. 28 ხარ] იყვი B; კულად]—B. 29 მისა] მის-და B; მისთჳს C.] მრავალ გზის B; ~ მეგობართა და მოძმეთა B. 30 მშუიდობისა C; მძლაფ-რისა C; წუიმისა C. 31 მცხინვარებაჲ] ბრწყინვალეებაჲ B; ეგრევე A. 32 ფ'დ B.

1) I პეტრე 3, 9. 2) შდრ. I პეტრე 3, 9-10. 3) შდრ. მათე 5, 16. 4) შდრ. რომ. 12, 19.

5) შდრ. მათე 13, 30.

ღრუბელნი ცოდვისანი განიბნინიან და ივლტიედ ცრემლთა მიერ. და მად-
 ლობამან განწმიდის სული, ოდეს არა არნ იგი კაცთა საჩუენებელად.
 [91] ეშმაკი ვერ შემძლებელ არს იძულებად ნებასა ჩუენსა და ძლევად, და
 არცალა ღმერთი და ანგელოზნი მისნი იძულებით მოგვლებენ ნებასა ჩუენსა.
 ეშმაკი ლიქნით და ვერაგობით გუაწუევეს ნებასა მისსა შედგომად და, უკუეთუ
 ვერ მიდრიკოს გონება ჩუენი ნებასა მისსა, ალატყინის ჩუენ შორის ცოდვაჲ,
 ვითარცა ცეცხლი. და უკუეთუ (მშ) ჩუენ არა ვერჩდეთ, ვერ შემძლებელ არს
 იძულებად ჩუენდა. ესრეთვე ღმერთი და ანგელოზნი მისნი მაწუევენ ჩუენ კე-
 თილისა საქმედ და შემეწევიან ჩუენ კეთილსა ზედა და, უკუეთუ არა ვინებოთ
 თავით თუსით საქმედ კეთილისა, არა მაიძულებენ ჩუენ, გზასა მას ცათა მეუ-
 ფისასა ვლენან მონანი მეუფისანი.

სახმ, რომელი ჰმოსიედ მოძლუარსა, იგივე შეიმოსიედ მოწაფეთა; წესი,
 რომელი დაუდვის მეფემან, მას ზედა იქცევიან გუნდი ერისა მისისაჲ. ღმერთი
 შენი ზეცით გარდამოვდა და ქუეყანასა ზედა ვიდოდა, არა თუ სიმაღლით
 და დიდებით, არამედ სიმდაბლითა და სიმშუდითა, რაჲთა შენ მოგცეს წესი
 კეთილისა სიმდაბლისაჲ. გამობრწყინდა მზე [9] სიმართლისაჲ და დადენა
 მთანი და ბორცუნი მალალნი, განჰფინა მცხინვარებაჲ სიმართლისაჲ, და დამ-
 დაბლდეს. იხილეს იგი ღირღუართა და წრფელ იქმნეს, რამეთუ იგი წრფელ
 იყო და მშუდ გულითა. იხილეს უფსკურთა და შეძრწუნ[ნ]დეს, იხილეს და
 წრფელ იქმნეს ძნელოვანი. იხილეს იგი უმაღლოთა და ისწრაფეს ურთიერ-
 თას სიყუარულით სიყუარულისაგან მისისა. იხილეს ასპიტთა, და ისწავეს
 სიმშუდე მისი. იხილეს იგი ლომთა და ლეკუთა ლომისათა, და შეირაცხნეს
 ზროხათა თანა. იხილეს იგი მგელთა, და მშუდობა-ყვეს (მშ) კრავთა თანა.

ეჰა ძალი სიმდაბლისაჲ, რომელმან-იგი დაამკუნა ზღუდენი მალალნი! ეჰა
 სიყუარული, რომელმან დაიმონა მანკიერებაჲ და შემუსრა ქედი მისი! ეჰა
 სიტყუაჲ მშუდობისაჲ, რომელმან დააწყინარნა შფოთებანი კაცთანი! ეჰა ძალი
 სიმდაბლისაჲ და სიბრძნე ქეშმარიტი, რომელი მისცემს უგუნურთა [92] გო-
 ნებასა კეთილსა! ეჰა შეენიერებაჲ უბიწოჲ, რომელი განაშუენებს უსახურთა
 და უკეთურთა! ეჰა სახიერებაჲ ღმრთისაჲ, რომელმან მოიყინდა სისხლითა
 თუსითა კუალად დაბადებულნი თუსნი, განფრდილნი მტერისაგან, წარავლინნა
 მონანი მისნი წინაშე მისსა, რაჲთა ახარონ სიმდაბლე მისი; წარავლინნა მო-
 ციქულნი თუსნი, რაჲთა უქადაგონ სიმდაბლე იგი ძისა მეუფისაჲ. დაჰქდეს
 ჰმანი მათნი ღალადებითა, და სასმენელნი კაცთანი დაყრუვდეს და არა ის-

1 განიბნინიედ B; მადლმან B. 3 და ძლევად| ძლევად C. 4 იძულებით C; მოგვლებენ C.
 5 შედგომად| ქმნად B. 6 ვერ| ვითა C; ალატყინოს C. 7 ვერჩდეთ| + მას C; ვერ| ვერას C.
 8 იძულებად C; ვერეთვე BC. 10 თუსით C; მაიძულებენ C. 12 სახე A, სახე BC; ჰმოსიეს
 B; შეიმოსიან C, შეუმოსიეს B. 13 იქცევიედ B. 14 სიმაღლითა და დიდებითა B. 15 სიმშუდი-
 დითა C. 16 გამობრწყინდა C; დადენა CB. 17 განჰფინა მცხინვარებანი სიმართლისანი B.
 18 ღირღუართა C, ღირღუაროვანთა B. 19 მშუიდ C; უფსკურლთა BC. 20 ძნელოვანი C.
 21 იხილეს და წრფელ იქმნეს ძნელოვანი| — B. 22 სიმშუიდ C; შეირაცხნეს ზროხათა თანა|
 შეირინეს პირუტყუთა თანა B. 23 იგი| — A; მშუიდობაჲ ყვეს C, მშუდობაჲ ყვეს B; თანა| — A.
 25 დაამონა C. 26 მშუიდობისა C; კაცთანი| — B. 29 სისხლითა| სიმდაბლითა BC. 30 თუი-
 სითა C. 31-32 მოციქულნი| მოწაფენი C. 32 თუსნი C; უქადაგონ| + ლთა B; მეუფისა| + ლ-
 თა C. 33 ~ ჰმანი მათნი დაჰქდეს B.

მინეს. განთქუეს ჰამბავი მისი ყოველთა კიდეთა. რაჟთამცა დაენერგა სიტყუად და სიყუარული მისი გონებათა შინა ჩუენთა ფიცხელთა. მჯდომარე ქერობინთა ზედა, ძელსა ზედა აღმაღლდა, და ჩუენ ავმაღლდებით ამპარტავანებით. მი-
 5 იდრიკა თავი თუჱი ჯუარსა ზედა, და ჩუენ თავთა ჩუენთა აღვიმაღლებთ ამ-
 პარტავანებითა, ზუაობითა და თავგედობითა. [შ] მეუფე იგი მეუფეთაჲ არა-
 სადა იქადლოდა, და ჩუენ, პურის-მთ(შ4)ხოველნი, საქადულითა სავეს ვართ..
 რომელი ღმერთი არს, არა მალლოდა, და ჩუენ, მონანი ცოდვისანი, დიდად
 ემაღლოვით. რომელი-იგი დიდ არს, არა ზუაობდა, და ჩუენ, არარანი ესე,
 დიდად ვზუაობთ. რომელი-იგი ცხოველ არს, არა იქადლოდა, და ჩუენ, მკუდართა,
 10 სილაღე შეგვმოსიეს. ყოვლითა სახითა ემსგავსა დამბადებელი ღმერთი დაბა-
 დებულთა თუსთა. ყოვლითა მიზეზითა ეჩუენა ღმერთი კაცთა და სახლ მისცა
 ესე. რამეთუ მათ დაწყევეს, ხოლო მან აკურთხნა; მათ მოიძულეს, ხოლო მან
 შეიყუარნა; განდევნეს იგი, ხოლო მან განდევნნა საღმობანი და ვნებანი მათნი;
 განაძეს იგი ქუეყანით მათით, ხოლო მან განასხნა მათგან სულნი უკეთურნი;
 15 განსაჯნა იგინი სამართლით, ხოლო მათ უმსჯავროდ დასაჯეს იგი სიკუდი-
 ლად; ეტყოდა მათ ქეშმარიტსა, ხოლო იგინი ზაკუეასა. ზრახვიდეს მისთუს.
 ძელსა ზედა აღმაღლეს და მართალი იგი ძურის-მოქმედთა თანა შეჰრაცხეს.
 [გ] ესე ყოველი ჩუენთუს თავს-იდვა და შეიწყნარა, რაჟთა ჩუენ სახე იგი.
 მისი მოვილოთ, რამეთუ უწყოდა, ვითარმედ სიმდაბლესა ეწყევების ამპარტავა-
 20 ნებაჲ, და თავი თუჱი სახედ მისცა, ძლევაჲ გუასწავა ამპარტავანებისაჲ.

ჟ, ქეშმარიტისა მეტყუელნო, უკუეთუ მოგიძულონ შენ მტყუევართა, ნუ
 მწუხარე ხარ, რამეთუ მტყუევართა ფრიად სძულს ქეშმარიტისა მეტყუელი.
 ჟ, კეთილის მოქმედო, უკუეთუ მოგაგონ შენ უკუეთურთა ბოროტი კეთილისა
 წილ, ნუ მწუხარე ხარ, რამეთუ უფალსაცა შენსა * ეგრეთვე კეთილისა წილ
 25 ბოროტი მიაგეს ჰურიათა. ნაცვალად მანანაჲსა ნავლელი და ძმარი ასუეს მას.
 მწყერ-მარტილი მოსცა მათ ზღუთ, და წყალიღა ითხოვა, არა ასუეს მას.
 ზღუაჲ განუპო და განიყვანნა იგინი, და ნაცვალად მისა გუერდი განუპეს
 ლახურითა. კლდე განჭურიტა და წყალი მოსცა მათ უდაბნოსა ზედა, ხოლო
 მათ სამსკულითა განუჭურიტნეს კელნი და ფერკნი მისნი. [შ] ღმერთმან შენმან
 30 აკურთხნა ებრაელნი, ხოლო მათ გინებაჲ მიაგეს; ჰნერწყუვიდეს პირსა მისსა
 წმიდასა, რომელმან-იგი ნერწყუთა შობითგან ბრმასა თუალნი აღუხილნა. სენთა
 მათთა უძღურებანი განკურნა, და ტანჯვაჲ მიაგეს მას. სიტყუთა ვნებანი
 მათნი განდევნნა, ხოლო მათ სახელ-სდევს მგმობარ. განამტკიცნა ასონი.

3 ამპარტავანებით B, ამპარტავანებითა C. 4 თუისი C; ავიმაღლებთ BC. 5 ზუაობით B.
 6 მთხოველნი C. 7 რ'ი ლ'ი არს არა მალლოდა] — A. 8 ემაღლდით C. 9 რ'ი-იგი რ'ი A. 10
 შეგუიმოსიეს C. 11 თუისთა C; ~ კაცთა ლ'ი CB; სახე A; მისცა] — B. 13 მათ განდევნეს.
 C; და ვნებანი მათნი] — B. 16 მისთუის C. 17 ძურის მოქმედთა C; შეირაცხა B. 18 ჩ'ნთუის C.
 20 თუისი C; ამპარტავანებისაჲ C] — B. 21 მეტყუელო BC; მტყუევართა C. 22 ქეშმარიტისა]
 კეთილისა B. 24-25 კეთილისა წილ ბოროტი მიაგეს] — B. 25 მას] + ჯუარსა ზა B. 26 ზღუით
 C; ასუეს C. 28 ლახურითა] მას B; მათ] — B; უდაბნუსა C. 29 ~ კელნი და ფერკნი მისნი
 განჭურიტნეს B. 31 ნერწყუითა C. 32 განკურნნა B; სიტყუითა C.

* ამას ქვემოთ A-ს ფურცელი აკლია.

მათნი დაჯსნილნი, ხოლო მათ ასონი მისნი ძელსა ზედა განსხირპნეს, და გუამი მისი მღვმესა დადევს და დაჰბეჭდეს კარსა მის(ს)ა.

აწ უკუეთუ შურმან და ჯდო[მა]მან ხესა ნედლსა ესრეთ უყო, შენ ღრუსა და ფატარსა რადენ უფრომს? შურმან მოკლა საყუარელი, ხოლო შენ, თიჯად, ვერ-მე მოგკლასა? შურმან განაძო მაცხოვარი, ხოლო შენ მოკუდავი არა-მე განგაძოსა? ჰ, მყუდროვო, ივლტოდე და დაიმაღე ზღუდესა შინა სიმდაბლისასა. ჰ, მოწყალეო, დაიმარხე მტკიცედ სახე მოძღუროსა შენისაჲ, რომელი ისწავე. არა უკუეთუ უფალი ჩუენი დამდაბლდაა და დაემორჩილნეს მას ძლიერნი? მოიდრიკა თავი თვისი სიმდაბლით [94] და დაემორჩილა ამპარტავანებზე სიმდაბლესა. ვინ უკუეთუ დაიჯგროს შენი, ვითარმედ მოწაფე ხარი ქრისტესი, რამეთუ მან დიდებულმან სიმდაბლე შეიმოსა და შენ, მტუერი და ნაცარი, ესრეთ ჰმალლოვი. უკუეთუ მან შეგიყუარა შენ, რაჲსათჳს გძულს ძმაჲ შენი? ამით უკუეთუ საცნაურ არიან მოწაფენი მისნი, უკუეთუ იყუარებოდინ ურთიერთას. სიყუარულით ზრახვიდეს მოციქულნი, და სრულნი სიმდაბლითა და მშჯდობითა მძლე ექმნეს მართალნი და დაწყნარებითა მყუდრონი და მღუმარენი. ცეცხლი რაჲმას ალატყდის, წყლითა დაივსის, და რისხვად ღუმილითა დაწყნარდის. შური სიყუარულითა იძლიის, და გულის წყრომად—კეთილისა სიტყუთა. ტყუილი და შფოთი იძლევიან ღუმილითა, და რისხვად და ღაღადებზე—დაწყნარებითა და მყუდროებითა. ცილობაჲ და ურჩებზე მორჩილებითა განეგების.

შენ მარადის საღმრთოთა წიგნთა იკითხავ, და სიმდაბლესა ღმრთისასა არა ემსგავსები. [9] შენ მოწაფე ხარ ამის მოძღუროსაჲ, და მყის. განურისხნი ძმასა შენსა, შენ შვილი ხარ და სახლეული ამის ღმრთისაჲ, და აღეტყინის შენ შორის მჭურვალებზე გულის წყრომისაჲ. ღმერთი შენი სახიერი და მდაბალი იგუემა და არა განრისხნა, და შენ, რომელი-ეგე კუამლი ხარ, სიტყუთა აღეგზნები. ოდეს იხილო იმაჲ შენი განრისხებულად, დაასხ ნას ზედა წყალი იგი სიყუარულისაჲ, რაჲთა დაშრიტო მჭურვალებზე იგი გულის წყრომისა მისისაჲ. ოდეს იხილო ფერი პირისა მისისაჲ ცვალებულად, აჩუენე მას კეთილისა ზრახვებზე შენი. ოდეს იხილო იგი აღშფოთებულად, მხიარულითა პირითა დააწყნარე იგი. ოდეს იხილო იგი განძქნებულად ვითარცა ღელვანი ზღუსანი, ექმენ მას ვითარცა ნავთ საყუდელი მყუდროაჲ.

2 მღუიმესა C; მისა]—B. 3 ესრეთ] ესე B. 5 მოგკლას B. 6 დაიმაღე C, დაიმაღე B. 7 დაამარხე C. 9 მოიდრიკა C; თუისი C; სიმდაბლით]—B; დაიმორჩილა B; სიმდაბლითა B. 10 დაიჯგროს C; ხარ B. 11 და]—B; ნაცარი]+ხარ B. 12 ჰმალლო C; რაჲსათუის C; ძმა C. 13 არიედ B; იყუარებოდით B. 14-15 და მშჯდობითა] მშჯდობითა B, მშუიდობითა C; და]—B; და მღუმარენი]—B. 16 აღეტყინის B; დაევისი C. 17 იძლიის C; კეთილითა B. 18 სიტყუითა C; ტყუილი C; და ღაღადებზე]—B. 19 მორჩილებითა B. 22 ამის] მის B. 23 ამის]—B. 24 მჭურვალე გულის წყრომად B. 25 სიტყუითა C. 27 დაშრიტოს B; იგი]—B. 29 ზრახვად B; შენი] სიმდაბლით B. 30 განძქნებულად C. 31 ზღუისანი C.

რომლისა გულსა დანერგულ არს ძვრის სიტყუაჲ და სიძულელი ყოველი, კეთილისა საქმე მისი აუგიან და შეურაცხ არს წინაშე ღმრთისა. [მ]მარხველსა რომელსა სძულდეს ძმაჲ თჳსი, იგი მეძაჲი არს წინაშე ღმრთისა. [95] წმიდაჲ კაცი, რომელი აგნებდეს მოყუასსა, მემრუშეთა თანა შერაცხილ არს წინაშე ღმრთისა. ქალწული, რომლისა თანა სიყუარული არა არს, ეშმაკთათჳს იცავს თავსა თჳსსა. მღვდარე, მოშურნე და შფოთის მოყუარე ეშმაკთა მსგავს არს უძილობითა და მათ თანა დაისაჯოს. რომელმან ჯუარსაცუა თავი თჳსი შრომითა და სიწმიდითა, და სნეულ არს იგი შურითა, ნარჩევ და აუგიან არს იგი წინაშე ღმრთისა. რომლისა საქმენი კეთილ არიან და არა მოუდრეკს თავსა სიმდაბლით ძმათა, შეკრულ არს იგი მარცხენით კერძო და ვერ აგრძნობს ამპარტავანებითა. რომელი ახოვან იქმნა ბრძოლასა შინა და უდებ ყვნა უძღურნი უდებებითა მისითა, მოინადირონ იგი მტერთა მისთა უგრძნულად. რომელი განგებითა მდიდარ არს და სიყუარულითა გლახაკ, ამპარტავანებაჲ უფლებულ არს მისდა. რომელი განსრულდა და მიიწია და სიქადული ეუფლა, მყის დაეცეს იგი ქებათა მიერ სიკეთისა მისისაგან შეუნიერისა და სრულისა.

[ს] რომელმან აღაშენა და განასრულა, და სხუათა განიკითხვიდა, უგრძნულად დაეცეს ნაშენები მისი, რამეთუ ქვშასა ზედა დადვა საფუძველი მისი. რომელი საჩინოდ მდაბალ არს და ენასა არა აღვრ-ასხნა, საბრკე დაერწყუას ბნელსა და მოინადიროს იგი შუადღე. რომელი ჳამს თესლსა, ნუ სთესავნ იგი სიტყუათა ზაკუვისათა. რომელი ძაძითა იმოსებინ, აღშფოთებულთა დააწყნარებდინ. რომელსა დაყუდებაჲ აღურჩევიეს, ეკრძალენ იგი ენასა და მუცელსა თჳსსა. რომელსა თჳსნი საქმენი განუგიან, ნუმცა შინა-განმხედველ არს იგი სხჳსა საქმეთა. რომელსა სწავლაჲ მოუგიეს, ეკრძალენ, რაჲთა არა დაეცეს სიტყუთა. რომელი უცალო არს წიგნის წერასა, ნუმცა უცალო იქმნების გონებაჲ მისი ზუაობითა. რომლისანი სიტყუანი ლბილ არიან, განეშორენ იგი * (შნ) ამპარტავანებასა.

უფროჲსმან შეურაცხ ყვის უმცირესი, და მიდრიკის, რომელი არა ჯერარნ. მოძღუარმან თუ უდებ-ყოს მოწაფე თჳსი, [96] ვერ ისწაოს წესი მისი, რომელსა ეშინის დაფარულთაგან, ნუ მოიგებნ აუგთა დაფარულთა. რომელი წერილთა მოძღურობს, ნუმცა ურჩ არს იგი წერილთა სიტყუასა. რომელი შჯულსა ზრახავს, დაუდევინ შჯული თავსა თჳსსა. გზაჲ განუქმნიეს წინაჲსწარმეტყუელთა, შენ თავით თჳსით ნუ იქმ გზასა სხუასა; მოციქულთა განუგიეს

1 ძვირის სიტყუაჲ C. 2 აუგიან და] — B. 3 თუისი C. 4 მოყუასსა] + იგი B. 5 არს] + იგი B; ეშმაკთათუის C. 6 თუისსა C; მღუიძარე C. 7 მათ] მათვე C; დასაჯოს C. 8 თუისი C; ნარჩევ და] — B. 10 მოუდრეკს] + იგი B. 11 ახოან C. 12 ყუნა C; უდებებითა მისითა] — B; მოინადირონ C. 14 მისდა] მის ზედა B. 15 ეუფლა] + მას B. 17 განიკითხავს B. 18 ქუიშასა C. 19 აღური-ასხნა C; დაერწყოს B] + მას B. 20 მოინადიროს C; შუადღეს B; სთესავს B. 21 იმოსების B, ამოსებინ C. 23 თუისსა C; თუისნი C. 24 სხუისა C; საქმეთა] ცოდვთა B. 25 სიტყუითა C; იქმნების] + იგი B. 25-26 გონებითა მზუაობარ B. 26 არიედ B. 29 თუისი C. 30 მოიგებს BC. 31 მოძღურებს B. 32 სჯულსა C; სჯული C; თუისსა C; წყწლთა C. 33 თუისით C.

* ამის შემდეგ კვლავ გრძელდება A-ს ტექსტი (იხ. გვ. 70).

და განუწყმედიეს ეკლისაგან და ქვისა, და შენ უგზოსა ნუ შესცთები, რაჲთა არა დაპბრკოლდე და დაეცე. წიგნთა იკითხვედ, და მათგან ისწაო სიმდაბლე. მიეც გონებაჲ შენი და გულისწმა-ყავ, რომელსა იკითხვიდე. და ნუგეშინის-გეცეს და განდევნოს შენგან ცუდი ღიღებაჲ, სიქადული და ზუაობაჲ. ღმერთ-მან წინაღსწარმეტყუელთამან გაუწყოს შენ, რავედენნი პირველთაგანნი შეაგინნა ამპარტავანებაჲმან და დასცნა ივინი.

მიჰხედე იუდას და გეშინოდენ შენცა, და ნუ ზაკუვით შინა-განსცემ მოყუასსა. საულისგან ისწავე, და ნუ შურით ავნებ მოყუასსა. იხილე ბოროტად სიკუდილი სამიადსი, და დაიცევ პირი შენი გინებისაგან. [უ] დაიცევ თავი შენი და ენაჲ შენი შურისაგან და შესმენისა. (ჰ6) მოიგსენენ ქალღველნი იგი შემასმენელნი სამთა ყრმათანი, ვითარ-იგი ცეცხლმან შექამნა. ნუმცა დაიწუები შენ ენისა მიერ, რამეთუ წინაღსწარმეტყუელთა დაუწყევების ენაჲ ორისა მეტყუელი.

სხუაჲ იტყვს—ავტოცენინ უფალმან ყოველნი ბაგენი მზაკუვარნი, და იოვანე თქუა: „რომელმან აღიმაღლოს თავი თჳსი, იგი დამდაბლდეს, და რომელმან დაიმდაბლოს თავი თჳსი, იგი ამაღლდეს“¹. ამპარტავანებაჲმან წარწყმიდნა ძლიერნი და უძლურთა შეიმოსეს ძალი. მაცილობელნი დაეცნეს თავგედობითა, და მდაბალნი ამაღლდეს მყუდროებითა. მენენი დაეცნეს თავგედობითა და ამპარტავანებითა, და დაშნნი მძლედ გამოჩნდეს სიმდაბლითა, ვითარცა გოლიად და დავით და მეზურენი. ქედ-ფიცხელობაჲმან წარწყმიდნა ფარაო, ქედ-ფიცხელობითა მოკუდა, და სენაქირემ გმობითა დაეცა სხუათა მათ თანა ბევრეულთა. ამპარტავანებასა [97] ურიცხუნი წარუწყმედიან და სიმდაბლესა ურიცხუნი დაუცვან ბოროტისაგან.

აწ უკუეთუ სიკუდილი მათი ჩუენ თანა საქებელ არს, აუგნი მათნი მოიპოვენ, და უკუეთუ საგმობელ არს, განეშორე და სიმდაბლე მოიპოვე, რომლისა მიერ ღირს მყვენინ ყოველნი ქრისტემან ერთობით მარჯუენეთა მისთა თანა დღესა მას გან(ჰ7)კითხვისასა, რაჲთა ვადიდებდეთ მას თანა მამით და სულით წმიდითურთ აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამენ.

თქუთული ჟიღისა იოვანე ოძროპირისაჲ სინანულისათჳს

გევედრები თქუენ, ძმანო ჩემო საყუარელნო, რაჲთა იქცეოდით წინაშე ქრისტეს ღმრთისა ჩუენისა უბიწოდ და შეუგინებელად, და ოდეს მოგვტდენ თქუენ გულის-სიტყუანი ბოროტნი, იხილეთ და იჯადეთ მახული შიშისა ღმრთისაჲ

1 და შენ] შენ C. 2 დაპბრკოლდე C; იკითხვედი B. 4 შენ B; და სიქადული B; და ზუაობაჲ — B. 5 წყლთამრ C; გაუწყა B; და რავედენნი C; ~ შეიგინეს პირველთაგანნი B. 6 ამპარტავანებითა და დაეცნეს B. 7 მიხედენ C; აუდას C. 8 მოყუასსა] + შენსა B; ისწავე C; მოყუასსა] ძმასა BC + შენსა B. 9 დააეცე C. 10 მოაქსენენ C. 12 დაეწუები C. 14 იტყუის C; მზაკუვარნი C; აოვანე C. 15 თუისი C; დამდაბლოს C. 16 წარწყმიდნის C. 17 შეიმოსეს C; თავგედობითა C. 18 თავგედობითა C. 19 ამპარტავანობითა C. 20 გოლიათ C. 20 ქედ-ფიცხელობითა C. 21 სენაქირემ C, სენაქერემ B. 22 მათ]—CB. 24 ჩუენ] შენ BC; მოაპონ C. 25 მოაპონ C. 26 მყვენ B; ყოველნი ქრისტემან ერთობით] ქრისტე ერთობით ყოველნი B. 29 წმიდისა იოვანე ოკროპირისაჲ] მისივე C. 33 იხილეთ და]—B; მახული C.

¹) მათე 23,12.

და მით განკუთვნილი ყოველი ძალი მტერისაჲ. და გაქუნდედ საღმრთონი წიგნნი ვითარცა დაფი მკედართაჲ, რამეთუ ვითარცა-იგი რაჲჲმს დაფსა დასციან, მუნთქუესვე მკედარნი შეკრბიან; ეგრეთვე ჩუენ, რაჲჲმს საღმრთოთა წიგნთა ვიკითხვიდეთ, [ს]მემოკრბენ გულის-სიტყუანი ჩუენნი შინსა შინა ღმრთისასა, რამეთუ გულის-სიტყუანი ჩუენნი, ვითარცა მკედარნი რაჲ ჰბრძვანედ მტერთა მეფისათა, ეგრეთ ჰბრძვანან მტერსა ჩუენსა.

31. 3ე ძმაო, მოსწრაფე იყავ ყოვლითა გულითა შენითა კითხვად წიგნთა საღმრთოთა და იძულებდ თავსა შენსა ყოველსა ეამსა, რაჲთა შემოკრბენ გულის-სიტყუანი შენნი, რომელნი განუზნევიან მტერსა ვერაგობისა მისისა ღონის ძიე-ბითა, რაჲჲმს-იგი მოაწინის შენ ზედა გულის-სიტყუანი ბოროტნი, გინა გულის-თქუმაჲ ბოროტი, გინა მწუხარებაჲ, გინა საშუებელთა ფართობაჲ. (38) და ამას ყოველსა იქმს მტერი ზაკულებით, რაჲთამცა განაშორა კაცი ღმრთისაგან, რამეთუ რაჲჲმს ვერ შემძლებელ ექმნის კაცსა ძღვევად, გულის-სიტყუთა მოაწინის მწუხარებანი, რაჲთა დააბნოს გონებაჲ მისი და მით შემძლებელ ექმნეს
32. დათესვად, რაჲ-იგი უნდეს მას შინა.

ამისთჳს საყუარელნო, მღვდარე და მოსწრაფე იყვენით [98] საღმრთოთა წიგნთა კითხვად და მათ გასწაონ შენ, ვითარ ჯერ-არს განრომაჲ საფრკეთა მტერისათა, და მიგიყვანონ საუკუნესა მას ცხობრებასა. რამეთუ კითხვაჲ საღმრთოთა წიგნთაჲ შეჰკრბებს გონებასა განზნეულსა და მოატყუებს ცნობასა

33. ღმრთისასა, ვითარცა წერილ არს: „მოიცალეთ და გულისკმა-ყავთ, რამეთუ მე ვარ ღმერთი“.

იხილე, ძმაო, რაჲჲმს იკითხვიდე, ეკრძალე, რაჲთა არა დაგაბრკოლოს მტერმან და მოაწიოს შენ ზედა მოწყინებაჲ და მიზეზნი და გრქუას შენ: ქმენ ესე ხოლო, და მერმე დაჯედ და უზრუნველად იკითხვიდე. და დაგიტ-ბობდეს საქმესა, რაჲთამცა მოგაცთუნა წიგნის კითხვისაგან, და არა სარგებელ იყავ, რამეთუ რაჲჲმს იხილის ვინმე წიგნის კითხვასა მოსწრაფედ სარგებელისათჳს, ამით ესევეითართა მიზეზითა დააბრკოლის იგი წიგნის კითხვასა, არამედ შენ, ვინაჲთგან გიცნობიეს ნებაჲ მისი ბოროტი, ნუ დაჰმორჩილდები მას, არამედ იყავნ შენ ვითარცა ირემი წყურიელი*. და ვითარცა-იგი მას

34. სურინ, გსუროდენ შენცა საღმრთოთა მიმართ წიგნთა, რაჲთა სუა მათგან და განიგრილო წყურიელი იგი, რომელი ეგზების შენ თანა ვნებათა მიერ. და

1 გაქუნდენ C, გაქუნდინ B. 2 ვა]-B; ~ რაჲჲმს იგი B. 3 ეგრეთვე A, ეგრეთვე BC; მუნთქუესვე] მეყსულად B. 4 შემოკრბენ C. 5 რაჲ]-BC; ჰბრძვანან B. 6 ეგრეთ A, ეგრეთ CB; მეფისათა... ჩუენსა]-B. 7 გულითა] ძალითა BC. 8 იძულებდ] აძულებ C, აიძულებდ B. 9 განუზნევიან მტერსა] განზნეულ არიედ შენგან მტერისა მიერ B. 10 მოაწიის B; გულის-სიტყუანი ბოროტნი]-AB; გინა]-B. 12 ზაკულებითა B. 13 გულის-სიტყუითა C. 13-14 მოაწინის]-მის ზა C. 14 დააბნოს] დააბნელოს BC; ხ' რუ' ვერ შემძლებელ იქმნის კაცისა ძღვევად, გულის-სიტყუთა მოაწიის მის ზა მწუხარებაჲ, რა' დააბნელოს... B. 15 მას შა]-B. 16 ამისთჳს C; საყუარელი C; მღუიძარე C; იყავ C. 17 კითხვასა C; საბრკეთა C. 18 მას]-AB. 24 ~ესე ხოლო ქმენ B. 25 წიგნის კითხვასა C. 26-27 სარგებელისათჳს ამოთ]-B. 27 წიგნის-კითხვისაგან B. 28 დაემორჩილდები B. 29 იყავ B; არემი C; ვითარცა C. 30 შენცა] + ეგრეთვე B; ჰსუა B.

* ამას კვემთ A-ს აკლია ფურცლები.

ოღეს იკითხვიდე და მოგცეს შენ უფალმან გულისწმის-ყოფაჲ, რომელსა-იგი იკითხვიდე, დაისწავე იგი გონებასა შენსა და დაიწერე გულსა შინა შენსა და დაჰმარხე საცნობელთა შინა შენთა დაუფიწყებლად.

და რაჟამს იკითხვიდე, მოსწრაფედ და გულს-მოდგინედ იკითხვიდე, გა-გონებით *, და ნუ ისწრაფი ფურცელთა გარდაყრასა. და უკუეთუ ვერ გუ-ლისწმა-ჰყო სიტყუაჲ რამეჲ, ნუ გკონინ კჳალად ქცკად მეორედ და მესამედ, ვიდრემდის სცნა ძალი მისი. და რაჟამს დასჯდებოდი კითხვად, გინა სხვსა კითხვასა ისმენდე, ილოცე და ითხოე ღმრთისაგან და თქუ: უფალო და ღმერთო ჩემო, იესუ ქრისტე, განახუენ ყურნი გონებისა ჩემისანი, რაჟთა ვისმინნე სიტყუანი შენნი და გულისწმა-ვეყუნე, და მათ მიერ [99] ვყო ნებაჲ შენი, რამეთუ უცხო ვარ მე ქუეყანასა ზედა, ნუ დამირწყავ მე მცნებათა შენთა, არამედ აღახუენ თუალნი ჩემნი, რაჟთა ვხედვიდე მე საკურველებათა რჩულისა შენისათა, გულისწმა-მიყავ და გამოვიძინე დაფარულნი სიბრძნისა შენისანი, რამეთუ მე შენ გესავ.

ჰე ძმაო, გვედრები, რაჟთა ესრეთ ილოცვიდე წინაშე ღმრთისა, რაჟთა განგინათლოს გონებაჲ შენი და გულისწმა-გიყუნეს ძალნი სიტყუათა მისთანი, რამეთუ მრავალნი მიენდგენეს სიბრძნესა თვისსა და გონიერად ჰგონებდეს თაეთა თვსთა, და განცოფნეს და ვერ გულისწმა-ყვეს წერილისაჲ, და დაეცნეს და შთაცკვეს მთხრებლსა გამობისასა და წარწყმდეს.

და ოღეს იკითხვიდე, უკუეთუ მიემთხვო სიტყუასა ღრმასა და ძნიად საცნობელსა, ეკრძაღე, ნუუკუე ვაცთუნოს მტერმან და სთქუა თავით თვისით, თუ: ვითარ ეგების ესე ესრეთ ყოფად? არამედ უკუეთუ გრწამს ღმერთი, [7] გრწმენედ სიტყუანიცა მისნი და არქუ მაცთურსა: მართლ უკუნ იქეც ჩემგან, ეშნაკო, რამეთუ მე უწყი, ვითარმედ სიტყუანი ღმრთისანი უბიწო არიან, ვითარცა ვეცხლი გამოჭურვებული და გამოცდილი, და არარაჲ ზაკუვად არს მათ შინა; და მეცნიერებაჲ მისი არს მოძღუართა გამოცდილთაჲ, ხოლო მე უცებ და უგულისწმო ვარ. და სიტყუაჲ ღმრთისაჲ სულიერ არს და მე ჯორციელ, ვითარცა იტყვს მოციქული, ვითარმედ: „სჯული ღმრთისაჲ სულიერ არს“¹⁾**. და კჳალად აღიხილენ ზეცად და თქუ: უფალო, მრწმანან მე სიტყუანი შენნი და არა უვარ ვჰყოფ, და მინდობილ ვარ თქუმულთა სულისა წმინდისათა. და შენ, უფალო, მაცხოვრე მე, რაჟთა ვპოვო მადლი შენი, რამეთუ არარას სხუასა ვეძიებ თვნიერ მაცხოვარებისა შენისა და წყალობისა ყოველთა დღეთა ცხოვრებისა ჩემისათა.

ჯერ-არს ჩუენდა, ძმანო ჩემნო, რაჟთა მოვიგოთ საღმრთოჲ იგი წამალი, რომლითა შემძლებელ ვიქმნეთ განკურნებად სულთა ჩუენთა წყლულებასა, რომელი-იგი არს კითხვაჲ წიგნთა საღმრთოთაჲ, და მით დაეშრიტნეთ [100] განჭურვებულნი იგი ისარნი მტერისანი. რამეთუ ვერვინ კაცთაგანი შემძლე-

2 დაჲწერე C. 4 მოსწრაფედ და]—B. 7 სხუისა C. 12 საკურიველებათა C. 17 თუისსა C. 18 თუისთა C. 19 შთაცკივეს C. 20 მიემთხვიო C. 21 თუისით C. 28 იტყუის C. 31 და შენი შენ B. 32 თუინიერ C; მაცხოვარებისა C. 36 რი იგი] რლ-იგი B. 37 განჭურვებული იგი ისარი მტერისა B.

1) რომ. 7.14.

* ამას ქვემოთ B-ს არ მოეპოება ტექსტი. ** აქამდის აღწეის B-ს დანაკლისი.

ბელ არს განრინებად თვნიერ კითხვისა წიგნთა საღმრთოთაჲსა. და ნეტარ თუ ოდესლა მოსწრაფედ ვიკითხვიდეთ, შეუძლოთ განრინებად, აცადე, თუ რაჲამს ყოველთა დღეთა მოვიწყლოდით და არა ვიკურნებოდით, ვითარ-მე გესვიდეთ განრომასა.

ჯერ-არს ჩუენდა, რაჲთა მოვიგნეთ წიგნნი საღმრთონი და მათ მიერ გარე-წარვაქცინეთ ჩუენგან წყლულებანი იგი სასიკუდიწილნი. არა მოვიგოთ ოქროჲ მავნებელი, არამედ წიგნნი მარგებელნი სულთა ჩუენთანი. რამეთუ ოქროჲ, რავდენცა განმრავლდის, მავნებელ ექმნის მომგებელსა მის(ს)ა, ხოლო წიგნნი ფრიად სარგებელ არიან მომგებელთათჳს, ვითარცა-იგი საქურველი მეფისაჲ, რომელსა აღგილსა ძენ, ვერვინ ძკრის მოქმედმან იკადრის მიახლებად მისა, ეგრეცა სადა სულიერნი წიგნნი არიან, მუნ ძალი ეშმაკისაჲ მოუძღურდების, [ჟ] რამეთუ მოხედვაჲცა ერთი წიგნთა საღმრთოთაჲ დამაყენებს ჩუენ ცოდვისაგან. და უკუეთუ კადნიერ ვიქმნეთ ჩუენ საქმედ რომლისაჲმე ცოდვისა, რაჲამს წიგნნი ვიხილნეთ, განვიკითხავთ თავთა თჳსთა და დავეყვინებით მერმე არა საქმედ უჯეროსა. და უკუეთუ კჳალად კეთილსა ვიქმოდით, უფროჲსლა შეგუემატების მათ მიერ ძალი და კრძალვაჲ, რამეთუ რომელსა ჟამსა ჳელი მიყოს კაცმან სახარებასა, გინა სხუასა წიგნსა სულიერებისასა, მუნთჳუსსვე ექცევის გონებაჲ მისი ჳუყუანისა საქმეთაგან საქმედ საუკუნოჲსა. და რავდენცა იკითხვიდეს, შეემატების სიწმიდესა და სარგებელსა სულისასა, რამეთუ ღმერთსა ზრახავს წიგნთა მიერ და ღმერთი მას ეგრეთვე უკუეთუ გუნებაჲს, ძმანო ჩემნო საყუარელნო, თავთა ჩუენთა განრინებაჲ და აღდგინებაჲ დაცემათაგან, უკუე მოსწრაფე ვიყუნეთ წიგნთა კითხვად სულიერთა, რამეთუ იგი უმჯობეს და უსარგებლეს არს ჩუენდა ჳამასა მავნებელთა საქმელთასა, [IOI] რომელ არს ცუდის მეტყუელებაჲ და უბანთა ზედა ზღაპრობად შეკრებასა, რომელსა შინა სარგებელი არაჲ არს.

მითხარ-ლა, რომელი უმჯობეს არს შენ თანა, რაჲთა ზრახვიდეს მას კაცი, რომელი-იგი სავაჳროს იქმნების გინა ბჳესა მას თანა, რომელი იზრახების, გინა ლაშჳართა შინა იყოფების, კეთილი გინა ბოროტი, ანუ მას რომელი ცათა შინა არს და სადა-იგი მიმავალ ვართ შემდგომად განსლვისა ჩუენისა ამიერ სოფლით. რომელი უმჯობეს არს, რაჲთა ზრახვიდეს კაცი საქმეთა მოძმისა თჳსისათა და გამოჳძიებდეს საქმესა კაცთასა, ანუ ზრახვიდეს საქმესა ანგელოზთასა და სულისა თჳსისასა, რამეთუ საქმისათჳს მოძმისა შენისა არა-რაჲ თანა-გაც შენ, ხოლო საქმე ზეცისაჲ შენი არს, რამეთუ მუნ მიმავალ ხარ.

1 თუნიერ C; საღმრთათასა C. 2 აცადე თუ] აცადე-ლა B. 3 ვიკურნებოდეთ B. 6 სასიკუდიწილნი B. 7 სულთა ჩუენთანი] სულისანი B. 8 და მავნებელ B; მომგებელთა მისთა B. 9 არიედ B; მომგებელთათუის C. 10 ძუირის მოქმედმან C. 11 ეგრეთცა B; არიედ B. ~ ეშმაკისა ძალი B. 13 და]-B. 14 თუისთა C. 17 სულიერებრსა B. 18 მუნთჳუსსვე] მასვე ჟამსა B; იქცის B. 19 რავდენცა] ზ რაოდენჯერცა B; იკითხვიდე B, აკითხვიდეს C. 20 წიგნთა მიერ] წიგნის კითხვითა B. 21 გუნებაჲ B; ჩუენთა] თჳუნთა B; განრინებაჲ] განძლიერებაჲ B; აღდგინებად B. 27 ვიყუნეთ C; ~ კითხვად წიგნთა B. 23 და უსარგებლეს]-B. 25 სარგებელი] კეთილი B. 26 შენ თანა] შენთჳს B. 27 სავაჳროსა B; მას]-B; რ'-ი]-B. 28 აყოფების C] იქმნების B. 31 თუისისათა C; საქმესა]-B. 32 თუისისასა C.

ამისთვის წმიდა-ყავ სული შენი და ჯორცნი შენნი და გონება შენი და ენა შენი კითხვად წიგნთა, რამეთუ უკუეთუ ძკრის სიტყუა შეაგინებს კაცსა და განძლიერდებიან მის ზედა ეშმაკნი, რადენ უფროს [102] კითხვად წიგნთა სულიერთად განწმედს და მომატყუებს ჩუენ სულსა წმიდასა საუკუნოდ.

იხილე, ძმაო, წყალობად ღმრთისაჲ, რამეთუ ჯერ-იყო ჩუენი პატიჲსა ჰუე შეე ყოფად, ვინაჲთგან მოგუცა ჩუენ სჯული და მოგუმაღლნა ჩუენ ფრადნი საშუებელნი, და ესე ჩუენ უგულებელს გყავთ და თავით ჩუენით მოვიგეთ განგებაჲ მსგავსად ნებისა ჩუენისა ბოროტისა, და არა მოგუაგო ჩუენ ბოროტი, არამედ კუალად მოგუცნა ჩუენ კეთილნი და საშუებელნი, რომელთა არა ღირს ვიყვენით. დაღაცათუმცა ნებაჲ მისი ყოველი აღგუესრულა და ამისა შემდგომად მომცა ჩუენ წამალი სინანულითა, რომლითა შემძლებელ ვართ აჯოცად ყოველთა ცოდვათა ჩუენთა. აწ უკუე ჯერ-არს ჩუენდა ცნობად წამალი ესე და რომელთაგან ნივთთა იქმნების.

პირველი საქმე სინანულისაჲ არს დაცადებაჲ ბოროტთაგან და სინანული მათთვის, რომელ ვქმნენით ბოროტნი, და მეორე—სიმდაბლე ფრადი, და მისა შემდგომად—ლოცვაჲ წმიდითა გულითა და [ჟ] ტირილი ღამე და დღე, და შემდგომად მოწყალებაჲ და ქველის საქმე უდიდესი ნივთი არს სინანულსა შინა, და ამისა შემდგომად—ძრ-უქსენებელობაჲ და უშფოთველობაჲ და მორჩილობაჲ და მოსწრაფედ სლვაჲ გზასა ქეშმარტებისასა და პატივის-ცემაჲ მღდელთაჲ და მიხედვაჲ მიმძღავრებულთაჲ და მოთმინებაჲ მომავალთა მწუხარებათა და განსაცდელთაჲ, დაუცადებელად მადლობაჲ სამებისა წმიდისაჲ. უკუეთუმცა მარადის და ყოველსა ჟამსა ვიქსენებდით ცოდვათა ჩუენთა გონებათა შინა ჩუენთა, არარამანმცა საქმემან ამის სოფლისამან შემძლო ჩუენ მიდრეკად მისა მიმართ, არცა ამპარტავანებამან და არცა სიმდიდრემან, ვერცა ჯელმწიფობამან, და არცა პატივმან. დაღაცათუმცა ვინწე დაჯდა საყდართა სამეუფოთა, არა განეძების მწუხარებაჲ, ვიდრემდის ცოდვანი თჳსნი ექსენენ. რომელი ინანდეს, არა ჯერ-არს მისა აღშფოთებაჲ [103] და არცა განრისხებაჲ ყოლადვე, არამედ ჯერ-არს მისა, რადთა იყოს იგი შემუსრვილ გულითა ყოლადვე და მდაბალ სულითა და ესრეთ ითხოვდეს წყალობასა ღმრთისაგან, და ექსენოს უმაღლოებაჲ იგი პირველი, რომელი წარიძლუნა და მადლი ღმრთისაჲ მის ზედა და ვითარმედ ღირს არს იგი ყოველთა სატანჯველთა, რომელი ამას იგონებდეს.

არა ჯერ-არს მისდა განრისხებაჲ ვისთვისე, არამედ ჯერ-არს მისა, რადთა იგლოვდეს და ტიროდის და სულთ-ითქუმიდეს და მწუხარე იყოს ყოლადვე

1 ამისთვის C. 2 ძვირს სიტყუაჲ C. 6 ჩუენ ფრადნი] ფრადნი B. 7 ~ ჩუენ ესე B. 11 სინანულისაჲ B; რომელთა B. 12 ყოველთა]—B. 15 მათთვის C; და [ჟ] და C. 18 ამისა მისა B; მორჩილებაჲ B. 19 მოსწრაფედ სლვაჲ] მოსწრაფებაჲ B. 20-21 მწუხარებათა] კირთა B; განსაცდელთაჲ] მწუხარებათა B; დაუცადებელთა B] + და B. 22 გონებათა შა ჩნთა]—B. 24 მიდრეკად]—B; და ვერცა სიმდიდრემან B. 26 განეძების] განეშორების B; თუისნი C. 27 აღშფოთებაჲ] + რასათჳსმე B; და არცა] არცა B. 29 სულითა]— და მწუდ B; ითხოვედ B. 30 ~ ღთისაგან წყალობასა B; იქსენოს B. 31 ვითარმედ] ვრ B. 33 მისდა]—B.

დღე და ღამე. რომელსა ჰნებაეს სინანული ცოდვათა თჳსათჳს, არა უღირს დავიწყებად ცოდვად თჳსი, არამედ ჯერ-არს მისა, რაჲთა ყოველსა ჟამსა განოიწერდეს წინაშე თუალთა მისთა და ევედრებოდის ღმერთსა, რაჲთა მან დაივიწყნეს იგინი და შეუნდვნეს მას, რამეთუ ვიდრემდის კაცსა ექსენნენ ცოდვანი თჳსნი და ინანდეს მათჳს, ღმერთი არა მოიქსენებს მათ.

აჲ უკუე ჯერ-არს ჩუენდა, რაჲთა თჳთ განვიკითხვიდეთ თავთა ჩუენთა და ესრეთ მომიტევენეს ჩუენ ღმერთმან იგინი. რამეთუ ცოდვანი, რაჲდენცა [უ] აღიარნეს კაცმან, მოაკლდების; თუ არა აღიარნეს, შეემატების ბოროტთა. რამეთუ რომელმან აღიარნეს ცოდვანი თჳსნი, ვითარ დაიცვას თავი თჳსი, რაჲთა კუალად არღარა ცოდოს. ამისთჳს გვედრები, ძმანო ჩემნო საყუარელნო, რაჲთა არა უარ-ვეყნეთ და დავფარნეთ ცოდვანი ჩუენნი და არცა კადნიერ ვიქმნეთ წინაშე ღმრთისა, რაჲთა არა შემიმატნეს ჩუენ სატანჯველნი. არამედ აღვიარნეთ ცოდვანი ჩუენნი არა ხოლო თუ ენითა, არამედ გონებითაცა, და არა ხოლო თუ ცუდად თავთა თჳსთა ცოდვილად სახელ-ვიდებდეთ სიტყუთა, არამედ გონებითა ვიგონებდეთ მრავალ-ფერთა ცოდვათა ჩუენთა. არა თუ ესრეთ გეტყუ, რაჲთამცა ყოველსა კრებულსა გამოუცხადენ ცოდვანი შენნი, არამედ ვითარცა-იგი წინაწარმეტყუელი იტყუ: „ვთქუ, უთხრა ბრალი ჩემი უფალსა“¹⁾. ყოველთა ლოცვათა შინა შენთა წინაშე ღმრთისა მოიქსენებდი ცოდვათა შენთა და მან დაამდაბლოს გული შენი და გყოს შენ, რაჲთა არა ვისთჳს [IO4] ძკრი იქსენო და არცა ვის განვიკითხვიდე, და არცა ვის ზედა აღზუაენე, და არცა და-ღა-ეცე მერმე ცოდვითა. და სინანულისათჳს მოსწრაფე იყო და კეთილსა იქმოდო ყოვლითა ძალითა შენითა.

ამას ყოველსა მიიწიო, უკუეთუ ცოდვათა იქსენებდე. და ესე უწყოდე, ძმაო, რამეთუ არა ვინაჲ არს კაცისა ჯსნაჲ თჳნიერ ღმრთისა წყალობისა, და ესე ჯელსა შენსა შინა არს, თუ ინებო, და ნუ უდებ იქმნები მისთჳს. არამედ განწმიდენ საქმენი შენნი წინაშე ღმრთისა და ნუ რაჲთ ცოდვითა შეიგინები. და უკუეთუ შეგემთხვოს შეგინებაჲ, ნუ უდებ ხარ, არამედ განწმიდენ სინანულითა, ცრემლითა და ლოცვითა და ქველის საქმითა, და ნუ ჰმიზებობ და იტყუ, ვითარმედ: არაჲ მაქუს მიცემად გლახაკთა. არა დაგაკლდების შენ სასუმელი ერთი წყალი გრილი და არცა ორნი მწულლინი. დაღაცათუ ყოველთა კაცთა უგლახაკეს ხარ, ფერჳნი გასხენ, იკითხვედ გლახაკთა და სნეულთა და ჰყრობილთა, მივედ და მოითუალენ. და სახლი გედგას, უცხონი შეიყვანენ მას შინა [უ] და უწყოდე, რამეთუ არავეის კაცთაგანსა ეპოების მი-

1 თსთათუის C; უღირს] + მას B. 3-4 დავიწყნეს C. 4 მას რ' ვს] უკუეთუ B. 5 თუისნი C. 6 თუით C. 8 ეგოდენცა მოაკლდების B; და თუ არა B; შეემატების] შეიძინების B. 9 თუისნი C; არა აღიარნეს B; თჳსნი]—B; დაიცვენ B; თუისი B. 10 ამისთუის C. 11 უარ-ვეყნეთ C. 11-12 და არცა კადნიერ... ცოდვანი ჩუენნი]—B. 14 და არა ხოლო] არა ზ' B; თუისთა C. 15 სიტყუითა C; გონებითაცა B. 16 გეტყუი C. 17 ვა-იგი] ვა B; იტყუის C; ~ იტყუს წყუელი B. 18-19 მოიქსენებდ B. 20 ვისთუის C; ძური C. 21 სინანულისათუის C. 25 ანებო C; მისთუის C; ად] — B. 26 ღ'ისა] ქრისტესა B. 27 შეგემთხვიოს C. 29 იტყუი C; არაჲ] არა რაჲ B; მიცემად გლახაკთა] მე B. 30 დაღათუ B. 32 მოდთუალენ C.

1) ფსალმ. 31,5.

ზეზი გლახაკთა წყალობისათჳს, უკუეთუ ხოლო გულს-მოდგინებაჲ აქუნდეს. თუ სხუჲა არაჲ აქუნდეს მიცემად, გონებითა ოდენ სწყალობდინ, და შეწირულ არს მისგან. ვინ სანატრელ არიან თჳნიერ იგინი, რომელნი ღირს იქმნეს საშუებელთა მათ საუკუნეთა. და კუალად ვაებჲა ვისდა ჯერ-არს მიცემად, არამედ მათდა, რომელნი დაკლებულ იქმნენ მისგან.

უკუეთუ კაცი საწყალ და გულის საკლებელ არს, რაჲამს ექსორია იქმნის უცხოჲა ქუეყანასა და განიძის სამკვდრებელისაგან მამულისა, რავდენ უკუე უფროჲს ჯერ-არს გლოვაჲ მათჳს, რომელნი განისხნენ სასუფეველისაგან ცათაჲსა და კეთილთა მათგან საუკუნეთა, ხოლო არა თუ იგინი სატირელ არიან, არამედ რომელნი განსაცდელსა შეცკვენ, და არა იგინი იყვენენ მიზეზნი განსაცდელისანი, ხოლო რომელთა თავნი თჳსნი შესთხინეს ბოროტის ნებითა თჳსითა, მათი ჯერ-არს გლოვაჲ ცთომასა მათსა ზედა.

უკუეთუ კაცი შუებული [105] და ნუკვეული საპყრობილესა-ლა შეაყენიან, უმძიმეს სიკუდილისა არს იგი მის ზედა მწინკულევეანებისაგან საპყრობილისა და სიბნელისა და ყოფისა მისისათჳს კაცის-მკლველთა და მპარავთა თანა. ხოლო ჩუენ რადმე ვყოთ, ოდეს-იგი შევითხინეთ ჯოჯოხეთს შინა და დავიწუებოდით კაცის-მკლველთა და მპარავთა თანა ამის სოფლისათა ბნელსა მას შინა გარესკნელისასა, სადა-იგი ვერცა ჩუენ ვხედვიდეთ და ვერცა ვინ გხუედვიდეს ჩუენ სხუჲა და თუთულსა ჩუენსა გუეგონოს, ვითარმედ მარტოჲ შეყენებულ არს მუნ შინა მწარეთა მათ სატანჯველთა? ამისთჳს გევედრები, ძმანო ჩემო, რადთა იყოს მარადის კსენებაჲ ჩუენი ამისთჳს და მსგავსისა მისისა ყოველთა დღეთა ცხოვრებისა ჩუენისათა. და რამეთუ უნჯობეს არს ჩუენდა, რადთა შევწუხნეთ სმენითა ამისითა და არა შევრდომითა, რამეთუ თჳნიერ ყოვლისა ექჳსა ესე ყოფად არს.

და ყოველმან რომელმან ქმნეს ბოროტი და არა შეინანოს აქავე, მუნ ვერვინ შემძლებელ არს განრინებად მისა [x] სატანჯველთა მათგან საუკუნეთა. არცა მამაჲ, არცა დედაჲ, არცა ძმანი და არცალა უკუეთუ ვინმე ესხნენ მას ცათა შინა წინაშე ღმთისა შემწენი კადნიერნი, არავე სარგებელ ეყვენენ მას ჟამსა მას მიგებისასა, რამეთუ მაშინ ღმერთმან მიაგოს კაცად-კაცადსა საქმეთა მათთაებრ კეთილი და ბოროტი. ვითარცა რაჲამს აღმობრწყინდის მცხინვარებაჲ მზისაჲ, ყოველნი მტეცნი წარივლტიედ საყოფლად თჳსა, ეგრეთვე რაჲამს გამობრწყინდის ლოცვაჲ წმიდაჲ კაცისა გონებასა და პირისაგან განათლდის გონებაჲ კაცისაჲ და წარივლტიედ მისგან ყოველნი მტეცნი ბოროტთა

1 წყალობისათჳს C; ~ უკუეთუ გულს-მოდგინებაჲ ხ' აქუნდეს B. 2 წყალობდეს B. 3 თჳნიერ C. 4 იქმნენ B. 5 მათდა| მათა B; იქმნეს B. 6 იქმნის| + იგი B. 7 ~ ქუეყანასა უცხოჲა B; სამკუდრებელისაგან C. 8 მ'თთვის C. 9 არიედ B. 10 შეცუივენ C; იყუნენ C. 11 თვისნი C; ბოროტის C. 12 თვისითა C|— B. 16 რადმე| რაჲ B. 17 კაცის-მკლველთა თანა და მპარავთა B. 18 ჩუენ| + სხუასა B; ვინ| + სხუაჲ ჩუენ B. 19 გუზედვიდეს B; ჩუენ სხუაჲ| — B; თუთულსა C. 20 ამისთვის C. 21 ამისთვის C. 22 მისისა| ამათისა B; და| — B. 23 ჩუენდა|ჩ'ნო'ს B; მისითა B. 24 თჳნიერ C; ეკუისა C. 26 მისა| მისგან B. 28 იყუნენ C; სარგებელ ეყვენენ| შემწე ექმნენ B; მას| — B. 29 მიგებისასა| მიგებისა მისისა B. 20 მათთაებრ| მისთაებრ B. 31 თვისა C; 32 გამობრწყინდეს B. 33 კაცისაჲ| — C.

გულის-სიტყუათანი. ხოლო ჯერ-არს, რადთა იყოს ლოცვად იგი წმიდითა გონებითა და მღუძარითა სულითა და ვერარად დამდგომ არს წინაშე მისა, ვერცა ეშნაკი და ვერცა გულის-სიტყუანი ბოროტნი. ვითარცა-იგი წმიდათა მოწამეთა სულნი მათნი წარუდგინნეს მსხუერპლად ღმერთსა გუამთა მათთა თანა, ⁵ ეგრეთვე, ძმაო, შენცა შემძლებელ ხარ ეგვეითარსა მსხუერპლსა წარდგინებად წინაშე ღმრთისა, [106] რამეთუ რავდენცა დღეს არლარავინ არს, რომელმან-მცა წამებისათს დაწუნა კორცნი შენნი ცეცხლითა, არამედ შემძლებელ ხარ შენ დაწუვად მათდა იწროებითა და მწუხარებითა და ნებსით ღმრთისათს სიგლახაკითა.

¹⁰ რამეთუ ყოველი რომელი შემძლებელ იყოს ამას სოფელსა საშუებელთა და განსუენებათა, და ნებსით აღირჩიოს მწუხარებად და იწროებად ნაცვალად მისა, იგი არს, რომელი შესწირავს მსხუერპლსა უბიწოსა წინაშე ღმრთისა, ვითარცა წმიდანი მოწამენი. აწ უკუე მოაკუდინე თავი შენი, ძმაო, და ჯუარს-¹⁵ აკუ იგი შრომითა, და ზიილო შენცა გვრგვნი წმიდათა მოწამეთად, რამეთუ რომელსა-იგი მძღავრნი მახვლითა მოსწყუედდეს და იწამნეს, ხოლო შენ ნებსით თავი შენი მოსწყუდე იწროებითა. და ესე არს მსხუერპლი უბიწო, რომელსა არა უტმს მღდელი შეწირვად, რამეთუ რომელი ამას ქუეყანასა ზედა იქმს, იგი ცათა შინა ამალღების.

ჯერ-არს ჩუენდა, რადთა ვზრუნვიდეთ მშჯღობისათს სულთა ჩუენთადასა ²⁰ და ვისწრაფოთ კურნებად წყლულებათა ჩუენთა [ვ] სულიერთა, ვითარ-ესე მოსწრაფე ვართ კურნებად კორცთა ჩუენთა, რამეთუ წამალი საკურნებელი სულისაჲ ფრიად უადვილეს და უმარჯუე არს წამალსა კორცთა წყლულებისასა, რამეთუ ყოველსა რომელსა ევენების რომელიმე წყლულებად სულისაჲ, რაჟამს-იგი გულისკმა-ყენეს საქმენი თუსნი და მოიგსენოს დღე იგი განკითხ-²⁵ ვისაჲ საშინელი და მიდრკეს გონებად მისი შუებათაგან საწუთროთა მწუხარებათა მათ მოწვევანდათა ცოდვილთა ზედა, მუნთქუესვე განდევნნეს ვენებანი იგი და განაცხრველოს სული თუსი ტკივილთაგან. ამისთს ნუ უღებ ხარ, საყუარელო, რამეთუ ჟამი ღუაწლისა და ბრძოლისაჲ არს და უღირს თუთე-³⁰ ულსა ჩუენსა, რადთა განმზადებულ იყოს ბრძოლად, რადთა განაძლიეროს ღმერთმან მტერსა ზედა სულთა ჩუენთასა და შემძლებელ ვიქმნეთ დათრგუნ-
ვად თავსა მის[ს]ა. ვითარცა-იგი ბრძანა უფალმან ჩუენმან იესუ ქრისტემან, ვითარმედ: „აჲა ეგერა მიგეც თქუენ ძალი დათრგუნვად გუელთა და ღრი-
კალთა და ყოველსა ზედა ძალსა მტერისასა“ ¹⁾. რომელი-იგი მეცნიერ არს

2 მღუძარითა C. 4 ლ'ისა B. 6 რამეთუ—B. 7 ~ დაწუნა კორცნი შენნი წამებისათს B; ცეცხლითა] — B. 8 ლ'თისათუსი C. 8-9 ~ და სიგლახაკითა ნებსით ლ'თისათს B. 11 და იწროებაჲ] — B. 13 მოწამენი] მოციქულნი B. 14 გუირგუინი C. 15 მახულითა C. 16 მოსწყუედე C. 19 მშუიდობისათუსი C. 22 უადვილეს არს და უმარჯობეს წამალსა B. 23 სულთა B. 24 გულისკმა-ყენეს C; თუსნი C; მოგსენოს C. 25 საწუთროლსათა B; მწუხარებად B. 26 მათ] — B; მუნთქუესვე] მყის B; განდევნის B. 27 განაცხრველის B, განაცხრველოს C; თუსი C; ამის-
თუსი C. 28 თუთეულსა C. 31 ა'ვ C. 32 ეგერა] ესერა B. 32-33 ღრიანკალთა B. 33 რ'-იგი B.

1) ლუკა 10, 19.

საიდუმლოთა გულისა ჩუენისათა, რაემს ცნას, ვითარმედ ყოვლითა გულითა [107] განმზადებულ ვართ ჩუენ ბრძოლად მტერისა ჩუენისა, განჰმარტოს მარჯუენამ თვის და განმადლიერნეს ჩუენ და ყოველი საქმე ჩუენი განჰმარჯოს, ვითარცა-იგი შეეწოდა ყოველთა წმიდათა მისთა, რამეთუ მან უწყის უძღურებად ბუნებისა ჩუენისა და რადთა არა მოუძღურდეთ განსაცდელთა შინა, და მწუხარებად არა დამიმძიმდეს ჩუენ და მან ნუგეშინის-მცეს ჩუენ მოცემითა კეთილთა მისთადათა.

უკუეთუ გნებავს განკითხვაჲ, მე გიჩუენო განკითხვაჲ, რონელსა შინა არს სარგებელი სულისაჲ და არაჲ საენებელი. დაჯედ და შეიკრიბენ გულის-სიტყუანი შენნი და მოიჯსენენ ყოველნი ცოდვანი შენნი და მით განიკითხვედ თავსა შენსა და ეტყოდე: რაჲსათჲს ჰქმენ ესე ესრეთ? და უკუეთუ კუალად იგი გამოეძიებდეს საქმესა კაცთასა, არქუ მას: არა სხუათათჲს გკითხავ შენ, შენ რაჲ მოგეჲადების, თუ იგი ვინმე ბოროტ არს, გინა სხუად კეთილ, შენ უკუე რასა შესცოდე და განარისხე ღმერთი, ესე ხოლო მაუწყე, [ჟ] და სხუათა განკითხვაჲ დაუტევე და თავისა ხოლო საქმეთა ზრუნევედი, და ნუ სხუათა განიკითხავ. და ესრეთ ამხილებდი მას დღითი-დღე და სტანჯევედი, ვითარცა მშობელი ცოდვისაჲ, და მოიჯსენებდი მდინარესა მას ცეცხლისასა და მატლსა დაუძინებელსა და მრავალ-ფერთა მათ სტანჯეველთა, და ნუ აუფლებ დამორჩილებად ეშმაკთა, და ნუ შეიწყნარებ შენდობასა მისსა, ოდეს წარმდებებით გრქუას შენ, ვითარმედ: იგი თვთ მოვალს და მაიძულებს და მძღვეს მე. ხოლო შენ არქუ მას: უკუეთუ შენ გინდეს, ვერ შემძლებელ არს ძღვეად შენდა. და უკუეთუ კუალად გრქუას შენ, ვითარმედ: მე გუამსა შეერთებულ ვარ და მმოსიან ჯორცინი, და სოფელსა შინა მკვდრ ვარი და ქუეყანასა ზედა ვიქცევი. და ამის გამო ვერ შემძლებელ ვარი ძღვეად მისა, [108] მიუგე და არქუ მას: ესე ყოველი მიზეზი არს-თქუა: იგი ვინმე გუამსა შეერთებულ იყო და ჯორცთა შინა იყო, და ქუეყანასა იქცეოდა და სხუად და სხუად, და შემძლებელ იქმნეს სათნო ყოფად ღმრთისა. და შენცა თუ სადამე კეთილი ჰქმნი, არა ამითვე ჯორცითა ჰქმნია? და აწ რასა ჰმიზეზობ? და უკუეთუ ეტკივნენ სიტყუანი შენნი, ნუ სწყალობ მას, რამეთუ არა მოკუდების ამით სწავლითა, არამედ სიკუდილისაგან იჯსენების ქეშმარიტისა.

და უკუეთუ კუალად გრქუას, ვითარმედ: მან ვინმე აღმძრა გულის წყრომად, არქუ მას ზემძლებელ იყავ არა განრისხებად და მრავალ გზის იძლიი გულის წყრომად თავით თვისით. წინამძღუარი მკურნალი არს სულთაჲ; ვითარცა-იგი მკურნალსა ჯორცთასა ჯემან წამალნი მრავალ-ფერნი თვითელი[სა]

1 საიდუმლოთა C. 2-3 მარჯუენე B. 3 თუისი C. 6 ნუგეშინის-გუცეს B; ჩუენ... კეთილთა [მისთადათა]—B. 8 განკითხვის B. 10 მოაქსენენ C. 11 რაჲსათუის C. 12 სხუათათუის C. 13 სხუად სხოჲ C. 14 რასა) რაჲსა B; ლ'ი)—C. 15 ზრუნევედი) განიკითხვედი B. 16 და ესრეთ) ესრეთ B; ამხილებდ B; სტანჯევედ B. 17 მატლსა)+მას B. 18 და ნუ) ნუ B. 19 მისსა) მისა B. 20 თუით C; მოვალსა B; მაიძულებს C; მე)—B. 21 არს) + იგი B. 23 შემიმოსიან B; მკუიდრ C; ვარ B. 24 ვარ B; მას)—B. 25 -თქუა) რ'ლ სთქუ B. 26 ქუეყანასა)+ზედა B; და სხუად და სხუად)—B. 27 ჰქმნე B; მითვე B. 28 ჰქმნია C; ეტკივნენ B. 30 ქეშმარიტისა)—B. 31 გულის წყრომითა B. 32 და)—B; იძლიი C. 33 გულის წყრომითა B; თუისით C. 34 თუითეული C, თითოეულისა B.

- სენისათვის სხუად და სხუად, ეგრეთვე მკურნალსა სულთასა უქმან მრავალ-ფერნი წამალნი საკურნებლად [ჟ] სულთა, რამეთუ სული უფროჲს არს ჯორცთა. და არა ყოველი რომელი სახელ-დებულ არს წინამძღურად, იგი არს წინამძღური. კეშმარიტი, რამეთუ მრავალნი იწოდნეს სახელით და ვერ იპოვნეს მსგავსად სახელისა მათისა. აჰა ესერა ხედავთ: რომელსამე კაცთაგანსა პეტრე პრქვან, და რომელსამე—პავლე და იოვანე, და არა არიან იგინი ვითარცა პეტრე და პავლე და იოვანე სახელის-დებითა ხოლო, ვითარცა-ესე მე იოვანე მრქვან და არა ვარ ვითარცა იოვანე. ეგრეთვე ყოველმან რომელმან ვერ იცის წინამძღურობად სულთად, არა არს იგი წინამძღურად. ჯერ-უკუე-არს მის-და, რომელი წინამძღურად წოდებულ იყოს, ნოგებად საქმეთა კეშმარიტისა წინამძღურისათა, რადთა პირველად განიგოს წინამძღურობად თავისა თვისისა. და უკუეთუ თავი თვისი ვერ განიგოს მარტოდ ჯერისაებრ, რომელი-იგი ყოველსა ეამსა მის თანა არს სული და ჯელმწიფებად აქუს მის ზედა, ვითარ უკუე შემძლებელ იქმნას განგებად ქალაქსა სისასა? (109) და რომელმან არა იცის განგებად სახლისა თვისისა, ვითარ უწყოდის ქალაქისა განგებად? და რომელმან სახლისა განგებად არა იცოდის, ვითარ შეუქლოს განგებად სოფლისა? და ამას მათთვის ვიტყვ, რომელნი სურვიელ და წადიერ არიან წინამძღურობასა, რადთა უწყოდინ, რად არს წინამძღურობად. რამეთუ ესე არს საზღვარი წინამძღურობისა, რადთა სარგებელ და აღმაშენებელ ეყოს მათ, რომელთა-იგი წინა უილოდის.
- 10 ხოლო რომელი ვერ შემძლებელ არს აღშენებელ სულისა თვისისა, ვითარ-მე შემძლებელ იქმნას იგი სხუათა აღშენებელ? რომელსა სული თვისი დაუმონების ვნებათადა, ვითარ შემძლებელ არს იგი სხუათა ვნებისაგან განთავისუფლებად? რომელი გამოიწულილვიდეს მისისა ცოდვათა და განიკითხვიდეს, არა აქუს მას შენდობად ღმრთისაგან ყოლადვე ცოდვათა მისთა. ხოლო ღმერთი რამეთუ
- 11 არა განიკითხავს მსგავსად ცოდვათა მისთა, არამედ მსგავსად განიკითხვისა მისისა მისისა ?იმართ თვისისა, და ამისთვის თქუა: „ნუ განიკითხავთ, რადთა არა განიკითხნეთ“ 1). და ვითარცა რომელი მოწესყალე ექმნის ძმასა თვისსა და შეუნდუნის ცოდვანი მისნი, ეგრეთვე ღმერთი მოწყალე ექმნის მას და შეუნდუნის შეცოდებანი მისნი. ეგრეთვე რომელი განიკითხვიდეს ძმასა თვისსა
- 12 უწყალოდ, არარად ცოდვათა მისთაგანი მოეტევიდეს მათ ღმრთისა იერ. და კუალად რომელი ცოდვიდეს დაუცადებლად და დაადგრეს მას ზედა, ლოცვაჲ წმიდათად არად სარგებელ ეყოს მას, რამეთუ ლოცვაჲ წმიდათად მას სარგებელ ეყოფის, რომელი მოიქცეს სინანულად.

1 სენისათვისი C. 5 ვხედავთ B. 6 ჰრქუიან C; იოვანე C. 6-7 და არა არიან... პავლე და იოვანე—B. 7 იოვანე C. 8 მრქუიან C; იოვანე C. 9 უკუე—B; მისდა მისა B. 11 თუისისა C. 12 თუისი C. 14 იქმნეს B; სხუისასა C. 15 თუისისა C]—B; ~ სახლისა განგებად არა იცის B. 15-16 ვითარ უწყოდის... იცოდის—B, 16 მ'თუის ვიტყუი C. 17 და წადიერ—B; არიედ B. 19 იყოს მათა B. 20 თუისისა C. 21 იქმნეს B; თუისი C. 22 და ვითარ ვითარ C; შემძლებელ არს შემძლებელა C. 24 ~ ღმრთისაგან შენდობად B; ხ' ღ'—B. 25 არა არავის B. 26 თუისისა C; ძმისა მიმართ თვისისა—B; თუისისა C; ამისთვის C. 27 ვითარცა—B. 29 და ეგრეთვე B; თუისისა C. 30 მიეტყოს B. 31 დაადგრეს C.

1) ლუკა 6,37.

ხოლო უკუეთუ ვინმე დაადგრეს ცოდვასა ზედა და სასოებაჲ აქუნდეს ლოცვასა წმიდათასა, არა სარგებელ ეყოფის მას. არა თუ ლოცვაჲ იგი წმიდათაჲ არა შეიწირვის, არამედ რამეთუ იგი არა ღირს არს წყალობასა დადგრონისა მისისათვის ცოდვასა შინა. რამეთუ რომელი აღასრულებს მცნებათა, პატივ-ცემულ არს იგი ღმრთისაგან, არამედ უფროჲს მისა, რომელმან დადევას სასოებაჲ მისი ღმრთისა თანა, რამეთუ პირველი მორჩილ ექმნა ღმერთსა და მეორემან გულისკმა-ყო დიდებაჲ ღმრთისაჲ. და ვითარცა-იგი ღმერთი გვრგვინოსან ჰყოფს [IIO] მცნებისა მისისა აღმასრულებელთა, ეგრეთვე გვრგვინოსან ჰყოფს მათ, რომელნი სასოებასა მათსა მისა მიმართ ჰყოფენ.

ჯერ-არს ჩუენდა, რაჲთა შეურაცხ-ვეყნეთ ქებანი კაცთანი, რამეთუ არა-რად ვნებათაგანი აუგიან ჰყოფს კაცსა წინაშე ღმრთისა უფროჲს ვნებისა ამის, და ესე განმაქიქებელ და მარცხუენელ არს კაცისა. ამისთვის რომელსა უყუარს ქებაჲ, იგი მიიწიოს სირცხულსა. ამისთვის ჯერ-არს ჩუენდა, რაჲთა ვიქმოდით საქმეთა სათნოებისათა არა თუ საქებელად კაცთა, არამედ დაჯერებად ღმრთისა, და ეგრეთ ვესვიდეთ მოსაგებელსა დაფარულთა მეცნიერისაგან. ხოლო უკუეთუ გკუარდეს დიდებაჲ ქეშპარიტი, გღირს ჩუენ, რაჲთა ვეველტოდით ჩუენ დიდებასა კაცთასა, რაჲთა განმადლიერნეს ღმერთმან საქმედ მცნებათა მისთა და მოგუცეს ჩუენ მადლი ნისი საწუთროსა და საუკუნისა, რამეთუ მისა შუენის დიდებაჲ და პატივი აწ და მარადის და უკუენითი უკუნისამდე, ამენ.

[შ] თქუთული ჟმიდისა იოვანე მოკოპიჩისაჲ

მოწყალეებისათვის ჟმიდრისა მისთვის და ლაზარესთვის გლახაკისა

საყუარელნო, სამოთხესა შინა მრავალ-ფერნი ყუაველნი არიედ მდიდრად, რომელნიმე შუენიერნი ხილვად და განსაცხრომელად თუალთა, და რომელნიმე ჰამონი სულითა და სურნელნი საყნოსელად, და რომელნიმე სარგებელად გემოანთა საქმელათთვის კაცთაჲსა. და ესე ყოველი სარგებელისათვის კაცთაჲსა დაბადებულ არს. (ჰჰ) *ეგრეთვე წმიდასა ეკლესიასა ჰქონან საღმრთონი წიგნნი, საკითხავნი მახარებელთანი და წინაწარმეტყუელთანი და მოციქულთანი. და ყოველნი ესე არიან მათწყებელნი და სადიდებელნი ღმრთისანი და მეუფისა ჩუენისა იესუ ქრისტესნი.

ხოლო რაჲთა-იგი მზე აღმობრწყინდის მცხინვარებითა თვისითა სამოთხეთა ზედა და ბოსტანთა, ყუაველი იგი მათი დააქნვის, და შუენიერებაჲ იგი მათი საწადელი განირყუნის და უშუერად [III] შეიცვალის სიცხისაგან, არა-

1 უკუეთუ[რ] B; დაადრავს C. 3 შეიწირვის] შეწირულ არს B; რამეთუ]—B; დადგრომისა C. 4 მისისათვის C. 5 დადვა B. 7-8 გუირგუინოსან C. 8 გუირგუინოსან C. 10-ვეუნეთ C. 11 აუგიან] შეურაცხ B. 12 ამისთვის C. 13 სირცხულისა C] + ლთისგან B; ამისთვის C. 14 დასაჯერებლად B. 16 გუიყუარდეს C; გუიღირს C; ჩუენ]—C. 21 წმიდისა იოვანე მოკოპიჩისაჲ] მისივე C. 22 ლახარეს B; გლახაკისა] + კან B] + ქე შე იოვანე და შვილნი მისნი B, + თავი ია C. 26 საქმელათთვის C; სარგებელისათვის C. 29 ღმრითა B. 31 თვისითა C.

* აქედან კვლავ მოგვეპოვება A-ს გაგრძელება (იხ. გვ. 74).

მედ სამოთხესა მას, რაემს გამოგზბრწყინდა ჩუენ მზე იგი სიმართლისაჲ, რომელნიმე განწყინდნა, და რომელნიმე განამართლნა და რომელნიმე შეიწყალნა.

- გამოგზბრწყინდა ჩუენ დღეს სიტყუაჲ სახარებისაჲ, რომელი იტყუს, ვი-
• თარნედ: „რომელი უყოთ ერთსა ნციირესა ძნათა ჩემთაჲანსა, იგი მე მიჰყავთ“ 1).
და კუალად ნოიწყენნა გლახაკნი და აყუედრა მდიდართა, არა თუ სინდიდ-
რესა ვჰქმობთ, არანედ რომელთა-იგი ზოროტად იტყმინეს სინდიდრე მათი.
რანეთუ ფრიად კეთილ არს სინდიდრე, რომელთა-იგი კეთილად განგებნა მათი
• მოიგეს, და კუალად ფრიად კეთილ არს სიგლახაკე, რომელთა-იგი მადლო-
ბით დაითმინონ. იყო აბრაჰამ მდიდარი, არამედ არა(40)სადა ვინ კაცთა-
განი წეურაცხ-ყო. და ლახარე გლახაკი იყო და არა დრტყნვიდა და არცა
• მოიწყინა, უფრომსლა რაემს იყო იგი ეგევითართა სატანჯველთა და ლუაწლ-
თა სიგლახაკისა და უსლურებისათა. და რაჲსათუ წარმოვადგინენ ორნი
• ესე ნოწინენი განყოფილნი, და რაჲსა არა მოვიყვანო აქა [2] იობ მართალი
მარტოჲ, რომელმან-იგი ორივე შეიწყინარა და ორთაგანვე გამოიცილა? რანეთუ
• ოდეს იგი მდიდარი იყო, არავინ წეურაცხ-ყო, და კუალად ოდეს იგი დაგლა-
ხაკნა, არავე დრტყნვიდა და არცა მოიწყინა. ოდეს მდიდარი იყო, იტყუს,
• ვითარნედ: კარი ჩენი განღებულ იყო ყოველთა კაცთათუ 2). და ოდეს და-
გლახაკნა, იტყუს: „უფალმანცა მომიცა და უფალმანცა მომილო, ვითარცა უნდა,
• ყო, და იყავნ სახელი უფლისაჲ კურთხეულ უკუნისამდე, ამენ“ 3).

- რადღენ გზის ჰბრძო ეწმაკმან და ვერ სადა მცლე ექმნა. კაბარქნი ისართა-
• მისთანნი წარმოაცალიერნა და მენს იგი ვერ მოწყლა; ლუარნი აკუეთნა და გო-
დოლი იგი ვერ დასცა; ლელვანი აღიწრა და კლდე იგი ვერ შეძრა; ხენი
• წეხარნა, და ნაყოფი ვერ დასცვა; რტონი მოჰკაფნა და ძირნი ვერ შეძრნა;
• (41) კედელი დაარღვა და საფასე ვერ იავარ-ყო. საფასესა-ლა ვიტყუ, არა თუ
ოქროსა და გინა ვცეტლსა ვიტყუ, არამედ სარწმუნოებასა, რანეთუ ესე ენება
• ეწმაკსა, რაჲთამცა ვითარ სარწმუნოებისაგან მიდრიკა იგი. [112] იხილეა,
• ვითარლა განძრავდა ნაყოფი? იხილე, რაჲლა მტკიცედ ჰგიან ძირნი მისნი.
• იხილეა გოდლისა იგი სიმყარნი? იხილეა მზედრისა იგი ახოვნება? იხილეა
• მბრძოლისა ძლიერება? იხილეა, ქრისტემან ვითარ გამოიორჩია? იხილეა ეშმაკი,
• ვითარ სირცაჲდელ იქმნა? რაჲ უკუე სახელ-ვსდვა მართალსა მას, არა უწყი-
• ნორკინალად სახელს-ვსდვა, არამედ წარჰქნა სიმჴნითა მორკინალთა; მზედ-

1 გამოგზბრწყინდა C. 2 განგუწმინდნა B: განამართლნა] განანათლნა B. 4 გამოგუი-
ბრწყინდა C: იტყუს C. 5 ერთთ A; მცირესა ძნასა ჩემთაჲანსა] მცირეთაგანსა B. 6 კუალად
• ვითარნედ A. 7 იქნედს A. 8 ნათი მისი C. 9 ნოაჲს C: განგება მათი მოიგეს] განაგეს B. 11
• დრტყნვიდა C. 12 ნოქმინა B. ნოაწყინა C. 14 რაჲსა] რასა C. 15 გამოცადა C. 16 ოდეს
• იგი ოდეს B. 17 დრტყნვიდა C; ნოაწყინა B: იტყუს C. 19 იტყუს C. 20 ყო] და ყო BC;
• უფლისმდე. ანქ]—AB. 21 მბრძოდა C; კაბარქნი C. 22 წარმოცარიელნა C: მენე A, მენე BC
• 24 და ნაყოფი] ნაყოფი წიხი C. 25 დაარღვია C; ვიტყუი C; არაჲ C; თუ]—A. 26 და]—A;
• ვიტყუი C. 27 ვითარ L. 29 სინჯარე FC: იგი] წის A: ახოვნება] სიმენე B; იხილე A. 30 გამო-
• რკინა C. 31 სრტყნვიდა C; სახელს-ვსდვა C; ~ ვითარ ეშმაკი B. 32 სიმენესა A.

1. უფრ. ნათე 15,46. 2. მდრ. იობ 31,32. 3. იობ 1,21.

არად სახელ-ვსდვა, არამედ წარჰჳდა იგი მვედართა ახოვნებითა; გოდოლ
 სახელ-ვსდვა, არანედ უმაღლეს იქმნა იგი გოდლისა გონებითა; კლდედ უწოდო,
 არამედ უმტკიცეს კლდისა იპოვა სარწმუნოებითა; ნაყოფ უწოდო, არამედ
 უშუენიერეს არს ნაყოფთა სიტკბოებითა; საფასე უწოდო, არამედ უფროდს
 საფასეთა არს ღმრთის მსახურებითა. რომელი სახელი სახელს-ვსდვა მარ-
 თალსა მას, არა უწყი. რაჲთა ისმინონ მდიდართა და კუალად რაჲთა ისმი-
 ნონ გლახაკთა. მისთჳსვე ვითარ არს ესე ნეტარი კაცი, რომელმან-იგი სი-
 მდიდრესა შინა [უ] კეთილად განაგო სიმდიდრე თჳი, და კუალად სიგლახა-
 კესა (42) შინა დაუთმო მრავალთა განსაცდელთა, მადლობასა შინა ღმრთისასა.
 ხედავა, ვითარლა კეთილ არს სიმდიდრე, რომელთა იციან კეთილად განგებად
 შინი, და ვითარ კეთილ არს სიგლახაკე, რომელთა დაუთმონ მას მადლობით?!
 ნუ იტყვ, ვითარმედ მეშინის მე სიგლახაკისაგან. სიგლახაკისაგან გეშინის და
 ცოდვისაგან არა გეშინისა? ნუ გეშინის სიგლახაკისაგან, არამედ გეშინოდენ
 ცოდვისაგან, რომელ-იგი არს დედაჲ ყოველთა სატანჯველთაჲ. მესნელი ჩუენი
 ითხოვს მცნებასა და არა მისცემ? და შენ გესმის, რომელსა იტყვს, ვითარ-
 მედ: ყოველსა რომელსა მისცემთ მათა ჩემთაგანსა, მას მე მომცემთ.

არა ხედავა, რამეთუ ყოველსა რომელსა მისცემ გლახაკსა მას, ქრისტესა
 მისცემ. და უკუეთუ შენ არა მისცემ, ვითარ ითხოვ მისგან წყალობასა მო-
 ცემად დღესა მას მიგებისასა კაცად-კაცადსა საქმეთა მათთაებრ? აჰა ესერა
 გეტყვ შენ: მიხილე მე შვიერი და არა გამოშხარდე, და წყურიელი და არა
 მასუ, და შიშუელი და არა შემმოსე. რაჲ უკუე მიუვო შენ [113] ამისთჳს
 შესანდობელი? შენ გმოსიეს სტავრაჲ და ხაზდი და ძოწეული, და გლახაკსა
 არა აქუს ძუელიცა სამოსელი. შენ შჳამ გოვბისასა და კაკბისასა და ღ(ე)რლე-
 დისასა და მრავალთა სანოვაგეთა, და გლახაკი არა ჰპოვე(43)ბს პურსაცა
 ჳმელსა, რომლითამცა განიძლო მუცელი თჳსი.

შენ გიდგან ტაძარნი მარმარილოთა მოლესულნი, და გლახაკსა არა
 აქუს სართულიცა, რომელსა ქუეშე შევიდეს. და ესე ყოველი მონაგები შენი
 მონახუეჳი არს უსამართლოდ. და შენ ხვალე მოჰკუდე და ყოვლისა ამისგან
 ცუდი განხვდე, და დაშთეს სახლი შენი საყუედრელად საყუენოდ, რაჲნეთუ
 ყოველნი რომელნი თანა წარჰვიდოდინან, იტყოდინან: ესე სახლი იყო უსა-
 მართლოდ მომტაცებელისაჲ მის მდიდრისაჲ, რაჲდენნი ობოლნი ატირნან,
 რაჲდენთა ქურიეთა ჰმძლავრობდა, რაჲდენთაგან მდიდართა მოიტაცა, რაჲ-

1 სახელ სდვა A] უწოდი B; წარუჳდა A; გოდლად C. 2 სახელ სდვა A; უწოდა A. 3 იპოა A.
 4 უწოდა A. 5 სახელს-ვსდვა] უწოდა A. 7 მისთუისვე C. 8 თუისი C. 10 ჰხედავა B; სიმ-
 დიდრე BC; იციან]—B; განგებაჲ მისი] განაგონ B. 11 მას]—C; მადლობითა C. 12 იტყუი C.
 13 გეშინინ AB. 14 რ'ი-იგი AB. 15 იტყუის B. 18~ მისგან ვ'რ ითხოვ B. 19 მოგებისასა A; საქ-
 მეთა მათთაებრ] საქმეთაებრ B; აჰა]—B. 20 გეტყუი C; გამოშხარდე] + მე B. 21 ამისთუის C.
 23-24 და ღრღედისასა]—B. 24 სანუაგეთა C; ჰპოვბს C. 25 თუისი C. 27 ~ შენი მონაგები C.
 28 ~ უსამართლოდ მოხუეჳილი არს BC; მისგან B. 29 ცუდი A; განხუიდე C; საყუედრე-
 ლად] + შენდა C. 30 წარვიდოდინან C; იტყვედ B. 32 რაოდენნი ქურიენი მძლავრობით შე-
 წუხნა B; რაჲდენთა მდიდართაგან CB; მოატაცა C.

- დენნი გლახაკნი შეაწუხნა. ნუ იტყვ შენ, ვითარმედ: მე მთავარი და ჯელ-
მწიფე ვარ. მე არა თუ ჯელმწიფობასა ვჰგმობ და მონაგებსა ვსძაგებ, [უ];
არამედ მათ ვაბრალებ და ვსძაგებ, რომელთა კეთილი იგი ბოროტად შე-
ცვალეს. არა თუ სიმდიდრე ბოროტ არს, რამეთუ ყოველი დაბადებული.
- 1 ღმრთისაჲ კეთილ არს ფრიად. ხოლო რაჲამს იხილო გლახაკი, აღზუაენე მის
ზედა და არა მოიგონო გონებასა შენსა, ვითარმედ იგიცა შენებრივე კაცი
არს, რომლისათჳს მზე ბრწყინავს სრბასა შინა თჳსსა, რომლისათჳს ცანი და-
ებადნეს; კაცისათჳს მთოვარე იცვალეების ეამებად, კაცისათჳს ვარსკულაენი
ნათობენ; რომლისათჳს ზღუანი განეფინენ; (44) რომლისათჳს მთანი და
- 20 ბორცუნი შეიქმნენ[ს]. და ჯეენი დაიხსნეს კაცისათჳს, რომლისათჳს ელვანი და-
ქუხილნი, რომლისათჳს მდინარენი და წყაროები დიან, რომლისათჳს აღმოა-
ცენებს ქუეყანაჲ მცენარეთა მრავალ-ფერთა, რომლისათჳს პირუტყუნი და-
ყოველნი იძრვისნი, რომელნი იძრვიან ქუეყანასა ზედა, რომლისათჳს ეამნი-
და თუენი და წელნი და დენი და ღამენი, [114] რომლისათჳს ძალნი და
- 25 უფლებანი, მთავრობანი და ჯელმწიფებანი, ანგელოზნი და მთავარ-ანგე-
ლოზნი, სერაბინნი და ქერობინნი. და ამას რასა განვამრავლებ, უფროს-
ამის ყოვლისა კაცისათჳს დასთხინა მკსნელმან ჩუენმან უბიწონი სისხლნი-
მისნი ჯუარსა ზედა და მოიყიდა პატიოსნითა მით სისხლითა თჳსითა. შენ
ჰხედავ მას ყოველსა და უგულებელს-ჰყოფ, არა ნუ შენებრვე კაც არსა? და-
- 30 ღათუ გლახაკი არს და შენ ზუაობ მის ზედა, არა-მე სიგლახაკე გამოირჩიაჲ
ღმერთმან და გლახაკთა მოუწოდა მოწაფედ თჳსა და არა მდიდართა? პეტრე-
თავი იგი მოციქულთაჲ და სუეტი ეკლესიათაჲ, რომელსაცა კლდედ უწოდა-
უფალმან, არა უკუე გლახაკი და საწყალი იყოა და შეურაცხი და მონადირე?
თევზთაჲ? და იოვანე და იაკობ არა გლახაკნი იყვნესა და მეთევზურნი? და-
- 35 მამაჲ მათი ზებედე მათ თანა და განჰკერვიდეს ბადეთა¹⁾ მათთა, რამეთუ.
სიგლახაკისაგან ვერ შემძლებელ იყვნეს იგინი სუი(45)დად ახალთა ბადეთა-
სათევზედ [უ] და ძუელთა განჰკერვიდეს.

ეგრეთვე მათე მეზუერე იყო. და ვითარცა თანა-წარჰვიდოდა იესუ, იხილა-
იგი მჯდომარე საზუერესა თანა და ჰრქუა მას: აღდეგ და მომდევი მე. და-

40 მუნთქუესვე აღდგა იგი და მისდევა მას²⁾, და დაუტევა აღგილი იგი თჳსი. და-
არა ვითარცა მეფემან, არამედ ვითარცა მეუფემან მეუფეთამან უწოდა მას. და-

1 იტყუი C; ჯელმწიფესა C. 3 ად მათ ვაბრალებ... ვსძაგებ[რ]ლთა კეთილად განავს, კეთი-
ლად მიიღონ სასუიდელი მათი. ხ' B. 5 ფედ]— B; აღზუაენი B, აღსზუაენე C. 6 მოაგონო C.
7 არს]— დაღათუ გლახაკი არს და რაჲ არს კაცი, კაცი იგი არს C; რომლისათჳს C; სრბასა].
სლვასა C; თუისსა C; ~ თჳსა შინა B; თჳსსა] + მის ზაცა ნათობს და შენ ზაცა B; რომლი-
სათჳს C]— A. 8 კაცისათჳს მთოვარე C; ეამედ-ეამედ B; კაცისათჳს C. 9 რომლისათჳს C.
10 შეიქმნეს BC; დაიხსნეს C; კაცისათჳს რომლისათჳს C; კაცი AB. 11 რომლისათჳს [C.
12 რომლისათჳს C. 14 ~ წელნი და თუენი BC; და დენი] დენი C; რომლისათჳს C.
15 მთავარანგელოზნი]— A. 17 კაცისათჳს C. 18 მისნი] თჳსნი A]— B; მოაყიდა C; და შენ BC.
19 ხედავ A; არა ნუ შენებრვე... და შენ] მას დაღაცათუ გლახაკი არა შენ სახე არსა, რაჲსა B.
20 ჰზუაობ C; გამოაჩინა C. 21 თჳსა] მისა B, თუისად C. 23 იყო B; მონადირე A. 24 მოვანე.
C; იყუნესა C, იყვნეს B. 25 ზებედა C. 26-27 სიგლახაკისაგან... სათევზედ] არაჲ აქუნდა რომ-
ლითამცა იყიდნეს ახალნი ბადენი B. 28 ა'ჯ C. 30 ადგილი იგი] ადგილი BC; თუისი C. 31 მე-
ფემან ად ვა]— A.

1) მათე 4,2. 2) შდრ. მათე 9,9.

რომელი-იგი პირველ მტაცებელი სხვსა მონაგებთა. ამან უცხო ყო თავი თვის მონაგებთაგან თუსთა, რომელი-იგი იყო ოდესნე მგელ, იქნა იგი კრავ. დასთხინა პეტრე ბადენი და მიიხუნა კლიტენი სასუფეველისა ცათაჲსანი. დაუტევა მათე საზუერე და აღილო სახარებამ. ეგრეთვე პავლეს სახეველი აქუნდა და ტყავსა ხევედა. არა წიგნები მოელოა მდღელთ-მოძღუართაგან, რაჲთა დამასკედ წარვიდეს ტანჯვად წმიდათა? და გამოუჩნდა ნაა გზაჲა ზედა ნათელი, რომელი ეტყოდა მას: „საულ, საულ, რასა მდევნი მე“ ¹⁾. მიუგო პავლე და ჰრქუა: „და შენ ვინ ხარ, უფალო?“ [IIJ] ჰრქუა მას: „მე ვარ იესუ, რომელსა შენ მდევნი“ ²⁾. მაშინ დაეცა იგი პირსა ზედა თუსსა და დაბრმა. და რაჲსათუჲს ჰრქუა, ვითარმედ: მე ვარ იესუ, რომელსა შენ მდევნი; რაჲთა არა ეგონოს, ვითარმედ სხუჲა არს ესე იესუ, რომელმან უწოდა მას ზეცით, რამეთუ ჰურიანი ეგრე იტყოდეს, ვითარმედ ქრისტე არა აღდგომილ არსო. არამედ მოწაფეთა მისთა წარიპარეს იგიო. (45) ამისთუჲს ჰრქუა მას, ვითარმედ: მე ვარ იესუ, რომელსა შენ მდევნი, რაჲთა უწყოდის, ვითარმედ იგი არს, რომელმან უწოდა მას. მაშინ წინაძლომით სხუათა მიერ შევიდა პავლე დამასკედ და მივიდა მისა ანანია და დაასხნა კელნი მისნი თუალთა მისთა და მუნთქუესევე აღიხილნა. და ამას შინა სიტყუჲა განგრძელდების, არამედ შემოკლებულად-რე მნებავს უწყებამ თქუენი. და ვითარცა აღიხილნა მან, მუნთქუესევე იყო სწავლად სახელითა იესუ ქრისტესითა. და ესმა ესე ჰურიათა, ვითარმედ პავლე ასწავებს სახელითა იესუ ქრისტესითა და ეძიებდეს მას შეპყრობად. და ვითარცა აგრძნეს ესე მოწაფეთა, შთასუეს პავლე მამულასა და მით გარდაუტევეს იგი ზღუდესა, და ეგრეს წარვიდა იგი იერუსალმდ.

[უ] ეგრესთვე ნეტარი იოვანე არა უდაბნოჲს დამკვდრებულ იყოა და შემდგომად მისა დაენკვდრა იგი ცათა შინა, არა მწუერვალაჲს ხეთასა და ველურსა თათლასა ჭამდაჲ? და რაჲა-მე ვიტყოდი, არა ყოველნი გლაზაკნი იყენესა და მოციქულ და წინადაწარმეტყუელ იყენეს? ამით საგლაზაკითა იქმნა ჯანაჲ ძეთა კაცთაჲ. რადენნი ურწმუნონი მთავარნი და განმგებელნი მომკუდარ არიან სოფელსა ამას, ყოველნივე დავიწყებასა მიცემულ არიან. ხოლო (47) ესე მეუფე, რომელსა პორფირი შეუმოხიეს და ჰქონან მას მრავალნი საქურველნი და სიმრავლე ეტლთაჲ და მკედართაჲ, ესე ქუეფთ ფერჯითა მივიდის საფლავსა მას მონადირისა და გლაზაკიჲა და შეურაცხისასა, და ამბორა-უყოფნ და ილოცავნ და ევედრებინ, რაჲთა შემწე ეყოს წინაშე მეუფისა მის დიდისა. აწ უკუე ვინ აიძულის ესე მეფესა ყოფად? მე გაუწყო: მან, რომელმან-იგი ჰრქუა, ვითარმედ: „მოიმოწაფენით ყოველნი წარმართნი და ნათელ-სცემ-

1 სხუისა C. 5 მოილოა B. 7 საულ, საულ საულ საულ C. 8 ჰრქუა A; აჯ C. 9 იგი) — A; თუისა C; დაბრმა C; რასათუის C. 10 ვ'დ' ვ'რ C; აჯ C. 11 აჯ C; მას) — A; გრე) ესრეთ C. 12 მისთა) — A. 13 წარიპარეს იგიო) წარიპარესო C; ამისთუის C; აჯ C. 16 მუნ-ქუესე) მეცხულად B. 18 მან) + თუალნი BC; სახელითა) + უფლისა ჩ'ნისა C. 19 აჯ C. 20 აჯ C; იესუ ქრისტესითა) იესუსითა BC. 21 შთასუეს) შთადვეს B; მითა B. 22 ეგრეთ A; იგი) — C. 23 ეგრეთვე A; აოვანე C; დამკუდრებულ C. 24 დამკუდირა C. 25 ~ თათლასა ველურსა C. 26 იყენესა C. 27 არიედ B. 28 და ყოველნი C; არიედ B; ხოლო — A. 29 მონ-ფირი C; შეუმოსი C. 30 ეტლთა BC; ქუეფთ B. 31 და ამბორს) ამბორს C. 33 აიძულის C; ~ მეფესა ესე ყოფად BC. 34 მოიმოწაფენით C, მოიმოწაფენ B.

1) საქმე 9,4 2) საქმე 22,8.

დით მათ სახელითა მამისადათა და ძისადათა და სულისა წმიდისადათა, და მე
 თქუენ თანა ვარ [116] ყოველთა დღეთა და ვიდრე აღსასრულამდე სოფ-
 ლისაა¹⁾. ამან მიანიჭა მათ ესევეთარი პატივი ამას სოფელსა და მუნ სასუ-
 ფვეველი ცათაჲ დაუმკვდრა მათ საუკუნოდ. არა უკუე ჰხედავა, ვითარ ძლიერ
 5 არიან გლახაკნი, და რამეთუ არა ხოლო თუ ზეფენი ითხოვენ მათგან შეწევ-
 ნასა, არამედ მრავალნი ეწმაკეულნიცა მივიდიედ საფლავთა მათთა და განი-
 კურნნიან. არა ჰხედავა, ვითარ მკუდარნი ცხოველთაჲა უძლიერეს არიან?

აწ უკუე ნუ შეურაცხ-ჰყოფ გლახაკსა, რაჲთა არა შეურაცხ-იქმნე ღმრთი-
 საგან, რამეთუ მრავალ გზის შემოვიდის გლახაკი ეზო(48)სა შენსა, გინა ჰრეკნ
 10 გარეგანსა კარსა შენსა, და შენ გემინ, და ნეფსით დასდუმნი და უგულუბელს-
 ჰყვი. და მრავალი ჟამი დაყვის და გელინ, რაჲთამცა მი-რაჲმე-ეც მას, და შენ
 უღებ ჰყვი, ვიდრემდის მოეწყინის და წარვიდის შენგან მწუხარე და ცალიერი.
 და ოდესნე უბრძანი მსახურსა შენსა და განაძის გარე შეურაცხებით. არა
 უკუე გასმიეს, რომელსა-იგი ეტყოდა [v] უფალი მოწაფეთა თვსთა, ვითარ-

15 მელ: ყოველსა ქალაქსა, გინა სახლსა, რომელსა შეხვდეთ, სთქეთ: „მშდობაჲ
 სახლსა ამას! 2) და უკუეთუ ღირს იყვნენ მკვდრნი მისნი, დაადგერინ მშდო-
 ბაჲ თქუენი მათ ზედა, და უკუეთუ არა—მტუერი ფერჯთა თქუენთაჲ განი-
 ყარეთ მათ ზედა. და მართლიად გეტყვ, ვითარმედ: სოდომაჲ და გომორაჲ
 უმოლხინეს იყვნენ ქალაქისა მის, გინა სახლისა, დღესა მას სარჩელისასა 3).

20 უკუეთუ ესე მონათა არა-შეწყნარებისათჳს ეარე შეემთხვევის, რავდენ უკუე
 თუთ უფლისათჳს იყოს, რომელთა არა შეიწყნარონ?

შემოვიდის გლახაკი ეზოსა შენსა და შენ უბრძანი მსახურსა შენსა გან-
 ძებაჲ მისი. არა უწყია, რაჲემს გლახაკი განაძე ეზოჲთ შენით, ქრისტე განაძე?
 (49) რამეთუ მან თქუა ესე, ვითარმედ: „რომელი უყავთ ერთსა მცირეთაგანსა,
 25 იგი მე მიყავთ“ 4). არა უწყია, თუ ოდეს გლახაკსა აგინო, ქრისტესა შეურაცხ-
 ჰყოფ, ვითარცა-იგი რაემს გლახაკსა კეთილი უყო, ქრისტესა უყოფ კე-
 თილსა, ვითარცა-იგი თუთ იტყვა, და თუ გლახა[117]კი შეურაცხ-გიყოფიეს,
 ქრისტე შეურაცხ-გიყოფიეს? ანა ვიტყვ და კუალადცა ვიტყვ და არა დაე-
 დუმნები, და არცა მოვიწყინებ და არცა მცონია, რაჲთა თქუენ მღვდარე

30 იყნეთ გლახაკთა წყალობისათჳს და არა შესცთეთ. მე სწავლაჲ და მხილებაჲ
 მიღირს და თქუენდა ჯერ-არს შეწყნარებაჲ. და კუალად, უკუეთუ შენ გვედ-
 რებოდის გლახაკი და არა შეიწყნარო იგი შენ, შენ ვითარ შეხვდე ეკლესიაღ

4 დაუმკვიდრა C; მათი—B; არა უკუე—B. 5 არიედ B; რამეთუ—B; მეფენი]+ოდენ BC.
 6 მივიდიედ| მივილტიედ B; განიკურნნიან C. 7 ვ'რდა CB. 8 -ჰყოფი + შენ C; არა—B. 10 ნებ-
 სით BC; სდუმნი B. 11-ეცი BC. 12 ჰყვი]+იგი B; ცარიელი C. 13 განაძის]+იგი BC. 13 განაძის|
 ჯანაულის B. 14 გასმიესა BC; თუისთა C. 15 რომელსა—B. შეხვიდეთ C; თქუთ C;
 მშეიდობაჲ C. 16 იყუნენ C; მკუიდრნი C; დაადგრენ B; მშეიდობაჲ C. 17 უკუეთუ]+ არა
 ღირს იყვნენ B. 18 გეტყუი C; და—C. 19 უმელხინეს A, უმოლხინე B; იყუნენ C; სასჯელისასა
 BC. 20-შეწყნარებისათუის C; ესრეთ CB. 21 თუით C; ო'რისათუის C; ეყოს CB. 22 გარე გან-
 ძებაჲ C. 23 განაძი C, განაძო B; ეზოსაგან შენისა C. 24 ~ ესე მან თქუა B; უყოთ B. 25
 თუ—BC. 26-ყოფ C. 27 თუით C; იტყუის C. 28 ვიტყუი C; დაედუმნები. C. 29 მოვიწყინებ]+
 სიტყუად CB; მღუიძარე C. 30 იყუნეთ C; წყალობისათუის C. 31 შეწყნარებაჲ B; შენ—B.
 32 შეხვიდე C.

1) მათე 28, 19-20. 2) მათე 10, 12. 3) მდრ. მათე 10, 13-15. 4) მათე 25, 40.

და ილოცვიდე, ვითარ აღაღებ პირსა შენსა ვედრებად ღმრთისა, არა ვიდრემე გეშინისა და სძრწი და სირცხვლელ ხარ შესლვად ეკლესიად და ლოცვად?

პირველად ყავ წყალობაჲ, რაჲთა ლოცვაჲ შენი დაიწეროს ცათა შინა. არა გიხილავსა აქა, რამეთუ არნ ოდესმე სავედრებელი წიგნი მეფისა და არა შემოილიან წინაშე მდგომელთა, არამედ ორასითა გინა სამასითა დრაჰკინითა? და მრავალ გზის მათგანნი მრავალნი წარვიდიან ცუდნი, რამეთუ არა შეიწყნარის შეფეჲმან ვედრებაჲ მისი, და მონაგებიცა იგი ცუდად წარჯდის, [შ] (50) რამეთუ არლარავინ უკუნსცის მათ იგი. და შენ ორითა ფოლითა არა დაჯერებულ ხარა, რაჲთამცა დაიწერა ლოცვაჲ შენი? და ქუეყანისა მეფეჲმან ოდეს-მე დაუწერის თუნიერ სათხოველისა? ხოლო მეუფე იგი მეუფეთაჲ, რომელსა დასწერს და დაამტკიცებს, არა ჰხედავა, ვითარ-იგი ორთა ფოლთათჳს დაუწერაჲ მტკიცედ და უცვალეებელად? შენ რასა უკუე გერგების ლოცვაჲ ეკლესიასა შინა, ვინაჲთგან გლახაკსა არას მისცემ; რაჲ სარგებელ არს შენდა საფასე იგი დაფარული ქუეყანასა ზედა, რამეთუ მოვიდენ ღამე მპარავნი და მოთხარონ და წარიპარონ იგი, და განთიად იხილო აღგილი ხოლო იგი, და მწუხარებითა დადნეს გული შენი უსარგებლოდ მისთჳს და საღმობად შეგედვას. ხოლო უკუეთუ ჰეშმარიტად გნებავს, რაჲთა არავინ მიგპაროს საფასე შენი, ქმენ ვითარცა მე გასწაო, და ვერვინ შემძლებელ იქმნეს მიპარვად შენდა. დაჰთალ იგი მუცელსა შინა გლახაკათასა, და უკუნისამდე ვერვინ მიგპაროს იგი. [118] არამედ დამარხულად გედვას იგი დღისა მის ჰირისათჳს და სადა-იგი ფრიად გეჰმარეზოდის, მუნ მოილო იგი აღნადგინებითურთ ჰელთაგან დამბადებელისა შენისათა.

ხოლო უკუეთუ ქუეყანასა დაჰმარხო, წა(51)რსწყვიდო იგი. და თუ დამარხოს იგი სიკუდილამდე, და შემდგომად სიკუდილისა შენისა რასა უკუე სარგებელ არს იგი შენდა, არამედ სხუათა განაბნიონ იგი. და ვისი, შენ არა გინდა და რომელი შენ არა უწყი, მან შეჰამოს განმფრთხობელთა თანა და შენ გაყუედრებდეს. არა უკუე გასმიესა წინაჲსწარმეტყუელისა იგი თქუმული, ვითარმედ „ამაოდ შურებინ, იუნჯებნ და არა უწყინ, ვინ შეიკრიბოს იგი.“ 1). და კუალად იტყვს: „ერთბამად უგუნურნი და უკეთურნი წარწყმდენ, დაუ-

1 აღოცვიდე C. 2 სძრწი A; და სძრწი—B; სირცხვილელ C, 4 დაჲწეროს C. 5 ~ ოდეს არნ C; რ არნ—B; წიგნი შესავედრებელი C; და არა არა B. 6 ად ... დრაჰკინითა ვდე არა მისციან ორასი გინა სამასი დრაჰკინი B. 7 მრავალნი—C; ~ მრავალნი მათგანნი ცუდნი წარვიდიან B. 9 იგი|+კდ B; ორითა|+გინა სამითა B. 10 ხარ B; დაიწერა შეიწირა C; შენი|+წეღისა B. 11 თუნიერ სათხოელისა C; მეუფეთაჲ A. 12 ხედავა BC; ფოლთათჳს C. 13 რასა უკუე გერგების ლოცვაჲ—A; ეკლესიასა შა A. 14 არს| გეყოს B. 14-15 დაფარული| დაფლული BC. 15 ზედა—B; ~ მპარავნი ღამით C; ღამით B. 17 მისთვის C. 18 ~ გნებავს ჰეშმარიტად B. 19 გასწაო| გაუწყო B; იქმნას C. 20 მიგპაროს იგი| + შენ B. 21 იგი|—BC; ჰირისათჳს C; და სადა-იგი| სადა-იგი B. 22 მოალო C; იგი| — C. 23 დამარხოს C. 24 ვე სიკუდილამდე C, ვე სიკუდილად შენდამდე B. 24-25 რასა უკუე ... ად — B. 25 ვისი| ვის A; ~ იგი სხუათა განაბნიონ B. 26 გინდა|+მიცემის, იგი სხუათა შეჰამოს B. 26-27 და რომელი შენ არა... გასმიესა| კტდ აღსრულოს B. 27 გაყუედრებდენ C; ~ თქუმული წწყლისაჲ B. 28 აუნჯებნ C; იგი|—B; შეიკრიბის C. 29 იტყვის C.

1) ფსალ. 38, 6.

ტეონ უცხოთა სიმდიდრე მათი და არა სიკუდილსა მისსა წარილოს მან ყოველი¹⁾.

3 ხედავა, რაჲ შეემთბუევის მათ, რომელნი ქუეყანასა იუნჯებენ? „ხოლო შენ იუნჯებდ ცათა შინა [ვ], სადა არცა მლილმან და არცა ჭიამან განრყუნის და არცა მპარავთა დათხარონ და განიპარონ“ 2).

აწ უკუე, ჰ უბადრუკო მდიდარო, ქუეყანასა არწმუნეა საფასშ შენი და არა ღმერთსა, რომელმან-იგი თქუა, ვითარმედ: ყოველი რომელი გლახაკთა თანა ჰყოთ, იგი ჩემ თანა გიყოფიეს?! არა ჰხედავთა, რამეთუ რომელნიმე მუ-

30 შაკთაგანნი გლახაკნი და საწყალობელნი არიან და ცხონდებიან იგინი კეთილის მომქმედთა კაცთაგან? და რაჲამს ჟამი თესვისაჲ მოიწიის, არა აქუნ მათ (52) თესლი, რომელიმცა სთესეს ქუეყანასა მათსა. მაშინ წარილიან სამოსელი მათი, გინა ცოლთა მათთაჲ, გინა რომელიმე ქურქელი, და განწინდიან და ისესხიან მოდი ერთი, გინა ორი, მსგავსად ძალისა მათისა, და მოილიან და დასთესიან იგი სასოებით ქუეყანასა მათსა და მოელიან წჳმასა ზეციით. [119]

15 და არნ ოდესმე გუალვადცა. აწ უკუე რომელმან-იგი ისესხა და ქუეყანასა არწმუნა სასოებითა უფროდისა მოღებისაჲთა და არნ ოდესმე, თესლიცა იგი ვერ უკუ-მოიღის, და შენ ვერ არწმუნება ღმერთსა საფასესა შენსა, რომელმან-იგი უქუეულად მოგცეს შენ აღნადგინებითა მრავლითა? მწნველმან არწმუნა თესლი დაბადებულსა და შენ დამბადებელისა გეშინისა რწმუნებად?

20 არა თუ შურიით რასმე გამხილებ მე ამას თქუნ, არამედ მნებაეს, რაჲთა სარგებელ გეყოას თქუმული ესე ჩემი და იყვნეთ განმზადებულ წყალობასა ღმერთისასა. არა უწყია, რასა მსგავს არს საფასშ? მსგავს არს იგი მეძავსა, რომელი სხუასა ზრახნენ და სხუასა უწამწამებნ, და კუალად დღეს გელმწიფე არნ და ხვალე მონა, დღეს მდიდარ არნ და ხვალე (53) გლახაკ, დღეს მსაჯულ

25 და ხვალე დასამჯელ. ჰხედავა შეცვალებასა ჟამთასა, რამეთუ ვითარცაღა აჩრდილი წარვალს და ვითარცა კუამლი განქარდების, და ვითარცა ქსელი დედაზარდლისაჲ [ვ] დაჰქსნდების და წარვალს? ხოლო მე არა დავცხბრები მოკსენებად და სწავლად თქუნდა, უკუეთუ ჰყოთ, რამეთუ წერილ არს: „იტყოდე ყურთა მიმართ ერისათა“ 3), ხოლო ურჩებაჲ მოიხდის სიკუდილსა. ემსგავსე-

30 ნით უკუე ქურივსა მას, რომელმან-იგი მისცნა ორნი ფოლნი, ვითარ განმართლდა. და უკუეთუ ორნი არა გქონან, ერთი ხოლო მიეც, რომელი გაქუს, ღმობიერად; და უკუეთუ არარაჲ გაქუს, სულთ-ითქუნ, ოდეს იხილო გლახაკი, და შეწირულ იქმნეს ლოცვაჲ შენი, რამეთუ რომელი-იგი დაფარულთა

3 ხედავა C] + ძმაო B. 4 იუნჯებდი B; განრყუნეს B. 6 საფასე BC. 9 ცხონდებიან C. 8-9 მუშაკ და საწყალობელ არიედ და ცხონდებიედ იგინი... B. 12 განწინდიან BC. 13 მოაღიან C. 14 იგი]—B; მოელიედ BC; წუიმასა C. 15 და]—AB. 17 ~ საფასესა შენსა ღმერთსა A. 19 თესლი] + თუისი CB; გეშინის A. 21 იყვნით B. 22 საფასე A, საფასე C; მეძავსა] + დედაკაცსა B. 23 სხუასა] ერთსა B; უწამწამებ C] წამ-უყოფნ B. 24 მონა... და ხვალე]—A. 25 დასჯილ C; ხედავა BC; ვითარცა C. 27 დაიქსნების CB. 28 ჰყოთ] + და უკუეთუ არა ჰყოთ BC. 29 მოიხდის (ასე!) AC. 32 გაქუს] + და უკუეთუ ყოლადე არაჲ გაქუს C; და უკუეთუ არარაჲ გაქუს]—BC.

1) ფსალმ. 48, 10-17. 2) შდრ. მათე 6, 20. 3) შდრ. ზირ. 25, 12.

ჰხედავს და ყოველივე უწყის [120] ვიდრე ყოფამდე, მან იცის, ვითარმედ. უკუეთუმცა გაქუნდა რაჲ, მი-მცა-ეც, რამეთუ იგი გულთ-გამომეძიებელ არს. და იცის, თუ გაქუს რაჲ, ანუ არა ყოლადვე, რამეთუ კაცი პირსა ხედავს, ხოლო ღმერთი—გულთა.

გვედრები თქუნ, ძმანო ჩემნო, დაიმარხეთ მცნებაჲ ესე. რამეთუ უფალი იტყვს: „მაშინ უწყოდინა ყოველთა, ვითარმედ მოწაფენი ჩემნი ხართ, უკუეთუ იყუარებოდით ურთიერთას“ ¹⁾. ესე სიტყუაჲ მქსნელისა ჩუენისაჲ არს. არა გას-მიეცა, ვითარ წერილ არს (მ⁴) შუკულსა, ვითარმედ „შეიყუარო უფალი ღმერთი შენი ყოველითა გულითა შენითა და მოყუასი შენი ვითარცა თავი თვისი“ ²⁾. არა უწყია, ვითარმედ „ამათ ორთა მცნებათა ყოველი შუკული გამოკიდულ არს და წინაწარმეტყუელნი“ ³⁾. იყენით უკუე შუკულის მოყუარე და უცხოთ მოყუარე და გლახაკთ მოწყალე და ღმრთის მოყუარე, რომელმან-იგი მოგცეს თქუნ სასუფეველი ცათაჲ ნაცვალად მცირედისა მის, რომელი-იგი მისცეთ გლახაკთა და ულო[ნო]თა და წმიდათა მისთა თანა გზგვზოსან გყენეს თქუნ, რამეთუ მისი არს ძლიერებაჲ და მისა შუენის დიდებაჲ და პატივი ღამისა და ძისა და წმიდისა სულისა აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამენ.

[უ] თქუთული იოვანე ოძროპირისაჲ

სოფლისა ამისთჳს წარმავალისა, სიკუდილისათჳს და საშუკლისა

იხილეთ, საყუარელნო, რომელთა დაგიტევებიეს ზრუნვაჲ ამის სოფლისა წარმავალისაჲ და საქმეთა მისთა დაცუდებადთაჲ. იხილეთ და ნუ კუალად იტყევით პირველთავე მათ სოფლისა უცალოებათა. გეშინოდენ ღმრთისა და უწყოდეთ, რამეთუ სიმდ[იდ]რე წარმავალ არა, და პატიოსნებაჲ ცუდ იქმნების, და სიკეთე შეიცვალების, და შუენიერებაჲ განიყუენების, და ყოველივე დიდებაჲ ამია სოფლისაჲ ამია იქმნების, და ვითარცა სიზმ(მ⁵)არი დაივიწყების, და ვითარცა კუამლი განქარდების, და ვითარცა აჩრდილი წარვალს.

და ამისთჳს თქუა ბრძენმან სოლომონ, ვითარმედ: „ამაოებაჲ ამაოებისაჲ და ყოველივე ამაო არს“ ⁴⁾. ქდავით წინაწარმეტყუელი იტყვს: „რამეთუ ყოველითავე ცუდ არს ყოველი კაცი ჯორციელი“ ⁵⁾. და ყოველნივე საქმენი ამის სოფლისანი ცრუ და წარმავალ არიან და ამაო არიან, და მცირედისა ჟამისა

2 უკუეთუმცა თუმცა BC; გულთა გამომეძიებელი BC. 3 გაქუ C; არა ყოლადვე] ყ'დვე არაჲ B, თუ ყ'დვე არაჲ C. 5 დაიმარხეთ C. 6 იტყუის C, ეტყუს B; უკუეთუ] რ'ეს B. 7 იყუარებოდით]+თქუნ B. 8 სუკულსა C. 9 შენითა]+და ყოველითა ძალითა შენითა B; თუისი C. 10 დამოკიდებულ არს C; ~ შუკული და წინაწარმეტყუელნი გამოკიდებულ არიედ B. 11 სუკულის მოყუარე C; უცხოთ მოყუარე] სტუმართ მოყუარე C. 13 ნაცვალად მცირედისა მის]-A. 16 უკუნითი უკუნისამდე, ამენ] ო C. 17 თქუმული]+წისა C; იო'ვნე ოქროპირისაჲ] მისივე C. 18 ამის წარმავალისათჳს BC; სასუკულისა BC]+კ'ს B, + თავი მეთორმეტე C. 23 სიკეთე A, სიკეთე C. 24 და ვ'ა სიზმარი დაივიწყების]-C. 27 ამისთჳს C; ~ ბრძენმან სოლომონ თქუა ამისთჳს B. 28 იტყუის C; ~წყ'ელი დავით B. 30 და წარმავალ არიან]-BC; ამავო B; არიედ B.

¹⁾ შდრ. იოანე 13, 35. ²⁾ მარკ. 12, 30-31. ³⁾ მათე 20, 40. ⁴⁾ კლ. 1, 2. ⁵⁾ ფსალმ. 38, 5.

შემდგომად ყოველივე დაუტეოთ და შიშუელნი, ვითარცა ვიშენით, ეგრეთ განვიდეთ ამიერ სოფლით [121] ყოველნივე—უდა ესრით წარვდგეთ ყოველნი წინაშე მართლმსაჯულისა მის და ყოველი, რომელი მოვიგეთ სოფელსა ამას, აქავე დაუტეოთ და შიშუელნი განვიდეთ მისა ყოვლისა მონაგებისაგან შეგინებულნი მწინკულევიანებითა და სირცხულეულნი, და მივიწინეთ ზარ-განჭდილნი და შეძრწუნებულნი, თავ-დადრეკილნი და გულ-განპებულნი ბნელსა მას გარესკნელისასა ბოროტთა საქმეთა ჩუნთათჳს. და ესრით წარვდგეთ განსაკითხავსა მას საშინელსა წინაშე მსაჯულისა მის, რომელი არა ხედავს პირთა და არცა მიიღებს ქრთამსა სატანჯველთა მათ დაუთმენელთა და გამოუთქუმელთა, რომელთა თხრობაჲ ვერ შეჲაძლებელ არს პირითა ბოროტად მძვნვარებისა ზათისათჳს, სადა-იგი დგეს სიმრავლე აურაცხელი. წმიდათა ანგელოზთაჲ შეშინებულნი და ზარ-განჭდილნი, (56) სადა-იგი დაიდგას საყდარი საშუკელისაჲ საშინელი, სადა-იგი დიოდის მდინარე ცეცხლისა მის უშრეტისაჲ და მატლი [17] იგი წამლენი და უკუდავი, სადა-იგი იყოს სიცივე განუტფობელი, სადა-იგი იყოს ტირილი თულთაჲ და ღრქენაჲ კბილთაჲ დაუცხრომელი, სადა-იგი იყვნენ ცრემლნი შეუშრომელნი მჭურვალენი, სადა-იგი იყოს სულ-თქუმად დაუცადებელი, სადა-იგი გლოვაჲ, რომელსა არა აქუს ნუგეშინის-ცემად, სადა არა არს სიცილი, არამედ ტირილი და ძრწოლაჲ, და სადა არა არს სიხარული, არამედ მწუხარებაჲ მიუთხრობელი, სადა-იგი იყოს ბნელი განუნათლებელი წყუდიადი.

ძმანო ჩემნო საყუარელნო, უკუეთუ ესე თხრობაჲ სმენად საშინელ არს, ვინ გულისწმა-ყოს, რაკდენ შევდრომაჲ მას შინა! და კუალად ამის ყოვლისა უსაშინელეს და უსაზარელეს არა, რაჲამს-იგი იხილნეთ ყოველნი დაბადებულნი, შეკრებულნი ერთად და წარდგომილნი განსაკითხავსა მას ვერ-მისათხრობელსა, რაჲათა სიტყუაჲ მისცენ მსაჯულსა მას საშინელსა [122] ყოველთა საქმეთა მათთათჳს, რომელ უქმნიან ცუდაჲ ამას შინა სოფელსა.

ძმანო ჩემნო, რაჲლა ბოროტ არს ეამი იგი და რაჲლა ფრიად საშინელ არს, და რაჲლა საზარელ არა დღე იგი განკითხვისაჲ, რომლისანი ქირანი ვერ აღირაცხებიან ზამთრისა მის ბოროტისანი (57) და დანთქმისა საშინელისანი, რომელი მაშინ იყოა, რომელი ეგვეითარ[ი] არა სადა ყოფილ არს. ოდეს-იგი რბიოდის გუნდი წმიდათა ანგელოზთაჲ და მენესტუენი სცემდენ ნესტუსა, რომლისა ვმაჲ შეს[დ]რვიდეს ყოველსა დაბადებულსა საფუძველითურთ. მაშინ

1 ეგრეთცა C. 2 ესრეთ BC; ყწივე]—CB; ყოველნივე C. 4 მისა] ამის C, მის B; ყოვლისაგან მონაგებისა C. 5 სირცხულიეულნი C. 7 ბოროტთა საქმეთა ჩნთათჳს] — B; ჩნთათჳს] + რ'ლ ვქმნენით C; ესრეთთ A, ესრეთ BC. 10 თხრობად B; შემძლებელ ვარ B; პირითა] სიხარითა C; მჭურვარეობისა C. 11 მათისათჳს C. 12 სასჯელისა C. 13 მისა] + საშინელისა და C; ცეცხლისაჲ B; მის უშრეტისაჲ!—B. 14 წამლიანი C; და]—C; და უკუდავი B. 15 იყუნენ C, 16 ~ მჭურვალენი შეუშრობელნი C; სულთქუმა C. 17 სადა-იგი] სადა B. 18 ძწოლაჲ A; და სადა] სადა BC. 22 რაკდენ] + უფროს C; და]—B. 23 რ'ეს] ოდეს B. 23-24 ~ ყ'ლნი ნათესავნი შეკრებულნი ერთად იხილნეთ და წარდგომილნი B. 24 მას] — B; მისათხრობელ არს B. 25-26 მათათჳს C, მათთჳს A. 28 და რაჲლა საზარელ არს] — CB; განკითხვისა C] + და რაჲლა საზარელ C. 30 რ'ლი-იგი B. 31 მენესტუენი]—B.

ვარსკულავნი ვითარცა ფურცელნი დამოკვეენ, და ნჳშ და ნთოვარე და-
ბნელდენ, და ცაჲ წარიგრაგნოს ვითარცა ქსელი ერთი ეტრატო. და შეიძრას
ქუეყანაჲ ყოვლით კერძოვე. ზედთ და ქუედათ. ~~და~~ სამარენი აღებულენ და გან-
ცხოველდენ ყოველნი მკუდარნი დასაბამითგანნი. და კუალად შეიძრნენ სულნი
და კორცნი განახლებულნი უხრწნელად, და შეკრბენ [x] ყოველნი წინაშე მსა-
ჯულისა და საშუაელი დაეგოს და სატანჯველნი განეწახდენენ.)

ჩხმინეთ, ძმანო, თქუნული იგი დანიელ წინაწარმეტყუელისაჲ, ვითარმედ
იხილნა მან ჩუენებით, ვითარმედ: საყდარნი დაიდგენეს და ძუელი იგი დლე-
თაჲ დაჯდა, საყდარი მისი ვითარცა ალი ცეცხლისაჲ და ურმის-თუალნი
მისნი ცეცხლებრ მოტყინარენი. მდინარე ცეცხლისაჲ იძრვოდა წინაშე მი(ს)სა
და ათასნი ათასთანი დგეს წინაშე მი(ს)სა, და ბევრნი ბევრთანი ჰმსახურებდეს.
მას, და იგი ჯდა და განიკითხვიდა, წიგნ[ნი] მატიანისანი განეხუნეს წინაშე
მისსა. მე, დანიელ, ვიხილე ესე ყოველი და შემიძრწუნდა გული ჩემი და იცე-
ლა ხატი ჩემი, და შეწფოთნა გონებაჲ ჩემი შიშისაგან და ზარისა ¹⁾. დიდებაჲ
ღმერთსა მხოლოსა, იმანო ჩემნო! ²

(58) უკუეთუ წინაწარმეტყუელმან ჩუენებით ოდენ ძილსა შინა იხილა და
შეძრწუნდა ესრეთ, რომელი-იგი მერზე ყოფად არს ცხადად, რავდენ-მელა
ჩუენ, რომელნი მერზე წარვდგეთ დღესა მას საშუაელისასა წინაშე საყდართა
მათ განკითხვისათა, [123] ოდეს-იგი ვხედვიდეთ აღმოსავალისათა და დასავა-
ლისათა, ყოვლით კერძოვე ყოველნი გუამნი ადამიანნი შეკრბენ და შიშუელნი
წარმოდგენ, და ყოველთა ეკიდნენ საქმენი მათნი თითოეულად, რაჲცა ვის
ეკმნეს სოფელსა ამას! და ცოდვილთა ეტჯრთნენ ცოდვანი მათნი ბეჭთა მათთა
ზედა და დადგენ განქიქებულნი. და ჰხედვიდეთ მათ ცხადად ყოველნი დაბა-
დებულნი და კრებული ანგელოზთა და კაცთაჲ, და იგინი სირცხულითა ვერ
შემძლებელ იყვნენ თუალთა მათთა ახილვად ზეცად. მაშინ ენაჲ იგი მგმო-
ბართაჲ დაიწუებოდის და არავინ იყოს, რომელმანმცა განუგარილა მათ. მაშინ
კბილნი მწვალებელთანი შეიმუსრვოდინან ჳელითა ანგელოზთა მათ უწყალო-
თაჲთა. მაშინ თუალნი იგი მეწამწამეთანი აღმოწყებოდინან და არავინ იყოს
მწყალობელ მათდა, რამეთუ არავინ ერგებოდის და ვერცა ვინ შეეწეოდის
ჲამსა მას: არცა მამაჲ და არცა დედაჲ, არცა იმანი, გინა დანი, გინა ნათე-
სავნი, [x] გინა მეგობარნი. სადა იყოს ჲამსა მას დიდებულებაჲ იგი მეფეთაჲ,
სადა იყოს (59) ჳელმწიფებაჲ იგი მთავართაჲ და უმწჯავრობაჲ იგი მათი?!

1 გარდმოტოვიენ C; და მზეჲ A] მზე BC. 3 ზეთგან ვე^რ ქვედმდე B. 4 შეიძრნენ] შედ-
ერთნენ CB. 6 და სასჯელი C; განეწახდენენ] + ცოდვილთათვის B. 8 მან] ამან B; დაადგენეს C,
დაედგენეს B. 9 დაჯდეს C; ურმის-თუალნი] ეტლის-თუალნი B. 10 იძრვოდა] დიოდა B. 11 და
ათასნი ათასთანი დგეს წ^ე მისა]—A. 12 და წიგნნი მატიანეთანი C; განხმულ იყვნეს B. 13 მისსა]
მისა BC; ყოველი]—AB. 14 შეწფუნა C. 17 ესრეთ A, ესრეთ BC; რავდენლამე C.
18 მერმე] მე მერმე C. 21 თუთიფულად C. 22 ეკმნას C, უქმნიეს B; ეტჯრთნენ C. 23 განქი-
ქებულნი] + და სირცხვილუელნი B, + სირცხვილუელნი C; ხედვიდენ C. 25 იყვნენ C. 27 შედ-
მუსრვოდინან C. 28 აღმოწყებოდინან C. 29 მათა B; ვინ]—BC. 30 და არცა] არცა BC; ვერცა
ძმანი B. 31 აყოს C; დიდებულობაჲ C. 32 აყოს C; იგი]—C; უმწჯავრობაჲ C, უმწჯავრობაჲ B.
¹⁾ შდრ. დან. 7, 9-15.

- სადა უკუე იყენენ მაშინ მსაჯულნი იგი სიცრუვისანი, რომელნი ბჰობდეს შეპოვნებით და მიიღებდეს ქრთამსა და განამართლებდეს ცრუთა! სადა იყენენ მონანი გინა აზნაურნი! [სადა იყოს შუენიერებაჲ იგი ჭაბუკთაჲ! სადა იყოს მაშინ სიქადული საფასეთაჲ! სადა იყოს სიკეთე მარგალიტისა პატიოსნისაჲ!]
- სადა იყენენ ბეჰედნი და შუენიერებაჲ თითთაჲ! სადა იყენენ მაშინ სანოვაგენი და საშუებელნი გემოვანნი, და სასუმელნი ტკბილნი და საწადელნი, რომლითა იშუებდით სოფელსა შინა! სადა იყენენ მაშინ მჭედარნი და შუენიერებაჲ და სამკაული საჭედართა მათთაჲ! სადა იყოს მაშინ ტაძრები იგი და ეზოები შუენიერად შემკობილი! სადა იყო[ს] მაშინ ჯამლები იგი შუენიერად განგლესილები [124] და სამოსელნი მეფეთანი: ძოწეულნი და პორფირნი! სადა იყენენ მაშინ საცხებელნი იგი სურნელნი, გინა საკუმეველნი ცუდნი! სადა იყენენ მაშინ საფასენი იგი დამალულნი! [სადა იყენენ ცხედარნი ოქროქანდაკებულნი! სადა იყენენ მაშინ, რომელნი-იგი შეურაცხ-ჰყოფდეა გლახაკთა და აყუედრებდეს დავრდომილთა!]
- სადა იყენენ მაშინ, რომელნი-იგი ყოლადვე არა მიხედვიდეს და[ვ]რდომილთა და კირვეულთა! სადა იყენენ მაშინ, რომელთა-იგი ბრძენ ეგონეს თავნი თჳსნი! სადა იყენენ მაშინ, რომელთა-იგი აღასრულნეს დღენი ცხორებისა მათისანი სიცილითა და განცხრომითა და ლალობითა! სადა იყენენ მაშინ, რომელნი-იგი ეცინიედ (60) და ჰბასრობედ მოქმედთა კეთილისათა! სადა იყენენ, რომელნი-იგი უწყალოდ ჰგუემდეჲ სახლეულთა და მონათა თჳსთა! სადა იყენენ მაშინ, რომელთა-იგი ყოლადვე არა ეტსენა სიკუდილი და არცა საშჯელი! სადა იყენენ მაშინ, რომელნი-იგი იტყოდეს—ვჰამოთ და ვსუათ დღეს აქა, [უ] და მერმე, ვითა უნებს, იყოს, არა მეურვეების მუნისაჲ!
შეწუხებულთაგან მისთა, რამეთუ საქმენი ამის სოფლისანი მსგავს არიან ყრმათა მომღერალთა, და ვითარცა-იგი მათ ყვიან რომელიმე მათგანი მეფე და რომელიმე მთავარ და რომელიმე მკედარ, (12) და ვითარცა მიერ განიზნინიან, არღარა დაადგრის არცალა მეფე მეფედ და არცა მთავარი მთავრად და არცა მკედარი მკედრად. ეგრძეთვე დღესა მას არა თუ სახელთაებრ მიგებად არს კაცად-კაცადსა, არამედ საქმეთაებრ. ნუჟუჟე დიდებაჲ ამის სოფლისაჲ პატიოსან არს შენ თანა, რომელი ვითარცა ყუაველი თივისაჲ მყის დაცკვის, რამეთუ სიმდიდრე ვაებასა მოატყუებს მომგებელთა მისთა. რამეთუ წიგნი იტყვს: „ვაჲ თქუენდა, მდიდარნო“¹⁾, და კუალად: ვაჲ არს მათდა, რომელნი ესვენ

10 ძალსა თჳსსა და იქადიან მრავალთა მონაგებთა მათთა²⁾.

ქრისტიანე არა სადა მიიცვალეების მთავრობით შეურაცხებად და სიმდიდრით სიგლახაკედ, და არცა დიდებით—დამცირებად, არამედ დაადგრების სიმდიდრესა ზედა, ოდეს დაგლახაკენეს, და ამალღებდის, ოდეს თავი თჳსი დაიმდაბლოს, და ვერვინ შემძლებელ არს მისა ცვალებად მთავრობისაგან,

15 რომელი-იგი მთავარი არს არა ხოლო კაცთაჲ, არამედ მთავრობათაჲ და ჯელმწიფებათა, სოფლის მპყრობელთა ამის ჰხულისათა³⁾. და ნუჟუჟე სთქუა, ვითარმედ: კეთილ არს ქორწინებაჲ⁴⁾. და მეცა ვიტყვ, ვითარმედ: კეთილ არს, რამეთუ წერილ არს, ვითარმედ: „პატიოსან არს ქორწილი და საწოლი შეუგინებელ, ხოლო მეძაენი და მემრუშენი საჯნეს ღმერთმან“⁵⁾. ხოლო შენ ამ-

20 იერთიგან ვერღარა შემძლებელ ხარ აღსრულებად შჯულსა ქორწინებისასა, რამეთუ რომელი დაწინდებულ არს ზეცისა (13) მეუფისა მის სიძისა, უკუეთუ იგი შეურაცხ-ყოს და მოიგოს თავისა თჳსისა ცოლი, მან იმრუშა, დალაცათუ ბევრჯერ ითქუას ქორწილისა სიწმიდე. ესევეთარისა ქორწინებაჲ მრუშებაჲ არს და უმეტეს მრუშებისა არს, ვითარცა ღმერთი უდიდეს კაცთა არს. და

25 ნუ ვინ გაცთუნებნ ცუდითა სიტყვთა, ვითარმედ ღმერთსა არა სადა დაუყენებდეს ქორწილი. მეცა უწყი, ვითარმედ ღმერთი არა აყენებს ქორწინებად, არამედ დააყენებს მრუშებისაგან, რომელი შენ გეგულების ყოფად. უკუეთუ სადამე გული გითქუამს ქორწინებად, და, ვესავ ღმერთსა, არა იყოს. და ნუ გიკვრს, ვითარმედ ქორწინებაჲ უწყსოჲ მრუშებაჲ არს, ვინამთგან წინააღ-

30 მდგომ არს ღმრთისა. რამეთუ გუხილავს კაცის-კლავა სიმართლედ შერაცხად, რამეთუ მორჩილებითა ღმრთისაჲთა მოკლა. და წყალობაჲ რომელთამე უბოროტეს კაცის-კლვისა შეერაცხა, რამეთუ თჳნიერ ბრძანებისა ღმრთისა ყო, და ესრძეთვე კაცის-კლვაჲ ფინეეზს სიმართლედ შეერაცხა, რაჲამს-იგი განგუმირნა მეძაენი იგი. ხოლო საულ მეფისათჳს ვერ შემძლებელ იქმნა წმიდაჲ

1 არიედ B. 2 მეფედ B. 4 არცალა] არცა B. 5 ეგრეთვე A, ვერეთვე B. 6 კაცად-კაცადისა B. 8 მისთა] თჳსთა B. 9 მათდა] მათა B. 12 დამცირდების B. 13 და]—B; ოდეს თავი] და ოდეს თავი B. 14 და ვერვინ] ვერვინ B; ცვალებად] — B. 15 მთავრობათა B. 17 ვ'დ] — B. 21 მეუფისა]—B. 22 შეურაცხ-ყოს B; მოიგო B; მან იმრუშა] იმრუშევე B; დალათუ B. 23 ~ ითქუას ბევრჯერ B; ქორწინებისა B. 24 უმეტეს] უბოროტეს B. 27 მრუშობად B. 28 და ვესავ] ვესავ B. 29 გიკვრს]+ესე B; ვ'დ] რ' B; უწყსოჲ ქორწინებაჲ B. 33 ესრეთვე A, ესრეთვე B; ფინეზს B. 34 მეძაენი იგი] მეძაენი B.

1) ლუკა 6, 24. 2) შდრ. ფსალმ. 48, 6. 3) შდრ. ეფეს. 6, 12. 4) შდრ. ებრ. 13, 4.

5) ებრ. 13, 4.

სამოელ წინაწარმეტყუელი განრინებად პატივისაგან განბჭობილისა ღმრთისა მიერ მის ზედა, დალაკათუ მრავალი ღამის თევად ყო მისთუს ტირილით წინაშე ღმრთისა, არა შეიწირა მისი და არცა მოიქცა წყალობად მისა. და ესე ამისთუს განურის(94)ნნა, რაგამს არა მოკლა მან მეფე ამაღეკისაჲ, ვითარცა ებრძანა მისა ღმერთსა, ხოლო მან შეიწყალა იგი.

აწ უკუეთუ რომელთამე წყალობაჲ უბოროტეს კაცის-კლეისა შეერაცხა, ვინაჲთგან იყო იგი ურჩებითა ღმრთისაჲთა, რაჲ გიკურს ქორწინებაჲ უბოროტეს მრუშებისა, ოდეს იყოს იგი წინაღმდგომ ბრძანებასა ქრისტესა, და ვითარცა წინაჲსწარ ვთქუ, უკუეთუნცა უცებთა და უმეცართაგანი იყავ, არამცა ვიდრემე ეგოდენ საბრალის იყავ დატევებისათუს მვედრობისა. ხოლო აწ არ-
 10 ლარა გაქუს ჯელმწიფობაჲ თავსა შენსა ზედა, რამეთუ დაწერილ ხარ მვედრად ესევეთარისა მეუფისა საუკუნეთა შემოქმედისა. უკუეთუ დედაკაცსა, ქმრის ცოლსა, არა აქუს ჯელმწიფებაჲ ჯორცთა მისთა ზედა, არამედ ქმარსა მისსა, რაედენ უფროჲს რომელნი შეყოფილ არიან ქრისტესა სიწმიდითა, არლარა აქუს მათ ჯელმწიფებაჲ ჯორცთა მათთა ზედა; რომელი შენ შეურაცხ-
 15 გიყოფიეს, აწ იგი ყოფად არს მსაჯული ღლესა მას.

აწ უკუე გულისჲჲმ-ყავ ესე გონებასა შენსა და მოიგსენე მდინარე იგი ცეცხლისაჲ, რამეთუ ღლესა მას მდინარე ცეცხლისაჲ დიოდის წინაშე მისსა¹⁾. და რომელნი მაშინ შთაისხნენ მდინარესა მას, ჯსნაჲ მათი არლარა არს უკუნისამდე ტანჯვისაგან. ხოლო გემონი ესე ბოროტნი ამის სოფლისანი არა
 20 უმტკიცეს არიან სიზმართა და აჩრდილისა, რამეთუ პირველ ცოდვისა აღს(95)-რულებისა დაშრტიან ნებანი გემოთანი, ხოლო პატიენი, რომელნი მის მიერ დაესაჯნიან, დალევაჲ მათი არლარა არს. და რამეთუ გემოდ მცირედ ჟამ არს, ხოლო მწუხარებაჲ საუკუნე არს. და რაჲ უკუე დადგრების სოფლისა საქმეთაგანი, სიმდიდრე ოდესმე მიმწუხარამდე არა დარჩის მომგებელსა მისსა, გინა
 25 დიდებაჲ. არამედ ისმინე, რასა იტყუხ ერთი მართალთაგანი, ვითარმედ: „ცხოვრებაჲ ჩემი უმოსწრაფეს მსრბოლისა არს“²⁾. და ვითარცა იგინი პირველ დაცემისა ივლტეოდ, ეგრეცა ჩუენდა ჯერ-არს კრძალვაჲ. არარაჲ არს უპატიოსნეს სულისა და ესე უგუნურთაცა საცნაურ არს და ეგრეთ ვინმე თქუა ერთმან ფილოსოფოსმან მსოფლიომან, ვითარმედ: არარაჲ უდიდეს არს
 30 სულისა.

4 მეფე] + იგი B. 5 მისა] მისდა B. 6 რომელთამე წყალობაჲ] წყალობისათუს ესრეთ ეყო რომელთამე B. 7 თუ ქორწინებაჲ B. 8 მრუშებისა] + არს B; ქსა] ღმრთისასა B. 11 ჯელმწიფებაჲ B; დაწერილ ხარ] დაიწერე B. 13 მისთა] თუსთა B. 14 არაჲ] არიედ B. 15 მათ]—B; მათთა] თუსთა B; აწ რომელი B; რომელი] + ეგე B. 16 აწ] არს B; ყოფად არს]—B; მსაჯული] მსაჯულ შენდა B; მას] + განკითხვისასა B. 18 რ' ღლესა მას ... წე მისსა] რ' დიოდის წე მისა ღლესა მას საუკუნისასა B. 19 შთაისხნენ] შთათხინენ B. 20 ტანჯვისა მისგან B. 21 აჩრდილსა B. 23 დალევნაჲ B; და რ'] რ' B. 24-25 საქმეთაგან B. 25 მწუხარამდე B; დაშთის B; მისსა] თუსსა B. 26 არამედ]— B. 29 და ესე] ესე B. 30 ერთმან] + ვინმე B; ფილოსოფოსთაგანნან B; უდიდეს] დიდ არს B.

1) შდრ. დან. 7, 10. 2) იობ 9, 25.

მე უწყვი, ვითარმედ არა ფრიად მოუძღურებულ ხარ ბრძოლასა სულთა უკეთურთასა და მდგომარე ხარ შენ შორის ს[ა]ქუმისა გულის-თქუმათასა, არამედ უკუეთუ ჰრქუა მტერსა, ვითარმედ: მე გემოთა შენთა არა ვჰმონებ და ძირსა ყოველთა სიბოროტეთა შენთასა არა თაყუანის-ვსცემ და აღიხილნე თუალნი შენნი ზეცად, მუნთქუესვე მოაკლდეს საჯუმისა მაგას ცეცხლისასა შენგან და დაწუნეს იგინი, რომელთა შთაგავდეს შენ მას შინა და მოივილინოს შენდა საჯუმისა მაგას ღრუბელი ცუარითა სავსე და ნიაფი მყუდროჲ, რაჲთა არღარა მოგეახლოს ცეცხლი გულის-თქუმათაჲ (96) გონებასა შენსა.

შენ ხოლო თავით შენით ნუ აღიგზნებ საჯუმისა მას დასაწუველად სულისა შენისა, რამეთუ ქალაქნი შეზღუდვილნი ვერ დაამჯუნინან მარჯუელ მბრძოლთა ხოლო, გარეშეთა ღონის ძიებითა მათითა, არამედ რაჲამს გარდაიქცის ერთი ანუ ორი შინაგან მკვდრი ქალაქისაჲ, უშრომელად განსციან ქალაქი იგი მტერთა. ეგრეთვე შენ უკუეთუ არა განგცენ მტერთა შინაგანთა გულის-სიტყუათა შენთა, ვერ შემძლებელ არს ძლევედ შენდა მტერი, დალაცათუ მრავალნი ღონის ძიებანი მოიზაკუნეს შენთჲს. გარეშეთ გქონან შენ მადლითა ღმრთისაჲთა მრავალნი ძლიერნი, რომელთა ელმის საქმე შენი და გასწავებენ სულისა შენისა ცხორებასა, რამეთუ სიყუარულით ეწყალის სული შენი და მოსწრაფე არიან ჰსნასა მისსა პირისაგან მტერისა, რომელ არს ერთი მათგანი წმიდაჲ პალადიოს, მონაჲ ქრისტესი, სარწმუნოჲ, და კუალად სხუაჲ წმიდაჲ ფლორანტიოს, და ბრძენი ბრძენთა ქრისტესთაჲ წმიდაჲ პორფირიოს და სხუანი მრავალნი. ამათ სტკივის საქმე შენი, და დღითი-დღედ არა დასცხრებანი ვედრებად ღმრთისა ცხორებისა შენისათჲს; და მიმთხუეულ იყვნეს თხოასა მათსა, უკუეთუმცა შენ გენება მცირედ მოზიდვაჲ თავისა შენისაჲ ჯელთაგან მტე(97)რთა შენთაჲ: ა, ვითარ არა იყოს ესე აუგ და დუხპირ, უკუეთუ სხუათა არღა გაუწირავს სასოებაჲ ცხორებისა შენისაჲ, არამედ დღითი-დღედ ილოცვენ და სასოებაჲ აქუსლა უკუე მოგებად და შებრძენებად ასოჲ იგი მოკუეთილი ასოთაჲვე თჲსთა, და შენ არა გენებაჲ აღმართებად დაცემულობისაგან შენისა, არამედ დადგრომილ ხარ მას ზედა, ვითარცა კაცი, რომელი ეტყუნ მტერსა თჲსსა: მოკალ და ნუ სწყალობ?! წერილი იტყუს: „ნუუკუე რომელი დაეცის, არა-მე აღდგისა“ 1)? და შენ წინა-აღუდგები წიგნთა, რამეთუ უკუეთუ დაცემისა შენისათჲს წარგიკუეთიეს სასოებაჲ შენი, ესრე იტყუს: რომელი დაეცეს, ვერღარა ნუ შესაძლებელ არსა აღდგომაჲ მისი?

5 ზეცად|+მიმართ B; და მუნთქუესვე B; საჯუმისა მისგან ცეცხლისა B. 7 საჯუმისა მაგას|—B. 8 მიგეახლოს B; ცეცხლი| საჯუმისა B; გულის-თქუმისა B; გონებასა შენსა| — B. 9 აღაგზნებ B. 10 მოზღუდვილნი B; დაამჯუნინან| დარღვინიან B. 11 გარეშეთა B; მათითთა A. 12 ანუ| გინა B. 13 ეგრეთვე A, ეგრეთვე B. 14 ძლევედი|—A. 17 ეწყალის| იწყლვის B; სული| გული B; შენი|+ და სული B. 18 არიან|არიედ B. 20 ფლორანტიოს B; ქსთაჲ|—B. 22 დასცხრებოდ B; ცხორებისათჲს B; შენისათჲს| სულისა შენისა B. 23 თხოვასა B; უკუეთუ B; გენება| გინდეს B. 24 დუხპირ| შურაცხება B. 27 ასოსაჲ B. 27-28 დაცემულებისაგან B. 29 ეტყუედ B. 30 დაეცეს B; აღდგესა B. 32 ვერღარა ნუ შესაძლებელ| ნურღარა სადა შემძლებელ B; აღდგომად B.

1) შდრ. იერემ. 8, 4

გვედრები, საყუარელო ჩემო თევდორე, რაათა არა უმშჯავროდ
 ჰმძლავრო სულსა შენსა ესევეთარი მძლავრობად და შეაწუხნე სულნი ჩუენნი
 ესევეთართა მწუხარებითა და ნუ განიწირავ თავსა მოსიკუდიდ სულითა საუ-
 კუნოდ. რამეთუ არლა მიწევნულ ხარ შენ ოცისა წლისა ჟამთა ჯერეთის. და-
 ლაცათუმცა ცხორებულ იყავ. მრავალთა ჟამთა და ნებასა შინა ქრისტესსა
 აღგესრულნეს დღენი შენნი და მოხუცებულ იყავ სიმართლით და ჟამსა ოდენ
 სიბერისა და სიკუდილისასა დაეცი შენ ამით დაცემითა, მაშინცა არა ჯერ-
 იყო შენდა წარკუე(მ8)თაჲ სასოებისაჲ წყალობისაჲგან ღმრთისა. არამედ გუ-
 ლისჴმა-ყავ ავაზაკისაჲ მის, რომელმან-იგი აღიარა ჯუარსა ზედა და ვითარ-იგი
 მუშაკნი მეთათრთმეტისა ჟამისანი სასყიდელსა დღისა სრულისასა ღირს იქმნეს
 მოღებად. და ვითარცა-იგი არა ჯერ არს მათიცა, რომელნი მოხუცებულო-
 ბასა დაეცნენ, სასოებისა წარკუეთაჲ, უკუეთუ უდებ იქმნენ. ეგრძეთე არა
 ჯერ-არს კაცისა განშორებაჲ თავისა თვისსაჲ ესევეთარისა სასოებისაგან და
 თქუმაღ: განვიხარო ჟამ რავედენმე საშუებელთაგან ამის სოფლისათა და ვი-
 ჴმინე გემონი მისნი ჟამსა სიჴაბუკისა ჩემისასა და ჟამსა სიბერისა და უძლუ-
 რებისა ჩემისასა მცირედ შრომაჲ თავს ვიდვა და სრული სასყიდელი მო-
 ვილო.

არა გავსოვსა, რაჟამს-იგი განგაკრძალეზბდი ცთომისაგან და შენ მომიგე
 მე: რაჲ უკუე ვყო, უკუეთუ მცირედისა ჟამისა შემდგომად განვიდე საწუთ-
 როვსაგან და რომელი შენდობაჲ ეპოო მისგან, რომელმან-იგი თქუა: „ნუ
 ჰყოვნი მოქცევად უფლისა შენისა და ნუცა სდროებ დღითი-დღედ“¹⁾. აწ
 უკუე მოიყვანე გონებაჲ შენი გულადვე შენდა და შეკარ მპარავი, რამეთუ
 უფალმან ჩუენმან იესუ ქრისტემან ესრე სახელ-სდვა დღესა მას განსლვისა
 ჩუენისასა ამიერ სოფლით, რამეთუ უგრძულად მომავალ არს ჩუენ ზედა.
 გან-ლა-იგონნეთ საქმენი სოფლისანი საკუთარნი და საერთადონი! (99) შიში
 მთავართაჲ და შური მოქალაქეთაჲ, რომელი ოდეს მიიწიის თავსა ბოროტთა
 განსაცდელთასა და შრომაჲ და ჴირი და შეპოვნებაჲ მსგავსი მონათაჲ, რო-
 მელსა მონანიცა პატიოსანთანი არავე დაჯერებულ არიედ. და მოიძულე ესე
 ყოველი ჴირი და შრომაჲ სოფლისა ამის ნაკლულისა და მყის წარმავალისაჲ.
 აწ რაემე იყოს უმწარეს ამისა?! რამეთუ მრავალნი დაშურეს ამას სოფელსა
 მოსწარათედ, ხარკებით და წარმოაცალიერნეს დღენი ცხორებისა მათისანი

2 ჰმძლავრო B; მძლავრებაჲ B; არა შეაწუხნე B. 3 განსწირავ B; თავსა] + შენსა B;
 სულისა B] + შენისათს B. 4 ჯერეთის]—B. 7 სიბერისასა B; და სიკუდილისასა]—B; მაშინ-
 მცა B. 10 მოშაკნი A. 11 მათიცა] + თქუმაღ B. 12 დაეცნეს B; უკუეთუ უდებ იქმნენ]—B; ეგ-
 რეთე A]—B. 13 კაცისაგან B] + და არცა B; ~ ესევეთარისა სასოებისაგან თავისა თვისსაჲ B;
 და თქუმაღ] დანთქუმაღ ვ'ღ B. 16 მცირედი B. 18 არა] + უკუე B. 21 ყოვნი B. 25 გან-ლა-
 იგონნეთ] გან-ლა-იცოდენ B. 26 ოდესმე B; მოიწიის B; თავსა] + ჴ'ა B; ბოროტი განსაცდელი B.
 28 და]—B; ესე ვ'ი] ესევეთარი B. 29 მყისა შ'ა B. 30 აწ] — B; უკუე იყოს B; უმწარეს] უმწუნა-
 რეს B. 31 ხარკებით] შრომითა დიდითა B; წარმოაცალიერნეს] დაასრულნეს B.

1) ზირ. 5, 8.

შრომით და ჭირით, და ოდესღა ჰგონებდეს სასყიდლის მოგებასა, ცუდნი განვიდეს და ცალიერნი დაშთეს მისგან.

უკუეთუ რომელთა-იგი მრავალნი განსაცდელნი თავს-ისხნიან და მრავალგზის მძლედ გამოჩნდიან ბრძოლასა შინა მტერთა ქუეყანისა მეფისათა, ძნიად სამე შეუძლიან კადნიერებით ხილვად პირი მეფისაჲ. ვითარ უკუე შემძლებელ არს კაცი ხილვად პირსა ზეცისა მეუფისასა, რომელი ღლეთა ცხორებისა მისისათა მტერთა შერთულ იყო მისთა და მოყუარეთა მისთა ჰბრძოდა მარადის. გნებაგსა და გიჟუნენე ურვანი განუქარვებელნი და ზრუნვად სამარადისოჲ, რომელი იქმნებინ რომელთამე სახლთა შინა დედაკაცისა გამო და შვილთა და სახლეულთა, რამეთუ უკუეთუ (100) ბერწ არნ და არა შვის დედაკაცმან შვილი, მწუხარე არიედ ყოველნი, და უკუეთუ შვის, ჰფრფინვედ მას; რამეთუ რომელმან არა შვის, იტყუედ, ვითარმედ ცუდად იქორწინნეს, და რომელმან შვის, დაემონის უფროჲს მონისა. უკუეთუ დასნეულდის ყრმაჲ იგი, შიშითა განიკაფნიან მშობელნი მისნი, და უკუეთუ მოკუდის უჟამოდ, მწუხარებითა განილინიან. და ყოველთა ღლეთა ცხორებისა მისისათა მრავალფერნი საურავნი განუახლდებიედ ღლითი-ღლედ მისთჲს.

უკუეთუ ვინმე შეირთის დედაკაცი გლახაკი ცოლად, შეწუნნის; და უკუეთუ მდიდართაგანი მოიყვანის, შეაწუნხის მან. რამეთუ მდიდარმან მცველი განაჩინის მის ზედა და მარადის სიტყუთა ჰყუედრინ და ჰგუემნ, ვითარცა კუერთხითა, და ეტყუნ: ჩემგან მიკურს, რომელ შენ სახესა აღქატსა ცოლ-ვიყავ; და მარადის განპლევნ ყუედრებითა სულსა მისსა, და აზნაური იგი მონა ცოლისა არნ.

და კუალად მოიქსენენ მრავალ-ფერნი იგი ურვანი განუქარვებელნი სახლეულთა სიბოროტისანი ღლე და ღამე. და რომელსა ესევეთარი ცხორებაჲ მოუგვიეს სოფელსა ამას, საყუარელო თევდორე, დანთქმულ არს მარადის, სული მისი დამონებულა ესევეთართა განსაცდელთა და არნ ცხორებაჲ მისი სხუსათჲს და არა თუ მისთჲს. (101) და ამას, რომელსა გითხრობ და მოგავსენებ, საყუარელო თევდორე, მე უწყი, ვითარმედ ამას ყოველსა ზედა გონებაჲ შენი მეწამების, რამეთუ იცი, რავდენსა სიხარულსა და მხიარულებასა შინა იყავ და უზრუნველ ამის ყოვლისაგან მცირედთა მათ ღლეთა, ოდეს-იგი შეგერაცხა თავი შენი რიცხუსა თანა ძმათა კრებულისათა. რამეთუ არავინ არს თავისუფალ თვნიერ უქორწინებელნი და ცხოველ არს ქრისტესა, იგი ასწრობილ არს ყოველთა განსაცდელთა სოფლისათა.

1 შრომით] ზრუნვითა B; ჭირითა B. 3 თავს-ისხნეს B. 4 გამოჩნდეს B. 6 ღლეთა ცხორებისა მისისათა]—B. 7 მტერთა]+მისთა B; შერთულ იყო მისთა] მისთა.შერთოს B. 9 რ'ნი იქმნებინ]—B. 10 რ' — B. 11 ჰფრფინვედ] ჰფუფუნებიედ B. 12 იტყუედ A; ვიქორწინე B. 13 მონისა B. 16 განუახლდებიედ] განუმრავლდიან B. 18 შეწუნნის] + მისთჲს B; მან] + იგი B. 20 აღქატსა] შეურაცხსა B; ცოლ-ვიყავ B. 21 ~ სულსა მისსა ყუედრებითა B. 23 და]—B. 24 სიბოროტენი B. 25 ~ სული მისი მარადის B. 26 დამონებულ არს B. 28 ზა]—B; მეწამების] მოწამე არს B. 30 მცირეთა B. 31 კრებულისასა B. 32 აღსწრობილ B.

უკუეთუ კაცნან თვთ არა იენოს სულსა თვსსა, სხუად ვერ შემძლებელ არს ენებად მისა. უკუეთუ დაჰკირდენ მონაგებნი, არა შეწუხნეს: უწყინ, რამეთუ არარაად შემოვიღეთ სოფელსა ამას და ვერცა რას შემძლებელ ვართ მიერ განღებად¹⁾. არა ჰყუარობნ გონებითა დიდებულთა და პატივთა, რამეთუ უწყინ, ვითარმედ განგებად ჩუენი ზეცისად არს. უკუეთუ ვინმე შეურაცხ-ყვის, არა შეწუხნის. და უკუეთუ ავნის ვინ, არა შურსა ეძიებნ, რამეთუ ქრისტიანისად ერთი არს განსაცდელი და მწუხარებად, უკუეთუ იგი წინა-აღუდგეს ნებასა ღმრთისასა. ხოლო თვნიერ ამისსა ყოველი, რომელი შეემთხვოს მსოფლიოდ განსაცდელი და შურება, არა არს იგი მისა შურვა, რამეთუ საქმისაგანც რომლისად ყოველთა კაცთა ეშინის, იგი ჰხედავს მას შტკბი(102)ლეს ყოველისა სიტკბობისა, რომელ არს განსლვად ამიერ სოფლით. და მსგავს არს იგი, ვითარცა ვინ აღვიდის მთასა ზედა პირსა ზღვასა და დაჯდის დაყუდებულად და უშიშად. და ხედავნ იგი კაცთა ნავითა მავალთა ზღუასა შინა და რომელნიმე მათგანნი დაინთქმიედ ღელვათა სიმცაფრითა; და რომელთაჲმე შეიმუსრვინ კლდისა შემთხუევითა; და რომელნიმე მოსწრაფე არიედ წარსლვად ქუეყანად თვსა და ქარი კუალად აქცევნ და აბრკოლებნ მათ, ვითარცა შეკრულთა; და შრავალნი დანთქმულ არიედ; და რომელნიმე მოკიდებულ არიედ ნამუსრევსა რასმე ნავისასა და ზე მოუტუმანედ წყალთა და ეგრძთ იგუემებიედ მათ შინა; და რომელნიმე ცურვედ ზედა ზღუასა მრავლითა შრომითა და ეძიებედ განრინებასა; და რომელთამე მოშობილთა გუამნი მიმოჰქონედ ღელვათა ზღვსათა. და მრავალთა განსაცდელთა ჰხედავენ მითთ გარდამო და იგი უშიშ არს.

ეგრძთვე რომელმან განუკუთნა თავი თვისი მვედრად უფლისა, მან იქსნა თავი თვისი შფოთთაგან ამის სოფლისათა და ღელვათა მისთაგან მძნვარეთა, და დაჯდა იგი აღვილსა მალალსა (103) და უშიშსა ყოველისაგან სავენებელისა. და რაჲმე იყოს, ჰთვედორე, უფროსს კრძალული აღვილი, ვითარცა რომელსამე არა აქუნ საურავი ყოლადვე თვნიერ ერთისა ზრუნვისა, რაჲთა დააჯეროს უფალი თვისი?

იხილენა განსაცდელთა შემთხუევანი, რომელნი ვლენან ზღუასა მას ზედა? ამისთვს გვედრებნი, რაჲთა ევლტოდი ამით ესევეითართა ღელვათა ბოროტთა და დაჯდედ შენ აღვილსა კრძალულსა და უშიშსა ვნებათაგან. უწყოდე ქეშმარიტად, ჰთვედორე, ვითარმედ აღდგომად და განკითხვად ქეშმარიტ არს და ვითარმედ შემდგომად განსლვისა ჩუენისა ამიერ სოფლით მივიწვევით განკითხვასა საშინელსა. რამეთუ ვერ შესაძლებელ არს ჩუენ ყოველთაჲ, ვითარმეცა

1 თვთ]—B; ვერ] ვერვინ B. 2 უწყოდენ B. 4 არა] ნუცა B; გონებითა დიდებულთა] დიდებათა B; რ' უწყინ] უწყოდეთ რ' B. 5 ვ'დ]—B; განგებად] გონებად B. 6 ~ ვინმე ავნის B. 9 ამისსა] მისა B; მისა შურვა] შურვა მისთვს B. 12 დაჯდის] + იგი B. 13 ხედავენ B. 15 მოწრაფე B. 16 და ქარი კუალად აქცევნ]—B. 18 მოუტუმნიედ B + იგი B; ეგრეთთ A, ეგრეთ B; 19 სხუანი რომელნიმე ცურვიედ B; ეძიებნ B. 20 მიმოჰქონიედ B. 21 და მრავალთა] ესე რ'ლთა B; ხედავენ B] + იგი B. 23 ეგრეთთვე A, ეგრეთთვე B; განუკუთნა B. 24 ამის]—B. 26 ვა]—B. 30 ივლტოდი B; ამით]—B; ღელვათაგან B; ბოროტთა]—B. 32 ქეშმარიტ] ყოფად B; ვ'დ]—B. 33 მოვიწვევით B.

1) შდრ. I ტიმ. 6, 7.

არა წარვდგით საშჯელსა მას ქრისტესსა¹⁾. ხოლო ესე სოფელი უმედგრეს: აჩრდილისა არს და საესე არს იგი შიშითა და განსაცდელითა მრავლითა და-კირითა. აწ უკუე ნუ დაიჭირებებ ამას წარმავალსა და მას წარუვალსა, და წენ შემძლებელ ხარ ორთავე შეძინებად, უკუეთუ გენებოს იგი.

- 3 პავლე მოციქული იტყვს, ვითარმედ: რომელნი ცხონდებიან უქორწინებულად ქრისტესთს, ამას სოფელსაცა შეიძინენ იგინი; რაჟამს იგი ასწავებს და ეტყვს, ვითარმედ: „მე წყალობისა თქუენისათს გეტყვს სარგებელსა სუ[ლ]თა თქუენთასა“²⁾. ჰგონება, ვითარმედ რომელნი საქმესა (104) ღმრთისასა ხოლო ზრუნვენ, იგინი ამას სოფელსა უფროსს ქორწინებულთასა არიან? ვერვინ
- 10 კაცთაგანი შემძლებელ არს სინანულად შემდგომად განსლვისა მისისა აზიერ სოფლით, რამეთუ არასადა ვინ მოლუაწეთაგანი შემდგომად წარსლვისა ადგილისა მისგან სალუაწოვსა და განბნევისა ერისა შემძლებელ არს ლუწოლად მერმე.

- 15 აწ გულისკმა-ყავ ესე და შემუსრე მახული იგი მტერისაჲ ბოროტი, რომ-ლითა მოსრავს მრავალთა, რომელ არს წარკუეთაჲ სასოებისაჲ, რომლითა აგნებს დაცემულთა და განწირულთა სინანულითაგან. და ესე არს საკურველი მტერისაჲ და ვერ შემძლებელ არს დაცემულთა მოკლვად თზნიერ ამისა. და უკუეთუ ჩუენ გვინდეს, მადლითა ღმრთისაჲთა შემძლებელ ვართ ჯნად. მე უწყვი. რამეთუ ფრიად განვამრავლე ებისტოლე ესე, არამედ შემინდვე, რამეთუ
- 20 ვერ დაუთმე ამას შეცთომილებასა. არამედ ვიძილუე სიყუარულითა და მწუხარებითა მოწერად ამას შენდა, დაღაცათუ მრავალნი მაყენებდეს ამას მიწერად შენდა და მეტყოდეს: დასცხერ მისგან, რომელი არღარა სარგებელ არს და ნუ სთესავ კლდესა ზედა უნაყოფოსა. ხოლო მე არავისი მათგანისაჲ შევიწყნარე, არამედ ვარქუ მათ: ვესავ ღმერთსა, [ვითარმედ] წიგნი ესე სარგებელ იყოს, უფალსა თუ უნდეს, და უკუეთუ არა, ჩუენ არ[ლა](105)რა ბრალეულ ვიყვნეთ უზრუნველობისათს შენისა და არა ვიპოვნეთ უწყალო უფროსს მენავეთა, რომელთა იხილიან სხუაჲ ნაეი, რომელი არა იციედ განტეხილად და დანთქმად მიახლებულად, მუნთქუესვე აფრად გარდამოაგდიან და კავნი შთაყარნიან და ნაეი დაადგინიან და მცირესა მას ნავსა სამსახურებელსა
- 25 შესხდიან და მწრაფლ წარვიდიან შეწვენად მათდა. და უკუეთუ მათ მძიმე და ძნელ უჩნ წარწყმედაჲ მათი, დაღაცათუ უმეცარ არიედ მათდა და ისწრაფიან შეწვენად მათდა ყოვლითა ძალითა მათითა, და არავინ აბრალის შეწვენად მათი.

4 უკუეთუ გენებოს იგი] თუ შენ გინდეს B. 5 ცხონდებიედ B. 6 შეიძინენ B. 7 იტყვს B. მე]—B. 9 ზრუნენ] ზრახვენ B; არიედ B. 12 ლუწოლად A. 14 ~ გულისკმა-ყავ აწ ესე B. 16 და ესე] ესე B; საკურველი] + ძლიერი B. 19 განვამრავლე] განვავარძვე B. 21 ~ შენდა ამას B. 21-22 დაღაცათუ ... მიწერად შენდა]—A. 22 მეტყვედ B; რომლისაჲ B; არღარად B. 25 ~ ჩუენ არა ბრალეულ ვიქმნეთ B. 28 მუნთქუესვე] მაშინ B; გარდაადგდიან B. 30 მათდა] მათა B. 31 მათდა] მათგან B; ისწრაფიედ B. 32 მათდა] მათა B; და არავინ] არავინ A.

1) შდრ. II კორ. 5, 10. 2) I კორ. 7, 34-35.

ეგრძეთვე მე ვყავ რომელი ჯერ-იყო და ვესავე ღმერთსა, შენცა ჰყო, რომელი ჯერ-არს. და კუალად გიხილო შერთულად ტარიგთა მათ ქრისტესთა დაცვული უვნებელად მეოხებითა ყოველთა წმიდათა მისთაჲთა. საყუარელო, უკუეთუ გონებასა შენსა არსლა სიყუარული ჩუენი და არა განგიტხევიეს .მისგან, მო-უკუე-გვწერე ჩუენ პასუხი წიგნისაჲ ამის ჩუენისაჲ და ახარე სულთა ჩუენთა ღმრთისა მიერ, რომლისაჲ არს დიდებაჲ უკუენითი უკუენისამდე, ამენ.

ეპისტოლე წმიდისა იოვანე ოპროკვიძისაჲ თეოდორესა მიმართ, რომელმან მონაჯონებაჲ დაუბრუნა და ცოლი შეიკითო, რომელი იყო დის წული იონან ჰრომთა პაპისაჲ.

იტყვს უფალი პირითა ებეკიელ წინაწარმეტყუელისაჲთა: უკუეთუ მოიქცეს მართალი სიმართლისაგან თვისისა და ქმნეს ცოდვაჲ წინაშე ჩემსა¹⁾, არაარა მოვიტყენნე ყოველნი სიმართლენი მისნი, რომელნი ექმნენ, თქუა უფალმან. და კუალად წმიდაჲ მოციქული პავლე იტყვს: უკუეთუ ცოდოს კაცმან შემდგომად შეწყნარებისა სულისა წმიდისა, რომელ არს ცნობაჲ ქეშმარიტებისაჲ, არა შეიწირვის შესაწირავი ცოდვილისაჲ²⁾, ვიდრემდის არა შეინანოს. და ესე მათ თქუეს, რომელთა წინაწარმეტყუელებაჲ აქუნდა მწუხარებითა და ტკივილით კაცთა ცოდვილთათჳს.

ხოლო მე, შეილო ჩემო, ნეწამების დამბადებელი ყოველთა დაბადებულთაჲ, იესუ ქრისტე, ღმერთი ყოველთაჲ, ვითარმედ: შემოსა მე ჰამბავმან შენმან მწუხარებაჲ ვითარცა სამოსელი და მომლარდნა ტკივილი ვითარცა საბლარდნელი. და შემეძრწუნნა ყოველნი ძუალნი ჩემნი სასოწარკუეთილობამან შენმან და თუალთა ჩემთა მრავალნი ცრემლნი დაუთხევიან შენთჳს. იტყვს წერილი, ვითარმედ: „ნაშობმან ბრძენმან ახარის მშობელთა თჳსთა“³⁾. ხოლო შენ, შეილო ჩემო, ნაცვალად სიხარულისა შემოსე მწუხარებაჲ და ნაცვალად მხიარულებისა შემარტყ მე ქუევილი და ნაცვალად ნუგეშინის-ცემისა (107)— სასოწარკუეთილებაჲ.

ვაჲმე, შეილო ჩემო, ამის შემთხევისათჳს ბოროტისა და მტკივანისა, შეილო ჩემო, რომელმან ღმერთი უვარ-ყოს, რომელი წამალი იპოების საკურნებელად მისა გინა წყლულებასა მისსა? უკუეთუ კაცმან კაცსა შესცოდის, ღმრთისაგან ითხოვენ შენდობასა, ხოლო უკუეთუ ღმერთსა შესცოდოს, ვისგან ითხოოს მოტევებაჲ ცოდვათა თჳსთაჲ? არა უკუე მოიტყენება, შეილო ჩემო, ჟამსა მას საშინელსა და წმიდასა, რაგამს-იგი მდგომარე იყავ წინაშე წმიდასა

1 ეგრეთვე A, ეგრეთვე B. 2 დაცული B. 3 საყუარელო + თეოდორე B. 5 ჩუენი—B. 6 რომლისა B. 7 თეოდორეს B. 9 პაპისაჲ + თავი ი"ზ A, კ"ნ, ამინ B. 12 ექმნენ] ქმნნა B; თქუა ო"ნ]—B; და]—B. 13 ~ პავლე მოციქული B. 17 ცოდვისათჳს B. 20 მობლარდნა B. 21 და შემეძრწუნნა B; სასოწარკუეთილებამან B. 24 შემოსე] + მე B. 28 წამალი საკურნებელი იოვოს წყლულებისა მისისათჳს B. 30 ითხოვოს B; შესცოდის B. 31 ითხოვოს B; მოტევებაჲ] შენდობაჲ B; თჳსთაჲ] მისთაჲ B. 32 წმიდასა] + ჟამსა მას B; რე"ს] რომელსა B.

1) შდრ. ებეკ. 3, 20. 2) შდრ. ებრ. 10, 26. 3) იკავნი 10, 1.

საკურთხეველსა ზორის განწყობილსა წმიდასა ძმათა კრებულისასა შიშით და ლმობიერად მდგომარეთა და შემოსილთა წმიდითა მით სქემითა (სახითა) ანგელოზთადათა, რომელიცა განჰქინეს წინაშე შენსა. და განგძარცუეს შენგან სამოსელი იგი მსოფლიომ, საერისკაცომ, რაემს-იგი აღთქუმით აღუთქუ ღმერთსა და სიტყუაჲ მიეც, რაჲთა ჰმსახულებდე მას დღეთა ცხორებისა შენისათა და მარადის სდგე წინაშე მისსა შიშით, მღვდარედ ლოცვასა შინა ცრემლით, ლმობიერითა გულითა მჭურვალედ და ღოსწრაფედ ნებითა შენითა ვითარცა მკედარი, რომელმან დაიწერის თავი თვისი დივანსა შინა მეფისასა და მიერითგან წამო[ი]ღებნ იგი განწყესებულსა როქიკსა ერის კაცთასა, ვერლა

20 შემძლებელ არნ იგი თავით(108) თვისით განთავისუფლებად მსახურებისა მისგან, არამედ მარადის მდგომარე არნ იგი წინაშე მეფისა შექურვილი საქურველითა და განმზადებული ბრძოლად მტერთა მეფისათა თავ-გაწირვით.

ხოლო შენ, შვილო ჩემო, ნეფსით თვისით განუკუთნე თავი შენი მეუფესა მას ზეცისასა და შეერთე მსახურებად მისა გუნდსა ანგელოზთასა და მათ თანა

25 მდგომარე უგალობდი მას კმითა მით ანგელოზებრითა დაუცხრომელად დღე და ღამე, მდგომარე მათ თანა სიხარულით მსახურებასა ღმრთისასა, რომლისაგანცა შურით გამოგაგდო მტერმან მან ნათესავისა ჩუენისა. აწ უკუე რომელსა ვსტიროდი საქმეთა შენთაგანსა, ანუ რომლისათუ სულთ-ვითქუმიდე: ცრუებებისათუ შენისა აღთქუმასა მას ღმრთისასა, ანუ განშორებისათუ შენისა

30 გუნდსა მას ანგელოზთასა არა დადგრომად ქეშმარიტებასა ზედა, ანუ განძარცუვასა შენგან წმიდისა მის და შუენიერისა სქემისასა? დატევებასა შენსა სიწმიდისა და სათნოებისასა, ანუ განშორებასა შენსა ღმრთისაგან? აბეზრობასა შენსა ძმათა კრებულისაგან, ანუ განყენებასა შენსა მამისაგან სახიერისა?

ვამე, შვილო ჩემო, ვითარლა მარხვისა მის წილ წმიდისა და უბოწოჲსა

35 კუალად იქეც (109) უქამოდ ქამასა ნაყროვნებით და უძღებებით განჯრწინადთა მათ და მავნებელთა სანოაგეთასა და სიხარბით სუმასა სასუმელთა მათ საცთურებისათა და ნაცვალად საყოფლისა მის მყუდროჲსა და დაწყნარებულისა მიიქეც სამკვდრებელთა მათ ამბოხთანთა და ურიდად განსაცხრომელთა და წარსაწყმედელთა, და ნაცვალად სარგებელისა და განსუენებისა მიიცვალე სა-

40 ქირველსა და შრომასა უნდოსა.

მოიჯსენე, შვილო ჩემო, რამეთუ ქორწინებაჲ მონებისა უღელი არს კაცისათუ და ცოლიერი კაცი მარადის ქირსა და ურვასა შინა არს, და ზრუნვაჲ და მწუხარებაჲ არა დააკლდების დღეთა ცხორებისა მისისათა, რამეთუ ცოლი საფრტე და საცთურ ექმნების და დამაყენებელ ყოველსა საქმესა კეთი-

1 საკურთხეველსა] + შენსა B. 5 მას] + დღე და ღამე, ყოველთა B. 6 მისა B. 7 ცრემლითა B; და გულითა ლმობიერითა B; და მოსწრაფედ] — B; ნებსით შენით B. 8 დაწერის B. 9 წარმოიღებნ B; და ვერლარა B. 11 ~ შექურვილი წე მეფისა B. 12 და] — B; თავგანწირვით B. 13 ნებსით B. 16 მსახურებასა] + მას B. 17 შურითა B; გამოგაგდო] + შენ B; ჩუენისაგან B. 20 დადგრომასა B] + შენსა B. 21 მის და შუენიერისა] — B. 26 სანოაგეთასა] საუმელთა და სანოაგეთა B; სუმასა] + ღუნისასა B; სასუმელსა მას B; საცთურებისასა B. 27 და ნაცვალად] ნაცვალად B; საყოფელისა B. 28 სამკვდრებელთა] საყოფელთა B; ამბოხოვნთა B. 31-32 კაცთათუ B. 33 დააკლდების] დაეღევის B. 34 საბრტე B] + არს B.

ლისა და სათნოებისასა, და შეჰკარავს და აყენებს არა საქმედ კეთილისა. ვერცა ლოცვად შემძლებელ არს დაწყნარებით ცოლიერი და ვერცა მარხვად უზრუნველად, და ვერცა მღვდარებად ღამის თევასა; და ვერცა დაწვების მოსიერი და წელ-მორტყმული, და ვერცა შუალამედ აღდგების გალობად ზეცისა განწყობილსა თანა, და ვერცა შემძლებელ არს კითხვად წიგნთა წმიდათა, და ვერცა მოიკითხავს დღი(110)თი-დღედ წმიდათა ღმრთისათა, არამედ განიქსნის სარტყელი და განიძარცვს სამოსელი და დაწვის ვითარცა საცხოვარი პირუტყვ უზრუნველად სარეცელსა შეგინებულსა და საწოლსა ბილწებისასა, რომელნი თუნიერ სჯულისა იქორწინენ; და თუ იღვძებნ, ბილწებასა იგონებნ; და თუ დაიძინის, ბოროტთა სიზმართა და შემადრწუნებელთა ჩუენებათა შეაძრწუნიან; და ოდეს განთენის და რომელიმე დღისაცა ეამი წარმოვდის და მაშინლა აღდგის, და ნაცვალად ლოცვისა [და ღმრთის მსახურებისა იწყის ხოლო გონებად უკეთურებისა და განზრახვად უსამართლოებისა, და მოღებისა და მიცემისა უნდოდ, კაცთა მონაგებთა მოტაცებად და სულისა სარგებელსა დაჰიკრებად და რიცხუად ვახშსა აღნადგინებთასა.

დედაკაცმან, შვილო ჩემო, მრავალნი წმიდანი განაშორნა უცნაურად ღმრთისაგან; დედაკაცი, შვილო ჩემო, კაცთა მსოფლიოთაჲ არს, რომელთაჲ არცა ლოცვაჲ და არცა მარხვაჲ შერაცხილ არს, წარომელნი არა იღვძებენ ღმრთისათჳს, არამედ, რაჟამს აღდგიან და შეიმოსნიან, განემზადნიან ხოლო ჰამად და სუმად და საზრახავად ზრახვასა ბილწებისა და შეგინებისასა და ეკაზმებიედ ცოდვასა, იწურთიედ ტყუილსა და იგონებედ (111) სიძვასა და მრუშებასა და ყოველსა ბოროტისა საქმესა,

ცოლი, შვილო ჩემო, ესევეითართათჳს არს, რომელნი ამათ საქმეთა ჰყუარობენ. ხოლო შენ, შვილო ჩემო, ნუ შესცვალებ სიყუარულსა ღმრთისასა ცოლისა სიყუარულად, დაღათუ ასული არს აზნაურთაჲ და დაშნი და ნანარი და მოყუარე კეთილისაჲ და ტომთაგან პატიოსანთა გამოსრული. ნუ აღირჩევ სიყუარულსა მისსა სიყუარულსა ზედა ღმრთისასა, რომელსა პირველვე განუკუთნე თავი შენი მსახურებად მისა. ნუმცა გძლევს სიყუარული ცოლისაჲ სიყუარულსა ანგელოზთასა. და ნუმცა პატივ-სცემ აღთქუმასა და ფიცებასა ცოლისასა უფროჲს აღთქუმასა და ფიცებასა ღმრთისასა. და მე უწყვი, ვითარმედ განმზადებულ ხარ სიტყუს გებად ჩემდა პასუხსა სიტყუათა ჩემთასა

1 და სათნოებისასა და] — B; კეთილისასა B. 2 და ვერცა] ვერცა B. 4 შუალამეს B. 5 განწყობილთა B. 6 დღითი-დღე B. 9 იქორწინიან B; და თუ] უკუეთუ B. 10 შესადრწუნებელთა B. 11 წარვდის B. 13 უსამართლოთა B. 14 მონაგებისა B. 15 ~ და რიცხუად ვახშსა აღნადგინებთასა და სულისა სარგებელი დაჰიკრებად B. 16 უცნაურად] უცნობელად B. 18 ლოცვაჲ] + უფრების B; მარხვაჲ] + რად B; არს] + მათა B; რ'ლნი არა იღვძებენ ღმრთისათჳს] — B. 20 ზრახვად B; ბილწებასა B; შეგინებასა B. 21 და იწურთიედ B; იგონებედ] იგონებნ B. 25 და დაშნი] დაშნი B. 27 მისა B; პირველად B. 28 ნუმცა] და ნუმცა B. 29 და ნუმცა] ნუმცა B. 30 აღთქუმასა და ფიცებასა] სიყუარულსა და აღთქუმასა B; ვ'ლ] ვ'რ B.

და მეტყვ ესრტო, ვითარმედ: მიბრკუმა და დავეცი, და ბექედი იგი, დაცვული ქალწულებისა და სიწმიდისაჲ, შეგმუსრე და წარვეწყმიდე უღებებითა ჩემითა; და აწ რასალა შემძლებელ ვარ ყოფად?

- ისმინე, შვილო ჩემო, თქუმული იგი უფლისა ჩუენისაჲ, რომელსა იტყვს, ვითარმედ: „მოიქეცი თ ჩემდა შვილნი ეგე განდგომილნი და მე მოვიქეცე თქუენდა“ ¹⁾. (120) აწ უკუე მოიქეც, შვილო ჩემო, კუალად პირველსავე მას სახესა წმიდისა სქემისასა და ნუ იტყვ, ვითარმედ: ცოდვაჲ ჩემი ფრიად დიდ არს, რამეთუ შემდგომად აღთქუმისა ჩემისა ცხადად ვერცრუეე წინაშე ღმრთისა და უგუნურებით დაუტევე იგი. ცოდვაჲ შენი, შვილო ჩემო, ფრიად დიდ არს, უკუეთუ დაადგრე მას ზელა სასო-წარკუეთილებით განწირულად, ვითარმცა მარადის ისიძვედი ჯორცითა მკუდრისაჲთა, რომელი განსრულ არს სოფლით. და ესე არს საწოლი ბილწებისაჲ მკუდრისა ჯორცითა და შენ, შვილო ჩემო, მომკუდარ იყავ ამის სოფლისაგან და ცოდვაჲ მისი არს შენ თანა. ვითარცა კაცმან რომელმან-მე მოიყვანა ცოლად დედაკაცი, რომელსა დაეწინდა თავი თუზი ქრისტესა, შეემოსა სამოსელი თუნიერ სამოსლისა ასულთა სოფლისათა და იგიცა განსრულ იყო ჯორცითა ამის სოფლისაგან, კუალად იქცა საწოლად ბილწებისა. ესევითარი იგი სამართლად მსაჯულისაგან დაისაჯოს, რამეთუ მსგავს არს იგი მძორსა მკუდრისასა, სავსესა სიმყრალითა. და ეგრეთვე შენ, შვილო ჩემო, მკუდარ იყავ სოფლისაგან და მკუდარსა, შვილო ჩემო, ცოლი არა უჭმნ და არცა შეეტყუების.

გარწმენინ ჩემი, შვილო ჩემო, ქეშმარიტად, ვითარმედ ცოდვაჲ შენი ყოველი დედაკაცსა მას მოეტადების, (113) რომელმან-იგი დაუტევნა კაცნი ცოცხალნი სოფელსა შინა და მისცა თავი თუზი მკუდარსა, რომელი განსრულ იყო სოფლით და დამონებულ იყო ღმრთისა.

- აწ უკუე უკუმოიქეც, შვილო ჩემო, მონასტრადვე შენდა და კუალად-ეგე და შეევედრე ნავთ საყუდელსავე მას ცხორებისასა. მოიქსენე, შვილო ჩემო, დღე იგი საშინელი განსლვისა შენისაჲ ამიერ სოფლით, რომლისა შემდგომად ვერლარას შემძლებელ ხარ კეთილისა საქმედ, ეამი იგი საზარელი, ოდეს სული შენი განვიდოდის ჯორცთაგან და მწუხარებაჲ იგი და ტკივილი, რომელსა არა აქუს კურნებაჲ და ნუგეშინის-ცემაჲ, რამეთუ განწირულ არს.

მოიქსენე, შვილო ჩემო, ეამი იგი შესაძრწუნებელი, ოდეს ანგელოზნი მრისხანენი იძულებით განიყვანებდენ სულსა ცოდვილისასა ჯორცთაგან, რაეამს ურგებნი იგი ცრემლთა ნაკადულნი გარდამოდინდიან თუალთა მათთაგან და

1 ესრეთ A, ესრე B; და(ცული)—B. 2 და სიწმიდისაჲ—B. 3 რასალა] რასა B. 4 უფლისა B; ჩუენისაჲ] — B. 5 ვ'დ]—B; თქ'ნდა] + იტყვს თ'ი B. 8 ვერცრუეე] + და ვცოდე B; ღ'ისა] + ჩემისა B. 8-9 და უგუნურებით დაუტევე იგი]—B; ფ'დ] — B. 10 და განწირულად B. 12 და ესე] ესე B; ~ ჯორცი მკუდრისა B. 14 -მე] — B; დედაკაცი] + რომელი განსრულ იყო ჯორცთაგან]—B. 15 და შეემოსა B. 16 იგიცა განსრულ იყო ჯორცითა ამის სოფლისაგან]—B. 17 მრჩობლად დაისაჯოს B. 21 ~ ვ'დ ქეშმარიტად B. 25 მოიქეც B; ეგე და] — B. 26 ნავთ სადგურსა B; და მოიქსენე B. 28 ვერლარა B; საზარელი] საშინელი B. 29 არა] არლარა B. 31 იგი ანგელოზი B. 32 მრისხანე B; განიყვანებდეს B. 33 იგი] — B; გარდამოდინ B; თუალთა მათთაგან] თუალთაგან B.

1) მალაქია 3,7.

საშინელად ზარ-განჯდილნი განვიდოდნიან, ინანდენ საქმეთა მათოჲს ბოროტთა და არღარას ერგებოდის, რამეთუ წარისხმოდნიან იგი(ნი) გზასა მას ბნელსა, იწროსა და საშინელსა, სადა-იგი ავაზაკთა სიმრავლე დამალულ იყოს საზუერესა ამას სამზირსა სულთა უკეთურთასა. და ჳმანი საზარელნი ისმოდნიან, და პირნი საშინელნი იხილვებოდნიან (114) და გონებანი კაცთანი დაიწყლვებოდნიან და ცრემლთა მდინარენი დიოდნიან და საფუჲველნი ქუეყანისანი იძრწოდნიან და ყოველნი დაბადებულნი შიშით ზარ-განჯდილნი ძწოდნიან. წიგნი იგი მატთანთანი განეხუმოდნიან და საქმენი კაცთანი დაფარულნი და ცხადნი აღმოიკითხვებოდნიან და სატანჯველნი იგი საუკუნენი განემზადებოდნიან და ცოდვილნი და უვარის-მყოფელნი მას შინა შეითხეოდნიან.

მაშინ კაცად-კაცადსა დაფარულნი ემხილებოდნიან და საქმეთებრ და გულის-თქუმათა დაისაჯებოდნიან და ყოველნი საქმენი ბოროტნი ცხადად ემხილებოდნიან წინაშე მსაჯულისა მის ყოველთადასა. ვაჲმე, შვილო ჩემო, ეამსა მას საშინელსა, რომელსამე ადგილსა დავიმალო ცოდვათა ჩემთათჲს, რომელნი მიქმნიან მე, რომელნი არა დავიწყებულ არიან.

მოიჯსენე, შვილო ჩემო, ადგილი იგი სულთა საპყრობილისაჲ, რომელნიმე იწროებასა და ჳირსა შინა და რომელნიმე მწუხარებასა და სიბნელესა შინა წყუდიადისასა არიან, ხოლო რომელნიმე მსიარულნი ნათელსა შინა იხარებენ მარადის. მოიჯსენენ, შვილო ჩემო, სულნი იგი ცოდვილთანი, რომელნი მარადის შიშსა და ძწოლასა შინა არიან გულ-გდებულნი და ზარ-განჯდილნი სატანჯველთა (115) მათგან საუკუნეთა, და რომელნიმე შეუებასა და სიხარულსა შინა არიან.

მოიჯსენე, შვილო ჩემო, დღჲ იგი საშინელი მეორედ მოსლვისა უფლისაჲ და ჳმაჲ იგი საყვრისაჲ, რომელი შესძრვიდეს ყოველთა დაბადებულთა. მოიჯსენე, შვილო ჩემო, ეამი იგი, რომელსა შინა მზე დაბნელდეს და არღარა ნათობდეს იგი მერმე უკუნისამდე, დღჲ იგი უკუანაჲსკენელი ყოველთა დღეთაჲ, კარნი იგი, რომელნიმე დაჳშულნი და რომელნიმე განხუმულნი, სადა-იგი იყოს ბნელი და ნათელი, რაჲემს-იგი ცუდ იქმნეს სრბაჲ მზისაჲ, ოდეს-იგი დაირლუენ მრავალ-ფერად განწესებანი ძალთა ცისათანი, რაჲემს-იგი დაირლუენ აგებულებანი ეტლის-თუალთანი, ოდეს-იგი დაჳჳსნდეს ეამთა განწესებაჲ მთოარისაჲ, რაჲემს-იგი მოაკლდეს ეამი ჳომთა სრბისაჲ და წარმოჩინებაჲ გნირისაჲ და განსრულდეს ნათობაჲ მთიებისაჲ და ცუდ იქმნეს რიცხჲ ვარსკულავთაჲ, რაჲემს-იგი წარიგრაგნოს ცაჲ, ვითარცა წიგნი ტყავისაჲ, და იცეალოს და განახლდეს

1 ზარგანჯდილი B; განვიდოდის B; ინანდეს B; მათოჲსმისთა B. 2 წარისხმოდნიან] ცოდვილნი B. 3 საშინელსა] საჳირველსა B. 4 სამხირალსა B; სულთა] + მათ B; საზარელნი] საშინელნი B. 5 საშინელნი] საზარელნი B; იწყლვოდნიან B. 6-7 იძრწოდნიან] იძრვოდნიან B. 7 ძრწოდნიან B. 8 მატთანეთანი B. 11 კაცად-კაცადისა B. 13 ემხილებოდნიან] გამოჩნდენ B. 15 არა დავიწყებულ არიან] არავინ უწყის B. 17 ჳირსა] შიშსა B. 18 წყუდიადისასა] — B; არიედ B. 19 მოიჯსენე B. 20 ძრწოლასა B; არიედ B. 21 რომელნიმე] რომელნი B. 22 არიედ B. 23 დღეჲ A, დღე B; მსლვაჲ B. 26 დღეჲ A, დღე B. 27 ~ რომელნიმე განხუმულნი და რომელნიმე დაჳშულნი B. 29 განწესებულნი B. 30 მთოვარისაჲ B. 32 რიცხუჲ B. 33 ~ ტყავი წიგნისაჲ B; და იცეალოს] იცეალოს B.

ქუეყანაჲ; ოდეს-იგი დადნენ მთანი, ვითარცა ცვლნი, და კლდენი—ვითარცა ქონი სიციხესა და ვითარცა მყინვარი მზესა, და ქარნი იგი სასტიკნი მოაკლდენ და განქარდენ, რომელნი იქცეოდეს შვდ ათასსა წელსა ცასა ქუეშე, და გრიგალნი აღმარლუეველნი ლელვათა ზღუსათანი, ჯმანი იგი ოხრისა ზღუსანი და ცუდდენ, დასცხრენ, და (116) გამოსადინელნი იგი წყაროთანი და საქანელნი იგი მდინარეთა სასტიკთანი დასწყდენ და განჰმენ. და ბუნებაჲ ქუეყანისაჲ კუალად იქცეს აგებულებასაჲვე თუსსა პირველსა. და უფსკრულნი იგი ზღუსა მის საშინელისანი, რომელნი არიან ქუეშე ქუეყანასა და ზღუანი იგი ზესკენელს ცათანი, განძვნებულნი, რომელნი არიან ცათა, ქართთა სასტიკითა ელოდიან წამის-ყოფით ბრძანებასა დამბადებლისა მათისასა შეერთებისათჳს ურთიერთას, და ბუნებაჲ იგი ცეცხლისაჲ და სიტყოჲ ჰაერისაჲ და სიმყურტე იგი ზღუსა და ქუეყანისაჲ, საშინელებანი ქუეშთ და საზარელებანი ზეშთ.

მაშინ ძალნი იგი სულიერნი ძწოდიან შიშისაგან და გუნდნი იგი ნათლისანი განცვბრდენ ზარისაგან, მთავრობანი იცვალნენ და ჯელმწიფებანი განლიგნენ, უფლებანი განკვარდენ და საყდარნი შეძრწუნდენ. ქერობინნი ძწოდიან და სერობინნი დაილწებოდინან შიშისაგან. მაშინ მიქაელ და გაბრიელ მთავარანგელოზნი შიშით მდგომარენი მოელოდიან ბრძანებასა, ყოველნი გუნდნი ანგელოზთანი განწყობილნი მდგომარე იყვნენ შეშინებულნი და ზარ-განჰდილნი. მაშინ ელვანი იგი საშინელნი გამოჰკრთებოდინან და სმენაჲ (117) იგი ქუხილისა და კრ(ჩ)ხილისანი ისმოდიან და ოხრაჲ იგი საყვრისა მის საშინელისაჲ ჯმა-სცემდეს და შესძრვიდეს ყოველსა დაბადებულსა და ზღუაჲ იგი ზესკენელი დგეს დამოკიდებული ჰაერთა შინა შეუძრველად და ყოველნი ძალნი ზეცათანი შიშით და ძწოლით დგენ ჰაერთა ზედა, განმზადებულნი მოელოდიან მოსლვასა უფლისა მათისასა, რადთა მყის მიისწრაფონ მისა მიმართ. მერმე წამის-ყოფითა საღმრთოთა ებრძანოს საიდუმლოდ გარდამოსლვაჲ ზღუასა მას ზესკენელსა ქუეყანად და უმაღლეს ელვისა გარდამოჰდეს და შეიძერწნენ ურთიერთას ზღუანი იგი ზესკენელნი და ქუესკენელნი, რომელნი იგი დასაბამსა განყოფილ იყვნეს ბრძანებითა დამბადებელისაჲთა.

მაშინ გამოჩნდეს იერუსალემი იგი ზეცისაჲ და მოიწინენ ყოველნი წმიდანი და მთავარანგელოზნი, საყვრსა სცემდენ და ზღუანი იგი ცეცხლად გარდაიქცენ და შეიცვან და დაფარონ ლელვათა მათ აღისა საშინელისათა. და დაიდგას საყდარი ცეცხლისაჲ საშინელი დიდებითა დიდითა ეტლის-თუალთა ზედა მოტყინარეთა. მაშინ გამოჩნდეს ჯუარი პატიოსანი წინაშე მისსა,

2 და ქარნი ქარნი B. 3 იქცევოდეს B; შვდ ათასა მას B. 4 აღმამრლუეველნი B; ლელვათანი ზღუასა შინა B; და ჯმანი B. 6 და ბუბებაჲ ბუნებაჲ იგი B. 8 არიედ B; ქუეყანისა B. 9 ცათანი+რ'ლნი არიედ ზ'ა ცათა B; რ'ნი არიან [ცათა]—B; ელოდიედ B. 10 მათისასა] თუსისასა B. 11 სიტყოჲ] სიწლოჲ ნიავისაჲ და B; სიმყურტლე B; იგი]—B; ზღუსა B. 12 ქუშთ B, ხშთ B; ~ საშინელებანი ზეცით და საზარელებანი ქუეყანით B. 13 ძწოდიან B. 14 განცვფრდენ B. 16 ძწოდიან B. 17 მოელოდიედ B; და ყოველნი B. 18 მდგომარენი B; იყვნენ]—B. 19 სმენაჲ] ჯმანი B. 20 კრჩხილისანი B. 21 ზარ-სცემდეს B; და]—B. 23 ძწოლით B. 24 მოელოდიედ B. 25 მერმე] მაშინ B; ებრძანოს საიდუმლოდ] საიდუმლოდ ემხილოს B. 27-28 რ'ლნი-იგი] რ'ნი B. 30 და საყვრსა B. 31 შეიცვან]+ყოველივე B; და დაიდგას] მაშინ დაიდგას B. 33 მოტყინარეთა]+ელვარედ B.

ვითარცა დროშად წინაშე მეფისა, და იხილონ ყოველთა ძალთა ზეცისათა სულიერათა, (118) და შიშით და ძწოლით იწყონ ფრინვეთ მიგებებად მისა. ქერობინნი და სერობინნი ზარ-განდილნი, და ანგელოზნი და მთავარანგელოზნი და ყოველი კრებული ძალთა ზეცისათა შიშით და ძწოლით მდგონარე იყვნენ წინაშე საყდართა მათ საშჯელისათა. მოიქსენე, შვილო ჩემო, ჟამი იგი საშინელი შეცვალებისად, ოდეს-იგი გამოჩნდეს ქუეყანა ახალი განუხრწნელი, ქუეყანა ნათლისად ძეთათჳს ნათლისათა, ქუეყანა ცხოვრებისა და კურთხევისად, ქუეყანა სიხარულისად წარუვალი, რომელსა ზედა მართალნი იშუებდენ: ქუეყანა, რომელსა ზედა არღარაა საენებელი იყოს, არცალა ეკალი და კურომს-თავი, არცა ღირლუარი და არცა კლდოანი და ქვიანი, ქუეყანა სურნელთა საკუმეველთა და სამკვდრებელი სულიერი და წმიდაა. მას ქუეყანასა ვესავ, შვილო ჩემო, სამკვდრებელად შენდა და მას შინა მნებავს ხილვად შენი მარადის და უკუნისამდე.

მოიქსენე, შვილო ჩემო, ჟამი იგი საშინელი, რაჟამს-იგი საყდარნი მსაჯულისანი დაიდგენ, და დაჯდეს მეუფე იგი დიდებისად განკითხვად ცხოველთა და მკუდართა. და განემზადოს კიბე იგი ნათლისად ზე აღსლვად ყოველთა წმიდათა წინაშე საყდართა მათ დიდებისათა *.

მოიქსენე, შვილო ჩემო, ნათელი იგი მცხინვარე, რომელ არს ნათლისაგან ბრწყინვალისა გარე-შეცული საყდართა მათ ცეცხლისათა, რომელთა ზედა ჯდეს მეუფე აგი დიდებისად მრავლითა საშინელებითა. მოიქსენე, შვილო ჩემო, ჟამი იგი საშინელი სამართლად განკითხვისად და უწყალოდ განსჯისად და მსაჯული იგი ქეშმარიტი თუალ-უხუავი, რაჟამს-იგი ებრძანოს ათორმეტთა საყდართა დადგმად და წმიდათა მოციქულთა დაჯდომად განსჯად ნათესაეთა მრავალთა ქეშმარიტებით.

მოიქსენე, შვილო ჩემო, სამნი იგი გუნდნი მას ჟამსა შინა შიშით მდგომარენი, გუნდი ანგელოზთად, გუნდი ძეთა კაცთად და გუნდი ეშმაკთად. მოიქსენე, შვილო ჩემო, წიგნნი იგი მოსაქსენებელნი საქმესა კაცთასა, რაჟამს-იგი განეხუნენ და მღუმრად აღმოიკითხებოდინ ყოველნი დაფარულნი და ცხადნი ცოდვანი კაცთანი. მოიქსენე, შვილო ჩემო, ჟამი იგი, ოდეს ვერვის სარგებელ ეყოს არცა მთავრობად, არცა ქელმწიფობად, არცა მსაჯულობად, არცა აზნაურობად, არცა მონებად, არამედ სამართლად მიეგებოდის კეთილი და ბოროტი დღესა მას.

მოიქსენე, შვილო ჩემო, ჟამი იგი, რაჟამს-იგი ცოდვილნი იყვნენ შორის კრებულსა მართალთასა აღრეულნი პირველ განრჩევისა, ვითარცა თიკანნი შავნი შორის კრავთა საჩინოდ სპეტაკთა. მოიქსენე, შვილო ჩემო, ჟამი იგი საშინელი, რაჟამს-იგი ითხოვოს მსაჯულმან მან კაცთაგან პასუხისა მიცემად საქმეთა მათთათჳს კეთილთა და ბოროტთა, წმიდათა—მარხვად და ლოცვად, მონაზონთა—

1 დროშაი A, დროშაკი B. 2 ძწოლით B. 4 ძწოლით B. 5-6 საშინელი—B. 7 ძეთა ნათლისათა B. 8 სიხარულისა წარუვალისა B; იშუებენ B. 9 არღარაჲ! არაჲ B. 9-10 არცალა კურომს-თავი B. 10 ღვრლუარი B; და არცა კლდოანი! არცა კლდოვანი B.

* ამას ქვემოთ აკლია A-ს 1 ფურცელი, დანაკლისი B ნუსხიდან შემოგვაკეს.

მღვთაარებად და კეთილად მსახურებამ, მართალთა—ზე დგომამ და დაყუდებამ და შეიწირებამ თავთა მათთაჲ, განწორებულთა—უცხოებამ მათი და სიშიშულე და ნაკლულევანებამ, დარჩომამ მათი უდაბნოსა გარე, მოწამეთა—ხუეტად და გუემამ და მოჭრამ ასოთა მათთაჲ მახულითა, ცეცხლი და სატანჯველი და მოკუეცად თავთა მათთაჲ და ზღუასა დანთქმამ, და მრავალ-ფერნი ქირნი და განსაცდელნი, კეთილის მომქმედთა—მოღუაწებამ მათი ობოლთა და ქურიცთაჲ, ქალწულთა—მოთმინებამ მათი ბრძოლასა ჯორცთა ნებისასა* (119) და გლახაკთა—ულონობამ მათი და ნაკლულევანებისა მოთმინებამ უდრტუნველად, მეფეთა—სარწმუნობამ მათი და სიმართლით განგებამ, მდიდართა—უვახშოდ ვასხებამ და გლახაკთა მოწყალებამ, ქველის საქმე, მწყემათა—დადებამ თავთა მათთაჲ სამწყსოთათჲს, მღდელთა—ქეშმარიტი შუამდგომელობამ, სახეობამ კეთილის მომქმედობისაჲ, მსახურთა—სიწრფოებით და ერთგულად მსახურებამ და წესიერად მორჩილებამ მათი, მოძღუართა—სწავლამ ქეშმარიტებისაჲ, მდაბალთა—სიმდაბლე მათი, და სახიერთა და მშვდთა—სიწრფობამ და სიმშვდე გონებისა მათისაჲ, მონაზონთა—მოთმინებამ მათი და ლოცვისა განსრულებამ და მინდობამ ღმრთისა, ერის კაცთა—სიწრფობამ და გლახაკთ მოწყალებამ და სიწმიდე მათი.

ესე ყოველნი იყვენენ, შვილო ჩემო, განმზადებულ შემთხუევად ღმრთისა კადნიერებით, შემთხუევად მინდობილნი საქმეთა მათთა კეთილთა. ხოლო შენ, შვილო ჩემო, არარაჲ გაქუნდეს, არცა გიც ნაწილი მათ თანა ყოლადვე. (120) ვაჲმე, შვილო ჩემო, ესმის მას, ოდეს წარგადგინონ წინაშე ქრისტესა მსაჯულისა მის თულ-უხუავისა! რომლითა-მე სახითა წარსდგე წინაშე მისსა, წმიდითა-მე მით სქემითა მონაზონებისაჲთა ანუ სამოსლითა მით მსოფლიოთა, საერისკაცოთა? რომელი-მე სიტყუად მისცე ესმის მას განსამართლებელი ცრუებებისა მისთჲს აღთქუმისა შენისა, რომელი-იგი აღუთქუ ღმერთსა, ოდეს-იგი შეიმოსე სქემად მონაზონებისაჲ?

ვაჲმე, შვილო ჩემო, ესმის მას, ოდეს გესმეს პირისაგან საღმთოჲსა, ოდეს-იგი გრქუას შენ, ვითარმედ: მე არა იძულებით გიწოდე შენ, არამედ შენ ნეფსით თჲსით მოხუედ, ხოლო მე შეგიწყნარე. ამისსა შემდგომად მეცრუე და უარ-ჰყავ უფლებამ ჩემი და განამტყუენე აღთქუმამ იგი, რომელი აღმითქვ მე. ხოლო მე აღთქუმასა ჩემსა არა უარ-ვჰყოფ. ყოველმან რომელმან უვარ-მყოს, მეცა უვარ-(ვ)ყო იგი. შენ უვარ-მყავ მე შემდგომად აღთქუმისა, და მსახურებისა არა მმსახურე, არამედ მიტყუე მე და მეცრუე. ვაჲმე, შვილო ჩემო,

8-9 მეფეთა) + მართალი B. 9 მათი)—B. 10 ქველის-საქმე A, ქველისა საქმე B; დადებამ B. 11 მათთა B; და სახეობამ B. 11-12 კეთილის მოქმედებისა B. 13 წესიერად)—B; ქეშმარიტი B. 14 სიმდაბლემ A. 16 გლახაკთა მოწყალებამ B. 19 შემთხუევად)—B; მათა B. 21 ოდეს-იგი B. 22 მისა B; წმიდითა-მე)—B. 24 განსამართლებულად B. 25 რომელი-იგი) რი B. 26 მონაზონებისაჲ)—B. 27 ოდეს-იგი გესმეს B; ოდეს-იგი გრქუას შენ)—B. 29 ნებისთ B; თჲსით)შენით B; ამისა B. 30 განამტყუენე B; აღმითქუ B. 31 უვარ-ყო B. 33 მსახურე B; მიტყუე მე) მიტყუე B; მეცრუე მე B.

* აქამდის აღწევს დანაკლისი A ხელნაწერისა (იხ. გვ. 125).

რამეთუ ჟამსა მას (121) უვარის-მყოფელთა თანა შეირაცხო. შეილო ჩემო, რასა უკუე სარგებელ გეყოს შენ ცოლი ჟამსა მას, გინა შეილნი მას ჟამსა?

შეილო ჩემო, განარჩინენ კეთილის მოქმედნი ბოროტის მოქმედთაგან, რაჟამს არცა მამად და არცა დედად, არცა ძმანი და არცა ნათესავნი და მეგობარნი შემძლებელ არიან შეწევნად ჟამსა მას, განარჩინენ თუალ-უხუავად და უწყალოდ. ვაჟმე, შეილო ჩემო, ჟამსა მას, ოდეს განყუნენ ორ გუნდად თითოეულნი, მაშინ კეთილის მოქმედთა განაპონ ციციხლი იგი, საშოვალ განვიდენ უვნებელად, ხოლო ცოდვილნი შთაცვენ შორის აღსა მას მოტყინარესა საშინელსა და მას შინა დაისაჯნენ უკუნისამდე, რომელსაცა ღირს იყვნენ მსგავსად საქმეთა მათთაებრ ბოროტთა; და რომელნიმე შთათხინენ ჯოჯოხეთა, და სიღრმესა მას შინა დანთქმულნი არღარა იხილენენ უკუნისამდე; და სხუანი შთათხინენ სიმყარალესა მწვრთისა საშინელისა და ცივისასა, და სხუანი შთათხინენ მღვმესა ქუესკნელისასა; და სხუანი იქნენ მატლთა საქმლად უკუნისამდე; (122) და სხუანი შეითხინენ ბნელსა მას წყუღიადისა გარესკნელისასა და არღარა იხილონ მათ ნათელი ვიდრე უკუნისამდე; და სხუანი დგენ კარსა ზედა მსაჯულისასა შეძრწუნებულნი; და სხუანი ნიეცნენ ტირილსა მას თუალთასა და ღრქენასა კბილთასა საუკუნოდ და უკუნისანდე.

მოიქსენენ, შეილო ჩემო, ესე მწარენი სატანჯველნი, მოიქსენენ ვმანი იგი მწუხარებისანი და სულ-თქუმად იგი და ტირილი დაულევნელი და ვიებაჲ იგი გაუწყუედელი, რომელსა ყოლადვე არა ეპოვების ნუგეშინის-ცემად. და სიმწარე იგი სატანჯველთა მტკიევანთაჲ, რომელსა შინა დანთქმულ იყვნენ ცოდვილნი. ვაჟმე, შეილო ჩემო, უკუეთუ მკვდრობად შენი მათ თანა ყოფად არს, უმჯობეს იყო შენდა, თუმცა ყოლადვე არა გეხილვა ნათელი ესე პაერისა ამის წარმავალისაჲ და არცამცა შერთულ იყავ რიცხუსა ძეთა კაცთასა.

აღიხილენ თუალნი შენნი, შეილო ჩემო, და იხილენ ღოყუარენი შენნი, წმიდანი მონაზონნი, რომელსა სუფევასა შინა არიან. აცადენ მკუდარნი დაფლვად თვსთა მკუდართა¹⁾ და შენ კუალად იქეც სახესავე მას შენსა ღმრთისასა (123) ანგელოზებრსა და მსგავსად წინაწარმეტყუელისა იტყოდე: „კურთხეულ არს უფალი, რომელმან არა მიმცა მე ნადირად კბილთა მათთა და შემდგომი“²⁾. და შემძლებელ არს ღმერთი შეცთომილთა მოქცეევად და მან მხოლო-

1 რ ჟამსა მას] რაჟამს იგი B; თანა] მონათა თა B. 2 ~ გინა შეილნი ჟამსა მას B. 3 შეილო] რ მაშინ შეილო B; განარჩინენ B. 4 და არცა დედა] არცა დედა B. 4-6 და მეგობარნი ... უწყალოდ] ვის შეწევნიან, ად საქმენი ბ კეთილნი კაცთანი B. 6 ჟამსა მას]—B; ოდეს-იგი B; განიყუნენ B. 7 და განვიდენ B. 10 მათთაებრ] მათთა B. 12 ცივისასა] ცივისა საშინელისასა B. 13 და სხუანი] სხუანი B; ~ შესაქმლად მატლთა B. 14 წყუღიადისასა გარესკნელსა B; და] სადა B; არღარა] არა B. 15 და სხუანი] სხუანი B; კართა B; ზა] თა B. 16 მსაჯულისათა B. 17 და ოქე]—B. 21 იყვნენ] იქმნენ B. 22 ცოდვილნი] + იგი B; ~ მათ თანა არს მკვდრობად ში B. 26 მოყუარენი] მოყუასნი B. 27 არიედ B. 28 მას]—B; ღისასა]—B. 30-31 შემდგომი] + ამისი B.

1) მათე 8, 22. 2) ფსალმ. 123, 6.

მან სახიერებითა და კაცთ მოყუარებითა თვისითა მოგაქციენ კუალად და შეგრთენ სანწყსოსავე თვისსა, რამეთუ მოწყალე არს და შემწყნარებელ და მისი არს დიდებამა უკუნითი უკუნისამდე, ამენ.

[139] თძუშული წმიდისა იოვანე ოქროპირისაჲ

სინანულისათჳს

ისმინეთ, საყუარელნო, სიტყუად ღმრთისაჲ, რომელი განგალძებს თქუენ უღებებისაგან თქუენისა, ვითარცა დაფისა ცემაჲმან განაღძნის მკედარნი მეფისანი. ევლტოდეთ თქუენ მარადის, რაჲთა არა გეწიოს თქუენ ღომი იგი ბოროტი, რომლისათჳს იტყჳს პეტრე მოციქული: რამეთუ მბრძოლი იგი თქუენი ეშმაკი, ვითარცა ღომი მყვრალი ეძიებს მარადის შთანთქმად, რომელნი პოვნეს უღებებით¹⁾.

აწ უკუე ვეკრძალნეთ მას, რამეთუ ბრძოლაჲ მისი დაუცადებელ არს, არა ხოლო დღისი, არამედ ღამეცა და ყოველსა ჟამსა, და ჰქონან მას მრავალ-სახენი მკედარნი გულის-სიტყუათათჳს შეგინებულთა და გულის-თქუმათათჳს მწინ(124)კულევანთა. იხილე, უბადრუკო, რამეთუ ღომი იგი მზირის შთანთქმად, არამედ შეირტყ ძაძაჲ წელთა შენთა და იგლოვდი და ევედრებოდე უფალსა დაუცადებელად ლოცვითა, რაჲთა არა შეჰვარდე პირსა მისსა. ნუ დასცხრები ღმობიერითა სულ-თქუშითა და მჭურვალითა ცრემლითა თხოვად მისგან, რაჲთა გარე მიაქციოს შენგან და ღალადებით ჰმადლობდი მას, რომელმან გიგნენეს შენ. გულისგმა [ჟ]-ჰყოფდ ყოველსა ჟამსა და უწყოდე, რამეთუ ვერ შესაძლებელ არს, თუმცა საშჯელი არა მიგჳდა ქრისტემან ყოველთა საქმეთა შენთათჳს დღესა მას, რაჲმს განიკითხვიდეს მონათა თვისთა, და მოელოდე დღესა მას საშინელსა ყოველსა ჟამსა და მარადის განიხილევდი გონებასა შენსა და მოიგსენებდი საქმეთა შენთა, რომელნი სიყრმითგან გიქმნიან, და უწყოდე, ვითარმედ მით წარდგომად ვართ ყოველნი წინაშე ღმრთისა. მონანი და აზნაურნი, მდიდარნი და გლახაკნი, მთავარნი და შეურაცხნი, ბრძენნი და უგუნურნი, ვითარცა იტყჳს წმიდაჲ პავლე მოციქული: ყოველნივე წარდგომად ვართ წინაშე ქრისტესა და სიტყუად მიცემად გვც არა ხოლო საქმეთათჳს, არამედ სიტყუათათჳსცა, რანეთუ ყოველითა გამოწულილვი(125)თა გამოეძიებს. უკუეთუ სადამე იტყოდე სიტყუასა ცუდსა ანუ უსამართლოდ ვისმე შესწიე, გინათუ სადამე უსამართლოდ სიტყუად გამოვიდა პირით შენით.

4 წდისა ი'ე ოქროპირისაჲ] მისივე C. 5 სინანულისათჳს] + თავი ი'გ A. 6 განგალძებს C. 7 ვ'ა] ვ'ა რაჲ C; განაღძნის C. 8 თქენ]—C. 9 რომლისათჳს C. 10 მყუირალი C. 14 გულის-თქუმათათჳს B. 15 მწიკულევანთა A; რ' — B; იგი მზირის] გიმზირის BC. 16 და იგლოვდი] იგლოვდი BC. 18 თხოად A. 19 გიგნას C. 20 ჰყოფდი BC; რ' ვერ შესაძლებელ არს]—A. 21 არა მიგჳდა]—A; შენთათჳს C. 23-24 მოგსენებდი C. 27 იტყუის C. 28 გუიც C; საქმეთათჳს C. 29 ც'ლითა] ყოველითა საქმესა B; სადამე A.

¹⁾ შდრ. I პეტრე 5, 8.

რამეთუ არა სარგებელ არს კაცისა წარგებაჲ საფასისაჲ უსარგებლოდ, ვითარ-იგი სავნებელ არს სულისა ცუდის მეტყუელებაჲ და განცხრომაჲ, რომელსა იგმევენ ძენი კაცთანი, [140] რამეთუ სიტყუაჲ მისცენ მისთვის დღესა მას განკითხვისასა. იხილე, # უზადრუკო, რამეთუ არა ხოლო თუ სიტყუათათვის ოდენ მიგჭადონ საშჯელი დღესა მას, არამედ სმენისათვისცა და გულის-სიტყუსა. უკუეთუ ვინმე შენ წინაშე ბოროტად აკსენებდა მოყუასსა და შენ შეიწყნარე იგი, ეზიარე ცოდვასა და თანა-მდებ იქმენ საშჯელისა, რამეთუ შჯული დამაყენებს ამას. უკუეთუ რომელი ისმენდეს, დაისაჯოს, რომელი თუთ ძვრსა უზრახვიდეს და განიკითხვიდეს ძმასა, რაჲ უკუე-მე სიტყუს-გებაჲ პოოს წინაშე ღმრთისა?

აწ უკუე ვეკრძალნეთ ძვრის კსენებასა და დავიცვნეთ განკითხვისაგან, რაჲთა არა დავისაჯნეთ საუკუნოდ. უკუეთუ ეზრახხო მოყუასსა შენსა (126) სიტყუთა ზაკუვისაჲთა, გინა აქო იგი პირის-პირ ენითა შენ-თა და უკუანა ძვრსა ჰზრახვიდე მისთვის, გულისგმა-ყავ ესე და გეშინოდენ საშჯელისაგან მომავალისა, რაწეთუ დალაცათუ შენ დაგავიწყდენ სიტყუანი შენნი, არამედ ღმერთი არა დაივიწყებს ცოდვათა შენთა, რამეთუ თვნიერ იქუსა გამოცხადებად უსხენ [შ] ყოველნი საქმენი შენნი წინაშე თუალთა ყოვლისა დაბადებულისათა, უკუეთუ ჩუენ არა ვისწრაფოთ აქავე აჯოცად მათი.

აწ გეშინოდენ სიქადულისა მისგან, რაწეთუ საშინელ არს შევრდომიჲ ჯელთა ღმრთისა ცხოველისათა, რომელი შემძლებელ არს სულისა და ჯორცთა წარწყმედად გეჰენიასა შინა ცეცხლისასა. მეძავნი პირველითა შჯულითა ქვითა განიტვნიოდეს და ცოდვილნი მოისრეოდეს აქავე და არლარა ალოდინებდეს მერმესა მას ცეცხლსა დაუშრეტელსა. და ესე პატივი ფრიად უსუბუქეს და უმოლხინე იყო საუკუნეთა მათ სატანჯველთა განმზადებულთა.

ამისთვის თუალთა წინაშე გაქუნდინ მარადის საუკუნოჲ იგი მისაგებელი ცოდვილთაჲ და მართალთაჲ, უკუეთუ (127) „რომელმან ჰრქუას ძმასა თვისსა ცოფ, საშჯელისა თანა-მდებ არს იგი“¹⁾. სულმან რომელმან ცოდოს ცოდვაჲ დიდი, ვიდრე უკუე მიიწიოს იგი, ესე ღირს არს სატანჯველთა ჯოჯოხეთისა უბოროტესთა. და ვითარცა თქუა მოციქულმან კეთილთა მათთვის მოსალოდებელთა, „რომელი თუალმან არა იხილა და ყურსა არა ესმა და გულსა კაცი-სასა არა მოჭდა“²⁾. [141] ეგეთნივე სატანჯველნი ყოფად არიან ცოდვილთანი.

1 კაცისა C. 2 ცუდად B. 3 იჯუმევენ C; მისთვის C. 4 თუ)—B; სიტყუსათვის B, სიტყუათათუნ C. 5 სასჯელი C; სმენისათვისცა C; გულის-სიტყუისა C, გულის-სიტყუათა B. 6 აკსენებდეს B; მოყუასსა)+ თვისა BC. 7 ცოდვასა)+ მისსა BC; სასჯელსა C. 8 სჯული C; რომელი ვინ B; დასაჯოს C. 9 თოით C; ძვირსა C; და განიკითხვიდეს) — B; სიტყუის-გებაჲ C. 11 ძვირის C. 13 სიტყუითა C. 14 ძვირსა C; უზრახვიდე B; მისთვის C; სასჯელისაგან C. 16 თუნიერ C; ეჭუსა C, ეჭუსა B. 17 უსხენ) არიან B; ყოვლისა)—B. 18 აღჯოცად C; მათი)+სინანულითა BC. 19 სიქადულისა) სასჯელისა B. 21 წარწყმედად) შთაგდებად B; პირველსა შჯულსა B; სჯულითა C. 22 განიტუნივოდეს C; მოსეროდეს C. 23 ცეცხლსა) + მას B; და ესე) ესე B. 24 უმოლხინეს BC. 25 ამისთვის C; გაქუნდინ A. 26 რწ) ვინ B; თუისსა C. 27 სასჯელი-სა C. 28 ვე უკუე) ვიდრემე B; არს)—C; სატანჯველთა) საშჯელთა B. 31 არაჲ C; მოჭდა BC.

¹⁾ შდრ. მათე 5, 22. ²⁾ 1 კორ. 2, 9.

სადა უკუე შემძლებელ ხარ სიელტოლად გინა დამალვად, ოდეს-იგი დაჯდეს მსაჯული განკითხვად, ვერ შემძლებელ ხარ დამალვად, ვითარ-იგი დაიშალა ადაძ, და ვერცა მოპრიდებ პირსა ღმრთისასა, ვითარცა კაენ. გაქუნდინ შენ კადნიერებაჲ და ნუ ეძიებ დამალვასა. უკუეთუ გონებაჲ შენი არა გამხილებდეს აქავე ბოროტისა საქმეთა შენთა, მუნ კადნიერად წარსდგე წინაშე საყდართა ქრისტეს ღმრთისა ჩუენისათა.

ილუაწე ყოვლითა ძალითა შენითა, რაჲთა შეიკრიბნე სიტყუანი წიგნთანი და დაიუნჯნე იგინი გონებასა შინა შენსა განგებულად, რაჲთა განიკურნო ცოდვისაგან პირველ განსლვისა შენისა ამიერ სოფლით; და განემზადე განრინებად ცეცხლისა მისგან საშინელისა და აღივსე შენ ნათლითა მით ქეშმარიტითა, და უწყოდე, ვითარმედ ღმერთი არა ხოლო თუ ნათე(128)ლ ოდენ არს, არამედ ცეცხლ, შემწუველ ცოდვილთა, და ნეტარ არს რომელი ღირს იქმნეს ნათელსა მისსა, და ვაჲ არს მისა, რომელი მოელის ცეცხლსა მისსა. რამეთუ საქმენი კაცად-კაცადისა ჩუენისანი ცეცხლითა გამოიცადებინ. და არა საჭმარ არს მუნ შეშაჲ საგზებელად, [ჟ] არამედ საქმეთა ედებოდის ცეცხლი.

იხილე და ნუმცა იქმნებთან საქმენი შენნი შეშა დასაწუველ სულისა შენისა საუკუნოდ, აღიხუენ წიგნნი საღმრთონი და იხილე, ვიდრე მიიწინეს მართალნი და წმიდანი და ვიდრე მივიდეს ცოდვილნი და უღმრთონი, და ეკრძაღე რომელთა თანა წარხვდე. ღმერთმან დაგასხა შენ ვენჯად ქეშმარიტად, ნაყოფის გამომღებელად და იგი თვთ მომავალ არს მოსთულებად ნაყოფისა შენისა. იხილე და ჰპოებსმცა შენ თანა ნაყოფთა სიტკობებისათა, რომელ არიან ნაყოფნი სათნოებისანი. იხილე და ნუმცა ჰპოებს შენ თანა ნაცვალად ყურძნისა ეკალსა და ნაცვალად იფქლისა კუროდს-თავსა, რომელ არს ცოდვითა მდგრობაჲ. ნუმცა განხუალ ამიერ ტურთ-მძიმე შეშითა და თივითა და ბზითა და ლერწმითა, რომელი დასაწუველ არს, ვინაჲთგან უწყვი, ვითარმედ ღმერთი ცეცხლ შემწუველ არს (129) ცოდვილთათჳს. ეკრძაღე, რაჲთა არა ნარჩევ და შეურაცხ იქმნე, რამეთუ ნარჩეენი წინაშე მისსა არიან მოქმედნი ბოროტისანი. ამათ შეურაცხ-ჰყოფს, ხოლო მოშიშთა მისთა აღიღებს. გეშინოდენ, ზ უბადრუკო, სატანჯველთაგან, [142] რამეთუ ცოდვაჲ არა თუ გარეშე არს ჩუენგან, არამედ დაწერილ არს გულთა შინა ჩუენთა, რაჲთა, უკუეთუ მუნ გენებოს უარის-ყოფად და სთქუა, არა უწყვი, თუ მიქმნიეს ესევეთარი რაჲმე, მუნთქუესვე გამხილოს შენ წერილმან მან გულისა შენისამან. რამეთუ არა თუ მელნითა დაწერილ არს იგი, ვითარმცა შეუძლე ატოცად, არამედ დაწერილ არს იგი კალმითა რკინისაჲთა, რაჲთა გამხილოს დღესა მას

1-2 ოდეს-იგი ... დამალვად]—A. 2 დამალა C, დამალა B. 3 მიპრიდებ B; კაენი BC; შენ]—C. 8 დაიუნჯენ C, დაიუნჯენ B; შინა]—B. 10 მისგან] მის CB; საშინელისაგან B. 13 იქმნას C. 14 მისა C; კაცად-კაცადისანი ჩუენისა B] + საქმენი B; გამოიცადებდი B. 19-20 და ეკრძაღე ეკრძაღე B. 20 წარხუიდე C. 21 თუთი C. 22 ნაყოფთა] ტყვანთა C. 25 მიერ B; ტურთ-მძიმე C. 27 ცოდვილთათვის C. 28 იქმნა C, ექმნე B; მისსა] მისა C. 32 უვარის-ყოფა BC; მიქნიეს C. 33 რაჲმე]+საქმე B. 35 ვერილ C.

განკითხვისასა საშინელსა, ოდეს-იგი განიშიშულოს მეკრდი შენი და ცხადად განოჩნდეს წერილი იგი გულისა შენისაჲ, და იხილოს იგი ყოველმან დაბადებულმან, რამეთუ არა არს დაფარული, რომელი არა გამოცხადნეს. და მსაჯულმან მან გამოაცხადნეს საიდუმლონი გულისანი არა თუ ამისთჳს, რაჲთა მან იხილნეს, რამეთუ იგი წინაჲსწარ ყოველსავე მეცნიერ არს, არამედ გამოუცხადნეს იგინი ყოველთა ძეთა კაცთასა. მაშინ აღდგენ ცოდვილნი ყუედრებად და სირცხვლად საუკუნოდ დაისაჯნენ.

ილოცევედით, საყუარელნო, (180) რაჲთა განერნეთ მისგან, და მიისწრაფეთ მეკურნალისა და უჩუენეთ მას წყლულებჲა სულთა თქუენთაჲ და იტყოდით: განმეკურნე მე, უფალო, და განვიკურნო [უ]; მაცხოვრე მე და ვცხონდე. აწ უკუე ეკრძაღე თავსა შენსა და მას იქმოდე; რომელი საკურნებელი იყოს სულისა შენისაჲ და ნუ განეშორებდი, ჳ უბადრუკო, კეთილის მყოფელსა შენსა და ეგრე იქმოდე, რაჲთა ვითარცა მიუწყო, მითცა მოგეწყოს შენ. და ნუ ექმნები მიზეზ სულსა შენსა არა დაწერად სახელი მისი ცათა შინა. უკუეთუ გნებაჲს, რაჲთა იყო ზიარ წმიდათა თანა, იქმოდე საქმესა მათსა. რაჲდენნი განსაცდელნი შეემთხვნეს მათ, რაჲდენ გზის იგინეს, რაჲდენ გზის იყუედრნეს, დაიქოლნეს, განიხერხნეს, პირითა მახვლისაჲთა მოისრნეს, განიდევნნეს და ურიცხუნი კირნი და სატანჯველნი თავა-იხნეს. აწ უკუეთუ შემძლებელ ხარ შენცა დათმენად ამას ყოველსა, ნაწილი მოგეცეს მათ თანა აწვე. ხოლო უკუეთუ გნებაჲს [უ]კირველად და უშრომელად გვრგვინოსან ყოფჲა, დაჯერებულ იყავ, ვითარმედ ვერვინ გვრგვინოსან იქმნების თვნიერ სულთა მოლუაწეთასა. ყვენ ცოდვიანი შენნი მარადის გამოსახულ წინაშე თუალთა შენთა. მამხილებელად შენდა და ნუმცა (181) თვნიერ მწუხარებისა იქსენებ მათ, რაჲთა არა [1.43] საუკუნოდ მწუხარე იქმნე, არამედ სულთ-ითქუემდი, იგლოვდი და ტიროდე თავ-მოდრეკილად სულ-თქუემითა გულისა შენისაჲთა და ამით გლოვითა იქსენ სული შენი გლოჲსა მისგან საუკუნოჲსა, რამეთუ რაჲდენცა შეიადწრო და შეაწუხო თავი შენი აქა, ეგოდენცა ფართოებჲა და სიხარული ჰპოო მუნ.

აწ უკუე უმჯობეს არს შენდა, რაჲთა მოსტანჯო სული შენი აქა და არა მიხვდე სატანჯველად საუკუნოდ. ტიროდე აქა, რაჲთა არა მუნ სტიროდი საუკუნოდ. განიფრთხვე, ჳ უბადრუკო, და უწყოდე ქეშმარიტად, ვითარმედ წარდგომად ხარ შენ წინაშე მსაჯულისა მის, რომელი განიკითხავს გულსა და

3-4 და მსაჯულმან] რ მსაჯულმან BC. 4 საიდუმლონი C. 5 წინაჲსწარე C; ყოველსა C; ად] + რაჲთა B. 6 იგინი ... კაცთასა] იგი ყოველთა კაცთა B. 7 სირცხვილად C. 9 სულისა თქუენისაჲ B; თქუენთა C. 10 მე] — C. 11 ~ ეკრძაღე აწ უკუე B; საკურნებელ BC. 12 შენისა BC; კეთილისა მყოფელსა B. 13 რაჲთა] რ BC; მითაცა] ეგრეცა BC; შენ] — B; და ნუ] ნუ B. 15 რაოდენნი B. 16 შეემთხვინეს C; რაოდენ გზის B. 17 და დაიქოლნეს B; და პირითა B; მახვილისაჲთა C. 18 სატანჯველნი] განსაცდელნი C; და სატანჯველნი] — B. 19 შენცა] — B; მოგეცეს C. 20 ~ უშრომელად და უკირველად C; უკირველად და] — C. 21 გუიარგუინოსან C. თვნიერ C; სულთა] სრულთა BC. 23 თვნიერ C. 24 სულთ-ითქუემდი] — BC. 25 ~ სულ-თქუემითა გულისა შენისაჲთა თავმოდრეკილად B; და მით გლოვითა C; იქსენ C; იქსენ B. 26 გლოვის B, გულოისა A; შეადწრო C. 27 ეგოდენი C; ჰპოო BC. 28 შენდა] — BC. 29 მიხვდი C; საუკუნოდ] — B. 31 გულთა C.

თირკუმელთა, დაუთმე მტკივანთა სიტყუათა უბასუხოდ და ილუაწე ყოვლითა მოსწრაფებითა, რაჲთა არა მიეცე დიდსა მას განსაკითხავსა, რამეთუ უკუეთუ აქავე არა განიწმიდო, მუნ სულთ-ითქუმიდღე მარადის, ვითარცა მდიდარი იგი. და გესმეს შენცა, ვითარმედ ჩუენ შორის დიდი მთხრებლი დახეთქილ არს და ვერვინ შემძლებელ არს წიაღმოსლვად მიერ. ევედრე ღმერთსა, რაჲთა განგარინოს შენ მუნთა მათ პატიეთა და შეგარ(132)თოს სანატრელთა მათ თანა, რომელნი იშუებენ კეთილთა მათ შინა დაუსრულებელთა.

[ვ] განალაქე სული შენი დაჯსნილობისაგან, რომელსა შინა ხარ შენ, რამეთუ ჯერ-არს შენდა, რაჲთა იყო მჭურვალე მცნებათა ღმრთისათა აღსრულებად. ვითარცა ცეცხლი, და ნუ ხარ უგრილეს ნაცრისა და მკუდარ უფროჲს მოკლულისა. განაგდე შენგან ყოველივე და შეჰვედრე თავი შენი ღმერთსა და ისწრაფდი დღე და ღამე ლოცვასა. უკუეთუ ესე ჰყო, განდევნოს შენგან ღმერთმან ყოველივე გემოთ-მოყუარებაჲ სოფლისაჲ ამის და დაგამკდოს ბუდეთა ზეცისათა და მოგაჯსენებდეს მუნთა მათ სატანჯველთა და საშუებელთა მარადის, და განგაშოროს შენ ყოველი უღებებაჲ, და ყოს სული შენი უსუბუქეს ფრთეთა მფრინველისათა, და ტრფიალ გყოს შენ კეთილთა მათ მოსალოდებელთა და შეურაცხ-ჰყენე ყოველნი საშუებელნი და დიდებანი სოფლისანი.

აწ უკუე შეურაცხ-ყავ ყოველი ხილული და მოიგე ღმობიერობაჲ მარადის და განახუენ გარდამოსადინელნი ცრემლთანი, რომელთაგან ფრიადი სარგებელი იპოების, რამეთუ არარაჲ მიგუაახლებს ღმერთსა უფროჲს ცრემლთა ღმობიერთასა. (133) უკუეთუ ესე საქმენი მოიგნე, დაღაცათუ ქალაქსა შინა. მკვდრ იყო, ვითარცა უდაბნოს იყავ. [144] ნუ ვის ჰხედავ და ნუ განსძღებო ტირილითა, რომელსა მიიწიო. ამისთჳს ღმერთი მისცემს ნეტარებასა მგლოვარეთა და იტყჳს: „ნეტარ იყუნენ მგლოვარენი გულითა“¹⁾. და უკუეთუ თქუას მეტყუელმან, ვითარმედ რაჲსა უკუე თქუა პავლე: იხარებდით ღმრთისა მიმართ მარადის²⁾; იგლოვენ ესე მეტყუელმან, ვითარმედ პავლე სიხარულსა და შუებასა მას იტყჳს, რომელი ამის გლოვისა გამო იყოფვოდის, რამეთუ ვითარცა-იგი მწუხარებასა შეუდგნ სიხარული ამის სოფლისაჲ, ეგრეთვე ტირილი, რომელი ღმრთისათჳს არს, შვის მან სიხარული საუკუნოჲ უცვალებელი, რამეთუ ეგრეთვე ღმობიერად ტირილითა მეძავი უწმიდეს ქალწულისა იქმნა, რამეთუ ვითარცა-იგი გარდამოცდის ზეცით მძაფრი წყმაჲ და შემდგომად მისა

2 რ' ხ' C, ესე უწყოდე B. 4 ~ მთხრებლი დიდი BC. 5 მიერ]+ჩუენდა B. 6 მუნთა]-B; მათგან პატიეთა C, პატიეთა მათგან B]+საუკუნეთა B. 8. განალუიძე C; სული]-A. 9 ყყო C. 11 მოკლულისა]+მის B. 12 ესწრაფდი C; და უკუეთუ BC; ჰყო]-A; ~ ღწ შწგწ BC. 13 დაგამკუიდროს C]+შენ B. 14 ბუდეთა]+სყოფელთა B; და მოგაჯსენებდეს... საშუებელთა მარადის]-B. 15 შენი შენგან BC. 16 მფრინველისათა C. 20 გარდამოსადინელნი]+გარდ(ა)მოსაქანელნი BC. 23 მკუიდრ C; უდაბნოსა B; ხედავ CB. 24 მიიწიო C; ამისთჳს C. 25 ოტყუის C, ეტყჳს B; მგლოვარენი BC; გულითა]+რ' იგინი ნუგეშინის ცემულ იყვენ B. 27 იგლოვენ]+მგულენ C, იგულენ B. 28 იტყუის C; გლოვასა C; ყყოფოდის C, იყოს B. 30 ღწითისათჳს C; არს B; და შვის B; უცვალებელი]-B. 31 ~ ტირილითა ღმობიერითა B; მეძავი]+იგი BC. 32 მძაფრი]+მძაფრი C; წუიმაჲ C.

1) მათე 5, 4. 2) შდრ. ფილიპ. 4, 4.

უმცხინვარეს გამობრწყინდის მზის-თუალისა იგი სინათლე, ეგრძეთვე ოდეს დაითხინიან ცრემლნი მჭურვალენი ლმობიერად, განანათლიან სიბნელე იგი . ცოდვისაჲ. და ვითარცა-იგი წყლისაგან და სულისა განვიწმიდნით პირველად, ეგრეთვე აწ ტირილითა და აღსა(ა)რებითა ცოდვათაჲთა განვიწმიდნებით კულად და უფროასლა, (134) რაჲმს არა იყოს ტირილი ჩუენ თანა საჩუენებელად . კაცთა. რაზეთუ ტირილი, რომელი საჩუენებელად კაცთა არნ, მსგავს[ეს] არნ იგი რომელთამე მეძავთა, რომელთა მოიქმნიან პირნი მათნი სატრფიალოდ კაცთა უგუნურთა. მე მათ ცრემლთა ვიტყვ, რომელნი არიან გულისაგან ლმობიერისა ფარულად და არა საჩუენებელად საუნჯესა შინა, სადა-იგი არა ჰხედავენ თვნიერ ღმრთისა. ვითარცა იყო ტირილი ანაჲსი, დედისა სამოელისი, რამეთუ ენაჲ არა იძრვოდა და ტირილი მისი ლალადებდა. ესრეთ ითხოვეს შენგან ღმერთი, რაჲთა ვითარცა იგი სტიროდა იერუსალშმსა, ეგრეთ სტიროდი. რამეთუ ტირილი მჰსნელისა ჩუენისაჲ გუპოვნიეს წიგნთა შინა, ვითარმედ ტიროდა მრავალ გზის ვითარცა ლაზარეს ზედა. ხოლო სიცილი მისი არასადა გუპოვნიეს და არცა ყოლადვე განღიმებაჲ. ეგრძეთვე პავლესიცა გუპოვნი[ე]ს ტირილი წიგნთა შინა, ხოლო სიცილი არასადა. და არცა სხუათა წმიდათაჲ გუასმიეს ვისგანმე, თუმცა ვინმე იცინოდა. რამეთუ ესე ხოლო გუასმიეს, ვითარმედ ნოვეს ძე მარტოჲ იცინოდა უგუნურად, და ამისთვის აზნაურებისაგან მონა იქმნა იგი და ნათესავი მისი უკუნისამდე. ხოლო მე არა ამას გეტყვ, რაჲთა ყოლადვე არა იცინოდი, არამედ რაჲთა არა იყოს (135) სიცილი შენი განტევებულად და განცხრომით კაცთა ბასრობისათვის უგუნურად. და ესრეთცა არავე ჯერ-არს შენდა სიცილი ყოლადვე, ვინაჲთგან მოელი შენ დღესა მას საშუელისასა განკითხვად, და სიტყუაჲ მიცემად გიც ყოველთა საქმეთა შენთათვის, [145] რომელნი იცნი და რომელნი არა იცნი. რამეთუ დალცათუმცა არა უწყოდე შენ ბრალი შენი, ამით ვერვე განჰმართლდები.

აწ უკუე იგლოვდი მარადის და ეკრძალე, რაჲთა არა გასწაოს ეშმაკმან და სთქუა, ვითარმედ: ტირილი ჩემი რაჲ სარგებელ არს? რამეთუ მსაჯულთა მსოფლიოთა ოდეს განბჭიან ვისთვისმე სიკუდილი გინა გუემაჲ, დალცათუმცა ტიროდა იგი ფრიად მწარითა ცრემლითა და ტირილითა ლმობიერითა, ვერ განერების იგი პატიჲისა მისგან განბჭობილისა მის ზედა, ხოლო ღმრთისა-

1 ეგრეთვე A. 3 განვიწმიდნით C. 4 აღსარებითა C; განვიწმიდნებით C, განვიწმიდნებით B; კულად] კეთილად C. 6 არს BC; არნ იგი] არს იგი C. 7 რ'ლთა მოიქმნიან პირნი მათნი სატრფიალოდ] რ'ეს-იგი პირნი მათნი მოიკახმნიან საჩუენებელად B; მოიქმნიან C. 8 უგუნურთა]—C; მე—B; ვიტყუი C; არიან] არიედ BC. 9 და არა საჩუენებელად]—B; საუნჯეთა BC; სადა-იგი არაჲინ ზედვიდეს C; არაჲინ ზედავენ B. 10 თუნიერ C. 11 ეძრვოდა C; ითხოლს A. 12 ა'შმსა C; რა' ე'ა-იგი ... სტიროდი] — B. 13 რ' + ე'ა-იგი C; გუიპოვნიეს C. 15 გუიპოვნიეს C; ეგრეთვე A, ეგრეთვე BC. 16 გუიპოვნიეს C. 17 ვინმე] სადა ვინ C. 18 გუასმიეს] + მარტოდ B; ნოეს C; მარტოჲ]—B; უგუნურად]—C; ამისთვის C. 20 ~ არა იცინოდით ყოლადვე B. 21 და განცხრომით] — B; ბასრუბისათვის A, ბასრობისათვის C. 22 ესრეთცა A, ესრეთცა C, და ესეცა B. 23 სასჯელისასა C. 23-24 საქმეთათვის შენთა C. 25 უწყოდე] იცნოდე B; შენ]—A; ბრალი შენი] საქმენი შენნი B. 27 არს B. 28 სოფლისათა B; ოდეს]—B; ვისთვისმე C]—A; ~ გუემაჲ გინა სიკუდილი C. 29 იგი ფ'დ] — B; მწარედ B; ცრემლითა] + ფ'დ B; და ტირილითა ლმობიერითა]—B; ვერ] ვერვე B. 30 იგი]—C.

გან უკუეთუ განოვიდეს შენ ზედა განბჭობაჲ, და სულთ-ითქუნე და შესწუხნე, მუნთქუესვე შეგიწყალებს და შეგინდობს. ამისთჳს უფალი ჩუენი იესუ ქრისტე ვაებასა მისცემს, რომელნი იცინოდიან, რაჲთა სულ-თქუმითა და ტირილითა დაუწკდროს მათ სასუფეველი.

- 8 უწყოდე, რამეთუ გიწოდა შენ ბაკსა მას ზეცისასა და გზასა ანგელოზ-თასა. (136) აწ უკუე ნუმცა იტყვ სიტყუათა ცუდთა განცხრომისა და ლალო-ბისათა, რომელნი აიძულებენ სიცილად, არამედ იყავნ გონებაჲ შენი ყოლადვე მგლოვარე და შემუსრვილ, და მოსწრაფე იქმენ ყოვლითა ძალითა შენითა მოგებად გზრგზნსა, და უწყოდე, რამეთუ მრავალთა ღელვათა და განსაცდელთა
- 10 წინააღდგომაჲ გელის შენ. აწ უკუე საფუძველი მტკიცე და შეურყეველი დაუ[146]დევ სულსა შენსა, რამეთუ არა ერთი გინა ორი, გინა სამი განსაცდელი გეკუთების შენ, არამედ მრავლითა ჳირითა შეხუალ სასუფეველსა ცათასა. და არა მსგავს არს ღუაწლი ჩუენი ღუაწლსა მსოფლიოთასა, რაჲთამცა რაჲმს ვილუაწეთ ერთ გზის გინა ორ გზის, ანუ თუ სამ გზის, და მისსა
- 12 შემდგომად გან-მცა-ვისუენეთ, არამედ ჯერ-არს ჩუენდა დლითი-დღედ, რაჲთა ვილუწიდეთ ღუაწლთა აურაცხელთა, არა ხოლო თუ ოდენ დღისი, არამედ ღამეცა ღუაწლი ჩუენი მდგომარე არს დაუცადებელად. და მრავალთა სძლეს დღისი და იძლინეს ღამით. რამეთუ მრავალ-ფერ არს ბრძოლაჲ ჩუენი ფრიად: ანუ ვსძლოთ, ანუ ვიძლინეთ.
- 20 გნებაგსა ხილვაჲ წათი, რომელნი სძლევენ, რომელნი ივინებიან და შეურაცხ კაცთა მიერ (137) და დაწუნებულ არიან და მონაგები მათი მიიხუეკებინს და ივინი არავისგან შურსა იგებენ, არამედ ძლიერად დაითმენენ ყოველსა? ივინი ჳემმარტად მძლედ გამოჩნდებიან ღუაწლსა, ვითარცა-იგი ღუაწლსა სოფლისასა მრავალნი იწყლნიან და იცემნიან და მოთმინებითა მათითა გზრგზოსან იქმნიან. ეგრეთვე რომელმან ილუაწოს ღმრთისათჳს და მვნედ დაუთმოს განსაცდელთა მომავალთა მის ზედა, ამან მოიღოს გზრგზნი მოლუაწებისაჲ. და ვითარცა თქუა უფალმან ჩუენმან გლახაკათჳს, ვითარმედ: რომელი უ[ს]ყოთ ერთსა მათგანსა, ამას მე მიყოფთ ¹⁾. და ეგრეთვე იტყვს კულადცა: ყოველსა რომელსა ძკრი უყოთ, მასცა მე მიზამთ ²⁾, ნუ უმადლო ხარ კეთილის
- 30 მყოფელისა შენისა, ჳმა-ეც მას, რომელი გიწოდს შენ ყოველსა ჟამსა. იგი დაჯერებულ იქმნა ვნებად შენთჳს და რომლისა შენ თანა-მდებ იყავ, მან თავს-იღვა.

1 შენ ზა]—B; და შენ სულთ-ითქუნე B. 2 მუნთქუესვე] მასვე ჟამსა B; ამისთჳს B; აესუ. C. 4 მათ]—B. 6 იტყუი C; განცხრომით და ლალობით B. 7 აძძულებენ C. 9 გუირგუინსა C; ღელვათა] ბრძოლაჲ CB. 11 არა ერთი] არათუ ერთი C. 12 ჳირითა] ტირილითა C. 14 რ'ეს]—B; ანუ თუ] გინა BC; მისსა] მისა BC. 15 გა-მცა-ვისუენეთ C; ა'დ]—B. 17 და დაუცადებელ CB. 18 ფ'დ] არს C. 21 არიედ B. 24-25 გუირგუინოსან C. 26 გუირგუინი C. 27 გლახაკათჳს C. 28 იტყუის C; კულადცა] ვითარმედ C. 29 ძუირი C; უყავთ B; მასცა მე მიზამთ] იგი მე მიყოფთ B.

¹⁾ შდრ. მათე 25, 40. ²⁾ შდრ. მათე 25, 45.

აწ უკუე ჯერ-არს შენდა თქუმად, ვითარცა წიგნი იტყვს: რად მივაგო უფალსა ყოვლისავეთვს, რომელი-ესე მომცა მე? ილუაწე, რადთა არა განპვარდე ჴელისაგან ღმრთისა, # უბადრუკო, რამეთუ ესე ხოლო მარტოჲ სარგებელ არს შენდა. რომელი ამისსა ურჩ იყოს, ვნებაჲ არს, რამეთუ საქმე ჩუენი მსგავს აჩრდილისა არს. (138) სადა არს იგი, რომელ გუშინ იყო, რადთა დღესცა ვგრევე ილუწიდეს, ვითარცა გუშინ. სად(ა) არს, რომელი წარაგე მუცლისათვის, რადთა მისებრევე იზრუნო. ესე საწუთროჲ, ვითარცა საუცარი არს და არა ჴეშმარიტი. განიფრთხევე დასულებისაგან, # საყუარელო, და ნუ კუალად სცოდავ, ვითარცა წერილი იტყვს: რამეთუ ყოველნი საქმენი აქა დაშთებიან, ხოლო ცოდვანი თანა მიგუყუებიან.

გეშინოდენ ღრქენისა მისგან კბილთაჲსა და ცეცხლისა მისგან, რომელი განპლევს ყოველსა, უკუეთუ ჰგონებდე ყოველსა ეამსა, ვითარმედ ღმერთი მახლობელ არს შენდა, არა სცოდო, რამეთუ ცოდვაჲ უმეტრებისაგან ღმრთისა იქმნების კაცისაგან. და არასადა ვინ კაცთაგანი იგონებნ გონებასა ცოდვისა ეამსა, ვითარმედ ღმერთი ჰხედავს მას, [147] არამედ გულისწმა-ყავ, # საწყალობელო, ვითარმედ იგი დაფარულთა შენთა ყოველთა ცხადად ჰხედავს და საიდუმლოთა გამოეძიებს ყოველსა ეამსა. დაღაცათუ სულგრძელ არს იგი შენ ზედა და არა მწრათლ ჰნებავს წარწყმედაჲ შენი, რამეთუ ელის მოქცეეასა შენსა სინანულად, რადთა კუალად შეგიწყალოს და არა წარწყმდე, რამეთუ უწყის უძღურებაჲ შენი, ვითარმედ ვერ შემძლებელ ხარ ხედვად ზეცას და ქუეყანად ერთსა შინა ეამსა. (139) უკუეთუმცა გულისწმა-ყეო კაენს, ვითარმედ ღმერთი ჰხედავს, არა სამემცა მოეკლა ძმაჲ თვისი აბელ შურითა. და კუალად უკუეთუმცა უწყოდა ევა, ვითარმედ ღმერთი ჰხედავს მას, არა სადამცა ხისა მის ნაყოფი მოელო ბოროტად.

იყავნ ღმერთი მარადის წინაშე თუალთა შენთა და არა შეჰვარდე შენ მრავალსა შრომასა შემდგომად მცირედისა ცოდვისა, არამედ იყავ შენ მარადის დაწყნარებულ და მყუდრო, რამეთუ სადა შიში, ღმერთი იპოვის მუნ, ცოდვაჲ მიახლებად ვერ შემძლებელ იქმნის. აწ დაჯერე გონებაჲ შენი, ვითარმედ ღმერთი განუშორებელად მარადის თანა გიდგს და ჰხედავს საქმეთა შენთა და არარაჲ დაეფარების მათგანი. მოიგე შიში ღმრთისაჲ ვითარცა საფასჲ განმა[მ]იღიდრებელი, რამეთუ ყოველნი საქმენი ამის სოფლისანი ცუდ და ამოო არიან, ხოლო სათნოებაჲ ღმრთისაჲ არს საფასე განუხარწნელი და პატიოსანი. განიწმიდე გული შენი, რადთა ღირს იქმნე ხილვად ღმრთისა,

1 იტყუის C. 2 ყოვლისავეთუის C, ყოვლისავე მისთვის B. 4 და რომელი C; ამისა CB. 6 ვგრეთვე ილწიდეს C. 6-7 მუცლისათუის C. 9 იტყუის C. 10 მიგუყუებიანი|+თანა B, +მუნ C. 11 რ'ი რომელი B. 12 ყოველთა B; იგონებდე B. 13 არა სადა სცოდო C; უმეტრებისაგან| მცირედ მეცნიერებისაგან BC; ღმრთისა|—C. 15 ხედავს CB. 16 სადუმლოთა C. 18 მსწრათლ C. 20 ხეცად BC. 22 თუისი C; და კუალად| კუალად B. 23 ევაჲ C; ხედავს C. 24 ბოროტად|+ცთომით B. 26 იყავ იყო BC. 27 დაწყნარებულად B; მყუდროდ B; ღმრთისაჲ BC; აბოების C. 28 ~ მიახლებად ვერ ჴელ-ეწიფის ცოდვასა B. 29 ხედავს C. 30 მათგანი|+ყოლადვე B; მოგე C; ღმრთისაჲ| მისი BC. 31 საფასე A. 32 არიედ B; ~ საფასე არს B. 33 განწმიდე B; ღრისა| პირსა ღრთისაჲ C.

- რამეთუ თჳნიერ სიწმიდისა ვერვინ შემძლებელ არს ხილვად პირსა ღმრთი-
სასა, ვითარცა წერილ არს, [უ] ვითარმედ: „ნეტარ იყვენ წმიდანი გულითა,
რამეთუ მათ ღმერთი იხილონ“¹⁾. ჯერ-არს შენდა, რაჲთა იქმნე მარილ და
შეამარილო სული შენი და განსწმიდო (140) გული შენი და მით შეანელო
5 გონებაჲ შენი და სიტყუანი შენნი და დაიცვენ საქმენი შენნი. და შეჰმარილნე
განრყუნილნი გულის-სიტყუანი შენნი და განჰრცხე სულ-მყარლობაჲ ცოდვისაჲ.
ხოლო განწმედაჲ ბილწებისა და შეგინებულობისა შენისაგან მხოლოდსა ღმრთისა
მიერ არს და მოქცევაჲ ცოდვისა და უღებობისაგან შენგან არს. და არა ხოლო
10 თუ სულისა განრინებასა გიბრძანებს ღმერთი, არამედ მახლობელთა შენთა-
საცა, რაჲთა გარდმოადინო მათ ზედა ზრუნვაჲ და შეწვევაჲ შენი. უწყოდე
სარგებელი სიტყუათაჲ, რომელნი ითქუნენ, და მოჰრიდე ყოველსა ცოდვასა,
რომელი მოაწევს დაჰირვებასა და უფროდსა შესმენასა და ძჳრის ზრახვასა,
რომელი დაჰირვება არს და არა შეძინება. რამეთუ ღმერთმან მხოლომან
უწყნის კეთილნი და ბორ[ოტ]ნი, რამეთუ იგი მხოლოჲ ჰხედავს საიდუმლოთა
15 გულისათა. და შენ განკითხვითა ძმისა შენისაჲთა სულსა შენსა უფროდს გა-
ნიკითხავ. იხილეა მეძავი იგი, რამეთუ არავის სხუასა განიკითხვიდა წინაშე
ქრისტესა, არამედ ტირილითა დააჯერა უფალი, და რაჲმს ისმინა (141)
მკურნალმან დაღადებაჲ იგი ტირილისა მისისაჲ, მიჰმადლა მას ცხორებაჲ.
ემსგავსე უკუე შენცა მეძავსა მას არა თუ ცოდვითა, [142] არამედ სი-
20 ნანულითა და ტირილითა. მოიგე მსაჯული შემწედ შენდა, ამით მცირედითა
ცრემლითა დაშრიტე საქუმილი იგი საუკუნოდას მის ცეცხლისაჲ. მცნებაჲ
მოუცემია შენდა ღმერთსა არა თუ მძიმე და შრომითი, არამედ ფრიად სუ-
ბუქი, რომლითა განერები ყოველთა ცოდვათა შენთაგან. რაჲ უკუე შრომაჲ
აქუს ტირილსა ლოცვასა შინა გინა შფოთისა დაცადებასა, გინა შურისა და
25 კაცთა განკითხვისაგან დაცხრომასა. რომელთა სჳფასეთა წარგებაჲ გინებს
ამის მცნებისა აღსრულებისათჳს, რამეთუ ღმობიერობაჲ ხოლო მარტოჲ გი-
ნებს და მით შემძლებელ ხარ აღსრულებად.
- გნებაჲსა, რაჲთა გასწაო შესლვაჲ, რომელსა შინა სარგებელ ჰპოო? იყავ
შენ მარადის შემასმენელ თავისა შენისა და განმკითხველ სულისა შენისა და
30 მამხილებელ ცოდვათა შენთა, ვითარცა წიგნი იტყჳს: „ალიარენ შენ პირ-
ველად ცოდვანი შენნი, რაჲთა განჰმართლდე“²⁾. ამას განკითხვასა აქუს მადლი
და ცხორებაჲ. და ნუ გამოეძიებ სხჳსა საქმეთა, (142) არამედ ალიარე ნაკლულევა-
ნებაჲ შენი. და ვინაჲთგან გიცნობია განკითხვაჲ სარგებელისა მომატყუებელი,

1 თუნიერ C; რამეთუ თჳნიერ ... პირსა ღმრთისა] — B. 2 იყუნენ C. 6 განჰრცხე BC.
7 შეგინებულობისა C. 8 ცოდვისა C; უღებობისაგან BC. 9 სულისა] + შენისა BC. 12 ძჳრის C.
13 მხოლო C. 14 ხედავს C; საიდუმლოთა C. 18 ცხორებაჲ] + საუკუნო B. 20 ტირილითა] +
და სულთქმითა C. 21 საუკუნოდას B; მის ცეცხლისაჲ] — B. 22 მოუცემიეს BC. 25 დაცხრო-
მასა] გინა განცხრომისა B; ~ გინებს წარგებაჲ B. 26 მცნებისათჳს B; აღსრულებისათჳს C;
აღსრულებისათჳს]—B; ამის მცნებისა აღსრულებისათჳს]—A. 28 შესლვაჲ] შესმენა BC; ჰპოო
C; რომელსა შინა სარგებელი ჰპოო] — B; ყავ C. 29 შენ] — B. 30 იტყჳის C. 32 სხუისა C.
33 და]—B; გიცნობიეს BC; მომატყუებელად B.

1) მათე 5, 8. 2) შტრ. ესაია 43, 26.

განიკითხვედი მარადის თავსა შენსა და დააცადე სხვსა განკითხვამ. და ისწავე სარგებელი ღუმილისაჲ და დაჭირებამ სიტყუს-გებისაჲ, და ეკრძაღე დაბრკოლებასა ყოლადვე. [ს] და განგებამ შენიმცა ნათობს, ვითარცა მზე წინაშე მათსა, რომელთა ჰნებავს გაკათხვამ კაცთაჲ, რამეთუ შენ დაღაცათუ ბევრეულითა განკითხვითა განიკითხვიდე სულსა შენსა, არა მოაკლდების ნათელი შენი, არამედ სხუათაგანცა მადლი მოგეცეს, და არა ხოლო თუ სული შენი აცხოვნო, არამედ სახელიცა ღმრთისაჲ იდიდებოდის შენ ძლით, ვითარცა-იგი თუმცა რაჟამს სხუათა განიკითხვიდი, სულიმცა შენი იზღვიე და ღმერთიმცა იგმებოდა შენ ძლითვე.

ილუაწე, რადთა განაბრწყინენე საქმენი შენ[ნი] არა თუ გამოცხადებითა შენითა წინაშე კაცთა, არამედ რადთა არავის მიზეზ ექმნე განკითხვად შენდა და ცოდვად, დაღაცათუ სათნოებათა აღასრულებდე. და უკუეთუმცა ყოველთა კაცთა ბოროტი თქუეს შენთვის, არამედ ყოველთაგან ნეტარებამ მოგეცემოდის. ხოლო ნუ მწუხარე ხარ, (143) რაჟამს ბოროტსა იტყოდინ შენთვის, რამეთუ მით ფრიადი მადლი მოგეცემის შენ, უფროდსა რაჟამს ცუდსა იტყოდინ შენთვის. ხოლო უკუეთუ სიმართლით განგიკითხიდვე[ნი], ვამ არს შენდა, თუცა არაეინ განგიკითხოს. ნუ ხოლო სათნოების მოყუარე ხარ. არამედ ძმათ მოყუარე იყავ, რამეთუ რაჟამს იყო შენ ძმათ მოყუარე, განგიყრიან შენგან ისარნი განკითხვისა და შესენისანი.

იყავ მოწყალე, [149] რამეთუ ესევეთარსა სათნოებასა მადლი აქუს ფრიად. მიემსგავსე მას, რომელმან-იგი თქუა, ვითარმედ: ვტიროდე მე ყოველთა უძღურთათვის და სულთ-ვითქუემდ ჰირვეულთათვის. უკუეთუ რომელი ტიროდის, მას მადლი აქუს, რადენ უფროდს რომელი შემწე ეყოს გლახასა და განძლიერნეს უძღურნი, უდიდესი მადლი მოიღოს მან! განაგდე შენგან სიმყრალე განკითხვისაჲ, რამეთუ ეგების, თუ იყოს დღეს კაცი ბოროტ და ხვალე კეთილ. ნუ აცთუნებ თავსა შენსა და გნებავს აღსლვამ ზეცად. განაგდე შენგან ქუეყანისაჲ, რომელ არს საქმენი კაცთანი, და შეიკრძაღე მარადი ტირილი, რადთა ცრემლნი შენნი იქმნენ თესლ კეთილ და უშრომელად აღმოგიცენდეს შენ ნაყოფი სინანულისაჲ.

(144) რამეთუ ღმერთი არა ეძიებს ჟამთა სიგრძესა, რაჟამს ენებოს რადმე შეცვალეზამ საქმისაჲ, რამეთუ წამსა შინა გარდააქცია წყალი იგი ღუნოდ და ერთსა შინა ჟამსა განამრავლა პური იგი და ყო აღურაცხელ. და მეძაემან მან ჟამსა შინა ერთსა შეინანა და მასვე ჟამსა ცხონდა. ჟამსა შინა ერთსა დასთხინა ცრემლნი, მასვე ჟამსა შინა გამოსცა სული სურნელებისაჲ, რომელ

1 დააცადე] დასცხარ B; სხუათა BC; განკითხვისაგან B; და ისწავე] ისწავე B. 2 სიტყუის C. 4 განკითხვამ BC. 5 შენსა]—C. 8 თუმცა]—B. 10 აღუაწე C. 11 შენითა] მათითა BC. 13 შენთვის C; არამედ]—B. 14 რაჟამს] ოდეს C; იტყუედ B; შინთვის C. 15-16 იტყუედ B; 16 შენთვის C; სამართლად B, სამართალით C. 17 თუმცა BC; ძმათა B. 18 შენგან] შენ BC. 21 ფდი C; ვდი — C. 22 უძღურთათვის C; ჰირვეულთათვის C. 25 რამეთუ + ესრე B; ~ კაცი ბოროტ დღეს B. 26 ზეცას C. 28 აქმნენ B. 31 გარდააქცია] გარდაცვალა B; ღუნიოდ C. 33 შენსა C; ცხოვნდა C; ~ შინა ჟამსა C.

არს სინანულისაგან, რამეთუ არა ხოლო თუ ეგრე თქუა ქრისტემან, ვითარმედ: „მიგეტევნენ ცოდვანი შენი“¹⁾, არამედ ესრე თქუა: „ნუ გეშინინ, ასულო, რამეთუ მიტევებულ არიან ყოველნი ცოდვანი შენი“²⁾.

[ს] აწ უკუე გასმიეს განკითხვისა და შესმენისათჳს, კუალად ისინი სიმ-
 5 დაბლისათჳს, რომელ არს თავი ყოველთა კეთილთა და გზგვნი ბრწყინვალე
 ნომგებელთა მისთაჲ, ვითარცა თქუა უფალმან: „ნეტარ იყვნენ მგლოვარენი
 სულითა“³⁾. შეწირე ღმრთისა მსხუერპლი სიმაართლისაჲ, რამეთუ მსხუერპლ
 ღმრთისა არს სული მდაბალი. და უკუეთუ ესე სათნოებაჲ მოიპოო, ღმერთმან
 არა შეურაცხ-გყოს, ვითარცა იტყჳს, ვითარმედ: „გული წმიდაჲ და სული
 10 მდაბალი ღმერთმან არა შეურაცხ-ყვის“⁴⁾. ესე სათნოებაჲ არს თავი ყოველთა
 კეთილთაჲ, ვითარცა-იგი ამპარტავანებაჲ თავი არს ყოვლისა (145) ცოდვისაჲ,
 ეგრეცა სინდაბლე თავი არს სათნოებათაჲ და ამისი ჭეშმარიტებაჲ გვცნო-
 ბიეს ფარისევლისა მისგან და მეზუერისა, რამეთუ ერთი იგი ამპარტავანე-
 15 ბითა დაეცა ყოველთაგან კეთილისა საქმეთა მისთა, რომელ ჰქონდეს, და
 მეორემან სინდაბლითა თჳსითა პოა ნაყოფი, რომელი არასადა მოეგო მას.
 აწ უკუე ვინაჲთგან უწყით ესე, მოვიგოთ სიმდაბლ⁵⁾ იგი აღმამალლებელი და
 ვადიდებდეთ ღმერთსა უკუნისამდე, ამენ.

**თქმუთლი წმიდისა ბასილი მკისკოკოსნიხაჲ
 სინანულისათჳს და სიკუდილისა**

[160] არა არს საშინელ კაცთა მბრძოლთათჳს არცა მახული, და არცა-
 20 ლახუარი, ვითარ-იგი ჟამი სიკუდილისაჲ ცოდვილთათჳს. საშინელ არს, ძმანო.
 ჩემნო, დაძინებაჲ კაცისა ცოდვილისაჲ და ვითარცა თქუა სიბრძნემან: „დასწვე
 და ტკბილ გეყოს ძილი შენი“⁶⁾. ამას მოასწავებს სიკუდილსა მართალთასა,
 რანეთუ მათ ხოლო მარტოდ დაუტკბნების სიკუდილი, რამეთუ სიკუდილითა
 მათითა ინაჯ-იდგმენ ტაბლასა მას ზედა უფლისასა და დაძინებითა მათითა
 25 შევლენ ივინი განსასუენებელსა ზეცისასა. ვიდრემდის ამას ცხორებასა შინა-
 არიან, შიშსა და ძრწო(146)ლასა შეუპყრიან მერმისა მისთჳს მოსაგებელისა
 და სიკუდილსა მათსა სიხარულით და მხიარულებით მოიკითხვენ.

ხოლო რომელნი იშუებენ აქა ღვნითა და ჯორციითა და აღისრულებენ
 ნებასა გულის-თქუმისასა და განუსუენებენ ჯორცთა მათთა, დაძინებაჲ მათ არა.
 30 ტკბილ ეყოფვის, რამეთუ შუების მომგებელ ექმნების. ხოლო რომელთა-

1 ჰქუა ქრისტემან B. 4 შესმენისათჳს C; სიმდაბლისათჳს C. 5 გუირგუინი C. 6 იყუნენ C. 7 მსხუერპლი ღმრთისაჲ არს C. 8 მოაპოვო C, მოიპოვო B. 9 -ყოს B; იტყჳს C. 9-10 ვა იტყჳს... შეურაცხ-ყვის]—B. 12 ეგრეცა ეგრეთვე BC; სათნოებისაჲ BC; გულიცნობიეს C. 14 კეთილთა B. 15 თუისითა C; პოვა BC; მოეგო] + ეგვეთარი B. 16 სიმდაბლე BC, სიმ-
 დაბლე A. 17 უკუნითი უკუნისამდე B. 18 ებისკოპოზისაჲ C. 19 სინანულისათჳს C; სიკუდი-
 ლისა]+თავი იდ, პირველი საკითხავი A, თავი იე C. 20 მბრძოლთათჳს C; მახული C;
 ~ არცა ლახუარი და არცა მახული B. 21 ცოდვილთათჳს C. 22 დაწვე B. 25 ინაჯ იდგმენ C. 26 შევლენან B; ვ'დის]ვ'დ A; 27 არიედ B; ძრწოლასა] ღწოლასა A; შეუპყრიენ B; მისთჳს C. 29 მშუებენ C; ლუნითა C. 30 მათი B. 31 იყოფვის B, ეყოფის C; შუების მომგებელ] შუები-
 სა მომბატყებელ C, შუებისა მომღებელ B.

1) მათე 9,2. 2) შდრ. მათე 9,22. 3) შდრ. მათე 5,4. 4) ფსალმ. 50,15. 5) შდრ. ივანე 3,24.

დაუტკბნა აქა წარხვად და ეგემოვნა მღვდარებად და მოიპოვეს სიგლახაკჳ და უპოვრებად, მათ დაუტკბნების ძილი მათი უფროეს თაფლისა გოლისა. ძილი სიკუდილისაა ბოროტის მოქმედთა მწარე არს [უ] და სიკუდილი მართლისაა ტკბილ და გემოან არს. რამეთუ განისუენიან ვაჰართა მოსწრაფეთა, რაჟამს იგი განელიან ზღუად მშვდობით, დამთქმელი, და განერნიან ზრუნვასა და მწუხარებასა და განისუენიან კირთა და შრომათაგან. იხარებედ, რაჟამს განელიან ქუეყანაჲ იგი საშიში და გზაჲ იგი იწროჲ, დაწყნარდიედ შფოთისაგან და სირბილისა და დაეყუდნიან მინდობით.

აწ უკუე ნუ სცოდავ, ძმაო, და ნუცა გეშინის სიკუდილისა. მოიგე სათნოებად და ტკბილ გეყოს ძილი შენი. საშინელ არს, ოდეს მიივლინენ სეფე-კაცნი (147) ძიებად ავაზაკისა და შეიპყრან იგი, რამეთუ იტყუნ: ვიჲ არს ჩემდა წარდგომად წინაშე მსაჯულისა! ეგრეთვე კაცი, რაჟამს დასნეულდის, აღიარებენ ცოდვითა თვსთა და ინანინ, რამეთუ უწყინ, ვითარმედ მიმავალ არს წინაშე მსაჯულისა. და ამით არას ხედავენ ბოროტისა შეცვალებასა თვნიერ ჟამსა სიკუდილისასა, წრამეთუ დაიბურნიან ცოდვილთა პირნი მათნი ჟამსა სიკუდილისა მათისასა, მოიდრიკნიან თავნი მათნი, დაუშვენის ფერი პირისა მათისაჲ, მოისკუნიან ჳელნი მათნი, და ფრიალ დადუხპირდის ხედვად მათი, და დაივსნიან მძინენი ზურგის ძუალთა მათთანი, და ზარი დაეცის ყოველთა იოგთა და დასაჳსნელთა გუამისა მათისათა, [151] რამეთუ მიჰზიდვედ მათ ბოროტნი იგი მუშაენი. 1

მაშინ აღივსნიან თუალნი მათნი ცრემლითა, რამეთუ წარეყუეთებინ სასოებად მათი. დუმილი მათი მოასწავებნ ცეცხლსა მას და სატანჯველსა საუკუნესა. თავის მოდრეკად მათი მოასწავებნ ბნელსა მას გარესკნელსა და ხილვად მათი მოასწავებნ, ვითარმედ პატიჟთა თანა-მდებ ქმნულ არიან. ამისთჳს ძილი მათი საშინელ არს, და არა ტკბილ ეყოფვის რული მათი შიშისაგან ცოდვითა მათთაჲსა (148). რაჟამს დასნეულდის, დაჰვსნდის და ძწოლად შეედვის, და იგონებნ ყოველთა საქმეთა თვსთა, რომელნი ცხორებასა მისსა უქმნიან, და იურვინ ცოდვისათჳს და შიში საშჯელისაჲ დაეცის მათ ზედა და იტანჯებინ მრავლისაგან მწუხარებმისა. მოივსნენბნ სიკუდილსა და მოივსნენბნ საქმეთა თვსთა ბოროტთა, რამეთუ მოსაგებელი მათი ცეცხლი არს. და არს

1 მლუიძარებაჲ C; მოიპოვეს C; სიგლახაკე BC. 2 დაუტკბების B; გოლულისა C. 3 მოქმედთათჳს B. 4 გემოან CB. 5 ~ მშუიდობით ზღუად C, მშვდობით ზღუად B; დანმთქმელი C; ზრუნვასა] კირთა B. 6 მწუხარებათა B; და განისუენიან კირთა და შრომათაგან—B; იხარებდიედ B; რაჟამს]+განისუენიან შრომათაგან და B. 7 საშიში] საშინელი C; დაწყნარდიან C. 8 და დაეყუდნიან] დაეყუდნიან B. 9 ~ ნუ სცოდავ აწ უკუე ძმაო ჩემო B; სიკუდილისაგან BC; მოაგე C. 11 იტყუინ C]+ვითარმედ C. 12 რქს] რაჲ B. 13 თუისთა C. 14 ხედავენ ეხედავთ BC; ბოროტის C; თუნიერ C. 15 დაებურნიან C. 17 მოასკუნიან C; მათნი]+ მუვლთა მათთა B; ~ფ' და B; ხედვაჲ] ხილვა B. 18 დაივსნიან] დაივსნიან A, დაჳსნიან C; ზურგის ძუალთა] ზურგიელთა C, ზურგთა B; იოგთა და]—B. 19 მათისათა] მისისათა B; მიზიდვედ C. 21 აღევსნია C. 22-23 ~ საუკუნესა სატანჯველსა C. 24 ამისთუის C. 25 ეყოფის C. 26 რქს] ჟამსა მას. რ'ლსა B; ძწოლად BC; შეედვის C. 27 აგონებნ C; თუისთა C; მისა C; უქმნიედ BC. 28 ცოდვისათუის C; მის ზ'ა B. 28-29 ატანჯებინან C. 29 მრავლისაგან] მრავლისა მისგან BC. 30 თუისთა C; არს] იყვის B.

1) შდრ. იგავნი სოლ. 3, 24.

იგი მდებარე და ჩმუნანენ კელითა და ზრახანენ წარეულთა ჰირისა მისგან, რომელი განზადებულ არს უღმრთოთათჳს და შიშისაგან სიკუდილისა.

ენება სოლომონს, რადთამცა ნუგეშინის-გუცა და თქუა: დაიძინე და ნუ გეშინინ. და ენება, რადთამცა მიგუაწინა სიხარულსა მას წმიდათასა, რომელი შეემთხუევის მათ ეამსა სიკუდილისა მათისასა. რამეთუ არა არს ამის სოფლისა საშუებელი და სიხარული [ჟ], ვითარ სიკუდილი მართლისაჲ და არცაღა შიში და ზარი და მწუხარებაჲ, ვითარ-იგი სიკუდილი ცოდვილთაჲ, რამეთუ მოვიდიან ყოველნი საქმენი კაცისანი ეამსა სიკუდილისა მისისასა და წარმოუდგიან წინაშე მისსა და დააბნელიან ადგილი იგი მის ზედა, და შეაიწრიან სახლი იგი მის ზედა, და ნათელი მზისაჲ დააბნელიან (149) ხილვითა მათითა და კაცი იგი იშთვებინ შიშისა და ჰირისა მათისაგან, ხედავენ მათ და დადნებინ და სირცხვლეულ და კდემულ არნ. და მწუხარე არნ საქმეთა თჳსთათჳს, რამეთუ წინაშე მისსა ჰხედავენ ყოველთა საქმეთა მისთა მდგომარეთა თითოეულად, მოსრულთა უწოდებლად. რამეთუ გონებაჲ შეჰკრებნ მათ და ცნობაჲ მოაახლებნ. და სირცხვლეულ იქმნის აზნაურებაჲ იგი მისი და შეძრწუნდის სარწმუნოებაჲ და ვერ შემძლებელ არნ უვარის-ყოფად მათდა და ვერცა შემძლებელ არნ შერისხვად მათდა, რამეთუ ცოდვად მდგომარე არნ და ურჩულოებაჲ დგან. კაცის-კლვად მუნ არნ და ბოროტისა საქმენი თანა უდგანედ ყოველნი. მაშინ ვითარცა ამათ ყოველთა ჰხედავენ შეურევებელი, დაჰქსნდიან გელნი და მოუძღურდიან ფერ[ქ]ნი და დაუბნელდიან [152] თუალნი და იტანჯებინ სული; გუამი დაშრტის და ენაჲ დადუმნის, ხოლო სული ბოროტად იგუემებინ და ინანინ ურგებად საქმეთათჳს, რომელი წინა-წარიძლუანა. და ვერ შემძლებელ არნ სივლტოლად და დამალვად მათგან, რამეთუ ოდეს ჰხედავენ ცოდვათა თჳსთა, დადნებინ. მაშინ ჰრქვან საქმეთა მისთა:

გუალე, წარვიდეთ ერთობით, ხოლო იგი ზარ-განჯდილ არნ მათგან და არა (150) უწყინ, რად ყოს, ანუ ვითარ მოგზაურ ექმნეს მათ. ესევეთარნი მწუხარებანი მოიწევიან საშინელნი სულსა ზედა ეამსა სიკუდილისა მისისასა, უკუეთუ შეცოდებული იყოს და არა შეენანოს. ხოლო გუამი დაიწუვიან ფაცხლისა მისგან სიძჭურეალისა და სული ეტყინებინ ცეცხლითა ცოდვისაჲთა, რომელ უქმნიედ წინაჲსწარ. ხოლო უკუეთუ ჰქონედ სულსა საქმენი კეთილნი ეამსა

1 წარეურეულთა A. 2 უღმრთოთათჳს C. 3 სოლომონსა BC; რა ნუგეშინის-გუცეს B. 4 მას]—B. 5 შეემთხუეს C, შეემთხვის B; ეამსა] + მას B; ამას სოფელსა BC. 6 ვითარ] ვა C; მართალთაჲ BC. 9 წე მისა C]—B. 9-10 შეაფრიან C. 11 იშთვებინ C; შიშისა და ჰირისა... დადნებინ]—A; ჰხედავენ B. 12 მწუხარე] სირცხვლეულ A. 13 თუისთათჳს C; წე მისა BC; ხედავენ C; ~ თუითეულად მდგომარეთა C, თითოეულად მდგომარეთა B. 14 უწოდებლად BC. 15 მოაახლებნ] მოიყვანებნ B; სირცხვლეულ C. 16 მათა B. 17 და ვერცა]ვერცა B; შემძლებელ არნ] + იგი B; შერისხვად C; მათდა] მათა B. 18 უშჯულოებაჲ B, უსჯულოებაჲ C; დგან] + და C; ბოროტნი B. 19 უდგიედ B; ხედავენ BC. 20 ფერქნი C] მუქლნი B. 22 საქმეთათჳს C, საქმეთა თჳსთა B; რომელ BC. 22-23 წარიძლუანა BC. 24 ხედავენ C; თუისთა C; ჰრქვან CB] + მას CB. 26 ანუ]გინა CB; ექმნას BC. 27 ~ საშინელნი მოიწევიან BC; მოაწევიან C. 29 ცეცხლითა] + მით C. 29-30 რა უქმნიედ წინაჲსწარ]—B. 30 ჰქონდენ B.

სიკუდილისასა, მხიარულ არნ და იხარებნ და ბრწყინაენ მცხინვარედ, ვიდრემ-
დის ჰაერთა განანათებნ და ფშენ სურნელად და იხარებნ საქმეთა თვსთა ზედა-
უკუეთუ მიდრკის დაცემად, ჰელი აღუპყრიან საქმეთა მისთა. ჰხედაენ მათ,
მხიარულ არნ, მოიგსენებნ და ნუგეშინის-ეცემინ, და პირი მისი მხიარულ
არნ, არა კმუნანენ, არა მტკივნეულ არნ და არცა განმწარდის, და არცა
მოუძღურდის, რამეთუ მარხვაჲ განადლიერებნ მას და ლოცვაჲ ნუგეშინის-სცემნ
და ეტყუნ: ნუ გეშინინ. მღუძარებაჲ ეტყუნ: ნუ შესძრწუნდები, რამეთუ მე შენ
თანა ვარ.

მაშინ სულმან მან განიფროთხვის და განისუენის მათ ზედა, და განძლი-
ერდის მათ მიერ, რამეთუ ეტყუნ მათ: ნუ გეშინინ სიკუდილისაგან, რამეთუ
ჩუენ შენ თანა მომავა(151)ლ ვართ, და წინაშე ღმრთისა ყოველთაჲსა გაქებდეთ
შენ. ნუ გეშინინ ჯოჯოხეთისაგან, რამეთუ ჩუენ შემწენი შენნი ვართ. მაშინ
განისუენის სიტყვათა მათითა და ნუგეშინის-იცემნ ხილვითა, განძლიერდის და
იხარებნ, რაჲმს წარმოუდგიან მის წინაშე ყოველნი საქმენი კეთილნი, და
თითოეული მათი კეთილთა საქმითა ახარებნ მას. ერთი აღუთქუამნ, ვითარ-
მედ: აღჰყვეს იგი ზეცად; და სხუაჲ ეტყუნ: მე მიგიყვანო სამოთხედ; და
სხუაჲ ეტყუნ: მე მიგაწიო სასუფეველად; და სხუაჲ [ახ]არებნ და ეტყუნ: მე
შეგიყვანო მწუანოანსა სამოთხისასა; და სხუაჲ ეტყუნ: მე დაგსუა ტაბლასა
ზეცისასა; და სხუაჲ ეტყუნ: მე გიჩუენენ ყოველნი სასწაულნი ზესკნელისანი,
რომელ არიან ღმრთისა მიერ.

მაშინ დაივიწყის სულმან მან მწუხარებაჲ თვისი და წარვიდის მისგან
ურვაჲ იგი, [I 53] რომელ არნ განშორებისათვის ჯორცთაგან; და ჰმადლობნ
და აღიდებნ ღმერთსა; მწესა თვისსა, უხარინ მიწოდებისათვის და მხიარულ არნ
მიწვენისათვის, თაყუანის-სცემნ განსრულებისათვის ლუაწლისა თვისსა, ითუა-
ლავნ წელთა მისთა და აღირაცხნ ღმერთთა მისთა ეამითურთ, და ჰმადლობნ,
ვინაძოგან ცუდად არა წარვდეს ღმრთი ცხორებისა მისისანი, (152) და და-
ნცა-სნეულეზულ იყო და სიკუდილი მოწვევულ იყო და იგონებდა, ვითარ
ცხონდა, ანუ რასა უკუე იქმოდა. მაშინ მიუგის და ჰრქუს სიკუდილსა: არა
მეშინის შენგან, ჰ გულ-მანკიერო, რამეთუ შექურვილ ვარ მე საქურველითა
კეთილთა საქმეთაჲთა; არა მეშინის შენგან, ჰ მგელო მტაცებელო; არა შევშინ-
დები შენგან, ჰ მვეცო განმრყუნელო; არა ვზრუნავ შენთვის, ჰ სიკუდილო

1 სიკუდილისა მისისასა B; ვ'დის] ვ'დ A. 2 განანათებნ BC; ფშენ C; სულნელად B.
3 აღუპყრიან]+მათ B; ხედაენ C. 4 და მხიარულ A; მოიგსენებნ... მხიარულ არნ]—A. -იცემნ
B. 7 და ეტყუნ] — B; მღუძარებაჲ C; ეტყუენ C. 10 ეტყუენ C, ეტყვედ B; მათ] მას BC.
13 სიტყუითა C; ნუგეშინის-ეცის CB; ხილვითა] + მათითა BC. 14 საქმენი]+თუისნი C, მისნი
B. 15 თითოეული C; საქმითა] სასოებითა CB; მას]—B. 16 ზეცას C; ეტყუენ C. 17 ეტყუენ
C; მიგაწიო] + შენ C. 18 მიგიყვანო C; მწუანოანსა B, მწუანუანსა C; ტაბლასა]+მას C.
19 ეტყუენ C; გიჩუენენ C. 20 არიედ B. 21 დაივიწყის C. 22 რ'ი C; ჯორცთაჲსა BC; და ჰმა-
დლობნ]+მადლობნ C. 23 თუისსა C; წოდებისათუის C. 24 მიწვენისათუის C; განსრულებისა-
თუის C. 24-25 ათუალავნ C. 25 აღჰრაცხნ BC; ჰმადლობნ]+იგი ღ'თისა B. 27 აგონებდა C;
და და-მცა-სნეულეზულ იყო]—B; სიკუდილიმცა B; წეულ B; იყო]+მისდა B. 28 ცხონდებ-
ოდა B; ჰრქუის C. 29 მე შენგან B; საქურველითა] — B. 30 კეთილთა საქმითა B; მეშინის]+
მე B. 31 შენგან]—B; შენთუის C.

დამარლუეველო, სიკეთესა კაცთასა, რამეთუ შექურვილ ვარ მე საქურველითა სარწმუნოებისადათა და სასოებისა და სიყუარულისადათა, განმტკიცებულ ვარ საქმითა სათნოებისადათა. ამას და მსგავსსა ამისსა ეტყუნ სული სიკუდილსა ეამსა სიკუდილისასა. მაშინ დაიძინის და განისუენის, დაწვის და ტბილ ეყვის მას რული მისი. [ჟ] ამისთჳს, საყუარელნო ჩემნო, ვზრუნვიდეთ სულთა ჩუენთათჳს და ვევედრნეთ ღმერთსა, რაჲთა მოგვეღმინოს ჩუენ შიში ღისი, რაჲთა დავიცვნეთ გონებანი და ასონი ჩუენნი სიწმიდით, რაჲთა დავიცვნეთ ცოდვისაგან, რომელი არს წარმწყმედელი სულისა და ჯორცთაჲ და შთამადგებელი ცეცხლსა მას შინა ჯოჯოხეთისასა (15ჰ) და ქეშმარიტად დიდ საშინელება [ა]რს, უკუეთუ განუმზადებელნი განვიდეთ ჯორცთაგან და შიშუელნი ვიპოვნეთ დღესა მას საშინელსა, ზარის ასაწდელსა. ამისთჳს განვიმზადოთ სამოსელი სათნოებისაჲ და სიხარულისაჲ ლოკვითა და მარხვითა და მრავლითა მღჳძარებითა და სიმდაბლითა, და გულსკჳმა-გყოთ, ვითარმედ წარდგომად ვართ წინაშე საყდართა ღმრთისათა საშინელთა, და მოგებად არს მსგავსად

15 საქმეთა ჩუენთაებრ.

და მოვიკვნებდეთ აღთქუმულსა მას საშუელსა და ცეცხლსა მას უშრეტსა, და მატლსა მას უკუდავსა, ღრჳენასა კბილთასა და ტირილსა დაუდუმებელსა, და შეურდეთ უფალსა ცრემლითა ღმობიერითა და გულითა შემუსრვილითა მოსწრაფედ, რაჲთა შემიწყალნეს ჩუენ და მივსნეს სატანჯველთა მათგან მწარეთა და საშინელთა, [154] დამიფარნეს ჩუენ სოფელსა ამას შინა, რაჲთა დავწვეთ უშიშად და ტბილ მეყოს ძილი ჩუენი.

მასმიეს, რამეთუ იტყვედ უგუნურნი: რაჲსათჳს რომელიმე მდიდარ არს და რომელიმე გლახაკ? ვეტყჳ მათ: უკუეთუმცა გლახაკი არა იყო, სადაჲთმცა უკუე შე(154)იძინა მდიდარმან სულიერი გინა ჯორციელი? რამეთუ მდიდარი 25 ქუეყანით მოიშკის საზრდელსა გლახაკთა ჳელითა, და კუალად გლახაკთა მოწყალებითა შეიკრებს საფასეთა საუკუნეთაჲ ჳორნი აგარაკნი მიუცემიან ღმერთსა მდიდრისა საქმრად: ე რ თ ი იგი, რაჲთა სთესვიდეს იგი მას შინა ქველის საქმარსა თჳსსა და სულაერად განმდიდრდებოდის მია მიერ; და მეორე, რაჲთა სთესვიდეს საჳმარსა ჯორცთასა, რომლისაგან იზარდებოდის. არამედ აგარაკი 30 იგი ქველის საქმისა და მოწყალებისაჲ უფროჲს და უპატონსნეს მეორესა არს, ვითარცა სული უაღრეს ჯორცთასა არსჳაწ უკუე სთესვიდ, ჰ მდიდარო, აგა-

2 და განმტკიცებულ BC. 3 და მსგავსსა ამისსა] ესევეთარსა B; ეტყუნ C; სული იგი B]—C. 4 სიკუდილისა მისისასა] CB; დაეძინის C; ეყვის C. 5 რული]+იგი C; ამითუის C; ამისთჳს]—B; ჩემნო]+ამისთჳს B; ზრუნვედით B. 5-6 ჩუენთათჳს] თქუენთათჳს B, ჩუენთათუის C. 6 ერთობით ღმერთსა B; მოგვიღმინოს C; ჩუენ]—B. 7 დავიცვნეთ] არა დავიცვნეთ BC; ცოდვითა BC. 8 არს წარმწყმედელი] წარწყმედს B; სულსა B; ჯორცთა B. 9 და ქეშმარიტად] ქეშმარიტად B; დიდი B. 11 და ზარისა აღსაწდელსა C; ამისთუის C. 13 ~ მლუიძარებითა მრავლითა C. 16 სასჯელსა C. 17 და ღრჳენასა BC. 18 შეურდეთ BC. 20 დამფარნეს B. 21 გუეყოს B. 22 იტყვიედ C; რაჲსათუის C. 23 ვეტყუი C; ყო C. 24 შეიძინა C. 25 მოამკის C; გლახაკთ-მოწყალებითა CB. 26 შეიკრებს C; მოუცემიანC] მიცემულ არიედ B; ღთისა მიერ B. 27 მდიდრისადა საქმრად B; საქმრად C; იგი] — BC. 28 თუის A; და მეორე] მეორე იგი B. 30 ქუელის საქმრისაჲ B; მეორისაჲსა B, მეორისა C. 31 ჯორცთა B.

რაქსა მას ქველის საქმისასა აქა, და მერმესა მას მოიმკო შენ ერთისა წილასი. ყავ აგარაკი შენი გლახაკთ მოწყალეებისათვის და მოჯან იგი პურითა და წყლითა, და მზიარულებით მისცემდი შენ გლახაკთა და უხუებით მოგეცეს შენ ღმრთისაგან.

კულად იტყვს უგუნური: რადასათვის რომელიმე მდიდარ არს და რომელიმე გლახაკი? [ჟ] ხოლო მე ვეტყვ, რამეთუ მდიდარი გლახაკთ მოწყალეებითა განმდიდრდების სულიერად, და საქმისა (155) შეწვევითა — ჯორციელად, და ორკერძოვე შეიძინებს. ხოლო ღმერთი არავის სცემს და განპირყუნის უწყალოდ, რამეთუ ერთ კერძო ცემითა მისითა შეაშინებს სამ კერძო. რაემს სცის მცირედ, განრყუნის და ფრიად განაგის, სცის კაცთა რიცხვთა, რაათა მათ მიერ შეაშინნეს ათასეულნი და ბევრეულნი. რყუნილებად რომელი ყოფილ არს პირველითგან და ყოფად არს ამიერითგან, მრავალი სარგებელი მას შინა დაუნჯებულ არს, რამეთუ ყოველსა, რომელსა იქმს მოწყალე, სარგებელისათვის იქმს. რომელი ითხოვდეს, მიიღოს, და უკუეთუ მოიწყინოს, ცუდ იქმნეს თხოად მისი. ღმერთი მიჰმადლებს თხოასა მვედრებელთა მისთასა, და უკუეთუ დაადგრეს, შეუმატებს, რამეთუ მსგავსად ვედრებისა მიჰმადლებს ნიქთა მისთა, ვითარცა მსგავსად მარგალიტისა მიიღიან ფასი მისი, ეგრეთვე მსგავსად თხოისა არს მიცემაჲ.

ამიერითგან მრჩობლ ვყოთ თხოად ჩუენი, რაათა მრჩობლვე მოვილოთ. ვღალადებდეთ ძლიერად კარაა ზედა მომცემელისასა და არა უქმოვიქცეთ მიერ ცალიერნი. რომელმან პრეკოს და მყის კულად-იქცეს, აჩუენებს იგი, [155] ვითარმედ უდებად (156) და შეურაცხად პრეკს, მას არა განელოს, ხოლო რომელი სულგრძელებით დაადგრეს რეკასა, მან აჩუენა მჭურვალე სიყუარული, მას შეჰუელად განელოს.

გეშინოდენ სიტყვს გებისაგან და პასუხობისა და ცილობისა, რამეთუ ამათ მიერ იშვების ცოდვაჲ, რამეთუ შესაძლებელ არს გინებაჲ შესწორებად კაცის კლვასა და ენაჲ შესწორებად ჳრმალსა, და გულის-სიტყუანი ბოროტნი შესწორებად სიძვასა, და ზაკუვით სიტყუაჲ სწორებად საფრჯისა დარწყუმასა, და ზრახებაჲ ბოროტისაჲ სწორებად წამალსა მაკუდინებელსა. უკუეთუ ესავ, სიტყუთა განიძარცუა პირმშოებაჲ თვისი, უფროდსლა ყოველნი კაცნი სიტყუთ განიძარცუენ და განადგებენ მათგან სანართალსა და ჳეშმარტებასა. რომელმან-იგი უარ-ყვის სიტყუთა, განიძარცვს სარწმუნოებაჲ თვისი და სხუამან სიტყუთა შეიმოსის სარწმუნოებაჲ, ურვისაგან ბოროტისა იქმნის საქმე

1 მერმესა მას| მერმე B; მოამკო C. 2 მოწყალეებისათვის C. 5 უგუნური| მდიდარი A; რადასათვის C. 6 ვიტყუი C|+მათ B. 7 საქმის შეწვევითა C. 8 შევიძინების C. 10 ~ განაგის ფდ BC; რიცხვთ B, რიცხუითთა C. 11 ~ შეაშინნეს მათ მიერ C|+ურიცხუნი C; და ათასეული C. 12 ყოფილ არს B. 13 სარგებელისათვის C. 14 იქმს]—B; თხოვაჲ BC. 15 თხოვას BC; დადრგეს C. 17 მიიღიან C. 18 თხოვას C, თხოვისა C. 19 თხოვაჲ C| გონებაჲ B; ჩუენი]—B. 20 უკუმოვიქცეთ C. 22 უდებად B. 23 დაადრგეს C. 25 სიტყუის C; პასუხებისა B; და ცილობისა]—B. 28 სწორებად სიძვას C; სიძვასა| + შესაძლებელ არს B; და]—B; საბრჯვას C, საბრჯვისა B. 30 სიტყუითა C; თუისი C; სიტყუითა C. 31 მართალსა B. 32 სიტყუითა C; განიძარცუის C; თუისი C. 33 სიტყუითა C.

ბოროტი. შესაძლებელ არს გულის-თქუმით მიხედვად შესწორებად საქმესა. ბილწებისასა, და გულის წყრომად შესწორებად მახვლსა, და (157) შური სწორებად მრუშებასა, და შესმენად—ჯნარცვს თხრასა მოყუსისათჳს [ჟ].

გუეშინოდენ გულის-სიტყუათაგან ბოროტთა, რამეთუ მათ მიერ იქმნებიან საქმენი უკეთურებისანი. ღმერთსა მოუცემია ჩუენდა საბრძოლად, განსარომელად ყოვლისაგან ბოროტისა, თითოეულად წინა-აღსადგომელი: წინა-აღსადგომელად ბნელისა—ნათელი, და სიმწარისა—სიტკბოებად, და ძილისა. წინა-აღსადგომელად—მღუძარებად, და შიმშილისა—განძლომად; და ყოველსა მოსცა წინა-აღსადგომელი. და კაცსა მოსცა აღრჩევაჲ უმჯობესისა სარგებელისაჲ საენებელთა ნაცვალად, და განსუენებაჲ—ნაცვალად შრომათა, და ყოველსა ჟამსა საგმარი თჳსი, და ყოველსა ტკივილსა—წამალი. და უკუეთუ მესროლის ჩუენ მტერი ისრითა მისითა წამლენინთა, წინა-აღლუდგათ ჩუენ ფარი იგი ლოცვისაჲ; და უკუეთუ გუძლოს ჩუენ გემოჲს მოყუარებითა, შევევედრნეთ. ჩუენ მარხვისა; და უკუეთუ გუძლოს ჩუენ შურითა, ვპბრძოთ ჩუენ სიყუარულითა; და უკუეთუ წარგუტყუენოს უსამართლოდ, შევევედრნეთ ციხესა მას. შეზღუდვილსა, (158) რომელ არს სამართალი; და უკუეთუ გაენოს შენ ბოროტად, იყავნ მადლი ღმრთისაჲ შემწედ შენდა; უკუეთუ გბრძოს შენ ამპარტავანებითა, შეიქურე შენ [156] საჭურველითა მით სიმდაბლისაჲთა; და თუ გბრძოს შენ ნებითა ჯორცთაჲთა, მოირტყ შენ სიწმიდე; უკუეთუ გესროდის ისრითა ბილწებისაჲთა, შეიქურე შენ უბიწოებითა; წინა-აღსადგომელად ვაებასა მდიდართასა მოცემულ არს ნეტარებაჲ გლახაკთა; უკუეთუ გბრძოს შენ ნაყროვნებითა, შეისხენ შენ ფრთენი მარხვისანი; უკუეთუ შურითა განალოს ზღუდე შენი, კუალად მოიზღუდე იგი სიყუარულითა.

უკუეთუ მბრძოლსა ჩუენსა ჰქონან ისარნი, უძლურებასა ჩუენსა აქუს საჭურველი; უკუეთუ მოგკვდეს ჩუენ ზედა ვნებად ჩუენდა, მაქუს ჩუენ შესავედრებელი ძლიერი; უკუეთუ მძლავრობით მეკუეთებოდის ჩუენ, მივის ჩუენ, რომელი წინა-აღლუდგეს; უკუეთუ გუდევედეს ჩუენ ვითარცა მეგვბტელნი, ზღუაძან დაანთქას იგი; უკუეთუ ქუეყანასა შინა დამირწყუას საფრჳშ მისი, ცათა შინა მაქუს ჩუენ მოწყალე; უკუეთუ მექადოდის ჩუენ, ვითარცა გოლიადი, მაქუს (159) ჩუენ შემწედ ძე დავითისი ნაცვალად დავითისა; უკუეთუ იზახებდეს ჩუენ ზედა ვითარცა სისარა¹⁾, წმიდამან ეკლესიაჲმან იოტოს.

2 მახვილსა C. 3 და შესმენად შესმენა A; ჯნარცვის C, ჯნარცვა თხრასა B; მოყუსისასა B. 5 მოუცემის B; საბრძოლველად B. 5-6 და განსარომელად B. 6 თუთიულად C. 7 ბნელისა C. 8 მღუძარებაჲ C; და განძლომად C. 9 წინა აღსადგომელი და კაცსა]—B; უმჯობესისა]—BC. 10 ნაცვალად] წილ B; შრომისა B. 11 თუისი C; წამალი]—თჳსი B. 12 წამლიანითა BC; ჩუენ]—B. 13 გუძლოს] გუბრძოს BC. 14 გუძლოს] გუბრძოს C, გუბრძოდის B. 15 ჩნ უსამართლოდ B. 16 შეზღუდვილსა] — B. 17 ყავნ C; და უკთუ C; გბრძოდის B; ამპარტავანებაჲ B. 18 საჭურველითა მით]—B; სიმდაბლითა B. 19 გბრძოდის B; ჯორცთაჲთა]—ეშმაკი B; მოარტყ C; შენ]—C; და უკუეთუ C. 20 მსრითა C; შეიქურე C. 21 და ნეტარებაჲ C; გლახაკთა C; გბრძოდის B. 22 განარღვოს B, განაპოს C. 24 მსარნი C. 25 მოგუიკვდეს C. 27 გუდევენიდეს C; მეგუბტელნი C. 28 ვგრეთ დაინთქენენ იგინი B, დაინთქენენ იგინი C; შინა] ზედა B; დამირწყუნეს BC]—ჩუენ B; საფრჳე A, საფრჳენი B, საბრჳენი C; მისი] თუისნი C]—B. 29 გოლიათი B, გოლიათი C. 31 აოტოს C.

1) მსაჯ. 4, 2-22.

უკუეთუ გუბრძოს ჩუენ, ვითარცა სენაქირემ, ძაძითა და ნაცრითა ვჰმძლავროთ მას. [უ] უკუეთუ წარვიტყუენნეთ ჩუენ, ვითარცა ბაბილონდ, არიან ჩუენ შორის უბიწონი, ვითარცა დანიელ. უკუეთუ ამალდეს ჩუენ ზედა ვითარცა ამან, არიან ჩუენ შორის მმარხველნი, ვითარცა ნაბუთე, და სძლონ მას. უკუეთუ ალატყინოს ჩუენ შორის ცეცხლი იგი გულის-თქუმისაჲ, არიან ჩუენ შორის წმიდანი, ვითარცა იოსებ. რაჲმე აქუს მტერსა ჩუენსა, რომელმცა ჩუენ მისი წინა-აღსადგომელი არა გუაქუნდა? რომლითა საკრველითა შეჰკრავს, რომელმცა ჩუენ ვერ განვჰჰსენით ვერა რაჲთ? უკუეთუ საღმობაჲ მოაწიოს ჩუენ ზედა, მაქუს ჩუენ წამალი განსაკურნებელი. ფრიადისა სიხარულისა ჩუენისაგან განმრავლდეს მწუხარებანი ეამთა ჩუენთანი. შრომითა და განსუენებითა მზრდის ჩუენ ღმერთი, ვითარცა ზრდიან დათესულსა წვმითა და მზითა. უკუეთუ ჰხადი ღმერთსა, რაჲთა გიგსნეს შენ, ნუ სდრტუნავ, უკუეთუ დაყოვნოს, რაჲმეთუ, რაჲამს-იგი სცოდე, დაყოვნდა პატივის-ყოფად (160) შენდა, წყალობით დაგიფარა შენ, ოდეს-იგი სცოდე. ეგრეთვე სცავს მოყუასსა შენსა შეცოდებულსა, ნუუკუე შენთს ოდენ მარტოჲსა გნებავს წყალობაჲ მისი, რაჲთა ზრუნვიდეს, და მწრათლ მოგაგოს სათხოელი შენი და დაყოვნოს შურის-გებისათჳს შენთა ცოდვათაჲსა. რაჲამს-იგი სხუასა ვისმე ბოროტი უყო, მწრათლ ისმინოს ჳმაჲ ლოცვისა შენისაჲ [157]. რაჲამს ლალად-ჰყო მისსა მიმართ და უდებ-ყო სხჳსა ლალადებაჲ შენთს, რომელ შესცოდე. უკუეთუ გნებავს შენ მწრათლ შურის-გებაჲ შენგან, რაჲამს შესცოდო, სამართლად სდრტუნავ. უკუეთუ დაყოვნოს და არა მწრათლ შურ-გაგოს შემაწუხებელისა შენისაგან. უწყოდე, ძმაო, რაჲმეთუ ღმერთი დასწერს სიტყუათა ჩუენთა და საქმეთა და გულის-სიტყუათა ჩუენთა და სახელთა ჩუენ ყოველთასა და გონებაჲ ჩუენი უდებ არს ამისგან. სიტყუანი პირისა ჩუენისანი არა კეთილ არიან, რაჲმეთუ გონებაჲ იგონებს საქმეთა დუხჰირთა და პირი აღმოიბოყინებს უკეთურებასა. არაგის ეშინის თქუმულისა მისგან, რომელსა იტყჳს, ვითარმედ: სიტყუაჲ მიცემად გჳც სიტყუათა და გულის-სიტყუათა ჩუენთათჳს დღესა მას განკითხვისასა. დღეს აჳა შემძლებელ (161) არს კაცი ვედრებად უფლისა, მსაჯულისა, რაჲცა ენებოს, ხოლო მუნ არლარა არს სმენაჲ, რაჲმეთუ დაწერილ არიან კაცისა ზედა ყოველნი ქცევანი მისნი, რავედენ იშუებდა ქუეყანასა ზედა და რავედენ იხარებდა, და რავედენ დაშურა და რავედენ შეწუხნა.

1 გუბრძოდის B; სენაქირემ C, სინაქირემ B. 2 ვჰმძლავროთ] ვსძლოთ C, ვძლოთ B; ჩუენ]—BC. 4 ~ ვითარცა ნაბოთე მარხველნი, რომელ სძლოს მათ B. 5 არიედ B. 6 აღსებ C. 8 რომელმცა] ვითარმცა B; განვიტყენით C; რაჲთა C; ვერა რაჲთ] ვერა რაჲ ოდენე აქუს ჩუენ ზ'ა B. 10 მწუხარებანი]ჩუენნი B; ჩუენთა B; და განსუენებითა]—B. 11 წუიმითა C. 12 ხადი C; სდრტუნავ C; 13 დაყოვნოს B; სცოდე B; დაყოვნდის B; შენდა]ჩ'ნდა B. 14 და წყალობით B; დაგუფარის B; შენ]ჩუენ B; ოდეს-იგი სცოდე]— B; ეგრეთ C. 15 შენთუის C; ოდენ] ሾ BC; წყალობაჲ] მოწყალებაჲ BC; გნებავსა C. 16 მწრათლ B]—A; სათხოველი B. 17 შურის გებისათუის C; რ'ეს-იგი] ოდეს-იგი B. 18 ჰლალატ-ყო C, ჰლალად-ჰყო A; მისა BC. 19 შენთუის C. 20 ~ გნებავს შენ უკუეთუ B; შურის-გებაჲ] შური იძიოს B; სდრტუინავ C. 21 ~ შურ გაგოს მწრათლ B. 22 შენისათჳს B; ~ ძმაო, ესე უწყოდე B. 23 ~ და საქმეთა ჩუენთა B; ჩუენთა] შენთა C; საქმეთა]ჩ'ნთა B; ჩუენთა]—B, შენთა C. 25 გონებს C; აღმოიბოყინებს C. 26 რტყუის C. 27 გუცი C; სიტყუათათჳს B; ჩუენთათჳს]— B; ჩუენთათუის C. 28 განკითხვისა C; დღეს აჳა... მსაჯულისა] კაცი აჳა შემძლებელ არს მსაჯულისა თხოვად B. 30 არიედ B. 30-31 ქუეყანასა ... იხარებდა]— B; ქუეყანასა ზ'ა]—C. 31 განიხარებდა]ჩ'რავედენ განისუენებდა C.

- ნუ მწუხარე ხარ შრომისათვის და ნუცა გიხარის განსუენებისათვის, რამეთუ შეგიცვალე იეს არსი არა-არსად. მდიდარი რაქსათვის იტანჯებოდა, [ჟ] არამედ ამისთვის, რამეთუ იგი ხოლო მარტოქე ქამდა და სხუასა არავის უნაწილებდა მისგანსა, რომელსა-იგი ქამდა; და რავდენ სხუათა არა სცემდა, მისთვის იტანჯებოდა. აწ რავდენ უფროქს იტანჯოს, რომელი ქამს სხუათა მონახუქსა უსამართლოდ! ნაცვალად შუებისა ამისთვის წარმავალისა მიეცეს გუამი ესე სატანჯველად უძლურებითა და შეურაცხებითა, შრომითა და ქირითა. იხარებდით, # გლახაკთა კრებულო, ხოლო სიმდიდრითა და შუებითა და განსუენებითა ნუ გიხარის, მდიდარო, რამეთუ ტირილისა მომატყუებელ არს.
- 10 უკუეთუ მონა იქმენ, კეთილი გიყო შენ, რამეთუ შენ სხუასა დაემონე. ღმერთმან თქუა, ვითარმედ: გამახუროს შენ, რომელმან-იგი ჰმსახურ[ა] იუდას, რამეთუ ღმერთმან დიდებისამან ჰმსახურა მონასა ცოდვისასა. (162) რავდენ უფროქს ჰმსახუროს მას, რომელმან დაუთმოს მონებასა სიყუარულისა მისისათვის? იგი შენთვის მოვიდა მონებად, შენ ნუ ეძიებ თავისუფლებასა, შენ უკუარ უფროქს აზნაურათსა, რამეთუ მიემსგავსე მონებასა მისსა.
- უკუეთუ სიგლახაკე შეგემთხვოს, ჰმადლობდი ფრიად მომცემელსა მისსა, რაქთა აღჰფრინდე ამიერ და მიიწიო სასუფეველსა. ნუმცა სახლი შენი უპოარ არს და გუ[რ]ელი შენი სურვიელად მოყუარე სიმდიდრესა, რაქთა არა დაისაჯო მდიდრისა მის თანა. უგუნურთა უუგუნურეს არს, რომელი ეშჯოდის უგუნურსა. რომელმან დაუთმოს ძმასა თქსსა, შეიძინოს იგი. ღმერთმან შენმან გცა შენ, # უშჯულოო, აწ უკუე რომელი მონად შემძლებელ არს განრინებად შენდა? ნუ ეძიებ შენ მქსნელსა, რაქთა არა შეურაცხ-ჰყო მცემელი შენი. ამისთვის გცა შენ უფალმან შენმან, რაქთა გულისჰმა-ჰყო, ვინ არს, რომელმან გცა შენ და არა დასცხრების ცემად შენდა, ვიდრემდე არა მიივლტოდი მისა და ევედრებოდი. ვისი გგონიეს ცემად შენი: ღმრთისაჲ ანუ კაცისაჲ? უკუეთუ ჰგონებ, ვითარმედ კაცმან გცა შენ, აქამომდე ვერლარა გიცნობიეს მცემელი შენი. ხოლო, უკუეთუ გულის*ჰმა-ჰყო, ვითარმედ ღმერთმან ძლიერმან გცა შენ, რაქსათვის სხუსა მიივლტი შეწევნისა თხოვად, რაქთა გიქსნეს შენ ღმრთისაგან? გამოიწულილე კეთილად, რაქ უკუე არს მიზეზი ცემისა შენისაჲ, და უკუეთუ გეუწყოს, ვითარმედ ცოდვისათვის არს, რაქ სარგებელ არს შენდა სხუად? მოისპე შენგან მიზეზი ცოდვისაჲ და განერე. ცოდვაჲ არს დამარლუეველი

1 შრომისათვის C; გიხარინ C; განსუენებისათვის C. 2 რაქსათვის C. 3 ამისთვის C. 4 რავდენ]—B; ამისთვის B. 5 აწ რავდენ ... იტანჯოს] — B; ჰამს|+მარადის CB; სხუსა B; მონახუქსა] მონაგებსა B. 6 ამისთვის C| ამის B; ესე] მისი C. 7 სატანჯველსა B; უძლურებითა .. ქირითა]—B; იხარებდით]—B. 9 გიხარინ B; # მდიდარო BC. 10 იქმენ B; გყყო C, გყყოს B; შენ] — BC. 11 გამახუროს C; -იგი] — A; მუდას C. 12 ~ მონასა ცოდვისასა ჰმსახურა C. 13 რომელმან-იგი B; სიყუარულისა მისისათვის] სიყვარულისათვის ღმრთისა B; მისისათვის C. 14 შენთვის C; 15 მონებასა] მოთმინებასა C. 16 შეგემთხვიოს C; 17 უპოვარ CB; სასუფეველად B. 18 გული] გუნებაჲ C. 18-19 დაისაჯო C. 19 ესჯოდის უგუნურთა C. 20 თვისსა C|+მან B. 21 უსჯულოო C. 22 -ყო C. 23 ამისთვის C; გულისჰმა A; ჰყო|+ვდ B. 24 დასცხრების|+იგი B. 28 სხუსა C. 29 გამოიწულილე C| + შენ B. 30 ცოდვისათვის C; სხუა|+ცოდვაჲ B. 31 ცოდვაჲ| ტანჯვათაგან ცოდვაჲ B.

* აქ ფურცელი აკლია A-ს.

მამცნო ჩუენ, რაჲთა ვჰყუარობდეთ ყოველთა, რომელნი ეკლესიასა შინა არიან
ძმანი ჩუენნი. და ყოველი რომელი ნაყოფი მოვიდეს ჩუენდა, მათ მიერ ბრძა-
ნებულ არს ჩუენდა მოთმინებით ჰამაჲ მისი, ვითარცა-იგი ებრძანა ადამს:
„ყოვლისაგან ნაყოფისა, რომელ არს სამოთხესა შინა, შჰამოთ“¹⁾. ხოლო ჩუენ
მოვიღეთ გონებაჲ იგი გუელისაჲ, უკუეთუ ვიხილით კაცი სათნოჲ და კეთილი,
შვეიცყუარნით სათნობანი მისნი, და უკუეთუ ვიხილით კაცი ბოროტის მოქ-
მედი, მოვიძულნით ბოროტნი მისნი. და ესე იგი ხე არს ცნობადისა, კეთი-
ლისა და ბოროტისაჲ, რომლისაგან განეშორა ადამ. მოგუაყუდინნის ჩუენცა,
ვითარცა-იგი მოაკუდინა ადამ. არა თუ ღმერთმან დაჰბადა სიკუდილი, არა-
მედ კაცმან მოიძულა ძმად თუსი. რამეთუ ღმერთსა არა დაუბადებიეს სიკუ-
დილი და არცა უხარის ცხოველთა წარწყმედაჲ და არცა აღიძ(196)რვის რის-
ხვით გულის წყრომად და არცა მიაგებს ღირსებით მისაგებელსა ბოროტსა.
ძეთა კაცთა, რომელი შვეიცყუების საქმეთა მათთა, არამედ ყოველი სიბრძნით
ქმნა, წინაჲსწარვე დადვა, ვითარმედ ყოველივე განიკითხოს შჯუღითა მით სუ-
ლიერიითა. ამისთუს არა ჰრქუა ადამს, ვითარმედ დღესა რომელსა შჰამოთ
მისგანი, მას დღესა მოჰკუდეთ თქუენ, არამედ წინაჲსწარ განამტკიცა შჯუღი
და ჰრქუა: „რომელსა დღესა შჰამოთ, სიკუდილით მოჰკუდეთ“²⁾. და ეგრეთვე
ყოველი საქმე, — გინა კეთილი, გინა ბოროტი, — განყო, რაჲთა შეუდგეს ბუნებასა.
თუსსა, რომელი ჯერ-არს მისსა. არა ვითარ-იგი კაცნი ჰგონებენ, ვითარმედ
საქმენი განტევებულად არიან, რომელთა შჯუღი სულიერი არა უწყიან. ხოლო

2 ხოლო] და B; რამეთუ]—B. 4 მსოფლიოსა] + შეურაცხსა B. 6 მოვინადირებთ] მოვი-
ღებთ B. 7 დაუტევენი B. 8 ვიძლევიით B. 9 გესმის B. 15 ჩუენ]—ქ'დ B; რაჲთა ვჰყუარობ-
დეთ] ჰყუარობდით B; არიედ B. 16 ~ ნაყოფი რომელი B; ჩუენდა] — B. 21 და ესე] ესე B;
ცნობადისაჲ B. 22 ადამ]—და ოდეს გემოჲ ვიხილით, გონებითა B. 23 ვ'ა-იგი] ვ'ა B; ადამ] ამა
A. 26 გულის-წყრომით B; მიაგებს]—B. 27 ა'დ ყ'ი] ყოველივე B. 30 მას დღესა]—B; წინაჲს-
წარვე B. 31 სიკუდილით მოჰკუდეთ B. 32 გინა კეთილი] კეთილი B. 33 მისა B.

1) შესაქ. 2, 16. 2) შესაქ. 2, 17.

ჩუენ, რომელთა-ესე გკსწავიეს რომელიმე მისგანი, ჯერ-არს ჩუენდა, რაჟთა უწყოდით, ვითარმედ ყოველი რომელი მოვიძულოთ უკეთურებისათჳს, ეგრევე მსგავსად მოძულეზულ ვიქმნეთ ღმრთისაგან უკეთურებათა ჩუენთათჳს, ვითარცა-იგი კაცი ბოროტის მოქმედი.

და კუალად ყოველმან რომელმან ცოდოს ჩუენდა მომართ და არა შეუნდოთ მსგავსად მისა, არა შემინდუნეს ჩუენ. აწ ესე შჯული დადვა ქრისტემან, დაამტკიცა და თქუა: „ნუ განიკითხავთ, რაჟთა არა განიკითხნეთ“ ¹⁾, მიუტევეთ და მოგეტევნენ თქუენ. და (197) ესევე შჯული გკცნობიეს პავლეს მიერ, რაჟამს-იგი თქუა, ვითარმედ: „რომელი სხუასა განიკითხვიდეს, თავსა თჳსსა განიკითხავს“ ²⁾. და არცა დავითს წინაწარმეტყუელსა დაუშთა ესე, რაჟამს-იგი ეტყჳს ღმერთსა, ვითარმედ: „შენ მხოლომან მიაგე კაცად-კაცად საქმეთა მათთაებრ“ ³⁾. და რასა თითოეულსა განგიმრავლებდე წინათაგან წმიდათა ძუელთა და ახალთა, და უფროდსა ფსალმუნი იგი დიდი დამტკიცებით მიჩუენებს ჩუენ შჯულსა მას სულიერსა და იტყჳს: „არა თუმცა შჯული შენი ზრახვა იყო ჩემდა, მაშინვემცა სამე წარეწყმდი სიმდაბლესა შინა ჩემსა“ ⁴⁾, რაჟთა ჩუენ, ოდეს ეპოოთ წინადაწარ დამტკიცებული, მეშინოდის თითოეულსა გარდაქცევად მცნებათაგან მისთა, არა ხოლო თუ ცხადთა, არამედ დაფარულთაცა გულის-სიტყუათა, ვითარმედ მსგავსად მათსა მოწეგების ჩუენ.

ამისთჳს ჯერ-არს ჩუენდა მოსწრაფედ სიყუარული ძმათა ჩუენთაჲ, მარადის ყოლადვე. რამეთუ ესე არა შჯული მოსესი არს, რომელი დაშჯის განცხოველებულთა, არამედ შჯული არს სულიერი, რომელი ამხილებს დაფარულთა. უფალმან ჩუენმან იესუ ქრისტემან დაუდვა შჯული მოსეს კამსა მისსა, ვითარცა ჯერ-იყო, და კუალად დადვა მანვე ესე შჯული სულიერი, იგი აღასრულოს მადლით. უფალმან ჩუენმან იესუ ქრისტემან თქუა, (198) ვითარმედ: „არა მოვედ დაქსნად შჯულისა, არამედ აღსრულებად“ ⁵⁾. და ამისთჳს ჯერ-არს ჩუენდა, რაჟთა ყოველსა საქმესა შინა, რომელიცა უმშჯავროდ შემემთხვოს ძმათაგან, შეუნდოთ და მიუტეოთ გულითა.

და ესე უწყოდეთ, ვითარმედ არარაჲ სათნოებაჲ არს კაცთა შორის, ვითარ შენდობაჲ შემცოდებელისაჲ, და ამას გუაბრკოლებენ ჩუეულებანი პირველთა ცოდვათანი, რომელნი გუეუფლნეს გარდასლვითა მცნებათაჲთა. ამისთჳს ჯერ-არს ჩუენდა ვედრებად ღმრთისა მიმართ მრაველითა მღუძარებითა და ლოცვითა და შრომითა ჯორცთაჲთა, რაჟთა მოგკტევენეს ჩუენ და მომცეს ძალი შენდობად ყოველთა შემცოდებელთა ჩუენთა და მიმხუეკელთა.

აწ უკუე, ჰ სულო ჩემო, ვინაჟთგან განცხადებულ არს ესე ჩუენ ზედა, ჯერ-არს ჩუენდა ერთად შეერთებაჲ ყოველსა კამსა და ყოველსა საქმესა და

1 რაჟთა|+მოველოდით და B. 6 ჩუენ|+უფალმან B; აწ|—B; შჯული|+აწ B. 7 და დამტკიცა B. 10 რაჟამს იგი ეტყჳს ღმერთსა| — B. 11 მიაგი B; კაცად-კაცადსა B; საქმეთაებრ მათთა B. 16 ჩუენ|—B; ოდესმე B|+ჩნ B; თითოეულისაგან B. 17 ცხადთა|+ოდენ B. 20 არა|—B. 21 განცხოველებულთა| განცხადებულთა B. 22 და უფალმან B; მისა B. 23 სულიერი|+რაჟთა B. 24 მადლითა B. 27 გულითა|+ წმიდითა B. 28 და ესე| ესე B; სათნოებაჲ|+ უფროდს B. 29 შემცოდებელისა B. 31 ~ ჯერ-არს უკუე ამისთჳს B; ~ ვედრებაჲ ჩუენთჳს B. 32 და ლოცვითა| ლოცვითა B|+ვედრებითა B.

1) ლუკა 6, 37. 2) შდრ. I კორ 11, 31. 3) ფსალმ. 61, 12. 4) ფსალმ. 118, 92. 5) მათე 5, 17.

ყოველსა ადგილსა. უკუეთუ ვისგანმე მივიმძლავრნეთ და უსამართლოდ დაე-
საჯნეთ, მიხაროდის და არა შეეწუხნეთ. და კუალად არა აყოს სიხარული
ჩუენი უგუნურად, პირუტყულად და განუზრახველად, არამედ უწყოდით ქეშ-
მარიტად და მეცნიერად ვპოვეთ მიზეზი შენდობად შემკოდებელთა ჩუენთა,
რომლითა მოგუეტევენენ შე(199)კოდებანი ჩუენნი. და ესე მიზეზი არს ცნობაჲ
ღმრთისაჲ, ქეშმარიტი შეკრებული და შემკრებელი ყოვლისა ცნობისაჲ, რომ-
ლითა შემძლებელ ვართ თხოად ღმრთისაგან და მიმთხუევად სათხოელსა
ჩუენსა.

და ესე მიზეზი არს ნაყოფი ლოცვისაჲ და მას შინა გამოჩნდების სარწ-
მუნობაჲ ქრისტესი და მით შემძლებელ ვართ აღებად ჯუარისა ჩუენისა და
შედგომად ქრისტესა. და ესე არს დედაჲ დიდთა მათ მცნებათაჲ და წინამ-
ძღუარი ყოვლისაჲ და მით შემძლებელ ვართ შეყუარებად ღმრთისა ყოვლითა
გულითა ჩუენითა და მოყუასთაცა ჩუენთა ეგრევე. და მის მიერ სრულ-ქმნულთა
შევწიროთ მადლობაჲ და თაყუანის-ცემაჲ, რომლისა ჰშუენის დიდებაჲ და
პატივი და მისი არს სუფევაჲ და ძლიერებაჲ მამისა და ძისა და წმიდისა
სულისაჲ აწ და მარადის და უკუნიითი უკუნისამდე, ამენ.

თქუფული წმიდისა მარტვირი მონაზონისაჲ სინანულისათჳს და სიმდაგლისა

რამეთუ ფრიად უხარინ ღმერთსა და მხიარულ არიედ ანგელოზნი მისნი
გუამსა ზედა კაცისასა შრომითა განკაფულსა, რომელმან უბიწოდ დაჰმარხის
სიწმიდე მისი. ხოლო რომელი აღასრულებენ ნებასა ჯორცთა თჳსთასა, არ-
იგი ვითარცა აღმასრულებელი ნებასა მტერისა თჳსისასა. (200) აწ უკუე ჯერ-
არს ჩუენდა, რაჲთა არა აღვასრულებდეთ ნებასა ჯორცთა ჩუენთასა, რომელთა
ჰნებავს წარწყმედაჲ სულთა ჩუენთაჲ, არამედ აღვასრულებდეთ ნებასა ღმრთი-
სასა გულითა წმიდითა და ლოცვითა უბიწოთა.

რამეთუ ლოცვაჲ უბიწოჲ გულითა წმიდითა ღმრთისა მიმართ შემძლე-
ბელ არს მრავალთა ძალ[თ]ა საქმედ. ილოცა ოდესმე წინაწარმეტყუელმან
ელია ქუეყანასა ზედა და შეკრნა ცანი არა წჳმად ²⁾, და კუალად ილოცა და
მკუდრეთით აღადგინა ძე იგი ქურივისა მის სარეფთელისაჲ ³⁾. ლოცვამან
ოდესმე მკუდარნი აღადგინნის და ოდესმე ცოცხალნი მოაკუდინნის. ილოცა
პეტრე მოციქულმან და მკუდრეთით აღადგინა ტაბითა ⁴⁾, და კუალად ილოცა
და მოაკუდინა ანანია და საფირა, ცოლი მისი ⁵⁾, და მერმე ილოცა და განკურნა
ქუემდებარე იგი ⁶⁾. და ილოცა ელისე და აღადგინა ძე იგი სომანიტელისა
მის დედაკაცისაჲ ⁷⁾, და კუალად ილოცა შეილთა მათ ზედა კირთებისათა და
მისცნა მოსასრეელად დათუთა ⁷⁾.

2 და კუალად] კუალად B; +ამასცა გეტჳჲ ვ'დ B. 3 პირუტყულად] სახედ პირუტყუთა B.
4 მეცნიერად] +ვ'დ B. 5 მოგუეტევენენ] ვპოვით მოტევებაჲ B; ცოდვთა ჩუენთაჲ B; და ესე]
ესე B. 9 და ესე] ესე B. 11 და ესე] ესე B. 12 შეყუარებად] შეწყნარებად B; მის] ამის B. 18
სიმდაბლისა] +თავი იჲ კს'ნ A.

1) შდრ. III მეფ. 17, 1. 2) შდრ. III მეფ. 17, 17-33. 3) შდრ. საქმე 9, 36-42. 4) შდრ. საქმე
5, 1-11. 5) შდრ. საქმე 3, 1-8. 6) შდრ. IV მეფ. 4, 33-37. 7) შდრ. IV მეფ. 2, 23-24.

ლოცვაჲ წმიდაჲ და უბიწოჲ ესრეთ ძლიერ არს, ხოლო ლოცვაჲ ბიწი-
ერი და აუგეანი შეურაცხ არს წინაშე ღმრთისა. უკუეთუ ვიმარხვიდეთ და
იყოს ჩუენ თანა სიძულილი, გინა ძკრის ქსენებაჲ, გინა შური, გინა ზუაობაჲ,
გინა ამჰ(201)არტავანებაჲ, გინა ზაკუვაჲ, გინა მტერობაჲ, გინა თუალთ-ღებაჲ,
გინა თუ ცულად-დიდებაჲ, მაშინ მოგვგოს და გურქუას ჩუენ უფალმან: „ლოც-
ვაჲ თქუენი შეურაცხ არს წინაშე ჩემსა და გალობაჲ ფსალმუნთა თქუენთაჲ
მოიძაგა სულმან ჩემმან. რაჲამს განიპყრნეთ კელნი თქუენნი ჩემდა მომართ,
გარე მივიქციო თქუენგან პირი ჩემი. და უკუეთუ განამრავლნეთ ვედრებანი
თქუენ[ნ]ი, არავე ვისმინო თქუენი რამეთუ გულნი თქუენნი საესე არიან ზა-
კუვითა და განზრახვანი თქუენნი მწინკულევან არიან და გონებანი თქუენ[ნი] 10
შეგინებულ არიან. არამედ ამიერითგან განიბანენით, განიწმიდენით და მოი-
სპეთ უკეთურებაჲ თქუენი წინაშე ჩემსა. და მაშინ მოხვდეთ ლოცვად
წინაშე ჩემსა, და მე ვისმინო თქუენი და გრქუა თქუენ, ვითარმედ: აქა
ვარ“ 1). გუეშინოდენ უკუე აწ სიტყუათაგან ღმრთისათა და განვიწმიდნეთ
გულნი ჩუენნი ყოვლისაგან ზაკუვისა და ვნებათა. და უბიწოდ წარვდგეთ 15
ლოცვად მის წინაშე. და არა ხოლო თუ ზაკუვისაგან და ვნებათა ბოროტთა
ჯერ-არს განშორებაჲ ჩუენი ჟამსა ლოცვისასა, არამედ უდებებისაგანცა და
მოწყინებისა, და დაქსნილობისა და მცონარობისაგან და მსგავსთა ამათთა
ცოდვითა. რამეთუ დაღაცათუ ლოცვაჲ ჩუენი წმიდა იყოს და იყოს (202)
ზაკუვისაგან, და იყოს იგი უდებებით და დაქსნილობით და მცონარობით, 20
აუგეან არს იგი წინაშე ღმრთისა, რამეთუ არა საღმრთოთთა სიყუარულითა
შიწირვის. ესრეთ იყენეს მსხუერპლნი იგი კაენის ძმის-მკლველისანი და
მსხუერპლნი იგი ძეთა ისრაელისათანი, რომელნი-იგი დაწყევნა ღმერთმან, რა-
მეთუ თქუა: „წყუელ იყავნ კაცი იგი, რომელსა ედგას ვერძი უბიწოდ საარ-
ვესა თუსსა და მან ბიწიერი შეწიროს ღმრთისა“ 2).

სინანული მშობელი არს სიყუარულისაჲ, რამეთუ რომელსა თანა არა
არს სინანული, მის თანა არცა სიყუარული არს. სიყუარული მიზეზი არს სი-
ნანულისა და სარწმუნოებისაჲ და სასოებისაჲ. რომელსა შეურაცხ-უყოფიეს
სინანული, განშორებულ არს იგი წყალობისაგან ღმრთისა. ვტიროდით უკუე,
ძმანო, თავთა თუსთა და ცოდვათა ჩუენთათუს წინაშე ღმრთისა და, თუ შემ- 25
ძლებელ ვიყუნეთ, სხუათათუსცა, ვითარცა მსახურთა ღმრთისათა ძაძაჲ შევი-
მოსოთ და ვიგლოვდეთ, რამეთუ მიზეზ კეთილ განგებისა ჩუენისა გლო(ვ)აჲ
არს და მწუხარებაჲ. და ამას მოასწავებს სქემაჲ მონაზონებისა ჩუენისაჲ,
რამეთუ მსგავს არს იგი გლოვისა. და კუალად მარტოდ ყოფაჲ ჩუენი განშო- 30
რებ(203)ულად ყოვლისაგან სიხარულისა და ნუგეშინის-ცემისა ჯორციელისა
მოგუატყუებს ჩუენ სიხარულსა მას საუკუნესა. რამეთუ სენაკი მონაზონისაჲ
სახლი არს გლოვისა და მწუხარებისაჲ. ვითარცა-იგი აუგ და დუხპირ არს
ერის კაცისა მსოფლიოჲსა დღესა სერობისა მისისასა გლოვაჲ და მწუხარე- 35
ბაჲ და ტირილი, ეგრეთვე აუგ არს მონაზონისა განცხრომაჲ, სიცილი და
მზიარულებაჲ. რამეჲ უკუე იყოს სიძისა მის უუშუერეს, უკუეთუმცა შეიმოსა 40

1) ისაია 1, 14-16.

დღესა სერობისა მისისასა გლოვისა სამოსელი, და ტიროდა და გოდებდა წინაშე ყოველთა მენაჯეთა მისთა. ეგრევე რომელმან გონიერმან იხილოს მონაზონი, რომელსა ემოსოს სამოსელი წმიდა და შუენიერი, და იცინოდის და განსცხრებოდის და აღუტევებდეს ჳმასა თჳსსა, და არა განგმოს იგი და შეურაცხ-ყოს ხატი მონაზონებისა მისისაჲ?

ჯერ -არს უკუე ჩუენდა, ძმანო, აღკრძალვად გუამისა ჩუენისაჲ მრავლითა ჳირითა და ფრიადითა ვნებითა, მარადის შიმშილითა და წყურილითა, მღუძარებითა და შრომითა, სამოსლითა შეურაცხითა, პირითა მწუხარითა და თავითა მოდრეკილითა, ფერიითა მარხვისაგან დაუკლებულითა (204) და არა მეწამულითა, რომელი არს განწითლებულ ღვინისაგან, რამეთუ ღვინოჲ უცხო არს მგლო(ვ)არეთაგან. და რაჲთა იყვენენ თუალნი შენნი ლბილ და მდაბალ და ქუე-დამხედველ. ესრეთ ჯერ-არს ჩუენდა, რაჲთა მსგავს ვიყვენეთ მკუდართა ზედა მგლო(ვ)არეთა და არა განმზიარულდენ გულნი ჩუენ[ნი] ყოველსავე ზედა საქმესა ქუეყანისასა. არამედ ვიგლოვდეთ ლმობიერად, ტკივილითა გულისაჲთა, და ვლადადებდეთ წინაშე ღმრთისა მრავლითა ცრემლითა, ვითარცა დავით წინაწარმეტყუელი, და ყოველნი დღენი ჩუენ[ნი] აღვასრულნეთ სულ-თქუმიით და ტირილით. და შიშისაგან მსაჯულისა შე-მცა- ავშების ტყავი ჩუენი ძუალთა ჩუენთა და გამოვიხატოთ მარადის წინაშე თუალთა ჩუენთა დღე იგი მოწვევ ნადი საშინელი განკითხვისაჲ და სიღრმე იგი ჯოჯოხეთისაჲ, ბნელი იგი-
 20 წყუდიადი გარესკნელისაჲ და ცეცხლი იგი დაუშრეტელი და მატლი იგი დაუძინებელი და უკუდავი, ტირილი იგი მწარე, დაუცხრომელი, და გლოვად იგი დაუკადებელი და ღრქენად იგი კბილთაჲ დაულევენელი, და ამათ ესევეითართა სატანჯველთა შიშით მოვიგოთ გული შემუსრვილი და გონებაჲ ლმობიერი და სული უბიწოჲ და უზაკუველი.

და იყავენ გუამი შენი განწმარ და დამდნარ შრომითა და მოგინებითა (205) ლამის თვისა და უძლურებისაჲთა და მარადის შეკრძალვითა მარხვი საჲთა, რაჲთა არა აღმოსცენდეს ჩუენ შორის გულის-თქუმაჲ შეგინებული რომელ არს თესლი სიძვისაჲ. ხოლო ცოდვად სიმდაბლით და სინანულით უმჯობეს არს, ვიდრე სიმართლე ამპარტავანებით და ზუაობით, რამეთუ სიმ-
 20 დაბლე შემძლებელ არს განძარცუვად მრავალთა ცოდვათა და ბრალთა კაცისათა, და ამპარტავანებაჲ ადვილად განმამბნეველ არს მრავალთა სიმართლეთა კაცისათა და კეთილისა საქმეთა. რამეთუ ესრეთ შეემთხვა ფარისეველსა მას ამპარტავანსა და მეზუერესა მას მდაბალსა, რამეთუ ფარისეველმან მან ამპარტავანებით წარიწყინდა სიმართლე თჳსი და მეზუერემან მან სიმდაბლით აჯოც-
 20 ნა ცოდვანი თჳსნი.

აწ უკუე გუეშინოდენ და განვერნეთ ამპარტავანებასა და განვეშორნეთ რამეთუ წინააღმდგომ არს ღმრთისა. და ვად არს კაცისა მის, რომელი წინა-აღუდგებოდის ღმერთსა, რამეთუ ყოველნი დაბადებულნი ემტერნენ მას და წარწყმიდონ იგი. ნეტარ არს კაცი იგი, რომელი სათნო-ეყოს ღმერთსა. ვინ
 20 შემძლებელ არს მისა, რამეთუ ყოველნი დაბადებულნი შემწე არიან მისა და

მის წილ ჰბრძანან და პატივ-უყოფენ სიხარულით. შევიყუროთ უკუე (206) სიმდაბლე, რომელი აღირჩია ღმერთმან და ვეველტოდით ამპარტავანებასა, რამეთუ ღმერთი განაგდებს მას; რომელი ამპარტავანებდეს და ზუაობდეს ძმისა მიმართ თვისისა, ღმრთისა ზედა აღიმაღლებს თავსა თვისსა. ვაჲ არს მის კაცისა, რომელმან არა უწყის უძლურებაჲ თვისისა თავისაჲ.

ძმაო, უკუეთუ გნებავს ცად აღმაღლებაჲ, უსწრვე პირველად და დამდაბლდი ქუეყანასა ზედა უფროჲს ყოველთა კაცთასა და იქმენ უქუემოგს ყოველთა კაცთასა და რაედენცა დაჰმსდაბლდე ქუეყანასა, ეგოდენცა აჰმაღლდე ცათა შინა. უკუეთუ გნებავს შეებაჲ და სიხარული კეთილთა მათ ზეცისათაჲ, განიშორე შენგან დიდებაჲ და ნუკევაჲ ამის ქუეყანისაჲ და დაუთმე განსაცდელთა. უკუეთუ გნებავს დიდებაჲ ღმრთისაგან საუკუნოდ წინაშე ანგელოზთა და კაცთა, მოიძულე დიდებაჲ ესე კაცთაჲ დაცუდებადი და წარმავალი და შეჰრაცხე თავი შენი ყოველთა უცოდველესად და მოიგე სრული სიმდაბლე გონებითა შენითა. უკუეთუ გიწოდოს შენ კაცმან მართლად და შეჰრაცხე შენ ქებაჲ იგი მისი გინებად. და გონებაჲ შენი ყაჲ, ვითარმცა გიყუარს (207) ქებაჲ და სიმდაბლით განაგებ, არა ვითარმცა გძულდა იგი. რამეთუ ცუდად-დიდებაჲმან შეის სიმდაბლისაგან ამპარტავანებაჲ და ცხორებისაგან სიკუდილი, რამეთუ რაჲინს ყვის, ნუ რაჲმე კეთილისა საქმე ჰჲარაჲნ მას, რაჲთა არა იდიდოს მის გამო, ხოლო სურვიელად მოსწრაფე არნ, რაჲთამცა განცხადნა და მოსწრაფე იქმნა ყოველთა კაცთასა. და სიმდაბლისა მისგან მოიხდინ ამპარტავანებასა და წარწყმიდის სასყიდელი კეთილთა საქმეთა მისთაჲ.

აწ უკუე გუეშინოდენ სიღრმისა მისგან ცუდად-დიდებისა და მრავალფერთა საფრჯეთა მისთაგან, რამეთუ ყოლადვე მედგარ და შიგნოან არს იგი, რამეთუ ოდეს დაუთმით გინებასა, გუეწყვებინ მის წილ ცუდად-დიდებითა, არამედ ოდეს დაუთმოთ გინებასა, ვთქუათ, ვითარმედ ქების მოყუარენი ვართ და ამით ვიოტოთ ცუდად-დიდებაჲ და ვიპოვნეთ სრულ სხუათა თანა. უკუეთუ გონებითა ჩუენითა განვიზრახოთ, ვითარმედ ქეშმარიტად გყუარს ქებაჲ და დიდებაჲ და ამაღლებებაჲ და ვართ ჩუენ ცოდვილ და უღარეს ყოველთასა. და უკუეთუ გუაქენნ და გუადი(დ)ნენ კაცთა, მაშინ შევიკრძალოთ სიმდაბლე გონებისა ჩუენისაჲ, რამეთუ ქებაჲ მდაბალთა არას მანებებელ ეყვის. მიჰხედე წმიდათა მათ (208) ღმრთისათა, პავლეს და ბარნაბას, რომელნი არა ხოლო თუ კაცთა დიდებით აღიდნეს, არამედ ღმრთად აღიარნეს იგინი, ნათესავმან უცებთამან, და უნდა ზორვად მათდა მცირედ მეცნიერებითა მათითა. იხილე, ვითარ მწრაფლ გამოვიდეს და აღიმაღლეს ჳმაჲ მათი და შეჰრისხნეს უგულისკმობა მათ და სამოსელი მათი დაიპეს და ეტყოდეს: „კაცნო, რასა იქმთ, რამეთუ ჩუენცა კაცნივე ვართ თქუენებრნი, ვორციელნი, ბუნებისა თქუენისანი“ 1). ეგრეთვე ყო ნეტარმან პეტრე, რაჲამს-იგი კორნელიოს ასის თავი თაყუანისსცემდა პირსა ზედა თვისსა და აღიდებდა, ვითარცა დიდსა და პატიოსანსა. მაშინ მიუგო სიმდაბლითა ბუნებრივითა და ჰრქუა: „აღდეგ, ძმაო, რამეთუ

2 სიმდაბლე A. 6 პირველად| პირველად A. 9 ზეცისათა A. 18 საქმე A.

1) საქ. მოც. 14, 11-15.

მე თავადი კაცივე ვარ“¹⁾. და კუალად სხუასა ადგილსა იყო იოვანე სა-
 ყუარელისა თანა, რაქამს-იგი უძლური განაცოცხლეს და ღრეკილი აღადგინეს,
 მაშინ მოიცივნეს იგინი კრებულმან მან ერისამან და ჰხედვიდეს მათ ვითარცა
 ღმერთთა, და უკარდა მათ საქმე იგი. მიუგო მათ პეტრე და ჰრქუა: „რაჲსა-
 5 გიკვრს და მხედავთ ჩუენ, ვითარმცა ძალითა ჩუენითა ვქმენით, რომელსა-ესე
 ჰხედავთ? რამეთუ ვყავთ ესე ძალითა და ძლიერებითა ღმრთისაჲთა“. და დი-
 დებჲა იგი მხოლოჲსა ღმრთისა მიგზავნეს“²⁾. (209) ეგრევე ჰყოფდეს წმიდანი
 იგი პირველნი, რამეთუ დიდებასა და პატივსა ღმერთსა მიაჩემებდეს, ხოლო
 შეურაცხებასა და სიმდაბლესა თავთა თჳსთა იჩემებდეს, და უძლურებასა ბუ-
 10 ნებრივსა ყოველსა ეამსა აღიარებდეს. იხილე აბრაჰამ მამათ მთავარი, მეგო-
 ბარი ღმრთისაჲ და მოშიში მისი: „მიწად და ნაცრად უწოდდა თავსა თჳსსა“³⁾.
 იხილე დავით წინაწარმეტყუელი, რჩეული ღმრთისაჲ, რომელი იყო გულითადი
 ღმრთისაჲ, აღმასრულებელი ყოველთა მცნებათა მისთაჲ: ძალღად მკუდრად⁴⁾
 და გრწყილად და მატლად და საყუედრეღად კაცთა და შეურაცხად ერისა⁵⁾.
 15 უწოდდა თავსა თჳსსა. ეგვიფთარი მეფე, დიდი და ცხებული ღმრთისაჲ და
 პატიცემული მის მიერ, ესრეთ დაიმდაბლებდა თავსა თჳს(ს)ა. იხილე კუალად
 ესაია წინაჲსწარმეტყუელი, რომელმან-იგი იხილა დიდებჲა ღმრთისაჲ: ძონძად
 წიდოვნისად და ცოდვილად და შეგინებულად უწოდდა თავსა თჳსსა. იხილე
 კუალად დანიელ, ჩუენებათა მხილველი საღმრთოთა, და მოყუასნი მისნი, სამნი.
 20 ყრმანი, რომელნი-იგი შეითხინეს საჯუმილსა, იტყოდეს: „რამეთუ შეგცოდეთ
 ჩუენ ყოველთავე, ურჩულო ვიქმნენით და განგიდევით ჩუენ შენგან“⁶⁾. და
 სიმართლე მათი ყოველი შეგინებულად შეჰრაცხეს წინაშე ღმრთისა. და კუა-
 ლად წმიდაჲ პეტრე, კაცთა მონადირე, ნავსა (210) შინა რაჲ იყო, ეტყოდა:
 „უფალო, განმეშორე ჩემგან, რამეთუ კაცი ცოდვილი ვარ მე“⁷⁾. და კუალად
 25 მათე მახარებელი, რომელმან აღწერნა საკრველებანი ღმრთისანი, მეზუერედ
 და ცოდვილად უწოდდა თავსა თჳს(ს)ა.

იხილე კუალად პავლე, მამაჲ იგი რჩეული და დიდებული ყოველთა ცოდ-
 ვილთა პირველად და მგმობრად და მღევრად და მაგინებელად, რომელი „არა
 ვარ ღირს მოციქულადო“⁸⁾, იტყოდა თავსა თჳსსა. და ეშინოდა, ნუჟუე დიდ
 30 ვინმე უწოდოს მას, და არა სირცხულ უჩნდეს მას ყუედრებანი იგი და შეუ-
 რაცხებანი წინაშე ყოველთა კაცთა, რამეთუ უწყოდა, ვითარმედ მათ მიერ
 აღიწევის იგი ზეცად. რამეთუ მცირე და შეურაცხი, რომელი უწოდოს კაცმან
 თავსა თჳს(ს)ა სახელი სიმდაბლით, უზეშთაეს არს პატივსა დიდებასა სხუა-
 თასა, დაღაცათუ სიმართლით იყოს. რამეთუ იტყუს თავსა თჳსსა, ვითარმედ:
 35 „ესე ყოველი წარმავალ არს და დიდებისა ნაცვალად შეურაცხებასა მოიხ-
 დინ“. და უწყინ, ვითარმედ მართალმან დაღათუ სამართლად იწოდოს თავსა
 თჳს(ს)ა მართლად, არა სთნავს იგი ღმერთსა, არამედ სიმდაბლით, გარე-მო-
 ქცეულად თქუმიით, თუ მართალი იყოს, ცოდვილად უწოდდეს თავსა თჳს(ს)ა.

⁴⁰ 10 მამად მთავარი A. 36 იწოდოს (ასეა!) A.

¹ საქ. მოც. 10, 25-26. ² საქ. მოც. 3, 1-12. ³ შდრ. შესაქ. 18, 27. ⁴ შდრ. II მეფ. 9, 8.

⁵ შდრ. ფსალ. 21, 7. ⁶ დან 9, 5. ⁷ ლუკა 5, 8. ⁸ საქ. მოც. 22, 4; I კორ. 15, 9.

და ამისი ქეშმარიტებაჲ ვისწავეთ ფარისეველისა და მეზუერისაგან, რამეთუ ორთავე მათ სამართლად აღიარნეს საქმენი მათნი: (211) მეზუერემან აღიარნა ცოდვენი თვისნი ქეშმარიტად, რამეთუ ცოდვილი იყო, ხოლო სიმდაბლით აღსარებამან მისმან განძარცუა იგი ყოველთაგან ცოდვითა მისთა. და კუალად ფარისეველმან მან აღიარა სიმართლე თვისი ქეშმარიტად, რამეთუ მართალი იყო, ხოლო ამპარტავანებით აღსარებამან მისმან განძარცუა იგი ყოველთაგან სიმართლეთა მისთა¹⁾. და ორთავე ამით შეცვალნეს საქმენი მათნი სამართლად აღსარებითა მათითა.

აწ უკუეთუ ქეშმარიტისა აღსარებაჲ საენებელ და სარგებელ ეყო აღმსარებელთა მათ, რადენ უფროჲს, თუ ტყუილით ვინმე იტყოდის, თუ იყოს იგი მართალი; და ცოდვილად იტყოდის, და თუ ცოდვილი იყოს—მართლად. ეგრეთვე საენებელ და სარგებელ ეყოს დაფარულთა მეცნიერისაგან ღმრთისა; მართალსა მას ემატოს სიმართლე და ცოდვილსა მას ემატოს ცოდვაჲ. ვითარცა ევენების ცოდვილსა, უკუეთუ ვინმე მართლად უწოდდეს უსამართლოდ და ტყუილით, ეგრეთვე სარგებელ და შესაძინელ არს მართლისა, უკუეთუ ვინმე ცოდვილად უწოდდეს უსამართლოდ, ტყუილით.

აწ უკუე განვეშორნეთ ქუეყანისა დიდებასა და მის წილ აღვირჩიოთ გინებაჲ და შეურაცხებაჲ და ვემსგავსნეთ პირველთა მათ წმიდათა და მათებრ შევიკრძალოთ სიმდაბლე (და) დიდებაჲ პატივისა ჩუენისაჲ. და მოვიკსენნეთ ცოდვენი ჩუენნი (212) პირველნი და დავივიწყნეთ სათნობებანი ჩუენნი, აღვიარნეთ ნაკულღევანებანი ჩუენნი და არა მოვიკსენნეთ სრულებანი ჩუენნი და ვჰმადლობდეთ ღმერთსა და მას ვადიდებდეთ და არა თავთა ჩუენთა და ვიტყოდით წინაწარმეტყუელისა თანა: „ნუ ჩუენთვის, უფალო, ნუ ჩუენთვის, არამედ სახელსა შენსა ეც დიდებაჲ წყალობითა შენითა და ქეშმარიტებითა შენითა“²⁾.

და უკუეთუ ვინმე გუაქნეს და გუადიდნეს, ვითარცა სრულნი და წმიდანი, გვლირს ჩუენ, რაჲთა შევეშინდეთ, ვითარცა მეცნიერნი უძღურებასა თავთა თვისთასა. და ვიტყოდით თავით თვისით, ვითარმედ: ბოროტად გუაქებს და გუადიდებს თვნიერ მეცნიერებისა, და ვჰრქუათ მადიდებელსა მას ჩუენსა: ზაკო, რასა იქმ და ჰმძღაერობ წმიდათა და მართალთა, რამეთუ დიდებასა და ქებასა მათსა წინა-უყოფ კაცსა ცოდვილსა და არა-ღირსსა; მიგიტევენ შენ უფალმან ცოდვაჲ ესე უმეცრებითი. და უკუეთუ კუალად გუადიდებდეს, დაუტოთ ქებაჲ და დიდებაჲ მისი გარეშე და შევიდეთ შინაგან გულთა ჩუენთა და დავჰვშათ კარი ჩუენი წინაშე პირსა დიდები(ს)ა მისისასა და დავჰკრძალოთ მოქლონითა სიმდაბლისაჲთა და არა განულოთ და არცა შეუტოთ გულად ჩუენდა ქებაჲ მისი, და რაჲთა არა შევაწუხოთ სული წმიდაჲ, რომელი მკვდრ არს ჩუენ შორის. და დავკტევენეს და განგუეშოროს ჩუენგან და მის თანა წარილოს ნაყოფი და დიდებაჲ მისი და მოსთულნეს ნაყოფნი (213) იგი, რომელნი დაენერგნეს გულთა ჩუენთა და წარიხუნეს. და ყოველი შეუნიერებაჲ ნერგთა ჩუენთა წარსლვითა მისითა ცუდ იქმნეს და მოსლვითა სულთა უკეთურთაჲთა, რომელნი მის წილ მოვიდენ, განაჰმნენ იგინი და დასცვენს

37 მოსთულნეს A.
¹⁾ ლუკა 18, 10-14. ²⁾ ფსალმ. 113, 9.

ფურცელი მათი და უკუნადსკნელ ნეფხვისა სიმძაფრისაგან შეეკურცნას კერ-
ქიცა მათი და დაშთენ განშიზულეზულნი ჳმელად და უნაყოფოდ.

მორჩილებაჲ არს შვილი სიმდაბლისაჲ და აღზრდილი მისი, ხოლო ურ-
ჩებაჲ არს ნაშობი ამპარტავანებისაჲ. უკუეთუ არა დამდაბლდეს კაცი, არა
• 5 დაემორჩილოს, და უკუეთუ არა ამპარტავან იქმნეს, არა ურჩ ექმნეს. რამეთუ
მდაბალი ყოველსა ზედა მორჩილ არს. მორჩილებაჲ დედა არს ყოველთა სათ-
ნოებათაჲ, ძირი არს ყოვლისა კეთილისა საქმისაჲ, დაწყებაჲ არს და აღსრუ-
ლებაჲ მცნებათა ღმრთისათაჲ. სიმდაბლე განმამრავლებელი არს მშჯღობისაჲ
და მომგებელი არს სიყუარულისაჲ, განმადლიერებელი არს მომგებელთა მის-
• 10 თაჲ, განმამორებელ იქვსა, დამარლუეველ წინააღმდგომისა, დამაწყნარებელ
რისხვისა, განმაბნეველ შფოთისა და განმაქარვებელ ძკრის ჳსენებისა, განმა-
ძებელ ბოროტისა და მტერობისა და დამაცუდებელ შურისა და წარმწყმედელ
ყოვლისა ბოროტისა. ხოლო ამპარტავანებაჲ ამის ყოვლისა მომგებელ და მომ-
პოვნებელ არს. იგი (214) მძლე ექმნა ადამს, პირველსა მას ჳამასა ჩუენსა, რა-
• 15 ჟამს-იგი ურჩ ექმნა მცნებათა ღმრთისათა ამპარტავანებით. და მიერთგან
ურჩებაჲან განამრავლნა ცოდვილნი. ურჩებაჲან მოგუაძულენა ჩუენ ღმერთსა
და განგუაშორნა წმიდათა ანგელოზთა მისთა და განდევნა ჩუენგან მშჯღობაჲ
და განძარცუა დიდებაჲ და განწადა მორჩილებაჲ და განძო სიყუარული და
განაბნია ყოველი კეთილი საქმე და განამრავლნა იქუნი და ორგულეზანი და
• 20 დასთესა წინააღმდგომად და აღმოსცენდა შური და ნაყოფად გამოიღო რისხვაჲ
და გულის წყრომაჲ და განმრავლდა მტერობაჲ და აღავსო ყოველი ქუეყანაჲ
კაცის-კლეითა და სისხლთა დათხევიითა და აღადგინა წინააღმდგომად ღმრთი-
საჲ და ყოველი ბოროტი სოფლად მან შემოიღო. არამედ ქრისტემან ღმერთ-
მან ჩუენმან სიმდაბლითა თვისითა განაქარვნა მრავალ-ლონენი მისნი და მორ-
• 25 ჩილებაჲ გუასწავა, და მიერთგან განმრავლდეს სათნოებანი და დღითი-დღედ
აღემატების ღმრთის მსახურებაჲ.

აწ უკუე ნუმცა ვალთ ურჩებით, რომელ არს მოძღურება ეშმაკისაჲ, ნუმცა
განვდგებით მისებრ და ნუმცა შეუდგთ კუალსა და სწავლასა მისსა. გუეში-
ნოდენ ცოდვისაგან, რომლითა აღავსო ყოველი ქუეყანაჲ, (215) მოვიძულოთ
• 20 იგი, რომელმან ყოველნი ბოროტნი ნათესავსა ჩუენსა მოუგნა ურჩებისა სწავ-
ლითა. განვეშორნეთ მას, რომელმან მოაწინა ჩუენ ზედა მრავალ-სახენი მწუ-
ხარებანი, და მივეახლნეთ მას, რომელმან მოგვგნა ზეცისა იგი კეთილნი, რო-
მელმან-იგი ქუეყანით ზეცისა სიხარულსა მიგუაწინა, რომელმან აიხუნა თანა-
ნადებნი ჩუენნი და გჳჩინნა ჩუენ სასუფეველსა თვისსა. ამიერთგან არლარა
• 25 შეუდგეთ ნებასა ჳორცთა ჩუენთასა და გულის-თქუმათა მისთა. შვილნი რისხ-
ვისანი ვიყვნით პირველ და აღვასრულებდით ნებასა და გულის-თქუმასა
ჳორცთა ჩუენთასა¹⁾. არამედ ვიგსნენით მადლითა ღმრთისაჲთა და ქრისტეს
თანა აღვდეგით.

აწ უკუე ჳერ არს ჩუენდა, რადთა ნებასა ქრისტესსა აღვასრულებდეთ,
• 30 ვითარცა-იგი მან ნებაჲ მამისა თვისსაჲ აღასრულა. ნუმცა უგულებელს-ვჳყოფთ

¹⁾ შდრ. ეფეს. 2, 3.

მორჩილებასა მისსა ჟამსა კირისასა და განსაცდელისასაცა, არამედ ვიდრე სიკუდილადმდე დაუთმობდეთ, რამეთუ მორჩილებაჲ აღმასრულებელი არს ყოველთა მცნებათაჲ, უკუეთუ ვინმე ვიდრე სიკუდილმდე დაუთმოს, ვითარცა-იგი უფალმან ჩუენმან ყო. რამეთუ დამდაბლდა და მორჩილ იქმნა ვიდრე სიკუდილადმდე²⁾. ესე არს საზღვარი სრულისა მის მორჩილებისა და სიყუარულისაჲ, რაჲთა მოიწიოს (216) ვიდრე სიკუდილა(დ)მდე. ვისწრაფოთ უკუე მორჩილებაჲ ღმრთისა და აღსრულებაჲ მცნებათა მისთა. და, უკუეთუ სიკუდილი შეგუემთხვოს ამისთჳს, სიხარულით შევიწყნაროთ, არა ხოლო თუ ღმრთისათჳს, არამედ მოყუსისათჳსცა ჩუენისა, ვითარცა წერილ არს, ვითარმედე: „ჯერ-არს დადებაჲ სულისაჲ მოყუსისა თჳსისათჳს, ვითარცა-იგი ქრისტემან დადვა სული თჳსი ჩუენ ყოველთათჳს“⁴⁾.

და ჩუენცა ვიდრე სიკუდილმდე მოსწრაფე ვიყუნეთ განსუენებაჲ ძმათა, რომლითა სარგებელ ვიყუნეთ მათდა და ჩუენდა, რომლითა შემძლებელ ვიყუნეთ. განუსუენე ძმათა ქრისტესთა, დიდთა და მცირეთა, რაჲთა იკურთხო მის მიერ და დაიმკჯდრო სასუფეველი ცათაჲ, რომელ აღგითქუა შენ, ვითარცა წერილ არს: „მოვედით, კურთხეულნო მამისა ჩემისანო, და დაიმკჯდრეთ სასუფეველი, რომელი განგიზადაე თქუენ უწინარეს სოფლის დაბადებისა. რამეთუ მშიოდა და მეციით მე კამადი, მწყუროდა და მასუთ მე, შიშუელ ვიყავ და შემომსეთ მე, უცხო ვიყავ და შემიწყნარეთ მე, სნუელ ვიყავ და მოხუედით ჩემდა“³⁾.

აწ უკუე ყოველსა კეთილსა, რომელსა შემძლებელ ვიყვნეთ, წინა-უყოფდეთ მას მხიარულებით, რამეთუ ყოველსა შეიწყნარებს შენგან, ვიდრე კინინამდე. არა ითხო[ვ]ს შენგან ნიქთა დიდ-დიდთა და არცა მისაცემელთა მრავალთა, სასუმელსა [ერთსა წყალსა გრილსა] (217) დაჯერებულ არს შენგან და სიხარულით შეიწყნარებს, და ნაცვალად მისა მიგცემს მისაგებელსა მრავალსა. იყავნ ხოლო კეთილი შენი მხიარულებით, წადიერად და ნუ ორგულებით და მწუხარებით.

აწ უკუე შეიწყნარე ქრისტე, დაღაცათუ ფრიად გლახაკ ხარ, ნუ დააყენებ მას შესლვად სახიდ შენდა. შეიწყნარე უცხოებაჲ მისი საყოფელსა შენსა და წინა-უყავ მას, რომელი პოოს ჳელმან შენმან სიყუარულით, და აიძულე მას განსუენებაჲ შენ თანა. თაყუანის-ცემით ვევედრე მას, რაჲთა შემოვიდეს ვანად შენდა, და ჰმსახურე მას მოსწრაფებით სურვიელად. დაჰბანენ ფერჳნი მისნი მტუერისაგან, სცხე ზეთი თავსა მისსა. შეიწყნარე სიხარულით, დასუ ტაბლასა შენსა მხიარულებით, განაძლე შიშვილი მისი სიხარულით და აღავსე წყურილი მისი, და ნუ მოიწყინებ მსახურებასა მისსა და განსუენებასა. (არა) ჰნებაჲს მას მრავალი [სა]ნოაგე, ვითარცა ნაყროანთა, რამეთუ მცირედი საჳმარ არს მისა, ვითარცა ჰრჳჳა მართას⁴⁾. არა ითხოვს შენგან ჳბოსა ზუარაკად, ვითარცა-იგი აბრაჰამ მდიდარმან წინა-უყო⁵⁾. პურსა ხოლო და წყალსა დაჯერებულ არს შენგან, არამედ ნუ თუალ-ბოროტად და მწუხარედ. მცირედი რაჲმე მხიარულებით ჰნებაჲს მას უფროჲს მრავალთა სანოაგეთა იძულებით და მწუხარებით. განვედ ურაჳპარაკად, (218) მეზოძირთა გზისათა და იკითხე მისთჳს და იძიე იგი

¹ შდრ. ფილიპ. 2, 8. ² I იოანე 3, 16. ³ მათე 25, 34-36. ⁴ ლუკა 10, 41. ⁵ შესაჳ. 18, 7.

უბანთა ქალაქისა გინა დაბისათა, და რაემს ჰპოო იგი, სიხარულით მოიკითხე. და უკუეთუ შიშუელ იყოს, შემოსე იგი და, თუ სნეულ იყოს, ილუაწე, და უკუეთუ საპყრობილეს იყოს, ითუალე იგი ლმობიერად და მის თანამცა გვენების. ეზიარე ტკივილთა მისთა გონებითა შენითა და ყოვლითა ძალითა შენითა შეეწიე მას და განაძლიერე უძლურებად მისი ნუგეშინის-ცემითა. აიხუნენ საღმობანი მისნი, მოსწრაფებით ჰმსახურე მას ლუაწლთა შინა მისთა. უკუეთუ არა გაქუს საზრდელი მიცემად და არცა წამალი საკურნებელად წყლ(ულ)თა მისთა, სიტყვთ ხოლო ნუგეშინის-ეც მას და სიყუარულით აიხუნენ წყლულეზანი მისნი და ტკივილნი. დასთხიენ მის ზედა ცრემლნი შენნი ლმობიერად, შეეწიე მას ლოცვითა. იღვძებდ მის თანა ძლიერად, ჯელითა შენითა ჰმსახურე მას, ნუ გცონინ მიმოსლვად საქმისა მისისათჳს. და უკუეთუ ცოცხალ არს იგი ჯორციითა და უძლურ სულითა, ასუ მას საკურნებელად სასუმელი ნუგეშინის-ცემისაჲ. და უკუეთუ ცხადად არა ინებოს სუმაჲ სიმძაფრეთაგან ტკივილთა მისთაჲსა, ასუ მას საიდუმლოდ მეცნიერებით. განამრავლე ლოცვაჲ მისთჳს, რომელი მკურნალი არს სულთა და ჯორც(219)თაჲ. „რამეთუ ლოცვაჲ წმიდაჲ საარწმუნოებით შემძლებელ არს განკურნებად სნეულთა, და თუ ცოდვაჲცა რაჲმე თუ ექმნას, მი-ვე-ეტეოს მათ“¹⁾. და უკუეთუ მშვიერ იყოს იგი მეცნიერებისაგან, ეც მას საზრდელი, და უკუეთუ წყურვილ იყოს იგი ცნობისაგან, ასუ მას წყალი სიბრძნისა შენისაჲ. და უკუეთუ შიშუელ იყოს კეთილთაგან საქმეთა, შეიწყალე იგი, ვითარცა თჳსი შენი და შეიწყნარე შენ თანა. ნუ უგულუბელს-ჰყოფ და ნუცა შეურაცხ-ჰყოფ, ვითარცა უცხოსა, არამედ ლმობიერ იქმენ მის ზედა, ვითარცა თავსა თჳსსა ზედა, და შემოსე სიშიშულე მისი ნამეტავითა სამოსლისა შენისაჲთა. ჰირვეულთა შეეწიე და სნეულთა მიჰხედე შენ, რომელი-ეგე ცოცხალ ხარ და მაქუსიერ ხარ, რამეთუ მათ შინა იპოვებიან ვიდრე დღენდელად დღედმდე ლაზარე გლაზაკი, რომელი შთასუა წიაღთა აბრაჰამისთა. ნუ უგულუბელს-ჰყოფ, ვითარცა მდიდარი იგი უწყალოჲ, რაჲთა არა გერქუას შენცა, ვითარცა-იგი მას აბრაჰამ მოწყალისაგან სიტყუაჲ იგი უწყალოებისაჲ დღესა სერისა შენისასა²⁾.

ამიერთგან მიეც გლაზაკთა ნამეტავისაგან სიმდიდრისა შენისა ჯორციელიისა და სულიერისა და ნუ ვის მათგანსა უგულუბელს-ჰყოფ. დაღაცათუ შეურაცხი ვინმე იყოს. რამეთუ არა უწყი აღსასრული მისი, ნუუკუე იყოს იგი პატივ-ცემულ ღმრთისაგან და ანგელოზთა მისთა, (220) ვითარცა იტყჳს: „ნუ შეურაცხ-ჰყოფთ ერთსაცა (ა)მათგანსა მცირესა, რამეთუ ანგელოზნი მათნი მარადის ხედვენ პირსა მამისა ჩემისასა, რომელ არს ცათა შინა“³⁾. და თქუენცა ნუ შეურაცხ-ჰყოფთ ერთსაცა მცირეთაგანსა, არამედ ჯელსა აღუპყრობდით და მისცემდით საწმარსა მათსა მონაგებთაგან თქუენთა და ლოცვითა და სიტყვთა იტჯრთენით უძლურებანი მათნი გუამითა თქუენითა. ეყვებით მათ შემწე, ვითარცა ასოდ ასოთა მათთაგანი. შენ, რომელ-ეგე მრთელ და ცოცხალ ხარ, ექმენ უფერჯოსა ფერჯ და მწუხარესა თუალ, და ცნობითა ნაკლულევანსა სიბრძნე და ენა-მძიმესა პირ და ენა.

25 გლაზაკნი A.

1) იაკობ 5, 15. 2) შდრ. ლუკა 16, 19-31. 3) მათე 18, 10.

„ყოველნი ურთიერთას ასოებ ვართ გუამითა ქრისტესითა“, ყოველთა
 ეყავ ყოვლითურთ, ვითარცა იტყუს მოციქული¹⁾. და ესე უწყოდე, ვითარმედ
 ასოთა შინა გუამისათა არა არს ასოჲ ერთი ძლიერი, რომელიმცა თავსა ხოლო
 თჳსსა ჰმსახურებდა და სხუანი იგი უძლურნი შეურაცხ-ყუნა, არცა შინაგანი
 გუამისანი უხილაენი და არცა გარეშენი ესე ხილულნი, არამედ ყოველნი ურ- 5
 თიერთას ზიარ არიან მსახურებასა გუამისასა: ძლიერი იგი უძლურსა ჰმსახუ-
 რებს მოუწყინებელად და მცირე დიდთა თანა ეზიარების უშურველად, და
 შეურაცხი პატიოსანსა თანა განგებით იგულების და ყოველნივე ერთიერთსა
 პატიე-სცემენ და ჰმსახურებენ მოუწყინებელად. ეგრევე სახედ ჩუენ ყოველნი
 ასონი ვართ გუამისა ქრისტესისანი²⁾ (223*) და ჯერ-არს ჩუენდა, რაჲთა 10
 ურთიერთას მორჩილ ვიყვნეთ, ვითარცა ასონი გუამისანი, მსახურებდა, და
 მრავალ-ფერსა განგებასა და პატიე-(ვ)სცემდეთ მსახურებითა ურთიერთას,
 მსგავსად ძალისა ჩუენისა. შეეპკრებდეთ საშოვალ სულიერსა და ჯორციელსა,
 ვითარცა-იგი კრებული მოციქულთაჲ, და იყოს ჩუენ შორის ყოველივე განს-
 წორებულად, ვითარცა წერილ არს, ვითარმედ: „რომელმან-იგი ფრიალ შეი- 15
 კრიბა, არა(ჲ) ემატა, და რომელმან მცირედ შეიკრიბა, მას და-არა(ჲ)-აქლდა“,
 რაჲთა ყოველნივე ყოვლისაგან უნაკლულო ვიყვნეთ. ესრე სახედ, რამეთუ რო-
 მელი შეეწოდის ჯორციელად, შეეწოდის იგი სულიერად. და სხუად შესწვე-
 დეს ჯორციელად და შეეწოდის სულიერად. და რომელიმე მისცემდეს გა-
 რეშე, და მიიღებდეს შინაგან, და რომელიმე მისცემდეს შინაგან და მიიღებდეს 20
 გარეშე და განსწორებით იყოს განგებაჲ ჩუენი პატივითა, სიყუარულით და
 სიმდაბლით ურთერთას, რაჲთა არა იყოს ჩუენ შორის ყოლადვე ნაკლულევა-
 ნებაჲ რაჲსაჲმე.

უკუეთუ დავაყენოთ ძმისა მიმართ უცბისა სიტყუად მეცნიერებისაჲ და
 სარგებელისაჲ, გინა ლოცვაჲ, ცოდვილისათჳს არს იგი, ვითარმცა დავაყენეთ 25
 საჭმარი ჩუენი და მსახურებაჲ ჩუენი კაცისაგან გლახაკისა და ქირვეულისა.
 რამეთუ ერთ არს, რომელი შეეწევის უცებსა სიტყუთა და ცოდვილსა ლოც-
 ვითა, და უძლურსა ძალითა, და გლახაკსა მონაგებითა (224). და უდიდეს არს,
 რომელი შეეწევის უცებსა სიტყუთა მეცნიერებისაჲთა და ცოდვილსა ლოც-
 ვითა და ნუგეშინის-ცემითა, უფროჲს მისსა, რომელი შეეწევის მშვიერსა სა- 30
 ზრდელითა პურისაჲთა და შიშუელსა სამოსლითა, ვითარცა სული უდიდეს
 არს ჯორცთა, რამეთუ იგი სულიერად ზრდის და ესე ჯორციელად. ხოლო
 უწყალოებაჲ და შეურაცხებაჲ ძმისაჲ შორეან წესსა ქრისტეანობისასა, და
 უფროჲს ხოლო წესსა და განგებასა პატიოსანსა და სრულსა მონაზონთასა,
 გარნა თუ ვინმე მოიგოს ესე წარსაწყმედელად სულისა თჳსისა. 35

ჩუენ ყოველთა ღმერთი ერთი არს და ჯერ-არს, რაჲთა ყოველთა ურ-
 თიერთას ერთითა სულითა ერთი ზრუნეჲ გუაქუნდეს, ვინაჲთგან ერთისა

37 სულითა] + სულითა A.

1) შდრ. რომ. 12, 5. 2) შდრ. I კორ. 12, 27.

* ერთი ფურცელი, გვ. გვ. 221 და 222, ამ ტექსტს არ ეკუთვნის. ფურცელი უადგილოდ არის აქ გადმოტანილი.

გუამისანი ვართ. ვითარცა-იგი ვერ შემძლებელ არიან ფერწი რქუმად გუამსა, ვითარმედ: არა გიტჯრთავთ შენ, და არცა თუალნი, ვითარმედ: არა ვხედავთ შენთს, და არცა ჯელნი, ვითარმედ: არა ვიქმთ შენთს. და ვერცა ყოველნივე ასონი შემძლებელ არიან წინააღდგომად ცნობასა და გონებასა მათსა, რომელ არს განმგებელ ყოვლისა გუამისა, არანედ ყოველნივე განსწორებულად ზრუნვენ მსახურებასა მას სათანადოსა ურთიერთასსა და მორჩილ არიან ურთიერთას სიყუარულითა ბუნებრივითა და იქმან და შურებიან ერთიერთისა (225) მსახურებასა მოუწყინებელად და უდრტვნავად¹⁾. რამეთუ ფერჯთა უტჯრთავს გუამი და ვლენან და მიმოაქუს იგი, ვიდრეცა პნებავს. და თუალნი ხედვენ და უძღვან ფერჯთა, ვიდრეცა მიაქუნდეს გუამი, და ჯელნი იქმან და ჰმსახურებენ თუალთა და ყოველსა გუამსა, და მისცემენ პირსა საზრდელსა, და კბილნი განსცობნიან, და სასაჲ გემოსა იხილავს, და ჯორჯი შთააბნევს სტომაქად. ენაჲ ზრახავს მას, რომელსა მოსცემს გული და გონებაჲ. და ყური ისმენს გარეშეთა სიტყუათა და მი(ს)ცემს ცნობასა გონებისასა. და საყნოსელნი იყნოსენ სულსა ძალისასავე და აცნობებენ ტვნსა და ყოველსა საგრძნობელსა. და ეგრეთვე შინაგანნი ასონი იქმან ყოველსავე განსწორებულად თუთებითა მით ბუნებრივითა მათითა, ვითარცა იტყვან მეცნიერნი მკურნალნი, რომელნი გამოცდილ არიან და უწყიან, ვითარ-იგი ძალსა საზრდელისა ამისსა განგებულებით განჰყოფენ და საჯმარსა მას დაიყენებენ განსაძლიერებელად გუამისა და ნივთსა მას ნამეტავსა გარე-განაბნევენ და არარაჲთ ჰმძღავრობენ ერთიერთსა და არცა დაეყენებიან მსახურებისაგან ერთიერთისა თითოეული მათი, პატროსანი და შეურაცხი, თქსა საქმესა, რამეთუ სტომაქი მოიდნობს საქმელსა და სიპოხესა მისსა (226) მისცემს ნესტუთა მათ ღძღლისათა, და ნაწლევნი შეიწყნარებენ რუვთა შინა მათთა ნივთსა მას უშუერსა და განრყუნილსა და მიერ განსთხევენ. და არს იგი საძაგელ და საწყინელ; ხოლო არა დაეყენებიან ანის უშუერისა და საწუნელისა მსახურებისაგან თავგვდებით. და სიპოხესა მას და ძალსა საზრდელისასა ღძღლი განჰყოფს სიმჭურვალითა სისხლისაჲთა და მიუძღუანებს გულად, მეუფისა მის ასოთაჲსა. და გული განუყოფს სისხლსა მას ცხოველებისასა ყოველთა ნესტუთა გუამისათა, და არა ამპარტავანობს მთავრობისათჲს მისისა და არცა დაეყენების მსახურებისაგან თქსისა. და ესრეთ ყოველნი ასონი, შინაგანნი და გარეშენი, ჰმსახურებენ ერთიერთსა და პატივცემულ არიან თითოებითა თქსითა და ერთიერთსა ეჭმარებიან.

ესრეთვე ჩუენდა ჯერ-არს, საყუარელნო, მორჩილებაჲ და მსახურებაჲ ერთიერთისაჲ სიყუარულითა სულიერითა, ვითარცა ვის მიგვლებიეს ნიჭი ღმრთისაგან. ვშურებოდით ყოვლითა ძალითა ჩუენითა ურთიერთას პატივსა და მსახურებასა ყოველთასა, რამეთუ ამით იდიდების ღმერთი. და რომლისა საქმე პატროსან და დიდებულ არს, ნუ აღზუავენბინ. და კუალად რომლისა საქმე საწუნელ და შეურაცხ არს, ნუ შეწუხნებინ (227) და ნუცა მოიწყინებ[ენ] მსახურებასა მას მისსა. კირისა და შრომისათჲს და ნუ დრტჯ-

¹⁾ შდრ. I კორ. 12, 12-27.

ნავნ, დაღაცათუ საქმე მისი და შრომაჲ მძინე იყოს, ვიდრე სიკუდილამდე სიხარულით შეიწყნარენ ძმათა განსუენებისათვის. გარნა, თუ იყოს რაჲმე საქმე სულისა საენებელი, მწრაფელ განშორებამ ჯერ-არს მისი. ხოლო რომელსა შინა იყოს სარგებელი სულისაჲ, მოსწრაფედ მორჩილებამ ჯერ-არს შრომისა და ქირისაჲ მოთმინებით ყოვლითა ძალითა ჩუენითა.

ერთი ვინმე წმიდათაგანი, შრომითა განკაფული და მოხუცებული, რომელსა სახელი ერქუა მაკარი, მშისა განსუენებისათვის უძლურისა მძიმესა შრომასა მისცა თავი თვისი უდაბნოსა და მრავალი მილიონი ვლო მის თანა, ვიდრემდე მიიწია ეგუპტედ და მოართუა მას საგმარი. და კუალად სხუად ძნად მსგავსად მისა წარვიდა ყოლად შორსა გზასა და განუცვალა პური ძმასა უსუსურსა. აწ უკუე ჩუენცა მივემსგავსნეთ წმიდათა მათ და ვშურებოდით განსუენებისათვის ძმათა ჩუენთაჲსა და სიყუარულით ნებასა მათსა აღვასრულებდეთ, და ნუ ვინ პატიოსნებისათვის თვისისა დაეყენებინ მსახურებისაგან ძმათა თვისთაჲსა, ვითარცა-იგი მჰსნელი ჩუენი სიმდაბლით ჰმსახურებდა მოწაფეთა თვისთა და (228) ჩუენცა მოგუცა სახე სიმდაბლისაჲ.

და უფროჲსად თქუენ, ჰ ქაბუენო და ძლიერნო ძალითა, დაემორჩილენით წინამძღუართა თქუენთა და სიმდაბლით ერჩდით მოძღუართა თქუენთა, დაღაცათუ გრისხვიდენ სარგებელისათვის სულთა თქუენთაჲსა, რამეთუ მათ სიტყუად მისცენ სულთა თქუენთათვის¹⁾.

თავი ყოველთა სათნოებათაჲ და ძირი ყოვლისა კეთილად განგებისაჲ არს სიმდაბლე და მორჩილებაჲ. ყოვლისათვის, რომელი გებრძანოს თქუენ, უდრტუნველად (იქმოდეთ). და უკუეთუ ესე არა გაქუნდეს, შრომაჲ თქუენი ცუდ არს და უნაყოფო არს. ვინ არს კაცი, რომელსა ჰნებაჲ ვენებაჲ ტაძრისაჲ თვნიერ საძირკუველისა? სიმდაბლე და სიმალლე საძირკუველი არს მონაზონისაჲ. რაჲსათვის წინა-აღუდგები ღმერთსა, ჰ კაცო, რომელი მოწაფე ხარ მისი? იგი უფალ არს შენდა, რომელსა დაემოწფო, ვითარცა ღმერთი. ნუუკუე აწ იწულებ და გამოეძიებ სიტყუათა და საქმეთა ნისთა, უკუეთუ კეთილ არიან ანუ არა. ესე არა არს შენი; რაჲთამცა გამოეძიებდ საქმეთა მისთა, არამედ მას აქუს ჰელმწიფებაჲ შენ ზედა, რაჲთა გიბრძანოს, „არა დაფლვად მკუდარი შენი“ და „მოიძულენ მშობელნი და ძმანი შენი“²⁾. და ესე მსოფლიოთა თანა უსამართლო არს, ხოლო მის წინაშე სათნო და სარგებელ არს, (229) რამეთუ ბრძენი და გან(გ)ებული არს და ამით იქმნა ღმერთისა მიერ მთავარ შენ ზედა. არა პირველად ვითარცა ქრისტესა დაემორჩილეა? აწ უკუე ჰმონე ვითარცა ღმერთსა და აღასრულე ყოველი ბრძანებაჲ მისი სიმდაბლით უდრტუნველად. ემსგავსე კაცსა მას, რომელმან მოთხარა და დადვა საფუძველი მისი კლდესა ზედა სიმდაბლისა და მორჩილობისასა, რომელსა რაჲმს აღდგენ ქარნი სიტყუათა ბოროტთანი, უშოშ იყოს სასტიკებისაგან მათისა³⁾. და კუალად უკუეთუ გამოეძიებ საქმეთა მისთა, რაჲსა არა ჰყავ იგი პირველ დაწყებასა საქმისა შენისასა? უკუეთუ არს იგი ანტექრისტე და თავით თვისით ზრახავს, ჯერ-იყო შენდა შორად განშორებამ მისგან. ხოლო უკუეთუ ჰემმარტი ქრისტე არს

27 იწულებ (ასე!) A.

1) შდრ. ებრ. 13, 17. 2) მათე 8, 21-22; ლუკა 18, 29. 3) შდრ. ლუკა 6, 48.

და სიტყუათა მამისათა ზრახაეს ნებასა მომავლინებელისა მისისასა აღასრულებს, ჯერ-არს სიყუარულით მორჩილებად მისი.

შევაიწროთ, ძმანო, თავთა ჩუენთა ზედა ცხორებაჲ ჩუენი და შევეყენეთ სენაკთა ჩუენთა, და იყავნ საზრდელად ჩუენდა მცირედ პური და წყალი, საქმარად ოდენ ჯორცთა ჩუენთა, მრავლითა შრომითა, მღვდარებითა და ზედგომითა ღამე ყოველ, მჭურვალედ ლოცვითა და მუქლთა დრეკითა და ქუეყანასა ზედა წოლითა (230) უსაგებლოდ, ტირილითა და ცრემლითა და შემუხარვილითა გულითა, ფსალმუნებითა და გალობითა და ლოცვითა საიდუმლოდ დღე და ღამე, მრავლითა განსაცდელითა და ფრიადითა შრომითა და აღურაცხელითა ქირითა დაუთმოთ სიბოროტესა ეშმაკთასა, რომელნი ცხადად და იდუმალ არა დასცხრებიან ბრძოლად ჩუენდა და ჰნებაეს წარწყმედაჲ ჩუენი, არა თუმცა წყალობაჲ უფლისაჲ იყო შემწედ ჩუენდა და იგი წემრაცხ წმიდათა მისთა თანა, რაჟამს მოიხილის მალლით წმიდით მისით და გზხილნის ჩუენ განსაცდელსა შინა დღე და ღამე სახელისა მისისათჳს. და მას შინა უფლებასა მისსა აღვიარებდით ნებითა ჩუენითა და სულითა იხარებნ ჩუენ ზედა და შემეწევინ ჩუენ მადლითა თჳსითა.

აწ უკუე ვილუაწოთ და ვაჩუენოთ წამებაჲ ჩუენი ქრისტესა. დაღათუ სხუათა მიერ არა ვიტანჯებოდით, თავით თჳსით შევაიწროთ თავთა თჳსთა ზედა მისთჳს და შრომითა მოვაკუდინნეთ ჯორცნი ჩუენ(ნი) სიყუარულისა მისისათჳს, დაღაცათუ არა მივეცნეთ მახულსა, რომელმან-იგი მწრაფლ განარინის განსაცდელთაგან. არა არს თუალ-ლება ღმრთისა თანა, ვითარმცა არა შეგუარაცხნა მოწამეთა მისთა თანა, რაჟამს-იგი მწუხარებასა და განსაცდელსა შინა აღვასრულნეთ ყოველნი დღენი ცხორებისა ჩუენისანი სახელისა მისისათჳს. (231) მაშინ უქუელად გურქუას ჩუენ, ვითარმედ: „თქუენ ხართ რჩეულნი მეგობარნი¹⁾ ჩემნი და მოწამენი, რამეთუ აღმიარეთ მე წინაშე ყოველთა კაცთა²⁾ საქმითა თქუენითა კეთილითა“. „წარუდგინნეთ უკუე თავნი ჩუენ(ნი), ვითარცა ღმრთის-მსახურთა, — ვითარცა იტყჳს მოციქული³⁾, — მოთმინებითა მრავლითა ქირთა შინა და განსაცდელთა... შრომითა დღითი-დღედ, ღამის-თევეითა და მარხვითა და ლოცვითა, სიწმიდითა გულისაჲთა, მეცნიერებითა ღმრთისაჲთა, სულ-გრძელებითა და სიტკბოებითა, სულითა წმიდითა, რომელი დამკვდრებულ არს ჩუენ თანა, სიყუარულითა შეუორგულებელითა, სიტყუთა ქეშმარიტებისაჲთა, ძალითა ღმრთისაჲთა, რომელი განმძლიერებს ჩუენ ყოველსა ზედა საქმესა კეთილსა ღმრთისასა, სიმართლითა მრავალ-ფერითა, რომელი მარჯუენით გუახარებს და მარცხენით შეგუაწუხებს, დიდებითა და გინებითა, გმობითა და ქებითა, ვითარცა მაცთურნი და ქეშმარიტნი, ვითარცა უცნაურნი და საცნაურნი, ვითარცა მოსიკუდილნი. და აჰა ესერა ცოცხალ ვართ ... ვითარცა მწუხარენი. და მარადის გზხარის, ვითარცა გლახანი, და მრავალთა განვამდიდრებთ, ვითარცა არარაჲ მაქუეს და ყოველივე მაქუეს“. ძმანო ჩემნო, წარუდგინნეთ თავნი ჩუენნი, ვითარცა მსახურთა ქრისტესთა და რჩე-

15 გურქუას| გურგუას A.

1) იოანე 15, 14. 2) მათე 10, 32. 3) II კორინთ. 6,4-10

ულთა მოწამეთა (233). და ნუმცა არს მიახურებამ ჩუენი აუგეან, რაჟთა არა ვექმნნეთ კაცთა დაბრკოლება. „რამეთუ სასუფეველი ღმრთისაჲ გულთა შინა ჩუენთა არს“, ვითარცა თქუა მაცხოვარზან¹⁾ უკუეთუ ჩუენ გვზდეს, ნუმცა დავაკლდებით ჩუენ მოწამეთა მათ ქრისტესთა და ვაჩუენოთ საქმე კეთილისაჲ ყოლადვე აღსაშენებელად ყოველთა მართლითა სარწმუნოებითა და განსაცდელთა მოთმინებითა.

მოვაკუდინნეთ ასონი ჩუენნი შრომითა და ქირითა სახელისა მისისათვის, რამეთუ ამისთვის ვიჩინენით ღმრთისაგან, რაჟთა ვენებანი შევიწყნარნეთ, და განსაცდელსა დაუთმოთ, და მწუხარებამ თავს-ვიღვათ და ამისსა შემდგომად მოვილოთ გვრგვნი დიდებისაჲ. და უკუეთუ ვისგანმე შეგუემთხვოს მწუხარებამ და განსაცდელი, ჯერ-არს ჩუენდა, რაჟთა სიხარულით შევიწყნაროთ, რამეთუ ესე განგვმრავლებს სათნოებათა ჩუენთა უშრომელად და განადიდებს დიდებასა პატივისა ჩუენისასა. ოდეს ვქმნეთ კეთილი და მის წილ მოკუეგოს ვისგანმე ბოროტი, მაშინ განმრავლდეს სასყიდელი ჩუენი, ვითარცა წერილ არს, ვითარმედ: „რაჲამს კეთილსა ვიქმოდით და შეგუაწუხნეს ვინმე და დავითმინოთ, მაშინ სასყიდელი ჩუენი ღიდ იყოს წინაშე ღმრთისა“. ოდეს ვინმე ბოროტი გიყოს ანუ გაგინოს, ჯერ-არს ჩუენდა, რაჟთა სიხარულით მო(234)ვითმინოთ და არა განურჩისხნეთ ვითარცა მტერსა, გინა შურ-ვიგოთ მისგან, არამედ ვხედვიდეთ მას, ვითარცა გულითადას მეგობარსა და შემწესა სიმართლისა ჩუენისასა, და უკუეთუ შესძინოს კულადაცა შეცოდებად ჩუენდა, ჩუენ სულგრძელებით მოვითმინოთ და არა მივაგოთ ბოროტი ბოროტისა წილ, არამედ ვსძლოთ კეთილითა ბოროტსა მას. და მივხედოთ მაცხოვარსა ჩუენსა ქრისტესა და მოთმინებათა მისთა, რომელნი დაითმინნა ჩუენთვის, რაჟთა ვემსგავსნეთ მას და გზათა მისთა ვილოდით. „რომელმან-იგი ცოდვამ არა ქმნა და არცა იპოა ზაკუეამ პირსა მისსა“²⁾, ცოდვილთათვის ყოველთა მათ ვნებათა დაუთმო და თავს-იღვა გინებამ და ყუედრებამ და ზეურაცხებამ ვნებათაჲ და სიკუდილი ჯუარითა მათგან, რომელთა კეთილი იყო, მოაგეს მას ბოროტი. რამეთუ რომელმან განკურნნა ეშმაკეულნი მათნი, ეშმაკეულ უწოდეს მას, და იგი დაითმენდა, იგინებოდა და იგი არა აგინებდა, შეაწუხებდეს და იგი არა განრჩისხნებოდა. და დღესა მას ჯუარ-ცუმისა მისისასა ევედრებოდა მამასა, რაჟთა შეიწყალნეს. და ესრეთ დაგვდვა ჩუენ შჯული მოთმინებისაჲ და სახე სიმდაბლისაჲ.

აწ უკუე ჯერ-არს ჩუენდა, რაჟთა ყოველსა ეამსა მოთმინებათა მისთა ვხედვიდეთ გონებითა ჩუენითა, და არა მოვმედგრდეთ გან(235)საცდელთა შინა და სულმოკლებამ გუეუფლოს, რამეთუ ფრიად განგუაძლიერებს ჩუენ ქირაა შინა ჩუენთა მოჯსენებამ ვნებათა მათ ქრისტესთაჲ. მიჰხედეთ უკუე, რავედენნი დაითმინნა ცოდვილთათვის, და არა მოუძლეურდეთ და არცა სულმოკლე ვიქმნეთ. უკუეთუ გამოვიხატნეთ მარადის წინაშე თუალთა ჩუენთა ყოველნი იგი ვნებანი მისნი, რომელ ჩუენთვის დაითმინნა ჯუარსა ზედა რაჲ

1) ლუკა 17,21:

2) I პეტრე 2, 23.

იგინებოდა და იყუდრებოდა, არაოდეს მოუძღურდეთ და არცა დაეჭვნდეთ განსაცდელთა შინა და კეთილთა საქმეთა გინა მწუხარებათა, რომელი შეგუემთხუეოდის მტერისაგან უცოდველად, არამედ მრავლითა სიხარულითა და მხიარულებითა შევიწყნარნეთ და ზიარ ვნებათა მისთა ღირს ვიქმნეთ და სიკუდილსა მისსა და მის თანა ვაუფევდეთ და დავიმკდროთ სასუფეველი მისი.

ღიდი შიში და ფრიადი შეძრწუნებაჲ არს სულისაჲ, ოდეს მიჰხედო ვნებათა მათ უფლისათა. ვის არა ეშინოდის და შეძრწუნდეს და შებუშნეს ყოველი გუამი მისი, ოდეს იხილოს თვისი უფალი, შეკრული ჯელითა და მიიყვანებოდის ქენებით და ყურიმლის-ცემით განკითხვად უღმრთოთა წინაშე, მყუდროჲ და მღუძარე ვითარცა კრავი დაკლვადი? ¹⁾ ოდეს-იგი წარმდებებით პირსა სცემდეს მას, სავსესა წყალობითა და კაცთ-მოყუარებისა მომცემელსა, (236) და სხუად ღირბად და ურცხვოდ ჰნერწყუვიდა პირსა მისსა, განმანათლებელსა ყოველთა დაბადებულთასა, მიხედვითა მისითა მოუსპობს ცრემლთა. ყოველთაგან პირთა. და სხუანი ჰბასრობდეს მას და თავსა სცემდეს ლერწმითა და ეკიცხევდეს მას, რომელმან ყოველნივე ქუეყანით ზეცად აღგუამალუნა. და მოგვსპო ჩუენ ყოველი მთავრობაჲ და ყოველი ძალი მტერისაჲ. და კიცხევით შეჰმოსეს მას ქლამინდი მეწამული, რომელმან-იგი განმძარცუა სამოსელი იგი ვნებისა და სიკუდილიაჲ და შეგუმოსა სამოსელი ნათლისაჲ დიდებული. და დაადგეს თავსა მისსა ეკლისა გვრგვნი მას, რომელმან გვრგვროსან ყუნა თავნი ჩუენნი გვრგვნითა დიდებისაჲთა მიუწოდომელითა. და სხუანი ურცხვოდ და წარმდებებით განსძარცუვიდეს მას, რომელმან განმძარცუნა ჩუენ პატიჲნი იგი, რომელნი სამართლად ზედა-გუესხნეს სარჩელისა თანამდებნი. და უსაშინელეს ამის ყოვლისა არს, ოდეს-იგი განსხირაპეს ჯუარსა. მას ზედა ძელიასა იგი, რომელმანცა ზეცად აღმიყვანნა, და ოდეს დაჰმჭუალნეს ჯელნი და ფერჯნი მისნი მუსმრითა მით რკინისაჲთა, რომელმან განჰქსნნა ჩუენგან საკრველნი სიკუდილისანი, და ოდეს-იგი ასუმიდეს ძმარსა. და ნაველსა მას, რომელმან დაატკბნნა ყოველნი პირნი ნათესავისა. ჩუენისანი, რომელნი-იგი ეშმაქსა განემწარნეს (237) სიმწარითა თვისითა. და ოდეს-იგი ლახურითა უგუმირეს გუერდსა მისსა, რომელმან-იგი აღილო ლახუარი იგი მცველი ედემისაჲ და განგვლო ჩუენ კარი, რაჲთა შევიდეთ და დავიმკდროთ, და შემუსრნა ცოდვისა ჩუენისა კლიტენი. ვინ უკუე გამოიწერნეს ვნებანი ესე ჯუარ-ცუმისანი წინაშე თუალთა მისთა მარადის განსაცდელთა შინა? უკუეთუ შევარდეს კაცი ბოროტთა, სალმობათა ბუნებრივთა გინა მარხვისაგან, გინა მიშუებითა ღმრთისაჲთა, განრყუნან ეშმაქთა ბოროტად გუამი მიიი ვნებითა და ტკივილითა გამოსაცდელად სიმკნისა და მოთმინებისა მისისა და სარგებელად სულისა ღისისა. გამოიხატენინ მან წინაშე თუალთა მისთა განსაცდელნი იგი იობ მართლისანი, რომელსა-იგი შინა იყო შიშა ღმრთისასა და სიმდაბლესა, რომელი აქუნდა

1 არაუდეს A.

1) შდრ. საქ. მოც. 8, 32.

მარადის; გარე-მოადგეს ეგევითარნი განსაცდელნი ბოროტნი მანქანებითა ჟმჟაკისადათა და მიშუებითა ღმრთისადათა: წარწყმედაჲ ყოელისა მის მონაგებისა მისისაჲ და მოსრვაჲ ნაშობთა მისთაჲ და ფაქლითა შექურვაჲ გუამისა მისისაჲ ფერჯითგან ვიდრე თავადმდე, რაჲთა გამოჩნდეს ძლევაჲ მოთმინებითა მისითა შინსა შინა ღმრთისასა, რაჲემს-იგი ყოელისა მისგან სიმრავლისა მონათა და (238) ერისა მისისა არა დაშთა მას, რომელმანცა მისახურა მას საღმობათა შინა მისთა, ვითარცა-იგი თუთ იტყვს, ვითარმედ: „მოუწოდე მონასა ჩემსა და არა ისმინა ჩემი, რამეთუ შეურაცხ-მყო მე“. რამეთუ დაწუნებულ და დაგრდომილ იყო სიბილწესა ზედა სკორეთასა და მორღუეულ იყვნეს ყოველნი ქორცინი მისნი და იღვა იგი შიშუელი და კეციითა იხუეტდა წუთხსა მას¹⁾ და ვერ მიიახლებდა სამოსელსა ქორცთა მისთა სიმძაფრისაგან და განძნებითა წყლულებათა მისთაჲსა. და იყო ესე მეფე კაცი მართალი და მოწყალე, შიშუელთა შემოსელი, უცხოთა შემწყნარებელი, მშინერთა განმადლიერებელი, გლახაკთა მიმცემელი და ქირვეულთა ნუგეშინისმცემელი და სამართლით განმგებელი შორის უფალთა და მონათა. და ამას შემდგომად განცდისა განსაცდელთა მათ მტერისათა მოსცა ღმერთმან უალრესი პირველისა მოთმინებისა მისისათვის. აწ უკუე რომელმან მიჰბედოს განსაცდელთა მათ იობისთა და მოთმინებათა მისთა და საღმობათა შინა და ქირთა მისთა, არა მწუხარე იქმნეს და არცა დრტუნვიდეს, იობისებრ თავისისხნეს ვნებანი იგი მადლობით და ქებითა ღმრთისადათა იტყოდის: „უფალმანცა მომცა სიმართლე და უფალმანცა მიმიღო, იყავნ სახელი უფლისაჲ კურთხეულ უკუნისამდე“²⁾. და არ(ცა) მწუხარე იყოს, არამედ (239) უხაროდის. ამან არა ხოლო თუ აწას საწუთროსა მოიღოს მოსაგებელი მოლოდებისა მისისაჲ, ვითარცა იობ, არამედ კეთილნიცა იგი საუკუნენი სასუფე(ვე)ლისა ცათაჲსანი აღვილად დაინკუდრნეს და ეყუნენ მას საღმობანი იგი და განსაცდელნი, რომელნი მადლობითა ღმრთისადათა სიხარულით შეიწყნარნა, საქმედ სიმართლისა და სიწმიდისა. რაჲ უკუე ქმნა სიმართლე ლაზარე გლახაკმან, რომელ არს იგავი³⁾. რამეთუ იყო იგი უძლურ და საესე წყლულებითა, დაგრდომილ კარსა ზედა მდიდრისასა, საძაგელი მის მიერ და მსახურთა მისთაგან, და ძალნიცა ჰლოშნიედ წუთხსა მას წყლულებისა მისისასა და გული უთქუამნ განძლომად ნაბიქვევისაგან, რომელი გარდამოცკეინ ტაბლისაგან მის მდიდრისა და არავინ სცის მას. და ესე მოითმინა მადლობით და უდრტუნველად. და რაემს აღესრულა, წარიყვანეს ანგელოზთა და შთაუსუენეს იგი წიაღთა აბრაჰამისთა⁴⁾.

აწ უკუე ჯერ-არს ჩუენდა, რაჲთა მადლობით შევიწყნარნეთ ვნებანი და სიხარულით დაუთმოთ განსაცდელთა, რომელნი მიგუაწივეენ ესევეითართა დიდებულთა განსასუენებელთა თზნიერ შრომისა ჩუენისა და კეთილთა საქმეთა, რაჲთა ბოვილოთ ჩუენ, მსგავსად წმიდათა მათ, რომელთა სულგრძელებით დაითმინნეს განსაც(240)დელნი და მადლობით შეიწყნარნეს ვნებანი, და სასუ-

1) შდრ. იობ. 2, 7-9. 2) იობ 1, 21. 3) შდრ. ლუკა 16, 19-12. 4) შდრ. ლუკა 16, 19-22.

ფეველი ცათა და იმკვდრეს ქრისტის ღმრთისა და მაცხოვრისა ჩუენისა მიერ, რომლისა და არს სუფევა და დიდება მამისა თანა სულით წმიდითურთ აწ და წარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამენ.

თქუთული წმიდისა საჰაპ მონაზონისა

[დედათათჳს]

ამანო, გაქუნდინ ესე საქურველად უძლეველად, რაჲთა ეშოროს მონა-
ზონი ხილვად პირსა დედათასა, რამეთუ საქმესა, რომელსა იქმს ბუნებაჲ და-
ლითა თჳსითა, მტერი ვერ შემძლებელ არს საქმედ. ნუ ჰგონებ, ვითარმცა
ბუნებამან დაივიწყა ვიდრე სიკუდილმდე, რომელ-იგი დაუთესავს ღმერთსა.
10 ასოთა შინა მისთა. ხოლო განშორებაჲ მისი მიზეზთაგან მავნებელთა მოაუძ-
ლურებს გულის-თქუმასა და დასულებს და დააძინებს ასოთა შინა კაცისათა-
სხუაჲ გულის-თქუმაჲ არს მიაჲ, რომელი ეშოროს მიზეზთა გულის-სა-
თქუმელთა, და სხუაჲ გულის-თქუმაჲ არს, რომელი ეახლოს, რამეთუ ახლოს.
ყოფაჲ საენებელსა და ხელეა მარადის განაღძებუ საცთურთა და აწუვეს გუ-
15 ლის-თქუმათა და განაღძებუ ვნებათა, ვითარცა ზეთი პატრუქსა, ვიდრემდის.
ადგნ-ლა, სირაჯსა აწოვებნ, და ცეცხლი იგი (241) ძლიერად ინათებინ; და.
რაჲამს მოაკლდის, მოუძღურდის და დაივისის. ეგრეთვე ზლუაჲ ესე გუამისა
ჩუენისაჲ არს, რამეთუ რაჲამს ეკუეთის მას ქარი იგი საენებელთა მახლობლო-
ბისაჲ, აღიმრღეს იგი ბოროტად ღელვითა გულის-თქუმათაჲთა და ოდეს გა-
20 ნეშორის, დაყუნდის და მომღორდის.

არა მიუცემია ღმერთსა ბუნებისა ძალი, რომლითამცა მძლე ექმა კეთი-
ლისა ნებასა კაცისასა, არამედ ოდეს იძლიის კაცი ანუ გულის-წყრომისაგან
ანუ გულის-თქუმისაგან. არა თუ დანერგულმან მან საქმემან ბუნებისამან აი-
ძულის იგი განსლვად საზღვარისაგან ბუნებრივისა და შეყოფად უჯეროთა.
25 არამედ დართვაჲ და შემეტებაჲ, რომელი დავსძინით ბუნებასა. ზედა მიზეზი
ნებისა ბოროტისაჲ გინა კეთილისაჲ. ყოველი დაბადებული ღმრთისაჲ კეთი-
ლად და განგებით დაბადებულ არს. და ოდეს საზომით შევიკრძალოთ ბუნე-
ბაჲ, მართლ არა გარდაეჭვდეთ გზასა მცნებათა ღმრთისათასა, რამეთუ. იყოს
გუამი ჩუენი დაწყნარებულ და მყუდრო. ხოლო ოდეს მოვიგოთ სიხარბე და
30 უძღებებაჲ, მისგან იქმნის შფოთი და გულის-წყრომაჲ გარდარეულთა საქმელთა.
და სასუმელთაგან. გინა ოდეს დავადგრეთ მახლობელად (242) დედათა ხილვისა
და ჳსენებასა მათსა, ამისგან აღეგზნების ცეცხლი იგი გულის-თქუმისაჲ გუამსა.
შინა, და ამან მისცის ჳელი ძურის-ჳსენებასა და მანკიერებასა, რაჲამს დაერ-
თოს ბუნებასა ზედა ნაყროვნებაჲ, გინა თანა-ქცევაჲ დედათაჲ, ვითარცა შეწაჲ
35 ნაკურცხალსა აღეტყინოს საჯუმილი ვნებათაჲ, რამეთუ მუცელი მადლარი და

4 მონაზონისაჲ] + კნ B, + თავი იმ A. 6 განეშოროს B. 8 საქმედ] + მისა B. 9 სიკუ-
დილამდე B. 11 და დააძინებს] — B. 12 მისი B; გულის-თქუმისათა B. 14 საენებელ არს B.
14-15 საცთურთა ... განაღძებებს] — B. 16 დგან-ლა B; აწოვებ B; ენათებიდ B. 17 მოუძღურდის
და] — B. 18 რ რეს] რ ეს A. 18-19 მახლობელებისა B. 20 მომღორდის B. 21 მიუცემის B.
ბუნებისადა B. 28 ღმრთისათასა] უფლისათა B. 29 სიხარბე A.

საენებელსა მახლობელი ვერ დაიცავს ბუნებასა უბიწოებით. რომელი ერიდებოდის განსაცდელთა და ჰგმობდეს დაყუდებასა, უნებელადცა მოიხადოს სიყუარული ცოდვისად. განსაცდელმან ამოა ყენის გემონი ვნებათანი, ხოლო განსუენებაჲ მზრდელ არს ვნებათა და მომხდელ მათდა. აწ უკუე ესე ყოველთა მიერ საცნაურ არს, ვითარმედ ღმერთი და ანგელოზნი მისნი იხარებენ განსაცდელთათჳს და ეშმაკი და მოყუასნი მისნი იხარებენ შუებათა და განსუენებათა ზედა კაცისათა, რომლითა მოინადირნეს.

[264, 16] სინანული ჟიღისა მჟამისი, ოდეს-იგი
თიკილით აგხილვება თაჳსა თჳსსა და გლოვით იტყოდა

ჟ სულო ჩემო, რამეთუ ღირსთა საქმე წარმართებულ არს და საქმენი 10
შენნი სირცხვლეულნი კულად ქცეულ არიან შენდავე. ჟ სულო ჩემო, ცოდვათა (243) შენთათჳს, რომელნი მარადის დაუვიწყებლად წინაშე შენსა მდგომარე არიან. ჟ სულო ჩემო, წერილისა მისგან მოსაქსენებელისა ცოდვათა შენთა აღსარაცხელად [უ] დღესა მას განკითხვისასა.

ჟ სულო ჩემო, წარდგომისა მისთჳს წინაშე ღმრთისა შენისა, ოდეს-იგი 15
გემოსნენ ბოროტნი საქმენი ცხადად, ვითარცა სამოსელნი. ჟ სულო ჩემო, კალმისა მისგან დამწერელისა და რომელ დაწერილ არიან მედგრობანი შენნი. ჟ სულო ჩემო, დღისა მისთჳს, ოდეს-იგი მშობელნი ნაშობთა თჳსთათჳს ვერლარა ზრუნვიდენ, არანედ თაეთა ხოლო თჳსთა ზრუნვაჲ აქუნდეს. ჟ სულო 20
ჩემო, ვითარ უდებ იქმენ სასუფეველისათჳს ცათაჲსა.

ჟ სულო ჩემო, ვითარ უზრუნველ იქმენ შენ საშჯელთა მათთჳს ჯოჯობეთისათა. ჟ სულო ჩემო, ვითარ არა დაივიწყე შენ სიყუარული სოფლისაჲ ამის მწრათელ წარმავალისაჲ. ჟ სულო ჩემო, ვითარ უქმ იქმენ საქმისა მისთჳს საუკუნოჲსა,—ცხოვრებისა განუქარვებელისა. ჟ სულო ჩემო, დღისა მისთჳს წარმავალისა და დღისა მისთჳს წარუვალისა საუკუნოდ სატანჯველთა და- 25
მამტკიცებელისა.

ჟ სულო ჩემო, ვითარ ზრუნვამან საწუთროჲსამან მოგიგნა შენ მწუხარებანი საუკუნენი. ჟ სულო ჩემო, რამეთუ ნუგეშინის-ესცემ გულსა ჩემსა (249) მოთმინებითა [265] და მას არა აქუს ნუგეშინის-ცემჲჲ მინდობილი. ჟ სულო ჩემო, რამეთუ დამიმკვდრენ ცოდვანი და ბრალნი აღურაცხელნი 30
მრავალთა თანა განსაცდელთა და მწუხარებათა. ჟ სულო ჩემო, რამეთუ დაქშულ არს ჩემდა სასუფეველი ცათაჲ სიმართლისა მშჯავრითა. ჟ სულო ჩემო, მრავალ-ფერთა მათთჳს სატანჯველთა განმზადებულთა ჩემთჳს საუკუნოდ.

4 მომხდელ (ანუა) A. 8 წმიდისა—B; წმიდისა ეფრემისი მისივე C. 9 ტირილით სინანულით B; თუისა C; გლოით C; და გლოვით იტყოდა თავი B; იტყოდა+გუაყურთხენ, უფალო, თავი ლა C, + თავი ით A. 10-11 საქმე შენი სირცხვლი B. 11 არიან არს B. 12 შენთათჳს ჩემთათჳს C. 13 არიან არიედ B. 15 მისთუის C. 17 დამწერალისა C. 15-18 წე ლისა შინსა... დღისა მისთჳს — B. 18 თჳსთა B; ვერლარას B. 20 სასუფეველისათუის C. 21 საშჯელთა სატანჯველთა CB. 23 მსწრათელ CB; იქმენ + შენ BC. 24 მისთუის C. 25 წარუვალისა წარმავალისა A. 30 დამიმკვიდრენ C] + მე BC. 32 მსჯავრითა BC.

• ზისულო ჩემო, საშინელისა მისთჳს წარდგომისა და საზარელისა განკი-
 • თხეისა ცოდვილთათჳს. ზისულო ჩემო, უქრთამოჲსა მისთჳს მსაჯულისა სა-
 • მართლით გამკითხველისა. ზისულო ჩემო, ვითარ-მე მოვიცვალო საუკუნოჲ
 • იგი საწუთროჲთა ამით წარმავალითა? ზისულო, მუნ არღარა არს ცვალებჲჲ,
 • არცალა სინანული. ზისულო ჩემო, რამეთუ ლოცვაჲ და ვედრებჲჲ შენი შეუ-
 • რაცხ და საწუნელ არა ზეცასათა თანა. ზისულო ჩემო, უკუეთუ გუამი შენი
 • ჯოჯოხეთისათჳს იზარდების სამკვდრებელად.

• ზისულო ჩემო, უკუეთუ ქედი შენი ბარჯისათჳს და საწივისა ემზადების
 • დადებად. ზისულო ჩემო, ცეცხლისა მისთჳს საუკუნოჲსა უშრეტისა. ზისულო
 • 10 ჩემო, ტირილისა მისთჳს დაუცადებელისა და ღრქენისათჳს კბილთაჲსა დაუ-
 • ლევენელისა. (245) [ჲ] ზისულო ჩემო, სატანჯველთა მათთჳს უწყალოთა და
 • ჰირთა მათთჳს საუკუნეთა. ზისულო ჩემო, რაჲამს-იგი დაბრმობილ ვიყო ჳორ-
 • ცითა და მწუხარე სულითა საუკუნოდ. ზისულო ჩემო, რაჲამს-იგი შთადებულ
 • ვიქმნე სიღრმეთა უმეცრებისათა ჯოჯოხეთს შინა მოუქსენებელად და დაუთ-
 • 15 მენელად. ზისულო ჩემო, გუემათა მათთჳს ულხინებელთა. ზისულო ჩემო,
 • ქუესკენელისა მისთჳს სენისა ბნელისა და გარესკენელისა წყუდიადისა. ზისულო
 • ჩემო, მსაჯულისა მისგან მართლისა და მსჯავრისა სამართლისა თუალ-უხუა-
 • ვისა.

• ზისულო ჩემო, მსაჯულისა მისგან უწყალოჲსა, რომელი არა ზედა ად-
 • 20 გრების არცა დიდსა და არცა მცირესა. ზისულო ჩემო, უკუეთუ ჯოჯოხეთი
 • ყოფად არს სამკვდრებელი ჩემი და ქუესკენელი საყოფელი ჩემი. ზისულო ჩემო,
 • რამეთუ ხვალე მოგეგოს საქმეთა შენთა მოსაგებელი. ზისულო ჩემო, რამეთუ
 • ხვალე შთადებულ იქმნე არღილთა სიკუდილისათა მოუქსენებელთა. ზისულო
 • ჩემო, განმზადებულთა მათთჳს მრავალ-ფერთა სატანჯველთა შენთჳს. ზისულო,
 • 25 რამეთუ ხვალე [266] მიცვალებად ხარ ეზოდ განსაცდელთა. ზისულო ჩემო,
 • ვითარ განეშორო ტომთა და ნათესავეთა შენთაგან (246) და დავიწყებულ იქმნე
 • ყოველთაგან გულთა ცხოველთაჲსა საუკუნოდ.

• ზისულო ჩემო, რამეთუ მიეცეჲნი შენ ხვალე ბნელსა წყუდიადსა და სატან-
 • 30 ჯველსა საუკუნესა. ზისულო ჩემო, რაჲსალა უძლურ და ამო არიან ღონის-
 • ძიებანი შენნი მისთჳს, რომელი-იგი მოიწვიეს შენ ზედა ხვალე. ზისულო ჩემო,
 • ცეცხლისა მისგან, რომელი დასწუავს ცოდვილთა. ზისულო ჩემო, ნეტარ
 • თუმცა ყოლადე არა დაბადებულ ვიყავ ქუეყანასა ზედა. ზისულო ჩემო, ნე-
 • ტარ თუმცა ჰაერთა შინა მფრინვალედ დავებადე ღმერთსა. ზისულო ჩემო,
 • ნეტარ თუმცა ნადირად ველთად დაბადებულ ვიყავ და არა კაცად ჰირ-მე-
 • 35 ტუელად ქუეყანასა ზედა.

1 მისთჳს C; ჩემო]—საუკუნოჲსა B; ~ მისთჳს საშინელისა B. 4-5 ცვალებჲჲ, არცალა]—მ.
 7 სამკუიდრებელად C. 8 შენი] ჩემი BC; ბარჯისათჳს C; საწივთა B. 9 მისთჳს C. 12 იყო C.
 13 რ'ეს-იგი] ოდეს-იგი BC. 15 ულხინებელთა]—და ტანჯველთა უცვალებელთა B; + და სატან-
 • ჯველთა უცვალებელთა C. 16 ~ ბნელისა სენისა C; მისგან BC. 19 ადრებების A. 20 და
 • არცა] არცა C; ჯოჯოხეთს B. 21 ყოფად არს] ყოფად ა C; ჩემი] შენი B; საყოფელი] სა-
 • მკვდრებელი B. 24 სულა] + ჩემო C. 27 საუკუნოდ] + და უკუნისამდე B. 29 რაჲა C;
 • არიან] არიედ B. 31 ყოველთა ცოდვილთა BC. 32 ვიყავ]—მე C. 33 მფრინველად C. 34 ველთა BC.

ჭ სულო ჩემო, ვითარმე განვერე საქმეთა მათგან მოწვევულთა და ვითარ დაეცვე ცოდვათაგან მოწვევანდათა? ჭ სულო ჩემო, დაფარულთა მათგან მედგრობათა და ცხადთაგან უკეთურებათა აღურაცხელთა. ჭ სულო ჩემო, კადნიერებისა ჩემისათუს ღმრთისა მიმართ და განდგომილებისათუს მცნებათა მისთაჲსა წარმდებებით. ჭ სულო ჩემო, [ჟ] ბოროტთა საქმეთა ჩემთათუს, რომელთა-იგი ვიქძოდე ურცხვოებით და კადნიერად ზალღისა მიმართ. ჭ სულო ჩემო, იგლოვდ და ტიროდე დაუცადებელად, რამეთუ სამართლად ღირს ხარ შენ გლოვასა ყოველთა დღეთა ცხოვრებისა შენისათა. ჭ სულო ჩემო, რაჲღა ბოროტ არს (247) ეამი იგი, რომელსა შინა იყოს მიცვალებად ამის საწუთრომსაგან საუკუნოდ? ჭ სულო ჩემო, ვითარ-მე აღვიარნე ბოროტნი საქმენი ჩემნი დღესა მას განსლვისასა ამიერ სოფლით? ჭ სულო ჩემო, ვითარ მე გულისწმა-ვეყუნე მრავალ-ფერნი იგი სატანჯველნი მომავალნი ჩემ ზედა? ჭ სულო ჩემო, ვითარ-მე მოთმინე ვიქმნე ბოროტთა მათ მოწვევანდათა ჩემ ზედა?

ჭ სულო ჩემო, განამრავლე ამიერითგან გლოვად და ტირილი ცოდვათა შენთათუს. ჭ სულო ჩემო, ვითარ-მე ღირს ვიქმნე წყალობასა და მოტევებასა ცოდვათასა ეამსა მას განსლვისა ჩემისასა ამიერ სოფლით? ჭ სულო ჩემო, ნეტარ არს კაცი იგი, რომელი სათნო-იყო ღმერთსა და მიაგო მას კეთილი მისაგებელი. ჭ სულო ჩემო, ვითარ არა შევიანნე ცოდვათა ჩემთა სიმრავლე, რომელი წინაჲსწარ ვქმენი. [167] ჭ სულო ჩემო, ცეცხლისა მისგან დაუთმენელისა, რომელი გულის წყრომით მოწვევანდ არს ჩემ ზედა. ჭ სულო ჩემო, ევედრე ღმერთსა ღმობიერად, რაჲთა გიჯსნეს შენ რისხვისა მისისაგან და ბოროტთა მოსაგებელთა. ჭ სულო ჩემო, ვითარ კადნიერ ვიქმნე ვედრებად ღმრთისა მოტევებისათუს, რამეთუ არა მქონან მე საქმენი კეთილნი, ვითარ შემძლებელ ვიქმნე დაფარვად ცოდვათა ჩემთა კაცთაგან და ბოროტნი ჩემნი განცხადებულ არიან.

ჭ სულო ჩემო, ვითარ შეურაცხ-ვეყუნე ამოვებანი სოფლისანი. (248) ჭ სულო ჩემო, რამეთუ ბრალნი ჩემნი განმრავლებულ არიან და კეთილისა საქმენი ჩემნი ამო და ცუდ ქმნულ არიან. ჭ სულო ჩემო, რამეთუ ბოროტნი ჩემნი განძლიერდეს და სათნობანი ჩემნი მოჰძლურდეს. ჭ სულო ჩემო, სადა უკუე ყოფად არს სამკადრებელი და საყოფელი შენი. ჭ სულო ჩემო, ეაძისა მისთუს წარსრულისა, რომელნი თანა წარმგდეს მე ურჩებასა შინა ღმრთისასა ჩემისასა, რომელთა შინა არასადა სათნო-ვეყავ დამბადებელსა ჩემსა.

2 დაეცვე]+მე BC. 5 მისთაგან B; ჩემთათუს] შენთათუს B. 6 ურცხვოებით C, ურცხვოებითა B; და] — B. 7 იგლოვდი B. 10 საწუთრომსა B. 11 განსლვისასა] განკითხვისასა C. 12 გულის ჰქმაცუნე C. 13 იქმნე C. 21 რი გულის წყრომით BC; გულის-წყრომით]—A. 22 რისხვისაგან B; მისისაგან]—B. 23-24 ~ ღისა ვედრებად B. 24 მოტევებისათუს]+ ცოდვათა ჩემთაჲსა B; კეთილნი]+წინაშე მისა BC, + ჭ სულო ჩემო BC. 26 არიან] არიედ B. 27 არა შეურაცხ-ვეყენ B. 28 არიედ B. 29 ცუდ ქმნილ C; არიედ B. 30 განძლიერდეს] განმრავლდეს C. 31 ყოფად არს] ყოფად ა C; სამკუიდრებელი C] საყოფელი B; და საყოფელი] გინა სამკადრებელი B. 32 ღთისა C. 33 ჩემისასა]—B; არასადა]—B.

ჟ სულო ჩემო, ვითარ წარტყუნა გონებაჲ ჩემი ზრუნვამან ამის სოფ-
ლისაჲან, [უ] და არა მოვიტყუნენ მცნებანი ღმრთისა ჩემისანი აქამომდე. ჟ
სულო ჩემო, ვითარ არა შევიანენ მრავალნი ცოდვანი ჩემნი პირველ მოწვე-
ნისა ჩემდა მომწოდებელისა. ჟ სულო ჩემო, ვიდრემდის მიადროებდე ზენ
5 მორჩილებასა ღმრთისასა, ვიდრემდის ურცხვროდ განუდგები ზენ დამბადებელსა
შენსა. ჟ სულო ჩემო, რამეთუ არა არს ღონე სიკუდილისაგან და არცა ეგე-
ბის, თუმცა სილული ესე გუამი მიწა და ნაცარ არა იქმნა შემდგომად სიკუ-
დილისა. ჟ სულო ჩემო, ვითარ უკუე ვყო, რამეთუ არა არს ღონე საზჯელი-
საგან და პატიეთა მიგებისა საქმეთაებრ კაცთაჲსა.

10 ჟ სულო ჩემო, სამართლით განბჭობილ არს ზენ ზედა გლოჲ და ტი-
რილი დიდი დღე და ღამე მარადის ყოველთა დღე(249)თა ცხორებისა შენი-
სათა დაუცადებელად. ჟ სულო ჩემო, სატანჯველთა მათგან მომავალთა, უკუე-
თუ არა სათნო-იყოა ღმერთმან ღოცვაჲ და ტირილი ჩემი, რამეთუ აუგეან
არს იგი. ჟ სულო ჩემო, ცეცხლისა მის დაუშრეტელისა ცოდვილთათჳს გან-
15 მზადებულისა. ჟ სულო ჩემო, მსაჯულიაა მისგან თუალ-უზუაჲვისა, რომელი არა
მიიღებს ქრთამს(ა) და არცა შეიწყნარებს ვედრებასა. ჟ სულო ჩემო, სიმძაფ-
რისა მისგან წყურილისა [268] და შეურვებისაგან მჭურვალეებისა, რომელი
ყოფად არს ცოდვისა მიზეზთათჳს.

ჟ სულო ჩემო, რამეთუ არა უწყი, ვიდრე მიწვენად ხარ ზენ ხვალე —
20 წყალობად ანუ სატანჯველად საუკუნოდ. ჟ სულო ჩემო, შთანთქმისა მისთჳს
სიღრმეთა ჯოჯოხეთისათა შემდგომად განსლგისა მის ამიერ სოფლით: ჟ სულო
ჩემო, სენისა მისგან, რომელსა არა აქუს კურნებაჲ, არამედ მიცვალებჲჲ ამი-
ერ სოფლით ადგილად ხენეზად წარსაწყმედელისა. ჟ სულო ჩემო, საჟლავი-
საგან, რომელი საყოფლად საუკუნოდ დამკვდრებად გიც ხვალე, რაწლისაგან
25 ვერვიან განერების. ჟ სულო ჩემო, მხილებისა მისგან ხვალე ცოდვათა შენთა
და სირცხვისა ბოროტთა საქმეთა შენთაჲსა ანგელოზთაგან. ჟ სულო ჩემო,
ზარისა მისგან და შეძრწუნებისა, ოდეს-იგი ბოროტთა საქმეთა (250) ჩემთა
ნაცვალი მო[მე]გებვოდის სატანჯველი იგი საუკუნოჲ.

ჟ სულო ჩემო, ვითარ შემინდენეს მე ღმერთმან და ვითარ ისმინოს ვე-
30 დრებაჲ ჩემი, რამეთუ მე არა ვევედრები მათ ყოველთა დღეთა ჩემთა ცრემ-
ლითა ღმობიერითა და სულ-თქუმიითა. ჟ სულო ჩემო, რამეთუ ყოველთა
დღეთა მესმოდეს წიგნთა სიტყუანი [უ] და მცნებანი ღმრთისა ჩემისანი და

3 პირველად BC; მოწვეწულისა C. 4 ჩემდა] ჩ'მდ C; მწოდებელისა BC]+ჩემისა B; ვიდ-
რემდე BC; მიადროებ C. 5 ვიდრემდე BC; ურცხუიწოდ C; ზენ] — BC. 7 მიწად არა იქმნა
და ნაცარ B. 10 გლოვაჲ BC. 11 დიდი]—C. 13 აუგეან C. 15 მისგან] მისთჳს BC.
17 შეურვებისა მისგან B. 18 ცოდვისა მიზეზთათჳს] ცოდვილთათჳს B; მიზეზთათჳს C. 21
მის]—B. 22-23 ამიერ სოფლით]—B. 24 საყოფლად] ყოფად არს C; დამკუიდრებად C. 25 მის-
გან] მისთჳს C. 26 სირცხუილისაგან C, სირცხვისაგან B; შენთათჳს B. 27 მისთჳს B. 28 ნაც-
ვალი] მოსაგებელი B; მომეგებოდის BC. 29 და] ანუ B; ვედრებისა ჩემისა B. 30 ჩემთა]—B.
30-31 ~ ღმობიერად ცრემლითა B, ღმობიერითა ცრემლითა C. 32 დღეთა]—A..

მე უღებ- და შეურაცხ-ვჰყოფდი მათ. აწ უკუე რად მიუგო მისთვის? ჰ სულო ჩემო, ზარისა მისთვის, რაჲმს ჰხედვიდე შენ პირებსა მას საზარელსა ეშმაკ-თასა სატანჯველთა მათ შინა, რომელთა თანა დამკვდრებად ხარ ხეაღე.

ჰ სულო ჩემო, რამეთუ სიკუდილი მოსწრაფე არს წარტაცებად ყოველთა მკვდრთა ქუეყანისათა და არასადა ვინ განერების მისგან და აქამოდღე რაედენ-ნი წარუტაცებიან მამანი, ნათესაენი და წინაწარმეტყუელნი და მოწამენი და ყოველი ერი ადამიანი და იგი მჭურვალებისა მისისაგან არა დასცხრების და არცა ვის აქუს მშუდობაჲ მისგან, არამედ ნეტარ არიან, ძმანო ჩემო, კაცნი. იგი, რომელთა დააჯერეს ღმერთი კეთილითა სლვითა მათითა და სათნოე-ბითა პირველ სიკუდილისა, რამეთუ ნუგეშინის-ცემულ იქმნენ იგინი ადგილსა მას, სადა-იგი ვერ სარგებელ ეყოს მამად გინა დედაჲ, არცა იმანი და არცა მეგობარნი, და ვერცა რომლითა მიზეზითა გან-ვინ-ერების მისგან. რამეთუ ღმერთმან, რომლისაჲ დიდებულ არს სახელი მისი, მიუვლინის ანგელოზი კაცსა შესა[269]ტყ(251)უებელი საქმეთა მისთაჲ. რომელთა-იგი სათნოებითა მათითა დააჯერეს ღმერთი, რამეთუ მოსწრაფედ დაიცვნეს მცნებანი მისნი მარხვითა, ლოცვითა და მღვდარებითა და გლახაკთ-მოწყალეებითა, ამათ მიუ-ვლინის ღმერთმან ანგელოზი მწვდობისაჲ სახიერი და მოწყალე, და მან გამოიყვანის სული მისი სიხარულით და მხიარულებით და ჰლოცაენ მას და-წყნარებულად და არა შეაძრწუნის.

ხოლო სულთა მათ ცოდვილთა, რომელთა განარისხეს ღმერთი და გ-ნულდგეს მცნებათა მისთა, ამათ მიუვლინია ღმერთმან ანგელოზი მრისხანე, რომელთა იძულებით და რისხვითა მრავლითა და ჰირითა გამოიყვანიან სული მათი გუამთა მათთაგან და წარიყვანიან ზარ-განჯდილი და შეძრწუნებულნი სა-ტანჯველად საუკუნოდ. ამისთჲ ვევედრნეთ ჩუენ ღმერთსა, რადთა წყალო-ბით მოგტევენეს ჩუენ შეცოდებანი ჩუენნი და მიჰანეს ჩუენ ჯამისა მისგან შესაძრწუნებელისა და რადთა მოგუმადლოს აღსრულებაჲ მცნებათა მისთაჲ კეთილითა საქმითა, რამეთუ მისი არს დიდებაჲ და პატივი, ქებაჲ და თაყუა-ნის-ცემაჲ მამისა და ძისა და სულისა წმიდისა აწ და მარადის უკუნითი უკუ-ნისამდე, ამენ.

1 მისთუის C| მათთვის B. 2 მისთვის| მისგან BC; ხედვიდე C. 3 დამკვიდრებად C. 5 მკვიდრთა C; და აქამოდღე| აქამოდღე A. 5-6 რაოდენნი წარუტაცებიდე B. 6 და|—C. 7 ადამიანი C. 8 მშუდილობაჲ C; ა'დ| ხ' B; არიდე B. 9 კეთილითა|+და სათნოებათა. 9-10 სლვითა მათითა და სათნოებითა|—B. 10 ნუგეშინის-ცემულ C. 11 სადა-იგი|+ რომელსა C. 12 რომლითაჲ C; განერების B. 13 დიდებულ ა C. 15 მოსწრაფედ| უბიწოდ B. 16 მღვდარებითა C; ამათ|+ესვეითართა B. 17 მშუდილობისა C. 18 ჰლოცვიენ(?) B. 19 შე-ძრწუნიან B|+იგი უ'დვე B. 21 მიუვლინის B; ანგელოზნი მრისხანენი BC. 22-23 გამოიყვანიან-სულნი მათნი BC. 23 წარიყვანიან A, წარიყვანიან B; ~ შეძრწუნებულნი და ზარგანჯდილი B. 24 ამისთუის C; ~ ვევედრნეთ ჩუენ ამისთვის B. 25 მოგუიტევენეს C; ჩუენ|—BC; ჩუენ|—C. 26. მოგუმადლოს|+ჩ'ნ. BC. 27-28 ქებაჲ და თაყუანის-ცემაჲ|—C. 28 ~ წმიდისა სულისა BC. 28-29 აწ და მარადის... ამენ|—C.

[173, 17]

სწავლად შიდადისა მუჰამედისი
მოწაჟონთა შიდადთ და მარტოდ-მყოფთა

სწავლამან ძისა ღმრთისამან განანათლა ყოველი სოფელი და იხილა სოფელმან გზად ცხორებისაჲ, რადთა ვიდოდის მას შინა. (252) სიტყუად მისი სანთელი არს აღნთებული, ბრწყინვალე, განმანათლებელი ყოველთა განყენებულთაჲ და მისგან გამოვალს ნათელი განმანათლებელი ალაგთა მათ მორწმუნეთასა. იგი არს გზად ნათლისაჲ და ცხორებისაჲ, რომელნი ვლენან მას. ხოლო რომელი თვნიერ მისსა ვალს, მიემთ[უ]ხუევის იგი ძნელსა ღკრლუარანსა. იგი არს კარი ცხორებისაჲ და რომელი მიერ შევიდეს, მიიწიოს ცნობასა ჭემ-
მარიტებისასა. იგი არს საფასე დაუღვეელი და რომელმან ესე არა მოიგოს, მიემთხვოს იგი სიგლახაკესა, სიმკოდვესა და უპოვრებასა.

მოგებად ოქროჲსაჲ მძიმე არს და ჯელთ-ბორკილ და საკრველ განუჭსნელ ექმნის იგი მომგებელთა მისთა და მიცვალებასა საცთურ, და სატანჯველ არს იგი კაცისა. სიტყუად ღმრთისაჲ არს სიმდიდრე ჭემმარიტი, ოდეს შეეზაოს სული კაცისაჲ მას და მის მიერ აღივსოს მადლითა დაფარულითა სულიერითა საუკუნოდ. საფასენი ყოველთა მეფეთა ჭუეყანისათანი ფრიად ნაკლულ და გლახაკ არიან მათ თანა, რომელნი სულნი მინდობილ არიან ღმრთისა. რამეთუ მინდობად სოფლისა საფასეთა მსგავს არს მიყრდნობასა ლერწმისა დაჩენქლისასა, რამეთუ რომელი მიყრდნის მას, ჯელი განუჭურიტის, რამეთუ ვერ შეუძლის ტვრთვად მიყრდნობილი იგი უძღურებითა. (253) ხოლო რომელი მიენდოს ღმერთსა უკუნისამდე, არა დაეცეს იგი, არამედ მტკიცედ ეგოს იგი სასოებასა ზედა უცვალებელსა. რამეთუ ღმერთი არს სიმდიდრე და საფასე მოუკლებელ და საუნჯე საესე მადლითა და ცხორებითა.

[174] მოვედით, ჭ ნაკლულევანო, და აღივსნეთ ამის მადლისაგან, რამეთუ რომელი მომკუდარ არს, არარად სხუად ჰნებაეს მას თვნიერ ცხორებისა, ხოლო რომელი ცხოველ არს, ჰნებაეს მას სააოებით დადგრომად მას შინა. ჭ მომწყუდარნო, რომელთა გნებაეს ცხორებაჲ, ძიებასა მისსა აღასუბუქენით ბრკალნი ფერქთა თქუენთანი და გულს-მოდგინედ ისწრაფეთ მოგებად იგი და ნუ ჰყოვნით, რამეთუ ღმრთისა თანა დაფარულ არს და დამარხულ ცხორებაჲ შენი. შევედ და მოიღე მისგან ცხორებაჲ დაუსრულებელი. სიღრმენი წყალთანი მაცხოვნებელ არიან თევზთა, ხოლო უკუეთუ აღმოვდეს თევზი ჯმელად, გარე-წარჰქდა იგი საზღვარსა ცხორებისა თვისასა და მოკუდა. ეგრეთვე ძესა ღმრთისასა აქუს სული მაცხოვარებისაჲ ნათესავისა კაცთაჲსაჲ

2 და მარტოდ-მყოფთა]—B, + თავი კ' A, თავი იჲ C, თავი ზ B. 4 ვიდოდის B. 5 მათ]—B. 8 თუნიერ C; მისა C; ღირლუალოვანსა B. 9 მიიწიოს]—იგი B. 11 მიემთხვიოს C; ~ სიმკოდვესა სიგლახაკესა (სიგლახაკისასა B) BC; უპოვრებასა B. 12 ჯელთ-ბორკილი C. 13 ~ მომგებელთა მისთა იგი C; მისთა] თვსთა B. 15 სულიერითა]— B. 17 და გლახაკ]— B; არიედ B; არიედ B. 18 საფასეთაჲ BC; დაჩენქულისასა C] რომელი დაჩენქულ არიედ B. 20 ტუერთვად C; უძღურებითა] + თვსითა B. 21 იგი]— BC. 24 აღივსნით BC; მადლისაგან] სიმდიდრისაგან BC. 25 ჰნებაეს B; თუნიერ C. 26 ჰნებაეს B; დადგრომაჲ C. 26-27 მათ შინა B. 27 მომწყუდარნო BC; აღასუბუქეთ B. 28 ბრკალი ფერქთა თქუენთაჲ B. 31 არიედ B; აღმოვდის B. 32 თუისისასა C. 33 კაცთაჲსა C.

და რომელი განეშოროს მისგან, წარწყმდეს. ვითარცა რომელიმე ღელავნ ზღუასა დიდსა სულიერსა, ხოლო რაჟამს განვიდის იგი მისგან, მიეცის სიკუდილსა საესესა ვაებითა, რამეთუ თვნიერ მისა ვერ შემძლებელ არნ ჰოვნად ცხორებასა.

(254) აწ უკუე იყავნ ღმერთი შენდა წყალ და შენ იყავ თევზ, და ძოვდი მას შინა ცხოვრებასა. სული სოფლისაჲ მობერვაჲ სიკუდილისაჲ არს, [ჟ] და რომელნი იყნოსენ სენსა მას, ალეგზნებიან მათ შორის გემონი ჯორცა ბუნე-ბისანი. გუელმან შეჰბერა ევას, დედასა მას ნათესავისა ჩუენისასა, და ხისა მის ცნობადისა დაწყუელ იქმნა სიკუდილისა მოწყენაჲ ადამის ზედა, რამეთუ ხილვაჲ ხისაჲ მის იყო გემოვან და ტკილ ფრიად და სავეს სიკუდილითა. და გემონი სოფლისანი ეგრეთვე შთაიყვანებენ ჯოჯოხეთა, რომელნი ჰყუარობენ მათ. რამეთუ ევა ოდეს იხილა ხე იგი შეენიერად, შეუყუარდა. მაშინ მოისთლო ნაყოფისა მისგან სიკუდილი. და მიერთვან აქამომდე შეუბანი და გემონი სოფ-ლისანი სიკუდილსა შობენ, და სიკუდილით მოაკუდინებს შეენიერებაჲ მისი ტრფიალთა მისთა. და ხისა მის ცნობადისა, შეენიერისა და შემკულისა, რომელ არს სოფელი ესე და საშუებელი მისი, მომგებელთა მისთათჳს იქმნა სიკუ-დილ. საფასენი სოფლისანი ნაყოფნი არიან ხისა მის მკლველისანი, და რომელმან არა მოიგოს სოფელსა შინა იგი, არა იხილოს გემოჲ მისი, ხოლო რომელი არა ზრუნვიდეს, ვითარცა ბრძანებულ არს მისა, დაცხრომილ არს მისგან ურვაჲ იგი მაურეებელი, და მცნებითა მით სულიერითა, რომელი ამცნო, (255) არავენ ზრუნავს ჯორციელთათჳს. განეშორენ კაცი ნაყოფისა მისგან მომაშთობელისა, რომელთა [175] იკრიბონ იგი.

რამეთუ უფალმან ჩუენმან სიკუდილსა უზეშთავს წარუმართა გზაჲ მოწაფეთა თჳსთა, რაჟამს-იგი ჰრქუა: ნუ ჰზრუნავთ მო- თუ ვინმე-გაკუდინნეს. ბოროტ არს ზრუნვაჲ და დამაშთობელ სულისა ყოველსა ეამსა. აწ უკუე ნუ შეიშთებით ზრუნვითა და დაუტევით ძვრი, რომელი გიტჯრთავს თქუენ, რამეთუ დლისაცა ერთისა ზრუნვაჲ ბოროტ არს კაცისათჳს. ეგრეთვე უფალმან ჩუენმან ზრუნვაჲ იგი დლისაცა ერთისაჲ აილო მოწაფეთა თჳსთაგან და ბოროტად შეჰრაცხა წინაშე მათსა. და დლისა ერთისა ზრუნვაჲ არა თუ მცნებად მისცა მოწაფეთა თჳსთა, არამედ დაუტევა იგი თვნიერ შკულისა, ვინაჲთ-გან ასწავა მათ და ჰრქუა, ვითარმედ; „ნუ ზრუნავთ ხვალისა“¹⁾. ამით მოასწავა, ვითარმედ ნუ ზრუნავთ ხვალისა, ვითარცა ნაკლულევანნი, ოდეს-იგი ივინა წინაშე მათსა. და მიუტევა სიბოროტე დღესა მას, რაჲთა ამით სახითა გულისხმა-ყონ, ვითარ არს სწავლაჲ იგი და ნებითა მათითა მოვიდენ სრულებად, რაჲთა არცალა დლისა ერთისათჳს ზრუნვიდენ ჯორციელსა ზრუნვასა.

1 მისგან] მას B; იგი წარწყმდეს B. 2 სულიერსა] — C. 3 თვნიერ C. 5 იყავნ აწ უკუე B; 6 მას] მათ C. 7 სენსა] — BC; ალეგზნებიელ B. 11 ჯოჯოხეთად C. 13 მისისაგან C; მოაქამომდე B]—A; ამის სოფლისანი A; ~ შობენ აქამომდე სიკუდილსა A. 14 სიკუდილითა მოაკუდინეს B. 15 შემკულისა] შემკობილისა BC. 16 მისთათჳს C; სიკუდილ C. 19 დაუცხრომილ B. 21 ჯორციელთათჳს C. 22 შეკრიბონ B. 23 სიკუდილისა B. 24 თვისთა C; ზრუნავთ CB. —გაკუდინნეს]—თქუენ BC. 25 მამთობელ B. 26 ძვირი C; გიტჯრთავს C. 27 კაცისათჳს C. 28 აილო BC; მოწაფეთაგან თვისთა C. 30 თვისთა C; თვნიერ C; რჩულისა C. 34 გულისხმა-ყონ C.

¹⁾ მათე 6, 34.

ხოლო სული სავეს არს სასოებითა და მინდობითა საღმრთოთა. და არა აქუს ადგილი [ჟ] ზრუნვასა შესაველად მიაა, (256) ვინაფთგან სასოებამ მისი ჭეშმარიტ არს მის თანა, და უკუეთუ მოაკლდეს სასოებამ, შეაშთოს იგი ზრუნ[ვა]მან. აწ უკუეთუ ნურას ზრუნავენ კაცი, უკუეთუ ღმრთისა მიმართ დაუც⁸ სასოებამ თვისი, რამეთუ ღმერთი სიმდიდრე არს მოუკლებელი და უზრუნველად გარდამოადენს კეთილთა მისთა, რამეთუ იგი არს საფასე დაუღვენელი, და რომელნან მოიგო იგი, მას დაუთრგუნავეს ზრუნვამ. და რომელაა კაცსა თანა ესე საფასე არს, იგი უზრუნველ არს და უნაკლულო ყოვლადვე. უკუეთუ ესე მოგიგიეს, და რაჟღა არს რომელი არა შენი არა, ოდეს-ღა იგი შენი არა.¹⁰ და უკუეთუ იგი არა მოგიგიეს, ჭეშმარიტად ნაკლულევან ხარ შენ ყოვლისაგან უცილობელად. უკუეთუ იგი შენ თანა არს, ვინ არს ზიარ საზრდელისა შენისა და ვინაფთგან ცხოვრებამ შენი მიაგან არს, რაჟღა ჰზრუნავ შენ მისთჳს, რომელი არა შენი არა. ისმინე შენ სწავლისა მისისაჲ და მიჰაედე გამოცდილებათა საქმისა მისისასა, რამეთუ რავედენცა შეევედრო მას, ყოვე¹⁵ ლივე უზრუნველად მოგცეს შენ. ვინ შემძლებელ არს თავით თვისით [176] აღზრდად გუამისა თვისისა, გინა შემატებად (257) ჰასაკსა თვისსა წყრთა ერთ¹, უკუეთუ ძალ-უც აღმალლებად. ამით აჩუენა, ვითარმედ რომელი მზრდელ არს ყოვლისა ჰასაკისა, იგი აცხოვნებს მათ თჳნიერ ზრუნვისა შენიას. და რომელი აცხოვნებს, იგივე ზრდის განცხოველებულთა თვისთა, რამეთუ ცაოველებამ²⁰ უფროჲს არს საზრდელისა და იგი მისცემს ყოველთა დაბადებულთა თვისთა. და რომელი ზრდის, იგივე შეჰმოსს.

აწ უკუეთუ არა შენი არს ზრუნვამ ჰასაკთა სამოსლისაჲ, რამეთუ რომელი მზრდელი არს მათი, იგი არა ნაკლულ არს მიცემად სამოსლისაცა გამოზრდილსა მას მისგან. შენ რაჟღა ჰზუნავ მისთჳს? და უკუეთუ დააყოვნოს მიცემად სიყუარულით, გამოცდიანათჳს დააყოვნის იგი. ესერა იგავით შროშანნი გიჩუენნა შენ, ვითარ-იგი არა სთესვენ და არცა შურებინან, და შუენიერითა და პატაროსნითა სამოსლითა შემოაილ არიან ღმრთისა მიერ².

აწ უკუეთუ იხილე, ვითარ-იგი მიაცა უფალმან თივასა მათათასა სამოსელი ბრწყინვალე და შუენიერი, რაჟღა არა იქადოს მეფემან, ვითარმედ მოსილ არს იგი სამოსლითა ბრწყინვალითა [ჟ] და შუენიერითა. და სოლომონმანცა ბრძენმან და ქებულმან ყოველსა მას შინა დიდებასა მისსა და მეფობასა ვერ შეუძლო შემოსად სამოსელი, ვითარცა ერთი (258) შროშანთაგანი, რომელნი უზრუნველ არიან დიდად და უფროჲს შუენიერად შემოსილ არიან და ოდესღა

1 სასოებითა] + მით C. 2 შესვლად BC. 3 შეაშთოს] შეაუთუნოს C. 4 ნურას] ნუ B. 5 თუისი C. 6 გარდამოადინებს B. 7 იგი ზრუნვამ B] + მისი B. 9 მოუგიეს C. 10 მოგიგია C. 11 ვინ] ვინა C. 13 მიხედენ C. 14 მან ყოველივე BC. 15 თუისით C; 16 თუისისა C; თუისსა C. 17 აჩუენა BC. 18 თჳნიერ C. 19 განცხოველებულთა თვისთა] — B; თუისთა C; ცხოველებამ] ცხოვრებამ BC. 20 უფროჲს C; თუისთა C. 23 ნაკლულევან C. 24 მისთუის C. 25 გამოცდილსათუის C; იგავით C. 26 სთესვენ] სთვენ C. 27 არიედ B. 28 იხილე აწ ვითარ-იგი B; უფალმან] ღწ C; მათათასა C, მათათასა B. 29 ვ'დ] ვს C. 30 და შუენიერითა] — B. 33 არიედ B; და უფროჲს] უფროჲს B; არიედ B.

1) შდრ. მათე 6, 27; ლუკა 12, 25. 2) შდრ. ლუკა 12, 27.

ფრიად მოსწრაფებით ილუაწის მეფემან, ძნიად განაშუენის სამოსელი თვისი ბრწყინვალედ.

აჰა ესერა ვხედავთ თივათა ველისათა, რომელნი არიან უბრწყინვალეს და უშუენიერეს და შემკობილ მეფისა, და ყოვლითა მით შრომითა და ზრუნვითა სიმძიმითა ვერ შემძლებელ არიან გამოწერად ბრწყინვალედ შუენიერებისა მას შრომისასა. ზღუასა შინა შთაჲდიან მეყურქუმენი, რაჲთა აღმოიღონ მიერ ძოწი იგი მრავალ სასყიდლისაჲ, და ჳმელსა ზედა დაშურიან მავალნი, რაჲთამცა შეიღებეს სამოსელი ბრწყინვალედ და შუენიერად ფერთა და განსაკვრვებელი ხილვითა. და ოდეს შეიმკვის მით მეფე, არა სწორავენ იგი ერთსაცა ყუავილსა მთისა თივისასა.

აწ იხილეთ-ლა, ვრთარ-იგი ეკალმან გამოიღოს ვარდი, რომელმან მეფენი განაკვრენის ფერისა და სურნელებისა მისისაგან და ბრწყინვალედ შუენიერებისა. აწ უკუე [377] ვინ ბრძენი არს, ამის სახისაგან ისწავენ და დაიჯერენ და უზრუნველ-იყავ ყოვლისათვის. ვარდი დაქნის და განვმის, რაჲთა ამხილოს მათ (254), რომელთა ჰნებავნ სამოსლითა შემკობაჲ და ცნან, ვითარმედ ყოველივე წარმავალ და განქარვებად არა, ვითარცა თივაჲ იგი ველისაჲ. აწ უკუე რაჲსა ჰზრუნავ შენ, ჰ კაცო, ყუავილი განვმების და დაცვის და წარვალს, რაჲთა გამოიწეროს გულსა კაცთასა, ვითარმედ ესრეთვე წარმავალ არს შუენიერებაჲ სოფლისაჲ ამის, ვითარცა ყუავილი.

აწ უკუე სამოსელი სამე და სამკაული მეფეთაჲ არა ესწორების შუენიერებასა შრომისასა და ბრწყინვალეებასა, და უზრუნველად შეიმოსს იგი მას ღმრთისა მიერ. რაჲთა აჩუენოს ცუდად ზრუნვაჲ იგი მდიდართაჲ სამოსლისა და სამკაულისათვის შუენიერისა მყის წარმავალისა და რაჲთა ასწაოს სოფელსა, ვითარ-იგი ცუდ და ამაო იქმნებას ყოველი დიდებაჲ და სუფევაჲ მისი. სოფლისა ამის მკვდრობაჲ თივისა შეასწორა ღმერთმან და მით ასწავა, ვითარმედ წარმავალ არს ყოველი დიდებაჲ მისი. მთანი უზრუნველად შეჰმოსენ საბლარდნელსა დიდებისასა, რომელნი დაყუდებით ეძიებენ მათ შინა შუენიერებასა სამოსლია მის საქორწინისასა. [ჟ] უკუეთუ თივაჲ ველისაჲ ხვალე თორენსა შთაეგზების 1), ესრეთ შემოსის ღმერთმან ყოვლისა დამზადებელმან, შენ-მე დაგიტეოსა თუნიერ სამოსლისა? და უკუეთუცა დაგიტეოს შიშულად და უპოვრად, ნუ მწუხარე ხარ ამისთვის, არამედ ჰმადლობდი მას და (260) უწყოდე, ვითარმედ სამოსელი ნათლისაჲ დაუმარხავს შენთვის მერმესა მას სოფელსა წარუვალსა დაუჰულებელი.

1 მოსწრაფებით) — B; ილუაწის C; თუისი C. 3 აჰა) — B; ხედავთ C; არიედ B. 4 და შემკობილ მეფისა) შემკობილ არიან მეფისა C. მეფისა შემკულებითა B; ~ ზრუნვაჲა და შრომითა B. 5 არიედ B. 6 მეყურქუმენი B. 7 დაშურედ C; მავალნი) მრავალნი BC. 8 შეღებეს C, შეღებეს B; ბრწყინვალედ და) — C; ~ ფერთა შუენიერთა B. 9 განსაკუირვებელი C; მითა BC; იგი) — B. 12 განაკუირენის C. 13 დაიჯერენ C. 14 ყოვლისათუის C; იყავნ იგი B; დაქნეს და განვმეს B. 15 ჰებეს B. 16 ველისაჲ) ელისაჲ C. 17 ზრუნავ C; შენ კაცო C; ~ შენ ჰ კაცო B; რაჲსა) რასა B; დასცუივის C; ყუავილი) + ველთა B. 21 შემოსს C. 22 მდიდართა C. 23 სამკაული-სათუის C; სოფელსა) — C. 25 მკუდრობა C. 26 შეიმოსენ B. 27 დაყუდებით) დაყოვნებით B. 28 საქორწინისასა C; ველისაჲ) + რი C, + რი დღეს არს და B. 29 შთაეგზების) შთაგზნებად არიედ B; ესრეთ) გრეთ C; შემოსის B; ყოველთა C. 31 ამისთუის C. 32 დაუმარხავს) დაუმზადებეს B; შენთვის C. 33 დაუჰულებელი) დაუსრულებელსა B.

1) შდრ. მათე 6,30.

რამეთუ არა სიძულილისა შენისათჳს დაგამდაბლებს შენ, ნუ იყოფინ, და ნუცა მწუხარე ხარ შეურაცხებისათჳს და ნუცა სდრტჯნავ, არამედ სულგრძელებით მოთმინე იქმენ და უწყოდე, ვითარმედ სიყუარულისა და წყალობისა შენისათჳს დაგამდაბლა შენ, რადთა კეთილი საუკუნოა ამით დაგიმკდროს შენ. მკურნალმან რად დააყენის სნეული წყურიელი წყლისა გრილისა სუმად, არა თუ სძულნ მას იგი სნეული და მით არა უფლის მას სუმად გრილი წყალი, არამედ გულს-მოდგინედ მოსწრაფე არნ განკურნებასა მისსა და მისთჳს დააყენის სუმად, რადთა არა გრძელად სიხაშმედ გარდაექცეს მას საღმობაჲ მისი და იქმნეს იგი უძკრეს პირველისა. შეეწყურის სნეულსა ფრიად მჭურვალეებისა მისგან, [178] რომელ არნ გუამსა შინა მისსა და დააყენის მკურნალმან წყალობისა მისისათჳს და განკურნებისა.

ეგრეთვე უფალი ჩუენი მკურნალ არს დაფარულთა სენთა სულისათა ძეთა კაცთასა და ყოლადვე ჰნებაჲს ყოველთა კურნებაჲ სიყუარულით. და უკუეთუ მცირედ დაგაკლოს მან საზრდელი გინა სამოსელი წუთსა ამას ქამსა, უწყოდე, (281) რამეთუ სიყუარულისა შენისათჳს ყო იგი. რამეთუ სიგლახაკე არს სამკაული მონაზონისაჲ და მარტოდ-მყოფთაჲ. და უკუეთუ მდიდარ არს მონაზონი და ფართობით ჰქონან მას სოფლისა ამის საშუებელნი, დაკლებულ არს იგი და განსრულ არს გზისა მისგან იწროჲსა, რომელი მიიყუანებს ცხორებასა მას საუკუნესა, და უკუეთუ უყუარდეს განშუენებად თავი თჳსი სამოსლითა, ესე სირცხულ არს მისა. უკუეთუ სოფლისაგან განშორებულ არს, საზრდელსა მეტსა, უფროჲს საჯმრისა მისისა, ნუ დაიმარხავნ, რადთა არა დაწვეს და სასოებაჲ მისა ჰქონდის ხვალისა. და უკუეთუ კისაკი ოქროჲსაჲ უც, შიშუელ არს სასოებისაგან და მინდობისა ღმრთისა. და უკუეთუ ოქროჲ გინა ვეცხლი დაუდებიეს მარხულად, [შ] ქრისტე დაუტევებიეს და განშორებულ არს მისგან. და უკუეთუ ზრუნავს იგი ხვალისა, უბოროტესსა ცოდვასა შთავარდების. და უკუეთუ სამოსლისათჳს ზრუნავს, დაუთრგუნავს მას ბრძანებაჲ იგი განმაცხოველებელისა მისისაჲ. და უკუეთუ განჰყიდის და იყიდის, ღმერთი განაძებს შოლტითა საბლისაჲთა. და უკუეთუ გულმან უთქუას მონაგებთათჳს, უცხო ქმნულ არს კრებულისაგან მონაზონთაჲსა და დაუქირევებიეს შესა(282) ძინელი სარგებელისაჲ. და უკუეთუ ვინმე განბასრა სმათაგანი, იქმნა იგი საშჯელსა ქუეშე განკითხვისასა.

1 შენისათჳს C. 2 ~ შეურაცხებისათჳს მწუხარე ხარ B; შეურაცხებისათჳს C; ნუ სდრტუინავ C. 3 ვ'დ] რ' BC. 4 შენისათჳს C; შენ]—C; კეთილი]+იგი C; დაგიმკიდრის C. 5 შენ]—C; გრილისაგან C. 6 სუმასა B; მას]—BC; ~ სნეული იგი BC; მით] მისთჳს C, მისთჳს B; აუფლის B; მას]—B. 7 მისა C; და]—B; ამისთჳს B; მისთჳს C. 8 იგი სუმად B; გრძელად BC] გრილად A; მას]—BC. 9 იქმნის C; იგი]—B; უძკირეს C. 11 მისისათჳს C. 15 შენისათჳს C. 16 მონაზონებისა B. 16-17. უკუეთუ მონაზონი მდიდარ არს B. 18 განსრულ არს] განსრულ B. 19 ~ განშუენებად თავი თჳსი BC. 20 მისდა C, მისთჳს B. 21 საჯმარისა C; მისისა] თჳსისა B, + დლითი-დღე C; დაიმარხავნ C. 22 მისა] + მიმართ B. 23 ოქროჲთა B. 24 მარხული B]+იგი B; ქრისტესა BC; დაუტევებიეს]+იგი BC. 25 უბოროტესა C. 26 სამოსლისათჳს C. 27 მისისაჲ] თჳსისაჲ C, თჳსისა B. 28 საბლისაჲთა] + რიცხსა (რიცხუისა C) მისგან განშორებულთა მონაზონთაჲსა BC; მონაგებთათჳს C. 29 უცხო ქმნულ არს] განშორებულ არს B; არს] + იგი BC; დაუქირევებიეს] + მას B. 30 ~ განბასრა ვინ BC. 31 სასჯელსა C.

მონაზონსა ჰეშმარიტსა არა სძულს მოძულე თვისი, რამეთუ განწიშულე-
ბულ არს იგი სოფლისაგან და შეუშოსიეს სიყუარული ქრისტესი და არა თავს-
იდებს მოგებად ოქროსა გინა ვეცხლსა, რამეთუ აქუს მას სიმდიდრე და-
ფარული და ყოველნი საფასენი მეფეთანი ვერ ესწორებიან მას. ზეცისასა
ეძიებს, და უკუეთუ ზეცისაჲ არა იყოს, არა შეიწყნარებს; და ამის საწუთრო-
სასა ვითარცა ნამეტავსა ჰხედავს, ვინაჲთგან სასოებაჲ მისი მერმისა მის
ცხორებისაჲ აქუს. [179] ცხორებაჲ ესე ჩუენი საწუნელ და შეურაცხ არს წი-
ნაშე თუალთა მისთა და მერმისა მისთჳს სურვიელ არს სული მისი. მუნ არს
სიმდიდრე და დიდებაჲ და აქა სიგლახაჲ და შეურაცხებაჲ. არამედ აქაჲ ესე
არა მტკიცე და საუკუნე არს, რამეთუ სოფელი ესე, ვითარცა თივაჲ არს, და
ვითარცა ყუავილი და ფურცელი დასცვის. და რაჲამს განვმის ყუავილი, ყო-
ველი შეუენიერებაჲ მისი წარვდის. ამისთჳს ევლტიან სოფელსა ამას მონაზონნი
განშორებულნი, რაჲთა არა შეიტყუენეს შეუენიერებაჲმან მისმან წარნავალმან
და დაუდგრომელმან, რომელი მსგავს არს სიჭმარსა, და ვითარცა ჩუენებაჲ
ლამისაჲ განქარდების და ვითარცა სიტკობებაჲ ძილი(263)საჲ შეიპყრობს
მოყუარეთა მისთა.

მონაზონი ჰეშმარიტი არა შეილი არს ღამისაჲ. უკუეთუ განშორებულ
არს საცთურთაგან ღამისა უცნებისათა და საქმეთაგან ამის სოფლისათა დაუ-
დგრომელთა, მას შინა დამკვდრებულ არს ნათელი მისი და ბნელსა არა
ჰმონებს იგი, რამეთუ ღმრთისა მიმართ მღვდარე არს იგი და ღამისა საუ-
ცარნი ვერ აცთუნებენ მას. ხოლო რომელთა უყუარს სოფელი ესე, ყოლადვე
საცთურსა შინა შებრკოლდებიან სლვანი მათნი [ჟ] და ბნელსა შინა ვლენან და
მშვდობასა და დაწყნარებულებასა ვერ სცდა მიემთხუნენ.

ღმერთი ჩუენი ნათელი არს მიუწდომელი და რომელი მას შეევედროს,
მან წარუმართნეს გზანი მისნი, და ღირღუაროანი წრფელ უცყვის მას სლვად.
მისგან ბრწყინავს სული და ვალს იგი დაუბრკოლებლად ალაგთა მათ, საე-
სეთა მშვდობითა, და მიიწვევის იგი ქუეყანასა მას მამულსა. ვერ შემოღებელ
არს ბრმაჲ გაწორჩევად ფერებისა ერთიერთისაგან, რამეთუ სახედველნი მისნი
ცულ ქმნულ არიან და დაკლებულ არს იგი შეუენიერებასა ხილვისასა. სიყუ-
არული სოფლისაჲ ამის დაბრმობს კაცსა და ვერ შემოღებელ არს ხილვად
შუენიერებასა მას დაფარულსა აქლისა მის სოფლისასა. რამეთუ ბოროტ
იქმნის თუა(264)ლი და ვერ უძლის ხილვად შეუენიერებასა ტკივილისა მისთჳს,
რომელი ეენებინ. მონაგებნი სოფლისანი ტკივილ [თუალთა არიან და მისგან
დაბრკულდიან და ვერ შეუძლიან ხილვად სიმდიდრე იგი ზეცისაჲ წარუვალი.

1 მოძულე] მოძმე C; თუისი C. 5 ყოს C. 6 ნამეტავსა BC; ხედავს CB. 8 მისთუის C. 9 ~ ესე აქაჲ C. 11 ფორცელი A; დასუიეფს C; ყოველი და ყლი B. 12 ამისთუის C. 13 შეიტყუენს A. 14 სიზმრისა A; შეიყრუბს C. 16 მოყუარულთა B; მისთა] + მარადის B. 18 ღამისათა და ოცნებათა B] + მისთა B; დაუდგრომელთა C. 19 დამკვიდრებულ C. 20 მღუიძა-
რე C; საუცარნი B. 22 შინა] + მისა C, მისსა B; მათნი] მისნი B. 23 მიემთხუნენ C, მიემთხ-
ვის B. 25 წარმართნეს B; ღირღუალოვანი C, ღვრღუაროვანი C; ყვნის მისთჳს სავალად B,
სავალად C. 27 მშვიდობითა B; მიწვევის C. 29 არიედ B. 30 სოფლისა C. 31 ბოროტი B.
32 შეუენიერებაჲ BC; მისთუის C. 33 არიედ B; მისგან]—B. 34 დაბრკულდიან] დაბრკულდიან
C; უძლიან C; დაბრკულდიედ და ვერ შეუძლიედ B.

13. ძველი ქართული ენის ძეგლები.

- უკუეთუ იხილნეს სულმან ზეცისანი იგი კეთილნი, აღებუნენ თუალნი მისნი [Iბ0] და შეიწყნაროს სიმდიდრე იგი მოუკლებელი, და ოდეს მიაქცინეს თუალნი მისნი სოფლისაგან მცირედ ოდენ, მიიტაცენ იგინი ღელეთა მათ დამზადებელისა შეუნიერებისათა, რაჟთა ძოვდენ იგინი სულიერთა მათ საშუებელთა. და უკუეთუ გონებამან არა მიჰხედოს ქუეყანად და არცა საქმენი მისნი შეპრაცხნეს ზეცისა მათ სამკვდრებელთა, განისუენებდეს, სადა-იგი სამებაჲ მკვდრ არს. და უკუეთუ იგი მეოტ ექმნეს სოფლისა სიყუარულსა, ღირს იქმნეს თანა-მოძმედ ძალთა ზეცისათა. და უკუეთუ იგი განთავისუფდეს მონებისაგან სოფლისა ამის ბოროტისა, აღვიდეს და დაიმკვდროს ქუეყანაჲ
- 10 იგი დიდებისაჲ. ძილსა შინა არა არს ტყივილი და მწუხარებაჲ. და უკუეთუ შეპყრობილ იქმნეს იგი განგებითა ქუეყანისა ზრუნვისაჲთა, (26ა) გარდამოვარდეს სიმალლით და პირუტყუთა თანა შერაცხილ იქმნეს. ამისთჳს გუბრძანეს მოძღუართა სულიერთა, რაჟთა ზეცისასა ვეძიებდეთ და ქუეყანისაჲ შეურაცხ-გყოთ. და არა დავჰმარხოთ საფასე ჩუენი ქუეყანასა, ვითარცა იტყუა
- 15 უფალი ჩუენი, რაჟთა არა საფასესა თანა დაეფლნენ გულნი ჩუენნი მიწასა შინა. ამისთჳს ბრძანა, რაჟთა ცათა შინა იუნჯებდეთ [ჟ] საფასეთა თქუენთა, რაჟთა აღვიდეს გონებაჲ თქუენი საუნჯესა თანა ქუეყანასა მას მალალსა. რამეთუ გონებაჲ არა განშორებულ არს საფასისაგან, არამედ მის თანა შეპყრობილ არს და მარადის სცავს, სადაცა-იგი არს. უკუეთუ ქუეყანასა არს,
- 20 ქუეყანასა მკვდრ არს მის თანა, და უკუეთუ ზეცას არს, მუნ არა იგი მის თანა. რამეთუ რომელსა აქუს საფასე სულიერი ცათა შინა, არა გარდამოიყვანებს გონებასა თჳსსა ქუეყანად, რაჟთამცა დაუტევა საფასე თჳთა თჳნიერ მცველისა. რომელსა დაუნჯებდეს საფასე თჳსი ღმრთისა თანა მალალთა შინა, მუნვე შეპყრობილ არს გულიცა მისი და სცავს მას. უკუეთუ
- 25 გონებაჲ მისი ზეცას არს ღმრთისა თანა, საფასეცა მისი მუნ დამარხულ არს და ვერ განიპარვის იგი მპარავთაგან. და ვიდრემდის სული (26ს) ღმრთისა მხედველ არს, სავეს არს, იგი ნათლითა. და უკუეთუ კუალად იქცეს იგი ხილვად ქუეყანისათა, მოიცვეს იგი ბნელმან და იქმნეს ვითარცა ცოლი ლოთისი. და ეყოს სახე ყოველთა განშორებულთა, რაჟთა არა მიჰხედონ ყოველთა სოფლისა სიყუარულსა. და უფალმანცა ჩუენმა[ნ] ეგვეითარი სახე დაუდვა წინაშე მოწაფეთა თჳსთა, რაჟთა უწყოდინ და ეკსენოს, რომელი-იგი შემთხუა მას, რაჟამს იგი გარე უკუნ იქცა ქუეყანასა ნას, [IბI] რომლისაგან გამოსრულ იყო, შეიკრა იგი რისხვისაგან ქუეყანასაჲ თჳსსა და მის თანაჲ

1 იხილნის B. 3 სოფლისაგან სიყუარულისაგან B. მიეტაცენ C, მიეტაცენ B; ღელეთა [ღელეთა BC. 5 საშუებელთა]+ზეცისათა B; მიხედოს BC. 6 ზეცისათა BC; სამკვიდრებელთა C; 7 მკვიდრ C; იქმნეს BC; 8 იქმნეს]+ იგი BC 9 ~ ამის სოფლისა B; დამკვდროს C. 10 და]— B. 11 იქმნის C. 12 იქმნის C; ამისთჳს. C; გიბრძანეს B. 16 ამისთჳს C, ~ ბრძანა ამისთჳს B; გუბრძანა C. 17 საუნჯესა C. 18 განშორებულ არს] განეშორების CB. 19 მარადის] მას BC. 20 ქუეყანა C, ქუეყანისა B; მკვიდრ C. 21-22 გადმოიყვანებს C. 22 თჳსისა C; თჳსი C. 23 თჳნიერ C; დაუნჯებდეს C; თჳსი C. 27 და] B. 29 ~ ყლთა განშორებულთა სახე C; მიხედონ BC; ყოველთა]—BC. 31 თჳსთა C; იკსენონ B; შემთხუთა C. 33 შეიკრა C; თჳსისა C.

წარწყმდა. გამოიყვანა იგი პირველად წყალობამან ღმრთისამან, რაჟთა განერეს დაწვსა მისგან. და რაჟამს იგი გონებამ მისი არა გამოვიდა მის თანა, არცალა იგი განერა, დალაკათუ გამოსრულ იყო იგი მიერ, ად გული მისი მუნვე სოდომას დარჩომილ იყო. და მისთჳს იგიცა დაშთა. და შეპყრობილ იქმნა რისხვისა თანა ღმრთისასა. და სახე და იგავ ექმნა ყოველთა, რომელთა სოფელი დაუტევიან და განეშორიან საფრკეთაგან მისთა, რაჟთა არლარა კუალად იქცენ და მიჰხედონ მას სიყუარულით გონებითა. რომელსა ერთ გზის განუძარცუავს, ნულარა კუალად შეიმოსს გონებითა ზრუნვასა და საუ-რავესა მისსა, რომელი მოიძულა, რაჟთა არა იყოს იგი (267) შიშული და სირცხვლეული მდგომარე დღესა მას სარჩელისასა.

რომელი ერთ გზის განიბანის და განიწმიდის შეხებისაგან მკუდრისა და კუალად იქცეს და შეხოსს მკუდარსა, რაჟ სარგებელ ეყო მას პირველი იგი განწმედაჲ, ვინაჟთგან კუალად შეიგინა იგი? ეგრეთვე ყოველმან რომელმან დაუტეოს სოფელი ესე და ევლტოდის [უ] საქმეთა მისთა, უკუეთუ კუალად იქცეს თუალვად მისა, არა დაუტევიების მას იგი, რაჟამს კუალად ზრუნავს მისთჳს. აჲ უკუე დაუტევე სოფელი საქმითა და გონებითა, ვითარცა-იგი დაუ-ტევა ლოთ ყოვლითურთ და განერა რისხვისაგან. ხოლო ცოლი მისი ზე უკუნ იქცა გონებითა და ზე უკუნ იხილა და წარწყმდა იგი რისხვისა მისგან¹⁾.

ამიათჳს უფალი ჩუენი იტყოდა: „ესემცა გატაოვს, რაჟთა უწყოდით, რამეთუ რაჟამს უკუნ იხილა, ეწია მას რისხვაჲ.“ **) გეშინოდენ, რაჟთა არა კუალად იქცეთ ღმრთისაგან და ვითარცა ცოლი ლოთისი შეპყრობილ იქმნეთ სოფლისა ბოროტითა. ლოთ მართალი ბრძენი იყო, რამეთუ სწრაფით რბიოდა იგი, გან-რაჟ-ოტებულ იყო იგი სოდომით, და რისხვაჲ იგი მოწვეულნი მას ვერ ეწია, რამეთუ სძულდა მას ქუეყანაჲ იგი ბოროტი და ყოველი განგებამ მისი. და რაჟამს გამოვიდა მიერ, არა უკუნ იხილა კუალად მართალმან, არამედ ყოვლითა სწრაფითა განვიდა (268) სოდომით და განერა, და ვერ მოინადირა იგი რისხვამან, რომელმანცა იგი წარწყმიდა ცოლი მისი. და რა-ჟამს იყო მართალი ესე ქუეყანასა მას სოდომისასა, ვითარლამცა არა მუნ იყოფოდა, ეგრეთ იყენეს საქმენი მისნი. და რაჟამს დაუტევა და გამოვიდა [172] მისგან. არლარა უკუნ იხილა მან ზე, რამეთუ სძულდა იგი მას. და იქმნა იგი იგავ ყოველთა, რომელთა სოფლისა ბოროტნი დაუტევიან, რაჟთა ესრეთვე მოიძულონ, ვითარცა ლოთ სოდომი, რაჟამს-იგი განიოტა მისგან

2 დაწუვისა C; რაჟამ C. 3 ად გული C] ადგილი A. 4 დაშთომილ A] შინა B: ამისთუის C, ამისთჳს B. 5 თანა] შინა B; ღმრთისასა] + საშინელსა ცოლი ლოთისი C. + საშინელსა B; იქმნა B. 6 სოფელი] + ესე B; საბრკეთაგან C. 7 მიხედონ BC; სიყუარულისა გონებითა B. 9 მისა C; მოიძულა C; აყოს C. 10 სირცხვლეული C; სასჯელისასა BC. 11 შეხებისაგან] შეღებულუებისაგან და შეხებისა B. 12 იქცის B. 15 თუალვად] მოხილვად B. 17 ~ ლოთი დაუტევა C. 19 ამისთუის C; ეტყოდა B; გაკსობს C. 21 და ვითარცა] ვა C; და შეპყრობილ C. 22 ბოროტი] + და განსაცდელითა B. 23 გან-რაჟ-ოტებულ C; იგი] — C; სოდომითა C. 27 იგი წარწყმიდა] წარწყმიდა B; ~ ცოლი მისი წარწყმიდა A; და რაჟამს] + რამსა მას რომელსა B. 29 იყოფოდა C; იყენეს C. 30 იგი] — C. 31 დაუტევიან C. 32 ვა] + მოიძულა BC.

1) შდრ. შესაკ. 19, 12-26. **) შდრ. ლუკა 17, 32.

რამეთუ ჰხედვიდა იგი ბოროტისა საქმეთა მისთა. ანისთჳს მოიძულა და გან-
ჰკრთა გონებაჲ მისი უკეთურებისა მისგან მკვდრთა მისთაჲსა და რისხვისა.
მისგანცა, რომელი მოიწია მათ ზედა. განერა, რამეთუ გონებაჲ მისი გან-
კრთომილ იყო უკეთურთა მათთაგან. და ოდეს იგი რისხეაჲ გარდამოჭდა მათ
5 ზედა, არა უკუნ იქცია პირი მისი ხილვად მისა. და ასწავა მათ, რომელთა.
სოფელი დაუტევიან, რაჲთა არღარა კუალად იქცენ მუნვე გონებითა წათითა.
და იხილონ იგი, დაღაცათუ ყოველი საქმე მათი დაიწუას.

რამეთუ ცოლმან ლოთისმან, რაჲმს უკუნ იხილა ხილვად სოდომისა.
მუნთქუესვე იქმნა იგი ძეგლ მარილის. აწ უკუე განგმობთ ჩუენ უგუნურებაჲ
10 მისი და ვთქუათ: უკუეთუმცა არა გული მისი (269) დარჩომილ იყო სოდომს,
არამცა უკუნ ეხედნეს ქმრისა მისისაგან ხილვად დაწუესა მას, არამედ მტკიე-
ნეულ იუ[ო] და დამძიმდა მის ზედა საქმე იგი, რომელი [უ] აქუნდა მას შინა.
დატევებად იგი მონაგებთაცა თჳსთა, რომელნი დაშთეს მუნ შინა.

გული მისი ფრიად შეკრულ იყო მათგან და მისთჳს უკუნ იხილა მან
15 ზე უკუნ მწუხარებით დატევებისა მისგან. ამისთჳს ეწია მას რისხეაჲ და წარ-
წყმდა იგი მონაგებთა მისთა თანა, და სახე და იგავ ექმნა იგი მონაზონთა
განშორებულთა, შვილთა სასუფეველისათა. აწ უკუე მოიქსენეთ, საყუარელნო
ჩემნო, და ნუ შეიკრვინ გონებაჲ თქუენი მონაგებთათჳს, რომელნი სოფელსა.
შინა დაგიტევებიან. ნულარა უკუნ იხილავთ გონებითა თქუენითა ხილვად მისა,
20 რაჲთა არა კუალად იქცეთ სოფლადვე.

ჴ განშორებულო სოფლით, ემსგავსე შენ ლოთს და ივლტოდე შენ მისგან
და მოიქსენე ცოლი მისი და რაჲ-იგი შემთხჳა მას. აჰა სოფლისა კუამლი.
ზე აღვალს ბოროტთა მისთაჲ, ნულარა მიხედავ მას. უკუეთუ დაგიტევებიეს
იგი და განშორებულ ხარ მისგან, რაჲსალა მიჰხედვე და განიცდი კეთილთა.
25 და ბოროტთა მისთა, იხარებ და მწუხარე ხარ მის თანა? აცადე უკუე და-
რომელსა ენებოს, იხარებდეს, და რომელსა უნდეს, მწუხა(270)რე იყოს, და-
რომელი დაიწუეს, დაიწუეს! და შენ ნუ მიხედავ მას, რაჲთა არა კუამლმან.
მისმან დაგიბრმნეს თუალნი შენნი. და უწყოდე, [183] რამეთუ საესე არს იგი-
30 ზაკუეითა და ტყუელითა, განსაცდელითა და უბადრუკებითა. რაჲ ძეს შენ
შორის და მის შორის, ვინაჲთგან დაგიტევებიეს იგი და განშორებულ ხარ.
მისგან.

1 მოაძულა C. 2 მკუიდრთა C. 3 მოიწიოდა C. 4 უკეთურებათა A; მათგან BC. 8 რა-
ქამს-იგი BC. 9 მარილისა BC; ჩუენ] — B. 10 არა] — B; დაშთომილ BC. 11 მტკიენულ იყო
და] — B. 12 საქმე A, საქმე BC; 13 და მონაგებთათუისცა C, მონაგებთათჳსცა B; თჳსთა]—C.
14 მისთუის C; უკუნ] — C. 15. ~ ზე უკუნ იხილა მან C; მისგან] მისთჳს CB; მწუხარებით] მწუ-
ხარებისა მისთჳს რომელი-იგი აქუნდა B; ამისთუის C; რისხეაჲ] + იგი C. 16 იგი] — C. 17 ~ მოი-
ქსენეთ აწ უკუე B. 18 შეიკრვით B; თქუენითა B; მონაგებთათუის C. 19 შინა] + არიედ და B;
მისდა B. 20 კუალადვე C; ~ სოფლადვე იქცეთ BC. 21 განშორებულნო B; ემსგავსე შენ] ემსგავ-
სენით B; ივლტოდე C, ივლტოდეთ B; შენ]—B. 22 მოიქსენეთ B; მისი] ლოთისი B; შემთხჳია-
C. 24 რასალა B; მიხედავ BC; ~ კეთილთა მისთა და ბოროტთა B. 27 დაიწუეს C. 28 დაგი-
ბრმნეს] დაგიბნენეს C; და] ესე B. 29 ტყუელითა C.

აწ უკუე იზრუნე თავისა შენისა მყუდროდ სამკვდრებელი შესავედრე-
შელად, ვითარცა-იგი ეყო სეგორი შესავედრებელად ლოთს, და მიივლტოდა
შისა და განერა რისხვისაგან. სოდომი ფრიად დიდი იყო და სეგორი ფრიად
მცირე იყო, არამედ ცხორებდა სეგორს პოა მართალმან მან. ეგრეთვე დიდ
არს სოფელი და მცირე არს საყოფელი მარტოდ-მყოფთაჲ, ხოლო სულთა
ცხორებდა საყოფელსა მარტოდ-მყოფთასა იპოვების, რომელთა უყუარს და
ჰნებავს იგი სიხარულით.

იყო ქუეყანაჲ იგი სოდომისაჲ ფრიად საშუებელ და განსაფრთხობელ
და შუენიერ ხილვითა. და იყო მას შინა მდინარები და სარწყავნი უხუებით,
ზოსტანთა და ვენაქთა და ხილთანთა სიმრავლე აღურაცხელი, და სავსე იყო
იგი ყოვლითა საშუებელითა. ველთა ზედა ვაკეთა იყო სოდომი და თავსა ზედა
შთათასა იყო სეგორი: მცირე, უწყმარი და ურწყავი და უქმარი. და რომელი-
იგი იყო უქმარი, ამან განაძარცუა ცხორებდა მას, რომელი-იგი მრავალ-
ფერითა გემოთა შუებითა იყო სოდომი. [უ] მარტოდ-მყოფთა სა(271)ყო-
ფელნი ცალიერ არიან საშუებელთაგან გემოანთა. და სოფელი მგავს
არს სოდომისა ქუეყანასა საშუებელითა და სიმრავლითა კეთილთაჲთა, არამედ
დასაწუველ იქმნა იგი მსჯავრითა ღმრთისა მალღისაჲთა და სეგორს შინა
შოეცა ცხორებდა მართალსა ლოთს და იქსნა იგი რისხვისაგან.

საფლავნი მეფეთანი სავსენი ძუალეებითა არა სწორ არიან სახლსა საგლა-
ხაკოსა, რომელსა შინა მკვდრთა ცხორებდა არს. რომელიმე ქუეყანაჲ უჭროს
უყუარდა და ჰნებვიდა ლოთს: სოდომი დიდი და სავსე საშუებელითა ანუ სე-
გორი მცირე, უქმარი და ურწყული? სოდომსა დიდსა და საწადელსა ყოვლიასა
მოჰბერეს ნიავე-ქართა სიკუდილისათა და ივლტოდა ლოთ მიერ და პოა ცხო-
რებდა სეგორს მცირესა, შეევედრა მას და შეიყუარა იგი. თუსაგან იყო და
ეუწყა მას, თუ რომლად ქუეყანად ივლტოდის, საწუნელად, რომელი აცხოვ-
ნებდეს, და ზრა საშუებელად, რომელსა შინა რისხვით სიკუდილი პოვნილ
იყოს.

ხოლო შენ, მოწაფეო, რომელი გამოსრულ ხარ ახალსა ცხორებაჲა, [184]
შოიძიე შენცა ქუეყანაჲ დაწყნარებული, ვითარცა ლოთ, რომელსა შინა
სცხონდეს შენ სულიერად. და უკუეთუ იყოს ქუეყანაჲ შუენიერი და იყო მას
შინა სიკუდილი სულისაჲ, დაუტევე იგი მწრათლ და მეოტ იქმენ, ვითარცა-
რგი დაუტევა ლოთ და მეოტ იქმნა. და უკუეთუ ჰპოვო შენ (272) ქუეყანაჲ,
რომელსა შინა იყოს ყუდროებაჲ და დაწყნარებაჲ სულისა შენისაჲ, შეევედრე
მას და დაემკვდრე მას შინა, უკუეთუ გიყუარს შენ საყოფელი დაწყნარებული.

1 სამკუიდრებელი C. 2 იყო B; ლოთისა B. 3 ეყო C. 4 პოვა BC. 5 სოველი + ესე C;
მარტომყოფთა C, 6 მარტო მყოფთასა C; მპოების C; და ჰნებავს—B. 8 და ეყო C 9 ეყოC;
ფედ უხუებით C. 10 ხილთანთა BC; ფედ აურაცხელი B; ეყო C. 12 უწყმარი C. 13 მას — B.
14 შუებულ BC; მარტომყოფთა C. 15 ცარიელ C; არიედ B; გემოვანთა C. 16 საშუებელთა
გემოვანთაგან B; ~ სიმრავლითა და B. 17 დასაწუველ C. 18 და აქსნა C. 19 არიედ B.
20 მკვდრთა მკუდართა C; ქუეყანა C. 22 ~ ურწყული და უქმარი B; სოდომს C. 23 პოვა
BC. 24 თუისაგან C. 25 რომელსა ქუეყანასა B. 29 მოძიე C; ლოთი C. 30 ქუეყანაჲ შეე-
ვედრე — C. 31 მწლაფრ C. 32 დაქ ბ' B. 33 მყუდროება BC. 34 დაემკუიდრე C.

კარი სოფლისაჲ მალალი არს და შემკული და შეენიერი, და საესე სიხარულითა და საშუებელთა სიმრავლითა, და საქმენი მისნი დიდებულ და გემოან არიან; არამედ ესე შეიყვანებს საშუევალ ჯოჯოხეთისა ფართობასა, და კულად საჩკადრებელი ულონოჲ და გლახაკი, უქონოჲ და შეურაცხი, მშვიერი და წყურთიელი და ყოლადეე პურის მთხოველი შეიყვანებს საშუებელთა მათ სულიერთა და ნუგეშინის-ცემასა ღმრთისასა.

ჰ განშორებულო, კეთილ არს შენდა საყოფელი საგლახაკოჲ, ულონოჲ და უპოარი. ესე უმჯობეს არს სამკვდრებელსა სოფლისასა შეენიერებითა საესეაჲ, [ვ] რომლისა სამკვდრებელი ცეცხლი და სატანჯველი არს, რაჲ უკუე 10 სარგებელ ეყო მდიდარსა მას ცხოვრებაჲ იგი ამის სოფლისაჲ და მუნ დაიმკვდრა, ქუესკენელი იგი ჯოჯოხეთისაჲ, საესე ვაებითა მწარითა. ევლტოდე სოფელსა, ვითარცა ლოთ სოდომასა და დაწუფასა მისსა, რამეთუ მან ყოველივე; რაჲცა აქუნდა, დაუტევა ჰას შინა და ივლტოდა. (273) აჰა ესერა 15 იშუებდ უკუე ნათ შინა სულიერად სიხარულით.

გალობაჲ წინაწარმეტყუელთაჲ და სიტყუანი მათნი, რომელსა იტყოდეს საიდუმლოჲსათჲს განგებისა შენისა და მოციქულთა, რომელ გჰადაგეს გამოჩინებაჲ ძისა ღმრთიასა, შენ თანავე ფსალმუნებენ დლითი-დღედ. განიფრთხვე ქნართა მით დავითისითა ტკბილითა სასოებით, ცხოვრებასა. შენსა 20 უწეს სწავლაჲ საღმრთოჲ. და სამოთხესა მას ცხოველსა და სიტყუერსა განისუენებდეს სული შენი წყალთა ზედა განსასუენებელთასა დლითი-დღედ. და უფალი არს მწყემსა შენდა და უზრუნველად მან გამოგზარდოჲ შენ. ლოცვაჲ შენი ყურთა შისთა ესმის და გული შენი წინაშე მისსა არს და სამკვლ[184] რებელი შენი მის თანა. და უკუეთუ არა დაუტეო, ყოველივე შენი არს.

ყოველთა დღეთა სულსა შინა შენსა მოიგე ყოველივე შენი, ჰ ბრძენო, და გარემე შენსა ნურას მოიგებ ამას სოფელსა. სასოებით დაწვე და მინდობილმან ღმერთსა დაიძინე, და სიზმარნი შემადრწუნებელნი არა გეჩუენენ შენ. უკუეთუ შეგაწუხოს შენ იმამან, მიჰხედე ჯუარსა მას მესნელისასა და მუნ-თქუესევე ნუგეშინის-გეცეს შენ. უკუეთუ ბრძოლაჲ შეგემთხვოს შენ, შემწედ 25 მოჰხა(274)დე მას, რომელმან-იგი შენთჲს ივნო. და უკუეთუ იგინე ვისგანმე, მოიჯანე, რამეთუ ღმერთი შენი იგინებოდა კაცთაგან და თავს-იდებდა. ჯუარი მოძღუარი არს შენი, რაჲსათჲა ეძიებ პატისა? უკუეთუ შეგემშოს.

2 გემოან BC. 3 არიედ B; საშოვალ C; ფართობასა C. 4 სამკუიდრებელი C; ულონოჲ BC] ულო A. 5 შეიყვანებს C. 7 ულონო C. 8 უპოარი BC. 9 სამკუიდრებელსა C; ~ საესესა შეენიერებითა BC; რომელსა B, რომლისაჲ C; სამკვდრებელი] მოსაგებელი BC. 10-11 დაიმკუიდრა C. 11 საესე]—C; მწარითა]— მით B. 12 სოდომსა BC; მისა C; ყოველი BC. 15 იშუებდ-დი B; მათ მას BC; სიხარულით]—მარადის B. 17 საიდუმლოჲსათჲს C; გუიქადაგეს C. 18 ფსალმუნებენ] + სულიერად და შენ BC; განიბრთხობ BC. 19 მით] — C. 20 სწავლა] სწრაფაჲ B; სიტყუერსა C. 23 მისა C. 24 სამკუიდრებელი C. 25 მოაგე C; ყოველივე შენი] ყი B. 26 შენსა] მისა B. 27 ღთისმან C; დაიძინე C; შემადრწუნებელი C. 28 ძმამან]—შნმნ BC; მიხედე B. მიხედენ C. 29 ნუგეშინის-გეცეს C; ბრძოლა]—რაჲმე B. 30 მოხადე BC; შენთჲს C. 31 იგინა B; თავს-იდვა B. 32 რაჲსათჲს C.

შენ, მოიქსენე, რამეთუ მოწაფეთაჲცა უფლისათა შეემშია და ჯოვილისა თავსა მოსრვიდეს და ჭამდეს, რაჟამს-იგი იყო მათ თანა ყოვლისა საზრდელი.

უკუეთუ სული შენი მინდობილ იყოს მისა, არა მოგამშობს, არამედ ჰნებავს ჭებად შენი უპოვრებითა, რადთა განგაძლიეროს შენ და განგამტკიცოს შენ, ვინაჲთგან მიენდევ მას, ანუ ჰნებავს ჩუენება, ვითარმედ არა შეგაწუხებს შენ ნაკლულევანებაჲ, გინა იხილა სრულებაჲ შენი და დააყენა ჟამი შენგან, გინა ხარ შენ [x] ნაკლულევან სასო[ე]ბასა და მინდობასა და ჰნებავს სწავლად შენი. დაგიწყებად არა არს მონანულთაჲ.

აწ უკუე შენ ნუ დაივიწყებ და იგი არა დაგივიწყებს შენ. შეცვალებითა შენითა ჰნებავს სიმართლე შენი. აწ იზრუნე თავისა შენისათჳს და გეშინოდენ მადლრობისა, რამეთუ ურვილი ცხორებაჲ ღოიგის კაცმან მის მიერ. და გინაროდენ შიმშილისათჳს, რამეთუ სულთა ცხორებაჲ მის მიერ მოეცის. ორბსა სიმადლრითა დაუძმძმიდან ფრთენი მისნი და ვერ უძლის აღფრენად სიმადლელსა (275) ჰაერისასა, ვიდრემდის არა აღუსუბუქნის სიძძიმე იგი მადლრობისაჲ. ეგრეთევე სული დამძიმდის ნაყროვნებითა. ამისთჳს ჯერ-არს შენდა, ჟ განშორებულო, რადთა იხარებდე უპოვრებასა ზედა უფროჲს ღონიერებისა. რამეთუ საუნჯენი ყოვლისა მპყრობელისანი სავეს არიან და არა ოდეს მოაკლდები, და განაგებს ყოველსა ბსგავსად ცნობისა თჳსისა, და მისცემს ცხორებასა ყოველსა სოფელსა. და სხუად სავეს მადლითა და სიხარულითა არსვე ღმრთისა თანა, რომლისა ძიებასა ჰქდებიან და ერთი-ერთსა უსწრობენ ყოველნი განშორებულნი ყოველთა დღეთა და ჟამთა მათთა. და ამას მოკიდებულ არს სული სასოებით, რადთა მოიგოს იგი. ხოლო კურთხეულ არს იგი, [136] რომლისაჲ არს მეუფებაჲ და შეძლებაჲ დამკვდრებად საყუარელთა თჳსთა საშუებელი იგი დაუსრულებელი და სიხარული საუკუნოჲ ზეცათა შინა უკუნისამდე.

დასრულდა თქუმული ესე აქამომდე და ჩუენ ვევედრებით სახიერებასა ღმრთისასა, რადთა მომცეს ძალი და შეწვენად და სისრულე საქმისაჲ ნებასა შინა მისსა და ყოფად მართალი სარწმუნოებაჲ მცნებათა მისთა მადლი და დიდებაჲ და თაყუანის-ცემად ყოველთა ზედა კეთილთა მისთა, და ჩუენ ზედა წყალობად მისი უკუნითი უკუნისამდე, ამენ.

1 ჭუვილისა B, ჭუილისა C. 2 მუსრვიდეს BC. 3 მისდა C; მოგამშვეს B. 4 უპოვარებითა B. 4-5 განგამტკიცოს შენი განგამტკიცოს C. 5 ჩუენება C] მას ჩუენებად B. 7 სასოებისა-გან B; მინდობისა B. 8 შენი—B. 9 ~ ნუ დაივიწყებ შენ C. 10 თავისა] განგებისა C; შენისათჳს C. 11 და]—B. 12 შიმშილისათჳს C. 14-15 სიმადლრისა B. 15 ამისთჳს C. 16 უპოვარებასა B. 17 არიდ B. 18 თუისისა C. 19 სხუად]+ცხორება B, ცხურება C. 21 მათთა]—C. 22 სასოებითა B. 23 შეძლებაჲ ძლიერება B; დამკვიდრებად B; თუისთა C. 24 საუკუნოჲ] — B; ზეცათა] ცათა B. 28 მისთა C] + მადლითა და წყალობითა მისითა BC.

(276)

თქუმული წმიდისა ეფრემისი
თარგმანებული წმიდისისა ფსალმუნისაჲ
მარხვისათჳს და სინანულისა

ჰ კრებულო მორწმუნეთაო, საყუარელნო, ისმინეთ თქუმულთა ამათ ჩემთა
 * შემოსლვისათჳს წმიდათა მარხვათაჲსა, რომელნი დასხმულ არიან ჩუენთჳს, ვი-
 თარცა აღმითქუა ჩუენ სულმან წმიდამან ფსალმუნსა შინა მეექუსესა, რამეთუ
 გუასწავა, რომლითა მიზეზითა შევიწყალნეთ ღმრთისა მიერ მოწყალისა, რო-
 მელსა შინა არს სიმდაბლე ქემმარტი მონანულთაჲ და მადლობაჲ ღმრთი-
 * საჲ და ჯსენებაჲ ცრემლთა მჭურვალეთაჲ, [წ] და უძლურებისა და შემუსრვი-
 * ლებისაჲ, რომელი არს ცოდვათათჳს, რომელთაგან მოგუეცემის ცრემლთა
 გამოქსნაჲ წყალობითა ღმრთისაჲთა ღამით და ღლით. არა ხოლო თუ სინა-
 ნულისათჳს მარტოდ მოტევებაჲ, არამედ რომელი მომეცემის ჩუენ სრულიად
 მოტევებაჲ და განოტობაჲ მტერთაჲ, რომელნი მეწყევებიან ჩუენ დღე და ღამე
 ეშმაკნი. და თარგმანებაჲ ფსალმუნისაჲ მის ესე არს, რომელი წერილ არს
 * ფსალმუნი მეექუსე დავით წინაწარმეტყუელისაჲ, რომელი თქუა მერვისათჳს.
 მაშინ იწყო ვედრებად და ღმობიერად, (277) ეტყოდა მსაჯულსა და
 ჰრქუა: „უფალო, ნუ გულის-წყრომითა შენითა მამხილებ მე“¹⁾; და მე უწყი,
 სახიერო, რამეთუ ვერ ეგების, ვითარმცა არა წავრდევ წინაშე საშინელსა და
 შესაძრწუნებელსა საშჯელსა განკითხვად ყოველთა თანა კრებულთა ანგელოზთა
 * და მთავარანგელოზთა და ყოველთა თანა დაბადებულთა. მაშინლა ცხადად
 განცხადნენ ცოდვანი ჩემნი. ჰ მოწყალეო, რამეთუ ცოდვანი ჩემნი უზეშთაეს
 მოტევებისა არიან და მე უმეტეს განვარისხე სახელი წმიდაჲ შენი; და უძ-
 რეს ყოველთა ცოდვილთასა აღვასრულენ დღენი ჩემნი; და უფროჲს
 მისსა, რომელსა-იგი თანა-ედვა ბევრი ტალანტი, განმრავლდეს თანა-ნადებნა
 * ჩემნი; და უფროჲს გუემულისა მის ავაზაკთა მიერ განძრდეს ნაგუემნი ჩემნი;
 და უფროჲს მეძვისა მის შე[187]ვაგინე სული ჩემი; და უძრეს ქანანელისა მის
 დამძიმდა ჩემ ზედა ტჯრთი ცოდვათა ჩემთაჲ, და შეცდომილი შენდა მიმართ
 ვლალადებ: უფალო! რომელმან სახელი შენი წმიდაჲ განვარისხე და სული
 წმიდაჲ შენი შევაწუხე და მცნებანი შენნი არა დავიმარხენ და სიმდიდრე
 * შენი უგულებელს-ვყავ, საფასე იგი კეთილთა შენთაჲ მედგრად განვაგე და
 მონაგები უფლებისა შენისაჲ ცოდვასა შინა აღვასრულე და სული ჩემი, რო-
 მელ არს ხატი შენი, ბრალთა სიმრავლითა შევაგინე, (278) და ტაძარი შენი,

1 წა-ს ვერემისი| მისივე C. 3 მარხვისათუის და სინანულისათუის C| + თავი კა A. თავი გ B, თავი მეთურამეტე; გუაყურთხენ ოო კზე C. 4 კრებულნო მორწმუნეთანო C; საყუარელო B; თქუმულთა ამათ ჩემთა| თქუმული ესე BC; შემოსლვისათუის C. 5 რწითუის C. ვა-იგი CB; არიედ B. 7 შევიწყალენით B. 8 და მადლობაჲ| მადლობაჲ B. 9 შემუსრვილობისაჲ C. 11 სინანულისათუის C; მოტევებაჲ|—C; 13 განუტებაჲ A, გაოტებაჲ C. 14 მის|ამის C, — B: რომელი წერილ არს|—B; რი-გი B; მერვისწათუის C. 18 ჰ სახიერო BC; ვითარმცა| თუმცა C. 19 ყოველსა C; კრებულსა ანგელოზთასა C; ანგელოზთა|+თანა B. 20 თანა|—C; მაშინ B. 21 ცოდვანი| ყოველნი ცოდვანი BC. 22 უძირეს C. 24 მისა C. 25 უფროჲს| უძრეს BC; განძრდეს C. 26 სული| სახელი C; უძირეს C. 27 ტურითი C. 28 ~ წა შენი A. 29 არაჲ C. 30 შენთა B. 31 მონაგები|+იგი BC. 32 ხატი| ტაძარი C.

1) ფსალმ. 6, 1.

რომელ არს გუამი ჩემი, უკეთურებითა შევამწინკულე, და ეამნი ჩემნი და
 დღენი, რომელ მომცენი მე, ცოდვასა შინა აღვასრულენ, და პირი ჩემი, რო-
 მელი შენ განმინათლე, ბრალითა ვარცხენე, და ბაგენი ჩემნი, რომელ შენ
 განსწმიდენ, უკეთურებითა შევაგინენ იგინი, და თუალნი ჩემნი, რომელ შენ
 განმინათლენ, ცოდვითა დავაბნელენ იგინი. და მე უწყვი, უფალო, ვითარმედ
 წარდგომად ვარ საშინელსა მას განსაკითხავსა, და მემხილნენ მე ცოდვანი
 ჩემნი და არავინაჲ არს ჩემდა განრომაჲ მისგან. არამედ ნუ გულის წყრო-
 შითა შენითა მამხილებ მე, რადთა სარგებელ მეყოს მე ესე,

ჟ უფალო მოწყალეო და მწყალობელო, შენ ჰეშმარიტად უწყნი შეცო-
 ლებანი ჩემნი დაფარულნი, და ნუ მამხილებ მე და ნუ მარცხუენ. და ნუმცა
 [უ] გამოეცხადებიან ცოდვანი ჩემნი ყოველთა ანგელოზთა შენთა და კაცთა,
 და ვიყო მე საიციხელ და საყუედრელ მათდა. ნუ სახიერო, ნუ გულის წყრო-
 შითა შენითა მამხილებ მე, რამეთუ ვერ შემძლებელ არს კაცი რისხვასა ქუე-
 ყანისა მეფისასა, და ვითარ შეუძლონ დაბადებულთა რისხვასა დამბადებელისა
 ლმრთისასა!

„უფალო, ნუ გულის წყრომითა შენითა მამხილებ მე, და ნუცა რისხვითა
 შენითა მსწავლი მე“¹⁾, რამეთუ ღირს ვარ მე ყოველთა სატანჯველთა და
 გუემათა; არამედ სწავლაჲ შენი ნუმცა რისხვით არს ჩემ ზედა, სახიერო.
 (279) მე უწყვი, უფალო, რამეთუ ავაზაკი გვედრებოდა შენ შენდობისათვის და
 სამოთხე მინიჭე მას; და მეძავე შეგივრდა შენ ყოველთა გულითა და მინიჭე
 მას წყალობით მოტეებაჲ; და მეზუერემან სულ-ითქუნა სიღრმითა გული-
 სადა და განათავისუფლე ყოველთაგან შეცოდებათა. ხოლო მე არა ვარ მსგავს
 მათდა, რამეთუ არა მქონან ცრემლნი აღმოცენებულნი მჭურვალენი, არამედ
 აღსარებაჲ ხოლო ჰეშმარიტად ცოდვათა ჩემთა სიმრავლისაჲ, და არცა სულ-
 თქუმაჲ ლმობიერი და არცა სიწმიდე გუამისაჲ, არცა სიგლახაჲ და არცა
 მოწყალეებაჲ და სიყუარული.

აწ უკუე რომლითა პირითა [138], ანუ რომლითა კადნიერებითა ვითხოო
 შენგან მოტოვებაჲ ყოველთა შეცოდებათა ჩემთაჲ, რამეთუ მრავალ გზის აღგი-
 თქუ სინანული და გიტყუე. და მრავალ გზის შეგივრდი ვედრებით ეკლესიასა
 შინა და რაჟამს გამოვიდი, ცოდვასავე მივაქციი. და მრავალ გზის ისმინე
 ლოცვისა ჩემისაჲ და მე შეურაცხ-გყვი, და მრავალ გზის შემინდი და კუა-
 ლად მე განგარისხი, და მრავალ გზის სულ-გრძელ მექმნი და მე არა მოვიქცი.
 და რადენ გზის შე-რაჲ-გცოდი და ვითარცა მამამან სახიერმან ნუგეშინის-
 მცი, და და-რაჲ-ვეცი, მრქჳ მე: აღდეგ და მოიქეც ჩემდა და მომე[ა]ხლე მე,

1 შევამწინკულე A. 2 მომცენ BC: მე]—BC; რომელ BC. 3 ვარცხუენე C. 7 არაჲ
 ვინაჲ C. 10 და ნუ] ნუ B; მე]—BC; და ნუმცა] ნუმცა C; და ნუ მარცხუენ] — B. 11 ჩემნი] + შენ
 წინაჲ B. 12 საიციხელ] + მათდა B: მათდა] — B. 15 ლმრთისასა] თვისასა B. 18 ჩემ ზედა]—B.
 19 შენ]—C; შენდობისათვის C. 21 მოტეებაჲ] შენდობაჲ ცოდვათა B: და მეზუერემან] მეზ-
 უერემან B; სულთ-ითქუნა BC 22 შეცოდებათა] + მისთა BC. 23 მქონან] + მე BC. 27 რომლითა-
 მე C: ანუ რომლითამე C; ვითხოო BC. 29 გიტყუე] გიტყუა C. 30 მივაქციი C; ესმინი C: და
 მრავალ გზის. ისმინე] ისმინე შენ მრავალ გზის B. 31-32 და მე კუალად C. 32 არაჲ მოვიქცი C.
 33 რაოლდენ გზის B. 34 მრქუი C; მე]—C: მოქეც C.

¹⁾ ფსალმ. 6, 1.

რამეთუ არა განგაძო შენ გარე და არცა გაყუედრო და (280) არცა განგაგდო, რამეთუ ვერ შემძლებელ ვარ შეურაცხ-ყოფად დაბადებულსა ჩემსა და არცა მოიუღებად ხატსა ჩემსა, რომელი ჰელითა ჩემითა შეეკმენ, რომლისათჳსცა დავსთხიენ სისხლნი ჩემნი უბიწონი.

5 აწ უფალო, ვინაფთგან აურაცხელ არიან წყალობანი შენნი და მიუთხრობელ სახიერებანი შენნი და გამოუკუღვევლ კაცთ მოყუარებანი შენნი, ამისთჳს გვედრები შენ, «ნუ გულის წყრომითა შენითა ნამხილებ მე და ნუცა რისხვითა შენითა მსწავლი მე», არამედ კუალადცა სულ-გრძელ იქმენ, და ნუ მწრაფლ განმიყვანებ მე [ა] სოფლისა ამისგან. და ნუ მომკუეთ მე, ვითარცა ლელუსა

10 მას უნაყოფოსა, არამედ წყალობითა შენითა და კაცთ მოყუარებითა შენითა მომანიტე მე წელიწადსა ამას სინანული, რამეთუ განუმზადებელ ვარ. და ნუ განმიყვანებ მე ცალიერსა ყოველთაგან საქმეთა კეთილთა. არამედ სახიერებით სულ-გრძელ მექმენ და წყალობით შემეწყალებ მე, დაცემული ესე, რომელი არა ღირს ვარ ზე ახილვად ყოლადვე.

15 «უფალო, ნუ გულის-წყრომითა შენითა მამხილებ მე, და ნუცა რისხვითა შენითა მსწავლი მე. მიწყალებ მე, უფალო, რამეთუ უძლურ ვარ; მიღხინე მე, უფალო, რამეთუ შემძრწუნდეს ძუალ(281)ნი ჩემნი»¹⁾, წარკდა ძალი ჩემი და დაიღინეს დღენი ჩემნიდა მდგრობასა შინა დაცალიერდეს ჟანი ჩემნი და ვხედავ. რამეთუ მოახლებულ არს უკუანაძკნელი ჩემი და გვედრები: განმიღე

20 ზე, უფალო, და ნუ დამიწმავ წინაშე ჰირსა ჩემსა კარსა წყალობისა შენისასა, არამედ მოყავ ჩემდა ძლიერი ჰელი შენი და აღმიპყარ მარჯუენე ჩემი, რამეთუ დანთქმულ ვარ სიღრმესა მწინკუღვევანთა გულის-თქუმათასა. «მიწყალებ მე, უფალო, რამეთუ უძლურ ვარ. მიღხინე მე: უფალო, რამეთუ შემძრწუნდეს ძუალნი ჩემნი»²⁾; და რომლისა ძუალნი შეძრწუნებულ და შემუსრვილ

25 არიან, ვერ შემძლებელ არს ზე აღდგომად და ვერცა ძიებად მკურნალისა და ვერცა სივლტოლად მტერისაგან. არამედ შენ ყავ მოძიებად ჩემი, უფალო, რამეთუ მო[189]ხუედ მოძიებად წარწყმედულისა მის კრავისა, რამეთუ სული ჩემი შეძრწუნდა ფრიად, და მოწვეწუნულ არს თანა-მღებთა ჩემთა მიმჯდელი და მე ცალიერ ვარ და არა რაა არს ჩემ თანა, რომლითა თანა-ნადები

30 ჩემი გარდავიჯადო და განვერე მოსესხისაგან.

შენ, უფალო, ხედავ ყოველსა ბოროტად განგებასა ჩემსა. ვიდრემდის. უფალო, არა მოიხილავ ჩემ ზედა, ვიდრემდის, უფალო, მიუშუებ მტერსა ჩემსა ჩემ ზედა. დაღაცათუ არა ვარ ღირს შეწვენსა შენსა, არამედ წყალობითა.

1 შენ] — B. 3 რომლისათჳსცა C. 5 არიედ B. 6 ამისთჳს B. 8 იქმენ] მექმენ C: მწლაფრ C. 10 წყალობითა შენითა] წყალობითა B. 13 წყალობითა B. 14 ~ ყოლადვე ზე ახილვად B; ყოლადვე A (ასეა!). 18 დაღინეს C; ჩემნი]—C. 21 მარჯუენა C. 22 მწინკუღვევანთა] ბოროტთა B. 24 ~ შემუსრვილ და შეძრწუნებულ B. 25 არიედ B. 29 ცარიელ C. 30 განვერე] + მე C; მოსესხისაგან] მოსესხისა მისგან B. 32 უფალო] + დამივიწყებ მე, ვიდრემდის უფალო უგულებელს მყოფ მე, ვიდრემდის ოო C, დამივიწყებ ჩნ, ვდს უგულებელს მყოფ. ვდს B; მოახილავ C; ოო] — B; ხა] + ოო B. 33; ვარ] + მე C; წყალობისა BC.

1) ფსალმ. 6, 1-2. 2) ფსალმ. 6, 2.

(252) და სახიერებისა შენისათვის წმიდისა შემოწყალე მე. ამით ესევითარითა ვედრებითა სულ-მოკლედ ევედრებოდა დავით წინაწარმეტყუელი უფალსა და დადუმნა ამისგან. და კუალად იწყო გონებითა თვისითა ვედრებად მისა და თქუა: „მოიქეც, უფალო, იჯაენ სული ჩემი და მაცხოვრე მე წყალობითა შენითა“¹⁾ და ნუ ეძიებ ჩემგან საქმეთა კეთილთა. მომიგსენე მე, უფალო, რამეთუ მიწისაგან უძღურისა დამბადე მე.

მოიგსენე, რამეთუ კაცი ამაოებასა მიემსგავსა და დღენი მისნი ვითარცა აჩრდილნი წარცდეს. მოიგსენე, უფალო, რამეთუ არა განმართლდეს შენ წინაშე ყოველი ჯორციელი, დაღაცათუ დღე ერთცა იყოს ცხობებაჲ მისი ქუეყანასა ზედა. მოიგსენე, უფალო. რამეთუ ცანიცა და გუნდნი ანგელოზთანი არავე წმიდა [ჟ] არიან წინაშე სიწმიდისა შენისა, რამეთუ რომელნიც მათგანნი გარდამოკვებს ზეცით ამპარტავანებისა მათისათვის. ამისთვის გვედრები, მაცხოვრე მე, უფალო, სახელისა შენისათვის წმიდისა, რამეთუ უკუეთუ მართალი შეიწყალო, არა საკვრველ არს, და უკუეთუ წმიდაჲ აცხოვნო, არა დიდ არს, არამედ ჩემ ზედა უღირსსა ამას აჩუენე სიმრავლე წყალობისა შენისაჲ, რამეთუ მკურნალი იგი იქებინ, რომელმან განწირული განკურნის, და მეფე იგი იქებინ, რომელმან სიკუდილისა თანა-მდებსა შეუნდვის, და სახიერი იგი არს, რომელმან შემცოდებელსა მიუტეოს. და შენ, უფალო, უწყი უძღურებაჲ ბუნებისა ჩუენისაჲ, რამეთუ დანბადებელ ხარ. ამისთვის მაცხოვრე მე წყალობითა შენითა. (253) ნუშეცა სცლევენ ბოროტნი ჩემნი სახიერებასა შენსა. ვითარცა აცხოვნენ ყოველნი შეცოდებულნი, მეცა მაცხოვრე, უფალო. დაღაცათუ ვაჟსენო მოსე წინაწარმეტყუელი მართლად, იგიცა არაწმიდა იყოს ცოდვათაგან და არცა აპრონ მღდელი და არცა დავით წინაწარმეტყუელი და პეტრე მოციქული.

ამისთვის ვევედრები სახიერებასა შენსა, შემოწყალე სახელისა შენისათვის, რამეთუ შენ ხარ მწყალობელი უფროჲს სასოებისა ჩუენისა და შემნდობელი უფროჲს [იყო] ვედრებისა ჩუენისა, რამეთუ ვის არასადა შენდობილთაგანსა არქუ, ვითარცა: წარვედ, რამეთუ საქმეთა შენთა გაცხოვნეს შენ²⁾. რამეთუ შენ, უფალო, წყალობით მიუტევი ყოველი თანა-ნადები, რომელნი გვედრებიან ამას სოფელსა, «რამეთუ არა არს (ვინ) სიკუდილსა შინა მოგიგსენოს შენ, ანუ ჯოჯოხეთს შინა ვინ აგიაროს შენ»³⁾. ამისთვის ძწოლასა შეუპყრია

1 სახიერებისა]+შენისა და სახელისა C; შენისათვის C; შენისათვის]+და სახელისა შენისა B. 2 სულმოკლედ] და სულმოკლეებითა C; და სულმოკლებით B. 3 დადუმნა C. 5 თუისითა C; კეთილთა] კეშმარითა BC. 7 მოიგსენე] ორ BC. 8 მოაქსენე C. 9 დაღაცათუ BC. 10 მოაქსენე C. 11 არიედ B. 12 გარდამოკუევეს C; მათისათვის C; ამისთვის C. 13 შენისათვის C. 14 საკურიველ C. 16 იქების BC; განწირული... რომელმან]—A. 17 იქების B. 19 ბუნებისა] გონებისა C; დამბადებელი C; ამისთვის C. 21 მაცხოვრე C. 22 მოსე] + დიდი B; არავე წმიდა BC; იყოს] + შენ წყე BC. 25 ~ შენსა სახიერებასა B; შემოწყალე] + მე BC; შენისათვის]+წმინდა BC. 27 ვის არა] არაიის BC. 28 არქუ] ჰრქუი C. 29 მიუტევე C; გვედრებიან]+შენ BC. 30 არა არს]+ვინ BC. 31 ანუ]+ვინ C; ჯოჯოხეთსა B; ვინ] — BC; აგიარო C, აღგიაროს B; ამისთვის C; ძწოლასა BC; შეუპყრის BC.

¹⁾ ფსალმ. 6, 3. ²⁾ მარკ. 5, 34. ³⁾ ფსალმ. 6, 4.

სული ჩემი, რამეთუ მე უწყი, ვითარმედ შემდგომად სიკუდილისა და ჯოჯოხეთა შესღვისა არა არს არცა სინანული და არცა მოტევებაჲ, რაზეთუ ესე ხოლო სოფელი არს საფარდული სულთა ცხოვრებისაჲ, ხოლო რაჲემს ღამე მოიწიოს, ცუდ იქმნენ მოფარდულნი და აღიღონ საეაქროჲ. რამეთუ რომელმან წინავე არა იზრუნოს საეაქროჲ, ოდეს ღამე მოიწიონ, არღარა ეპო[ო]ს მას საგზალი, ვითარცა-იგი სულელთა მათ ქალწულთა შეემთხვა¹⁾).

რამეთუ კაცისანი, ვითარცა თივაჲ არიან დღენი მიანი, და ვითარცა ყუავილი ველისაჲ ეგრე ყუავინ, და მზის-აღმოსლ(284)ვასა დაქნის. ეგრეთ ლმობიერად ევედრებოდა წინაწარმეტყუელი უფალსა და იტყოდა: „დავშუერი მე სულ-თქუმითა ჩემითა და დავბანე მე მარად ღამე ცხედარი ჩემი ცრემლითა ჩემითა, სარეცელი ჩემი დაქალტე“^{1a)}, რამეთუ უწყოდა, ვითარმედ რომელნი ცრემლით სთესვიდენ, [უ] მათ სიხარულით მოიმკონ სასუფეველსა ცათასა, ვითარცა იტყჳს უფალი: ნეტარ იყვნენ მგლოარენი გულითა, რამეთუ ივინი ნუგეშინის-ცემულ იყვნენ²⁾, „განმირისხნა მე გულის წყრომითა თუალი ჩემია“³⁾, ამას მოასწავებს: განრისხებასა სულისასა, და „განვჳკრთი მე ყოველთა ზედა მტერთა ჩემთა“⁴⁾, რამეთუ ვიშვე და აღვიზარდე და დავბერდი ცოდვასა შინა და ურვასა. და ამისსა შემდგომად არა განვწირე სასოებაჲ ჩემი წყალობისა-გან ღმრთისა და არცა დავიცონე, არამედ ლმობიერად ვევედრე და ცრემლითა განვიკურნე. ამას მოასწავებს, დაღაცათუ დაჰბერდე და მოუძღურდე, ტიროდე და იგლოვდი და ჰმადლობდი ღმერთსა და ინანდი; და ისმინე, რაჲ-იგი მოგუეცემის მადლისაგან ღმრთისა, რამეთუ რაჲემს-იგი თქუა, „განვკრთი მე ყოველთა ზედა მტერთა ჩემთა“⁵⁾. შემდგომად ამისსა კადნიერად შეჰრისხნა და ჰრქუა: „განწეზორენით ჩემგან ყოველნი მოქმედნი ურჩულოებისანი, რამეთუ ესმა უფალსა ჳმაჲ ტირილისა ჩემისაჲ და ისმინა უფალმან ჳმაჲ ლოცვისა ჩემისაჲ. უფალმან თაყუანის-ცემაჲ ჩემი შეიწირენ, ჰრცხუენოდენ და შეძრწუნდენ ყოველნი მტერნი ჩემნი, მართლ უკ(285)უნ იქცენ და ჰრცხუენოდენ ფრიად და მსთუად“⁶⁾. ესე ჰრქუა მტერთა შემ[191]დგომად სინანულიაჲ კადნიერებით.

იხილეა ძალი ცრემლთაჲ, იხილეა ძალი მადლობისაჲ, იხილეა ძალი განახლებისაჲ შემდგომად დაძუელებისა ცოდვასა შინა და ბრალსა? ამისთჳსცა ნუ იტყჳ, ვითარმედ: მოხუცებულ ვარ და დაბერებულ და მოუძღურებულ და დაჩუეულ ცოდვასა, და ვერ შემძლებელ ვარ აღსრულებად მცნებათა.

1 ჯოჯოხეთს B, ჯოჯოხეთად C. 2 და არცა] არცა C; მოტევებაჲ] + ცოდვათა B. 4 აღუღოს B. 5 აზრუნოს C; საეაქროჲ] საგზალი BC; მოაწიოს C; ეპოვბის B. 6 საგზალი] საეაქროჲ BC; მას] — B; შეემთხვია C. 7 კაცი B; თივა BC. 8 მზისა BC; ეგრეთ] ესრეთ BC. 10 მე]—BC; ღამე] დღე AC. 12 სთესვენ C; მოემკონ C. 13 იტყვის C; ოი] + ჩნი იჳ ქე B; იყუნენ C; მგლოვარენი C; იყუნენ C. იქმნენ B. 17 ამისა BC. 18 ცრემლით C. 19 ~ მოასწავებს ამას B. 20 ანანდი C; და ისმინე] ისმინე B. 21 განვკრთი BC. 22 და შემდგომად B; ამისა BC. 23 უსჯულოებისანი C, უსჯულოებისანი B. 25 ოწ თაყუანის-ცემაჲ ჩემი შეიწირენ] — BC. 27 კადნიერად C. 29 ძალი განახლებისაჲ]განახლებაჲ BC. 30 ამისთჳსცა C. 32 მცნებათა] + ღმრთისათა B.

1) შტრ. მათე 25, 1-12. 1a) ფსალმ. 6, 5. 2) მათე 5, 4. 3) ფსალმ. 6, 5. 4) ფსალმ. 6, 6. 5) ფსალმ 6, 7-8.

აწ უკუე ნუ ჰმიზეზობ ცოდვასა სიბერისათჳს, და უკუეთუ ჰმიზეზობდე, მე გიჩუენო შენ, რამეთუ შემძლებელ ხარ სიბერესაცა შინა სინანულსა უფროდ სიკაბუქისასა, რამეთუ თქუმულ არს წმიდასა შინა სახარებასა, ვითარმედ: „ნეტარ იყვნენ გლახაკნი სულითა, რამეთუ მათი არს სასუფეველი ცათაჲ“¹⁾. აწ მაუწყე, თუ ოდეს უფროდს დაჰმსდაბლდები გონებითა—სიკაბუქესა ანუ სიბერესა, გინა რომელსა შინა დანერგულ არს სილალე და ამპარტავანებაჲ, — სიბერესა ანუ სიკაბუქესა? ჰე, სიკაბუქესა სამე, რამეთუ თქუმულ არს: „ნეტარ იყვნენ გლახაკნი სულითა და მგლოარენი გულითა, რამეთუ იგინი ნუგეშინის-ცემულ იყვნენ“²⁾.

აწ უკუე რომელი უმახლობელეს არს გლოისა და ტირილისა: ბერი ანუ კაბუქი? არა კაბუქი, არამედ ბერი. და კუალად თქუმულ არს: „ნეტარ იყუნენ მშჳდნი, (286) რამეთუ მათ [უ] დაიმკდრონ ქუეყანაჲ“³⁾. და ესეცა უწყით, რამეთუ სიმშჳდე სიბერესავე დანერგულ არს, და თავკედლობაჲ და სილალე — სიკაბუქესა, და ამპარტავანებაჲ.

დიდ არს ძალი ცრემლთაჲ და საქმენი მისნი. და ამას მეწამების ძუელთა შინა ნინეველნი, ეზეკია და ნაბუქოდნოსორ და მანასე. რამეთუ მიუწოდომელ და გამოუთქუმელ არიან მოწყალეზანი ღმრთისანი. ნუ იტყჳ, ვითარმედ: ვისიძვე და ვიმრუშე და ვიავაზაკე და განვკუდი ცოდვასა შინა და ვერ შემძლებელ ვარ განრომად. უკუეთუ ღმერთმან შეიწირა სინანული მანასესი, რომელმან ორნეოცდათორმეტსა წელსა ერი ისრაელისაჲ კერპთ-მსახურყო და რავდენნი სულნი მოწყდეს მას შინა და წარწყმდეს. და ცოდვაჲ მათ ყოველთაჲ მანასეს ზედა იყო. და ოდეს წარიტყუენა იგი ბაბილონს, შეაყენეს იგი სპილენძისა კერპსა შინა. მაშინ იწყო ტირილით ვედრებად უფლისა და ღმერთმან ისმინა მისი და განიპო კერპი იგი და გამოვიდა. და ანგელოზმან მოიყვანა იერუსალემდ და სინანულსა შინა აღესრულა იგი⁴⁾.

რამეთუ მიუწდომელ და გამოუთქუმელ არიან საქმენი ღმრთისანი, რომელთა გულითა წმიდითა შეინანონ მისსა მიმართ, და მსგავსად ცოდვისა ნათისა აჩუენონ გულს-მოდგინედ ღოსწრა[192]ფე(287)ბაჲ სინანულისაჲ, მიჰმადლებს მათ შენდობასა, მოტევენასა ცოდვათასა, რამეთუ მისი არს წყალობაჲ და მისა ჰშუენის დიდებაჲ აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამენ.

1 სიბერისათჳს C. ~ ნუ ჰმიზეზობ აწ უკუე B. 2 ხარ + შენ BC. 3 სიკაბუქისა BC. 4 იყუნენ C. 5 მაუწყე]+მე C; დამსდაბლდებიC, დაჰმდაბლდები B. 6 სიბერესა]+ჰე სიბერესა C. 8 მგლოვარენი HC. 9 იყუნენ C. 10 გლოასა C, გლოვისა B. 11 თქმულ BC; არს]+ ვდ CB; იყვნენ B. 12 მშჳდნი C; დაიმკიდრონ C; უწყოდე BC: 13 სიმწიდი C. 15 მეწამების]+მე BC; ძუელთა შინა] რჩულთა შა B. 17 არიედ B; იტაუი C. 18 განვკუდი BC. 20 მსახურისა C]+ევე BC. 21 მოწყდეს BC. 22 ბაბილონდ C. 23 სნილედისა (ასეა!) A. 24 ანგელოზმან]+ ორისმან B. 25 მოაყვანა C; იერუსალემდ A (ასეა) იწმს C; იგი] — B. 26 მიუწდომელ C; არიედ B. 27 შეინანონ C; მისა BC. 28 გულს-მოდგინებაჲ მოსწრაფებით B. 29 და მოტევენასა BC; შუენის BC.

1) მათე 5, 3. 2) მათე 5, 3-4. 3) მათე 5, 5. 4) შდ. II ნეშტთა 33, 11 და შემდგომი საღვინდის (ვერაი რალაც აპოკრიფული ამბავია).

თქუთული წვილისა ეფრემისი
სიყუარულისათჳს და სინანულისა

ძმანო ჩემნო საყუარელნო, ნუმცა რაჲ აღგზრჩევიეს: ცხორებასა ამას ჩუენსა უფროჲს სიყუარულისა უზაკუველისა, რამეთუ ყოველნივე ყოლადვე
 5 ვცოდავთ ყოველთა დღეთა და ღამეთა და ყოველთა ეამთა. და ამისთჳა ჯერ-
 არს ჩუენდა, რაჲთა მოვიგოთ სიყუარული უზაკუველი, რამეთუ სიყუარული
 დაჰფარავს სინრავლესა ცოდვათასა. და რაჲ სარგებელ არს ჩუენდა, შეილნო
 ჩემნო, უკუეთუ ყოველნი სათნოებანი მოვიგნეთ და არა მოვიგოთ სიყუარული,
 რომლისაგან ყოველი შჯული აღესრულების და მის მიერ არს ჳსნაჲ ჩუენი.

10 რაჲ უკუე სარგებელ-იყოს კაცმან, რომელსა ენებოს მომზადებად სერი
 დიდი მეფისათჳს და მთავართა, თანა-მეინაჳეთა მისთა, უკუეთუ მრავალნი
 საფასენი წარაგნეს და უხუებით შემზადნეს ყოველნი სანოაგენი და მარილი
 არა უყოს მათ შინა, ნუუკუე თითოფერებაჲ იგი საქმელთაჲ და სიმ(ჲ)რავლე
 15 სანოვაგეთაჲ შესაძლებელ იყოსა გეჲოვნებით ჰამად მეინაჳეთა (288) მათ? არა
 სამე, ნუ იყოფინ! არამედ ცუდად საფასე იგი დაიჭირვოს და შრომაჲ მისი
 20 ამაო იჳმნეს. და მეფე და ყოველნი მეინაჳენი მისნი მოიგულძკრნეს უცბად
 განგებითა მისითა. ეგრეთვე აჳა, ძმანო ჩემნო, რაჲ სარგებელ არს, უკუეთუ
 ფრიად დაშურეს კაცი და შრომაჲ იგი მისი ცუდად წარჳდეს. სიყუარული
 დაამტკიცებს ყოველსა საქმესა კეთილისასა და უყუარულობაჲ ცუდ და ამაო
 25 იჳმს ყოველთა სათნოებათა: ქალწულებასა, მარხეასა, მღჳძარებასა და ლოც-
 ვასა, გლახაკთ მოწყალებასა და მსხუერპლისა შიწირვასა ღმრთისა, და ეკლე-
 სიათა შენებასა, და ენათაცა თუ იტყოდის ანგელოზთასა და კაცთასა, და
 სხუანი სათნოებანი, რომელნი არა ვაჳსენენ.

უკუეთუ ესე ყოველნი მოიგნეს კაცმან და სიყუარული არა აჳუნდეს,
 30 არა შეიწირავს ღმერთი მისგან არა რას, და არცა რაჲ მათგანი სათნო არს
 წინაშე მისსა. აჳ უკუე მოვიგოთ ყოკლისა პირველად სიყუარული უზაკუველი,
 რომელი შემძლებელ არს ჳსნად ჩუენდა ყოვლისაგან ცოდვისა. და უკუეთუ
 მრჳჳა მე, დაღაცათუ მძულს ძმაჲ ჩემი, არამედ მიყუარს მე ჳრისტე ღმერ-
 თი ჩემი, გამხილოს და განგამტყუენოს შენ იოვანე საყუარელმან (289) მოჳა-
 35 ფემან, ძემან [198] ქუხილისამან და ღმრთის მეტყუელმან სიტყუთა ამით, რო-
 მელი თჳჳა ვითარმედ: „ღმერთი მიყუარს და იმაჲ თჳსი სძულდეს, იგი მტყუა-
 რი არს და ჳეშმარიტებაჲ არა არს მის თანა, რამეთუ რომელსა არა უყუარ-

1 ეფრემისი] მისივე C. 2 სინანულისა] + თავი კბ A, თავი ირთ C. 3 აღგზრჩევიეს C.
 5 ამისთუის C. 8 არა მოვიგოთ სიყუარული] სიყუარული არა გჳონდის B. 9 სჯული C.
 10 ენებოს მომზადებად] მომზადოს B. 11 მეფისათუის C; მისთა] მეფისათა B. 12 საფასენი] სა-
 ნოვაგენი B; შეჳმზადნეს C, შემზადოს B; ყრი B; სანუაგენი .C] — B. 13 უყოს] იყოს BC; თუი-
 თოფერებაჲ C. 14 სანუაგეთაჲ C; იგი მეინაჳეთაგან B. 15 დაჳჭირვოს C. 19 კეთილსა B;
 19-20 ~ ცუდ იჳმს და ამაო B. 20 მღუიძარებასა C. 22 თუ იტყოდის C. 25 ~ მისგან ღმერთი C;
 26 ~ მოვიგოთ აჳ უკუე B. 27 და] ხოლო B. 29 იოვანე C] + ღმრთის-მეტყუელმან B.
 30 სიტყუთა C; და ღ'ის-მეტყუელმან] — B; ამით] მით BC. 31 თუისი C; მტყუვარი CB.

დეს ძმა თუნი, რომელი იხილა, ვითარ უყუარდეს ღმერთი, რომელი არა უბი-
ლაეს?“¹⁾ და ესე ცხად არს, რამეთუ რომელსა სძულს იმა თუნი და იტყვს,
ვითარმედ: უყუარს მას ქრისტე, იგი მტყუარი არს და აცთუნებს თავსა თუნი,
ვითარცა კულად თქუა იოვანევე, ვითარმედ „ესე მცნებად ღმრთისა მიერ მოცე-
მულ არს, ვითარმედ: რომელსა უყუარდეს ღმერთი, უყუარს მას იმადცა
თუნი“²⁾. და თუთ უფალი იტყვს, ვითარმედ: „ამათ ორთა მცნებათა ყოველი
შჯული და წინაწარმეტყუელნი დამოკიდებულ არიან“³⁾. და ესე ფრიად საკ-
რველ არს, რამეთუ რომელმან მოიგოს სიყუარული, მან ყოველი შჯული აღ-
აარულა. რამეთუ აღსრულებად შჯულისად სიყუარული არს და არარაად სძლევს
ძალსა სიყუარულისადა და არს იგი მიუწოდომელ.

საყუარელნო, არარაად არს უფროდს და უპატიოსნეს სიყუარულისა
არცა ცათა შინა და არცა ქუეყანასა ზედა, რამეთუ საღმრთოდ სიყუარული
თავი არს ყოვლისა კეთილისაჲ; სიყუარული მიზეზი არს ყოველთა სათნოება-
თაჲ; (290) სიყუარული მარული არს ღმრთის მსახურებისაჲ, შეზავებული;
სიყუარული [ვ] აღმასრულებელ არს ყოვლისა შჯულისაჲ. ესე დაემკვდრა პირ-
ველად გულსა აბელისსა; ამან განანდიერნა მამადნთავარნი; ამან დაიცვა მოსე
და აიბულა მას ვედრებად ღმრთისა ერისა თუნი სათუთს, რათა შეუნდენეს მათ
შეცოდებანი მათნი და თქუა: „და უკუეთუ არა, მეცა აღმკოცე წიგნისა მისგან,
რომელსა დაგიწერიე“⁴⁾; ესე სიყუარული დამკვდრებულ იყო წინაწარმეტყუელთა
თანა; ამან ყო დავით სამკვდრებელ სულისა წმიდისა, ამან განანდიერა იობ
და განამკნო იოსებ. და რაჲსა არა ვიტყვ უზეშთაესსა მას? ამან სიყუარულმან
გარდამოიყვანა იე ღმრთისაჲ მხოლოდ შობილი ზეციით ქუეყანად ჩუენდა;
სიყუარულისაგან გამოგზნდეს ჩუენ ყოველნი კეთილნი; სიყუარულითა სიკუდილი
დაითრგუნა, ჯოჯოხეთი წარმოიტყუნა და ადამ აღმოიყვანა; სიყუარულმან
განალო სამოთხე და განმზადა სასუფეველი ცათაჲ.

სიყუარულმან ყუნა ანგელოზნი და კაცნი ერთ სამწყსო და ერთ მწყემს;
სიყუარულმან ყუნა მონადირენი ღმრთიჲ ნეტყუელ. სიყუარულმან (291) აღაცნა
მთანი და ქუაბნი და ნაპარალნი ქუეყანისანი გალობითა ღმრთისაჲთა; სიყუა-
რულმან ასწავა ყოველთა კაცთა, [194] მამათა და დედათა, სლვაჲ გზასა მას
იწროსა. და ვინ შემძლებელ არა, ძმანო ჩემნო, სრულებით მითხრობად ძალსა
სიყუარულისასა? ვერცალა ანგელოზნი შემძლებელ არიან ამას მითხრობად
ქეშმარიტებით.

1 თუისი C. 2 თუისი C: იტყუის C. 3 მტყუარი BC: თუისა C. 4 ~ თქუა კულად B;
იოვანე B! იოვანევე C. 5 თუისი C. 6 თუთი C; იტყუის C 7 დამოკიდებულ BC; საკვირ-
ველ C. 8 სჯული C. 9 სჯულისა C. 11 ოფროს A. 12 და არცა ქუეყანასა ზა) — C. 15 სჯუ-
ლისა C. ყოვლისა) — B; დაემკვიდრა C. 17 აბულა C: თუისისათუის C. 19 დამკვიდრ-
ებულ C. 20 სამკვიდრებელ C. 20-21 იობი C) იოსებ B: იოსები C) იობ B. 21 ვიტყუი C.
22 გარდამოიყვანა C. 23 სიყუარულითა) სიყუარულისაგან B. 24 ჯუჯოხეთი C: წარმოიტყ-
უნა C; სიყუარულმან განალო... ცათაჲ) — BC. 26 სიყუარულმან) + განალო სამოთხე დაკშული
(—B) და განმზადა სასუფეველი ცათაჲ, სიყუარულმან BC. 31 არიედ B; ~ მითხრობად
მას B. 32 ქეშმარიტად B.

¹⁾ I იოანე, 4, 20. ²⁾ I იოანე 4, 21. ³⁾ მათე 22, 40. ⁴⁾ გამოსლვ. 32, 32.

სიყუარული მომატყუებელ არს ჩუენდა ყოველთა კეთილისაჲ. და ნეტარ არს კაცი იგი, რომელმან მოიგო სიყუარული ქეშმარიტი და უზაკუველი, რომლისაჲ ამცნო უფალმან ჩუენმან და თქუა, ვითარმედ: „ამისსა უფროდის სიყუარული არა არს, ვითარმცა დადვა კაცმან თავი თვისი მოყუასთა თვისთათჳს“ 1).

ესე საღმრთოდ სიყუარული აქუნდა პავლე მოციქულსა და იტყოდა, ვითარმედ: „სიყუარულმან მოყუასსა თვისსა ბოროტი არა უყვის“ 2), და არცა ვის ბოროტი ბოროტისა წილ მიაგის, და არცა ძკრი ძკრისა წილ. და რომელმან მოიგოს ესე სიყუარული, არა აღზუავენეს მოყუასსა ზედა და არცა 30 ჰჭურნ, და არცა აბრალებზ და არცა სძულნ ძმაჲ თვისი ყოლადვე, რომლისა თანა არს, ესე იგი არა ხოლო თუ მოყუარეთა თვისთა ჰყუარობზ, არამედ შემაწუხებელთაჲცა მისთა. (292) ესე სიყუარული იყო სტეფანეს თანა პირველ-
მოწამისა და მის გამო ულოცვიდა იგი ქვისა დამკრებელთა მისთა, ევედრებოდა იგი ღმერთსა და ეტყოდა: [უ] უფალო, ნუ შეურაცხ ამათ ცოდვასა 20 ამას. ნეტარ არს კაცისა მის, რომელმან შეურაცყოს ყოველივე და მოიგოს სიყუარული, რამეთუ ღლითი-ღლეღ მადლი მისი აღემატების და გკრგკნი განემზადების, და ყოველნი ანგელოზნი ნეტარებასა მისცემენ მას და ღმერთი არა განეშორების. რამეთუ ღმერთი სიყუარული არს და რომლისა თანა არს სიყუარული, ღმერთი მის თანა დამკვდრებულ არს და იგი ღმრთისა თანა. რაჲ 20 ფრიად არს ნაყოფი სიყუარულისაჲ, ძმანო! და დიდ და საკვრველ არს და უფროდს არს სამთა ამათ, ვითარმედ დაიცვეს კაცმან სარწმუნოებაჲ უბიწოებით წვალებისაგან და მოიძულნეს წესნი წარმართთანი და სიმღერაჲ და განცხრომაჲ, და არავის ემტროს ყოლადვე. და მზე არა დაჰკდეს განრისხებასა მისსა. და შეუნდობდეს ურთიერთას შეცოდებათა, რაჲთა ჩუენცა ნოგვტევენეს მამამან 25 ჩუენმან ზეცათამან შეცოდებანი ჩუენნი, ვითარცა მამცნო ჩუენ უფალმან. ჩუენმან იესუ ქრისტემან.

ესე არს თქუმული ჩემი სიყუარულისათჳს საღმრთოდსა უბიწოდსა. და კულად ვიტყოდი-ვე, საყუარელნო, სინა(293)ნულისათჳს და მერმისა განკითხვისათჳს ნომავალისა. რამეთუ ჯერ-არს ჩუენდა, რაჲთა განვიზრახვიდეთ ყო- 20 ლადვე ღლე და ღამე ღლისა მისთჳს უკუანაძსკენლისა, და არა დავივიწყოთ ცეცხლი იგი უშრეტი, [195] და ფსალმუნებასა ნუ ვანიშორებ მარადის პირით შენით, რამეთუ კსენებაჲ სახელსა ღმრთისასა გამდევნელ ეშმაკთა არს,

1 ყოვლისა კეთილისა C, ყოველსა კეთილსა B. 2 მამგოს C. 3 ამისა C. 4 თუისი C: 4-5 თუწსათუის C. 6 სამღრთუჲ C. 7 თუისსა C. 8 ვის ძკრი B; ძღირი ძღირისა C. 9 მოყუასსა ზედა. ჰჭურნ და| არცა შურნ და არცა განრისხნეს მოყუასისა ზა C; მოყუასისა ზა B. 10 ჰჭურნ| + და არცა განრისხნის და B; თუისი C; რომელსა თა C. 11 ჰყუარობს C. 12-13 პირველმოწამესა BC. 13 ქვის-დამკრებელთა C. 14 ამათ| მათ C. 16 ღლითი-ღლე C; მადლი მისი|—A; გურიგუინი C. 18 განეშორების|—მისგან B. 19 დამკვიდრებულ C. 20 რაჲ-ლა BC; საკვირველ C. 21 დაიცვის B; უბიწოდ B. 22 მოაძულნეს C; წარმართანი BC. 23 ემტერებოდის BC; მისა C. 24 მოგუიტევენეს C. 26 იჴ C. 27 თქმული CB. 28 ვიტყოდი-ვე|+მე C; სინანულისათუის C; განკითხვისათუის C, განკითხვისა B. 30 მისთუის C. 31-32 პირისაგან შენისა C.

1) იოანე 15, 13. 2) რომ. 13, 10.

და სადა ფსალმუნებამ არს, მუნ არს ღმერთი, და სადა სიმღერამ არს, მუნ ეშმაკნი არიან და რისხვამ ღმრთისამ და ვაებამ. და სადა წიგნის კითხვამ და გალობამ სულიერი არს, მუნ არს სიხარული მართალთამ და მშვდობამ ცოდვილთამ და დღესასწაულობამ ანგელოზთამ. და სადა ფანდღურობამ და მთრვალობამ არს, მუნ არს სიბნელე და წარწყმედამ დედათა და მამათამ და დღესასწაული ეშმაკთამ და შეგინებამ სულისამ და ჯორცთამ.

რამე სარგებელ არს, საყუარელნო ჩემნო, წუთ ეამ დღესასწაულობამ და სიხარული და მისსა შეძღგომად უკუნისამდე სატანჯველი? რამეთუ ესე ვერ შესაძლებელ არს კაცისა, ვითარმედ იხარებდა აქაცა და საუკუნესაცა. რამეთუ ყოველმან რომელმან განისუენოს სიხარულით აქა, მის ზედა აღესრულოს თქუმული იგი უფლისამ, ვითარმედ: „ვამ მათდა, რომელნი (294) იცინოდნიან აქა, რამეთუ იგინი მუნ იგლოვდენ და ტირილიან“¹⁾. ხოლო რომელნი სინანულით ევედრებოდნიან ღმერთსა და ტირილით, მათ ზედა აღესრულოს თქუმული იგი უფლისამ, ვითარმედ: „ნეტარ იყვნენ, რომელნი აქა იგლოვდენ, რამეთუ იგინი მუნ იხარებდენ“²⁾.

გულისხმა-ყვოთ, ძმანო, რამეთუ ყოველნი კიდენი ქვეყნისანი არად მერგნენ ჩუენ ეამსა მას. [ა] განვიზრახოთ, საყუარელნო, რამეთუ ეამსა მას ვერვინ შემძლებელ არს შეწევნად მოყუსისა თვისისა, ვერცა ძმამ იმისა და ვერცა მამამ შეილისა და ვერცა დედამ ასულისა, და არცა მეგობარი მეგობრისა, გინა შეილნი მშობელთა თვისთა, არამედ თითოეულსა ეკიდნენ საქმენი თვისნი, და დგეს და მოელოდის განბჭობასა მას ზედა გამოსრულსა, ვითარცა ვინ ღირს იყოს,—ანუ „მოვედით, კურთხეულნო“³⁾, გინა „წარვედით, დაწყეულნო“⁴⁾.

აწ უკუე, ზ საყუარელნო იმანო, ჯერ-არს ჩუენდა მარადის ამის დღისათვის გულისკმის-ყოფამ და რამეთუ ცხობრებასა ამას უბიწოებით ვიქცეოდით მართლითა სარწმუნოებითა, ვითარცა ვისწავეთ წმიდისაგან მოციქულისა, რომელმან თქუა: „განვიწმიდნეთ სულნი ჩუენნი ყოვლისაგან შეგინებისა სულისა და ჯორცთამსა“⁵⁾. განვაგდოთ ჩუენგან ყოველი საქმე ბნელისამ და წესნი წარმართთანი და სლვათა მათ(295)თაებრ არა ვიდოდით. და ოდეს ყვოთ წმიდათა საქსენებელი, მოვიქსენნეთ გლახაკნი, ობოლნი და ქურივნი, და უცხონი და მწუხარენი და განრლუეულნი, და რომელნი საპყრობილესა იყვნენ და რომელნი გარე უდაბნოთა და ქუაბთა და ნაპარალთა ქუეყანისათა შეყენებულ იყვნენ, [196] და პატივ-ქსცემდეთ დღესასწაულთა პატივითა სულიერიითა და არა ჯორციელითა, არა ვითარ-იგი მსოფლიონი პატივ-სცემენ, არამედ ვითარცა

1-2 მუნ ეშმაკნი არიედ B. 3 არს| არიან C. მშვდობამ C. 4 ფანდღურობამ| ფანდღუროთა განფრთხობამ C, ფანდღურითა განფრთხობამ B. 5 მუნ არს C. 8 მისა C: სატანჯველი| + სიმ-წარე B. 9 ვითარმედ| ვითარმცა C. 10 ~ აქა სიხარულით BC. 11 მათდა| მათ B. 15 რამეთუ— B. 16 გულისკმა-ყვოთ C. 18 თვისისა C. 19 არცა| ვერცა B. 20 თვისთა C: თუითუელსა C. 21 მის ზა CB. 23 ~ ზ საყუარელნო ძმანო აწ უკუე B: დღისათვის C. 25 წმიდისა მოციქულისაგან B. 26 რომელმან-იგი C, რომელ-იგი B. 28 წარმართანი C. 29 და უცხონი| უცხონი C. 30 და განრლუეულნი| განრლუეულნი C. 32 იყვნენ C; პატივ-სცემდით BC. 32-33 და არა ჯორციელითა| და ჯორციელითა A.

1) ლუკა 6, 25. 2) მდრ. მათე 5, 4. 3) მათე 25, 34. 4) მათე 25, 41. 5) II კორ. 7, 1.

რომელნი ამალლებულ არიან სოფლით, არა ვითარ წარმართნი, არამედ ვითარცა შუენის ქრისტიანეთა.

არა დავაგვრავნეთ უბნის კარნი ჩუენნი, არა მიუპყრნეთ სასმენელნი ჩუენნი ფანდურთა განცხრომასა და სტურისა ვმა-ტკვილობასა, არა შევიმო-სოთ სამოსელი ბრწყინვალე და არცა ოქროვთა შევიმკვნეთ თავნი ჩუენნი. არა მივისწრაფოთ სუმად და განცხრომად და არცა სიცილად და ლალობად, რაჟთა არა კერპთ-მსახურთა თანა შევირაცხნეთ, ვითარცა გუამცნო მოცი-ქულმან და თქუა: „ნუ იყოფით კერპთ მსახურ, ვითარცა იგინი, რომელნი იყვნეს პირველ თქუენას; და ვითარცა წერილ არს, ვითარმედ: დასხდა ერი იგი ჭამად და სუმად და აღდგეს სიმღერად“¹⁾. არამედ მიუტეოთ ესე ყოველი ჰურიათა და (296) წარმართთა, რომელთა არა აქუს სასოებაჲ ცხოვრებისაჲ.

ხოლო ჩვენ ყოველნი დიდნი და მცირენი, მამანი და დედანი პატივ-ცემდეთ დღესასწაულთა, ვითარცა ჯერ-არს ქრისტიანეთა. ფსალმუნითა და გალობითა და შესსმითა სულეირითა და ვმითა ანგელოზებრივითა,—[x] და არა მოვჭვინოთ იატაკსა საყოფელთა ჩუენთასა ვარდი და შროშანი და ყუავილნი სურნელნი, ვითარცა-იგი ჰურიათა და წარმართთა, არამედ ჯუარითა განმაცხოველებელითა შევიქურნეთ, და ვიტყოდით ყოველნი ერთობით პავლე მოციქულისა თანა: „ხოლო ჩუენდა ნუ იყოფინ სიქადულ, გარნა ჯუარითა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესითა“²⁾. და გამოვხატოთ ჯუარი პატიოსანი ბჭეთა ჩუენთა ზედა და დავიბეჭდოთ პირთა ჩუენთა და მკერდსა და ყოველთა ასოთა ჩუენთა. და შევიქურნეთ საჭურველითა ქრისტიანობისაჲთა — ჯუარითა უძლეველითა, რომელმან სძლო სიკუდილსა, რომელი არს სასოჲ მორწმუნეთაჲ და ნათელი სოფლისაჲ, რომელმან განალო სამოთხე და წარწყმიდნა მწყელებელნი, რომლითა განიდევნებიან ეშმაკნი. და შემწე არს მონაზონთაჲ და დამამტკიცებელ, სარწმუნოებისა მცველი და მაცხ(297)ოვარი ყოველთაჲ, რომელი არს სიქადული მორწმუნეთაჲ უკუნისამდე.

ესე ჯუარი, # ქრისტიანენო, ნუმცა განგეშორების, ნუცა დღისი და ნუცა ღამე, ნუცა ეამ ერთ და ნუცა წამ ერთ, და თუნიერ ჯუარისა ნუმცა რას იქმთ, არამედ დაწოლასა და აღდგომასა, საქმესა და ქამასა, და სუმასა და სლვასა, და მდინარისა წიაღსლვასა, [197] ზღუსა შესლვასა გინა უდაბნოს ყოფასა ყოლადვე გამოიხატეთ ჯუარი ყოველთა ასოთა თქუენთა და არარაჲ მანებელი მოგეახლოს, რაჟეთუ ძალთა წინააღმდგომთა ოდეს იხილონ ესე სასწაული, შიშით განგეშორენ თქუენგან.

1 არიედ B. 3 დავაგურგუინეთ C. 4 სტურისა C. 8 იყოფინ C. 9 იყუნეს C; და ვითარცა] ვა CB. 10 მიუტევეთ C. 13 პატივ-სცემდით B. 15 ანგელოზებრითა B. 16 იატაკთა C; საყოფელსა ჩუენთასა] სახლისა ჩუენისათა C. 17 ჯუარითა] + პატიოსნითა BC. 19 გარნა] + სიქადულ B; ა'z C. 20 გამოვიხატოთ B. 21 მკერდსა] + ჩ'ნსა C. 22 ასოთა ჩუენთა ზედა B. 25 განიდევნებიედ B; შემწე არს] შეეწევის B; მონაზონთა BC. 26 დამამტკიცებელი სარწმუნოებისა C. 28 განგეშორების B; და ნუ ღამით B. 29 ნუცალა წამ ერთ BC; თუნიერ C, ნუმცა რას] ნუ რას ნუ B. 30 და საქმესა B..31 და ზღუსა CB. 32 მიგეახლოს B, მოგებო C.

1) შდრ. I კორ. 10,7. 2) გალატ. 6, 14.

ესე ჯუარი განმწმედელი არს სოფლისაჲ, ესე განმდევნელი ბნელისაჲ და შომწოდებელი ნათლისაჲ. ესე განმაქარებელი არს საცთურისაჲ და დამამტკიცებელი სასოებისაჲ. ამან გჳჩუენა გზაჲ ზეცად აღსავალი, ამან შემოკრიბნა წარმართნი აღმოსავალით და დასავალით, ჩრდილოჲთ და ბლუარით, და შკვდრ-ყუნა იგინი ეკლესიასა შინა ერთსა ერთითა სარწმუნოებითა და ერთითა ნათლის-ლებითა და სიყუარულითა ერთითა. ესე არს ზღუდე მორწმუნეთაჲ დაურღუეველი. (298) ესე ყოველი და უფროჲსი ამისსა მოგუემადლა ჩუენ ჯუარიჲსა ნიერ ცხოველისა და პატიოსნისა.

ხოლო მომავალისა მისთჳს დღისა უკუანაჲსკენელისა განცზბრდების გონებაჲ და ცნობაჲ და სიტყუაჲ, და შეძრწუნდების ყოველი სასწენელი, ძმანო ჩემნო საყუარელნო. მოვიკსენე ჟამი იგი და ძწოლამან შემიპყრა მე, და მენება სიტყუაჲ დაცადებაჲ ფრიადლისა მისგან შიშისა, რაგამს-იგი გულისკმა-ყუაჲ, რომელი-იგი გამოჩინებად არს შემდგომად ჯუარისა გამოჩინებისა საუფლოჲსა. [ს] ვინ შემძლებელ არს ნითხრობად მას, რომელი პირი ანუ რომელი ენაჲ იტყოდის მისთჳს, ანუ რომელმან სასწენელმან ისმინოს მისი იგი, რომელსა ცანიცა ვერ შემძლებელ არიან თავს დებად. რამეთუ ეგევეითარი სასწაული დიდი და საშინელი არა ოდეს ყოფილ არს და არცა ყოფად არს. რამეთუ ოდესღა ვიხილით ელვაჲ და გუეჲსამი ქუხილი ძლიერი, შევძრწუნდით და დავცუვით პირთა თჳსათა ზედა ქუეყანად შიშისაგან; ვითარ უკუე თაჲს-ვიდვით, ოდეს-იგი გუესმას კმაჲ იგი საშინელი საყვირისაჲ ზეცით, რომელი კნობდეს და შიწით განაღძებდეს ყოველთა მკუდართა მართალთა და ცოდვილთა! მას ჟამსა გუამგები გამოვიდოდის საფლავ(299)თაგან და შებრზნდებოდინ ასონი ურთიერთას მოსწრაჲვებით. მაშინ ვიხილოთ ბუნებაჲ კაცთაჲ ყოველი, რამეთუ აღდგებოდის აღვილით თჳსით და შეკრბებოდის წინაშე მსაჯულისა ყოველთაჲსა. მაშინ უბრძანოს მეუფემან ქუეყანასა და შიშით გამოსცენს ყოველნი მკუდარნი, ეგრეთვე ზღუამან, და ყოველთა მგეტთა გინათუ თეგზთა, გინა მფრინველთა, რომელთა წარ-რადმე-ელოს ასოთაგანი კაცთაჲსა, წამსა შინა მოსცენ ყოველი და ერთიცა თმაჲ არა წარწყმდეს კაცთა ბუნებისაჲ. მაშინ ვიხილოთ მდინარე ცეცხლისაჲ აღმოსავალით მფოფინარე, ვითარცა ზღუაჲ [198] განვებუელი, რომელი შესჳამდეს მათთა და კეეთა და დასწუვიდეს ყოველსა ქუეყანასა და ყოველთა საქმეთა, რომელ-რაჲ არიან ზას შინა.

1 არს ბნელისაჲ B. 3 ~ გუიჩუენა ჩუენ ამან B, გუიჩუენა ჩწ C. 4 და ბლუარით) ბლუარით C. 5 მკუიდრ C. 7 ამისა C. 8 ცხოველისა C. 9 ~ უკუანაჲსკენელისა დღისა C; ვანცუიბრდა C. 12 სიტყუისა C. 14 მისთჳს C. 15 რომელსა ცანი B, რწლისა ცანი C. 18 დავცუვიით C, დავეცნიით B; პირსა ზედა თუიწსა C, პირსა ზედა თჳსთა B. 20 საყვირისაჲ C; გუესმეს B; იგი—B; ~ საყვირისაჲ ზეცით საშინელი B; რწ-იგი B; განაღვიძებდეს C. 22 შეიბრძნვოდინ B, შეიბრძუილოვოდინ C. 24 შეკრბებოდინ C; წწ + ლწსა C. 25 შიშით—B; გამოსცენს ყწ გუამი მკუდართაჲ B. 26 გინა C; ~ ყოველთა თეგზთა და მგეტთა B. 27 კაცისათაჲ B; შინა+ერთსა B. 28 ~ და არა წარწყმდეს ერთიცა თმაჲ B; ვიხილო+ჩწ B; მდინარე იგი B. 29 განძინებუელი C; შესჳამდეს C. 30 დასწუვიდეს A. 31 არიედ B.

მაშინ, საყუარელნო ჩემნო, გამოსადინელნი წყალთანი დასწყედენ და მდინარენი დაინთქენენ, და ზღუაჲ განჰმეს სიმჭურვალისა მისგან ცეცხლისა საშინელისა, და ჰაერნი შეიშალნენ და ვარსკულაენი დამოცკვენ, ვითარცა ფურცელნი ზეცით, და მზე დაბნელდეს და მთოარე სისხლად გარდაიქცეს, და ცანი, ვითარცა წიგნის ტყავი, წარიგრაგნენ, და ვხედვიდეთ ანგელოზთა, რამეთუ წარივლინებოდინან (300) ღმრთისა მიერ შეკრებად მყისსა შინა მონათა მათ სახიერთა და მნეთა სარწმუნოთა კილითგან ცისაჲთ კიდეზღე ქუეყანისა,

მაშინ ცანი განახლდენ და ქუეყანაჲ შეიცვალოს სამკჯდრებელად მართლთა. მაშინ საყდარი იგი საშინელი დაიდგას, რათა დაჯდეს მას ზედა უფალი ყოველთა საუკუნეთაჲ და ბევრეული და ურიცხვ სიმრავლე ანგელოზთაჲ დგეს მის წინაშე შიშით და ძწოლით, და გამოჩნდეს ნიში ძისა კაცისაჲ, პატიოსანი ჯუარი, განმაცხოველებელი, ზეცით და განანათლოს ყოველი ქუეყანაჲ უფროჲს მზის თუალისა.

მას ეამსა შიშით განიზრახვიდეს ყოველი, თუ ვითარ შეემთხვოს ქრისტესა, [ჟ] ანუ რაჲ სიტყუაჲ მიუგოს. უკუეთუ უწყოდის, ვითარმედ ცოდვილ არს იგი, დგეს იგი მწუხარე თავ-დადრეკილად და მოელოდის მსაჯულისა მიერ განჩინებულსა ბრძანებასა, გამოსრულსა მის ზედა. რამეთუ თითოეული ჰხედვიდეს საქმეთა თვსთა, რომელნი ექმნენ, მის წინაშე მდგომარეთა: გინათუ კეთილთა, გინა ბოროტთა. მაშინ რომელნი სრულ იყვნენ გზასა მას იწროსა და შესაჰირვებელსა და რომელთა შეენანოს ქეშმარიტითა სინანულითა და რომელნი გლახაკთ მოწყალე იყვნენ, იგინი აღდგენ სიხარულით, (301) და მხიარულებით მოელოდიან საღმრთოსა მას დიდებასა მკსნელისა და მაცხოვრისა ჩუენისა. იესუ ქრისტესა, რამეთუ მოსლგაჲ მისი სიხარულ ექმნას ყოველთა, რომელთა მოსწრაფებით ილუაწეს ლოცვითა, და სიხარულით შეიწყნარნეს უცხონი და გლახაკნი, და განაძლნეს ობოლნი, და ნუგეშინის-სცეს მწუხარეთა, და პატივ-სცეს დამდაბლებულთა ღმრთისათვს, რომელთა მოიფუღეს სოფელი ესე და ყოველი რაჲ არს მას შინა, და მას ხოლო შეუდგეს.

მაშინ აღესრულოს წინაწარმეტყუელებაჲ იგი დანიელისი, რომელი თქუა, ვითარმედ: „მე დანიელ ვხედვედ, და აჰა საყდარნი დაიდგნეს და ძუელი იგი დღეთაჲ დაჯდა, სამოსელი მისი [199] სპეტაკ იყო, ვითარცა თოვლი, და თმაჲ თავისა მისისაჲ—ვითარცა მატყელი წმიდაჲ, საყდარი მისი—ვითარცა აღი ცეცხლისაჲ, და ურმის-თუალნი მისნი ცეცხლებრ მოტყინარე. მდინარე ცუ-

1 დასწყედენ] დაშრტენ C. 2 დაინთქენ C. 3 და ჰაერნი] ჰაერნი B; გარდამოცკვენ B, დამოცკვივენ C. 4 მთოვარი BC. 5 ტყავნი BC; წარიგრაგნენ B. 6 წარივლინებოდინენ B; მყისა C, მყის B. 9 ~ და ქუეყანაჲ განახლდენ B; და შეიცვალნენ B; სამკუიდრებელად C. 11 ~ უფალი მას ზა B; ურიცხვი C; ~ ანგელოზთა სიმრავლე BC. 12 ძწოლით BC. 13 განმაცხოველებელი C; და განმაცხოველებელი B. 15 შეემთხვიოს C. 17 და თავდადრეკილად B. 18 თუითეული C. 19 ხედვიდეს BC; ექმნენ BC. 19-20 გინა თუ კეთილი, გინა თუ ბოროტი C. 20 იყუნენ C. 22 გლახაკთა მოწყალე B; იყუნეს C, იყვნეს B. 23 სამღვრთოსა C. 24 აჯ C; იქმნეს B, ექმნეს C. 27 ღმრთისათვის C. 29 რ-ი-იგი B. 30 ვითარმედ] — B; დაეღუნეს B. 31 ჯდა B; სამოსელი C. 32 და საყდარი C. 33 მოტყინარენი BC.

ჯცხლისად დიოდა წინაშე მისსა და ათასნი ათასთანი დგეს გარემოჲს მისსა და ბევრნი ბევრთანი ჰმსახურებდეს მას. საშჯელი დაეგო და წიგნნი განებუნეს¹⁾.

დიდი შიში არს, ძმანო ჩემნო, ჟამსა მას, ოდეს-იგი წიგნი მატინისაჲ განელოს, რომელსა შინა წერილ არიან ყოველნი საქმენი ჩუენნი და სიტყუანი და გულის (მომ)სიტყუანი, რომელნი ამას სოფელსა გკქმნიან, და ვგჯონებდით, ვითარმედ ღმერთსა დაჰვიწყებინ იგი[ნი]. ვაჲ ჩუენდა, ძმანო ჩემნო, რავდენი ტირილი გვლირს ჟამისა მისთჳს, და ჩუენ უდებ-გაკყოფიეს, რამეთუ ტირილითა და მოწყალებითა შემძლებელ ვართ აჯოცად შეცოდებათა ჩუენთა, რომელნი წიგნსა მას მატინისასა დაწერილ არიან.

ძმანო ჩემნო, რაჲლა საზარელ არს შიში იგი ჟამისაჲ მის და ტირილი და სულ-თქუმაჲ, ოდეს-იგი ვიხილოთ სასუფეველი ღმრთისაჲ. ერთ კერძო განმზადებული და სატანჯველნი იგი ფერად-ფერადნი ერთ კერძო. და სიმრავლე ძეთა კაცთაჲ ზარ-განძილნი შორის მათსა ადამისითგან და ვიდრე მისა, რომელი უკუანაჲსკნელ ხოლო იშვა. ყოველნი შიშუენი და ქედ-დადრეკილი დგენ. მაშინ გამოწულილვით გამოიძიოს ნიში იგი ქრისტიანობისაჲ [ვ], რომელი მიილო თითოეულმან ჩუენმან დღესა ნათლის-ღებისასა და ითხოოს ჩუენგან უბიწოდ სარწმუნოებაჲ და აღნათქუემი იგი, რომელი აღუთქუთ და ვთქუთ: ვიჯმნით შენგან, ეშმაკო, და ყოველთა საქმეთა შენთაგან.

ესე მთხოოს ჩუენ ჟამსა მას საშინელსა. ნეტარ არს კაცისა (მომ) მის, რომელმან უბიწოდ დაიცვა აღთქუმული იგი, რომელი თქუა: ვიჯმნი მე ყოველთაგან საქმეთა ეშმაკისათა, რომელ არიან ესე: სიძვაჲ და მრუშებაჲ, კაცისკლვაჲ და პარვაჲ, შური და ტყუილი, გრძნებაჲ და შესმენაჲ, შფოთი და იჯრის ჭსენებაჲ, მტერობაჲ და ცილობაჲ, მთრეალობაჲ და ცუდის მეტყუელებაჲ, ამპარტავანებაჲ და უდებებაჲ, სიცილი და ლალობაჲ, მონაგებთა სიყუარული და სიძულილი. ესე ყოველი და მსგავსი ამისი აღუთქუეს ქრისტიანეთა ჟამსა ნათლის-ღებისასა წინაშე მრავალთა მოწაფეთა, რაჲამს-იგი თქუს, ვითარმედ: ვიჯმნი მე ყოველთაგან საქმეთა ეშმაკისათა. ამისსა შემდგომად განარჩინეს მათაჲლმან მართალნი ცოდვილთაგან, — ვითარცა მწყემსმან რაჲ განარჩინის კრავნი თიკანთაგან. — და დაადგინეს მართალნი მარჯუენით მისა და ცოდვილნი მარცხენით მისა. მაშინ ჰრქუეს მართალთა ზათ: „მოვედით, კურთხეულნო მამისა ჩემისანო, და დაიმკვდრეთ სასუფეველი აღთქუმული თქუენტჳს

1 მისა C; 2 მსახურებდეს C. 4 წიგნი] + იგი C. 5 და სიტყუანი] სიტყუანი C; არიედ B. 6 გუიქმნიან C. 7 იგი] იგინი BC. 8 გუილის C; მისთჳს C; გუიყოფიეს C. 9 შეცოდებათა] ცოდვითა BC. 10 მატინეთასა C; წერილ არიედ B. 11 რაჲლა] რაჲ C. 13 ფერად-ფერადნი] მრავალ-ფერნი CB; ~ და მრავალ-ფერნი იგი სატანჯველნი B. 14 კაცთაჲ] + ძრწოლით მდგომარე BC. 15 ვე BC] ვითარ A. 16 გამოიძიოს C. 17 თუთიუელმან C; დღესა] + მას C; ითხოვოს C. 18 აღუთქუით C. 19 ვითარმედ ვიჯმნი C, ვ'დ ვიჯმნით B. 20 მთხოვოს BC; კაცისა B. 21 დაიცვას C; აღთქუმაჲ B. 23 და პარვაჲ] პარვაჲ C, — B; ტყუილი C; შესმენა C. 24 ძირის ჭსენებაჲ C. 25 ამპარტავანობაჲ C; უდებაჲ C; და ლალობაჲ] ლალობაჲ C. 27 თქუეს BC. 28 მე ყოველთაგან... ეშმაკისათა] შენგან, და ყოველთა საქმეთა შენთაგან B; ამისა CB. 30 დაადგინის C. 32 დაიმკვდრეთ C; თქუენტჳს C.

1) შდრ. დანიელ 7, 9-11.

პირველ სოფლის დაბადებისა“¹⁾. [200] და კუალად მარცხენითა მათ ჰრქჳას= „წარვედით ჩემგან, დაწყე(304)ულნო, ცეცხლსა მას საუკუნესა, აღთქუმულსა ენნაკისათჳს და ანგელოზთა მისთა“²⁾. მაშინ წარვიდენ ღართალნი სიხარულსა საუკუნესა და ცოდვილნი სატანჯველსა მას დაუსრულებელსა.

ნეტარ იყვენ, რომელთა ილუაწეს მოსწრაფებით. ნეტარ იყვენ, რომელთა აღასრულონ ნებაჲ იგი ქრისტეს ღმრთისა ჩუენისაჲ. ნეტარ იყვენ, რომელნი მღჳძარე იყვენ ლოცვასა შინა. ნეტარ იყუნენ, რომელნი იყვენ ვაჰარკეთილ სულთა მათთა ცხორებისათჳს. ნეტარ იყვენ, რომელნი დაუცხრომელად ჰრეკდენ კარსა მას ქრისტესსა. ნეტარ არს კაცისა მის, რომელი მარადის ზრუნავს სულისა თჳსისათჳს და არა სხჳსა რაჲსათჳსმე. ნეტარ არს, რომელმან განაჰარენეს ცოდვიანი თჳსნი სინანულითა, ვიდრე ეამი აქუს-ლანეტარ. არს, რომელმან იყიდოს ზეთი იგი მოწყალებისაჲ პირველ მოფარდულთა წარსლვადმდე. ნეტარ არს მონისაჲ მის, რომლისა რაჲამს მოვიდეს უფალი და პოოს იგი მოქმედად ბრძანებასა მისსა გულს-მოდგინედ. ნეტარ ვიყუნეთ ჩუენ, ძმანო, უკუეთუ არა მოვიწყინოთ რეკაჲ კარსა მას ქრისტესსა. (305) რამეთუ უეკუელად განგჯლოს ჩუენ, რამეთუ არა ტყუეის, რომელი-იგი-თქუა, ვითარმედ: „ირეკდით და განგჯლოს თქუენ, ითხოვდით და მოგცეს, ვიიებდით და ჰპოოთ“³⁾.

აწ უკუე ვევედრებოდით მას სინანულით და ვჰრქუათ: ჰ დამბადებელო. ჩუენო, ნუ წარმწყმედ ჩუენ, რამეთუ მან მხოლომან თქუა: მოიკეციოთ ჩემდა და მე მოვიტეე თქუენდა. და კუალად: „რომელი მოვიდეს ჩემდა, არა განვაძო ვარე“⁴⁾. რამეთუ იგი არა ღმერთი დამბადებელი ჩუენი და მისი არს სუფევაჲ და პატივი, და მისა ჰშუენის დაღებაჲ და მადლობაჲ, აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამენ.

25

თჳფოშლი წვილისა მჳრამისი

სინანულისათჳს, ჯუარისათჳს და პარასკევისა და კჳრიაჰისათჳს

საყუარელნო, რომელთა გნებაჲს მონებად უფლისა, მოიგეთ შიში ღმრთისაჲ ყოველთა დღეთა ცხორებისა თქუენისათა, რამეთუ შიში ღმრთისაჲ, ვითარცა მახელი არს ორპირი, და მით მოიკუეთების ყოველი ნებაჲ ბოროტო და უშუერი. ამისთჳს გჯიღის, რაჲთა მოვიგოთ ყოველთა შიში ღმრთისაჲ მარადის და ქსენებაჲ დღისა მის აღდგომისა და საშუელისაჲ, ოდეს-იგი ცანი-

1 ~ ჰრქუას მარცხენითა მათ CB. 2 აღთქმულსა CB. 5 იყუნენ C. 7 მღჳძარე იყუნენ C. 7 იყუნე ვაჰარ C. 8 ცხორებისათჳს C; იყუნენ C. 10 თჳსისათჳს C; სხუისა C. 13 წარსლვადმდე C; არს იყოს B; მონისა C; რომლისაჲ C] — B. 14 პოვოს C; ო'ი + იგი B; მისა BC. 16 განგვიდოს C; ტყუის C. 18 ჰპოოთ CB. 21-22 განვაგდო C] განვაძო AB. 23 შუენის B; მისა ჰშუენის] მისი არს სუფევაჲ, ძალი და B; და მადლობაჲ] მამისა და ძისა. და წმიდისა სულისა B. 25 წ'ისა ეფრემისი] მისივე C. 26 სინანულისათჳს C; ჯ'რისა B; ჯუარისათჳს]—B; პარასკევისათჳს B; კურიაკისა C] + თ'ვი კ'გ A, ე' B, თ'ვი კ' C. 27 მოიგენ B. 28 თ'ქნისათა] თჳსისათა B. 29 მახული C. 30 ამისთჳს გვიღირს C. 31 სასჯელისა C] სა-შინელისაჲ B.

1) მათე 25, 34. 2) მათე 25, 41. 3) მათე 7, 7. 4) იოვანე 6, 27.

და ქუეყანაჲ წარქდენ და ვარსკულაზნი დამოცვენ, ვითარცა ფურცელნი ხეთაგან. ოდეს-იგი გარდამოქდეს ძე ღმრთისაჲ (306) ქუეყანად და ძალნი ცათანი შეიძრნენ, და ანგელოზთა გუნდნი სცემდენ ნესტუსა ჳმითა საშინელითა, და შეძრწუნდეს ყოველი ქუეყანაჲ, რომელ არს ცასა ქუეშე, და უჯორ-ცოთა კრებულნი ძქ[201]ოლიან გულ-გდებულნი და ზარ-განჭლილნი.

მაშინ, ძმანო ჩემნო, ვითარ-მე შიში და ზარი დამეცეს ჩუენ ზედა, ანუ ვითარითა ტირილითა ვსტიროდით თავთა ჩუენთა? ანუ რაჲმე ვყოთ, ოდეს ვიხილოთ უფალი ზეცით ქუეყანად გარდამომავალი რისხვითა და გულის წყრო-მითა მრავლითა, დაჯდომად საყდართა სასჯელისათა და განკითხვად [ყოვლისა ერისა] და მიგებად კაცად-კაცადსა საქმეთაებრ? ვითარ-მე იყოს ეამსა მას საქმე ჩუენი, სადა იყოს ამპარტავანებაჲ, სადა ზუაობაჲ და სიქადული, სადა ძლი-ერთა კადნიერებაჲ, სადა მდიდართა სიხარული, სადა ხატთა შუენიერებაჲ, სადა ჳმათა სიტკბობებაჲ. სადა იყოს სიცილი და მხიარულებაჲ, სადა იყუნენ, მაშინ, რომელნი აქა სიცილით და განცხრომით სუმიდეს ღვოსა; სადა იყუნენ რომელნი ურიდად იქმოდეს ცოდვასა და არა მოიგსენებდეს შიშსა ღმრთი-სასა, სადა დაიფარნენ მუნ. სადა იყვნენ, რომელნი მოსწრაფედ ილუწიდეს (307) და შეიკრებდეს თავთა თვისთათჳს მონაგებთა მრავალთა. სადა იყვნენ, რომელნი იტყოდეს, ვითარმედ: მდიდარ ვართ. სადა იყვნენ მეფენი და ბრძენნი ამის სოფლისანი. გულისჳმა-ვყოთ, ძმანო ჩემნო, თუ ვითარ ყოფად ვართ მას ეამსა, [x] ოდეს-იგი საშუელსა მიგუქდიდეს უფალი ყოველთა საქმეთა ჩუენ-თათჳს ამაოთა, რომელნი ვქმნენით სოფელსა ამას, და ყოვლისა სიტყჳსა-თჳსცა ცუდისა, რომელი პირით ჩუენით გამოვიდა. ოდეს-იგი განარჩევდეს მსაჯული ცოდვილთა მართალთაგან და დაადგინეს მართალნი მარჯუენით მისა და ცოდვილნი მარცხენით მისა, და იყვნენ მართალნი წმიდათა თანა მოწა-მეთა წინაწარმეტყუელთა თანა და მოწამეთა და მამად მთავართა აბრაჳამ, ისაკ და იაკობის თანა სიხარულსა შინა და მხიარულებასა მიუწოდომელსა. რამეთუ ჰრქუას მათ უფალმან: „მოვედით, კურთხეულნო მამისა ჩემისანო, და დაიმ-კვდრეთ სასუფეველი ცათაჲ, რომელი განმზადებულ არს თქუენთჳს პირველ სოფლისა დაბადებისა საქმეთა თქუენთათჳს კეთილთა“ 1).

მაშინ მოიხუნენ კეთილნი იგი, რომლისათჳსცა ილუწიდეს სოფელსა ამას და ჰხედვიდენ ყოველსა ეამსა პირსა ღმრთისასა. და მე გაუწყო, ვითარ იყოს სიხარული ღლისა მის (308) ნათლისაჲ. რამეთუ ღლესა მას არღარა იყოს

1 დამოცუივენ C. 5 ძრწ[წოლიან C. 6 ვითარი-მე C. 9 საშუელისათა C. 14 რომელნი-იგი BC; აქა]+განცხრებოდეს B; და განცხრომით)—B; სიცილით და განცხრომით) განცხრო-მით და სიმღერით C; სუმიდის C; ღუნოსა C; იყუნენ C. 16 დაეფარნენ B, დაეფარნენ C; იყუნენ C; იყვნენ]+ მაშინ B. 17 შეიკრებდენ C; თუისთათჳს C; იყუნენ C. 19 ჩემნო] — CB; მორწმუნენო ძმანო B; ~ ეამსა მას BC. 20 სასჯელსა C; ~ ამაოთა საქმეთა ჩუენთათჳს BC. 21-22 სიტყუისათუისცა C; გამოვალს B. 24 მარცხენით მისა] მარცხენით C; და იყვნენ] იყვნენ B; იყუნენ C. 25 მოწამეთა თანა C; თანა და მოწამეთა] — C; და მოწამეთა]—B; მამამთავართა C; ასაკ C. 26 იაკობის C; თანა]+ მოსეს, ნოს (და ნოვეს B) და აბოის (იობის B) თანა BC. 27 დადამუიდრეთ C. 28 თქუენთუის C. 30 რომლისათუისცა C. 31 ხედვიდენ C. 32 ყოს C.

1) მათე 25, 34.

არცა დღე და არცა ღამე, და არცა მზე და არცა მთოარე და არცა ვარსკუ-
ლაენი, რამეთუ ესრეთ ქადაგა წინაწარმეტყუელმან ესაია და თქუა, ვითარ-
მედ: დღესა მას უკუანადსკენელსა იყოს ღმერთი ნათელ თქუენდა, იგი იყოს სი-
ხარულ თქუენდა, რომელთა გეშინოდა მისა [201a] და დაიცვენით მცნებანი
მისნი და გენება ხილვად მისი.

ძმანო ჩემნო, რომლითამე სინანულითა ინანდენ ურგებად ცოდვილნი
ჟამა მას, ოდეს-იგი განისხნენ რისხვით საყდრისაგან ქრისტესისა და დიდე-
ბისა მისისა. რომელი-მე მწუხარებად და სირცხული დაეცეს მათ ზედა, ოდეს-
იგი წარდგენ წინაშე მსაჯულისა თუალ-უხუავისა და არა აქუნდეს მათ მიზეზი
სიტყუას გებისად, რომელმან-მე ძწოლამან შეიპყრნეს, ოდეს-იგი დგენ მარცხე-
ნით ქრისტესა. და რისხვით ეტყოდის მათ და გულის წყრომით შეაძრწუნნეს
იგინი შიშით. და ზარ-განძლილნი და სირცხულეულნი და გულ-გდებულნი მიე-
ცემოდინან ბნელსა მას გარესკენელსა დამკვდრებად. რამეთუ ჰრქუას მათ უფალ-
მან რისხვით: განმეშორენით მე, უკეთურნო, და წარვედით ცეცხლსა მას საუ-
კუნესა, რომელი განმზადებულ არს ეშმაკისათუს და მსახურთა მისთათუს¹⁾. მა-
შინლა სირცხულეულნი და კდემულნი ეტყოდინან (ჰმჰ) თავთა თუსთა: ვად ჩუენდა
და საქმეთა ჩუენთა ბოროტთა; ვად ჩუენდა და რომელი განმზადებულ არს
ჩუენდა; ვად ჩუენდა, რომელი-ესე შემემთხვა სამართლად.

მაშინ შევიდენ იგინი სატანჯველსა მას საუკუნესა და იტანჯებოდინან.
ვად ჩუენდა და რად-ლა მწარე არს ბნელი იგი და წყუდიადი! ვად ჩუენდა,
რად-ლა მტკივან არს ალი ესე მოტყინარე და რად-მე უკუე ვყოთ ანგელოზთა
მათგან მრისხანეთა, რომელნი დაღ[ვ]გინებულ არიან სატანჯველთა ჩუენთა
ზედა უწყალონი და მრისხანენი. ვად ჩუენდა, ვითარლა მივეცენით ცეცხლსა
მას საშინელსა და შემწუელსა, რომელსა არა აქუს ნათელი. მაშინ ღალადებ-
დენ გნითა მალლითა და არავინ იყოს მწყალობელ მათდა და არცა მეოხ მათ-
და. მაშინ იტყოდინან: ვად ჩუენდა, ვითარლა უდებ ვყავთ საქმე ღმრთისად და
სათნობად მისი და მივსცენით თავნი ჩუენნი ცოდვასა საქმედ, ვითარცა პი-
რუტყუთა, და არა მოვიქეცით სინანულად, რადთამცა შეგვწყაულნა ჩუენ
ღმერთმან.

წიგნთა ვიკითხევდით და ძალსა მისსა უვარ-ვწყოფდით და უდებად თანა
წარპვიდოდით, და ვითარ არავინ იპოოს მათთუს. მწე კირსა მას შინა მათსა.
მაშინ იტყოდინან: საშჯელი ღმრთისად მართალ არს და მშჯავრი მისი სამარ-

1 არცაღა მზე CB; მთუვარე C, მთოვარე C. 2 ~ ესადა წწყლმწ CB; ვრ C. 3 აყოს C.
4 დაეცენით C 5 მისი) + მს B. 8 სირცხული C. 9 მსაჯულისა) + მის CB. 10 სიტყუის-გე-
ბისად C; ძწოლამან CB. 11 ეტყოდის B. 12 შიშით) + და სირცხულიეულნი CB; და სირცხ-
ლეულნი]—BC. 13 დამკუიდრებად C. 15 ეშმაკისათუს C; მისთათუს] მისთა C. 15-16 მაშინ B.
16 სირცხულიეულნი B; თუსთა C. 17 ბუროტთა C. 18 ჩუენდა) ჩუენთუს B; რ-ესე] რად-ესე BC;
შემემთხუია C] + ჩუენ BC. 19 საუკუნესა და იტანჯებოდინან] მწარესა და იტყოდინან BC. 20 იგი
ესე და B. 21 მტკივნე C; და რადმე] რადამე B. 22 არიედ B. 24 საშინელსა] საუკუნესა C;
შემწუელსა C. 25 მალლითა) + სიმწარით BC; მათდა) მათა B; არცა] არცა ვინ CB; მათდა)
მათთუს BC. 30 მისსა] მათსა C; უარ-ვწყოფდით C. 31 წარვპვიდოდით C; იპოოს BC. 32 მა-
შინლა B] + ვად ჩნდა რ B; სასჯელი C; არს]—B; მსჯავრი C.

¹⁾ მათუ 25, 41.

თალ [არს]. (310) ვაჲ ჩუენდა, ვითარლა მოგუეგო ცოდვითა ჩუენითა ურიცხვ სატანჯველი და არა მაქუს ჩუენ კადნიერებაჲ ახილვად ღმრთისა მიმართ. და კუალად იტყოდინან: უფალო, შეგვწყალენ ჩუენ, რამეთუ შენ მხოლოჲ მოწყალე ხარ და შენნდობელ და ძკრ-უქსენებელ. მოავლინე ჩუენ ზედა წყალობაჲ და მილხინე ჩუენ; და არა ისძინოს მათი.

აწ უკუე, ძმანო ჩემნო, მოვიქცეთ სინანულად, რაჲთა არა უკუნისამდე ურგებად ვინანდეთ უკუანაძსკნელ [202], რამეთუ ადამცა შეინანა ურჩებაჲ იგი და ჭამაჲ იგი ხისა მისგან, უკუანაძსკნელ არა სარგებელ ეყო, რამეთუ ოდეს-იგი ჭამა მისგანი, განწიშულდა, განიძო იგი სამოთხით ღმრთისაჲთ, და მიეფარა მისგან ვარსკულაჲ იგი მნათობი, რომელი ჰნათობდა მას და დაშთა იგი შიშუელი სირცხულეულად. ამისთვს, ძმანო, დავიცენეთ მცნებანი ღმრთისანი, რაჲთა არა განვისხნეთ სუფევისაგან და წყალობისა მისისა, რამეთუ ადამისი დაცემაჲ დღესა პარასკევსა იქმნა.

აწ უკუე ისმინეთ ესე, რომელი მომიგო ჩუენ დღემან პარასკევმან, და ეკრძალენით ურჩებასა ღმრთისასა და არა გეყოს ღმრთისაგან, რაჲ-იგი ეყო ადამს მამასა ჩუენსა, რამეთუ რაჲმას ღმერთსა ურჩ ვექმნნეთ, ეშმაკისა და-მონებულ ვართ და მის თანავე დავისაჯნეთ. დღესა პარასკევსა მეუფლა ჩუენ ეშმაკი და (311) დღესა პარასკევსა განიბჰო ჩუენ ზედა დაშჯად სიკუდილითა. და დღესა პარასკევსა მივეცენით ჩუენ ჯრწნილებასა და მოგუელო ჩუენ უჯრწნელებაჲ. და დღესა პარასკევსა უბადრუკ ვიქმნნით. დღესა პარასკევსა გან-ეპედით და განვეშორენით ხისა მისგან ცხორებისა. დღესა პარასკევსა ვიხილეთ გემოჲ სიკუდილისაჲ, სხაზეანი. დღესა პარასკევსა განძარცუეულ იქმნა [ჟ] მამაჲ ჩუენი ადამ და გამოჩნდა შიშულად სირცხული მისი. დღესა პარასკევსა მხიარულ იქმნა ეშმაკი და ყოველი გუნდი მისი. და დღესა პარასკევსა ვსუთ სასუმელი სიკუდილისაჲ. დღესა პარასკევსა გუესმა ჩუენ ჭმაჲ იგი, რომელი ითქუა, ვითარმედ: მიწაჲ ხარ და მიწადცა მიხვდე. დღესა პარასკევსა შეჰმოსა უფალმან ადამს სამოსელი იგი ჯრწნილებისაჲ და განრყუნადი. და დღესა პარასკევსა გამოჯადა მამაჲ ჩუენი ადამ და უცხო იქმნა იგი სამოთხისა მისგან საშუებლისა. დღესა პარასკევსა გუესმა ჭმაჲ, რომელი ითქუა: განმე-შორე ადამ ჩემგან, რამეთუ მე განგეშორები შენგან. და დღესა პარასკევსა იპოა მამაჲ ჩუენი ადამ განგდებულ გარეშე სამოთხესა მას საშუებლისასა. დღესა პარასკევსა ესმა (312) ადამს ჭმაჲ, რომელი ეტყოდა: ვითარ იყავ ადამ აქამომდე და ვითარ იქმენ აწ ოდენ. ამისთვსცა დღესა პარასკევსა ჯუარს-ეტუა უფალი ჩუენი იესუ ქრისტე ჯორცითა, რაჲთა ყოველი იგი უშუერი

1 ცოდვთა ჩნთა B; ურიცხვი C. 2 აღხილვად C. 3 შეგვიწყალენ C. 4 ძვირ-უქსენებელ C. 5 ასმინოს C. 6 ~ ძმანო ჩემნო აწ უკუე B; მოიქციეთ B. 8 ჭამაჲ იგი| ჭამაჲ BC; არა| და არა CB. 11 სირცხულიეულად C; ამისთვის C, 15 გეყოს| + თქნ BC. 16 ექმნეთ B| ექმნა C; ეშმაკისადა B, ეშმაკსა C. 17 და დღეს| დღესა C; 18 დასჯად C. 19 ხრწნილებასა BC; უხრწნელებაჲ BC. 22 სხამიანი B| მშხამიანი C; განძარცულ BC. 23 სიშიშულად C, შიშუე-ლად B; სირცხული C. 25 ჩუენ|ქ. 26 მიხვიდე C. 27 ხრწნილებისა BC. 27-28 და დღეს| დღესა C; გამოჯადა C. 29 საშუებლისა B; ჭმაჲ|+იგი B; რომელმან იქუა C; თქუა B. 30 და დღეს| დღესა C. 31 აძოვა C, იძოვა B; საშუებლისასა B. 33 ამისთვისცა B. 34 აჯ C.

შეცვალოს შეუნიერებად კაცთ მოყუარებითა თვისითა და სახიერებითა. ხოლო დღე კვრიაკე მეუფე არს დღეთაჲ და უფალი მათი, რამეთუ მას შინა დაჰბადა ღმერთნან ცაჲ და ქუეყან]აჲ და ნათელი სოფლისაჲ. დღესა კვრიაკესა აღიყვანა ღმერთნან კაცი მეუფე და საყდრის მოდგამ ყო იგი მის თანა.

- დღესა კვრიაკესა კაცი ღმერთ იქმნა, [203] დღესა კვრიაკესა კაცი იქმნაჲ ღმერთისა არა თუ გორციელად სისხლითა და არცა ნებითა კაცთაჲთა, არამედ ღმერთისაგან იშვა. დღესა კვრიაკესა გჳამეთ ხისა მისგან ცხორებისა, რომლისაგან განყენებულ იყო მამაჲ ჩუენი ადამ. დღესა კვრიაკესა დავემკვდრენით ჩუენ სამოთხესა, რომელი თუალმან არა იხილა და ყურსა არა ესმა და გულსა კაცისასა არა მოჲდა¹⁾. დღესა კვრიაკესა გამოვიყვანენით ჯოჯოხეთით, რომლისაგან ვერარაჲ გამოგჳსნიდა თვნიერ ღმერთისა. დღესა კვრიაკესა ვპოვეთ წყალობაჲ იესუ ქრისტეს მიერ უფლისა ჩუენისა და მაცხოვრისა ძალითა (მ13) მისითა წმიდითა. დღესა კვრიაკესა ვიხილეთ ღმერთი განჯორციელებული ცხადად და ქეშმარიტად შეერთებული ძეთა კაცთა თანა.
- 15 დღესა კვრიაკესა განვძლიერდით ქრისტეს მიერ, ძისა ღმერთისა, და შევიცვალენით ვრწინილი უვრწინელად. დღესა კვრიაკესა მოვიგეთ ტაბლაჲ იგი უბიწოჲ, რომელსა ზედა ჰგვის პური იგი ცხორებისაჲ, რომლისა მიერ განცხოველდებიან ყოველნი, რომელთა მიიღონ სარწმუნოებით. დღესა კვრიაკესა შეიერთა განყოფილებაჲ ცისა და ქუეყანისაჲ და ყო მათ შინა ცხორებაჲ განცხადებულად. დღესა კვრიაკესა შეიძრნეს საფუძ[ს]ველნი ქუეყანისანი და შეიმუსრნეს ბჳენი ჯოჯოხეთისანი და მოქლონნი მისნი წინაშე პირსა მამისა ჩუენისა ადამისა.

დღესა კვრიაკესა გარდამოჲდა სული წმიდაჲ მოწაფეთა ზედა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესთა ენითა ცეცხლისაჲთა და დაემკვდრა მათ თანა.

- 25 დღესა კვრიაკესა დაიკლა ზატიკად ჩუენდა კრავი იგი ღმერთისაჲ უბიწოჲ მოსატევებელად ცოდეთა ჩუენთა. დღე კვრიაკე დღე ღმერთისაჲ არს, რომელსა შინა მომავალ არს ქრისტე მჯდომარე ღრუბელთა ზედა ცისათა და ბჳეთა ზედა ანგელოზთასა (მ14) და ნიში მისი წინაშე მისსა, რომელ არს ჯუარო პატიოსანი.

- 30 რამეთუ ჯუარი საცოჲ არს ქრისტეანეთაჲ. ჯუარი აღდგომაჲ არს მკუდართაჲ. ჯუარი სინათლე არს მწუხარეთაჲ. ჯუარი ნუგეშინის-მცემელი და განმძლიერებელი არს უძლურთაჲ. ჯუარი წინამძღუარი არს შეცთომილთაჲ. ჯუარი ნუგეშინის-მცემელი არს დაერდომილთაჲ. ჯუარი უძლურთა შეძლებაჲ არს. ჯუარი გვრგვნი არს გლახაკთაჲ. ჯუარი სინანული არს ბრაღეულთაჲ. ჯუარი საძლეველი არს ეშმაკთაჲ. ჯუარი მოძულეთა მშჳდობაჲ:

1 თუისითა C. 2 კუირიაკე C; მეუფე A, მეუფე CB. 6 კაცისაჲთა C. 8 ~ ადამ მამა ჩნი B; კუირიაკესა B; დავემკუიდრენით C. 9 ახილა C. 10 არაჲ მოუჲდა C, არა მოუჲდა B; კუირიაკესა C; გამოვიყვანენით] + ჩნ CB. 11 ვერაჲ გამოგჳივსნიდა CB; კუირიაკესა C; აჯ C. 12 მაცხოვრისა] + ჩნისა B. 15 დღესა] და დღესა C. 16 ხრწინილი უხრწინელად B, ხრწინილი, უხრწინელება C; კუირიაკესა C. 17 იგი] — CB; განცხოველდებიან C. 19 შეიერთა C; ყო; იქმნა B. 24 აჯ C; დავემკუიდრა C. 25 დაჲკლა C; ღმერთისაჲ] — C. 26 კუირიაკე C. 28 მისა BC. 30 აჯ C. 34 შეძლება] ძლიერება C. 35 მშუიდობა B.

1) შდრ. I კორინთ. 2, 9.

არს. ჯუარი მასწავლელი არს ქაბუკთაჲ. ჯუარი ნუყიერებაჲ არს მშიერთაჲ. ჯუარი დამამჯობელ არს ამპარტაგანთაჲ. ჯუარი დამშჯელი არს მძღაერთაჲ. და მკსნელი მიმძღაერებულთაჲ.

[204] ჯუარი მცველი არს მეგობართაჲ. ჯუარი ნუგეშინის-მცემელი არს მგლოვართაჲ. ჯუარი სასოებაჲ არს განწირულთაჲ. ჯუარი განმგებელი არს ზღუასა შინა მავალთაჲ. ჯუარი ნავთ საყუდელი არს დანთქმულთაჲ. ჯუარი ზღუდე არს მბრძოლთაჲ. ჯუარი ნამაჲ არს ობოლთაჲ და მსაჯული ქურბითაჲ. ჯუარი მცველი არს ქორწინებულთაჲ. ჯუარი კეთილი მოძღუა(მ15)რი არს უსწავლელთაჲ. ჯუარი თავი არს მამათაჲ. ჯუარი მცველი არს დედათაჲ განსაცდელთაგან. ჯუარი მაცხოვარი არს ქაბუკთაჲ. ჯუარი პატივი და შუენიერებაჲ არს მოხუცებულთაჲ. ჯუარი მცველი და მფარველი არს ქალწულთაჲ.

ჯუარი სინათლე არს ბნელსა შინა მსხდომართაჲ. ჯუარი კუერთხი არს მკელობელთაჲ. ჯუარი ზარი და შუენიერებაჲ არს მეფეთაჲ. ჯუარი ძლიერებაჲ არს მთავართაჲ. ჯუარი სიბრძნე არს ღმრთის მოშიშებისაჲ. ჯუარი სწავლაჲ არს ნართალთაჲ. ჯუარი მოძღუარი არს სახიერთაჲ. ჯუარი მომაქცეველი არს უღმრთოთაჲ. ჯუარი შჯული არს უშჯულოთაჲ. ჯუარი ქადაგებაჲ არს წინაწარმეტყუელთაჲ. ჯუარი სახარებაჲ არს მოციქულთაჲ. ჯუარი სიქადული არს მოწამეთაჲ. ჯუარი შემწე და მცველი არს მონაზონთაჲ. ჯუარი დიდებაჲ არს და სიხარული [ჟ] და ნათელი მღდელთაჲ. ჯუარი საფუძველი არს ეკლესიათაჲ. ჯუარი სიმტკიცე არს სოფლისაჲ. ჯუარი წარმწყმედელი არს უვარის მყოფელთაჲ. ჯუარი სირცხული არს ჰურიათაჲ. ჯუარი დამამჯობელი არს კერპთაჲ და მსახურთა მათთაჲ. ჯუარი დამარლუე[ვე]ლი არს [ბაალის] (მ16) საკურთხეველთაჲ.

ჯუართა მძღე ვექმენით ეშმაკსა. ჯუარი ძალი არს უძღურთაჲ. ჯუარი განმწყმედელი არს კეთროანთაჲ. ჯუარი სიმძღრე არს წყურიელთაჲ. ჯუარი სამოსელი არს შიშუელთაჲ.

აწ უკუე, ჰ შვილნო ეკლესიისა ღმრთისანო, კურთხეულნო, დღესა პარასკევსა განვიძარცუენით, რომელ პირველ ვაქსენეთ, და დღესა კვრიაკესა მოგუემადლა ჩუენ ცხორებაჲ იგი საუკუნოჲ. და ჯუარი არს ძალ და მაცხოარი და ნათელ ჩუენდა, და თაყუანის-ვსკეთ ჩუენ ადგილსა მას, რომელსა დადგეს ფერანი [უფლისანი], რამეთუ იგი არს სასოჲ ჩუენი, უფალი ჩუენი იესუ ქრისტე, და მის მიერ ზოცა გულთა ჩუენთა სიხარული და სახელსა წმიდასა მისსა ვესვიდეთ, რამეთუ მისა ჰშუენის პატივი და თაყუანის-ცემად თანა მამით და სულით წმიდითურთ აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამენ.

2 დამამჯობელ დამარლუეველი C; დამსჯელი C. 6-7 ჯ' ზღუდე C. 11 მცველი მფარველი CB. 15 ღმრთის მოშიშთა BC. 17 სჯული C; უსჯულოთა C. 18 სახიერება B. 22 უვარის მყოფელთა C; სირცხული C. 23 კერპთა და მსახურთა მათთა. ჯუარი დამარლუეველი არს — C. 24 საკურთხეველთა C. 26 კეთროანთა CB. 28 ეკლესიასა C, ეკლესიისანო B. 29 რომელი BC; კურიაკესა C. 30 მაცხოვარ BC. 32 სასოებაჲ BC; ა' C. 33 ~ სიხარული გულთა ჩუენთა CB. 34 შუენის CB. 35 უკუნისამდენ C; ამენ (ასე) C.

[254 v] თქუაშული ჟიღისა მჟრამისი
სიკუდილისათჳს [და] გამოსლვისათჳს ხულისა ჯოკცთაგან

ვაჲ ჩუენდა შენ მიერ, ჳ სიკუდილო, რამეთუ თანა-მდები ხარ უწყალოჲ, რომელი არავეს მიუტევებ, და მოსესხე ხარ სასტიკი, რომელი არა გარდაი-
ჯადები. და მტაცებელი ხარ ძლიერი, რომელი არა დააცადებ; და მპარავი
ხარ მლჳძარე, რომელსა არა (ჳ17) გრცხუენის; და ჳელმწიფე ხარ მბრძანე-
ბელი, რომელსა არა გეშინის; და მოციქული ხარ მოსწრაფე, რომელი არა
სდროებ; და მსაჯული ხარ თუალ-უხუაფი, რომელსა არა მიგაქუს ქრთამი; და
მოსაჯული ხარ მძლე, რომელი მიიძლევე მოსაგრესა საშუჯელად საუკუნოდ.

[255] ვაჲ, რაჲ მწარე არს გემოდ სასუმელისა შენისაჲ და საშინელ არს
ჟამი მოსლვისა შენისაჲ. ჳ რაჲ საზარელ არს ხილვაჲ პირისა შენისაჲ და რაჲ
შესაძრწუნებელ არს საყოფელი სანახებისა შენისაჲ. რაჲ ფიცხელ არს და
მძიმე სრბაჲ გზისა შენისაჲ, და რაჲ მტკივან არს და წუხილ თანა-ქცევაჲ შენი
გარემოდს მიწოდებულისა მის, რამეთუ ზარ-ტეხილ იქმნის სული იგი, რაჟამს
გინილის შენ გარემოდს მისსა მავალი, და ეძიებნ ადგილსა შეძრწუნებული,
რაჲთამცა ვითარ სადა დაემალა პირსა შენსა.

ვაჲ არა მისა, რომელმან არა ილუაწოს ვიდრე შენდა მოსლვადმდე და
შემთხუევად. ვაჲ არს მისა, რომელმან არა იზრუნოს ვიდრე ხილვადმდე პირისა
შენისა თავისა თჳსისათჳს. ვაჲ არს მისა, რომელი არა განკრძალულ იყოს ვი-
დრე წოდებადნდე მისა შენ მიერ. (ჳ18) ვაჲ არს მისა, რომელი არა მოსწრაფე
იყოს ვიდრე დადგომამდე შენდა მის თანა. ვაჲ არს მისა, რომელი უგულისჳმო
იქმნეს და არა მოელოდის ჳმასა მოსლვისა შენისასა. და ვაჲ არს მისა, რო-
მელმან უდბობით წარჳკჳდნეს [v] დღენი მისნი ცხორებასა თჳსსა. ხოლო ნეტარ
არს, რომელი აიძულებდეს თავსა თჳსსა ლოცვად წარდგომად წინაშე უფლისა,
ვიდრე მოწევენდმდე დღისა მის საშინელისა.

ნეტარ არს მისა, რომელი მოწრაფე იქმნეს და განკურნოს სენი წყლუ-
ლებისა თჳსისაჲ, ვიდრე არს-ლა იგი სოფელსა ამას შინა. და რამეთუ სიკუ-
დილი უმჯობეს არს სოფლისა ამის ცხორებასა მათთჳს, რომელნი ცოდვასა
შინა უმჯულოებით ცხონდებიან. უკუეთუ მართალი იყოს, რომელი-იგი მიიცივალა,
ექმნეს მას სიკუდილი განმსუენებელ ურვათაგან ამის სოფლისათა და ნიემ-
თხჳს წყალობასა უფლისა თჳსისასა და შევიდესა სიხარულსა მაცხოვარებისა
მისისასა. და უკუეთუ ცოდვილი იყოს, არღარა შესძინებდეს ბრალთა თჳსთა,

1 წმიდისა ეფრემისი მისიჲ C. 2 გამოსლვისა BC; ჳოკცთაგან + თავი ჳდ A. თავი
ვ B. 4 მიუტეობ C; გარდაიჯდი B, გარდაიჯდები C. 6 მლჳძარე C. 7 და მოციქული მო-
ციქული C. 9 მიიძლევე მითორე BC; სასჯელად C. სარჩელად B. 11 რაჲ საშინელ C 14 წო-
დებულისა C. 15 მისა BC; ~ შეძრწუნებელი ადგილსა C. 16 ~ რაჲთამცა სადა და ვრ და-
ემალა B, რამცა დაემალა სადა ვრ C. 17 მოსლვამდე C; და შემთხუევად—C. 18 და ვაჲ არს C;
მისა A; იზრუნოს + თავისა თჳსისა BC; ხილვამდე C. 19 თავისა თჳსისათჳს—BC; განკრძა-
ლულ იყოს განკრძალოს B. 20 წოდებამდე C. 21 შენდა მის თანა მისა შენ თანა და ვაჲ არს,
რნი არა მოსწრაფე იყოს ვე დადგომამდე შენდა მის თანა C; მისა—C. 22 იქმნას C იყოს B.
და ვაჲ BC. 23 უდებობით B; თჳსისა C. 24 არს + იგი C; აიძულებდეს C; ლოც-
ვად + და CB. 27 თჳსისა C. 29 უსჯულოებით C; ცხონდებიან C. 30 მიემთხუიოს C.
32 მისისასა თჳსისასა C; თჳსთა C.

არამედ ექმნეს მას სიკუდილი განმკუთხელ და მომსპოლველ ნიეთთა ცოდვისა მისისათა.

ჟ ძმანო ჩემნო, ვიდრემდის ვიყენეთ ამას მედგრობასა შინა და უდებებით ცხორებასა და არა განვიფრთხოთ და ზივივ(ჟ21) *ლტოდით უფლისა საშინელისა მისთვის და საზარელისა დღისა, რაემს-იგი სიკუდილი, ვითარცა სასტიკი ჯელმწიფე, წარიტაცებდეს ცოდვილთა [256] თუალ-უხუავად და უწყალოდ და მისცემდეს სატანჯველად საუკუნოდ. რამეთუ კაცმან ოდესმე ძილსა შინა იხილის ხატი, რომელი არა ოდეს უხილავნ და შეიძრუნდის გული მისი და განძნდის შიში მისი, ხოლო ჩუენ მოველით საშინელთა მათ პირთა მოსლვად და ხილვად და არა გუეშინის, და დღითი-დღედ დაეჭვლავთ ძმათა ჩუენთა და არა ძრწვის გული ჩუენი მოლოდებითა მისითა, არამედ მედგრობითა ჩუენითა ესე ყოველი ნაცილ და ტყუილ გუგონიეს და უგულსიკმოდ, ვითარცა პირუტყუნი თანა-წარჰვალთ ბრძანებასა ღმრთისასა, რომელი მასწავეს ჩუენ მოციქულთა და წინაწარმეტყუელთა მისთა. და ქებისა წილ და დიდებისა გმობაჲ პირთა ჩუენთა მარადის თანა აქუს წინაშე ღმრთისა, და შრომისა და გულს-მოდგინებისა წილ უდებებაჲ და უკეთურებაჲ მარადის შეგჯკრძალავს, ვითარცა უკუდავთა, და არა ეზრუნავთ წარწყენდისა ჩუენისათვის და არცა გულისგმა-ვჰყოფთ საქმესა ამას საშინელსა, რომელი მარადის ჩუენ ზედა მოიწვევის და ნათესავთა და მეგობართა ჩუენთაგან განგ(ჟ22)უაშორებს, და არა ვიტყვთ, ვითარძედ: სადა არს, რომელი-იგი გუშინ [27] შეუებით ცხონდებოდა და მონათა და ნსახურთა უბრძანებდა, დღეს სსუათა მიაქუს იგი საფლავად.

სადა არს მეფე იგი და შარავანდელი, რომელი ჯელმწიფედ სამეუფოთა განაგებდა და წყობითა ნათესავთა დაიძორჩილებდა და მრისხანედ სასტიკებასა ბრძანებდა? აჰა ეგერა დღეს დაცემულ არს და დაღუემბულ, და არა ესმის მას სიტყუაჲ და არცა ვსნად თავსა თჯსა შემძლებულ არს და ვერცა გარე მიქცევად ბრძანებასა ღმრთისასა. სადა არიან ინაწით მსხდომარენი იგი, რომელნი კეთილად განისუენებდეს სოფელსა შინა?—აჰა ესერა ამაოებასა მიცემულ არს ცხორებაჲ მათი. სადა არიან ბრძენნი იგი მეცნიერნი და მდიდარნი და მრავლის-მეტყუელნი?—აჰა ეგ[ე]რა დაყოფილ არიან პირნი მათნი და არს საცინელ კაცთა შორის სიბრძნე მათი. სადა არს ძლიერი იგი და ახოანი, რომელი ძლეულ არს და დაცემულ და მიწასა. შერეულ? სადა არიან მდიდარნი იგი და განმცხრომელნი, რამეთუ აჰა ეგერა ტყებითა და ტირი-

3 ვიდრემდის| ვითარ B; ვიყუნეთ C; ~ მედგრობასა ამას BC. 4 მივილტოდით C. 5 მისთვის C. 7 საუკუნოდ| უწყალოდ B. 9 განძინდის C; შიში| გული B; მისი| + შიშისაგან B. 10 დღითი-დღე C. 12 ტყუილ C. 13 წარჰვალთ C; რ'ი| და რ'ი BC. 16 მარადის| შორის C. 17 შეგუიკრძალავს C; ჩუენისათვის C. 19 ჩუენთაგან| ჩუენთა ჩუენგან CB. 20 ვიტყუით C; 21 ცხონდებოდა C. 23 და შარავანდელი| შარავანდელი B. 25 აჰა ეგერა| ესერა B; აჰა ესერა C. 26 თავისა BC; თჯისა BC. 27 შექცევად B; ბარძანებასა A; არიედ B. 29 არიედ B. 30 ვგერა| ესერა B; არიედ B. 31-32 და ახოვანი B| ახოვანი C. 33 განმცხრომელნი C.

* A-ს გვ. გვ. 319—320 ამ ტექსტისა არ არის, უადგილოდ არის აქ ჩაკერებული.

ლითა სავსე არიან სახლნი მათნი? * [257] სადა არიან სასმენელნი იგი პირად-
პირადთა სახიობათა მსმენელნი, რომელნი დღეს დაყოფილ და დაქსნილ არიან
და დაკლებულ სმენისაგან? სადა არს ხატი იგი შუენიერი და ჰასაკსა მზუაო-
ბარი, რომელი დღეს განრყუნელ არს და მოძულეზულ. და ასონი იგი გუამი-
სანი განყოფილ და განბნეულ არიან, და განზრახვად იგი დაცხრომილ არს, და
სიტყუად იგი დადუმებულ არს და მეტყუელებად განქარებულ არს, და ყოვ-
ლითურთ გუამი იგი დაქსნილ არს და მიწა და ნაცარ ქმნილ არს. კეთილო-
ბად იგი მიცვალეზულ არს და მოქმედობად იგი ხუროთად დაღვეზულ არს.

აჰა ესერა, ძმანო ჩემნო, ვხედავთ, რამეთუ ესე ყოველი ჩუენ ზედა მოი-
წევის. ამიერიტგან დაუტეოთ ბოროტი და ვქმნეთ კეთილი, დავსცხრეთ სი-
ცილისაგან და ვეველტოდით ცოდვასა და ყოველსა ამაოებისა საქმესა და არა
მოვაკუდინნეთ სულნი ჩუენნი, რადთა არა უკუნისამდე ვტიროდით ურთიერ-
თას სიმძლავრესა მას ცეცხლისასა, არამედ მოვიქცეთ სინანულად და მოს-
წრადე ვიქმნეთ სულთა ჩუენთა ცხორებისათჳს [უ] და მივეახლნეთ საქმითა
კეთილითა ღმერთსა და მოვიპოვოთ სარწმუნოებაჲ ქეშმარიტი და სიყუარუ-
ლი უზაყუველი სათნოდ მისა. და რაემს ვიხილოთ ძმად ჩუენი, რომელი
მიეხოს სიკუდილსა და პირი მისი დადუმებულ იყოს სიტყუსაგან, და მაშინ
ჯერ-არს ჩუენდა, რადთა ვიგლოვდეთ მწუხარებით მის თანა და ვეკრძალნეთ
თავთა ჩუენთა. და უწყოდეთ, რამეთუ ჩუენ ზედაცა მოწვევად არს დღე იგი
საშინელი და ჩუენდაცა შესუმად არს სასუმელი იგი სიმწარისაჲ. და რაემს
ვიხილოთ ენად იგი მისი შეკრული და მეტყუელებისაგან დაცხრომილი, არლა-
რა ვბასრობდეთ, არცა ვიციოდით, არცაღა ამპარტავნობით მზუაობარ
ვიქმნეთ, არამედ შიშით და ძრძოლით ვიწყოთ გლოვად და ვიტყოდით: ამა-
ოებით ამაო არს ყოველი ცხორებაჲ კაციად; სადა არს, რომელმან-იგი სა-
ფუძველი დადვა და აღაშენა, სახლსა შინა თჳსსა ვერ დაადგრა!?

სადა არს, რომელმან-იგი დაასხა ნერგი და ნაყოფიჲა მიისისაგან ვერლარა
ჭამა? სადა არს, რომელმან-იგი დაჰბეჭდა საფაჲეჲა თჳსსა და შეკრა ვაშკა-
რანი ჳელითა თჳსითა, [258] და ბეჭედი იგი ჳელთა ძისთა ვერლარა ასტეხეს,
და ძალმან მისმან კრული იგი ვერლარა განჰჳსნა, რამეთუ სიმენე იგი ძალისა
მისისაჲ მოუძღურდა და ამაო იქმნა? სადა არს, რომელი-იგი დაშურა და
განყფდა შეკრებასა მონაგებთასა და სიხარულითა შუებისა მისისაჲთა ვერ
განძღა? სადა არს, რომელმან საუნჯენი თჳსნი აღავსნა საფასითა, და იქმნა
იგი მისგან განშორებულ და უცხო?

სადა არს, რომელი-იგი წრადამან მონაგებთამან უცალო ყო და წარწყმიდა,
და შენაკრები იგი მისი სხუათა განიყვეს? სადა არა, რომელი-იგი განკრძალულ

1 არიედ B. 2 არიედ B; არიედ B; დაქსნილ] დავშულ B. 3 ჰასაკი B. 5 არიედ B. 6 და
სიტყუად იგი დადუმებულ არს] — B. 7 ქმნულ B. 8 მოქმედებაჲ B. 9 ზედაცა B. 10 სიცილი-
საგან] სიტბილისაგან B. 12 უკე] ურთიერთარს B; ურთიერთას] — B. 13 სიმძლავრესა] სიმ-
ძაფრესა B; მას] შინა B. 16 რაემს] უკუეთუ B. 17 მიეხოს] მიელო B; სიტყუათაგან B; და]
ესე B. 22 და არცაღა B; ამპარტავნობით B. 23 ვიქმნეთ B. 25 თლისა C. 26 მისგანი B.
27 რწ-იგი] რწ B. 28 აღტეხეს B. 29 განჳსნა B. 30 მოუძღურდა და] — B. 31 შეკრებითა მონა-
გებთა B.

* ამას ქვემოთ აკლია A-ს.

იყო სოფლისა ცხორებასი და დღეს მწრათელ სიკუდილმან კარსა მისს[ი] და-
 ჰკრძალა? სადა არს, რომელი შევიდოდა და გამოვიდოდა და ილუწიდა სოფლისა
 საშუებელთა?—აჰა ესერა განვიდა და არლარა მოიქცეს. სადა არს, რომელი
 მოგზაურ ექმნა მრავალთა, და დღეს მოგზაურნი მიანი იქცეს და იგი საფ-
 ლავსა შინა ირლუევის? # საქმე ესე საშინელი, რამეთუ მამაჲ შენი, რომელმან
 დაგთესა შენ, და ზედაჲ შენი, რომელმან გშვა შენ, მოვიდენ კარამდე საფ-
 ლავისა და დაგიტეონ შინაგან და წარვიდენ! [ჲ] და რომელნი-იგი პირველ
 გყუარობდეს და სასურველ იყავ მათ წინაშე, დღეს მოსაწყინელ იქმენ და
 მოძულებულ მათ მფერ! და ეგრეთვე მეგობარნი ზენნი, რომელნი თანასწო-
 რად სულისა შენისა შეგეარცხნეს, ვიდრე საფლავად შენდა ოდენ მოგზაურ
 გექმნეს და მწუხარებასა აჩუენებდეს, და, ვითარცა საფლავი შენი დაჰკრძა-
 ლეს, ყოველი იგი სიყუარული შენი და მეგობრობაჲ დაივიწყეს, ვითარცა
 თქუა დავით წინაწარმეტყუელმან, ვითარმედ: „დავივიწყებ მე, ვითარცა მკუდარი
 გულითა, და ვიქმენ ვითარცა ქურქელი წყმედული“¹⁾. ხოლო უფალი, რომლი-
 საჲ დიდებულ არს სახელი მისი, იგი ხოლო დაადგრეს შენ თანა. ესრეთ ჯერ-
 არს ჩუენდა გულისგმის-ყოფაჲ, საყუარელნო, ვითარმედ: ესე ყოველი მოწავალ
 არს ჩუენ ზედაცა. ამისთვის თანა-გუაც კრძალვით ცხორებაჲ, ვიდრე მოწვე-
 ნამდინ ჩუენ ზედა დღისა მის, და შიშით მოლუაწებასა განვემზადნეთ ვიდრე
 მოვლინებამდე ჩუენდა მოციქულისა მისისა, და შევიწიროთ მადლობაჲ უფლისა,
 რომელი კელმწიფედ განაგებს დაბადებულთა თჳსთა ზედა და გარდაცვალა
 ცხორებაჲ იგი და განბქო სიკუდილი, ვითარცა ინება. [259] რამეთუ რომე-
 ლი გუშინ მფლობელ იყო და განმგებელი ყოველსა მონაგებსა თჳსსა, იქმნა
 იგი დღეს განგდებულ და შეურაცხ, ვითარცა მებრვე მკუდარი და არა-ყო-
 ფილი. და იქმნა იგი უცხო ნშობელთაგან და ნაშობთა და ნათესავთა, მონა-
 გებთაგან და მოყუარეთა და მახლობელთა, და ყოველი იგი საფაჲ და მო-
 ნაგები, რომელი შრომით შეეკრიბა, გინა მოხუეკით, სხუათა განიყვეს და იგი
 მის ყოვლისაგან ცუდი დაშთა და ცალოერი განვიდა სახლით თჳით. მაშინ
 თჳსთა მითა არლარაჲ სხუაჲ ზრუნვაჲ აქუნდა, არამედ წრაფით განლებაჲ
 სახლით მის[ი]თ, რამეთუ მოსაწყინელ და სამძიმარ არნ იგი მიერ ჟამთაგან,
 ვიდრემდის მივიდიან საფლავსა და დაუტევიან იგი მარტოჲ და წარვიდიან
 სახედ თჳსად, რომელ იგიცა სხუათა მიცემად არნ უკუანაჲსკნელ მიწვენასა
 სიკუდილისასა, და სწრაფით მონაგებსა მისა განიყოფდიან. და აწ ვიხილოთ,
 თუ სადა არს იგი, რომელმან შეკრიბა და იზრუნა და აღაშენა და შეამკო,

1 ცხოვრებასა B; მისსა B. 3 რი-იგი B. 6 კარადმდე B. 8 მოსაწყინებელ B. 12 მეგობ-
 რებაჲ B; დაავიწყდა B. 13 დამიმიწყეს მე B. 14 ვიქმენ] + მე B. 15 დიდებულ არს] დიდებუ-
 ლა C; ეგრეთ B. 16 -ყოფად B; ყოველი B. 17 და ამისთვის B; მოწვენადმდე B. 19 შეესწიროთ B.
 21 განბქო]+მის ზა B. 22 მფლობელი B; განმგებელ B. 24 და იქმნა] იქმნა B. 24 ~ ნათესავ-
 თაგან და მონაგებთა B. 25 ~ მოყუარეთაგან და მახლობელთა B; და მონაგები—B. 26 გინა]+
 რი B; მოეხუეკა B. 28 სხუაჲ—B; აქუნ B; სწრაფით B. 29-ჟამთაგან] ყლთაგან B. 30 შევიდიან B;
 საფლავად B; იგი—B. 31 თჳსა B. 32 განიყოფიდიედ B. 33 შეიკრიბა B.

1) ფსალმ 30, 13.

თუ რაჲ სარგებელ ეყო მას, რომელი-იგი დაუტევა, გინა ვინ არიან, რომელნი იშუებენ მას ზედა.

[x] ანუ თუ უმეცარ ხართ, ძმანო ჩემნო, ამას ყოველსა, რომელსა-ესე ვიტყვ? ანუ არა ჯელითა თქუენითა დღითი-დღედ დაჰფლავთა მკუდართა და უწყით მოწევნადი იგი? რაჲსათჳს არა ვზრუნავთ სულთა ჩუენთათჳს, ვიდრე მოწევნამდე სიკუდილისა, რამეთუ მრავალ არიან, რომელნი თქუენ მიერ დაფულულ არიან და მრავალთა მკუდართა საქმესა ზედამდგომელ ქმნულ ხართ და ამისთჳს ჯერ-არს თქუენდა, რაჲთა გულისკმა-ჰყოთ, ვითარმედ: რომელთა აღაშენეს უცნობელად, წარწყმედულ იქმნეს; და რომელთა დაასხეს ვენაჟი-ვერლარა მოსთულეს; და რომელთა იქორწინეს სიხარულითა მეუღლისაჲთა, ვერლარა განძლეს; და რომელნი გზრგვინოსან იქმნეს ჟამსა სიძობისასა სიხარულითა სძლისაჲთა, ვერ განიხარეს; და რომელთა შვილ-ისხნეს და აღიზარდნეს, მოწევნასა სიკუდილისასა ვერაჲ ირგეს. და უწყით, საყუარელნო, რამეთუ ყოველნი მოსიკუდიდ ვართ მათ თანავე, რომელნი მოსწყდეს. და ჯერ-არს ჩუენდა, რაჲთა ვიგლოვდეთ და ვტიროდით თავთა თჳსთათჳს და არა მკუდართა ზედა, რამეთუ რომელი ტიროდის და იგლოვდეს მკუდარსა ზედა, არაჲ სარგებელ ეყოს მას, [26ს] ხოლო რომელი ტიროდის თავისა თჳსისათჳს და თჳსთა ცოდვათათჳს, იგი სარგებელ ეყოს სულსა თჳსსა, რამეთუ სიკუდილი ხარკი არს სათანადოდ, და ვერ ეგების, ვითარმცა არა ყოველთა შვესუთ სასუმელი ესე სავესე სიმწარითა, რომელიცა მოიგო მაჲამან ჩუენმან აღამ ურჩებითა, რაჲჲამს-იგი გარდაჰჳდა ბრძანებასა უფლისა თჳსისასა; რამეთუ დაუტევნა მცნებანი მისნი და ეშმაკისაგან განცილდეს იქმნა და ძლეულ, ვიდრემდის განივლინა იგი სამოთხით საშუებლისაჲთ და მოიცვალა იგი სოფელსა-ამას საჭირველსა, და ეუფლა მას სიკუდილი ბრძანებითა ღმრთისაჲთა და ყოველთა ნაშობთა მისთა ზედა განწესებულ არს და დაბეჰდულ. და ვერ ეგების, ვითარმცა არა ყოველნი წარვდეგით მის წინაშე დღესა მას სასჯელისასა შიშუელნი ძრწოლითა დიდითა. მაშინ მიაგებდეს კაცად-კაცადსა საქმეთა მათთაებრ, უკუეთუ ვინმე კეთილი ქმნა, გინა ბოროტი. რამეთუ ყოველნი საქმენი ჩუენნი დამარხულად დგენ წინაშე მისა. და არარაჲ მათგანი თანა წარჰვალს მას არცა მცირე, არცა დიდი, არცა ცხადი, არცა დაფარულნი. ამისთჳს ვევედრნეთ ღმერთსა და შემწე ვიყოთ იგი [x] ჟამისა მისთჳს საშინელისა, რამეთუ არაჲინ მიჰსენეს ჩუენ და შემეწიოს ჟამსა ქირისასა თჳნიერ მისა. და აწ ვითარმე ვიგლოვთ მათთჳს, რომელნი წარვიდეს და მიიცვალნეს ჩუენგან და ჩუენ აღრე კუალსა მათსა შედგომად ვართ, და ივინი ჩუენდა არლარა მოიქცევიან.

1 არიედ B. 3 ხართ B. 4 დაჰფლავთ B. 5 მოწევნამდე B. 6 არიედ B. 7 არიედ B. 8 თქნდა B. 9 წარწყმედული იქმნეს წარწყმდეს B. 10 მოსთულეს B; რომელნი იქორწინეს B. 11 ვერლარა ვერ B; გუირგურნოსან C. 12 განიხარეს განძლეს B; ესხნეს B; აღზარდნეს B. 13 და აწ B. 15 ~ იგლოვდეს და ტიროდის B. 18 თსისათჳს C; ცოდვათა B. 20 შვესუთ C. 21 თუისისასა C. 23 მოიცვალა R. 25 და ვერ ვერ B. 26 საშველისასა B. 27 საქმეთაებრ მათთა B. 28 ვისმე ბოროტი ექმნა გინა კეთილი B. 30 მისსა B; და არცა დაფარული B. 31 მისთჳს B. 32 მიჰსენეს B; თუნიერ C. 33 ვიგლოვდეთ B. 34 მოიქცევიედ B.

არამედ ესეღა მითხართ თქუენ, რომელნი-ეგე დაძულავთ მკუდართა: რადსა ესოდენ მოსწრაფე ხართ და გნებავს ადრე-ადრე განდებად სახლისაგან თქუენისა და გწადის ძალიად განშორებად ნათესავისა თქუენისა და თქუენგან, რომელი-იგი გუშინ სასურველ იყო თქუენ წინაშე და საყუარელ? ხოლო იგი იტყვს: რადთა არა დაჰქანდეს და დაღბეს და ეუფლოს მას სიმყარაღე. და უკუეთუ ესე უწყით, ვითარმედ ესევეითარსა ხრწნილებასა მიიცვალების კაცი, რადსათვის უღებ ვართ და მცონარ და ვგონებთ, ვითარმედ მრავალთა წელთა ცოცხალ ყოფად ვართ და მწოდებელი იგი ჩუენი კართა ზედა ჩუენთა დგას? ხოლო ჩუენ ვისწრაფით მონაგებთა შეკრებასა, რომელი-იგი სხუათა დაიუნჯონ და იხარებდენ მას ზედა შემდგომად ჩუენსა. [261] და ჩუენ მისგანსა თანა ვერარას წარვი-
 ლებთ და არცა რად სარგებელ არს ჩუენდა, არამედ ცოდვად ხოლო და ბრალი. შეკრებასა მისსა განვამრავლოთ შუებად, და განსუენებად ღისი სხუათა მიიღიან, და არარად მისგანი სარგებელ მეყოს ჩუენ: არცა ძენი, არცა ასულნი, არცა ძმანი, არცა დანი, არცა მშობელნი, არცა ნათესავნი, არცა საფასე. არცა მონაგებნი, არამედ საქმენი ხოლო კეთილნი, რომელნი ვქმნენით სოფელსა ამას შინა. იგი ხოლო იპოვნენ შემწედ ჩუენდა, რამეთუ სიკუდილი განჰყოფს ყოველსა და განაშორებს ურთიერთას მშობელთა და ნაშობთა, ძმათა და მეგობართა და, რასალა ვიტყვ მშობელთა და მეგობართა, არამედ სული ჯორცთა ჩუენთაგანცა განეშოროს, და დაშთენ ჯელნი და ფერჯნი უქმად, განმარტებულნი უნდოდ, და ნაწევარნი ძუალთანი განშიშულდენ და იქმნეს ყოველი გუამი მიწა და ნაცარ, და ქმნულ-კეთილი იგი და ხატ-შუენიერი და უშუერი იგი ერთ სახედ აჩუენებდენ, რამეთუ ყოველივე მატლ და წუთხ და წალა იქმნას.

ჴ, რად მწარე არს დღე იგი სიკუდილისა და რად საშინელ არს და საზარელ [ჲ] ხილვად პირთა მათ უშუერთთა და უცნაურთა, რამეთუ სული იგი ჯამსა მას ექუნ გულ-გდებულად, ვითარცა მფრინველი შეპყრობილი მახითა, და ჯორცნი იგი ძრწიედ შეძრწუნებულად, ვითარცა საცხოვარნი ჯამსა დაკლვისასა, და გონებად შეიპყრის სიბნელემან! ხოლო ჩუენ, რაჲმას მეუფლის სენი იგი ჯორცთა, ესე ყოველი გუაჯსობნ და გულს-ვეტყოდით სიკუდილისათვის და სინანულისა, და ვითარცა განმეშორის სენი იგი, ყოველივე დაგუაიწყდის და არლარა ვზრუნვიდით და არცა მოვიჯსენებდით სატანჯველთა მათ საუკუნეთა, რომელი განმზადებულ არს ცოდვილთათვის; ხოლო მართალთათვის სიკუდილი განსუენებად არს და არა ეშინის მას სიკუდილისაგან. არამედ ვად არს მათდა, რომელნი უგულისჰმო-იქმნენ და უმეცარ ამას ყოველსა. და მოვიდეს მსაჯული იგი თუალ-უხუავი განსჯად ცხოველთა და მკუდართა, და სიკუდილი წარმითაცებდეს სწრაფითა დიდითა ცოდვითა შინა განკათულთა მათ.

1 მიგითხრა B; -ეგე] იგი B. 3 რომელი-იგი] რი B. 4 იტყვის B; 5 ~ დაღბეს და დაჰქანდეს B; ესე]-B. 6 რადსათვის C. 8 ~ ჩუენთა ზედა B. 10 ვერა რას] ვერას B. 11 რაჲ] რად B. 12 მისა C; და შუებად B. 16 იგინი ხოლო B. 17 ნაშობთა] ნათესავთა B. 18 რასა B; ვიტყუი C. 20 უნდოდ] უქმად B; და ნაწევარნი] ნაწევარნი B; და ძუალნი B. 22 იგი]-B. 23 იქმნეს B. 25 ხილვად] + იგი B. 26 ექუნ] ექუნს (ს მერმეა მამარტებული) C. 29 გუამსოვნ B; გულს-ვეტყოდით B; სიკუდილისათვის C. 30 განგუეშორის B; დაგუაიწყდეს C. 31 და არცა] და არა B. 32 ცოდვილთათვის C; მართალთათვის C. 33 მას] მათ B; ად] ო B; მათა B. 36 ცოდვითა შა] განკათულთა] ცოდვითა B

15. ძველი ქართული ენის ძეგლები

მაშინ სული იგი გლოით იტყოდის: ვიდრე-მე ვივლტოდი, ანუ ვითარ-მე განვერე სატანჯველთა მათ მომავალთა, [262] და მე ესერა შებღალული ცოდ-
ვითა და ბრალითა წარჰყავ ამიერ სოფლით?

მიუგოს ჯორცმან და ჰრქუას: ვაჲ ჩემდა შენ მიერ, სულო ჩემო, რამეთუ
შეგეყავ შენ დასაბამსა და ვიყავ მე უბიწო, და აწ განვეშორები და ვარ მე
შეგინებულ.

ჰრქუას მას სულმან: შეწუხებულ ვარ მე შენ მიერ, გუამო ჩემო, რამეთუ
ბუნებით ვარ მე უცოდველ და შემოსითა შენითა სავსე ვარ მე ბრალითა და
ცოდვითა.

მიუგოს ჯორცმან და ჰრქუას: შენ შემიტყუე მე და მაცთურ ჩემდა იქმენ,
რამეთუ გეზიარე ყოველსა ბოროტსა და ნებასა შენსა ვიქმოდე და სათნოე-
ბასა შენსა შეუდეგ და წარვეწყმდი.

ჰრქუას მას სულმან: არამედ უფროდსლა მე ნებასა შენსა შეუდეგ, რამეთუ
ბუნებით უბიწო ვარ და მიზიდვითა შენითა მიღვენებულ ვიქმენ ნივთიერებასა
შენსა, ვიდრემდის ხრწნილებასა შენსა მიზიარე.

მიუგოს ჯორცმან და ჰრქუას: ვაჲ ჩემდა, რამეთუ სიკუდილი კართა ჩუენთა
ზედა მოწვეწულ არს და სიტყუაჲ ჩუენი ჟამსა ამას ამაო არს!

ჰრქუას სულმან: უკუეთუ მოწყალე მექმნეს უფალი [უ] და აღმადგინოს
მე სენისა ამისგან, შევიწინაო მე მისა მიმართ ცოდვათა და ბრალთა ჩემთათჳს.

ჰრქუას მას ჯორცმან: სიტყუაჲ კეთილი მესმა მე შენგან, ჰ სულო ჩემო,
და ვინაჲ ჩემდა, რაჲთა აღასრულო სიტყუაჲ შენი საქმით.

ჰრქუა სულმან: უკუეთუ აღვდგე სენისა ამისგან, ჰეშმარიტად ყოველნი
ცოდვანი ჩემნი ცრემლითა განვიბანენ და ლოცვითა და მარხვითა განვეწმიდნე.

ჰრქუას ჯორცმან: უკუეთუ ჰეშმარიტად ლხინებაჲ ვპოვო მე სენთა ამათ-
გან, დავიტანჯო თაფი ჩემი და შევაყენო და არლარა ვპყოფდე ნებასა ჩემსა
ბოროტსა, არამედ შრომითა და მღჳძარებითა განვეკათო გუამი ჩემი.

ჰრქუას სულმან: უკუეთუ ვპოვო მე სიცოცხლე და განვერე სიკუდილი-
საგან, გყო შენ სახლ სიწმიდის და სადგურ სულისა წმიდისა.

ჰრქუას ჯორცმან: გული ესე აწინდელი, რომელ არს ჩუენ თანა დღეს,
რად არა იყო იგი ჩუენ თანა, ვიდრე მოწვეწნამდე ჟამისა ამის?

ჰრქუას სულმან: ვჰგებდ მე შეერთებასა შენსა და გულს-ვეტყოდე დღითი-
დღედ სინანულსა [263] და ვიდრე განმზადებად ჩემდამდე მეწია მე სიკუდილი,

ჰრქუას ჯორცმან: ვაჲ ჩემდა, რამეთუ მომიცვა მე სიბნელემან და
აჩრდილმან სიკუდილისამან და მივეცი მე საფლავად და ვიქმენ მიწა და
ნაცარ.

ჰრქუას სულმან: ნებასა შენსა მიგცემდი და მის გამო ვიქმენ მე წარ-
წყმედულ.

1 იგი] — B; გლოვით B; ვითარ-მე] ვ'ემე B. 7 მას] — B; შეწუხებულ] შეძრწუნებულ B.
8 მე] — B. 8-9 ~ ცოდვითა და ბრალითა B. 10 შემიტყუე B, შემიტყოე C. 13 მას] — B;
რ+] — B. 16 მიუგოს] ჰრქუას B; და ჰრქუას] — B; ჩემდა] ჩ'ნდა B. 19 მისა მიმართ] — B.
20 მას] — B. 23 განვეწმიდნე] + იგინი B. 25 ჩემსა] — B. 26 მღჳძარებითა C. 27 სიკუდილსა B.
28 სიწმი დისა B. 30 იგი] — B; მოწვეწნამდე B

პრქუას კორცმან: ნეტარ თუმცა არა შემესწავლე, რამეთუ განმაცოცხლე შე მცირედსა ამას ეამსა და მომაკუდინე მე საუკუნოდ და განმაშორე საყოფელსა მართალთასა და მიმაქციე მე ჯოჯოხეთად.

პრქუას სულმან: ესე ზრახვაჲ რაჲსა არა იყო ჩუენ თანა ვიდრე ვიყვენით-ლა მფლობელ თავთა ჩუენთა ზედა და ვიდრე განყოფადმდე ჩუენდა ურთიერთას?

პრქუას კორცმან: რამეთუ აწლა განცხადნა საიდუმლოჲ შენი და შენ მიერ საცნაურ ვიქმენ მე, რაჲთა ვიქმენ მტუერ და ნაცარ საფლავსა შინა.

პრქუას სულმან: ვაჲ ჩუენდა, რაჲ ესე შეგუემთხუა, რამეთუ მოახლებულ არს იძულებით განმყოფელი ჩუენი და ვხედავ შეუნიერთა თუალთა შენთა დაბნელებულთა და აღმურსა სიკუდილისასა მოუცავ მე ყოვლით კერძო და იგი დაჰქსნის [v] კორცთა და ძულთა ჩემთა და ყოველსა გუამსა ჩემსა.

პრქუას კორცმან: შეგიყუარე შენ უფროჲს ყოველთა არსთა და ვაჲ ჩემდა, რამეთუ დღეს განგეშორები და მისთვის ვტირ და ვიგლოვ!

პრქუას მას სულმან: არარაჲ სხუაჲ მოვიგე სოფელსა ამას, თუნიერ შენსა, და აჰა ესერა დადუმებჲაჲ მოახლებულ არს ბაგეთა შენთაჲ.

პრქუას სულსა კორცმან: ვაჲ ჩემდა, ვითარღა წარვჰჰადენით დღენი ჩუენნი უდბად და აწ ესერა მივალთ ჩუენ მსაჯულისა მის თუალ-უხუევისა, და საქმეთა ჩუენთათვის ბოროტთა მიგუცნეს ჩუენ ცეცხლსა მას საუკუნესა!

პრქუას სულმან: ჰ რაჲღა მწარე არს სასუმელი სიკუდილისაჲ, ვიდრემე ვივლტოდი მისგ ან, ანუ რაჲმე მიუგო მსაჯულსა მას საშინელსა საქმეთა ჩემთა თვის ბოროტთაჲ!

და ვითარცა ესევეითარსა ლუაწლსა შინა არნ კაცი იგი, რომელი მიახნ სიკუდილსა, და სული მისი და კორცნი შიშისა მისგან და ჰირისა შეძრწუნებულ არიედ; და ოფლი სიმწარისაჲ გამოცემულ არნ ჰირსა მის[ს]ა, მაშინ ანგელოზი ბრწყინვალე საშინელი და მრისხანე გამოუბრწყინდის საშინელითა-ხილვითა, [264] და აქუნ გელთა მისთა ლახუარი ცეცხლისაჲ, სცის და განგუმირის კაცი იგი და წარიტაცის სული მისი.

ჰ რაჲ ფიცხელ არს ეამი იგი, ძმანო ჩემნო საყუარელნო, და რაჲ საზარელ არნ და საშინელ განკითხვაჲ იგი სულთა მათგან, რომელნი ჰაერთა შინა განწესებულ არიან ცოდვილთა განმკითხველად. ამისთვის გევედრები ყოველთა, რაჲთა ილუაწოთ სულთა თქუენთათვის, ვიდრე ესე ფლობაჲ გუაქუს-ლა თავთა ჩუენთა ზედა და ნუმცა მცირითა გემოჲთა წარესწყმედთ კეთილთა მათ საუკუნეთა, რომელი განუმზადა ღმერთმან მოყუარეთა მისთა, რომლისაჲ არს დიდებჲაჲ და ჰელმწიფებჲაჲ აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამენ.

1 განმაცხოველე B. 2 განმაშორე] + მე B. 4 ზრახვაჲ] ზრუნვაჲ B; რასა C. 7 საიდუმლოჲ C. 9 შეგუემთხუია C. 11 არმურსა B. 13 პრქუას] + მას B. 14 მისთვის C] მით B; ~ ვიგლოვ და ვტირ B. 15 მას]—B; ~ ამას სოფელსა B; თუნიერ C. 17 სულსა]—B. 18 უდბად B. 18-19 და საქმეთა] საქმეთა B. 21 მივივლტოდი B; რაჲმე] რაჲB; ჩემთათვის B. 23 მიახლნ (ღმერთა თავზე დაწერილი) C. 24 შეძრწუნებულ არიედ] ძრწოდიედ B. 25 მისსა B. 26 და მრისხანე] მრისხანე B. 29 საზარელ] საშინელ B. 30 არს C; საშინელ] საზარელ B. 31 არიედ B. 32 თქუენთათვის C. 34 განუმზადა ... მოყუარეთა მისთა] განმზადებულ არს მართალთათვის B. 35 უკუნისამდე, ამენ]—C.

[205] თქუშული წმიდისა ვერემისი
სიცილისათჳს და უჯიროდ განცხრომისა

პირველი მონაზონისა სულისა ოკრებაჲ სიცილი და განცხრომაჲ არს. ჳ მონაზონო, ოდეს იხილო ესევითარი რადმე სულსა შენსა დადგრომილი, გუ-
ლისკმა-ყავ, ვითარმედ მიახლებულ ხარ შენ სილრმესა წარსაწყმედელისასა-
მაშინ ითხოვდი ღმრთისაგან ვედრებით, რადთა გიქსნეს შენ ამის ესევი-
თარისა სიკუდილისაგან. სიცილმან და განცხრომამან წარწყმიდის სული მონა-
ზონისაჲ. სიცილმან და განცხრომამან შთაადღის სული მონაზონისაჲ ვენებათა.
წწინკულევანსა, არა ხოლო თუ ოდენ ჳბუკი, არამედ მოხუცებულიცა. სიცილმან
და განცხრომამან განდევნის შიში ღმრთისაჲ გულისაგან მონაზონისა. ამის-
თჳს უკუე თქუა ვინმე წმიდათაგანმან, ვითარმედ: განცხრომამან განრყუნის
ნაყოფი მონაზონისაჲ, ვითარცალა განრყუნის ხორშაკმან ნაყოფი ქუეყანისაჲ.
და კუალად სიცილმან წარწყმიდის ნეტარებაჲ, რომელი აღთქუმულ არს:
მგლოვარეთა გულითა. სიცილი უქმარ არს და უსარგებლო და უფროჲსლა.
დამარღუეველ შენებულსა. სიცილი შემაწუხებელი არს სულისა წმიდისაჲ და
წარმწყმედელ სულსა მონაზონისასა. [ჟ] სიცილმან განდევნის სასოებაჲ და
წარწყმიდის ჳსენებაჲ სიკუდილისაჲ, და მოუღის მოგონებაჲ სატანჯველთაჲ.

ჳ უფალო სახიერო, განდევნე ჩემგან სიცილი და განცხრომაჲ და მომეც
მე გლოვაჲ და ტირილი, რომელი უფროჲსად მეთხოვების!

(ჳჳჳ) * პირველი გლოვაჲ საღმრთოჲ ესე არს, რადთა განიხილოს კაცმან
ს ული თჳსი და არა იყოს იგი საჩუენებელ(ად) კაცთა, არამედ სამადლობელად
ღმრთისა, რომელი [ხნდაჳს] საიდუმლოთა გულისათა, რადთა მოვილოთ მის-
გან ნეტარებაჲ და ვიყუნეთ წინაშე კაცთა მხიარულ და მოხარულ სულითა
წმიდითა და ნიჭითა ღმრთისაჲთა. და შინაგან ვიყუნეთ მგლოვარე და ვით-
ხოვდეთ ღმრთისაგან, რადთა დაგვცვენეს ყოღლისაგან ბოროტისა საქმისა. და
არა დაეაკლდეთ სასუფეველსა მისსა და კეთილთა მათ, რომელნი აღთქუმულ
არიან ნებისა მისისა აღმასრულებელთა. გლოვაჲ სარგებელ არს და მცველ
სულისა, რამეთუ განჳბანს იგი ტირილითა და განჳბანს იგი ცრემლითა. გლო-
ვაჲ მშობელი არს უბიწოებისაჲ და მომკუეთელ ნებათა ბოროტთა და მომპო-
ვებელ კეთილთა საუკუნეთა. და რადმე უკუე ვთქუა ამისთჳს უფროჲსი, რამეთუ
ღმერთიცა ჳნატრის მგლოვარეთა და იტყჳს „ნეტარ იყვენენ მგლოვარენი გუ-
ლითა“¹⁾. [206] და კუალად რომელიმე მოწაფეთაგანი უფლისათაჲ იტყჳს,

1 წმიდისა ვერემისი] მისივე C. 2 განცხრომისა]+თავი ლ კსნ B, + თავი ოცდა მე-ა C.
3 ოკრებაჲ]+არს B; არს—B. 5 შენ—B. 7 სიცილმან და ლალობამან B. 8 სული—B; მონაზონი B.
9 წწინკულევანსა]მტკიანსა B. 13 და] — B. 15 შენებულისა B; შემაწუხებელ B. 19 რი უფრო-
ესად მეთხოვების] — B. 21 თუისი C; აყოს C; საჩუენებელად CB. 23 ~ მხიარულ წე კაცთა BC.
24 ვიყუნეთ C. 25 დაგუიცვენეს C; ~ საქმისა ბოროტისა A. 26 მისა C; რომელ BC.
26-27 აღთქუმულ არიან] აღუთქუა B. 27 აღმასრულებელთათუის C; გლოვაჲ]+გულისა B.
28 სულსა C; და განჳბანს იგი ცრემლითა]—B, და განჳწმედს ცრემლითა C. 29 მომკუეთელ]:
მომკლველ B; ნებათა] ვნებათა C. 30 რად C; ვთქუათ C; ამისთჳს C. 31 იტყუნს C;
32 იტყუნს C.

* აქამდის მოდის A-ს დანაკლისი (იხ. გვ. 222)

ვითარმედ: შეცვალეთ სიცილი თქუენი გლოვად და სიხარული თქუენი მწუხარებად. დამდაბლდით ჳელსა ქუეშე ღმრთისა ძლიერისასა, რაჲთა მან აღვამალღნეს თქუენ 1).

აწ უკუე რაჲმე ვყო მე ცოდვილმან ამან, რომელსა არა მაქუს გლოვად, (324) არცა ტირილი, არამედ სხუათა ვასწავებ და უქებ და მე არა ვპყოფ. ვაჲ მე, ვითარღა უღებ ვყავ და შეურაცხ სულისა ჩემისა ცხორებაჲ! ვაჲ მე, რამეთუ მეცნიერებით ვცოდავ, რამეთუ უწყი მე შეტყუებაჲ ბრალთაჲ და არა დავსცხრები მათგან საქმესა. ვაჲ მე, რამეთუ არა მაქუს მე შენდობაჲ, რამეთუ სიტყუთ საგონებელ ვარ მე მარჯუენითთა მათ თანად და მე საქმით მარცხენითთა მათ თანა ვარ. აგიარებ ცოდვითა ჩემთა, უფალო, მოწყალეო და ძრუქსენებელო, დაღაცათუ დავდუმნე, შენ თუთ უწყნივე საიდუმლონი ჩემნი და არარაჲ არს დაფარულ შენ წინაშე, არამედ რამეთუ სთქუ წინაჲსწარმეტყუელისა შენისა მიერ, ვითარმედ: აღიარენ ბრალნი შენნი და განჰმართლდე 2). და აწ მე ვიტყუ: შეგცოდე, უფალო, და არა ვარ ღირს ახილვად ზეცად მრავალთა ცოდვითა ჩემითაჲს. რამეთუ მცირისა გემოჲსათჳს დავივიწყე ცეცხლი იგი ჯოჯოხეთისაჲ. არა მოსწრაფე ვიქმენ მოგებად სასუფეველისა შენისა. და რაჲმე ვყო მე [უ] ყოველთა კაცთა უსაწყალობელესმან, გარნა თუ ვსტიროდი თავსა ჩემსა, ვიდრე ჟამი არს-ღა შეწირვად ტირილისა და ცრემლთა. მომცენ მე, უფალო, ცრემლნი მჳურვალენი, რამეთუ შენ მხოლოჲ ხარ მომცემელი და მწყალობელი და შენდა მოვივლტი, რაჲთა განსწმიდო მწინეულე-ვანებაჲ სულისა ჩემისაჲ.

ვაჲ მე, რაჲმე უკუე ვყო ცეცხლსა მას ჯოჯოხეთისასა (325) და ბნელსა მას გარესენელისასა, საღა-იგი არს ტირილი თუალთაჲ დაუცადებელად და ღრქენაჲ დაულევენელად. ვაჲ მე, რაჲმე უკუე ვყო სატანჯველთა მათგან დაუსრულებელთა და მატლსა მას წამლეანსა დაუძინებელსა. ვაჲ მე, რაჲმე უკუე ვყო ანგელოზთა მათგან მრისხანეთა, რომელნი სატანჯველთა ზედა არიან, რამეთუ საშინელ არიან და უწყალო. ვინ მოსცეს თავსა ჩემსა წყალი და თუალთა ჩემთა წყაროჲ ცრემლთაჲ და ვტბროდი დღე და ღამე, რაჲთა დავგო ღმერთსა, რამეთუ განგარისხე მე.

სცოდე, ჰ სულო ჩემო, შეინანე მწრაფლ, რამეთუ დღენი ჩუენნი ვითარცა აჩრდილნი წარვლენ და შემდგომად. მცირედთა ჟამთა განხუალ და მიხვდე ადგილთა მათ საშინელთა და ზარის-ასაჯდელთა. აწ უკუე ნუ სდროებ დღითიდღედ [207] მოქცევად ღმრთისა მიმართ. ვაჲ შენდა, სულო ჩემო, რამეთუ განსდევნენ შენგან წმიდანი ანგელოზნი საქმითა შენითა ბოროტითა.

2 და დამდაბლდით BC; ავამალღნეს C. 4 არაჲ C. 5 არცა] და B. 6 ვაჲ მე... ცხორებაჲ]—B. 8 საქმედ C. 9 სიტყუით C; მე]—BC; თანად] თანა BC; მარცხენთა B. 10 აღგიარებ BC. 10-11 ძჳირ-უქსენებელთა C. 11 თუით C; უწყნი B; საიდუმლონი C. 12 დაფარული BC; ~ წინაშე შენსა B; რ] ე] B; წწყლისა C. 14 ვიტყუი C. 15 ჩემთათუის C; გემოჲსათუის C. 16 და არა BC; 17 მე]—A. 23 დაუცადებელი C. 25 წამლეანსა C; დაუძინებელსა] + და უკუდავსა B. 26 სატანჯველთა მათ ზედა არიედ B. 27 საშინელ არიედ B. 29 მე] — B. 30 მსწრაფლ B. 31 მიხვდე] მიხუალ C. 32 ზარისა აღსაჯდელთა C; დღითიდღედ C.

1) იაკობ 4, 9-10. 2) ესაია 43, 26.

აწ უკუე, ძმაო ჩემო საყუარელო, ნუ სცემ ჯორცთა შენთა განსუენებასა, ნუცა დააცხრობ თულთა შენთა ტირილისაგან, და ითხოვდი ღმრთისაგან დაუცადებლად, სახიერისა და მოწყალისა, ღმობიერითა გულითა, რაათა მოგცეს შენ აალი მალლით. რამეთუ ვერ ეგების, ვითარმცა არა მიჰვლე გზად იგი საშინელი და არავინ ჰპოვო თანა-მოგზაურად შენდა და არცა შემწედ, არცა (ჰ26) მშობელნი და არცა ძმანი, არცა ტომნი და არცა მოყუარენი, არცა სიმდიდრე და არცა მონაგებნი, და არცა სხუად რად მსგავსი ამისი.

აწ უკუე ნუ უგულბელს-ჰყოფ, ძმაო, კეთილისა საქმესა, ნუუკუე არლარა გეპოვოს ეამი ცხორებასა შენსა და ინა[ნ]დე მერმე ურგებად. სახე განვიგოთ აქა უკუე, ოდეს წარვიდეთ ჩუენ, მუნ ვერ შემიძლონ ჩუენ შეპყრობად მთავართა მათ ბნელისათა, რამეთუ არა ეშინიან მათ მეფისაგან და არცა მთავართა პატივ-სცემენ, არცა დიდსა, არცა მცირესა, არამედ მათგან ხოლო, რომელნი ვლენან გზათა სიმართლისათა და აღასრულნეს დღენი მათნი კეთილისა საქმითა. [უ] მათგან შიშით განეშორნენ და მწრათლ განუცალონ გზად, ვითარცა წერილ არს, ვითარმედ: „ნადლი და წყალობად მოშიშთა ზედა მისთა და არა შეეხოს მათ ბოროტი“¹⁾. და კუალად იტყვს, ვითარმედ: „სულნი წმიდათანი ჯელთა შინა ღმრთისათა და არა იხილონ მათ სატანჯველი, რამეთუ სიმართლე მათი წარუძლუა მათ წინაშე მათსა და დიდებად ღმრთისად ჰფარვიდა მათ, და რაჟამს უკმეს მას, ისმინა მათი და ჰრქუა, ვითარმედ: აქა ვარ. რამეთუ რომელი აღუთქუა, აღუსრულა. ნეტარ არს, რომელი შეემთხვოს მას ურცხუნელად ეამსა მას შიშისასა, ნუ უდებ იქმნებით, ძმანო ჩემო, საყუარელნო, რაათა არა მოვატყუათ თავთა ჩუენთა, რომელი უძნდეს სულთა ჩუენთა. და კუალად მოვიგოთ, რომელი (ჰ27) განიხრწნების, რამეთუ დღე იგი ყოველსავე ცუდ ჰყოფს, რამეთუ ოდეს მივიწინეთ ეამსა განყენებისასა, ამოიქმნებიან განსუენებანი, და დასცხრებიან ცუდად დიდებანი და ნუკევანი, და არცა დაშთებიან მდიდარნი და არცა ხუასტაგის მოყუარენი. ესე ყოველი და მსგავსი მისი ცუდ იქმნების დღესა მას განშორებისასა.

ჰ უფალო, მოვიგსენე ეამი იგი და შეეძრწუნდი, და ვითხოვ სახიერებისაგან შენისა: ნუ მიმცემ მე ჯელთა მტერთა ჩემთასა და ნუცა სადა იქადინ მტერი ჩემი ჩემ ზედა, უფალო; და ნუცამცა დაიღრქენენ კბილთა მათთა [208] შემამინებლად სულისა ჩემისა ცოდვილისა და ნუცამცა მეტყვან, ვითარმედ: ჯელთ გვგდებიე ჩუენ და მოცემულ ხარ ჩუენდა და აჰა დღე, რომელსა მოველოდენით ჩუენ შენთსო. ნუ დაივიწყებ, უფალო, მოწყალეებასა

1 ძმანო ჩემო საყუარელნო BC; სცემთ BC; შენთა] თქუნთა BC. 2 და ნუცა დააცხრობთ C]—B; შენთა] თქუნთა C; თულთა შენთა ტირილისაგან]—B; ითხოვდით BC. 4 მიჰვლე A. 5 და]—B; მოგზაურად CB. 6 და]—C. 8 ~ ნუ უგულბელს-ჰყოფ აწ უკუე B; ძმანო B]—C. 9 მანადე C; განვიგოთ]+ჩნ C. 10 უკუე] რა C. 13-14 კეთილითა საქმითა C. 15 ~ მისთა ზედა BC. 16 და კუალად] კდ B; იტყვის C. 18 წარუძლუეს B; მათ]—B. 19 მას] მათ C; მან ისმინა B. 20 აღუთქუა]+მათ BC; შეემთხვიოს C. 21 ურცხუნელად C; იქმნებით C. 25 და]+არცა BC. 27 მისი] ამისი C. 31 და]—B; მეტყუიან C] + ჩუენ C; მეტყუად B. 32 ჯელ გვგდებიე B, ჯელ-გუიგდებიეს C. 33 მოველოდეთ B; შენთისო C; დავიწყებ C.

1) შდრ. ფსალმ, 102, 17.

შენსა, და ნუცა მომაგებ მე მსგავსად ცოდვათა ჩემთა. ნუცა გარე მიიქცევ პირსა შენსა ჩემგან, ნუცა მეტყუ, ვითარმედ: ამენ, არა გიციო. შენ, უფალო, მსწავლე მოწყალებით და ნუ ახარებ მტერსა ჩემსა ჩემ ზედა, არამედ დაშრიტე სიქადული მათი და მოაუძღურე ძალი მათი და მომმადლე მე სლვაჲ გზათა შენთა უბრალოდ. შეიწირე ვედრებაჲ ჩემი, უფალო, არა თუ სინართლეთა ჩემთათჳს, არამედ მრავალთა მოწყალებათა შენთათჳს და აურაცხელ(მჰმ)თა სახიერებათა შენთა. იქსენ სული ჩემი ცოდვილი სიკუდილისაგან. მოიქსენე, უფალო მოწყალ[ე]ო, დალათუ შეგკოდე შენ და მოვიწყალ წყლულებითა სასიკუდილოთა, არა მივივლტი მკურნალისა თუნიერ შენსა, არამედ სიტკბოებათა შენთა მომართ მოვივლტი, რამეთუ შენ ხარ, უფალო, ყოველთა ღმერთი და ჳელთბ შინა შენთა არს ყოველთა კაცთა სული. და შენ სთქუ, უფალო: „ითხოვდით და მოგეცეს“¹. და მისთჳსცა ვითხოვ შენგან: განმწმიდე მე პირველ სიკუდილისა ჩემისა [უ] ყოვლისაგან ცოდვისა და ნუ უგულებელს-ჰყოფ ვედრებასა ჩემსა, უფალო. პირი არა მაქუს ღირსად მჰმობარე და გული არა წმიდა არს და სული შესუარული არს ცოდვითა.

აწ ისმინე, უფალო, მრავალ-მოწყალებითა შენითა, რამეთუ არა შეურაცხჰყვი თხოვაჲ მათი, რომელთა-იგი ჰქმმარიტად შეინანიან, გარნა სინანული ჩემი არა წმიდა არს, არამედ განრყუნილ არს, რამეთუ ეამ ერთ ვინანდი და ორ ეამ განგარისხებდი. დაამტკიცე, უფალო, გული ჩემი შიშსა შენსა და დაამტკიცენ ფერკნი ჩემნი კლდესა ზედა სინანულისასა. სძლენ სიტკბოებამან შენმან, უფალო, ბოროტთა ჩემთა. სძლენ ნათელმან შენმან მადლისამან სიბნელესა ამას ჩემსა. უფალო, რომელმან აღუხილენ თუალნი ბრმასა მას სილოამს, აღმიხილენ მეცა თუალნი გონებისა ჩემისანი დაბნელებულნი*. და ვითარცა განსწმიდე კეთროვანი იგი სიტყუთა, განწმიდე შებღალულებადცა ესე ჩემი. იყავნ მადლი შენი ჩემ შორის, უფალო მოწყალეო, ვითარცა ცეცხლი, რაჲთა დაწუნეს გულის-სიტყუანი ჩემნი შეგინებულნი და მწინკულევანნი, რამეთუ შენ მხოლოჲ ხარ სახიერი და მწყალობელი, ნათელი უზეშთაესი ყოველთა ნათელთა და სიხარული უზეშთაესი ყოველთა სიხარულთაჲ, განსუენებაჲ უზეშთაესი ყოველთა განსუენებათაჲ, [209] ცხობრებაჲ ჰქმმარიტი და მაცხოვარი სამარადისოჲ. აჰა ესერა მე წინა-გიყოფ სულსა ჩემსა ცოდვილსა, ჰ მწყალობელო, და გევედრები, რაჲთა შეიწყალო, რამეთუ თანა-მღებ არს ყოველთა პატიეთა და ღირს არს ყოველთა სატანჯველთა. არამედ მე მო-

2 მეტყუი C; ამენ|+გეტყუ შენ B,+გეტყუი შენ C. 3 მსწავლი C; მოწყალებითა C. 4 ძალი საქმე BC. 5 შენთაჲ C. 6 ჩემთათჳს C; შენთათჳს C. 7 ჳსენ C; მოიქსენო A, მოჳსენე C. 8 დალაცათუ C. 9 სასიკუდინეთა A; მივივლტი|+ მე BC; თუნიერ C. 10 შენთა|—B, 11 ჳელსა შინა შენსა CB. 12 და მოგეცეს| მოგეცეს C; მისთჳსცა C, მისთჳ B. 14 ვედრებასა| თხოვასა BC; მჰმობარი B. 17-ყვი BC. 20 დაამტკიცენ| დამიდგენ BC. 21 ~ მადლისა შენისამან BC. 22 მას C; ამას ჩემსა ორ| სულისა ჩემისასა B; სილოვამს C. 23 და| — B. 24 სიტყუითა C; განსწმიდენ შებღალულებადცა B. 30 აჰა|—B. 32 არს|+იგი B; მე|—B.

1) იოანე 15, 7.

* აქედან აკლია A-ს ფურცელი.

ვივლტი შენდა, მესნელო, რაჲთა არა ყოლადვე მიმივლო მტერსა ჩემსა, არამედ შენ, უფალო, მოწყალეო, სახიერო და ძკრ-უქსენებელო, აღმოიყვანე სული ჩემი შთავრდომილი სიღრმესა ცოდვისასა და განაცხოველე იგი, რამეთუ მოვაკუდინე გარდასლვითა მცნებათა შენთაჲთა, სახ[ი]ერო. განანათლე გული ჩემი დაბნელებული ნებითა ბოროტთაჲთა და მივსენ მე ყოვლისაგან ძკრის-საქმისა და სიძულელისა კაცთაჲსა და ძკრის-ქსენებისა და გამოაჩინე ჩემ შორის სრული სიყუარული შენი. ჰ უფალო ჩემო, იესუ ქრისტე, მესნელო სოფლისაო, დაწერე სახელი მონისა შენისაჲ წიგნსა მას ცხოველთასა და მომანიქე მე სრული კეთილი, რაჲთა აღვილო ძღვევად ეშმაკთა ზედა და თაყუანის-ესცე წინაშე საყდარსა დიდებისა შენისასა ურცხვნელად ყოველთა თანა მართალთა, რომელნი სათნო-გეყვენეს შენ, ღმერთო.

გვედრები თქუენ, საყუარელნო, რჩეულნო უფლისანო, რაჲთა ითხოვოთ ქრისტესგან ჩემთსცა ცოდვილისა მონისა, [უ] ვითარცა-იგი ითხოვეს წმიდათა მოციქულთა ქანანელისა მისთჳს დედაკაცისა, რაჲთა შეიწიროს ლოცვაჲ ჩემი ლოცვათა თქუენთა თანა შეწირულთა წინაშე ღმრთისა, რამეთუ მისა შეუენის დიდებაჲ და პატივი მამისა თანა სულით წმიდითურთ, აჲ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამენ.

თქუებული ჟვილისა მფკმისი მოქალუკისა მის კურთხეულისაჲ*
[ჟხნი და განგებაჲ საცთუკთა მშჳაკისათაჲ]

მო-ოდესმე ვიდეს წმიდანი მამანი და ევედრებოდეს ნეტარსა ეფრემს, რაჲთა ასწაოს მათ წესი და განგებაჲ მრავალ-სახეთა მათ საცთურთა ეშმაკისათა. ხოლო მან ნეტარმან მიუგო სიმდაბლითა ესრეთ: მე ვჰნატრი განგებასა ცხოვრებისა თქუენისასა, ნეტარნო და ქრისტეს მოყუარენო მამანო, და ვჰგმობ და ვსძაგებ განგებასა ცხოვრებისა ჩემისასა, რომელსა შინა ყოლადვე არა იპოვების სარგებელი. ვაქებ და ვჰნატრი ცხოვრებასა თქუენსა, საყუარელნო, რამეთუ ეძიებთ უაღრესსა სათნობასა დაჯერებისათჳს ღმრთისა თქუენისა. და ვინმე არა იგლოვდეს ბოროტად ამას ცხოვრებასა ჩემსა, (ჰნჳ) რამეთუ შევაწუხებ და განვარისხებ ღმერთი საქმითა ჩემითა შეგინებულთა. ნეტარ ხართ თქუენ. მამანო, რომელთა დამკვდრებად გიც თქუენ სასუფეველი ცათაჲ კეთილითა საქმითა თქუენითა, და სრულისა სიყუარულისა თქუენისათჳს მე ფრიად დამიკვრდა თქუენთჳს, თუ ვითარ არა დაიზარეთ სიშორისაგან გზისა მოსლვად ჩემ გლახაკისა.

არამედ ნუუკუე ძიებისათჳს სულთა სარგებელისა თავს-იდევით ესე. და კუალად დამიკვრდა და გულის-ზრახვად ვდგა, თუ ვითარ მოხუედით კაცისა შეურაცხისა და ცოდვასა შინა განფრდილისა და ეძიებთ მისგან შესაძინელსა

1 ~ მიმივლო მტერსა ჩემსა ყოლადვე B. 4 მცნებათა შენთაჲთა] მცნებათაჲთა B. 5 ძიურის-საქმისა C, საქმისა ძკრისა B. 6 ძიურის-ქსენებისა C. 7 აჲ C. 8 სრული) — B. 10 ურცხუენელად C. 11 გეყუნეს C. 13 ჩემთუიკა C, ჩემთჳს B. 15 თქუენთა თა] შინა თქუენთა B. 18 კურთხეულისაჲ] + თავი თ B. 29 გიც თქუენ] გიც A. 30 კეთილთა საქმეთა თქუენთათჳს A.

* ეს თავი C-ში არაა შეტანილი, A-ს კი დასაწყისი აკლია, მოგვეყავს B-ით.

და სარგებელსა სულთა თქუენთასა. ქეშმარიტად საკვრველ არს, თუ ვითარ სავსენი ყოვლითა კეთილითა ღმრთისა სიტყუათათა მოხუედით კაცისა უქონოხსა და სიყმილითა დამდნარისა, ვითარ უკუე მდიდარნი გლახაქისა, ვითარ ბრძენნი უცებისა, ვითარ წმიდანი შესუარულისა, ვითარ ცოცხალნი სნეულისა, ვითარ აზნაურნი მონისა, ვითარ მოსწრაფენი სულთა ცხოვრებისათს მოხუედით კაცისა უღებისა და დაქსნილისა.

ქეშმარიტად თქუენ ხართ მჭურვალედ მეძიებელნი სათნოებათა ღმრთისათა, ხოლო მე მიცთომილი გონებასა და გარდასრული ნებასა ღმრთისასა. თქუენ ხართ სულნელებანი ქრისტესნი კეთილითა საქმითა და უბიწოდ სლვისა თქუენისათს, (შ60) ხოლო მე უღებებისა ჩემისაგან სავსე ვარ სიმყრალითა და მწინეკულევენებითა. ქეშმარიტად საკვრველ არს თუ ვითარ, რომელთა თანა ესევეითარი სულთა სარგებელი სავსებით იპოვების, მოხუედით კაცისა, რომელი ვერ სარგებელ ეყოფვის თავსა თვსსა. არამედ ჯერისაებრ სათანადოხსა ჰყავთ ესე, ქრისტეს მოყუარენო. ხოლო ინებეთ მოსლვითა თქუენითა განმტკიცებაჲ ჩემი დაქსნილისა და უძღურისა, რაჲთა მოსწრაფე ჰყოთ სული ჩემი და ასწაოთ მას სიმდაბლე, ვინაჲთგან მოხუედით საწყალობელისა ამისგან სმენად სიტყუასა სარგებელისასა და ამხილეთ უგუნურებასა ჩემსა, არამედ ნაყოფისათს სიმდაბლისა ვიტყოდი მე სირცხვლეული კდემულად. რამეთუ ოდესღა ვიწყო მოძღურებად და სწავლად, ვარცხუენ და დავსჯი სულსა ჩემსა, და ოდეს სხუათა განვიკითხვიდე, უფროხსლა სულსა ჩემსა გინვიკითხაჲ და სინაკლულესა მისსა ვამხილებ, და ჩემ ზედა აღესრულების თქუმული უფლისაჲ: „მეკურნალო, განიკურნე პირველად თავი შენი“¹⁾. და კუალად იტყუს: „ყოველი რაოდენი გრქუან თქუენ მლუდელთ მოძღუართა ყოფად, ყავთ, ხოლო საქმეთა მათთაებრ ნუ იქმთ“²⁾. ამისთს სავსემან სულ-მყრალებითა ვიწყო სწავლად თქუენდა მსგავსად ნაკლულეჯანებისა ჩემისა, რამეთუ ვიხილე სამწყსოჲ ესე მიმსგავსებული კრებულსა* (შ29) ანგელოზთასა, დი ვანატრი ყოველსა საქმესა მათსა სულიერსა. და ვინმე არა ვანატრიდეს მათ, რომელთა ყოველი ცხოვრებაჲ მათი ნებასა შინა ღმრთისასა აღასრულეს სიწმიდით და ღირსებით მოლოდებისათს კეთილთა მათ საუკუნეთა. და ვინ არა ტიროდის და იგლოვდეს ჩემ ზედა, რომელმან დღენი ცხოვრებისა ჩემისანი უღებებით წარვჰვადენ და უწყი, ვითარმედ მცირისა და შეურაცხისა საქმისათს, რომელი უღებ ვყავ, განვიდევნო მე სასუფეველისა მისგან ცათაჲსა, რომლისათს წერილ არს, ვითარმედ: „ცანი და ქუეყანაჲ წარჯდენ, ხოლო სიტყუანი ჩემნი არასადა წარჯდენ“³⁾. და უმჯობეს არს ცისა და ქუეყანისა წარსლვაჲ, ვიდრეღა

2 კეთილითა] + განმადარნი სიტკბოებითა A. 4 უცებისა A; შესუარულისათს B. 5 ცხოვრებისათს A. 9 სურნელებანი A; კეთილთა საქმეთა A. 14 დამტკიცებად B. 15 ~ დაქსნილები ჩემი A; და] — A; უძღურისაჲ A. 16 საწყალობელისა] საწუნელისა A. 19 დავსჯი A. 21 თქუმული] + იგი A. 22 ~ პირველად განიკურნე A. 23 რაოდენი A; მდღელთ მოძღუართა A. 24 საესემან] + ამან A; სულ-მყრალობითა A. 26 ანგელოზთა კრებულსა A. 30 წარვჰვადენ B.

1) ლუკა 4, 23. 2) მათე 23, 3. 3) მათე 24, 35.

* გრძელდება A-ს ტექსტი, მხოლოდ ფურცელი უადგილო ადგილას არის მოთავსებული.

იოტა ერთი გამოხატული სიტყუათაგან ღმრთისათა წარსლვად, რამეთუ რომელი-იგი ჩუენ მცირე და საწუნელ გვჩს, იგი ცათა და ქუეყანისა უფროდს არს წინაშე ღმრთისა.

ამიერიითგან ისმინეთ ჩემი, ძმანო ჩემნო, და გითხრა, რომელსა შემძლებელ იქმნეს უძლური ესე გონებაჲ ჩემი გამოთქუმად.

თავი პირველი. შიშისათჳს ღმრთისა

ნეტარ არს კაცი იგი, რომელსა თანა არს შიში ღმრთისაჲ ყოლადვე, და რამეთუ სული წმიდაჲ მისცემს ყოლადვე ნეტარებასა, ვითარცა წერილ არს: ნეტარ არს კაცი, რომელსა ეშინის უფლისა და მცნებანი მისნი ჰნებეან ფრად¹⁾.
 10 და იქსნეს იგი. უფალმან ჳელთაგან მტერთა მისთაჲსა. რამეთუ ყოველსა, რომელსა თანა არს შიში ღმრთისაჲ, მწრათლ შემძლებელ არს იგი წინააღდგომად ყოველთა გულის-სიტყუათა მტერისათა და წარმო(მჰმ)ტყუენვად ყოველსა ძალსა მისსა. რომელსა თანა დამკვდრებულ არს შიში ღმრთისაჲ, არა ჩქუეფნ იგი გულის-სიტყუათა აქა და იქი და არცა იცვალეზინ ადგილითი-ადგილად.
 15 რომელსა თანა არს შიში ღმრთისაჲ, დაწყნარებულად მოელინ იგი მოსლვასა უფლისა თჳსისასა, რაჲთა არა მოვიდეს უგრძნულად და პოვოს იგი უდებებასა შინა და მისცეს იგი სატანჯველსა საუკუნესა.

რომელსა თანა არს შიში ღმრთისაჲ, არა ოდეს უდბად დაიძინის, არამედ ყოველსა ჟამსა მღჳძარედ ზრუნეან იგი სულისა თჳსისა ცხორებისათჳს.
 20 რომელსა ეშინის ღმრთისა, არა ოდეს ძილითა განძ[ლ]ის იგი, არამედ სულითა ფრთხილითა მოელინ იგი ჲოსლვასა უფლისა თჳსისასა. რომელსა ეშინის უფლისა, არა ეძიებნ იგი განსუენებასა ჳორცთა თჳსთასა, რაჲთა არა მედგრობისა მისისათჳს განურისხნეს მას უფალი თჳსი. რომელსა ეშინის ღმრთისა, ყოველსა ჟამსა ეძიებნ იგი განსუენებასა უფლისა თჳსისასა და განმზადებულნი
 25 მოელის, რაჲთა, ოდეს მოვიდეს, განისუენოს საქმესა მისსა ზედა და აქოს სარწმუნოებაჲ მონისაჲ მის და მრავალთა საფასეთა ზედა დაადგინოს იგი. რომელმან მოიგო შიში ღმრთისაჲ, მან მოიგო ყოველი სათნოებაჲ კეთილი და აცხოვნა სული თჳსი.

მისთჳს, რომელსა არა ეშინის ღმრთისა. მეორე.

30 რომელსა არა ეშინის ღმრთისა, ურიდად იპოვების იგი ყოველსა შინა საქმესა. მტერისასა და ნებასა მისსა. (მჰმ) რომელსა არა ეშინის ღმრთისა, მარადის ეძიებნ იგი განცხრომასა და განსუენებასა, შეეყვის იგი შუებათა ღიღთა და განსუენებათა და ღიღებთა, დაიძინის უსაზომოდ და არა ჰნებეან

2 ჩუენ] — B; უფროდს] უმჯობეს B. 5 გამოთქუმად] თქუმად B. 7 რომელსა თანა A (ასეა ამ თავში ყველგან), რომლისა თანა B; და რ' რ' B. 8 ყოლად B. 10 იქსნას B. 13 მისსა] + და არა მიდრეკად ყოლადვე ნებასა და განსუენებასა ჳორციელებრსა B. 15 არს] არს B. 18 რომლისა თანა B; უდბად B. 20 ღმრთისა] უფლისა B. 23 დისა] ო'ისა B. 24 ეძიებნ B. 25 მოელინ B; აქოს] აქუს B. 26 იგი] — B. 29 მეორეა A] ბ' B. 30 იპოვებინ B. 32 და შეეყვის B; შუებასა B. 33 ღიღთა] — B; განსუენებასა B; ღიღთა ღიღებთა B; და. დაიძინის B.

1) ფსალმ. 111, 1.

ზე აღდგომაჲ საქმისათჳს სათანადოჲსა, არამედ იქმნის იგი ქურ დაჯსნილობისა და ქურქურ მცონარობისა. და იგემოვნებნ ნებასა ჯორცთასა და ყოველსა განსუენებასა ამის სოფლისასა სიტკბოებით შეიწყნარებნ. და უშიშ არნ იგი მოსლვისათჳს ღმრთისა თჳსისა და უდებ საქმისათჳს საღმრთოჲსა, ერიდებინ შრომასა და სძაგებნ მშრომელთა, ჰგმობნ ღდაბალთა და აქებნ ამპარტავანთა და თანა-ექცევინ ზუავთა და თავკელთა.

მაშინ მოიწიოს უფალი მისი ეამსა, რომელსა არა ჰგონებდეს და პოოს იგი ესევეთარსა განგებასა, რომელი არა სათნო არნ წინაშე მისსა. და უბრძანოს შეკრვაჲ მისი ჭელით და ფერჯით და შთაგდებად იგი გეჰენიასა მას ცეცხლისასა. და ვინმე არა მისცეს ვაებაჲ ეგევეთარსა მას საწყალობელსა!

სიყუარულისათჳს : გ :

ნეტარ არს კაცისა მის, რომლისა თანა არს სიყუარული ღმრთისაჲ, რამეთუ მას შინა ღმერთი დამკვდრებულ არს. რამეთუ ღმერთი სიყუარული არს და ყოველსა, რომლისა თანა არს სიყუარული ღმრთისაჲ, ღმერთი მის თანა არს მარადის და რომლისა თანა ღმერთი არ, შემძლებელ არს იგი წინა(ჰჰჰ)აღდგომაჲ ყოველსა ძალსა მტერისასა. რომლისა თანა არს სრული სიყუარული, არავის შეურაცხ-ჰყოფს, არცა მცირესა, არცა დიდსა, არცა მდიდარსა, არცა გლახაკსა, არამედ ჰხედავენ თავსა თჳსსა ყოველთა უდარეს და უნარჩევეს და უნაკლულეს, ყოველსა თავს-იდებნ, ყოველსა მოითმენნ. რომლისა თანა არს სიყუარული, არცა განლანის მოყუსისა ზედა, არცა ზუაობნ, არცა ვის განიკითხავენ. და უკუეთუ სხუად ვინმე განიკითხავენ მოყუასსა, მან არა თავს-იდვის, არამედ ამხილის და მოაქციის.

რომლისა თანა არს სიყუარული, არა ემოყუსებინ მზაკუვარსა, არცა ვალნ ამპარტავანთა თანა. რომლისა თანა არს სიყუარული, არა შურნ მონაგები ცოდვილთაჲ, არამედ ზრუნავენ მათთჳს და ასწავებნ ღმობიერად, და ნუგეშინის-სცემნ, და ოდეს იხილის მოყუასი კირსა შინა და განსაცდელსა, მწუხარე არნ მისთჳს და ეღმინ, და შემწე ეყვის ყოველთა ყოელითა ძალითა მისითა, ვიდრე სიკუდილმდე. რომლისა თანა არს სიყუარული, არა უგულბელსყვის უცხოჲ, არამედ შეიწყნარის სიყუარულით და განუსუენის მოსწრაფედ. რომლისა თანა არს სიყუარული, მან აღასრულის ნებაჲ ღმრთისაჲ (ჰჰჰ) და არს იგი ჭეშმარიტად მოწაფე ქრისტესი, რამეთუ ესრეთ ჰრქუა მესნელმან

1 აღდგომაჲ B. 2 მცონარებისა B; იგი ნებასა B. 3 სიტკბოებით] სიხარულით B. 4 ღწისა] უფლისა B. 6 -იქცევინ B. 7 ოწი+იგი B; რწლსა-იგი B; პოოს B. 8 ესევეთარსა]+შინა B; არს B. 9 ჭელითა და ფერჯითა B. 10 ვაებაჲ B. 11 თავი გ სიყუარულისათჳს ღწისა B. 12 კაცისაჲ B; რწლისა თანა (ასეა ამ თავში ყველგან) A. 13 რწ] და სიყუარული B. 18 ჰხედავენ]+იგი B; უდარესად B. 19 უნარჩევსად B; უნაკლულესად B; თავს-იდებნ B; და ყოველსა მოითმენს B. 20 არა განლანის B. 21 ზუაობნ]+არცა განლანის B; განიკითხავენ]+ მოყუასსა მწმოყუასსა] — B. 23 ემოყურებინ B]+ იგი B; მზაკუვართა B. 26 ოდეს] უკუეთუ B; შინა]+ ზეწვის B.

ჩუენმან სანატრელთა მოციქულთა: „ამით უწყოდინა ყოველთა, ვითარმედ მოწაფენი ჩემნი ხართ, ოდეს იყუარებოდით ურთიერთას“ ¹⁾.

რომლისა თანა არს სიყუარული, არარაჲ განიჩემის საკუთრად თავისა თვისისა, არამედ ყოველი, რომელი აქუნ, სხუათათს ჰნებავენ. რომლისა თანა არს სიყუარული, არავის ჰხედავენ უცხოად, არამედ ყოველთავე თვისა მეგობრად ჰხედავენ, და არცა ოდეს აღშფოთნის და არცა უხარინ ბოროტსა ზედა ძმისასა და არცა ძვრსა იტყუნ ტყუელით და არცა ვისთს მტერობასა იმარხვენ თუნიერ ეშმაკთასა, არამედ ყოველსავე სულგრძელებით მოითმენნ. ნეტარ არს მის კაცისა, რომელმან მოიგო სიყუარული და ესრეთ მივიდა იგი წინაშე ღმრთისა ყოველთა დამბადებელისა, რომელმან-იგი უწყის აღბეჭდულნი ბეჭდითა თვისითა და შეიწყნარნეს იგინი სასუფეველსა მისსა ანგელოზთა თვისთა თანა და დაიმკვდრონ ქრისტეს თანა. რამეთუ ძე ღმრთისაჲ სიყუარულისათს მოვიდა ქუეყანად და სიყუარულითა განგვლო ჩუენ სამოთხე და სიყუარულისათს გვჩუენა ჩუენ გზაჲ აღსავალი ზეცად, რამეთუ ვიყვენით განდგომილ და მტერ ღმრთისა და სიყუარულითა დამაგნა ჩუენ მამასა. და ანისთს ჯერ-არს თქუემად, ვითარმედ: ღმერთი სიყუარული არს, (ჰჰჰ) და რომელი დაადგრეს სიყუარულსა ზედა, იგი ჰგიეს ღმრთისა თანა მარადის ²⁾.

მისთს, რომელსა თანა არა არს სიყუარული :ღ’:

ქეშმარიტად საწყალობელ არს კაცი იგი, რომლისა თანა არა არს სიყუარული, რამეთუ დღენი ცხოვრებისა მისისანი ვითარცა სიზმარნი წარქდენ. ვინ არა ეგლოვდეს ეგვეთარსა მას, რომელმან განაშოვრა თავი თვისი სიყუარულისაგან და დააკლო სულსა თვისსა ნათელი ბრწყინვალე და მოუგო მას ბნელი იგი წყუდიადი. ქეშმარიტსა გეტყვ თქუენ, მინო ჩემო, რომლისა თანა არა არს სიყუარული, ღმერთი არა არს მის თანა, რამეთუ უტყუველი პირი იტყვს ამას, რამეთუ: რომელსა თანა არა არს სიყუარული, იგი ბნელსა შინა ვალს მარადის და ცოდვასა შინა იქცევის; რომლისა თანა არა არს სიყუარული, იგი მწრაფლ აღეგზნის გულის-წყრომითა და უხარინ ძვრი მოყუსისაჲ, და არავის დაცემულსა ქელთ-ალუპყრის აღდგინებად და არცა ასწავის ცოდვილსა.

რომლისა თანა სიყუარული არა არს, იგი ბრმაჲ არს გონებითა და არს იგი მეგობარი ეშმაკთაჲ, მოყუარე მაგინებელთაჲ და თანა-მავალ ძვრის მოქმედთაჲ, და რასალა განვამრავლებთ სიტყუასა! რომლისა თანა არა არს სიყუარული, ქური არს (ჰჰჰ) იგი ეშმაკთაჲ და შეცთომილ არს იგი ყოველთა გზათა მისთა და არა უწყის, ვითარმედ ბნელსა შინა ვალს.

1 მოციქულთა] + ვდ B; ვდ] რ B. 1-2 ~ ჩემნი მოწაფენი B. 4 ჰნებავენ] არნ B. 5 ხედავენ B. 6 ~ ბოროტსა ზედა ძმისასა უხარინ B. 8 ად] და B; ~ კაცისაჲ მის B. 9 წინაშე]—B. 11 შეიწყნარნის B. 13 და სიყუარულისათს] სიყუარულისათს B. 17 ღმრთისა თანა ჰგიეს მარადის B. 18 რლსათანა (ასეჲ კვლავ!) A; დ] თავი დ B. 20 წარქდენ] წარვლენ B. 21 იგლოვდეს B. 23. რლისა თანა (ასეჲ გვხედება) A. 25 რომლისა თანა B. 27 გულის-წყრომით B. 30 რამეთუ რომლისა თა B. 32 განვამრავლებ B. 33 ყოველთაგან B. 34 ვალს] + იგი B.

¹⁾ იოანე 13, 35.

სულგრძელებისათვის

ქეშმარიტად ნეტარ არს იგი, რომელმან მოიგო სულგრძელება, რამეთუ აქნეს მას წერილი და იტყუს: „კაცი სულგრძელი მრავალ-გონება არს და ბრძენ“¹⁾. კაცი სულგრძელი არასადა ევლტინ განსაცდელთა, მოწვეულთა მის ზედა, არამედ მადლობით მოითმენ და სიხარულით სასოებასა ღმრთისა თვისისა და უშფოთველად იმარხავნ თავსა თვისსა. კაცი სულგრძელი არაოდეს აღეგზნის გულის წყრომად და გინებად, და არცა აღიძრის გინებად სიტყუასა ცუდსა. და უკუეთუ ვინმე უსამართლოდ უყვის მას, იგი არა შეწუხნის. და თუ ვინმე ეშჯინ, არა სიტყუა-უგებნ, და ყოველსა სიტყუასა ზედა და საქმესა განმტკიცებელი შეუცთომელად ჰგიედ სავსე ყოვლითა საქმითა კეთილითა, და მხიარულ არნ იგი განსაცდელთა მოწვევისათვის და რომელი-რამ ებრძანის ვისგანმე, არა სიტყუა-უგებნ მას არა საქმედ. და უკუეთუ ვინმე შეპრისხნის, არა შეშფოთნის, არამედ სულგრძელ არნ ყოველსა ზედა და მოითმენ ყოველსა.

მისთვის, რომლისა თანა არა არს სულგრძელება

რომლისა თანა არა არს სულგრძელება და მოთმინება, მყის (336) აღირღვს იგი შფოთებად და გულის წყრომად. უკუეთუ ვინმე სიტყუა-უგის, მან აგინის, და უკუეთუ ვინმე აგინის, გუენის. და უკუეთუ ვინმე ძკრი უყვის, შური იძიის. ემოყურებინ იგი კაცთა, რომელთაგან სარგებელსა რას ჰპოვებნ. რომლისა თანა არა არს სულგრძელება, სიტყუად და საქმე მისი ვითარცა ფურცელი ქარისაგან მიმოდითაცებინ, რამეთუ სიტყუასა მისსა არა აქუნ სიმტკიცე და მწრაფლ აქცევნ საქმეთა ამიერ და იმიერ, და დაამტკიცებნ ბოროტსა. და ყოველი კაცი მის წინაშე არნ, ვითარცა არარაჲ. უსამართლოდ შემწე არნ და განმამართლებელ ცრუთა, და არასადა დაჰმარხის საიდუნელოდ მოყუსისა თვისისაჲ. და რამე იყოს უსაწყალობელეს ესევეთარისა კაცისა!

სასოებით მოთმინეთათვის

ნეტარ არს, რომელმან მოიგო მოთმინება, რანეთუ მოთმინება სასოებასა შეიქმს, ხოლო სასოებამან არა არცხვნის. ქეშმარიტად ნეტარ არს, რომლისა თანა არს მოთმინება, ვითარცა იტყუს უფალი ჩუენი იესუ ქრისტე, ვითარმედ: „რომელმან დაითმინოს, იგი სრულიად ცხონდეს“²⁾. და რამე უკუე იყოს უდიდეს აღთქუმისა ამის, რამეთუ უფალი ტკბილ არს და კეთილსა უყოფს მათ, რომელთა დაუთმონ.

1 სულგრძელებისათვის+თავი: ე: B. 7 წყრომით B; გინებად] სიტყუს-გებად B. 10 საქმითა] — B. 11 მოწვევასა ზედა B. 14 რლისა თანა (ასეა ამ თავში) A: სულგრძელება]+თავი ე B. 15 აღირღვს] აღიძრის B; 16 ~ გულის წყრომად და შფოთებად B. 17 გუენის] მან გუენის იგი B. 18 იძიის] + მისთვის B; რას] არას A: ჰპოვებ B. 19 საქმე A. 23 ~ და შემწე არნ უსამართლოთა B; განმამართლებელ] განმამართლებელ B; დამარხის B. 24 მოყუსისა B; თვისისაჲ] — B. 26 მოთმინებისათვის B. 28 არა] არასადა B. 30 ~ ს' და იგი B.

1) შდრ. იგავნი 17, 27. 2) მათე 10, 22.

(337) აწ გამოვიძიოთ და ვიხილოთ, თუ რაედენი სარგებელი აქუს მოთ-
 მინებასა. და არა ხოლო თუ ერთსა საქმესა ზედა ოდენ საქმარ არს იგი, არანედ
 ფრიად მრავალსა: მოთმინე მხიარულ არნ ჭირთა მოწევენასა, და გამოიციადის
 იგი განსაცდელთა შემთხუევასა, და განმზადებულ არნ იგი ყოველთა მორჩი-
 35 ლებად; მოთმინე განშუენდის სულგრძელებითა და სავსე არნ სიყუარულითა
 და მავნებელსა ჰლოცავნ; დუმილსა იმარხვენ და წიგნის კითხვასა სურვიელ არნ;
 მარხვასა მოსწრაფე და ლოცვასა გულს-მოდგინე, ჯელთ საქმარსა უცონელ და
 მიცემა-მოღებასა მარტივ; ყოველსა ბრძანებასა მორჩილ და სიტყუს გებასა
 40 სულგრძელ, და, თუ რასმე საქმესა ზედა დაიდგინის, სარწმუნო იპოვის. მსა-
 ხურებასა მხიარულ არნ და ძმათა განსუენებასა ტკბილ და განზრახვასა ბრძენ;
 ღამის თევასა მოხარულ და უცხოთა შეწყნარებასა განკრძალულ; სნეულთა
 მოლუაწე და მწუხარეთა ნუგეშინის-მცემელ.

რომელმან მოიგო მოთმინებაჲ, მან მოიგო სათნოებაჲ და სასოებაჲ, და
 ესე განშუენებულ არს ყოვლითა საქმითა კეთილითა და კადნიერად ღაღადებს
 45 ღმრთისა მიმართ და იტყუს: „თმენით დაუთმე უფალსა, მომხედა ზე და ისმინა
 ლოცვისა ჩემისაჲ“ 1).

(338) მისთჳს, რომელსა არა აქუს მოთმინებაჲ : 1 :

ვაებისა მიცემად ღირს არს საწყალობელი იგი კაცი, რომელსა არა აქუს
 მოთმინებაჲ, რამეთუ წერილ არს: ვაჲ მათდა, რომელთა არა აქუს მოთმინე-
 50 ბაჲ, ვითარცა ფურცელი ქარისაგან მიმოიტაცებინ, ამან არცა ჭირი თავს-
 იდვის და არცა გინებაჲ დაითმინის. რომელსა არა აქუს მოთმინებაჲ, არა-
 ოდეს წარემართის საქმე მისი, არამედ არნ იგი შფოთის მოყუარე და მოყუ-
 სისა განსუენებასა მოძულე, ლოცვასა დაჯსნილ და მარხვასა მოწყინე, ღამის
 თევასა მცონარ და ცუდის მეტყუელებასა მოსწრაფე, წიგნის კითხვასა მძინარე
 55 და ზღაპრობასა მღუძარე, მარხვასა მოლაღე და ჯელთ საქმარსა მოზარე, ბო-
 როტისათჳს ახოვან და კეთილისათჳს ჩუკენ.

უკუეთუ ვინმე იხილოს წარმატებად, მოშურნე არნ მისთჳს ბოროტად.
 რომელსა არა აქუს მოთმინებაჲ ფრიად, ავნებს იგი თავსა თჳსსა და ვერ შემძლე-
 60 ბელ არს იგი კეთილისა საქმედ. აწ უკუე ვისწრაფოთ ღუაწლთა მათ მოთმი-
 ნებად, ვითარცა იტყუს მოციქული: დაუთმოთ განსაცდელთა, რადთა ვცხონ-
 დეთ ჩუენ უფლისა მიერ ღმრთისა ჩუენისა.

უშფოთველობისათჳს : თ' :

ნეტარ არს კაცისა მის, რომელი მწრაფლ არა აღმ(339)ფოთონების და არცა
 შეიწყნარებს მჭურვალებასა გულის წყრომისასა, რამეთუ არს იგი მშუდობისა მე-
 65 ძიებელ. ყოველმან, რომელმან განდევნა შფოთისა სიყუარული, არს იგი

1 ~ გამოვიძიოთ აწ B; რაოდენი B. 4 იგი — B. 5 სიყუარულითა] + მავნებელსა აკურ-
 თხენ B. 6 ულოცავნ B. 8 ~ მიღებამოცემასა B. 17 U] თავი U B. 18 ვაგებასა B. 19 მათა B;
 მოთმინებაჲ] + რ წარწყმდის იგი, რომელსა არა აქუს მოთმინებაჲ B. 27 იხილის თუ ვინმე
 წარმატებად B. 29 არს იგი] არს B; ~ ვისწრაფოთ აწ უკუე B. 30 დაუთმეთ B. 32 თ] თავი
 :თ: B. 33 კაცისა მის] კაცი იგი B. 34 მშუდობის მეძიებელ B.

1) ფსალმ. 39, 1.

ყოლადეე დაწყნარებულ და მდოვრ სულითა და მოხარულ გულითა და მხიარულ პირითა, რომელსა ესმეს სიტყუამ რისხვისაჲ და არა მწრაფლ აღშფოთნეს და არა მწრაფლ აღიძრას გულის წყრომად, არს იგი მოქმედ კეთილისა და სიმართლისა, შეუკრძალავს მას ენაჲ თუსი და არა მრავალსა ქარსა მიმოდპყეების და ყოველთა მიერ საყუარელ არს იგი.

რომლისა თანა არა არს შფოთი, არა სიტყუს მგებელ არს მოყუსისა და არა უხარინ უსამართლოსა ზედა და იმარხავნ სულგრძელებასა, და არნ იგი სამკვდრებელ სულისა წმიდისა. რომელსა არა უყუარს სული შფოთებისაჲ, არს იგი დედა სიყუარულისა და მშობელ სიმდაბლისა და მოყუსს მოთმინებისა და შემკობილ ყოვლითა საქმითა კეთილითა. რომელმან სძლო აღშფოთებისა, ქებულ არს იგი ყოველთა მიერ და ქრისტეს მიერ საყუარელ და ანგელოზთაგან დიდებულ, და არს იგი სამ გზის სანატრელ და ცოცხალ სულითა და ჯორციითა და გონებითა მარადის და უკუნისამდე.

(340) შფოთის მოყუარისათჳს :ო':

რომელსა ზედა უფლებულ არს სული შფოთისა და რისხვისაჲ, იგი მარადის გულ-მწყრალ არნ საქმესა ზედა კნინსაცა და დიდსაცა. ამისთჳს იტყუს წმიდაჲ წერილი, ვითარმედ გულ-მწყრალობამან კაცისამან სიმართლჳ ღმრთისაჲ არა კმნის, და ქეშმარიტად საწყალობელ არს კაცი იგი, რომელი ესრეთ ძლეულ არს სულისა მისგან მრისხანებისა. ვითარცა წერილ არს, ვითარმედ: გულ-მწყრალი მკლველ არს სულისა თუსისა და არს იგი მარადის შფოთ და მწუხარე და გულის წყრომითა გუამი მისი დადნებინ და სული მისი განკვდებინ ფერი პირისა მისისაჲ მარადის ყუთელ არნ და გული მისი შერყეულ და გონებაჲ შეშფოთებულ და არნ-ცა იგი მოძულებულ ყოველთა კაცთა მიერ. რამეთუ არა აქუნ მას სულგრძელებამ და სიყუარული და კნინისა საქმისათჳს აღგზნის იგი მრავლის მეტყუელებად. და შეჰკნინდის იგი ცუდთა და უნდოთა რამეჲ საქმეთათჳს კაცსა მართალსა და ცრუსა. ეყუარებინ გინებაჲ კაცთაჲ და იგემოვნებ სხვსა განკითხვასა. რამეთუ არნ იგი მშუდობისათჳს ჩუკენ და ბოროტისათჳს ახოვან. და ჯერ-არს გლოვამ ესევითარსა ზედა კაცსა (341) შფოთის მოყუარესა და ლოცვამ და მარადის კრძალვამ ბოროტთა მათ ვენებათა.

1 ყოლადეე] — B; დაწყნარებით B. 2 ესმის B; მსწრაფლ B. 3 არა მწრაფლ] — B. 4 და შეუკრძალავს B; თუსი] მისი B. 6 არს] არნ B. 7 ზედა] + ა'დ იხარებნ მშუდობასა ზედა B. 12 ცოცხალ] ცხოველ B. 13 ჯორციითა] + გულითა B; მარადის და] — B. 14 ი' თავი ი' B; შფოთებისაჲ B. 16 ~ იტყუს ამისთჳს B. 17 გულ-მწყრალობამან] გულის წყრომამან B; სიმართლე A, სიმართლე B. 19 ე'დ] + კაცი B. 20 მარადის] — B. 21 დადნების B. 24 და არცა სიყუარული B. 26 ეყუარებინ] ემოყურებინ B; გინებაჲ კაცთაჲ] და გინებასა კაცთასა B. 27 და სხვსა B.

სიმშვდისათჳს ი^ა:

ნეტარ არიან მშვდნი ქეშმარიტად, რამეთუ უფალი ჩუენი იესუ ქრისტე მისცემს მათ ნეტარებასა და იტყჳს: „ნეტარ იყენენ მშვდნი, რამეთუ მათ დაიმკჯდრონ ქუეყანად“ ¹⁾. რად უკუე უდიდეს არს ამის ნეტარებისა ანუ რომელსა სიხარულსა მიიწიოს კაცი უფროას მისსა, რომელმან დაიმკჯდროს სიწმიდისა იგი ქუეყანად. და კუალად თქუა უფალმან ესაია წინაწარმეტყუელისა მიერ: „მე ვისმე მივხედო, არამედ მდაბალთა და მყუდროთა და რომელნი ძწოდიან სიტყუათაგან ჩემთა“ ²⁾. და რამე უფროას არს ალთქუმისა ამის და პატივისა, რომელსა-იგი ღმერთმან წყალობით მიჰხედოს.

- 10 აწ უკუე მოსწრაფე იყვენით, ძმანო ჩემნო, რადთა არა თანა-წარგდეს ესევეთარი ნეტარებად და სიხარული მიუწდომელი და მოიგეთ სიმშვდე და მყუდროებად. რამეთუ კაცი მშვდი და მდაბალი შემკულ არს ყოვლითა საქმითა კეთილითა, რამეთუ მშვდნი შეურაცხებასა მოთმინე არიან და გინებასა უხარინ და, თუ ვინმე შეაწუხის, ულოცაენ, და მრისხანესა დაამშვდებნ მყუდროებით
- 15 და სიყუარულით, და სიყუარულსა მისსა ზედა შეუორგულებელად ჰგიედ. მსახურებასა უცონილ არნ [და] (მ⁴2) სიმდაბლესა ზედა უხარინ, და ამპარტავანებამან არა პოვის ადგილი მის თანა. უკუეთუ ვისგანმე იდიდებინ, არა აღზუავნის და, თუ იქის, არა განდიდნის, რამეთუ კაცთ მოთნებად განშორებულ არნ მისგან და ბოროტი არა მიეხის, და განკითხვად მოყუსისაჲ არა
- 20 შეიწყნარის. სძულნ მას შეურაცხებად ძმისაჲ და ცუდის მეტყუელებად სძაგნ, და ჰყუარობნ ყოველსა კეთილსა საქმესა და სათნოებასა ღმრთისასა კეთილად შედგომილ არნ.

მისთჳს, რომლისა (თანა) არა არს სიმშვდე ი^ბ:

- ჯერ-არს უკუე, ძმანო ჩემნო, გლოვად და მწუხარებად მისთჳს, რომლისა
- 25 თანა არა არს სიმშვდე, რამეთუ სავსე არს იგი ყოვლითა მედგრობითა, და უკეთურებითა, და სული წმიდაჲ იტყჳს ეგევეთარისათჳს, ვითარმედ: „ნუ გშურნ უკეთურთად, რამეთუ უკეთურნი აღრე მოისრნენ“ ³⁾. და კუალად უფალი იტყჳს, ვითარმედ: „კაცმან უკეთურმან საუნჯისაგან გულისა თჳსისა გამოიღის ბოროტი“ ⁴⁾, რამეთუ კაცსა უკეთურსა ეშმაკი არა უქმს, რამეთუ იგი თუთ თა-
- 30 ვისა თჳსისა ეშმაკ არს.

აწ უკუე მლჳძარე იყვენით, რადთა არა გეუფლოს თქუნენ ვნებაჲ ესე და მისსა შემდგომად თავსა თჳსსა აბრალებდეთ. (მ⁴3) კაცსა უკეთურსა მარადის

1 ი^ა] თავი ი^ა B. 2 ნეტარ... ქეშმარიტად] ნეტარ არს კაცისა მის, რ^ი მშვდ არს B. 3 მათ] მშვდთა B. 4 იგი რად B. 5 მისა B. 6 ესაიას მიერ წინაწარმეტყუელისა B. 7 ვისმე] ვის B; და მყუდროთა] მყუდროთა B; ძწოდიან B. 8 და რამე] რამე B; ამის] მის B. 9 მიხედის B. 10 ~ ძმანო ჩემო, იყვენით აწ უკუე მოსწრაფე B: წარგუდეს B. 13 არიედ B. 15 ჰგიენ B. 16 უცონელ B. 17 იდიდის B. 19 არა მიეხის] არა ოდენ მიეხის B. 21 კეთილისა B. 23 ი^ბ] თავი ი^ბ B. 32 მისა B; თავთა თჳსთა B.

1) მათე 5, 5. 2) ესაია 66, 2. 3) შდრ. ფსალმ. 36, 1-2. 4) ლუკა 6, 45.

უხარინ ბოროტსა ზედა, რამეთუ სავსე არნ ზაკუვეითა და მედგრობითა, მარადის შფოთ არნ, მარადის ირისხეინ, მარადის მოწყინე არნ, მარადის მოშურნე არნ, მარადის მასმენელ არნ. უკუეთუ მსახურება ებრძანის, ურჩ ექმნის. უკუეთუ ვინ სიტყუა-უგის, აღშფოთნის. უკუეთუ ჰკითხის რადმე ვინ, ბოროტისა განმზრახველ ექმნის. უკუეთუ ვინმე წარმართებულად იხილის, დაუმძიმდის. უკუეთუ ვინმე ქველის საქმედ იხილის, დაჰქსნინ და ყოლადვე ყოველთა მამფოთებელ არნ. სწუნობნ წრფელთა და ჰბასრობნ მდაბალთა, ეკიცხვენ სულგრძელთა, ჰყუედრინ გლახაკთა და ავინებნ უცხოთა, და შემწე არნ ბოროტის მოქმედთა და არნ იგი ლოცვასა სულ-ნოკლე, მღვდარებასა მოწყინე, მარხვასა დაქსნილ და ყოველსავე კეთილისა საქმესა უძლურ. და ქეშმარიტად საწყალობელ არს, რომლისა თანა არიან ესევეითარნი ვნებანი.

ქეშმარიტებისათჳს :ივგ:

ნეტარ არს კაცისა მის, რომელმან მოიგო მარადის ქეშმარიტება და არა ეუფლოს მას სული სიცრუვისაჲ. სამ გზის სანატრელ არს, რომელი იქმს ქეშმარიტებასა, რამეთუ ღმერთი ქეშმარიტ არს და სიცრუე არა არს მის თანა. და ვინ არა ჰნატრიდეს (ჰ44), რომლისა თანა არს ქეშმარიტება, რამეთუ მსგავს არს იგი ღმრთეებისა ქეშმარიტებითა.

რომელი ეძიებს ქეშმარიტებასა, სათნო არს იგი ღმრთისა და კაცთა, რამეთუ ნრავალთა სარგებელ ეყვის იგი ქეშმარიტებით. არავის თუალ-ახუნის და არცალა კაცთა სათნოებისათჳს რას იქმნ, და არცა პატივისა და ღიღებისათჳს ცრულ განბჳის ვისთჳსმე, და სამართალსა ზედა არცა მდიდარსა შემწე ეყვის და არცა გლახაკი უგულღელს-ყვის. და შემკულ არნ იგი ყოვლითავე კეთილისა საქმითა, და ნეტარ არს, რომელი მარადის იმარხავს ქეშმარიტებასა და სამართალსა.

სიცრუვისათჳს :ივდ:

ვაჲ არს კაცისა მის საწყალობელისა ცრუვისა და მზაკუვარისა და მტყუვარისა, რომელი მსგავს არს ეშმაკისა, რამეთუ ეშმაკი დასაბამითან მტყუვარი არს, და ყოველი ტყუვილი და სიმწარე თესლისა მისისაგან აღმოცენებულ არს. და არს იგი მოძულეზულ ღმრთისაგან. და ვინმე არა სტიროდის და მისცეს ვაებაჲ ცრუსა და მტყუვარსა, რამეთუ არა ოდეს წარემართის საქმე მისი კეთილისა მიმართ, კაცი მტყუვარი მარადის მაგზებელ არს ძმათა შორის შფოთისა და ლალვისა, და არს იგი განმლეველ სათნოებისა, ვითარცა გესლი

4 ვინ] ვინმე B; რადმე] რად B. 5 ~ იხილის თუ ვინმე წარმართებულად დაუმძიმდის B. 7 და ეკიცხვენ B. 8 და ჰყუედრინ B. 10 დაქსნინ B. 11 არედ B. 12 ივგ] თავი ივგ B. 13 კაცი იგი B; რწ მარადის მოიგო B. 17 ღმრთეებასა B. 20 არცალა] არცა B; სათნოებისათჳს რას იქმნ] სათნო ეყვის B. 25 ივდ] თავი ივდ B. 29 და ვინმე] ვინმე B; სტიროდის და]—B. 30 საქმეჲ A, საქმე B. 32 შფოთსა B; ლალვასა B; იგი]—B; განმლეველ] + იგი B.

რკინისა. რამეთუ ტკბილად ისმენნ სიტყუასა და შეჰძინის ბოროტნი სიტყუანი ტყუელით და მიმოჰქონედ (ჰ45) ზრახვანი საშფოთებელნი და ვითარცა ძლუნესა სათანადოსა მიუძღუნებნ გულსა წრფელთასა და ალაგზნებნ მათ მანკიერებად, და იგი იხარებნ ამას ზედა. *

- არა არს წყლულებად უბოროტეს წყლულებასა სიცრუვისა და ტყუელისასა. ამისგან დაიცვენით თავნი თჳსნი, ძმანო, და ნუმცა გეუფლების თქუენ სული სიცრუვისაჲ.

მორჩილებისათჳს :ი“:

- ნეტარ არს ჰეშმარიტად კაცი მორჩილი და უზაკუველი, რამეთუ მსგავს არს იგი მოძღუარსა თჳსსა უფალსა ჩუენსა იესუ ქრისტესა, რომელი-იგი მორჩილ იქმნავე სიკუდიდმდე. ნეტარ არს, რომელმან მოიგო მორჩილებად, რამეთუ მან მოიგო სიმდიდრე პატიოსანი,

- რომლისა თანა არს მორჩილებად, უკუეთუ რასმე ებრძანის, არა ურჩ ექმნის და, თუ ვინმე შეჰრისხნის, არა აღშფოთნის. და, თუ იგინის, არა სიტყუა-უგის, რამეთუ განჰზადებულ არნ ყოველსავე საქმესა კეთილისასა საქმედ. ყოველი განსაცდელი, რომელი მოიწიის მის ზედა, მადლობით შეიწყნარის იგი ღმრთისაგან. არა იცვალეზინ ადგილითი-ადგილად და არცა მონასტრითი-მონასტრად. უხარინ შრომისათჳს, ჰყუარობნ მასწავლელთა, და ადგილსა, რო-ზელსა დაეწესის, არლარა განეშორის ვიდრე სიკუდიდმდე. არავის ძმათაგანსა შეურაცხ-ჰყოფნ და არცა უზუცესსა. და მოძღუარსა განიკითხვენ. არა უხარან განსუენებისათჳს და არცა შეწუხნის კირისათჳს.

(ჰ46) მრავალ არს მადლი მორჩილთაჲ, ვითარცა იტყჳს მოციქული, ვითარმედ: დიდ არს ნაყუფი მორჩილებისაჲ და ნეტარ არს, რომელმან მოიგოს იგი.

ურჩებისათჳს :ი“:

- მარადის უბადრუკ და საწყალობელ არს, რომლისა თანა არა არს მორჩილებად რამეთუ დრტყნავნ იგი ყოვლისათჳს მარადის. მონაზონი ურჩი და მჩივანი ფრიად მკენებელ არს ადგილსა და დამაბრკოლებელ ძმათა. მონაზონსა ურჩსა უკუეთუ ებრძანის რაჲმე, არა ქმნის, არამედ სიტყუა-უგებნ და არასადა კეთილისა საქმესა წარემართის, და რომელნი იქმანედ მათ, აბრკოლებნ და ურჩებით სიტყჳს-გებასა ასწავებნ. მცონართა უშუელინ და მოწყინეთა შე-ეწევიან და ყოველთა დაჰქსნინ, და განდგომილებასა ასწავებნ. და ურჩისა და მცონარისა საქმე არა ოდეს წარემართის, ვითარცა იტყჳს წერილი. უკუეთუ

1 რკინასა B; შესწინნის B. 2 მიმოჰქონიედ B| სიხარულით B; საშფოთველნი B; და|—B. 3 ძლუნენი B; სათანადონი B; მოიძღუნებოდრედ B| მის მიერ B. 4 ზედა| + ძმანო ჩემო ვერძალენთ აწ უკუე მიზეზთა ცოდვისათა, დიდთა და მცირეთა, რაჲთა არა განვიხსნეთ სამწყსოთა მათგან ქვსთა, ად ღირს ვიქმნეთ შესლვად სასუფეველსა ცათასა, ნების-ყოფელთა მისთა თანა, რომლისაჲ არს დიდებად და პატივი და თაყუანის-ცემაჲ და მადლი აწ და ე“ს და უკითი უკე, ამენ B.

* ამას ქვემოთ B-ს ამ თავის გაგრძელება არ მოვაპოვებთ.

წარივლინის ვიდრემე მცონარი, იწყის მიზეზობად და იტყუნ, ვითარმედ: გზასა ზედა ლომი არს და ავაზაკნი მზირიან. და უკუეთუ ლოცვად აღადგი-
ნებდე, აღშფოთნეს და მუცლისა ტკივილი მიზეზ-იდგას და თავი ილმოს. და
თუ ასწავებდე, გრქუას: თავსა შენსა ასწავე ვიდრე ჩემდა სწავლადმდე, ჩემოვს
შენ არა მოგეწადების; ვითა ღმერთსა უბრძანებთეს, ეგრე ყოფად ვარ; ნეტარ
თუმცა შენ ჩემ ოდენ იცოდე, რაჲ ჯამს. უხარინ განსუენებასა ზედა (ჰ47) და
მწუხარე არნ შრომისათჳს, და მხიარულ არნ ტაბლისა დადგმასა და წუხნ მარ-
ხვისათჳს. ასმენნ ერთიერთსა და შეჰკრებნ და თხზავენ შფოთსა და მანკიერებასა,
და დაჰქსნინ სიყუარულსა და ალაგზნებნ სიძულელსა.

ამისთჳს, ძმანო ჩემო, რუმცა ვინ თქუენგანი არს ურჩ და მღრტუნავე,
რომელი გებრძანოს მსახურებად მათაგან, რაჲთა ურჩებისა პატიჟთაგან
განერნეთ.

უშურველობისათჳს : 6^წ:

ნეტარ არს, რომელი არა იძლია შურიტა და ჯდომითა, რამეთუ შური
და ჯდომად შეთხზულ არიან ურთიერთას, და რომლისა თანა არს ერთი მათ-
განი, ორივე მის თანა არს. ნეტარ არს, რომელი არა შევარდა საფრჯესა
შურისასა, რამეთუ რომელსა ჰმურდეს კეთილი მოყუსისაჲ, იგი ეშმაკთა თანა
დაისაჯოს. და რომელსა აქუს შური საეშმაკოჲ, ოდეს იხილის მმაჲ თჳსი დი-
დებულად პატივსა შინა, აქუნ მას მტერობად და სიძულელი და ყოველი ბო-
როტი.

უკუეთუ ვინმე იხილის წარმატებად, დაუმძიმდის და ჰგმობნ მანკიერე-
ბით. ხოლო რომელსა არა აქუნ მანკიერებაჲ საეშმაკოჲ, ოდეს იხილის მმაჲ
თჳსი წარმატებად, უხარინ, და ოდეს იხილის ძმაჲ თჳსი დიდებულად პატივსა
შინა, მიქიარულ იქმნის მისთჳს, და ყოველსა კაცსა ჰხედავენ უფროჲს თავისა
თჳსისა და უპატიოსნეს, (ჰ48) და თავსა თჳსსა ჰხედავენ უდარეს ყოველთა
კაცთასა.

რომლისა თანა არა არნ შური, მოხარულთა თანა უხარინ მას და მოქ-
მედთა თანა შემწე-ეყვის კეთილისა საქმესა. უკუეთუ მმაჲ ვინმე იხილის დაბრ-
კოლებად, ჯელის ამპყრობელ ეყვის მას და განამტკიცებნ მას ძლიერად, და
უკუეთუ განსუენებად იხილის, არა შეასმენ[ნ]. და უკუეთუ ცოდვასა იხილის,
არა განგმის შეფურაცხებით და არცა განიკითხავენ, არამედ ასწავენ მოსწრა-
ფედ და მის თანავე ელმინ. უკუეთუ იხილის აღშფოთებულად, დააწყნარებნ
მშჯდობად სიყუარულით. და უკუეთუ იხილის მწუხარედ, მის თანავე მწუხარე
არნ და კეთილითა სიტყვთა ნუგეშინის-სცემნ მას. და თუ იხილის უცები, იგი
ასწავენ მას და განაბრძნობნ უშურველად. და უკუეთუ მძინარედ იხილის
ლოცვასა, სიყუარულით განალჳებნ და ასწავენ.

და ნეტარ არს კაცი იგი, რომლისა თანა არა არს შური და ჯდომად.

მოშურნებისათჳს : 107:

რომელი წყლულ არს ისრითა შურისაჲთა, არს იგი ყოლადვე უბადრუჳ: და თანა-მოდგამ და ზიარ ეშმაკისა, რომელმან-იგი შურისა მიზეზითა სიკუდილი სოფლად შემოიღო. რომლისა თანა არს შური და ჯდომამ, არს იგი ყოვლისავე წინააღმდეგომ (349) და არა ჰნებავს პატივი ვისიმე უფროჲს თავისა თჳსისა. და ოდეს ვინმე იხილის სულიერად წარმატებასა, შეურაცხ-ყვის და სწუნობნ. და უკუეთუ იხილის კაცი სათნოებასა შინა, ჰგმობნ და იჭუყულ-ყვის მდაბალი. და თუ ვინმე მმარხველად იხილის, იტყუნ მისთჳს, ვითარმედ: ამპარტავან არს. და თუ იხილის კაცი მღჳძარედ და მეტყუელად, იტყუნ მის-
 10 თჳს, ვითარმედ: კაცთა ეჩუენების. უკუეთუ ვინმე იხილის მოსწრაფედ მსახურად, იტყუნ მისთჳს: ესე მუცლისათჳს ჰმსახურებს და ჰებასა ეძიებს. და თუ იხილის ვინმე წიგნის კიხხვად, თჳს, ვითარმედ: მოკალე არს იგი.

მოშურნესა არასადა უხარინ წარმატებაჲ კაცისაჲ, რამეთუ გული მისი მარადის სავსე არს მწუხარებითა და გუამი მისი განილევინ და ძალი მოაკლ-
 15 დებინ, და ყოველსავე იგი თუალითა ბოროტითა ჰხედავენ, და თუალთ-აღებნ, დღეს ამის თანა არნ და ხვალე იმის თანა, ყოველთა თანა იცვალებინ და მისგან იშვის მტერობაჲ და სიძულილი. ამისგან ვიელტოდით, საყუარელნო, რამთა არა ნაყოფსა მისსა ვეზიარნეთ.

(350) არამაგინებელთათჳს : 108:

ნეტარ არს კაცისა მის, რომელმან ენითა თჳსითა არა აენოს სულსა-
 20 თჳსსა, არამედ გულისჳჳმა-ყოს, ვითარმედ ყოველთავე საშჯელი თანა-გუაჯ, სიტყუათათჳსცა ცუდთა. ნეტარ არს, რომელი არა იგემოვნებდეს სიტყუასა. გინებისასა და არცა სმენაჲ მისი ეყუარებოდის. რომელი არა იგინებოდის. პირითა დაუტავს მას თავი თჳსი ვნებისაგან დიდისა. ამან არცა პირი თჳსი-
 25 შეიგინა, არცა სხუათა საფრეჳ ექმნა. რომელი ევლტოდის გინებასა, იგი მძღუ ექმნას გუნდსა ეშმაკთასა. ყოველმან, რომელმან არა ასწავა გინებაჲ ენასა-თჳსსა, მან მოიგო საფასე წარუვალნი. რომელი არა სძაგებდეს მოყუასსა თჳსსა. და არცა იგინებოდის, ესე თავისუფალ არს კაცის-კლვისაგან.

რომელსა არა ეუფლა გინებისა ეშმაკი, მან დაიცვა თავი თჳსი შეუგი-
 30 ნებელად. რომელი არა ემოყუსოს მაგინებელთა, ემოყუსოს იგი ანგელოზთა: რომელმან არა მოიგონოს გინებაჲ გონებასა, სავსე არს იგი სიყუარულითა. რომელმან არა შეიგინოს პირი თჳსი გინებითა, სავსე არს პირი მისი ნაყოფითა-სულისა წმიდისაჲთა. სამ გზის სა(351)ნატრელ არს, რომელმან დაიცვა ენაჲ თჳსი გინებისაგან.

მაგინებელთათჳს : 109:

რომელი აყუედრებდეს და აგინებდეს კაცთა, ესე უეპუელად შთავარდეს-
 35 მასვე, რომლისათჳსცა აყუედრებდეს მოყუასსა; რომელი სხუასა აყუედრებდეს, აყუედრებს იგი თავსა თჳსსა, რამეთუ არს იგი ჳორციელვე და შეთხზულ: სოფლისა ცხორებასა. რომელი აგინებდეს და აყუედრებდეს სხუასა, არს იგი-

აუთ უბადრუკ და საძულელ და კაცის-მკლველთა თანა დაისაჯოს იგი. ზოლო რომელსა თანა არს შიში ღმრთისაჲ, გონებაჲ მისი მარადის მის თანა არს, არა უხარის სხვსა გინებაჲ და არცა ვის აუუედრ[ებს]. ზოლო რომლისა თანა იყოს ჩუეულებად გინებისაჲ, ვად არს საწყალობელისა მის და ღირს არს იგი გლოვისა, რამეთუ არარად არს უბოროტეს გინებისა. ამისთვის უკუე პავლე მოციქული იტყუა: „არცა მაგინებელთა და მაუუედრებელთა სასუფეველი ღმრთისაჲ ვერ დაიმკვდრონ“ ¹⁾.

კრძალულებისათჳს :ქა:

სამ გზის სანატრელ არს კაცი იგი, რომლისა თანა არს კრძალულება, [რამეთუ] კრძალულებითა [ცხ]ონდების კაცბ. ისმინეთ უკუე: „მანო ჩემნო, რადენსა შინა საქმესა სავმარ არს კრძალულება კაცისათჳს: კრძალუად ნებასა ბოროტსა და კრძალუად (ჰმჰ) მრავლის მეტუუელებასა ცუდისა სიტყუასა და გინებასა და უუედრებასა და წყევასა, და არა ზრახუად ყოლადვე, რომელი არა ჯერ-არს; და შესმენისაგან მოყუსისა, რადთა არაეინ შეურაცხ-ყოთ და არცა საიღუმლოჲ ვისი განუაცხადოთ. დაკრძალუად სმენისაგან და არა მიუ-პყრათ სასმენელი ცუდის მეტუუელებასა; და შეკრძალუად თუალთაჲ, რადთა არა იხილონ შეუენიერებაჲ სხვსა, რომელი არა ჯერ-არს, არცა სარგებელ არს ჩუენდა.“

კრძალუად შოთისაგან და გულის წყრომისა; კრძალუად ცუდად დიდებისაგან და პატივისა და ქებისა; კრძალუად გულის-სიტყუათაგან ბოროტთა, რადთა არა მისდრკე მათდა მოგონებითა და არცა იგემოვნებდე გონებასა შენსა; კრძალუად საკმელთაგან, რადთა არა ეძიებდე გემოანთა საკმელთა და არცა უჟამოდ შუამდე რას და არცა დაემორჩილო უძღებისა ეშმაკსა.

კრძალუად სასუმლისაგან, რადთა არა უსაზომოდ ჰსუმიდე თჳნიერ შიშისა ღმრთისა და არცა ეძიებდე ტკბილთა და გემოვანთა სასუმელთა და არცა ჰსუმიდე უძღებებით არა ზოლო თუ ღუნოსა, არამედ წყალსაცა. კრძალუად სიძვისა ეშმაკსა, რადთა ყოლადვე დაიცვ(ჰმჰ)ნეს შენნი და არა მიადრკე და ტკბილად ჰზრახვიდე გულის სიტყუათა სიძვისათა, არამედ აღკრ-ასხნე ნებასა ჟორცთასა შიშითა ღმრთისაჲთა.

ამისგან რომელმან დაიცვეს თავი თჳსი, იგი მიემოხვოს კეთილთა მათ სიაუკუნეთა, რამეთუ არა ჰნებაეს მას შემკობად თავისა თჳსისაჲ ჟორციელად და არცა ეძიებნ ნელსაცხებელთა სულენლთა. და არცა იგემოვნებნ ქებისა სიტყუათა და არცა განაგრძვის ჴსენებაჲ დედათაჲ და საქმისა მათისაჲ, და არცა აღრევაჲ და ხილუად მათი ჰნებაენ, და არცა სიტყუს-გებაჲ მათ თანა და არცა თავს-იდვის ყოლადვე ხილუად მათი გონებითა წამსაცა ერთსა, არამედ დაიცვენ და ეკრძალებინ თავსა თჳსსა. რადთა მიიწიოს იგი განსასუენებელსა მას და სიხარულსა მიუწდომელსა.

¹⁾ I კორინ. 6, 10.

[209 v] უკრძალულობისათჳს] :კზ:

- რომელი არა ეკრძალებოდეს თავსა თჳს[ს]ა, მწრადულ ეუფუნნიან მას საქ-
მენი სასიკუდიინენი. რომელი არა ეკრძალებინ თავსა თჳსსა, უყუარნ მას გან-
სუენებად და იგემოენენ სიტყუათა კუდთა და ეძიებნ მრავალთა საქმელთა
და სასუმელთა, (მზჳ) და განსცხრებინ და იხარებნ ვსენებათა სასიარცხენთა.
და უნდოთა სიტყუათასა. და მარადის დაიწუებინ იგი გულის სიტყუათაგან
სიძვისათა, და დაუცადებელად და ურცხუნოდ ჰზრახავნ იგი მათ. ჰნებაენ მას.
დიდებად და უყუარნ პატივი, და მხიარულად ისმენნ ვსენებასა დედათასა, და
იმკობნ თავსა თჳსსა და იცხებნ სურნელთა საცხებელთა, და იცინინ და გან-
სცხრებინ და განსუენებულ არნ მას ზედა. და გონებასა თჳსსა გამოიწერნ
პირ-შუენიერებასა დედათასა და გულსა თჳსსა გამოიხატავნ, რეცა ჴელითა
შეიპყრობნ და აღრაცხავნ სირცხულისა სიტყუათა, [210] და შეიტყუბის იგი
და ასოთა თჳსთა შეახებნ საქმედ ბილწებისა და აღსრულებად ცოდვისა, და
რეცა ჰზრახავნ ხენეშთა სიტყუათა და შეეცინინ და უწამწამებნ, და ბუნებისა
თუალითა ჰხედავენ სამოსელსა და სამკაულსა მათსა, და ჴორცთა და ხატსა
მათსა განიციდინ და რეცა პირსა აკოცებნ ბაგითა თჳსითა და იგემოენენ
მდედრ სიტყუათა მათთა.

- ესე ყოველნი სიწბოძსა და სირცხულისა საქმენი გამოიხატინს გულსა
თჳს[ს]ა, რომელი არა ეკრძალებინ თავსა თჳსსა და არცა დაიცავნ გონებასა
თჳსსა ვნებათაგან. (მზჳ) და ოდეს ესმინ სიტყუად წიგნისაჲ სარგებელისათჳს,
შეიკმუხის პირი თჳსი, და ოდეს იხილის კრებული მამათაჲ შეკრებულად
სულთა სარგებელისათჳს, განგმნის იგინი და ჰბასრობნ. და ოდეს იხილის მა-
მასახლისი გინა მოძღუარი თჳსი მასწავლელად და შეკრძალვად სამწყსოსა
თჳსსა, იგი შფოთ არნ და ძკრსა უზრახავნ.
თუ ესმის სიტყუად მარხვისათჳს, შეწუხის; და ოდეს იხილის კრებული
მამათაჲ, შეშფოთინს. და თუ დაემთხვის კრებულსა დედათასა, განმხიარულ-
დის და იმიერ და ამიერ ექცევინ მათ და სიტყუთა ლალობისაჲთა სიცილით-
[v] და განცხრომით ჰზრახავნ მათ; უკუეთუ ლამე არნ, იღჳძებნ იგი, მოსწრა-
ფედ და გულს-მოდგინედ მეტყუელებნ ჴმასა თჳსსა და აშუენებნ ჟამობასა.
დაატკობნ ვალობასა, რაჲთამცა გემოვან ყო ვალობად და სათნო-ყყო დედათა-
და ოდეს მამათა თანა ლამის თევასა დაემთხვის, არნ იგი დაჴსნილ და მცონარ

1 თქმული მისივე უკრძალულობისათვის, თავი ოცდამეორე, გუაჴრთხენ ოჯ. C. 3 სა-
სიკუდიინენი) სიკუდილისანი C. 4 აგემოენენ C. 5 სასიარცხუინელთა C. 6 მარადის] — C; დაი-
წუებინ C; გულის-თქუმათაგან C. 7 ურცხუინოდ C; ჴრახავნ C. 9 თუისსა C. 11 თუი'სა C.
12 აღრიცხავნ] ჴრახავნ C; სირცხუილისა C. 13 თუისთა C; შეახ'ს C. 14 ჴრახავნ C.
15 ხედავენ C; მათსა) მისა C. 16 განიციდინ C; თუისითა C. 17 მდიდრ C. 18 სირცხუილისა C;
გულსა] + შ'ა C. 19 თუისსა C. 20 თჳსსა ვნებათაგან] ვნებათაგან C; სარგებელისათვის C.
22 სარგებელისათვის C. 23 თუისი C; თუისა C. 24 ძუირსა C. 25 მარხვისათვის C. 26 თუ]—C;
დაემთხუის C. 27 ამიერ C; იქცევინ C; სიტყუითა C; ლაღუბისაჲთა A. 28 ჴრახავნ C; ილუი-
ძებნ C. 29 მეტყუელებნ] + და ოხრიანედ აღუტეებნ C; თუისა C. 31 დაემთხუჳს C.

და მძინარე. სამ გზის უბადრუკ არს და საწყალობელ, რომელმან არა შეიწყნაროს და შეიკრძალოს თავი თუკი ვნებათაგან. (356) ამისთვის, ძმანო ჩემნო, ოდეს გესმეს ნაყოფი კრძალვისა და წარწყმედად უკრძალულოებისაჲ, ისწრაფეთ კრძალვად და დაცვად თავთა თქსთა.

ნეტარ არს, რომელი ეკრძალვის თავსა თქსსა მარადის სათნოებისათს ლმრთისა. და ნეტარ არს, რომელმან არა განარისხა ლმერთი საქმითა ბოროტითა. და ნეტარ არს, რომელი წარადის ჰმსახურებს ლმერთსა ქეშმარიტებით და სიმართლით და არა ეუფლა მას გულის სიტყუაჲ ბოროტი წარმწყმედელი სული. ხოლო რაჲმე ვყო მე საწყალობელმან ამან, რომელი ვაქებ და ვადიდებ ყოველთა სათნოებათა და კეთილისა საქმეთა და არცაღა ერთისა მათგანისა მოკმედ ვარ მე, არამედ დამილევიან დღენი ჩენნი ბოროტთა შინა საქმეთა, და ჩემ ზედა აღესრულების სიტყუაჲ იგი სახარებისაჲ [211], ვითარმედ: „შეკრიან ტურთი მძიმე და დასდვიან მჯართა ზედა უძლურთასა და მით თითქცა შეძრვაჲ არა ჰნებაჲ“¹⁾. ამისთვის გევედრები თქუნ, საყუარენო და ქრისტეს მოყუარენო ძმანო, რაჲთა გულს-მოდგინედ სათნო-ეყენეთ ლმერთსა და გონებათა თქუნთა გამოიწერნეთ ზემოთქუმულნი ესე სიტყუანი ჩემ გლახაისა და უსწავლელისანი, და ეკრძალნეთ მათ ყოველითა გულს-მოდგინებითა.

(357) ჰ ძმანო ჩემნო, რომელნი შედგომილ ხართ უღელსა ქრისტეს[ს]ა, ნუძცა შეუდგთ ნებასა ჯორცთა თქუნთასა, რაჲთა არა დღესა მას სარჩელისასა იხილენეთ სიტყუს მიმგებელ და შეუნდობელ მიგებასა მას კაცად-კაცადისასა საქმეთა მათთაებრ. ვაჲ მე უბადრუკსა ამას ჯანსა ზას, რომელსა არა მაქუს მიზეზი სიტყუს-გებისაჲ.

ნეტარ იყვენენ, რომელნი კადნიერად წარდგენ დღესა მას წინაშე ქრისტესა და მიიღონ კეთილი მისაგებელი საქმეთა მათთაებრ. ხოლო ვაჲ არს ჩემდა და მათდა, რომელნი სირცხულეულ ვიქმნნეთ დღესა მას უნდოჲსა და კნინისა საქმისათს, რომელნი არა ღირს²⁾ ვიქმნეთ შენდობასა ქრისტესგან ანჰარტავანებისათს და ურჩებისა უძღებებისათს და გინებისა, შურისათს და მრავლის მეტყუელებისა, ყუედრებისათს და[ე] ჯდომისა, რომელსა შენდობასა ღირს არიან ესევეთარისა მომქმედნი, ანუ რაჲ სიტყუაჲ მიცემად გვც, არა უწყი.

აწ უკუე ეკრძალნით, ძმანო ჩემნო, რაჲთა არა ამით მცირედთა საქმეთათს დავისაჲნეთ, ხოლო დიდთა ბრალთათს და მძიმეთა საქმეთა ვესაე

1 შეიწყნაროს] შეიწყალოს C. 2 და]—არა C; თუისი C; ამისთვის C. 3 უკრძალულებისა C; ისწრაფედი C. 4 თუისთა C. 5 ეკრძალვინ C; თუისა C; სათნოებისათუის C. 9 სულისა C. 12 შეკრიან] შეკრიბიან C. 13 ტურითი C. 14 საყუარენო და]— C. 15 ლმერთსა] ქესა C. 18 ქესა AC. 19 სასჯელისასა C. 20 ვერ სიტყუის-მიმგებელ C; კაცად-კაცადისა C. 22 სიტყუის გებისა C. 23 იყუნენ C. 24 მათთაებრი მათათუის C. 25 მათა C; სირცხულიეულ C; ვიქმნენით C. 26 საქმისათუის C. 27 ანჰარტავანებისათუის C; უძღებებისათუის C; და გინებისა, შურისათს]— C. 28 მრავალ-მეტყუელებისა C; ჯდომისა] გინებისა შურისათუის და ჯდომისა C. 30 გუი C. 31 ~ მცირეთა ამით C. 32 ბრალთა C; საქმეთათს C.

1) მათე 23, 4.

* ორი სტრიქონი წაპრილია

- ქრისტესა, ვითარმედ დაცულ ხართ მადლითა უფლისაჲთა. (358) ხოლო [მათ, რომელთა-იგი მცირედ ვხედავთ ჩუენ ყოველთა, საწუნელ გუგონიეს და ვპვინებთ, ვითარმედ მათთჳს არარაჲ მოგუეჲადოს ჩუენ. ხოლო ესე მრავლისა შრომისა წარმწყმედელ არიან და ჯოჯობხეთისა მომატყუებელ და საუკუნოდ
- 9 დამშჯელ.
- აწ უკუე ვეკრძალნეთ, ძმანო ჩემნო, მიზეზთა ცოდვისათა დიდთა და მცირეთაჲცა, რაჲთა არა განვისხნეთ სამწყსოთა მათგან ქრისტესთა; არამედ ღირს ვიქმნეთ შესლვად სასუფე[ვე]ლსა ცათასა ნების მყოფელთა მისთა თანა, რომლისაჲ არს პატივი და თაყუანის-ცემაჲ და მადლი აწ და მარადის, უკუნითი
- 20 უკუნისამდე, ამენ.

თქმუშული წმიდისა მჳრამისი სინანულისათჳს

- მო-ოდესმე-ვიდა ერთი ვინმე ძმათაგანი და პრქუა წმიდასა ეფრემს: ჳწმიდაო მამაო, მიჩუენ მე გზაჲ, რომლითა ვპოვო სინანული [212]. მიუგო მას წმიდამან ეფრემ და პრქუა: შეილო ჩემო, მე თჳთ-ლა თავადი ცოდვილ ვარ
- 15 ფრიად და არას ვასწავებ თავსა ჩემსა, და შენ ვითარ გასწაო, რომელსა მე არა ვიქმ? რამეთუ ცოდვანი ჩემნი უმრავლეს თმათა თავისა ჩემისათა არიან, ცოდვანი ჩემნი უფროჲს ქვშისა ზღუსა არიან, ცოდვანი ჩემნი უფროჲს მიწისა ქუეყანისა არიან, ცოდვანი ჩემნი უმრავლეს ცუართა ცისათა არიან, (361) ცოდვანი ჩემნი უფროჲს ყოველთა კაცთა არიან.
- 20 მე ხოლო მარტოჲ უბადრუკ ვიქმენ, მე არა დავიმარხენ მცნებანი შენნი, უფალო. მე უბადრუკი ცოდვათა ჩემთა უცხო მქმნეს წყალობათა შენთაგან, ღმერთო. მე დავამძიმენ ცოდვანი ჩემნი უმძიმეს ბრპენისა. მე დამნთქეს ცოდვათა ჩემთა მღუმესა ქუესკნელისასა. მე ცოდვათა ჩემთა განმაგდეს ბნელსა მას გარესკნელისასა. მე ცოდვათა ჩემთა განმაშორეს შენგან, უფალო. მე ცოდვათა
- 25 ჩემთა მიმამსგავსეს მონასა მას უკეთურსა, მე ცოდვითა ჩემითა ვერ გამოვიღე ნაყოფი სათნოჲ უფლისაჲ. მე ვერ გამოვიღე სიტკბოებისა ტევანი, რაჲთამცა განვიწმიდე, ვითარცა ვენაჯი და კეთილი მეყო მე. მე ცუდად და უნდოდ წამოვასრულენ ყოველნი დღენი ცხორებისა ჩემისანი უდბობასა შინა.
- მე არა მოვიტყენე ცუცხლი იგი უშრეტი და მატლი დაუძინებელი [ჲ] და
- 30 უკუდავი. მე არა მოვიტყენენ სატარჯველნი იგი საუკუნენი, მე, რომელმან არარაჲ მცნებათა შენთაგანი დავიმარხე, უფალო. მე დამძიმედა ტჯრთი ცოდვათა ჩემთაჲ უმძიმეს მათთა სიმძიმესა. მე ვერ შევიმოსე სამოსელი იგი შეილთა

2 გუგონიან C. 3 არაჲ C. 5 დამსჯელ C. 7 მათ ქრისტესთაგან C. 9 და უკუნითი C. 11 წმიდისა ეფრემისი] მისიჲ C; სინანულისათუის .C] + თაჲი კ' და მესამე, გუაკურთხენ ო'ო C; სინანულისათჳს| + თაჲი კ'ხ A, თაჲი თ' კ'სნ B. 14 თუით-ლა C. 16 არიედ B. 17 ქუიშისა C. 18 უმრავლეს] უფროჲს B; არიედ B. 19 უფროჲს] უმრავლეს B; კაცთასა C. 20 ~ ხოლო მე B. 21 მქნეს C. 22 ლ'ო|ო'ო B, + ჩემო BC. 23 მღუიმესა C. 27 ცუდად] მე ცუდად BC; წარვასრულენ C, 28 ყოველნი]—B; დღენი|+ჩემნი B; ცხურებისა C; ცხორებისა ჩემისანი]—B. 29 დაუშრეტელი BC. 31 ტუირთი C. 32 სიმძიმისა C.

სასუფეველისათაჲ. მე ვერ სადა მივემსგავსე წმიდათა ღმრთისათა. მე შევიმოსე
 ხახე და სამოსელი მართალთაჲ და (362) საქმენი მათნი განვიძარცუნე. მე
 ვერ სადა მოვიგონე სიკუდილი, თუ მოსიკუდიდ ვარ უკუნისამდე. მე არა-
 სადა ვზრუნევი გზისა მისთუხ წინამდებარისა, რომელსა ვერეინ განერების,
 თუმცა არა განელო იგი. მე არასადა ვიზრუნე საგზალი გზისა მისთუხ საუ-
 კუნოვსა. მე არა ვიზრუნე ზეთი პირველად დაღამებისა. მე ვერ შემძლებელ
 ვარ ზეცად ახილვად სიმართლისაგან ცოდვათა ჩემთაჲსა და ვერცა ვიტყუ:
 უფალო, უფალო, განმიღე კარი წყალობისა შენისაჲ. მე არა მაქუს კადნიერე-
 ბაჲ აღებად პირისა ჩემისა შენ წინაშე, უფალო, მე ვერ მოვიგე აღგილი საღ-
 გური წმიდათა შენთა თანა, უფალო. მე ვერ ვიპოვე შეილთა შენთა თანა ბო-
 როტად განგებითა საქმეთა ჩემთათა ჩემ შორის და შენ შორის, დაძმა-
 დებელო.

ვაჲ არს კაცისა მის, რომლისა გულის-თქუნაჲ მისი ცოდვასა შინა არს,
 ვითარცა-ესე ჩემი. [213] ვაჲ მისა, რომლისა გონებაჲ მისი სარკე ცოდვისა
 არს და მარადის მას შთაჰხედავს. ვაჲ არს მისა, რომელი ემსგავსოს მონასა
 მას ბოროტსა, რომელსა არწმუნა უფალმან მისმან ქანქარი ერთი ვეცხლი
 და არა სარწმუნო იპოვა მას ზედა, რამეთუ მო(363)თხარა და დაჰალა მან
 ვეცხლი იგი უფლისა თუხისაჲ ქუეყანასა.

ჴ ძმაო, ოდეს გესმეს შენ, ვითარმედ, უფალმან მისცა ქანქარი, ნუ ჰგო-
 ნებ ამას შეკრებისათუხ ოქროვსა გინა ვეცხლისა. რაჲემს გესმეს, ვითარმედ
 მისცა მონაგები, რამეთუ ამით სახითა მოასწავებს უფალი სიმარტივესა ბუნე-
 ბისასა, რომელი-იგი დაჰბადა პირველსა მას მამასა ჩუენსა ადამს შინა და შემ-
 დგომად მისსა შეილთა მისთა მისცა მადლი და წყალობაჲ და ნებაჲ და შე-
 ძლებაჲ. ხოლო მან რაჲემს მიილო ესე მადლი, მოთხარა ბოროტად გონებაჲ
 თუხი და დაჰფლა მას შინა მადლი იგი უფლისა თუხისაჲ და არა დაღჲა იგი
 საეაქროსა, და არცა ვის მისცა მონაგებისა მისგანი, რომელი არწმუნა
 უფალმან მისმან, რაჲთა მოართუას მას აღნადგინებითურთ, რამეთუ ბორო-
 ტად განიზრახა.

ვაჲ არს მის კაცისა, რომლისა ძიებაჲ მისი არს დიდებისათუხ და გან-
 სუენებისა ჯოროციელისა და არა ზრუნავს იგი და არცა სათნო-ეყო იგი დამ-
 ზადებელსა თუხსა. ვაჲ არს მისსა, რომლისაჲ ზრუნევაჲ მისი არს შეკრებისათუხ
 ოქროვსა და ვეცხლისა, [ჲ] რომელი არა დაადგრების ერთისა თანა, არამედ
 საუკუნესა სატანჯველსა მოატყუებს. ვაჲ არს მისა, რომელი დაწვების სა-
 რეცელსა ზედა ლბილსა განასუსუნებელად ჯოროცთა. (364) ვაჲ არს მისა,

4 მისგან C. 5 არასადა| არა BC; მისთუხის C. 7 ვიტყუი C. 8 ~ არა მაქუს მე B.
 9 საღგურად B. 10 თანა| + ოლო B. 14 ცოდვისა| ტუხისარა C. 15 შთაჰხედავს C; და მს მას
 შთაჰხედავს|—B; მისსა A; არს|—B. 16 მისმან| თუხმან B; აძოვა C. 19 შენ| თქუენ B; მისცა|+
 მონასა თუხსა BC; ჰგონებთ B. 21 ბუნებისასა| გონებისასა B. 23 მისა CB. 24 მიღლო C.
 25 თუხისაჲ C. 26 არწმუნა|+მას BC. 27 მისმან| თუხმან B. 29 დიდებისათუხის B. 31 თუი^რსა C;
 რომლისა BC; შეკრებისათუხის C. 33 მისსა A. 34 მისსა A.

- რომელი მოიტაცებს და შეჰკრებს სხვა მონაგებთაგან, რამეთუ სატაჯველი განწმადებულ არს მისა. ვაჲ არს მისა, რომელი იმოსების სამოსლითა ჩჩვლითა და ჰხედავს იგი გლახაკთა შიშულობასა და წუნობით განასხამს მათ. ხოლო რაჲამს იხილის მდიდარი სამოსლითა პატიოსნითა მჯდომარე ჰუნესა ზედა,
- 9 ვულს მოდგინედ ისწრაფინ მიგებებად მისა და მოწლედ ევედრებინ მას, რაჲათა-
 10 შეიყვანოს იგი სახედ მისა, და მრავალი პატივი წინა-უყვის, რაჲთამცა ნაც-
 ვალი ეზლო. ვაჲ არს მისა, რომელი იცხებს სულნელთა ნელსაცხებელთა,
 რამეთუ ყოველი გუამი ღისი სიმყრალესა შინა იყოს მერმესა მას საუკუნესა.
 ვაჲ არს მისსა, რომელი არა ჰგონებს მარადის სარჩელისა მისთჳს საუკუნოჲსა,
- 10 რომელი ელის ცოდვილთა.

- ხოლო ნეტარ არს მის კაცისა, რომლისა გონებასა დანერგულ არს, ვითარმედ სოფელსა ამას არავეინ დადგრომილ არს. და არცა მე დაეადგრო-
 ნეტარ არს, რომელი იტყუჳს გონებასა შინა თჳსსა: [214] ვაჲ მე, ვაჲ მე, რა-
 მეთუ ვცოდე წინაშე ღმრთისა და არა შევიწინანე. ნეტარ არს მისა, რომელმან
- 11 მოიგოს ზეთი პირველ ღამისა მოწვეწმადე, რომელ არს აღსასრული. ნეტარ
 არს მისა, რომელმან განიკურნა წყლულებად სულისა თჳსისაჲ. ნეტარ არს,
 რომელმან მოიგოს მკ(ჰჰ)ურნალი პირველ წყლულებათა მისთა განძნებამდე,
 რომელმან წამალი არღარა შეიწყნარის.

- ნეტარ არს მისა, რომელი იპოვოს კარსა ზედა ზეცისა მეუფისასა უწი-
 21 ნარეს დაწვევისა მისისა წინაშე პირსა მისსა, და ჰრეკდეს და არავეინ განულოს.
 ნეტარ არს მისა, რომელმან მზა ყო საგზალი გზისა მისთჳს საუკუნოჲსა. ნე-
 ტარ არს მისა, რომელმან მოიგნეს საქმენი კეთილნი, რომლითა სათნო-ეყოს.
 იგი ღმერთსა. ნეტარ არს მისა, რომელმან შეიყუაროს უფალი ღმერთი თჳსი.
 ყოველითა სულითა და ყოველითა გონებითა და ყოველითა გულითა თჳსითა და
- 21 ნებითა. ნეტარ არს, რომელმან შეიყუაროს მოყუასი, ვითარცა თავი თჳსი,
 რამეთუ იჳსნეს იგი უფალმან ცოდვათა და ბრალთაგან.

- ნეტარ არს მისა, რომელმან მკუდრად შეჰრაცხოს თავი თჳსი ყოველსა
 ეამსა, რამეთუ მკუდარნი არღარა ცოდვენ შემდგომად სიკუდილისა. ეგრეცა,
 რომელმან შეურაცხ-ყოს თავი თჳსი და სოფელი მოიძულოს, იგი არღარა
- 30 აღზუაენეს. ნეტარ არს, რომელმან ყოველსა ეამსა დაიცივნა მცნებანი უფლისა.
 თჳსისანი. [ჲ] ნეტარ არს, რომელმან ყო გონებაჲ თჳსი ტაძარ და სამკვდრე-
 ბელ ღმრთისა. ნეტარ არს, რომელი განათლდა გონებითა ქრისტეს მიერ

1 სხუისა C. 2 მისა] მისთჳს B; ჩჩულითა C. 3 ხედავს C; შიშულოებასა B. 5 მისწრა-
 ფინ C; მას] — B. 6 შეიყვანონ B; სახლსა თურსსა C; წინა უყოს C. 7 იხლო C, იხლვა B; ~
 ნელსაცხებელსა სულნელსა B; სურნელთა C. 8 მისა BC; საუკუნესა] + ვაჲ არს მისა, რომელ-
 მან შეურაცხ ყოს მოყუასი და განიკითხვიდეს ძმასა თჳსსა (თურსსა C) BC. 9 იგონებს B; სარ-
 ჩელისა] სასჯელისათუის და სატანჯველისა C, საშჯელისათჳს B; მისთჳს] — B. 12 დადგრომილ AC;
 დავადრგეთ AC. 13 არს] + მისა BC; იტყუის C; თურსა C. 14 მისსა B. 16 თუისსაჲ C.
 17 წყლულებისა მისისა B; განძნებასა B, განძიწინებამდე C. 20 და ჰრეკდეს] ჰრეკდეს B; არღარა-
 ვინ C; განულოს] + მას BC. 21 ყოს BC; მისთუის C. 23 მისა] — C; თუისი C. 24 თუისითა C.
 25 მოყუასი] + თჳსი BC; თუისი C. 26 ბრალთა მისთაგან B. 27 შეჰრაცხა B; თუისი C. 29 თუისი C;
 იგი არღარა აღზუაენეს] — A. 30 დაიციენეს C. 31 თუისისანი C; თუისი C; სამკუდრებელ C.

საუკუნოდ. ნეტარ არს მისა, რომელმან მოივარდინა კეთილნი საქმენი თვისნი პირველ დაწვევისა კარისა მოფარდულთაჲსა, და ეძიებდეს და არღარა პოვოს.. ნეტარ არს მისა, რომელმან მოიგნა (366) კეთილნი სათნოებანი ჟამსა ამას.

ჟ ძმანო ჩემნო, განვილუძოთ მძინარეობისაგან ჩუენისა პირველ დაწვეადმდე კარისა წინაშე პირსა ჩუენსა. ჟ ძმანო ჩემნო, განვილუძოთ პირველ ღამისა მოწვენადმდე. ჟ ძმანო ჩემნო, განვილუძოთ პირველ ბნელისა მის მოწვენადმდე განუნათლებელისა. ჟ ძმანო, განვილუძოთ პირველ მზისა დაბნელებადმდე ჩუენ ზედა. ჟ ძმანო ჩემნო, განვილუძოთ პირველ დღისა დაბნელებადმდე. ჟ ძმანო, განვილუძოთ პირველ ვარსკულაეთა დანოცვენებადმდე. ჟ ძმანო, განვილუძოთ პირველ ვედრებისა ამოაქმნადმდე. ჟ ძმანო, განვილუძოთ პირველ სინანულისა უქმ-ქმნისა. ჟ ძმანო, განვილუძოთ პირველ ცრემლთა ცულ-ქმნისა. ჟ ძმანო, განვილუძოთ პირველ მეოხებისა არღარა შეწირვისა, არცა შეწყნარებისა. ჟ ძმანო, განვილუძოთ პირველ სიკუდილისა მოწვევისა. ჟ ძმანო, განვილუძოთ პირველ სატანჯველთა მოწვევისა, [215] რომელთაგან ვერ განვერნეთ თუნიერ ტირილისა და გლოვისა. ჟ ძმანო, განვილუძოთ (367) პირველ მიწვენადმდე ჩუენდა ტირილისა მის დაუღუმებელისა. ჟ ძმანო, განვილუძოთ პირველ დანთქმადმდე ჩუენდა ზღუასა მას ცოდვისასა და სიღრმეთა ბრალისათა. ჟ ძმანო, განვილუძოთ პირველ შემოსამდე ჩუენდა სირცხვისა მის საუკუნოჲსა ცოდვათა ჩუენთათვის. ჟ ძმანო, განვილუძოთ პირველ სმენადმდე ჟმისა მის ცოდვილთა მიმართ, ვითარმედ: განმეზორენით ჩემგან, ჟ დაწყუელნო, და წარვედით ცეცხლსა მას დაუშრეტელსა, რომელი აღთქმულ არს თქუენთვის და ეშმაკისა და ანგელოზთა მისთა პირველ სოფლის დაბადებითგან საუკუნოდ.¹

ნეტარ არს, რომელსა ჰშიოდის ნეფსით თუსით, რამეთუ მან მოიღოს საზრდელი ცხოვრებისაჲ, ვითარცა თქუა ქრისტემან წმიდასა შინა სახარებასა: მე ვარ წყალი ცხოველი, რომელსა სწყუროდის, მოვედინ ჩემდა და სუნ ჩემ მიერ² 3). ნეტარ არს, რომელმან დაუტევა სოფლისა ამის განსუენებაჲ წარმაგალი, რამეთუ ვითარცა თქუა ქრისტემან, „მისცეს მას განსუენებაჲ წარუვალი“ 3). ნეტარ არს, რომელი შიშუელ იპოვა ცოდვითაგან ამის სოფლისათა და სამოსლისა მისისაგან, რამეთუ უფალმან შეჰმოსოს მას სამოსელი სულისა წმიდისაჲ და ანგელოზთაჲ. [21] ნეტარ არს, რომელი ივლტოდის კაცთაგან და მარტო

1 თვისნი C]—B. 3 ამას] მას B. 4 განვილუძოთ C; მძინარეობისაგან C; დაწვეადმდე C, დაწვეისა B. 5 განვილუძოთ C. 6 ~ მოწვენადმდე ღამისა C; განვილუძოთ C; ~ მოწვენადმდე ბნელისა მის C, ~ მოწვენადმდე ჩუენ ზედა ბნელისა მის B. 7 ძმანო] + ჩემნო BC: განვილუძოთ C; დაბნელებადმდე C. 8 ჩემნო] — A; განვილუძოთ C. 8-9 ძმანო] + ჩემნო BC. 9 განვილუძოთ C; ვარსკულაეთა B; დანოცვიენებადმდე C; ძმანო] + ჩემნო B; განვილუძოთ C. 10 ქმნადმდე C; განვილუძოთ C. 11 ქმნადმდე C; განვილუძოთ C. 12 განვილუძოთ C; შეწირვადმდე B; შეწყნარებად B. 13 განვილუძოთ C. 14 თუნიერ C. 15 გლოისა C; ძმანო] + ჩემნო C. 16 ჩუენდა] ჩუენ ზედა C; განვილუძოთ C. 17 მას] — AB; ძმანო] + ჩემნო B. 18 განვილუძოთ C; შემოსისა ჩუენდა B; სირცხვისა C; სირცხვლსა მას საუკუნესა B; ძმანო] + ჩემნო B. 19 განვილუძოთ C; სმენადმდე C] სმენისა B + ჩუენდა BC; მის] + უფლისა C. 20 უდა] + არა გიცნი B. 20 განმეზორენი C. 21 თქუენთვის C. 22 საუკუნოდ]—B. 23 შიოდის C; ნეფსით BC; თუსით C. 25 ცხოელი C. 26 სოფლისა ამის] სოფელი და B; განსუენებაჲ] + მისი B. 27 ქე] ონ BC. 28 იპოვა C.

1) მათე 25, 41. 2) იოანე 7, 37. 3) შდრ. მათე 11, 29.

იქმნეს ღმრთისათვის, რამეთუ ღმერთი ემოყუოს მას. (368) ნეტარ არს, რომელმან შეურაცხ-ყოს სიხარული ქორწინებისაჲ წარმავალი, რამეთუ იგი ღმრთისა თანა იხარებდეს. ნეტარ არს, რომელმან შეურაცხ-ყოს განცხრომაჲ სოფლისაჲ ამის, რამეთუ იგი ანგელოზთა თანა იხარებდეს. ნეტარ არს რომელი განეშორა საქმეთა ამის სოფლისათა მცირედ ჟამისათა და წარმავალისა, რამეთუ იგი იშუებდეს განასაუენებელთა მათ შინა საუკუნეთა, რომელი აღუთქუა ღმერთმან მოყუარეთა მისთა; რომელი ყურსა არა ესმა და თულმან არა იხილა და გულსა კაცისასა არა მოჴდა¹⁾. ნეტარ არა, რომელი ტიროდის ამას სოფელსა ცოდვათა თვსთათვის ყოველსა ჟამსა, რამეთუ იგი იხარებდეს მამისა და ძისა და სულისა წმიდისა თანა. ნეტარ არს, რომელი განათლებულ იქმნა აჲ კეთილითა საქმითა ღმრთისათვის, რამეთუ მას საუკუნესა იყოს იგი ნათელსა შინა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესა მიუაჩრდილებელსა.

ნეტარ არს, რომელმან აღმოიკითხნა საღმრთონი წიგნნი და საქმით აღასრულნა და სხუათაცა ასწავა; ამას დიდ ეწოდოს სასუფეველსა ცათასა. და მოგუეცინ ყოველთა ქრისტემან ძემან ღმრთისა ცხოველისამან გონებაჲ უბიწოჲ და სული წმიდაჲ [216] და საქმე კეთილითა სათნობათაჲ მეოხებითა წმიდისა ღმრთის მშობელისაჲთა. (369) და აწ ვევედრნეთ ქრისტესა, რაჲთა შემიწყალნ; და ღირს მყვნეს მარჯუენით მისსა წმიდათა და რჩეულთა მისთა თანა და ვადიდებდეთ მას თანა მამით და სულით წმიდითურთ აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამენ.

სწავლად წმიდისა მფრემისი სინანულისათვის

ჯერ-არს ჩუენდა, რაჲთა ეწუხდეთ მარადის, რამეთუ შეთხზულებაჲ ესე ცხორებისა ჩუენისაჲ დღითი-დღედ დაიშალები. რამეთუ აჲ ესერა დღენი მოსწრაფედ რბიან, რაჲთა განგჳყანნენ ჩუენ სოფლით და ჩუენ არა გუნებავს, რაჲთა მოსწრაფე ვიქმნეთ საქმედ კეთილისა, ვიდრე-ესე სოფელსა შინა ვართლა. და ესე დიდ მწუხარება არს, რამეთუ დღენი ჩუენნი მოაკლდებიან და ცოდვათა ჩუენთა შეემატების, ცხორებაჲ ჩუენი წარვალს და ბრალნი ჩუენნი განმრავლდებიან. და ესე მსგავს არს სახლსა უსართულოსა, რომელი მყის დაირღვს.

1 იქმნას C; ემოყოს C. 2 წარმავალისა B; იგი — BC. 5 წარმავალისათა C. 6 რ' აღთქმულ არს ღმრთისაგან C. 7 მისთათვის B; ~ რ' თულმან არა იხილა და ყურსა არა ესმა C. 8 მოჴდა BC. 9 თუისთათვის C. 11 ღმრთისათვის C. 12 ა'ვ C. 11-12 ~ ნათელსა მიუაჩრდილებელსა ო'რისა ჩ'ნისა ი'ვ ქრისტესსა B. 13 აღმოიკითხნა C; საღმრთონი C. 14 ასწავლნა C. 15 ცხოველისამან C. 17 ღმრთ-მშობლისაჲთა C; ქს] + ღმრთსა B. 18 შეგუიწყალნეს C, შეგუწყალნეს B; მისა BC. 19 და ვადიდებდეთ მის თანა მამით და] რ' მისი არს დიდებაჲ B. 21 წ'ისა ეფრემისი] მისივე B. 22 სინანულისათვის] + თავი კ'შ A, თავი ი', კ'სნ B. 24 დღითი-დღედ დაიშალები C. 25 განგუიყვანენ C, განგჳყანენ B. 26 შინაღა ვართ B. 30 დაირღვის C.

¹⁾ I კორინთ 2, 9.

ჯერ-უკუე-არს ჩუენდა, რაფთა ვითარცა-იგი ცხორებისა ჩუენისა დღეთა დააკლდების, დღითი-დღედ დავაკლდეთ ეგრეთვე ცოდვითა ჩუენთაცა. არამედ ცხორებაჲ ჩუენი განიბარვის და ჩუენ ვერ ვიგრძნობთ, დღენი და ღამენი მოსწრაფედ მორბედ არიან დაკლებისათვის [ა] ცხორებისა ჩუენისა და გუემლერიან ჩუენ, ვითარცა ყრმანი რაჲ იმღერიედ ბირთვთა მიმოგდებით. რამეთუ დღე მიგვკდებს ღამესა და ღამე მიგვკდებს დღესა, (370) და ჩუენ წარვემართებით გზასა შორსა და არა ვზრუნავთ ფერკთ შესასხმელისა და საგზლისათვის. რამეთუ ნებაჲ მონაგებთაჲ და სიხარული ხუასტაგისაჲ გუაცთუნებს და არა ვიურეთ საგზალსა გზისა მისთვის.

ხოლო ესე უწყოდეთ, რამეთუ ცხორებასა ჩუენსა მოაკლდების და ჩუენ უცნობელ ვართ. დღეს ეგოდენი არღარა გვც, რომელ გუშინ გუედვა, რამეთუ დააკლო ღამემან, რომელი მოვალს და წარვალს, და შენ უდებ ხარ და უცნობელ ამისთვის, ცხორებასა შენსა დააკლდების და სინანულსა არა შეემატების. უკუეთუმცა ყოველი საცხორებელი შენი წარაგე მოგებისათვის დღეთა შენთაჲსა. რომელ გუშინ გესხნეს, ვერ შემძლებელ ხარ, რამეთუ წარკდა გუშინდელსა თანა დღესა და არღარა უკუმოიქცევის. არა კუალად იქცეს წყაროჲ წყაროჲს თავადვე და არცა მზე კუალად იქცეს სამხრით აღმოსავალადვე, და არცა ვარსკულაენი კუალად იქცენ აღმოსრულნი, და არცა მოსწრაფედ სრბაჲ ბუნებათაჲ დასცხრეს. [217] და ესე ყოველნი წარსლვასა სოფლით გამხილებენ.

 უფლოს თქუენ და სირცხულმან დაგფარნეს თქუენ წინაშე ანგელოზთა ღმრთი-
 სათა და ყოველთა კაცთა. დასცხერით შფოთისაგან და ცუდად განრისხებისა
 და ურჩებისა და სიტყუს-გებისა, უფროდს-ლა თქუენ, კრებულო ჰაბუქთაო.
 5 სიმდაბლე მოიპოვეთ ყოვლითა ძალითა თქუენითა და ყოვლითა გონებითა
 დაემორჩილენით მოხუცებულთა და მოძღუართა თქუენთა, რადთა ესრეთ სათ-
 ნო-ეყვნეთ უფალსა ჩუენსა.

იყო ეამსა მას პირველთა მამათა ჩუენთასა კეთილი ფრიადი და განსა-
 სუენებელი მრავალი. ხოლო გასნიეს სამე, რადენი მჭურვალებად და მოწრა-
 10 ფებად მოეგო დაჯერებისათჳს ღმრთისა, სიმდაბლე დიდი და შრომაჲ ფრია-
 დი და მოთმინებაჲ ურ[ი]ცხჳ. ხოლო აწ დღეთა ამათ და ეამთა ჩუენთა მო-
 გვგიეს ურჩებაჲ, რისხვაჲ და გულის-წყრომაჲ, შური და ამპარტაყანებაჲ,
 (397) ჯორცთა განსუენებაჲ და სულისათჳს უდობობაჲ და დაქსნილობაჲ.

აწ უკუე მცირე და საწუნელ გგონიეს ესე სიტყუაჲ და ესე საქმენი, რო-
 15 მელსა შინა ვართ ჩუენ ეამსა ამას. და ნუ ჰგონებთ თავთა შინა [23] თქუენ-
 თა, ვითარმედ მი-რასმე-წდომილ ხართ კეთილისა საქმესა. რამეთუ რომელსა
 ჰნებაჲს განრინებაჲ სულისა თჳსისაჲ, ჯერ-არს მისა, რადთა მოიგოს შრომაჲ
 ფიცხელი და მოღუაწებაჲ ფრიადი. და ნუ ჰგონებთ, თუ რომელთა-ესე შეუმო-
 სიეს სამოსელი ცხოვართაჲ და თმაჲ დაქირებით მოუპარაჲეს, ვითარმედ ესე
 20 სოლო არს მონაზონებაჲ; გინა ოდეს იყოს კაცი ჯმელ გუამითა და უპოვარ
 ჯორცითა, იგი ხოლო არს მონაზონებაჲ; ანუ ოდეს იყოს კაცი კეთილად მე-
 ტყუელი და წიგნთა თარგმანი, ვითარმედ იგი არს სრულ, ნუ იყოფინ! არა იგი
 არს, არამედ რომელსა ჰქონან საქმენი კეთილნი მცნებისაებრ ღმრთისა, იგი
 არს მონაზონ, ამას-ლა ვიტყჳ, არა თუ სქემასა წმიდასა მონაზონებისასა შე-
 25 ურაცხ-ვჳყოფ (ნუ იყოფინ!), არამედ ჯერ-არიან სქემასა თანა საქმენიცა, რა-
 მეთუ სახე ოდენ თნიერ საქმეთასა ცუდ არს. და ნუ უდებ იქმნებით და
 ნუცა დაჰქნდებით, არამედ აღჯრ-ასხენით სიჰაბუქესა თქუენსა შრომითა დი-
 დითა, რამეთუ დალაკათუ სიტყუანი ესე ჩემნი შეგაწუბებენ და დაგიძძიმდე-
 ბიან, არამედ ეგრე მნებაჲს თქუენთჳს, რადთა (398) შეიწყნარნეთ სიტყუანი
 30 ჩემნი, ვითარცა წამალნი [ჟ] მტკივანნი, ადვილად მკურნალი წყლულსა ცოდ-
 ვისასა. და ნუ ჰგონებთ, ვითარმედ კაცთაგან დაფარულნი იგი ცოდვანი თქუენ-
 ნი, დაფარულ არიან წინაშე ღმრთისა, რომელსა არარაჲ დაეფარვის. მართ-
 ლიად გეტყჳ, რამეთუ დაფარულთა თქუენთა, რომელთა საიდუმლოდ იქმთ, იგი
 დავიდუმე დაწერად წიგნსა ამას შინა ამისთჳს, რამეთუ, უკუეთუმცა დავწერენ,

- 2 სირცხულიმან C; თქუენ] — C. 4 სიტყუის-გებისა C. 5 მოაპოვთ C. 7 ეყუნეთ C.
 9 მოსწრაფებაჲ CB. 10 დაჯერებისათჳს C. 11 ურცხუი C. 11-12 მიჯუიგიეს C. 13 სულისა-
 თჳსი C. 14 უკუე] + ნუ BC. 16 ხართ] ვართ C. 17 განრინებად B; თუისისაჲ C. 18 ფიცხე-
 ლი] — C. 20 ჯმელი C; უპოვარ A. 21 ჯორციელითა C. 23 ჰქუნან C. 24 მონაზონ] არს მონა-
 ზონ C; ვიტყუი C. 26 თუნიერ C. 27 აღჯრ- C. 29 თქუენთჳს C. 30 წამალი CB; მტკივანი CH;
 წყლულებათა ცოდვისათა C. 33 გეტყუი C; საიდუმლოდ C. 34 ~ დავიდუმე. იგი B;
 ამისთჳს C; რამეთუ] — C.

იელტოდეთ-მცა ყოველნი და არავენი თქუენგანი დაშთა ეამ ერთცა სირცხვ-
ლითა. არამედ მე გევედრები თქუენ, ძმანო ჩემნო, საყუარელნო, რაჟთა გა-
ნუქუთნნეთ თაენი თქუენნი მორჩილებასა და შეურაცხებასა და სიყუარულსა,
და ეკრძალენით ურჩებასა ურთიერთას, და მოიგეთ მარხვად და ლოცვად და
მღვძარებად. და ნუმცა ხართ ლალვისათვის მვენ და წიგნის კითხვისათვის უძ-
ლურ და დაქსნილ. და ნუმცა ხართ გულის-სიტყუათათვის ბოროტთა, ვითარ-
ცა მვეცნი, და ლოცვასა თუალ-დაწუხვილ და მძინარე, ვითარცა წარმართნი
უურველნი. ნუმცა ვართ ცუდთა სიტყუათათვის, ვითარცა ზუარაქნი, ძლიერ,
და ლოცვისათვის, ვითარცა მელნი, უძლურ და ვერაგ. და ნუმცა ხართ პასუ-
ხობასა უსაზომო და სულიერებისა სიტყუასა მოწყინე [236] და ნუმცა სიტ-
ყუათა ზედა (ჰჰჰ) ლალობისა და განცხრომისათა მზიარულ არიან პირნი თქუენ-
ნი და წიგნთაგან სწავლისა და მამათა ანდერზისა მწუხარე და უამ.

და ნუმცა ხართ დღისი მრთელ და ძლიერ გუამითა ნაყროვნებისა და
სიხარულისათვის და ღამისა ლოცვასა სნეულ და უძლურ. და ნუმცა ხართ მო-
ყუარე სხვსა მორჩილობასა, რომელი თქუენ უბრძანოთ, და მოძულე და ურჩ,
რომელი სხუამან გიბრძანოს თქუენ. ნუ წუნობის გიჩს თქუენ იგი და ნუმცა
ხართ გულს - მოდგინე და სწრაფით მისლვასა ტაბლისა დაგებასა, და უღებ
და მცონარე საქმესა შინა მონასტრისასა. და ნუმცა ხართ წინაშე ღედათა
მზიარულ და განმცხრომელ გულითა, და წინაშე მამათა და ძმათა თქუენთა
მკმუნვარე პირითა და მწუხარე გულითა, არამედ გევედრები თქუენ, მონანო
ღმრთისანო კეთილნო, რაჟთა აღიშურვოთ შური იგი კეთილი ყოველსა ზედა
საქმესა სათნოსა და საქებელსა, რომლითა აღეშენენ ყოველნი.

იქცეოდეთ ყოველსა შინა საქმესა თქუენსა სიმდაბლითა, სიყუარულითა,
სახიერებითა, სულ-გრძელებითა და ურთიერთას სათნო-ყოფითა; და რაჟთა
არა იცილებოდით საქმესა ზედა, [ჟ] რომელსა არა იყოს სარგებელი სული-
საჟ, არამედ შეუღეგით უცონილად (400) მარხვასა და ლოცვასა, რამეთუ ვერ
შემძლებელ ხართ ძლევად ვენებათა სულიერთა და ჯორციელთა თჯნიერ მარ-
ხვისა და ლოცვისა, და რაჟთა მითვე მოვიგნეთ კეთილნი იგი საუკუნენი, და
ნუმცა ვეძიებთ საქმეთა ქუეყანისათა, რომლითა დავიჭირვნეთ საქმენი ზე-
ცისანი.

აწ უკუე ვისწრაფოთ გულს-მოდგინედ, რაჟთა ნოვიგნეთ საქმენი იგი ზე-
ცისანი ღმრთისა მიერ. ჰე საყუარელნო, განვიღუძოთ ძილისაგან უღებებისა,
რამეთუ ზამთარსა ბოროტსა მოუცავთ და მტერი ჩუენი უხილაგი მარადის
კართა ჩუენთა ზედა დგას, რაჟთამცა ცხოველნივე შთამთქნა ჩუენ. განეეკრ-

1 სირცხვილითა C. 2 განუქუთნეთ C. 5 მღუიძარებაჟ C; ლალვისათუის C. 6 და ნუმცა
ნუმცა C; სიტყუათათუის C; ბოროტთა] + მღუიძარე C, მღვძარე B. 7 ლოცვისათუის C; - და-
წუხვილ A. 8 სიტყუათათუის C. 9 ლოცვისათუის C. 10 სულიერსა C. 12 სწავლასა C; ანდერ-
ძისა BC. 13 ხარ C; ნაყროვნებისა და]—B. 14 სიხარულისათუის] სიხარბისათუის C. 15 სხვისა C.
16 წუნობა გიჩნ B, წუნობის გიჩნს C; თქუენ]—BC. 18 მცონარ C. 22 აღეშენეთ B.
23 აქცეოდეთ C. 25 ჟუს C. 27 თუნიერ C. 27-28 ~ ლოცვისა და მარხვისა BC. 29 საქმენი]+
იგი BC. 31 არამედ აწ B. 32 განვიღუძოთ C. 34 შთამთქნეს B; ჩუენ]—C.

ძალნეთ უკუე ბრძოლად მისა, რაჲთა ესძლოთ და მოსაგებელი საუკუნოჲ მო-
ვიგოთ მეუფისაგან ცათაჲსა, რაზეთუ იგი ნრავალ-ფერითა ვერაგობითა.
გუბრძავეს ჩუენ. და ჩუენცა ეგრევე მრავალ-ფერითა საჭურველითა შევიჭურნეთ
და ძლიერად წინა-აღუდგეთ. უკუეთუ გუბრძოს ჩუენ ნაყროვნებითა, წინა-აღუდ-
გეთ მას მარხვითა. და უკუეთუ გუბრძოდის ჩუენ გულის-სიტყვათა სიძვისაჲთა
[237] ვჭბრძოთ ჩუენცა სიწმიდითა მოთმინებითა და დავიცენეთ სასმენელნი
ჩუენნი, და მუნთქუესვე ივლტოდის პირისაგან ჩუენისა. და უკუეთუ გბრძოს
თქუენ აღძრვითა გულის (401) წყრომისაჲთა, შეიჭურენით თქუენ სიმშუ-
დისა და სიმდაბლისა საჭურველითა. და უკუეთუ გბრძოდის თქუენ სიძული-
ლითა, ჰბრძოდეთ თქუენ სიყუარულითა. და უკუეთუ გბრძოდის დიდებისა და
პატივისა სიყუარულითა, თქუენ მოიხადეთ შეურაცხებაჲ და სიგლახაკე. და
უკუეთუ გბრძოდის ამპარტავანებითა და თავგედობითა, გამოიწერეთ თქუენ
გონებასა თქუენსა სიმდაბლჲ იგი მაცხოვრისა ჩუენისა იესუ ქრისტესი.

და უკუეთუ გბრძოდის თქუენ შურითა, მოიგსენეთ თქუენ დაცემაჲ იგი
კაენ მოშურნისაჲ. და უკუეთუ გეწყვებოდის თქუენ უძღებებითა და ნაყროვ-
ნებითა, მოიგსენეთ თქუენ ესავისი იგი შეურაცხებაჲ. უკუეთუ გეწყვებოდის
თქუენ განკითხვითა, დუმილითა წინა-აღუდგეთ მას. და უკუეთუ ჩუენ ფრთხილ-
ვიყენეთ და უცონილად წინა-აღუდგებოდით. მას დლითი-დღედ ამით საჭურ-
ველითა, რომელ ვაქსენენ, უეკუელად ივლტოდის იგი ჩუენგან და ვერ შემძ-
ლებელ იქმნეს იგი ვნებად ჩუენდა, და მყის მადლი ღმრთისაჲ მოიწიოს ჩუენ
ზედა.

გრწმენინ ჩემი, ძმანო ჩემნო საყუარელნო, [ჟ] ვითარმედ ესე საქმენი,
რომელ წარმოგიბრენ, უკუეთუ დაიძარხნეთ, ვერ შემძლებელ იქმნეს უხი (402)-
ლაგი იგი მტერი ძლევად თქუენდა და მის მიერ შეხვდეთ სასძლოსა მას ზე-
ცისა სიძისა უკუდავისასა და მის თანა სუფევდეთ სასუფეველსა მი[ს]სა საუკუ-
ნესა. და მადლობით ქებასა შევსწირვიდეთ მამისა და ძისა და წმიდისა სუ-
ლისა აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამენ.

თქუთულისა წმიდისა მორაგისი

გონივრებაჲ მონაჯონთა უღებთა და დაჯანითაჲ *

რომელი აბრალეზდეს სხუათა, ჯერ-არს მისა, რაჲთა არა იყოს იგი ბრა-
ლეულ. რომელი სხუათა ვანიკითხვიდეს, ნუმცა ვისგან განიკითხვის იგი საქ-
მეთა თჯსათაჯს. რომელი ამხილებდეს მომხუეჟელთა, ნუმცა ემხილების მას უსა-

1 ესძლოთ] † მას B; 3 ჩუენ და] — B; გრეთვე BC. 4 წინა-აღუდგეთ] † მას BC;
გბრძოს C, გუბრძოდის B; ჩუენ] — B; გულის-სიტყვათა] გულის-თქუებითა BC. 6 ვჭბრძოდით BC.
7 ივლტოდინ B; და უკუეთუ] უკუეთუ C. 8 შეიჭურენით] და შეიჭურენით A; სიმშუდითა B.
9 გბრძოდის C. 10 ვჭბრძოდეთ C; და უკუეთუ] უკუეთუ C. 11 სიყუარულითა C. 12 თავგედ-
ობითა B; თქუენ] — B. 13 სიმდაბლჲ A, სიმდაბლჲ BC; ჩუენისა C; აწ C. 14 და უკუეთუ]
უკუეთუ C. 15 და უკ'თუ] უკუეთუ C. 17 დუმილით B. 18 -ვიყენეთ C. 19 რომელ] რომელ-
ნი BC. 20 იქმნას C. 23 რომელ] რომელნი B. 24 შეხვიდეთ C; ზეცისასა CB. 25 სიძისა] †
მის CB; საუკუნესა] — B. 26 შევსწირვიდეთ B. 29 უღებთა] — A; დაჯანითაჲ] † თავი ლა A, †
თავი ივ B.

* ეს თავი არ არის C-ში.

მართლოებაჲ. რომელსა ჰნებავს სარკე ყოფად, იხილენ და განიცადენ მან ხატი თჳსი. პირველად წმიდა ყვ და განაშუენე ტაძარი შენი, რაჲთა საეანე ყოს მას შინა უფალმან. ხოლო უკუეთუ იპოვოს მას შინა შფოთი და ძკრისა ჰსენებაჲ, სული მრუშებისაჲ დაემკვდრების მას შინა. უკუეთუ არს რისხვაჲ სახლსა შენსა, კუამლითა საესე არს, განჯადე სახლით შენით შური და მან-კიერებაჲ, რომელ არს სულმყარლობაჲ ბოროტი, და შეიხუენ მას შინა სა-ცეცხურნი სავსენი საკუმეველითა სულნელითა. განგავე სახლი შენი სკორი-საგან, რომელ არიან საქმენი საინაურნი (403) და ჩუენულებაჲ ბოროტი, და მოჰფინე მას შინა ვარდისა წილ და შროშნისა სულნელისა ლოცვაჲ ლმობიერ-ი და სულთქუმაჲ მწუხარებით და გლოვით.

მოვედით და ვაბრალობდეთ სიდუხპირესა აუტბა ჩუენთასა და ესრეთ განვდეგნოთ მტერი ჩუენი მოქადული, და ცოდვაჲ მოვიძულოთ. უკუეთუ არა გინებით ემხილოს უმშჯავროსა, არასადა დასცხრეს საქმეთა მისთაგან ბო-როტთა. მუშაკმან კეთილმან განმარგლის ყანაჲ თჳსი ლუარძლისაგან, და რომელი სულიერად ასწავებენ, განწმიდის გონებაჲ რყუნილებისაგან. უკუეთუ არა შეჰპრისხნეს მოხუცებული, არასადა სრულ იქმნეს ჰაბუკი. სილირწმ და ურცხვნობაჲ ეშმაკისაჲ უფროჲს არს სილირწმესა ძალისასა, რამეთუ ძალსა ოდეს კაცი შეჰპრისხნის, მუნთქუესევე ოდენ გარე განვიდის, ხოლო ეშმაკი ძნიალ განვიდის შერისხვითა, რამეთუ მომაძულნიან ჩუენ მკურნალნი, რაჲთა სენნი ჩუენნი უკურნებელად ეგნენ გუამთა შინა ჩუენთა, რამეთუ ოდეს მოვი-ძულნეთ წამალნი, დაადგრეს ტკივილი ჩუენ თანა. ამისთჳს მომაძულნის ჩუენ ეშმაკმან მოძლუარნი და მასწავლელნი ჩუენნი, რაჲთა სარგებელისაგან გან-გუაშორნეს და მყენეს ჩუენ შეურაცხის-მყოფელ და მწუნობარ მასწავლელთა ჩუენთა, რაჲთა არა განგუამტკიცენ, (404) და მაწუენ ჩუენ შურის გებასა თავით-თჳსით შემაწუხებელთა ჩუენთაგან, რაჲთამცა სატანჯველნი განგვ-მრავლნა ჩუენ საუკუნესა მას. მასწავებენ ჩუენ ტყუელსა, რაჲთა ჩუენ ძლით დაიფარნეს ზაკულებანი და აუგნი თჳსნი. შეიმოსის სახე კრავთაჲ, რაჲთა არა იელტოდიან ცხოვარნი. არა მიფლობს ჩუენ მოქცევად და შენანებად, რომელი-იგი არს სახე სარკისაჲ, რაჲთა მას შინა ვიხილნეთ ბრალნი ჩუენნი და გან-ვიშოროთ ზაკულებაჲ მისი. იგი თჳთ ბრძოლად აღუდგის მამხილებელსა და მასწავლელსა ჩუენსა, რაჲთა არა გამოჩნდენ ზაკულებანი მისნი და ამო იქმ-ნენ მრავალნი ლონის ძიებანი მისნი სწავლითა მისითა. ვითარცა სარკითა შემოგვთხზის ჩუენ გულ-ფიცხლობაჲ, რაჲთა რყუნილობათა მისთა ვიდოდით. და სულ-მყარლობაჲ მისი მოაწიოს ჩუენ ზედა, რაჲთა სულ-გრძელობით საქმეთა შინა მისთა ვიქცეოდით. მყენის ჩუენ ურცხვნო და კადნიერ, რაჲთამცა წარმწყმიდნა წარმდებებასა შინა და თავჯედობასა ჩუენსა. მიმტაცის ჩუენგან სირცხული,

2 ხატი] თავი B. 6-7 საცეცხურნი B. 7 საკუმეველითა B. 12 მოვიძულოთ] + ყოლადვე B. 13 გინებითა B; საქმეთაგან მისთა B. 16 სილირწმე A, სილირწმ B. 18 ოდენ] — B. 19 განვი-დეს B. 23 მყენის B. 24 შურის გებასა] შეურაცხებასა B. 25 თავით-თჳსით] თჳსით B. 28 ევ-ლტოდიან B. 31 შემოგვთხზის] შემოგვთხზის B. 33 რყუნილებათა B. 34 სულგრძელებით B. 35 წარმწყმიდნა] + ჩუენ B. 26 თავჯედებასა B.

18. ძველი ქართული ენის ძეგლები

რადთა არად შევპრაცხნეთ მამხილებელნი ჩუენნი. მასწავის ჩუენ, ზაკუეად, რად-
თა ესრეთ ვცოდვიდეთ. საშჯელისა სიტყუანი მასწაველნის ჩუენ, რადთა მძღუ
ვექმნეთ სიტყუს-შეგებულთა ჩუენთა სიტყუთა ბოროტითა. ასწავის ქაბუკთა ურ-
ცხვროებად და კადნიერებად და მოხუცებულთა გულსა შთაუგდის შიში ქაბუკ-
თად, (405) რადთა არა შეურაცხობით აღიმცირნენ.

მლალბელსა ასწავის გინებად და მასწაველსა დასდვის ზარი მისი,
რადთა არა ასწავოს და განიკურნოს. მყენის ჩუენ საიდუმლოდ საწუხელნი და
კაცთა წინაშე საწადელნი, რადთა მყენეს სამარე განგოზილ, საესე სიმყრალი-
თა მკუდართადათ. უკუეთუ აღშფოთნის კელმწიფე, ოქრომან დააწყნარის, და
უკუეთუ განჭურდეს მსაჯული, ვეცხლმან დაამდოვროს და მამხილებელი
ქრთამმან დაადუმოს. სადა უკუე არს მგელთა ქორწილი და სიხარული, უკუე-
თუ მწყემსმან დაიძინოს. განრყუნად მათი უფროსს ქამისა არნ. მომხუტკელი
ზომსა ვერ იწონს მოტაცებისასა. კუამლი მავნებელ არს სახედველთა და უმ-
შჯავროებად დააბრმის ბრძენი. ვაქრობასა შინა არნ კელტობად და ცილო-
ბად. უბიწონი შესთხინის შურსა ეშმაკმან.

კაცის-მკლველი თუკითავე მახვლითა მოიკლას და ფრიად მზრახი ენისა-
გან მოინადიროს, ყვის დაქსნილ ცოდვილი საქმითა თუკითა და მოსწრაფე ზა-
კუვითა: შეგინებულსა აშფოთებნ სიმყრალითა და უბიწონსა — შურითა. იხილ-
ნა ეშმაკმან საქმენი ღმრთისანი, რამეთუ უსასყიდლოდ მისცემს ნიკთა მისთა,
და განახუნა (406) საუნჯენი თუკნი და რომელსამე მისცა ამპარტავენებად და
სხუასა გულ-ფიცხლობად და სხუასა შური. და რომელსამე ასწავა ზუაობად,
და სხუასა — თავკედლობად: და რომელი სიწმიდით ზის, მოსწრაფებით ასწრა-
ფებს მრუშებასა. ეშმაკი მომრუშეთა თანა ძლიერ არს და მმარხველთა თანა
უძლურ, და არა დასცხრების ყოლად ყოვლით კერძოვე საფრტეთა თუკთა
დარწყუვად, და სულგრძელებს ბრძოლასა შინა, არცა დაშურების და არცა
დასცხრების.

ვაჲ ჩუენდა, ძმანო ჩემნო, მის მიერ ვითარი მტერი ძლიერი და მოუწყი-
ნებელი და მარადის მოსწრაფე წარწყმედასა ჩუენსა დადგრომილ არს წინაშე
ჩუენსა წყობად მრავლითა მანქანებითა. ნეტარ არიან წმიდანნი, რამეთუ მის მიერ
გვრგუნოსან იქმნეს. გონება მტერისად საფრტეთა მისთა თანა არს მარადის,
და ჩუენი — მონაგებთა თანა ჩუენთა. იგი მარადის სანადიროსა მისსა ზედა
დადგრომილ არს, და ჩუენ — ნერგთა ჩუენთა თანა. სული ზრუნავს ხილთათუკს
და უშრომელად მომინადირებს ჩუენ; რომელი არა შურებ(ი)ს, პირველად მას
მოინადირებს ეშმაკი.

ვაჲ ჩუენდა, ძმანო ჩემნო, რომლისადა წინაშე დაქსნილ ვართ. ვაჲ ჩუ-
ენდა სამარადისოდასა ბრძოლისა მისისაგან. ნეტარ ჩუენ, ძმანო ჩემნო, უძლუ-
რებისა მისისათუკს. (407) უკუეთუმცა შემძლებელ იყო ძლევად და წარწყმე-

3 ვექმნეთ B. 5 შეურაცხებით B. 7 ასწავოს B; საწუხელნი| სატუხელნი B. 8 წ'ე| + ცხა-
დად B. 11 სადა| სადათ B. 21 გულფიცხლობად B| + და სხუასა ბასრობად B. 22 ~ ზის
სიწმიდით B; ასწრაფებს| ასწაგებს B| + მას B. 24 საბრტეთა B. 27 ჩემნო| — B. 28 დადგო-
მილ A. 29 წყობად|+ჩუენდა B. 30 იქმნეს B; საბრტეთა B. 36 ჩუენ| ჩუენდა B

დად ჩუენდა, არასადამცა მრავალთა ღონეთა ეძიებდა ბრძოლისა და ძლევისა ჩუენისათჳს, ერთი ოდენ-მცა კმა იყო. ხოლო ღონის ძიებითა მისითა გუე-
უწყა ჩუენ, რამეთუ უძღურ არს და ვერ შემძლებელ არს იგი ძლევად ჩუენ-
და, უკუეთუ ჩუენ თავით ჩუენით არა მივერჩდეთ ზრახებათა. მისთა ბო-
როტთა.

აწ უკუე კაცი შემძლებელ არს ნებითა თჳსითა ძლევად ნებასა მისსა ბო-
როტსა, რამეთუ ნებისა ჩუენისაგან მოგუეცემის ჩუენ ძალი და უძღურებაჲ.
უკუეთუ უღებ-გყოთ, განძლიერდეს ჩუენ ზედა. და უკუეთუ ვილუაწოთ, მეოტ
იქმნეს ჩუენ მიერ. რომელი მტერთა თჳსთა მეოტ ექმნეს, იგი განაძლიერებს
მტერთა მისთა მის ზედა მოკლვად მისა. თავით ჩუენით მომკლავს ჩუენ მტე-
რი, რამეთუ ნებაჲ ჩუენი საკრველ გუექმნა. ნებითა ჩუენითა შემკრავს ჩუენ
მტერი და შემაყენებს საპყრობილესა მისსა უშრომელად.

იციოთა, რამეთუ ქორწილი წმიდა არს, ხოლო მან აცთუნა და შეავინა.
იხილა, რამეთუ სიწმიდე დიდად შუენიერ არს და იგი ღონის ძიებითა მეძიე-
ბელ არს განრყუნასა მისსა. ღნერთი ყოვლითა ღონის ძიებითა აღამალლებს
კაცთა და მტერი ყოვლითა ღონის ძიებითა (408) გარდამოსთხეეს ქუეყანად.
ქალწულთა აღიყვანებს ღმერთი ზეცად და მტერი გონებათა ჩუენთა გარდა-
მოჰზიდავს ქუეყანად და შთაჰქდის ქუესკენლად. თუაღნი ჩუენნი განხუმულ
არიან ნაშენებთა მიმართ და გონებაჲ მიდრეკილ არს მონაგებთა მიმართ. იქ-
მნა გონებაჲ ჩუენი მეძიებელ გემოთა, და ცნობაჲ ჩუენი შემკრებელ წარმა-
ვალთა. მათა და ჳევთა შევიდა ოქროჲ და კაცნი განვიდეს ძიებად სარგე-
ბელისა, რომლისაგან ვერ განძლენ სიხარულითა. ოქროჲ მეოტ არს ჩუენგან
და გონებაჲ ჩუენი მღეეარ არს მისსა ძიებად; და სიმართლე, რომელი მოიე-
ლტის ძიებად ჩუენდა, ჩუენ მეოტ ვართ წინაშე მისსა. ნებათა მიერ გამოიცადების
ძალი ძლიერთაჲ, ნებისაგან იქმნის ღუაწლი და ღუაწლისაგან გამოცდილებაჲ.

არნ რომელიმე გემოთ მოყუარე სანოაგეთათჳს და არა სიძვისა. არნ
რომელიმე ამპარტავან და არა მპარავ, და არნ რომელიმე ძლეულ ვეცხლის
მოყუარებითა და არა გემოთ მოყუარებითა ჳორცთათჳთა. და არნ რომელიმე
ქების მოყუარე და სხუაჲ შუეების მოყუარე. არნ რომელიმე სასუმლის მოყუა-
რე და სხუაჲ სიქადულის მოყუარე. არნ რომელიმე მოქადულ და მბასრო-
ბელ. რომელიმე გინების მოყუარე არნ (409) და რომელიმე მიმცემელ არნ,
რომელიმე შფოთის მოყუარე არნ და სხუაჲ მასმენელ არნ მოყუსისა.

არნ, რომელსამე სძულნ უსამართლოებაჲ, და სხუთა ვნებითა დანთქმულ
არნ იგი. არნ, რომელიმე მოძულე ერთისა ბოროტისა, და სხუთა შეგინებულ
არნ ყოლადვე. არნ, რომელიმე განერის საფრწისაგან ერთისა, და სხუასა
ადგილსა მღუმესა შთავარდის. ოდეს შეიკრის კაცი მტერისაგან, გემოთაგან,

1 არა სადამცა| არამცა B. 2 ოდენმცა|+რამე B. 3 ~ შემძლებელ არს კაცი B. 6 მისსა|
თჳსსა B. 10 მისთა|—B. 11 ჩუენ|—B. 12 მტერი|—B. 14 ღონის ძიებითა B. 15-16 აღამალლებს...
ღონის ძიებითა|—B. 17 ~ ზეცად ღმერთი B. 19 მონაგებთათჳს B; მიმართ|—B. 21 ~ განვი-
დეს კაცნი B. 23 მისა B. 24 მისა B. 26 სანოაგეთა B. 29-30 და სხუაჲ... და სხუაჲ|—B. 30 არნ|+
სხუაჲ B, + და B; მოქადებულ| უქადულ B. 31 და რომელიმე მიმცემელ არნ|—B. 32 შფოთის
მეძიებელ B; ~ მოყუსისა მასმენელ არნ B. 35 საბრჯისაგან B. 36 მტერისა B.

საქმე, რომელი ჰნებავნ მას, მითავე შეკრულ არნ, რაჟთა კრულეზაჲ იგი მისი გემოვან უჩნდეს მას, რამეთუ უყუარს კრულეზაჲ იგი. არლარა განიგნასა ქედი მისი. და რამეთუ, რაჟამს კრულ არს იგი, ნებითა თჳსითა დაადგრეს იგი უქუნისამდე მას ზედა. რამეთუ შემკრველი იგი მისი მოძღუარი არს და იცის, ვითარმედ, უკუეთუ ნებისა მისისა შეკრას გონებითა თჳსითა, მყის განხეთქნეს საკრველნი იგი მისნი. ყოველსა კაცსა ნებითა თჳსითა შეჰკრავს და თავის უფლობისა ჳელმწიფობაჲ აქუს, თუ ინებოს განხეთქაჲ საკრველთა მისთაჲ. რომელი შეკრულ არს ჳორცითა, არა შეკრულ არს სიძვითა. და ჰგონებდეს საწყალობელი, ვითარმედ არა შეკრულ არს იგი. და რომელი შეკრულ არს კიცხვეითა და ბასრობითა, რაჟედენ არა კრულ არს იგი პატივითა. (410) ჰგონებდეს იგი, ვითარმედ ჳსნილ არს. ნუ ჰგონებნ, რამეთუ შეაცთუნა ყოველი კაცი საკრველითა მისითა, ვითარცა მთრვალი რაჲ შეიკრის და არა აგრძნობნ. რომელი კრულ არს მტკიცითა საკრველითა, შესანდობელ არს იგი უფროჲს მისსა, რომელი შეკრულ არს დედაზარდლისა ქსელისა საბლითა. თითოეული ჩუენი ეცინის მოყუასსა ჩუენსა, და ეშმაკი მარტოჲ მეცინის ჩუენ ყოველთა. იგი შეჰკრავს და იგი ეცინის, იგი შეჰკრავს და იგი დაათრობს. რომელი კრულ არს, სტკივის, და ბორკილოსანი იგრძნობს, ხოლო გონებაჲ შეკრულ არს და ვერ აგრძობს.

ძმანო ჩემნო, რაჟლა ფრიად მოძღუარი არს შემკრველი იგი ჩუენი, რამეთუ ვერ ვაგრძნობთ საკრველთა მისთა. ძმანო ჩემნო, რაჟლა ფრიად ნანარი არს. შემბორკილებელი იგი ჩუენი, რამეთუ ვერ ვსცნობთ, თუ შებორკილებულ ვართ. ისარნი მისნი ისარ ტკბილ არიან. სიბრძნე ცულ არს ჳეშმარტებისა წინაშე და იგი მეძიებელ არს უმშჯავროებასა. შეკრულ არს იგი, რაჟთა ვერ მივიდეს სიყუარულისა. დაჳსნილ არს იგი დევნად შურისა, რამეთუ კრულ არს იგი კეთილთა მიმართ, რაჟთა არა ჳმნეს. დაჳსნილ არს იგი ბოროტთა მიმართ, რაჟთა მოსწრაფედ აღასრულებდეს. (411) რაჟამს იგი უბრძანა ლმერთმან მოსეს საქმე კარვისა მის საწამებელისაჲ, უბრძანა ერსა მისთჳს შესაწირავთა მსგავსად ძალისა, და კაცად-კაცადი შესწირვიდა მსგავსად მონაგებთა მათთაებრ: რომელიმე ოქროსა, რომელიმე მარგალიტსა, რომელიმე ანთრაქსა პატიოსანსა; ხოლო გლახაკნი რომელიმე შესწირვიდა თხისა თმასა, რომელიმე — ტყავსა; ხოლო დედანი მდიდარნი შესწირვიდეს ძოწეულსა, და ქურივნი — სთულსა ლებულსა. და ყოველთა მიერ შეიმკო კარავი. იგი. და ვითარცა აღასრულეს, მას შინა შეიწირვიდა ლმერთი მდიდართა და გლახაკთასა, ცოდვილთა და მართალთასა. და ეგრევე მარხვასა მათსა მსგავსად ძალისა მათისა, და ლოცვასა მათსა, ვითარ-იგი ჳერ იყო მათდა. მდიდარი შესწირვიდა

1 და რ. B. 2 განიგნეს B. 3 არს] არნ B. 4 უქუნისამდე] — B; უკრულ] — თჳნიერ B. 6 მისი B. 7 თავის უფლებსა B; ჳელმწიფებაჲ B. 10 და ბასრობითა] — B; რაოდენ B; ჰგონებნ B. 15 ჩუენსა] თჳსსა B. 22 ~ წუ ჳეშმარტებისა B. 24 სიყუარულსა B. 27 საქმეჲ A, საქმე B; შეწირვად შესაწირავთა B. 29 ოქროსა] + რომელიმე ვეცხლსა B. 33-34 მართალთასა] გლახაკთასა B. 34 და ეგრევე] ეგრეთვე B. 35 მათა B.

„ზუარაკთა და გლახაკი მართუეთა ტრედისათა, და მართუენი იგი ტრედისანი სწორად ზუარაკთა შეიწირვოდეს. რამეთუ ქრისტემანმცა მსგავსად სარწმუნოებისა ქურივისა მისგან შეიწირნა ორნი იგი მწულილნი სწორად მრავალთა მათ საფასეთა მდიდართასა, და უფროსლა აღებატნეს მწულილნი იგი საფასეთა მათ კეთილად განგებითა მის ქურივისათა, ვითარცა-იგი ღმერთსა ყოვლითა ღონის ძიებითა ჰნებაეს ცხოვრება ჩუენი, ეგრეთვე (412) ყოვლითა მიზეზითა ჰნებაეს ეშმაკსა სიკუდილი ჩუენი. ვითარცა-იგი მწულილნი შემძლებელ იყვნეს ცხოვრებად სულისა, ეგრეთცა მცირე სიტყუაჲ ბასრობისაჲ და კიცხვისაჲ შემძლებელ არს წარწყმედად სულისა. ვითარცა-იგი ავაზაკი ერთითა სიტყუთა ცხოვრდა, ეგრეთვე ერთი სიტყუაჲ ბასრობისაჲ წარმწყმედელ არს მეტყუელისა. ერთი სიტყუაჲ თქუა განკითხვისაჲ მარიაჲ და მისთჳს განკეთრებულ იქმნა იგი, ვითარცა თოვლი. მარიაჲ წინაწარმეტყუელი იყო და განკითხვისათჳს განიკეთრა 1)“

სხუაჲ რომელი განიკითხვიდეს, უკუანაჲსკენელი მისი ჯოჯოხეთს შინა ყოფად არს. თქუა მარიაჲ, ვითარმედ: ღმერთი ჰზრახავს მოსეს; და შეურაცხი იქმნა იგი, რამეთუ ბასრობით თქუა. და უკუეთუცა განგმო საპართლად კაცი უკეთური, შეურაცხ-ჰყო სიწმიდე შენი, ვინაჲთგან მწინკულევანებაჲ შეპრიე მას, უბიწოებაჲ განირყუნების, უკუეთუ ბილწებაჲ რამე თანა შეეზაოს. სარწმუნოებაჲ განირყუნების, უკუეთუ ზაკუეაჲ თანა იყოს. სიმართლე განირყუნების, უკუეთუ შეუწდეს მას იქჳ. (413) მიცემაჲ განირყუნების, უკუეთუ ქებაჲ შეერიოს, ლოცუაჲ განირყუნების, უკუეთუ შეუწდეს ამპარტავანებაჲ. მარხვაჲ განირყუნების, უკუეთუ ერთოს სიძულილი. სიყუარული განირყუნების, უკუეთუ შეერიოს შური. მრავალ გზის საქმელმან კეთილმან მოკლის კაცი, ოდეჲ შეპრიან მას წამალი მაკუდინებელი მცირე. საქმეთაგან ცხადთა ჯერ-არს ხილვად ჩუენდა დაფარულთაჲ მათ. უკუეთუ საჩინოთა მათ კეთილთა საქმეთა ბოროტისა საქმე განმქრყუნელ არს, ეგრეთვე დაფარულთაჲ არს. სახედ მოგუცა ჩუენ მარიაჲ, რამეთუ მის მიერ გულისწმა-ჰყო ჰეშმარტი, რამეთუ ცხადად ერთ სახედ განკეთრებულ იქმნა, რაჲამს-იგი ცოდა მან ფარულად. და აუგისა მიერ ჳორცთაჲსა ეუწყა მას აუგი იგი ყოველთა სულისაჲ, დუხპირი. ბილწებითა კეთროვნებისაჲთა გულისწა-ყო ყოველმან ერმან, ვითარმედ განკითხვაჲ და ბასრობაჲ ფრიად ბოროტ არს, რამეთუ გუამი მისი იქმნა სარკე სულისა დაფარულისა. განრყუნილებისაგან ჳორცთაჲსა იცნობა განრყუნილებაჲ იგი გონებისა მისისაჲ, რამეთუ გარეშტ განრყუნა კეთრმან და შინაგანი— განკითხვამან შურითა. აუგი იგი გარეშტ აუწყებდა აუგთა შინაგანთა.

იხილვა განრლუეული იგი, რამეთუ ცოდვითა მისითა (414) იქმნა განრლუეულ, რამეთუ რაჲამს დაჰჳსნნა მან მცნებანი, მით დაიჳსნეს ასონი მისნი.

2 ქრისტემანცა B. 3 შეიწირა B. 8 ცხოვრებად B; ბასრობისა B. 9 კიცხვისა B. 11 მეტყუელისა B; განკეთროვნებულ B. 16 უკეთუმცა B; განგმევე B. 17 უკეთური A; შეურაცხმცა ჰყავ B. 18 ბილწებაჲ და ზაკუეა B. 24 წამალი + მას შინა B; საქმე — B. 27 -ყვით B. 28 განკეთროვნებულ B; მას| ყლთა B; ყლთა| — B. 33 გარეშე A, გარეშე B. 34 გარეშე A, გარეშე B; 35 განრლუეული| განრყუნილი B.

1) შდრ. რიცხ. 12, 1-10.

რაცამს დაჰქნა სიყუარული ღმრთისაჲ, დაიქნა ძალი გუამისა მისისაჲ. იქმნა. მარიამ აუგ დედათა, რამეთუ ამპარტავეანებით განბასრა მდაბალი იგი. ყენა მოსე სასწაქლნი დიდ-დიდნი და მცირედ სცთა ენითა თჳითა, არამედ არა-
 ენო, რამეთუ იყო იგი ჳმა-წულილ და ენა-ბრგუნილ. ხოლო არაჲე დაშთა.
 5 თჳნიერ პატივისა, რამეთუ დააყენა იგი მისთჳს ღმერთმან შესლვად ქუეყანასა-
 მას ფილიასტიმისასა. ზლუჲად საშინელი და წარმწყმედელი გზა ექმნა მათა და.
 მცირე ბრალი ზლუდე დამაყენებელ ექმნა მას შესლვად ქუეყანასა მას აღ-
 თქუმისასა.

აწ უკუეთუ მოსე, რომელი განმღრთობილ იყო ქუეყანასა ზედა, ერთისაჲ.
 10 მცირისა სიტყუსათჳს დაეყენა შესლვად იერუსალჳმდ, მაშა, რომელმან ენაჲ
 აღილესოს მოყუსისათჳს, რადენ უფროჲს დაეყენოს იგი შესლვად სასუფე-
 ველსა ცათასა! ცეცხლმან შექამნა შემასმენელნი იგი სამთა ყრმათანი და მათე.
 მახარებელისანი, რამეთუ სიტყუთა შეიგინნეს იგინი და წარწყმდეს. უკუეთუ
 იგინი შექამნა ცეცხლმან, ჩუენ რაჲსა არა აღზრ-ვასხნეთ ენასა ჩუენსა? ქუე-
 15 ყანამან შთანთქნა მზრახნი იგი, რომელთა აღელესნეს ენანი (415) მათნი.
 მოსეს ზედა, რამეთუ დაეტევენეს მეძავნი და შეგინებულნი, და დაინთქნეს.
 ენოანნი და მგომობარნი. ზლუჲამან შთანთქნა მეგჳბტელნი და ჳმელმან—მდრტჳ-
 ველნი. სიტყუჲად ერთი ცუდი თქუა ხიარ ეამსა მას შიმშილისასა, რამეთუ
 აცილობდა წინაწარმეტყუელსა და მუნთქუესვე დათრგუნვილ იქმნა იგი ფერ-
 20 ჳითა ერისაჲთა კართა ზედა და მოკულა. 1) ამით სარწმუნო არს სიტყუჲად
 ღმრთისაჲ, ვითარმედ სიტყუსათჳსცა ცუდისა სიტყუჲად მისცეთ დღესა მას
 განკითხვისასა. ყოვლით კერძოვე შეკრულ იქმნეს კაცი მტერისაგან, რომელიმე
 შეკრულ არს ვითარცა მოსესხე და რომელიმე ვითარცა თავს-მდები. ბუნე-
 ბაჲცა მოგუჲსწავეგბს, სხჳსა მიზეზითა მოკულის კაცი, და სადა მიზეზითა არა.
 25 არნ, დაინთქის მოსესხისა თანა. ესე არს წესი თავს-მდებისაჲ. მართალი.
 ნეფსით იძლიის და უნებლიაჲთ განიკითხის, ვითარცა თავს-მდები მართალი,
 რომელი დაინთქის მოსესხისა თანა. უკუეთუ ზრახვიდეს მტყუჲარი წინაშე
 მართლისა, ანუ განიბასროს, ანუ იყუედროს, ანუ შეურაცხ-იქმნეს, გინა უსა-
 მართლოჲ ეყოს და მართალსა მოეწონოს იგი, იქმნა იგი ვითარცა თავს მდე-
 30 ბი. (416) უკუეთუ ვინმე აგინებდეს მეფესა, და რომელსა ესმოდის და და-
 დუმნეს, პატიეი ორთაჲვე მათ ერთი არს: და რომელიმე მოიკლის ენისაგან
 თჳსისა და რომელიმე სასმენელთაგან თჳსთა. უკუეთუ გითხრობდეს მტყუჲარი
 სიტყუასა საქმისათჳს და შენ მიუპყრნე სასმემელნი შენნი, სიკუდილი იგი,
 რომელი გამოჯდა პირით მისით, შთაცალა იგი შინაგან სასმენელთა შენთა.
 35 სადაჲთ უკუე შემოვიდა სიკუდილი, არა ყურთაგანა, რომელთაგანცა შემოვაღს.
 შესმენაჲ მაკუდინებელი?

1 დაიქნნეს B. 5 ~ ღმერთმან მისთჳს B. 7 ~ ექმნა დამაყენებელ B; მას] — B.
 9 უკუე B. 10 დაეყენა B; მაშა] ხოლო B. 11 რადენ B. 16 და შეგინებულნი] — B. 17 ენო-
 ვანნი B. 18 ხიარ] ტიარა B. 21 ღისაჲ] ჩემი B. 22 იქმნეს B. 24 და სადა] დასაბამი B.
 26 ნებსით B; უნებლით B. 29 მართალსა მოეწონოს იგი] დაიწუნოს მართალი B. 31 მოიკ-
 ლას B. 25 ყურთაგან B. 36 მომაკუდინებელი B.

1) შდრ. 4 მეფეთა 7, 18—20.

შემძლებელ არს მტერი წარწყმედად მღუმრისა სიტყვათა, რამეთუ ვინაჲთა ვერ შეუძლებს მოკლვად ენისაგან, მოკლავს ზას სასმენელითა. უკუეთუ ვერ მოკლას იგი საქმითა. მოკლას იგი გულის-სიტყვათა. მართლიად ეტყოდეს ეშმაკნი მესნელსა ჩუენსა, ხოლო მან არა შეიწყნარა მათგან, მოციქულთა რაჲსა არა დაადუმნეს ეშმაკნი იგი, რომელნი აქებდეს მათ, რამეთუ ჳმაჲ მათი მწარე იყო ყურთა შინა მოწაფეთასა. რომელი ისმენდეს ტყუილსა, იგი უშეგინებულეს არს მისა, რომელი ტყუოდის. რომელი უმწინ(417)კულევანეს არს მტყუერისა? იგი, რომელი ღუმნეს. რომელსა უყუარს მწინკული იგი, გონებაჲცა მისი მწინკულევან არს. მისცა უფალმან ჩუენმან თავი თჳსი, ხოლო სასმენელნი მისნი არა მიუპყრნა ტყუილსა. პირითა თჳსითა გემოჲ იხილა მძრისა და ნავლისაჲ, და ყურითა არა ისმინა უსამართლოჲ. მისცა თავი თჳსი ბასრობად, და სასმენელითა არა შეიწყნარა უჯგროჲ. მიუპყრა პირი შენი მტყუევარსა ამბორის-ყოფად და ნუ მოუპყრობ სასმენელთა შენტა სიტყუათა მისთა. უკუეთუ მიუპყრა პირი შენი, ემხილოს მას; ხოლო უკუეთუ მიუპყრენ ყურნი შენნი, გემონან სიტყუათა მისთამან მოგაკუდინოს შენ. განეშორე წამლისა მისგან მაკუდინებელისა და სულისა მისისა ყნოსისაგან და გემოთაგან მისთა. კუამლსა მოპრიდებ და მტყუერისასა ისმენ? განეშორები სულისაგან სიმყრალისა და მტყუევარსა თანა დაშჯდები? კუამლი მავნებელ არს თუალთა და სიტყუაჲ ბასრობისაჲ და განკითხვისაჲ მავნებელ არს მსმენელთა მისთა. დაღაცათუ მყრალობაჲ მძი(418)მე არს საყნოსელთა, არამედ ძჳრის ზრახვაჲ უბოროტეს არს სასმენელთა.

ჯერ-არს შენდა, რაჲთა დაიცვენ სასმენელნი შენნი ვნებათაგან. უკუეთუ გუამი შენი დაღიცავს სიძვისაგან, დაიცევ პირიცა შენი განკითხვისაგან; დაღაცათუ ვერ შემძლებელ არს პირი სიძვად, შემძლებელ არს ბრალობად და ტყუილად. უკუეთუ რომელნიმე ასოთა შენტაგანნი წმიდა არიან მავნებელთაგან მისთა და რომელნიმე ცოდვენ, ესე ვითარცა მკუდარი მკლველ არს შენდა. უკუეთუ მიდრკენ მისა სასმენელნი შენნი. სახე მბრძოლთა აღტურვილთაჲ მიილე. რამეთუ ოდესმე ისარი მიემთხვის ჯაჳუსა განხეულსა და განეწონის გუამსა და მოაკუდინის ახონი მბრძოლთაგანი, რავდენ უფროჲს შევიდეს სიკუდილი კართაგან ყურთაჲსა განღებულთა. ყურთა კარი ვრცელ არს და მის ზიერ შევიდა პირველადვე სიკუდილი პირველისა მის მამისა ჩუენისა. შეუკუე-აბ კარი ყურთა შენტა და მეკარე დაადგინე, რაჲთა არა შევიდეს ძჳრის სიტყუაჲ, ნუ უღებ იქმნები წამლისათჳს მაკუდინებელისა, ვითარმედ: მცირე არს და ვერ შემძლებელ არს მოკლვადო. (419) ნუ უღებ იქმნები განკითხვისათჳს და იტყჳ: ესე არარაჲ არს და ვერ შემძლებელ არს წარწყმედად. იხილელა მფრინველი, რამეთუ ოდესმე ფრჩხილითა ოდენ შევარდის მახესა და მოინადირის იგი.

4 შეიწყნარა B. 8 მწიკული B. 9 მწიკულევან B: თჳსი+სიკუდილსა B. 12 უჯგროჲ—B: მიუპყარ B. 13 თუ! ნუ B. 15 ყურნი| სასმენელნი B. 19 განკითხვისაჲ| კიტხვისაჲ B. 20 საყნოსელთათჳს B. 25 შენტაგანნი| ჩუენთაგანნი B. 26 ცოდვენ| ცოდვილნი B. 27 სასმენელნი|+ შენი P. 28 და! — B. 29 ახოვანი B; რაოდენ B. 30 სიკუდილი| — B. 31 პირველად B. 35 წარწყმედადო B.

ხოლო საღმრთობათს და ტკივილთა ვინ შემძლებელ არს სიტყუად. რამეთუ მცირისაგან ტკივილისა იქმნის ბოროტი სატანჯველი. რაჲსათს დაიწყება ქანაანი, არა სიცილისათსა მართლისა მის ზედა? არა თუ უმზავ-
 5 რობისა რაჲსათსმე განიკითხა და არცა კაცის-კლვისათს დაიწყება, არამედ
 განბასრებისათს მიიღო მან ბოროტი იგი პატივი. და ვაჲ არს მისსა, რომ-
 ლისა გულის სიტყუანი წმიდანი შეაბილწნა განკითხვამან და ბასრობამან
 მოყუსისამან, რამეთუ იყენეს ასონი მისნი უბიწო, არამედ მოაკუდინა იგი
 მცირემან მან ასომან, რომელ არს ენაჲ. იხილე ესე სიცილისათს, ვითარღა
 10 ვაებაჲ მოილო. აწ უკუე ვისმე არა ეშინის განკითხვისაგან, რამეთუ მის მიერ
 მოიწვევის წყევად რაჲმე. რაჲ არს სამოსელი იგი ბაყლენი, რომელი ემოსა
 მას, რომელ-იგი შევიდა ქორწილსა მას სამეუფოსა, გამომიცხადე ჩუენ, ჟ
 თარგმანო, რაჲთა არა შესცთენ კაცი შემოსად მისა. არს იგი ძკრის ზრახვაჲ;
 პარვაჲ, ტყუელი, უსამართლოებაჲ, ვეცხლის (420) მოყუარებაჲ, სული ამპარ-
 ტავანობისაჲ, გული ბოროტის მეძიებელი, შური ზაკუებაჲ, ძკრის ჳსენებაჲ,
 15 შფოთი, გუამი მსიძავთაჲ და სული ბოროტსა მიდრეკილი, მრუშებაჲ, სოფ-
 ლისა ამის სიყუარული.

ესე არს სამოსელი იგი ბაყლენი და მით ვერვინ შემძლებელ არს შე-
 სლვად ქორწილსა მას სამეუფოსა. გუამნი ნუკეულნი შებაყლებულნი გულის-
 თქუმათაგან ვნებისათა ვერ შევლენ საქორწინესა მას საღმრთოსა. და იგი რო-
 20 მელსა ემოსა სამოსელი ბაყლენი, იგო იყი მეძავი, მემრუშე, უძღები, და არა-
 წმიდაჲ, და ამისთს გამოაძეს იგი საქორწინისაგან ნათლითა სავსისა, რამეთუ
 იყო იგი მოყუარული საქმეთა ბნელისათა. კაცი, რომელი იშუებდეს მარადის
 გემოთა შინა ამის სოფლისათა, ვერ შემძლებელ არს იგი შესლვად და ინა-
 25 ჳის დგომად წმიდათა მათ თანა გუამთა მარხვითა განწმელთა. ხოლო სამოსელი
 იგი პატიოსანი შესატყუებელი ქორწილისაჲ, ესე არს განწმედაჲ ყოვლისაგან
 მწინკულისა. ქალწულებაჲ, უბიწობაჲ გუამისაჲ და სული ღმრთის მოყუარე,
 და პირი სავსე მარადის გალობითა და დიდებითა ღმრთისაჲთა, და ჳელნი
 30 სავსენი ჳველის საქმითა, და სიმდაბლე და სული სიგლახაკის მოყუარე, და
 სინანული (421) და მარადის რეკაჲ კარსა მას ღმრთისასა, და ძმათ მოყუა-
 რებაჲ და თუალთ უხუაობაჲ, და სიწმიდე გულისაჲ და სიწრფობაჲ მოუდრე-
 კელი ბოროტსა, საქმე სულიერებრი და საღმრთოჲ სლვაჲ სიწმიდით, და უბი-
 35 წობით გულის-თქუმაჲ კეთილისაჲ და სახე შუენიერი, ესე არიან სამოსელი
 იგი საქორწინე, და რომელსა ესე არა ემოსოს, არა შეუტეობენ მუნ. ხოლო
 რომელსა-იგი სამოსელი ბაყლენი ემოსა და ბრძანა მეუფემან გარე განძებაჲ

2 იქმნის] — B. 4 რაჲსამე B. 5 მისა B. 8 ვითარიღა B. 9 მოილო] მოიგო B. 10 ბაყ-
 ლიანი B. 13 მოყუარებაჲ B; ამპარტავანებისა B. 14 და ზაკუება B. 15 მსიძავთაჲ] მეძავთაჲ B
 17 ბაყლიანი B. 18 ნუკეულნი B; გულის თქუმათა მიერ B. 20 ბაყლიანი B. 21 მისთს B;
 საქორწინისა მისგან B. 23-24 ინაჲ-დგომად B. 25 მწიკულისა H. 28 და სიმდაბლე] — B. 28
 სიმდაბლე და სინანული B. 30 თუალ-უხუაობაჲ B; და სიწრფობაჲ] სიწრფობაჲ B. 31 ~ საღ-
 მრთოჲ და სულიერი B; უბიწოდ B. 33 შეუტეობენ] უტევებენ შესლვად B. 34 34 ბაყლიანი B

მისი, არა ჰურიია იყო იგი, არამედ ნათ[ე]ლ-ლებული. ჰურიია ვერ იკადრებს ყოლადვე მიახლებად კარსა მას საქორწინისასა, რამეთუ მეუფისაგან რისხვეულ არს იგი.

აწ უკუე განეკრძალენ ყოველი კაცი, რაჲთა არა ემოსოს სამოსელი ბაყ-
ლენი და განიძოს გარე ქორწილისაგან. იხილენ თითოეულმან თქუენგანმან
სამოსელი თვისი, უკუეთუ არს წმიდა და უბაყოფ ვნებათაგან, და უკუეთუ
იყოს ბაყლენი, ისწრაფენ იგი განრცხად სინანულითა პირველ განძებისა
თქუენისა საქორწინისა მისგან, რამეთუ მეუფე აღიხილავს მენიანტთა მუნ და
მსგავსად სამოსლისა პატივისცემს. და ჩუენ, ვიდრე-ესე აქა ვართ-ლა საწუთ-
როსა ამას, შემძლებელ ვართ განრცხად სამოსლისა ჩუენისა, ხოლო მუნ არ-
ლარავინ (422) უფლებს განცვალებად სამოსლისა, რომლითა წარმოდგეს. რა-
მეთუ მუნ სინანული არლარა შეიწირვის და არცა ვედრებად მიითუალვის და
არცა ნებუე[ი]შენ შეიწყნარების, რამეთუ სიტყუად მეუფისაჲ არა განცრუენების,
ნუ იყოფინ! ხოლო აქა, თუ ვინ დაეცეს, უკუეთუ ენებოს, კუალად აღემარ-
თოს, რამეთუ რომელმან ისიძეა, განწმდების სინანულითა. და რომელი თა-
ნამ-დებ არს, აქავე შემძლებელ არს გარდაჲდად თანა-ნადებისა თვისისა.

რომელსა სამოსელი ბაყლენი ჰმოსიეს, განირცხინ იგი ცრემლითა, რა-
მეთუ ამით განსაქეტაქნების უფროჲს ყოვლისა სარცხელისა. ჰ მსმენელნო, გე-
შინოდენ და ეკრძალებით, ნუუკუე თქუენ გემოსოს სამოსელი იგი ბაყლენი
და მით იკადროთ შესლვად ქორწილსა. ჰ მტყუელო და მკითხველო, გეში-
ნოდენ, ეკრძალებ და განიხილენ სამოსელი შენი, და უკუეთუ ბაყლენ არს,
ისწრაფენ განრცხად იგი სინანულითა.

ნეტარ არს, რომელმან შეურაცხ-ყო სოფელი ესე და ყოველი რაჲ არს
მას შინა, და ღმრთისა მიმართ ხოლო დადვა სასოებაჲ მისი ყოველთა დღეთა
ცხორებისა მისისათა. ნეტარ არს, რომელმან შეურაცხ-ყო და მოიძულა ცოდ-
ვაჲ ბოროტი და შეიყუარა ღმერთი ქეშმარტი, შემქ[ნ]დობელი ცოდვათა მის-
თაჲ. (423) ნეტარ არს, რომელი იქმნა ქუეყანასა ზედა, ვითარცა ზეცისა ან-
გელოზი და მიემსგავსა ქერაბინთა, და განიწმიდნა გულის-სიტყუანი თჳსნი
მარადის.

ნეტარ არს, რომელი უბიწო და წმიდა იპოა წინაშე ღმრთისა და გან-
თავისუფლდა ყოვლისაგან შეგინებისა და გულის-სიტყუათაგან ბოროტთა.
ნეტარ არს, რომელი თავისუფალ-იქმნა ღმრთისა მიერ ყოველთაგან საქმეთა
ამის სოფლისათა. ნეტარ-არს, რომელმან მარადის შთაიგდო გულსა თჳსსა
და იქსენებდა გონებითა ყოლადვე დღესა მას დიდსა და საშინელსა განკითხ-
ვისასა. ნეტარ-არს, რომელი მოსწრაფენ იქმნა განკურნებად წყლულებათა თჳსთა
ცრემლითა და სულ-თქუმიითა. ნეტარ არს, რომელი შემძლებელ იქმნა ყოლადვე
მოპოვნებად ცრემლთა, რაჲთა მით დაშრიტნეს მარადის ალტყინებულნი იგი

1 იგი] — B. 4 ბაყლიანი B. 6 უბაყოფა] უბიწო B. 7 ბაყლიანი B: ~ განრცხად იგი B.
11 აუფლებს B; სამოსელისა B. 14 ვინმე B; აღმართოს] აღდგეს B. 15 განწმდების B. 16 თანა-
ნადების B] თანა-მდებისა A. 17 ბაყლიანი B. 19 ბაყლიანი B. 20 მტყუელო და მკითხველო B.
21 ეკრძალებით და განიხილეთ B; ბაყლიან B. 23 -ყოს B. 24 დადვას B. 28 ქერაბინთა B.
30 იპოვა B. 34 და საშინელსა] — B. 35 იქმნეს B. 37 დაშრიტნეს B; მარადის] — B: ალტყინე-
ბული იგი B.

ვნებანი ცოდვისანი. ნეტარ არს, რომელი ვიდოდა მარადის გზასა მას მცნებათა ღმრთისათასა და ყოველსა ჟამსა კეთილსა იქმოდის გულითა ქსნილითა და სიყუარულითა. ნეტარ არს, რომელი მოსწრაფე იქმნეს საქმედ კეთილისა და იმარხვიდეს სასოებითა მტკიცითა, მან დაიმკვდროს სასუფეველი ცათაჲ წმიდათა თანა. ნეტარ არს, რომელსა მარადის ევსენოს თქუშული იგი, ვითარმედ: ყოვლისათჳსცა სიტყუსა ცუდისა სიტყუჲ მისცეს მსაჯულსა მას საშინელსა დღესა მას გან(424)კითხვისა¹⁾ და საცოჲ დასდევს პირსა თჳსსა, რაჲთა არა სიტყუათათჳს დაისაჯოს.

ნეტარ არს, რომლისაჲ იქმნა გუჲამი, ვითარცა ხე დანერგული, და ირ-
 10 წყვებოდის იგი დღითი-დღედ ცრემლითა თჳსითა, ვითარცა წყაროჲთა. ნეტარ არს, რომელმან დაჰწერგა ნერგი კეთილი და მან მოსცა ნაყოფი შუენიერი უფალსა. ნეტარ არს, რომელი ეგზების სიყუარულითა ღმრთისაჲთა, ვითარცა ცეცხლითა, და მით დაწუნა ყოველნი გულის-სიტყუანი მწინკულევანნი და ბოროტნი. ნეტარ არს, რომელი ნეფსით თჳსით იქმნა ქუეყანა კეთილ და გამოსცა ნაყოფი ერთისა წილ ასი და სამეოცი და ოცდა ათი. ნეტარ არს, რომელმან პოვა მარგალიტი იგი სამეუფოჲ ზეცისაჲ და განყიდა ყოველივე იგი, რაჲცა აქუნდა, და იგი ხოლო მოიყიდა.

ნეტარ არს, რომელმან პოვა აგარაკსა შინა საფასე დიდძალი და ყოველივე დაუტევა და მოიგო აგარაკი იგი. ნეტარ არს, რომელმან მოიჭყენა მარადის დღე იგი განსლვისა მისისაჲ ამიერ სოფლით და გულს-მოდგინედ ილუაწა ჟამისა მისთჳს, რაჲთა უშიშ იპოვოს წარმყვანებელთაგან. ნეტარ არს, რომელმან პოოს კადნიერებაჲ ჟამსა მას განშორებისასა ამის სოფლისაგან, ოდეს-იგი განეშორებოდის სული ჯორცთაგან, დღესა მას (425) საშინელსა, რაჲმს მოიწინენ ანგელოზნი იგი მრისხანენი და გამოიტაცონ სული გუჲამისაგან და წარადგინონ წინაშე მსაჯულისა მის საშინელისა. მაშინ მიუთხრობელი ზარი და გამოუთქუმელი შიში და ძწოლაჲ შეედევს სულსა მას, რამეთუ სიმწარისა და საშინელებისა ჟამი არს დღე იგი განშორებისაჲ სულისაჲ ჯორცთაგან, რამეთუ დღესა მას შესაძრწუნებელსა თანა-წარმოუდგენ სულსა მას საქმენი თჳსნი ყოველნი, რომელნი ექმნენ სოფელსა ამას, ღამით გინა
 25 დღით, ცხადნი და ილუმალნი. რაჲმს-იგი ანგელოზნი ასწრაფებდენ სულსა გაძოსლვად ჯორცთაგან, ხოლო რაჲმს იხილნეს სულმან მან საქმენი იგი თჳსნი, შეძრწუნდეს და ვერ ეძღოს გამოსლვად შიშისაგან. მაშინ შიშითა დიდითა ზარ-განძლიმან დაუტევენეს ჯორცნი თჳსნი თუნიერ ნებისა თჳსისა და შიშითა და ძწოლით წარვიდეს წარდგომად წინაშე მსაჯულისა. და რაჲმს იხილნეს
 30 საქმენი თჳსნი, მიუგოს და პრქუას: გზა-მეცით მე, რაჲთა განვიდე. მიუგონ

1 ვნებაჲ ცოდვისაჲ B. 6 ყოვლისავეთჳს B; მისცენ B; მას] + საშინელსა B. 7 თჳსა B. 8 სიტყვისათჳს B. 13 მწიკულევანნი B. 17 იგი რაჲცა] რაჲცა B. 19 აგარაკი] — B. 21 პოვოს B. 22-23 ამის სოფლისაგან ... განეშორებოდის] — B. 23 სულისა B. 24 იგი] — B. 25 წარადგინონ] + იგი B. 26 ძწოლაჲ B; რ] + დღე იგი B. 27-28 დღე იგი განშორებისაჲ სულისაჲ ჯორცთაგან] რაჲმს განეშორებოდის სული ჯორცთაგან B. 29 ექმნენ B. 31 იხილნის B. 32 შეძრწუნდის B; ეძღოს B; შიშითა] ძწოლითა B. 33 დაუტევენის B; შიშით B. 34 წარვიდის B.

1) მათე 12, 36.

საქმეთა და ჰრქუან: ჩუენ შენნი შექმნულნი ვართ და შენ თანა მომავალ ვართ წინაშე ღმრთისა. ამის ესევეთარისათჳს, იმანო ჩემნო საყუარელნო, მოვიცულთ სოფელი ესე ცუდი და (426) შევიყუაროთ ქრისტე მქანელი ჩუენი და მაცხოვარი სულთა ჩუენთაჲ, რამეთუ არა უწყით ჟამი იგი განსლებისა ჩუენისაჲ ამიერ სოფლით, რამეთუ უგრძნულად ყოფად არს. რაჟამს-იგი ვიშუებდეთ და ვიხარებდეთ, მყის მოიწიოს ჟამი იგი და წარიტაცოს ცოდვილი ღღესა, რომელსა არა მოელოდის და ჟამსა, რომელი არა უწყოდის, წარვიდეს სული სიტყჳს გებად საქმეთა თჳსთათჳს.

ამისთჳს გვედრებნი, ძნანო ჩემნო, რაჟთა მოსწრაფე იქმნნეთ მცირედ და განეთავისუფლნეთ სულნი ჩუენნი მონებისაგან სოფლისა ამის მყის წარმავალინსა და ცუდისა, რომელი სავსე არს ეკლითა და საფრჭითა მაკუდინებელითა. ვისწრაფოთ, რაჟთა განვარინნეთ სულნი ჩუენნი სანადიროდსა მისგან ეშმაკისა. რამეთუ მახენი ეშმაკისანი ტკბილ არიან, რომლითა შეიტყუენის უღებნი მონადირებად. ხოლო ჩუენ არა მივერჩდეთ სიტკბობებათა მისთა, რაჟთა არა უკუანაჲსკენელ უმწარეს ნავლისა აღესრულოს ჩუენ ზედა სიტკბობება იგი. მახეთა სიკუდილისათაჲ არს ზრუნვაჲ ამის სოფლისა საქმეთაჲ და საშუებელთა მისთაჲ და გულის-თქუმაჲ საქმეთა მისთა ბოროტთაჲ. აწ ნუნცა მოუძღურდებით და დავინთქმით გულის-თქუნათაგან ბოროტთა და შეგინებულთა. (427) ნუმცა უღებ ვართ, ძნანო, ჟამსაცა ერთსა გულის-სიტყუათათჳს მტერისათა, ნუმცა დაიბუდებენ გონებასა შენსა ყოლადვე. არამედ მიივლოდეთ ღმრთისაჲ მიმართ ლოცვითა, ცრემლითა და მარხვითა და სულ-თქუმითა, რაჟთა განერე საფრჭეთაგან და მახეთა მოშურნისათა. ნუ ჰგონებ, ვითარმედ მრავალთაჲ წელთა ცოცხალ ყოფად ხარ, რაჟთა არა დაემორჩილო გულის-თქუმასა ბოროტსა და საქმეთა შეგინებულთა. დაიცევ სული შენი, ძნანო, რაჟთა არა რაჟამს მოვიდეს ბრძანებაჲ ღმრთისაჲ და გპოოს შენ ცოდვასა შინა და არა ღარა გეპოვოს შენ ჟამი სინანულისაჲ და შენდობისაჲ, და ვერღარას შემძლებელ ხარ სიტყჳს გებად სიკუდილისა ჟამსა მას უკუანაჲსკენელისა შენისასა ამიერ სოფლით. მრავალნი ჰგონებენ მრავალთა წელთა ცხორებასა და მყის სიკუდილი მოუჭდის და წარეკუეთის სასოებაჲ მათი. გამოიწერე სიკუდილი წინაშე თულთაჲ შენთა ყოველსა ჟამსა, ძნანო, და გეშინოდენ ღმრთისა და ვითარ-იგი წარდგომად ხარ შენ წინაშე ქრისტესა.

განიმზადე ყოველსა ჟამსა სანთებელი შენი და აღანთე იგი ბრწყინვალედ ლოცვითა და მარხვითა და მღჳძარებითა და ქველის მოქმედებითა და სიყუარულითა, რაჟთა ესრეთ ღირს იქმნე შესლვად ქორწილსა მას (428) ზეცისა სიძისა უკუდავისასა, სადა-იგი იდიდების სახელი წმიდაჲ სამებისა წმიდისაჲ უკუნითი უკუნისამდე, ამენ.

1 შექმნილინი B; შენ თანაცა B. 7 რა არა უწყოდის] რლსა არა ჰგონებდეს R. 9 იქმნეთ B. 10 ამის]- B. 11 მომაკუდინებელითა B. 13 ეშმაკისანი] მისნი B; შეიტყუენის B. 15 იგი]- B. 16 მახეთა სიკუდილისათაჲ] რ მახე სიკუდილისაჲ B; ~ საქმეთა ამის სოფლისათაჲ B. 17 მისთა]- B. 22 ნუ] და ნუ B. 25 და გპოოს] გპოოს B. 27 ~ ჟამსა მას სიკუდილისასა B; უკუანაჲსკენელსა B]+ განსლებისა B; შენისა B. 32 განეშხადე B; სანთებელი] აღნთებად სანთელი B; და აღანთე იგი]- B. 33 ქველის საქმითა B. 34 ზეცისასა B. 35 სიძისა]- მის თანა B; უკუდავისა B. 35-36 წმიდისაჲ]+ აწ და მარადის და B,

[237 v]

სწავლად წმილისა მჟრამისი
მონაჯონთათჳს და სინანულისა

რომელსა ჰნებაჲს განსუენების სენაკსა შინა, ნუმცა ემღერიან მას ეშმაკნი
საშუებელთა მიერ სოფლისათა, არამედ განეშორენ იგი კაცთაგან ყოვლითა
საქმითა. და ნუმცა ვის აბრალებს და განიკითხავს გონებითა, და ნუცა
ვის აქებს, და ნუცა შე-ვის-ეპოების, და ნუცა ჰნატრის ვის და ნუცა
საქმეთა ვისთა ავსენებნ, და ნუცა აუგთა ვისთა გამოეძიებს, და ნუცა ვის
შეაწუხებს, და ნუცა გონებასა თჳსსა უტეობს ეამ ერთცა გულის-სიტყუათა
მტერისათა, რადთა არა შეიგინოს მწინკულევანებითა. რამეთუ კაცი,
რომელი მიენდოს სიმართლისა საქმეთა თჳსთა და აღასრულებდეს ნებასა
თჳსსა, ესევეთარი ვერ შემძლებელ არს განრინებად [23კ] მტერისა საფრჯე-
თაგან და ვერცა განისუენოს და ვერცა აგრძნეს ნაკლულევანებაჲ თავისა
თჳსისაჲ. და ოდეს სული მისი განვიდეს მისგან, ძნიად პოოს განსუენებაჲ.
ხოლო უკუეთუ გნებაჲს სრულების, შეუდგეღ ღმერთსა ყოვლითა გულითა შე-
ნითა და ყოვლითა ძალითა შენითა და ყოვლითა გონებითა შენითა და გა-
ქუნდინ (429) გონებასა წყალობაჲ ყოველთა დაბადებულთათჳს, და ღმობიე-
რად და გლოვით ითხოვდი მარადის ღმრთისაგან შეწვენასა და წყალობასა.
ხოლო რომელი სხუასა ასწავებდეს მცნებათა ღმრთისათა, არა უწყის მან,
უკუეთუ შეწირულ არს წინაშე ღმრთისა საქმშ მისი. ანუ არა რაჲამს ვეტ-
ყოდი მოყუასსა, დასცხერ ამისგან და ყავ ესე, და მე უწყოდი ჰეშმარიტად,
ვითარმედ ცოდვილ ვარ და სინანულსა ქუეშე ვარ, და ვერ უწყი და ვერცა
გულ-პყრობილ ვარ, თუ მომიტევებს ცოდვათა ანუ არა. რამეთუ ცოდვანი,
დასტურად ვიცი, მქონან, ხოლო წყალობასა ღმრთისასა და შენდობასა ვერღა
გულ-პყრობილ ვარ, ვიდრე არა შევემთხუო ღმერთსა დღესა მას განკი-
თხვისასა.

ხოლო უკუეთუ გნებაჲს ცნობის, ვითარმედ შენდობილ არიან ცოდვანი
შენნი ღმრთისა მიერ, ამით ნიშნითა უწყოდე: უკუეთუ დაგავიწყდეს და ყო-
ლადვე გონებასა შენსა არღარა იძრვის ჰსენებაჲ ცოდვათა შენთაჲ, რომელნი
გიქმნიან, [v] და სხუაჲ ნოგაჰსენებდეს და შენ არღარა გაჰსოდის, თუ ვი-
თარ იქმოდე მათ. უკუეთუ ესრეთ დაგავიწყდეს, მაშინ უწყებულ იყავ, რაზეთუ
ნოგიტვენა შენ ღმერთმან ცოდვანი შენნი და შეგიწყალა შენ. ხოლო უკუეთუ
აქამომდე ჰსენებაჲ მათი დადგომილ არს გონებასა შენსა, (430) მაშა

2 სინანულისა]+თავი ლზ A, + ოდ B, + თავი კზ, გუაჲურთხენ ორ C. 3 ~ სენაკსა
შა განსუენებაჲ C. 4 ყლითა საქმითა] და ყოველთაგან საქმეთა არა სათნოთა ღმრთისათა B.
6 -ეპოების B. 7 ავსენებნ B. 8 თუისა C; უტუუბს C, უტეეებს B. 9 მწიკულევანებითა B.
11 თუისსა C; საბრჳეთაგან C. 13 პოოს BC. 14 სრულებაჲ C, სრულებით B. 17 ~ ითხოვდი
გლოვით B; გლოით C. 19 ~ საქმე მისი წეღისა C; საქმეჲ A, საქმე HC. 20 ამისგან] ამი-
ერითგან C. 22 ცოდვათა]+ჩემთა C. 23 მქუნან C. 24 შევემთხუიო C. 28 იძრვოდის C. 29 გაჰ-
სოუს B, გაჰსობდეს C; თუ] — BC. 30 დაგავიწყდენ C; იყავ B. 31 ~ ლნ შნ C. 32 ~ ჰსენებაჲ
მათი აქამომდე C; დადგომილ C.

იგლოვდი და ტიროდე მათუს და გეშინოდენ და ძწოდე, რამეთუ ვერ გულ-
პყრობილ ხარ, ვიდრემდის შეემთხუო ქრისტესა დღესა მას საშჯელისასა.

უკუეთუ ვინმე ზრახვიდეს შენ თანა უსარგებლოთა სიტყუათა, ნუ ისმენ
მათ, რაჲთა არა სული შენი წარწყმიდო, და ნუცალა გრცხუნენის მისგან, თუ
შეწუნეს, არამედ განწმორე მისგან და ნუ მიუპყრობ სასმენელთა შენთა
სმენად სიტყუათა მისთა და ნუცალა იტყვ გულსა შენსა, ვითარმედ: რაჲ
მგლიან, ზრახვიდეს, რამეთუ მე გონებასა არა შევიწყნარებ სიტყუათა მისთა.
ამას ნუ იტყვ ყოლადვე, რამეთუ შენ არა უძლიერეს ხარ გონებითა აღამისა,
რომელი-იგი ღმერთმან ჯელითა თუსითა დაჰბადა, რომელსა-იგი ევნო სმენად
ბოროტისა სიტყუად იგი მისი. ხოლო მოჰრიდე და ნუ ისმენ ყოლადვე ბო-
როტისა სიტყუასა და ეკრძალე, რაჲთა არა ჯორცითა ხოლო მოჰრიდო, არა-
მედ გონებასა ყოლადვე ნუ შეუტეობ სიტყუათა მისთა, რამეთუ, უკუეთუ
მცირედი ოდენ ისმინო მისგანი [239] და დაჰმარხო იგი გულსა შენსა, ეშმაკთა
არლარა ეგრეთ უტეონ, ვითარ-იგი შენ გესმინოს, არამედ შეჰმატონ ფრიად,
ვიდრემდის მოაუძღურონ სული შენი. ხოლო უკუეთუ მოჰრიდო, სრულიად
მოჰრიდე ჯორცითა და გონებითაცა, ხოლო მე, ვითარ ვხედავ ვითარ სიყუა-
რულსა სარგებლისასა და პატივისა (431) და განსუენებისასა წარუტყუენვან
ყოველთა კაცთა გონებანი, არამედ შიში ღმრთისაჲ და შეიწრებაჲ თავისაჲ
საშუებელთაგან მოუტევებენ ყოველთა შეცოდებათა.

კაცი ილოცავს წინაშე ღმრთისა და ღმერთი ჰხედავს გონებასა მისსა.
უკუეთუ გულსა უც ზიგებაჲ ბოროტისაჲ ბოროტისა წილ შემაწუხებელსა
მისსა, ლოცვად მისი ცუდ იქმნების. ილუაწე ყოვლითა ძალითა შენითა, რაჲთა
არა ჰზრახვიდე ენითა შენითა სხუასა და გონებითა იგონებდე სხუასა. ჯერ-
არს მისა, რომელი დაყუდებულ არს, რაჲთა აქუნდეს შიში მარადის წარდგო-
მად წინაშე ღმრთისა დღეთა ცხორებისა მისისათა. რამეთუ ესე ცუდი შრომაჲ
არს, უკუეთუ გუაქუნდეს სათნოებაჲ ღმრთისაჲ პირითა ხოლო და ცოდვაჲ
და ბოროტი გონებითა.

მოიძულე ყოველი საქმე სოფლისაჲ და განსუენებაჲ ჯორცითაჲ, რამეთუ
ესე არიან, რომელნი შეგამტერებენ ღმერთსა. დაამტეციე გონებასა შენსა
ესე, ვითარმედ შრომაჲ და სიგლახაკე და უცხოებაჲ და მოთმინებაჲ [v] და
ღუმილი—ესენი შობენ სიმდაბლესა, და სიმდაბლე მიუტევებს კაცსა ყოველთა
შეცოდებათა. და რომელმან არა მოიგნეს ესე საქმენი, მონაზონებაჲ მისი
ცუდ არს. და კუალად ისწრაფე ყოვლითა გულითა შენითა, რაჲთა განეყნო
კაცსა უკუეთურსა, მწუნობარსა და განმკი(433)თხველსა, რაჲთა შემძლებელ
იქმნე მოცალეზად და ტირილად ცოდვითა შენთათუს.

1 მათთის C; ძწოდე CB. 2 შეემთხუო C; სასჯელისასა C. 6 იტყვი C; გულსა] +
შინა BC. 8 იტყუი C. 9 თუსითა C. 12 გუნებასა C; უკუეთუ] + ოდენ B. 13 მცირედ B;
ოდენ]—B. 14 არლა C; უტევენ B; შეჰმატოს B; ფრიადი C 16 გონებითა B; ვითარ] რ' C;
ვხედავ ვერ] ვგონებ B. 17 წარუტყუენვან C. 19 მოუტევებენ] მომტევებელ ექმნების B. 20 ხედავს C;
მისა CB. 21 შემაწუხებელისა მისისა B. 22 მისა C; ილუაწე] +ყოვლით B. 23 ზრახვიდე C;
სხვსა B. 24 ~ მარადის შიში C; წარდგომად]—H. 25 ღ'ისა] მისა B. 26 და] +ყ' B. 28 მო-
ძულე C. 29 ესე] ესენი C. 30 და უცხოებაჲ] უცხოებაჲ B. 31 ესენი]—A. 32 მონაზონებაჲ
მისი]—B. 33 ცუდი A; და]—B; ~ ისწრაფე კუალა B. 35 შენთათუს C.

და კუალად იზრუნე და ილუაწე ყოვლითა გულითა შენითა, რაფთა არა-ვის ეშჯოდი სარწმუნოებისათჳს, არამედ დაიცვე შენ მტკიცედ სარწმუნოებად მართალი, რომელი მოიღე მამათა შენთაგან პირველთა, რომელნი იყვნეს მორწმუნენი. რამეთუ ვერვინ კაცთაგანი შემძლებელ არს მიწდომად სიღრმესა ლმრთეებისასა. და უწყოდე, სადა არა არს მშჯღობად, მუნ არცა ღმერთი არს. და ყოველსა, რომელსა მოუგიეს სიმდაბლე, და შესცოდა მას ძმამან, ცოდვაჲ იგი აჩემა თავსა თჳსსა და თქუა: მე ვარ, რომელმან ვცოდე. ხოლო რომელი განიმართლებდეს თავსა თჳსსა და არა ვისგან შეწუხნეს და არცა ბრალეულ რასმე ზედა იქმნეს, მას თავი თჳსი ბრძენ ჰგონიეს, და რამეთუ შორს არს იგი სიმდაბლისაგან საღმრთოესა. და რომელი ასწავებდეს სხუასა, ვიდრემდის მას ეშინოდის შთავრდომად ვნებასა მას, რომლისათჳს განაკრძალებდეს სხუათა, [240] გინა იგი შევარდებოდეს, ესევეთარი ვერ შემძლებელ არს სწავლად სხუათა. რომელსა მოუგიეს დაყუდებად, ჯერ-არჩან მისა სამნი ესე საქმენი (483) მოგებად: პირველად შიში ღმრთისაჲ და ლოცვაჲ მარადის და რაფთა არა წარიტყუენვოდის გონებაჲ მისი, რამეთუ სახელი ამაღლეკისაჲ მოწყინებაჲ არს.

და ოდეს იწყოს კაცმან არა აღსრულებად ნებისა თჳსისა და დააცადოს ცოდვასა და ღმრთისა მიივლტოდის წოწყინებაჲ, მოსწრაფე არს პირველად ყოვლისა ბრძოლად მისა, რაფთამცა კუალად-აგო ცოდვასავე პირველსა. ხოლო რომელი მოსპოვლავს მოწყინებასა, ესე არს ღმობიერად დადგრომაჲ ვედრებასა ღმრთისა მიმართ, ხოლო ღმობიერებაჲ მოიპოვების მარხვითა, და რომელი იმარხვიდეს, მოაუძღურებს ჯორცთა და მიიყვანებს კაცთა მადლობად ღმრთისა და იტყჳს, ვითარმედ: ვერარას შემძლებელ ვარ, არამედ შენ, მხოლოო ღმერთო, შემეწიე მე და განმძლიერე მე, რაფთა ვყო ნებაჲ შენი.

ძმანო ჩემნო, უკუეთუ არა მოიგოს კაცმან სურვილი ღმრთისა მიმართ და სარწმუნოებაჲ მართალი და უზაკუველობაჲ და არავის მიაგოს ბოროტი ბოროტისა წილ, და შრომაჲ გუამისაჲ და სიმდაბლე და სიწმიდე, [შ] და წყალობაჲ კაცთაჲ და განშორებაჲ საქმეთაგან ამის სოფლისათა და სიმშჯდე და სულგრძელობაჲ, და მარადის ღმობიერად ევედრებოდის ღმერთსა და სიყუარული (484) ქეშმარიტი, და არა კუალად ექცეს მასვე, რომელი დაეტევა, და არა ესვიდეს კეთილთა საქმეთა მისთა და მარადის შემეწე იყოფდეს ღმერთსა განსაცდელთათჳს მომავალთა მის ზედა. ყოველსა, რომელსა თანა ესე არა არს, რომელ ვაჟსენე, ვერ შემძლებელ არს იგი ცხობებად. და ესეცა უწყოდე ჰ კაცო, რამეთუ, მტერნი შენნი არა დასცხრებიან ძკრის ზრახვად შენდა და შენცა ნუ უდებ იქმნები მათთჳს, და ნუ შეურაცხ-ჰყოფ თანა-ცნობასა მას

2 ესჯოდი C; სარწმუნოებისათჳს C. 3 მოიღე]+შენ BC; იყვნეს C. 5 უწყოდე]+რ BC; მშვიდობაჲ C. 6 მოუგია C; ძმამან]+და მან B. 7 თუა C. 8 თუისა C. 11 ვიდრემდის]-B. 12 შევარდებოდის BC; ესევეთარი] ესე BC. 13 მისსა C; სამნი]-BC. 17 თუისისა C. 20 მოსპოვლავს BC. 21 ღმობიერებაჲ C; მოიპოვების C. 23 იტყუის C. 24 შემეწიე] შემეწყალე C. 26 და არავის] არავის B. 27 მოიგოს შრომაჲ B; და სიმდაბლე] სიმდაბლე C. 27-28 და წყალობაჲ] წყალობაჲ C. 28 და სიმშჯდე] სიმშვიდე C. 29 სულგრძელებაჲ CB. 30 იქცეს A. 32 არს] იყოს B. 34 ძვირს C. 35 მათთჳს C.

სულიერსა, დანერგულსა შენ თანა ნათლის-ღებისა მიერ, და ნუცა მიენდევბი თავსა შენსა, ვითარმედ: მო-რასმე-წვეულ ხარ: აქამომდე საქმესა სათნობისასა, ვიდრემდის ჰხედავ-ლა სულსა შენსა ქუეყანასა შინა მტერთა შენთასა, რომელ არს ენებანი ამის სოფლისაიხი. ყოველმან რომელმან დაუტეოს ზრუნვად ცოდვათა თვისთა და სხუათასა ზრუნვიდეს, იგი ცუდად ზურების. რომელი ილოცვიდეს ყოვლითა გულითა და ცნობითა ქეშმარიტითა ღმრთისა მიმართ, ჯერ-არს მისა, რაჟთა უწყოდის, [241] ვითარმედ ყოველმან რომელმან ყოს ნებაჲ თავისა თვისიაჲ თნიერ ნებისა ღმრთისა მტერად ღმერთსა აღუდგების.

ნუ იგონებ გულსა შინა შენსა ყოლადვე, ვითარმედ მი-რასმე-წდომილ ხარ და გიძლევიეს, რამეთუ ვიდრე არა (436) შეემთხვოს კაცი ღმერთსა დღესა მას განკითხვისასა და გამოვიდეს მის ზედა განბჭობაჲ და ცნას, თუ რომელსა ადგილსა შეიწვევის, ვერ შემძლებელ არს მინდობად. რამეთუ ძნიალ და შიშით შემძლებელ არს კაცი დაჯერებალ და სათნო ყოფად ღმრთისა, რამეთუ მწუხარებაჲ, რომელი ღმრთისა მიერ არს, რომელი დასწუავენ გულსა კაცისასა, იგი არს განმგებელი საცნობელთა გარეშეთა. და ეგრეთვე, რომელი წინა-აღუდგებინ რასმე მოძღურებით, იგი მცველ არს საცნობელთა გონებისათა. არა არს შენ თანა, # კაცო, განსრულებაჲ კმა-საყოფელი და ვერცა შემძლებელ ხარ მინდობად თავისა შენისა.

ამისთჳს ჯერ-არს შენდა, რაჟთა მოიგო შრომაჲ მარადის, ვიდრე ესე ხარ-ლა ჯორცთა ამათ შინა. ვიდრემდის კაცი უღებ იყოს, გულის-სიტყუანი აიძულებენ წარდგომად ღმრთისა, ხოლო რაჟამს განთავისუფლდეს ენებათაგან, მაშინ ჰრცხუენინ მას მიხედვად ღმრთისა მიმართ ყოლადვე და შეჭრაცხის თავი თჳსი, ვითარმედ: [x] ვერ შემძლებელ არს იგი ქცევად ნებისაებრ ღმრთისა. და განშორებულად ჰხედავენ თავსა თჳსსა ღმრთისაგან, ხოლო სულსა, რომელი ჯორცთა შინა მკვდრ არს, არა აქუს მას ენაჲ კაცისა მიმართ ზრახვად და არცა იტყუს, ვითარმედ უღებ არს იგი. და არცა სხუასა ჰზრახავს და არცა იტყუს: იგი ვინმე მოლუაწე (436) და მოსწრაფე არს, რაჟთამცა ჰრქუა: ნუ ეგდენ აიძულებ თავსა შენსა. და არცა თუალნი ასხენ, რომლითამცა ჰხედვიდა აუგთა მოყუსისათა, და არცა ენაჲ აქუს ზრახვად ნაკლულევიანებასა მოყუსისასა, რომლითამცა შეაწუხა, და არცა ყურნი ასხენ, რომლითამცა ისმინა, რომელი არა სარგებელ არს მისა, და არცა ვის კაცთაგანისა ძეს საქმე მისი არარაჲ ყოლადვე, არამედ შექცეულ არს თჳსთა ცოდვათა და მასწავლელ

1 და ნუცა] აწ ნუ B. 2 მი-რასმე-წვეულ ხარ BC. 3 ხედავლა C. 4 რომელ არიან BC. 8 თუისიხა C; თუინიერ C; იგი მტერად B. 11 შეემთხვიოს C. 12 და ცნას] ანუ B; 13 მიიწვევის BC; მინდობად] ცნობად B. 15 ლ'ისა მიერ] ლ'თისათჳს BC. 16 გარეშეთა C; საცნობელთაჲ გარეშეთა B. 17 მოძღურებით] მღვძარებით B, მღუიძარებით C. 18 კმა ყოფად B. 20 მოაგო C. 21 გულის-სიტყუანი] +მისნი BC. 22 აიძულებენ C] +მას BC. 24 თუისი C. 25 ხედავენ C. 26 მკვიდრ C. 26-27 ~ ზრახვად კაცისა მიმართ C. 27 იტყუის C. 28 იტყუს C. 29 ეგოდენ B. 30 ხედვიდა C; ~ აქუს ენაჲ BC. 33 არცა ვის თანა კაცთაგანისა BC. 34 თჳსთა C.

არს იგი ყოვლისა კაცისა მცნებათა ღმრთისათა დამარხვად. და არა თუ გორციელისა სიყუარულისათს. და ყოველი რომელი ექუს-ექუსით იმარხვიდეს და თავი თვისი მისცეს მძიმესა შრომასა, თვნიერ სიმდაბლისა შრომად მისი ცუდ არს.

ს უკუეთუ მოიგოს კაცმან ქურჭერი რომელიმე საჭმრად თვისა [242] და ეამსა საჭმარებისასა არა პოვოს იგი, არა უკუე ცუდად მოიგოა, ოდეს-ღა ვერ ირგო. ეამსა საჭმარებისასა? ეგრეთვე ყოველი რომელი იტყვს, თუ მეშინის ღმრთისა, რაჟამს შეემთხვოს მას ეამი შფოთისაჲ გინა ცუდად განრისხებისაჲ და შურიგოს თავით თვისით გინა ასწავებდეს სხუათა საქმესა, რომელსა-იგი არღარა მიწევნულ იყოს, გინა ეძიებდეს დაჯერებასა კაცთასა, ანუ ენებოს უხუცესწოდებაჲ კაცთაგან, და რომელნი მსგავს არიან (437) საქმეთა ამათ და ვნებათა, და ამისსა შემთხუევასა არა პოვოს შიში ღმრთისაჲ თავსა შინა თვისსა ამათ ვნებათა ბრძოლასა მისსა მიმართ, მაშინ საცნაურ იქმნეს, ვითარმედ ყოველი შრომად მისი და რომელსა იტყოდა, ვითარმედ მოუგვის მას შიში ღმრთისაჲ, ცუდად იტყოდა და ცუდ არს. სიყუარული ამის სოფლისაჲ განარისხებს ღმერთსა, და რამეთუ განაცხრობს და ევნების თუალთა, მოიძულე და შეურაცხ-ყავ სიყუარული გორცთაჲ, რაჟთა არა აღეტყინოს შენ თანაცეცხლი იგი ბუნებისაჲ. შეიიწრე მუცელი შენი შიშმილითა და წყურილითა, რაჟთა არა დაივიწყო ვსენებაჲ ღმრთისაჲ. ილოცევდ ყოველსა ეამსა, რაჟთა არა შეჭვარდე კელთა მტერთა შენთასა. შეურაცხ-ყვენ გემონი, რაჟთა არა [უ] აღეგზნას შენ შორის ცეცხლი იგი უძღებებისაჲ. აიძულე თავი შენი მოთმინებად განსაცდელთა, რაჟთა გფარვიდეს შენ მარჯ[უ]ენე დამბადებელისაჲ. დასთხიენ წინაშე მსაჯულისა ცრემლნი მრავალნი, რაჟთა განაბნიოს შენგან ვსენებაჲ ცოდვათა შენთაჲ. დაუტევე სიხარული ქუეყანისაჲ, განსუენებაჲ გორციელი, რაჟთა ღირს იქმნე სიხარულსა წმიდათა თანა.

იწურთიდ ფსალმუნთა ყოველსა ეამსა დავითისათა, რაჟთა განიდევნენ შენგან ეშმაკნი ბოროტნი. შეჭვედრე ცხორებაჲ შენი საწუთროფსაჲ კე(438)ლთა დამბადებელისა შენისათა, რაჟთა განერე საქმეთა ბნელისათა. დაგლახაკენ ნეფსით სიმდიდრეთაგან ამის სოფლისათა, რაჟთა იშუებდე შენ ტაბლასა მას ზედა ლაზარესსა. შეწირე სული შენი მადლობით მისა, რომელმან-იგი შეწირა სული თვისი მამისა შენთს, რაჟთა ჰპოვო განსუენებაჲ დღესა მას უკუანადსკენლსა. მიეც თავი შენი კითხვასა წიგნთა საღმთთოთასა, რაჟთა გულისკმა-ჰყო სლვაჲ გზასა მას იწროსა, რომელი მიიყვანებს სასუფეველად.

1 იგი]—C. 2 სიყუარულისათის C. 3 თვისი C; თუნიერ C. 5 და უკუთუ B; მოგოს C; ქურჭელი BC; თვისად C. 6 საჭმრობისასა C; მოიგოა]+იგი BC. 7 ვმარებისასა C; იტყუის C. 8 შემთხუიოს C. 8-9 და მან შურ იგოს C მან შურ იგოს B. 9 თუისით C; არღარა] არღა BC. 12 ~ შემთხუევას ამისსა B; ამისა C; თუისა C. 13 ვნებათა]+ მიმართ B; მისა C; ბრძოლასა მისსა]— B. 14 და ვდ C. 15 ცუდი C. 16 და რ' რ' BC. 18 შეაფწო C, იწრო ყავ B. 19 დაივიწყოს B. 21 აიძულე C; თავსა შენსა B. 22 მარჯუენა C. 23 განიბნიოს C. 24 და განსუენება BC. 26 ~ ყოველსა ეამსა ფსალმუნთა დავითისთა BC; განიდევნენ C. 28 დაგლახაკენ] იქმენ გლახაკ B. 29 ნებსით C; სიმდიდრისაგან C] სიმდაბლისაგან B; სოფლისა BC. 30 მას ზედა]—C.

მოიძულე ყოველი, რომელი არა სარგებელ იყოს შენდა შენდგომად სიკუდილისა, [243] და ივაქრე სავაჰრომ, რომელი დაადგრებოდის ცათა შინა. შეურაცხ-ყავ ქებად და ნუ გეშინინ ყუედრებისა, რამეთუ მოკუდავი ხარ ამას სოფელსა და ვერ შემძლებელ ხარ ცნობად მათ. მოაქციენ თუალნი შენნი სოფლისა სიქადულთაგან, რაათა არა გექმნენ საშუებელნი საგმობელ და სი-
 გლახაკე. ფარაო განამტყუენა ღმერთი და სოფელი შეიყუარა, ამისთუსა მიილო მისაგებელი მისი ზღუასა შინა მეწამულსა აქა და ზღუასა მას ცეცხლისასა საუკუნოდ მუნ. მიუთხრობდი ყოველსა ეამსა მარადის ძალსა და სასწაულსა სამებისა წმიდისასა, რაათა მეოტ იქმნეს შენგან გულის-თქუმაჲ ნაყროვნე-
 ბისაჲ, განეშორე რჩულისა გამომეძიებელთა, მოსარჩლეთა (439), რაათა არა
 განგილონ შენ კარი გმობისაჲ. დაიყვენ ყურნი შენნი გამოწულილვასა მხო-
 ლოჯსა მის სიტყუსასა, რაათა არა იქმნეს ენაჲ შენი აღმომაცენებელ ბორო-
 ტისა. განეშორე მაცილობელთა და შეეყავ მდაბალთა. და ესე იყავნ სიბრძნე
 შენდა, რომელი ასწავებს ათასსა და იქმს ერთსა, რამეთუ არს კაცი ღმრთი-
 საჲ. დამდაბლდი, რაათა აჰმალლდე; დაგლახაკენ, რაათა განმსდიდრდე [უ];
 იმშიე, რაათა განსძდე; იწყურე, რაათა ჰსუა; ფრიად საწუნელ იქმენ, რაათა
 პატივ-ცემულ იქმნე; ივინე, რაათა იქო; დაშუერ, რაათა განისუენო; განში-
 შულდი, რაათა შეიმოსო; ტიროდე, რაათა გიხაროდის; მოკუედ, რაათა ცხო-
 ველ იქმნე; ილუძებდ, რაათა განჰბრწყინდე; იმარხევედ, რაათა გიხაროდის;
 იგლოვედ, რაათა განმხიარულდე; ილოცევედ, რაათა განერე სატანჯველთაგან,
 ინანდი, რაათა განსწმიდე; ითხოვედ, რაათა მიილო; ირეკე, რაათა განგე-
 ლოს; სდევედ, რაათა ეწიო; გიყუარდინ, რაათა საყუარელ იყო; აღილე ჯუარი
 შენი, რაათა ნათელსა შინა დიდებულ იყო; დაკალ გუამი შენი შრომითა და
 განწმიდე სული შენი ლოცვითა; მოიძულენ მონაგებნი და ევლტოდე ამპარ-
 ტავანებასა; შეურაცხ-ყავ ქებად და შეიმოსე სული სიმდაბლისაჲ.

განაგდე სათნოებაჲ დედათაჲ და იყავ უბიწო და წმიდა ქრისტესა. გა-
 ნაგდე სიყუარული საფასეთაჲ (440) და განჰმარტე ჳელი შენი გლახათა წყა-
 ლობისათუს. სტიროდე თავსა შენსა, ვიდრე-ესე ცოცხალ-ლა ხარ, რაათა არა
 ეძიებდე წყალობასა დღესა მას განკითხვისასა და ვერლარა ჰპოვო. მოიგე
 მორჩილებად და იწროებაჲ თავისა [244] თუსისაჲ, რაათა არა გწყუროდის,
 ვითარცა მდიდარსა მას, რომელსა არა ეწია ლაზარე. იყავნ თავი შენი და-
 წუნებულ წინაშე შენსა, რაათა ცხხოვნდე სულითა მოსლვასა მას ქრისტესსა,
 შენ გაქუს ხატებაჲ მისი, რომელი-იგი ყოველთა უმაღლეს არს.

ილუაწე საქმედ კეთილთა საქმეთა, რაათა მსგავს აბრაჰამისა იქმნა. მწერალი უკუეთუ არა მოძლუარი არნ, აბრალეებდ და ჰგმობედ წერლისა ხა-

2 დაადრგებოდის C. 3 ყუედრებისაგან BC. 5 გექმნენ B. 6 განამტყუენა C. 7 მისაგებელი] მისაღებელი B. 10 სჯულისა C, შჯულის B; და მოსარჩლეთა B. 13 იყავ C. 15 განჰმსდიდრდე BC. 16 მწყურე C; სუა C. 19 ილუძებდი C] ილუძებდი B. 21 ითხოვედა BC; ირეკდი B; განგილოს A. 22 იწიო B. 24 სული შენი]+შრომითა და B. 26-27 განაგდე]+შენგან B. 27 გლახათა BC; წყალო- ბისათუს C. 30 თუსისა' C. 31 ვითარცა]+იგი BC. 32 მას]—BC; ქრისტესა C. 34 კეთილი- ს B; საქმეთა]—B; იქმნე B. 35 აბრალეებენ და ჰგმობენ C.

ტისა მისისასა, რაჲამს ვერ გამოწერის კეთილად. და შენ მსგავს ხარ მწერალსა დაფარულად. აწ უკუე შეამკვე კეთილითა და მრავალ-ფერითა წამლითა გონებად შენი, რაჲთა არა შენ ძლით იგმოს გამომხატველი შენი და განირყუნეს შუენიერებად ხატისა შენისაჲ. აიხუნენ მსგავსად დამბადებელისა შენისა სახენი საქმეთა შენთანი და ურუნენ შუენიერებად წერილისა მისისაჲ დაფარული უბიწოებითა გონებისა შენისაჲთა. გამოაცხადე საიდუმლოდ სიბრძნისა შენისაჲ * და აჩუნენ ძალი მისი სიპართლითა შენითა. მიუთხრობდი სასჯელსა მას საუკუნესა ცრემლითა შენითა და ქადაგებდი სასუფეველსა მოთმინებითა შენითა. აღამცირენ ძკრის-მეტყუელნი შენნი დუმლითა და ამხილენ უძღებთა

10 [უ] მარხვითა შენითა, განალჴმენ მძინარენი მღვდარებითა შენითა და ნუგეშინის-ეც ცოდვილთა სახითა შენითა. ამხილენ ნაყროანთა მოთმინებითა შენითა და ლნობიერ-ყვენ მდიდარნი სიგლახაკითა შენითა.

იყავ შენ უცხო სოფლისაგან და განაცხადე ძალი სიყუარულისაჲ, განდევნენ შფოთი გულისაგან შენისა და შეაყავ თავი შენი სინანულსა. დააყენენ

15 ენაჲ შენი დრტუნვისაგან და აღმახუე იგი გალობად ღმრთისა მარადის. შორს ყავ ოქროდ სენაკისაგან შენისა, რაჲთა დაიმკვდროს მას შინა სულმან ღმრთისამან. იყავ მეუფე მუცელსა შენსა ზედა, რაჲთა განიშორენ ყოველნი საბრვენი მტერისანი. განეშორე მრავალ-მეტყუელებასა, რომელი მოცალეთა მოუპოებიეს, რამეთუ არარაჲ არს მას შინა სარგებელი სულისაჲ. ნუ გძინავს

20 ეამსა მკისასა, რაჲთა არა გემოსოს ძონძი დაბებკული ეამსა მიგებისასა. შეპრისხენ ნებასა ჯორცთა შენთასა, რაჲთა არა მძღე გექმნეს ნტერი შენი. წარეცი სასუმელი სნეულთა და ნუ ხარ მოყუარე მისა. ნუ მისცემ ნებასა შენსა განსუენებასა, რაჲთა არა მბრძოლად აღვიდგენ. ნუ განულებ კარსა განსუენებასა ჯორცთასა [245], რაჲთა არა იძლიოს ქალაქი შენი და წარიტყუენ-

25 ნოს მტერთა მიერ. ნუ იხარებ და იგემოვნებ სიტყუათა, რომელთა ეშორო საქმით, რაჲთა არა იბრალო ქორწილსა მას სამოსლისა შენისა მიზეზითა.

დასთესე თესლი შენი კეთილი ქუეყანასა სიტყუერსა, რაჲთა არა პურის მთხოველ იქმნენ. ქუეყანასა მას, რომელსა არა აქუს შეწვენაჲ მთხოველისაჲ. იგულენ სასანთლენ შენი და აღაგე იგი ზეთითა სახიერებისა და მოწყალეებისაჲთა, რაჲთა არა დაივსოს სანთელი შენი შორის კრებულსა მას შემავალსა ქორწილად და გარე უკუნ გაქციონ მეკარეთა. ელოდენ სიკუდილსა ყოველსა ეამსა და ითხოვედ წყალობასა, ვიდრე ცოცხალ იყო, რაჲთა არა განგირისხნეს მსაჯული და მიგცეს საპყრობილოდ. ევლტოდენ ასულთა ევაჲსთა ჯორციელად და ნუ წინა-აღუდგები მათ, რამეთუ ახოვანნი შეცკვეს სანადიროსა მათ, სადა

1 კეთილითა] კეთილად C. 3 გამონატული B. 4 აღიხუნენ BC. 6 სადღუმლოჲ C. 7 საშ-
ჯელსა B. 9 ძვირის-მეტყუელნი C; აღიმცირენ B; შენნი]—B; დუმლითა]+სირცხლეულ-ყვენ B.
10 და]—B. განალჴმენ C; მღვდარებითა C. 11 ნაყროანთა B. 13 იყავ B. 14 და]—B. 15 დრტუნ-
ვისაგან C. 16 დამკვიდროს C. 19 მოუპოებიეს B; გძინავ B. 21 შერისხენ B. 23 ბრძოლად B.
24 წარიტყუენო B. 26 საქმითა B. 27 სიტყუიერსა C. 28 -მთხოველ B; მთხოველისაჲ] მვედრებე-
ლისაჲ B. 29 იგულენ C. 31 მოვლოდენ B. 33 საპყრობილოდ B. 34 ახოვანი შეცკვეს B; შეტეი-
ვის C.

* ამას ქვემოთ A-ს ფურცლები აკლია.

წარწყმდეს. ნუ აუფლებ სახედველთა შენთა ხედვად გარეშე სიწმიდისა, რაჟთა არა შეიქუროს მათ მიერ მტერი შენი შენ ზედა ვნებათა მიზეზითა და დაგცეს პატივისაგან. ნუმცა იარების გონებაჲ შენი გარეშე [ა] გზისა (319)* მისგან იწროჲსა, რაჟთა არა მოგნადირონ მტერთა შენთა უწყალოდ, და წარიღონ მონაგები შენი. ნუ ხუალ გზასა მას იერიქოჲსასა და ნუცა დაუტეობ იერიუსალჲმსა, რაჟთა არა მოიწყლა ავაზაკთა მიერ და არა ჰპოვო წყლულე-ბათა შენთა კურნებაჲ.

** და უკუეთუ გნებაჲს, მიგიტხრა საქმე რაჟმე განმალჯებელი სინანულად და მოქცევად ღმრთისა მიმართ წიგნთაგან საიდუმლოთა. რაჟეთუ წერილ არა იოვანესთჲს ღმრთის მეტყუელისა, ქრისტეს მოციქულისა და მოწათისა 10 საყუარელისა, ვითარმედ რაჟამს იგი იქცოდა ქუეყანასა ასიამსასა, რომელსამე ქალაქთაგანსა, პოვა ნან ერთი ვინმე ჰაბუკი შემეკული შუენიერად და ძლიერი და შუენიერი პირითა და შუებული ჯორციითა. და ენება წმიდასა მოციქულსა, რაჟთამცა იქსნა იგი კერპთ მსახურეებისაგან და აცხოვნა სული მიი, და დასთესა მის თანა თესლი იგი კეთილისა სარწმუნოებისაჲ. ხოლო 15 მან აღუთქუა და შეიწყნარა, რაჟთა იქმნეს მორწმუნე ქრისტესა.

მაშინ მიიყვანა წმიდამან მან ეპისკოპოსისა მის ქალაქისა, რაჟთა მისგან ისმინნეს საღმრთონი სიტყუანი. მიუგო წმიდამან იოვანე ეპისკოპოსსა და ჰრქუა: ამას კაცსა ნამარხვევად მიგიტუალავ, ჰ ეპისკოპოს, მოწამებითა 20 ღმრთისაჟთა და ყოველთა ამათ ეკლესიისა კრე(ჰმს)ბულთაჟთა, რაჟთა ასწაო ამას სარწმუნოებაჲ ღმრთისა ჩუენისაჲ და მოწრათედ დაიციე იგი ვნებათაგან მტერისათა. და ვითარცა ესე ჰრქუა წმიდამან იოვანე ეპისკოპოსსა, და შეჰვედრა მას ჰაბუკი იგი.

ხოლო იგი განვიდა გარემო სოფლებსა მას და ქადაგებდა სარწმუნოებასა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესა, მაშინ შეიყვანა ეპისკოპოსმან ჰაბუკი 25 იგი და ასწავებდა დღითი-დღედ სარწმუნოებასა და ითუალვიდა. და მისა შემდგომად მოსცა მას ნათელი და ქრისტეანე ყო და ჰგონებდა იგი, ვითარმედ შექურა და განამტკიცა იგი სარწმუნოებასა ზედა ნათლის-ლებითა. და განუტევა იგი და არლარა შესძინა სწავლად და მოთუალვად მისა ჯერისაებრ. 30

და ვითარცა მოიცალა ჰაბუკმან მან, შეეყო იგი კაცთა ვიეთმე ჰაბუკთა უკეთურთა და განრყუნილთა და ბოროტის მეძიებელთა. ხოლო მათ მიიყვანეს იგი და ასწავეს ყოველი ფერი უკეთურებაჲ და ბოროტისა საქმე და ღმით პარვაჲ. და კუალად მიიყაენეს იგი მეძავთა ქულბაგსა და მეღვინეთასა და ასწავლნეს ყოველნი უკეთურებანი მათნი. უკუანაჲსკნელ განიყვანეს იგი მთად 35 და ყვეს იგი ავაზაკთ მთავარ ძლიერებისა მისისათჲს და სიმჴნისა და შეუმ-

2 შენი) — B. 3 მისგან] მის AB. 4 აწროასა C; მოგინადირონ B. 5 იერიქოჲსასა C, 6 აღწომსა C. 9 საიდუმლოთა] საღმრთოთა A. 12 შემეკობილი H. 14 იგი) — B. 19 მოწამებითა B. 21 დაიციე B. 24 გარემოს B. 25 მიიყვანა B. 26 დღითი-დღედ B. 27 მას] — B. 29 მისა] — B. 32 ბოროტისა მეძიებელთა B. 35 და უკუანაჲსკნელ B. 36 ~ და სიმჴნისა მისისათჲს B.

* კვლავ გამოჩნდა A-ს ტექსტი, მაგრამ ფურცელი უადგილო ადგილსა.

** ამას ქვემოთი ტექსტი C-ს არ გააჩნია. მას მხოლოდ ამ სტატიის ბოლო მოეპოება.

ზადეს მას ყოვლით (441) კერძოვე წარსაწყმედელი, და დაიბუნაგეს მთასა გარე, და დაემკვდრა მის თანა სული უწყალოებისაჲ. და არცალათუ გონებითა მსგავს იყო იგი კაცთა, არამედ მიემსგავსა იგი სიბოროტითა მჭეტთა მძუნვარეთა და ყოლადვე არა მოიქსენა შიში ღმრთისაჲ გულსა თუსსა.

- და ამას ესევეთარსა განრყუნილებასა შინა დაყუნა ეამნი რავედენნიმე. და ვითარცა მოიწია წმიდაჲ იოვანე ღმრთის მეტყუელი კუალად ქალაქად ქაბუჯისა მის, მოიკითხა ეპისკოპოსი იგი და ჰრქუა წინაშე ყოვლისა კრებულისა: მომეც მე, ზ ეპისკოპოს, ნამარხევი იგი ჩემი, რომელი მიგეც შენ მოწამებითა ღმრთისაჲთა და ეკლესიისა კრებულისაჲთა. მაშინ განცუბრდა ეპისკოპოსი სიტყუასა ზედა მოციქულისასა, რამეთუ ჰგონებდა, ვითარმედ საფასისათჳს იტყუს. და ვითარცა იხილა იოვანე ეპისკოპოსი შეშფოთებულად, მიუგო და ჰრქუა: მომგუარე ქაბუჯი იგი, რომელი შეგვედრე წინაშე ღმრთისა. მაშინ ვითარცა ესმა ესე ეპისკოპოსსა, სულთ-ითქუნა სიღრმითა გულისაჲთა და ტირილით მიუგო და ჰრქუა, ვითარმედ: მოკუდა ქაბუჯი იგი, რომელი შემოგვედრა ჩემდა, მოციქულო. მიუგო მას წმიდამან იოვანე და ჰრქუა: დარომლითა სიკუდილითა მოკუდა? ჰრქუა მას ეპისკოპოსმან: მოკუდა იგი სულითა, რამეთუ განრყუნეს იგი თანა-შემყოფთა ბოროტთა (442) პირველად ბილწებითა ქალაქსა შინა და უკუანაჲსკნელ განიყვანეს იგი უდაბნოდ და ყვეს იგი მთავარ ავაზაკთა, და აქამომდე მიწვენულ არს ბოროტითა უფროჲს ყოველთა ძვრის მოქმედთა და მოსრავს უწყალოდ ყოველთა, რომელთა მიემთხუევის. მიუგო იოვანე და ჰრქუა ეპისკოპოსსა: კეთილსა მწყენსსა მიგანდვე სული ქაბუჯისაჲ მის, კეთილი მწყემსი დაგადგინე ტარიგსა მას ზედა ქრისტესსა, რამეთუ უღბობით მიეც იგი პირსა მჭეტისა მის მძუნვარედ განმრყუნელისასა სამწყსოთა ქრისტესთა. აჲ უკუე მომგუარეთ საწედარი, და მომეცით მე
- კაცი, რომელმან მასწავს მე გზად მის საავაზაკოჲსაჲ. და მუნთქუესვე მოკუგუარეს საწედარი და დაჯდა მას ზედა, და მისცეს კაცი, რომელმან უჩუენოს გზად. და განვიდა ესრეთ უდაბნოსა მას საავაზაკოსა ძიებად კრავისა მის ქრისტესისა წარწყმედულისა.

- და ვითარცა მიიწია წმიდაჲ იოვანე მთასა მას ავაზაკთასა, შეიპყრეს იგი რომელთამე მათგანთა ბოროტის ყოფად. ხოლო წმიდამან იოვანე ჰრქუა მათ: მე თუთ განზრახვით თქუენდა მოვალ, მიმიყვანეთ მე მთავრისა თქუენისა. და იყო ქაბუჯი იგი შექურვილ საქურველითა და მდგომარე განშორებულად-რე კრებულისა მისგან ავაზაკთაჲსა. (443) და ვითარცა წარემართა წმიდაჲ იოვანე მის კერძო, მიჰხედნა ქაბუჯმან მან და იცნა იგი. და ვითარცა იცნა იგი, სივლტოლად დგა სირცხვლისა მისგან. მაშინ წმიდაჲ იოვანე სდევდა მას და და-

4 თუსსა) შინა მისსა B. 5 დაყუნა B; რაოდენნიმე B. 8 იგი]—B; მოწმობითა B. 9 განცუფრდა B; ეპისკოპოსი] + იგი B. 10 ზედა] მას ზედა B. 11 იტყუს B; და ვა იხილა] იხილა რაჲ B. 12 შეგვედრე] + შენ B. 13 ესე]—B. 15 მოციქულო]—ო რ B; მაშინ მიუგო B; და]—B. 17 თანა შეყოფითა B; ბოროტთა] + კაცთა B. 18 უდაბნოს B. 19 ბოროტითა] იგი ყოველსა ბოროტსა B. 21 მწყემსსა] მცველსა B. 23 უდებებითა B. 24 პირსა მჭეტისა მის] მგელსა მონადირებად B; განმრყუნელსა B; ქრისტესთასა B. 25 მე]—B; 26 გზად] + მთისაჲ B. 30 ბოროტისა ყოფად B. 34 მიჰხედა B.

·ლადებით ეტყოდა: რაჲსათეს ევლტი, შვილო ჩემო, მამასა შენსა; რაჲსათეს შრომასა შემამთხუევ უცხოსა ამას და უძლურსა მოხუცებულსა? მელოდე, შვილო ჩემო, და ნუ გეშინინ, რამეთუ არს შენდა სასოებაჲ ცხოვრებისაჲ. მე შევიწოდო შენ წილ სინანულითა, ვითარცა-იგი უფალმან მისცა სული თვისი ჩუენ ყოველათათეს. ნუ გეშინინ, შვილო ჩემო, მელოდე და გრწმენინ ჩემი, ვითარმედ ქრისტემან მომავლინა შენდა შენდობისა მიცემად. მე თავს-ვიდვა სიკუდილი შენთეს. მე მივსცე სიტყუაჲ სისხლთა მათთეს, რომელ დასთხინენ. მე აღვიხუნე ყოველნი ცოდვანი შენნი ქედსა ჩემსა ზედა. ნუ გეშინინ, ნუცა სასოწარკუთილ ხარ ცოდვათა შენთათეს.

და ვითარცა ესმეს ქაბუქსა მას სიტყუანი ესე წმიდისა იოვანესგან, მუნ-
 ·თქუესვე დასთხია საჭურველი თვისი და ძწოლაჲ შეედვა, და იწყო ტირილად
 ·მწარითა ცრემლითა, და მოეგება წმიდასა იოვანეს და დაეცა პირ-დაქცევით
 ფერქთა მისთა თანა და გოდებდა. ხოლო წმიდამან იოვანე აღადგინა იგი და
 მოწლედ მოიკითხა. ხოლო იგი მრავლისა მისგან (444) ტირილისა ვერ შემძ-
 ·ლებელ იყო სიტყუსა მიგებად მისა და თხოვად შენდობისა, არამედ განჰმარტა
 მარჯუენე მისი წინაშე იოვანესა და უჩუენა, რამეთუ შებღალულ იყო იგი
 სისხლითა კაცთაჲთა. მაშინ მიიღო იოვანე მარჯუენე ავაზაკისაჲ მის და ამბორს
 უყოფდა და იმთხუევდა თუალთა თვისთა და ჰრქუა: დღეს ნათელს-გილებიგს
 ამით ცრემლითა და განწმედელ ხარ ყოველთა ცოდვათა შენთაგან და ნუ-
 ·ლარა მწუხარე ხარ. და მუნთქუესვე წარიყვანა იგი მის თანა და შეჰართო
 კრებულსა ეკლესიისასა და ესრეთ აცხოვნა სული მისი. და მის მიერ არწმუნა
 ყოველსა ერსა, ვითარმედ არს სინანული ცოდვილთათეს და განწმედაჲ ცრემ-
 ·ლითა და სასოებაჲ ჰეშმარიტი აღდგომისაჲ, და ამისსა ჰეშმარიტებასა და-
 ·ამტიციებს პირველი იგი ავაზაკი, რომელი ცხოვნდა ჯუარსა ზედა დამშკულული
 სიტყუთა ერთითა სარწმუნოებისა და სინანულისაჲთა. და კუალად წამებენ
 ყოველნი, რომელნი განერნეს ბოროტისაგან სინანულითა.

და კუალად იყო ვინმე უწინარეს ნათესავისა ამის ჩუენისა მოვრიკ
 მეფისა ზე მორწმუნისა კაცი უკეთური ფრიად, მთავარი ავაზაკთაჲ, დამთხე-
 ·ველი სისხლისაჲ და მოქმედი (445) ბოროტისაჲ თრაკეთისა ქუეყანასა. და
 იყო იგი უმადლო და უწყალო თვნიერ გონებისა კაცთაჲსა, ვიდრემდის მიიწია
 ბოროტსა, რომლითა აღაოტრა და უვალ ყო იგი კაცთაგან, და მრავალ-გზის
 მრავალი აღქურვილი მგედართაჲ და სპათა სიმრავლე განვიდის ძიებად მისა
 და ვერ შემძლებელ იქმნეს შეპყრობად მისა ვერ რომლითა ღონის ძიებითა,
 არამედ ახოვნებითა მისითა რომელნიმე მათგანნი მოსრნის, და რომელნიმე
 შეიპყრნის, და რომელნიმე განაბნინის ძლიერად, და ამას ზედა განრყუნი-
 ·ლებასა დაყუნა ჟამნი მრავალნი.

1 რაჲსათეს ევლტი... მამასა შენსა]—B. 2 და მოხუცებულსა B. 4 სინანულითა] + მე
 მივსცე სული ჩემი შენ წილ B. 10 ესმენს B. 11 ძრწოლაჲ B; და იწყო] იწყო B. 12 წმიდა B;
 დაეცა] + იგი B. 13 თანა] ზედა B. 15 სიტყუს მიგებად B; შენდობასა B. 18 დღეს] + კუალად B;
 ნათელ-გილებიგს B. 19-20 ნურღარა B. 20 მუნთქუესვე] — B. 22 სინანული ცოდვილთათეს]
 ცოდვათათეს სინანული B. 23 აღდგომისაჲ B. 24 ცხოვნდა B. 25 სარწმუნოებისაჲთა B; და
 სინანულისაჲთა]—B. 31 ყოლადვე უვალ ყო B. 34 მისითა] თვისითა B. 35 განრყუნილებასა] +
 ზედა B.

და ესმა მისთვის და ბოროტთა საქმეთა მისთათვის მორწმუნესა მეფესა-
 მოვრიკს. წარაელინა ერთი ვინმე შინაურთა მსახურთა მისთაგანი და წარჰსცა-
 მძივი იგი, რომელი ჰკიდავენ ყელსა მეფისასა, რაჲთა მისცეს მას საფიცო-
 მტკიცე და დაუბეჭდოს მნივითა მით და სახელდებითა ღმრთისაჲთა, რაჲთა
 5 უშიშად მოვიდეს მისა. და ვითარცა იხილა იგი ავაზაკთ მთავარმან და ესმ[ნ]ეს
 სიტყუანი მეფისა მის, თქუმულნი მისა, შეიკდიმა და დასთხია ყოველი იგი
 საქურველი და სახე ავაზაკთაჲ. და შთამოვიდა იგი მთით გულითა წრფე-
 ლითა, ვითარცა კრავი, და (445) მისცა თავი თუნი ჯელთა მეფისათა ნეფაით.
 და მიენდო საფიცსა მისსა სავსე ყოველითა ბოროტითა. ხოლო ღმრთის მორ-
 10 წმუნემან მეფემან შეიწყნარა იგი სიხარულითა და არარაჲ ბოროტისა საქმე
 უქსენა მას. და მცირეთა დღეთა შედგომად დასნეულდა ავაზაკი იგი, და-
 დააწვინეს იგი სახლსა სასნეულოსა მეფისასა. ხოლო ასუეს მას ღჯნოჲ, რა-
 მეთუ ინება; და გარდაიქცა სნეულებაჲ მისი თავ-ქედად, განწირულად ცხორე-
 ბისაგან, და წარვიდა ცნობაჲ მისი. და ვითარცა განწირეს იგი სიკუდილად,
 15 კუალად მოიქცა და გონებასა მოეგო, და ღამე შემოეწიფა და ეუწყა თავით
 თუსით, ვითარმედ საწუთროსა ამას სოფელსა დაუტეობს.

მაშინ იწყო ღმობიერად ვედრებად ღმრთისა მიმართ მოწყალისა მრავ-
 ლითა ცრემლითა, და ფრიადითა გოდებითა აღიარებდა ცოდვათა თუსთა და-
 ითხოვდა შენდობასა ცოდვათა თუსთასა და იტყოდა, ვითარმედ: არარას
 20 უცხოსა ვითხოვ შენგან, ✠ კაცთ მოყუარო, არამედ მასვე: რომელი-იგი ჰყავ
 უწინარეს ჩემსა მსგავსსა ჩემსა ავაზაკსა ზედა, რომელმან აღიარა ცოდვანი
 მისნი, და შენ განულე მას სამოთხე. ეგრეთვე აჩუენე ჩემ ზედაცა სასწაული-
 შენი, სახიერო, და შეიწირენ ცრემლნი ესე ჩემნი, რომელნი (447) -ესე დაერ-
 დომილი ვძე სარეცელსა ზედა სიკუდილისა ჩემისასა. და ვითარცა-იგი მი-
 25 ითუალე ეზეკია მეფისაგან, ოდეს-იგი ტირილით გევედრებოდა შენ მდებარე
 სარეცელსა თუსსა ზედა, და ვითარცა-იგი ღირს ჰყვენ ფასსა სრულსა მუშაკნი
 იგი მეთერთმეტისა ჟამისანი, რომელთა-იგი არარაჲ ქმნეს ვენაჯსა მას შენსა.
 ეგრეთვე შეიწირენ ცრემლნი ესე ჩემნი მცირედნი მწარენი და ნათელ-მეც
 მე მათ მიერ მეორედ, და განმწმიდე მე დატევებითა ცოდვისა ჩემისაჲთა,
 30 ვითარცა ნათლის-ღებითა, და ნურარას მთხოვ მე თუნიერ ამისსა, რამეთუ
 ჟამსა ამას ვერლარას შემძლებელ ვარ საქმედ, და ვხედავ, რამეთუ სული ჩემი
 მიჰყავს შენდა, და რომელნი წარმიყვანებენ მე, მოახლებულ არიან. და ნუ გა-
 მოიწუდილავ საქმეთა ჩემთა, რამეთუ ვერარას კეთილსა ჰპოებ ჟამსა ამას,
 რამეთუ ცოდვათა ჩემთა წარმისწრვეს მე წინაშე შენსა. და ჟამი შემომეწიფა

1 და ვა ესმა ესე მისთვის B. ~ და საქმეთა მისთათვის ბოროტთა B; მეფესა]—B. 2 მსა-
 ხურთაგანი B; მისთაგანი]—B; წარსცა B. 4 სახელის დებითა B. 5 ავაზაკთა მთავარმან B:
 6 სიტყუანი]+იგი B; მის] მიერ B; მისა]+მიმართ B. 8 ნებსით]+თუსით B. 9 ღის მსა-
 ხურმან B. 10 სიხარულით B. 11 მცირედთა B. 13 გარდაიქცა B. 14 სიკუდილ B. 16 ~ დაუტე-
 ვებს საწუთროსა ამას სოფელსა B. 17 მაშინ] — B; იწყო]+ ტირილად B; და ვედრებად B.
 19 ცოდვათა თუსთასა]—B. 21 მსგავსისა მის ჩემისა ავაზაკისა B. 24 ვსძე B. 28 მცირენი B.
 და მწარენი B. 30 ამისა B. 33 ჰპოებ B.] + მათ. შინა B.

და კეთილთა საქმეთაგან შიშუელ და გლახაკ ვარ და ცოდენი აურაცხელ არიან, არამედ ვითარცა-იგი შეიწირენ ცრემლნი პეტრე მოციქულისანი, შეიწირე ტირილიცა ჩემი, # კაცთ მოყუარეო, და დააბკურენ ცრემლნი ესე ჩემნი ჭელით-წერილსა ცოდვათა ჩემთასა (448) და ავოცე იგი ბრალთაგან ჩემთა ურიცხუთა.

და დაყო ავაზაკმან მან ჟამი რავდენიმე ამას ვედრებასა შინა მრავლითა ცრემლითა და აღიარებდა ცოდვათა თუსთა წინაშე ღმრთისა, ვითარცა-იგი გუაუწყეს ჩუენ სხუათა მათ სნეულთა, რომელნი წვეს გარემოეს მისსა, და რამეთუ თავის სახუე(ვე)ლითა თუსითა იწმენდნ ცრემლთა მათ, რომელნი გარდამოდოდეს თუალთაგან მისთა, და მას შინა შეჰვედრა სული თუსი ჭელთა ღმრთისათა.

იყო ვინმე კაცი მთავართაგანი მის ქალაქისათა მკურნალი წმიდა და სათნოებითა შემკული, რომელი დლითი-დღედ და ჟამითი-ჟამად ითულავდა სნეულთა მათ, და ეხილვა მას ავაზაკი იგი სნეული. მაშინ იხილა მკურნალმან ჩუენებით სახლსა შინა თუსსა ჟამსა მას, რომელსა მოკუდა ავაზაკი იგი. იხილა, რეცა მრავალი კრებული ავაზაკთა მოიწია ცხედარსა ზედა მის ავაზაკისასა და მოიცვეს იგი. და აქუნდა მათ თანა ქარტაჲ ფრიადი, რომელსა შინა ეწერნეს ყოველნი ცოდვანი ავაზაკისანი მის. და კუალად იხილნა ორნი კაცი ნათლისანი და აქუნდეს მათ თანა სასწორნი. მაშინ წარმოდგა სინრაველი იგი [ავაზაკთაჲ] და შთაკობეს ყოველი იგი ქარტაჲ, რომელსა ეწერა ყოველი ცოდვაჲ ავაზაკისაჲ მის ერთკერძოსა მას ბუდესა სასწორისასა, და დასძლია * ცალიერსა მას. მაშინ თქუეს კაცთა მათ ნათლითა შემოსილთა ურთიერთას: ჩუენ არარაჲ გუაქუს ყოლადვე, რაჲ შთავდვათ სასწორსა ამას ერთკერძოსა. მიუგო ერთმან მან მოყუასსა თუსსა და ჰრქუა: ამისი ჯერეთ ათი დღე არლარა არს, ვინაჲთგან მოსრულ არს ავაზაკობით, რასა უკუე კეთილსა საქმესა ეძიებ ამის თანა?

და ვითარცა ამას იტყოდეს ურთიერთას, იწყეს რეცა ძიებად რასამე ცხედარსა მისსა თანა, რადამცა პოვეს რამეჲ კეთილისა საქმე. და ერთმან მათგანმან პოვნა თავის-სახუეველნი იგი ავაზაკისანი, რომლითა იწმენდნ ცრემლთა მისთა. მიუგო და ჰრქუა მოყუასსა თუსსა: მართლიად გეტყჳ, რამეთუ არარაჲ არს აქა ჩუენ თანა თუნიერ ესე თავისა სახუეველნი, შთაუსხნეთ ესე წყალობასა თანა ღმრთისასა ერთ კერძო სასწორსა მას. და ვითარცა შთასხნეს ოგინი წყალობასა თანა ღმრთისასა ბუდესა მას ცალიერსა, და დასძლიეს მეორესა მას და განიბნია ყოველი იგი ქარტაჲ, რომელსა წერილ იყვნეს ცოდვანი ავაზაკისანი. მაშინ ლალად-ყვეს ანგელოზთა და თქუეს: სძლო წყა-

1 აღურაცხელნი # 3 ტირილი #]-ესე B. 4 აღოცენ B; ბრალთაგან ჩემთა ურიცხუთა] ნოწყალებითა შენითა B. 6 რადენიმე B. 8 მისა B. 9 გარდამოსდიოდეს B. 11-12 წმიდა და სათნოებითა შემკული]-B. 14 მკურნალმან] + მან B. 16 ~ კრებული მრავალი B. 21 ~ მის ავაზაკისანი B.

* ამანვე წყდება ეს თავი და საერთოდ ამით მთავრდება ხელნაწერი A. ქვემოთ ოშკური (ათონური) ნუსხის პირით (B) მოგვაქვს ტექსტი.

ლობამან ღმრთისამან. და წარიყვანეს სული მისი და აღიყვანეს მათ თანა ზე-
ცად. და ივლტოდეს ვაებით შავნი იგი სირცხულელნი.

და ვითარცა იხილნა მკურნალმან მან ჩუენებად ესე და განილჳდა მუნთ-
ქუესვე, და შეიძოსა სამოსელი თვისი და წარვიდა მწრადელ სახლსა მას სა-
სნიულოსა და მივიდა ცხედარსა მის ავაზაკისასა და შეახო გუამსა მისსა და
პოვა იგი მჭურვალე, რამეთუ მუნთქუეს ოდენ განსრულ იყო სული მისი და
აღსრულ იყო წინაშე უფლისა. და თავის სახუეველნი მისნი ესხნეს თუალთა
ზედა მისთა, სავსენი ცრემლითა. და აუწყეს მათ, რომელნი წვეს მახლობე-
ლად მისა, რომელი-იგი ესმინა ტირილით ვედრებად ღმრთისად და აღსარებად
ცოდვათა თვისთად. მაშინ აღიხუნა თავის სახუეველნი იგი ჳელითა თვისითა და
შევიდა წინაშე მოვრიკ მეფისა მორწმუნისა და უჩუენნა იგინი და უთხრა მას
ჩუენებად იგი, რომელი იხილა ძილსა შინა, და რად-იგი ესმა ცათგან, რომ-
მელნი წვეს მახლობელად მისა სიკუდილისა ეამსა. და ჰრკჳთა მკურნალმან მან
მეტყესა: ვჰმადლობ ღმერთსა, ჳ უფალო ჩუენო მეფე, რამეთუ გუესმინა ჳსნად
ავაზაკისად ცოდვათა და ბრალთა მისთაგან აღსაარებითა ჯუარსა ზედა მეუ-
ფისა ზეტათაჲსა. და კუალად აწ ესერა თუალითა ჩუენითა ვიხილეთ, რამეთუ
ავაზაკი ცხოვნდა აღსაარებითა ცოდვათა თვისთაჲთა მეუფებასა ჳელმწიფებისა
შენისასა.

ხოლო ჩუენ გუესმის ესე და გურწამს, რამეთუ ჳეშმარიტ არს, * [215 v, 6]
არამედ ჯერ-არს ჩუენდა, რაჲთა განვიმზადნეთ თავნი თვისნი დღისა მისთვის
სიკუდილისა სინანულითა სრულითა უწინარეს სიკუდილისა. რამეთუ მრავალნი
მყის წარიტაცნის სიკუდილმან და არა აუფლის სიტყუსაცა ერთისა აღმოტჳუ-
მად, არცა ტირილად და არცაღა ანდერძისა ყოფად. ამისთვის ყოველსა ეამსა
ჯერ-არს ჩუენდა მოლოდებად დღისად მის, რამეთუ არა უწყით, ვითარ იყოს
განსლგად ჩუენი ჳორცთაგან და ნუმცა უდებ ვართ და ნუმცა ვალოდინებთ
სინანულსა ჩუენსა ეამსა სიკუდილისა ჩუენისასა, არამედ უსწროთ და მივივ-
ლტოდით წინაშე წმიდასა პირსა მისსა აღსარებითა ცოდვითა ჩუენთაჲთა. და
ესე ამისთვის დავწერე, რაჲთა ჰბაძვიდეთ შურსა მას კეთილსა და არა უდებ
იქმნეთ.

არამედ განვილჳძოთ სინანულად და მოვაცალოთ თავთა ჩუენთა სათნო-
ყოფად ღმრთისა ყოვლითა გულითა ჩუენითა, მარხვითა და ლოცვითა, ტი-
რილითა და კეთილისა საქმითა, და დავიცვნეთ მცნებანი ღმრთისანი, რაჲთა
მივემთხვნეთ კეთილთა მათ ზეცისათა [216] შენდობითა ცოდვათა ჩუენთაჲთა,

20 თვისნი C] ჩუენნი B; დღისათვის B; მისთვის — B; მისთვის C. 21 სიკუდილისა] გან-
სლგისა ამირ სოფლით B. 22 სიტყუისაცა C; თჳმად B. 23 არცაღა] არცა B; ამისთვის C.
25 და ნუმცა უდებ ვართ] — B. 26 სიკუდილისასა B; ჩუენისასა] — B. 27-28 და ესე ამისთვის...
უდებ იქმნეთ] — C. 30 განვილჳძოთ C. 32 და დავიცვნეთ] დავიცვნეთ B. 33 მივემთხვნეთ B,
მივემთხუინეთ C; მათ] — B.

* აქიდან კვლავ გასდევს C-ს ტექსტი (ჩანს, დაუგდია გადამწერს ზემორე მოყვანილი ეპი-
ზოდი, რომელიც, როგორც ავტორი აცხადებს, აპოკრიფულია).

და ღირს-ვიქმნეთ სასუფეველსა ცათასა მადლითა და წყალობითა ქრისტეს ღმრთისა ჩუენისაჲთა, რომლისაჲ არს დიდება და პატივი და მადლი და თაყუანის-ცემამა მამისა თანა სულით წმიდითურთ აწ და მარადის და უკუნითი [უკუნისამდე, ამენ].

**სწავლამა წმიდისა მხრამისი
სინანულისათვის და სიმდაბლისა**

ნეტარ არს კაცისა მის, რომელმან გულისწმა-ყოს უძლურებაჲ თვისი, რამეთუ ამისი მეცნიერებაჲ ექმნა მას საფუძველ და დაწყება ყოველთა კეთილთა საქმეთა და სათნობათა. რამეთუ რაჲამს გულისწმა-ყოს კაცმან უძლურებაჲ თვისი ქეშმარიტად, მაშინ განაშოროს თავი თვისი დაჯსნილობასა, რომელ არს უღებებაჲ ცნობისაჲ, და განამრავლოს დაცვაჲ თავისა თვისსაჲ. რამეთუ უკუეთუ არა მიეშუას კაცსა ზედა ღმრთისა მიერ მცირედ განსაცდელთა შევრდომამა, ჯორციელთა გინა სულიერთა, ვერ შემძლებელ არს კაცი ცნობად უძლურებისა თვისისა, არანედ რაჲამს შეატყუას უძლურებაჲ თვისი შეწევნასა ღმრთისასა, მაშინ გულისწმა-ყოს სიდიდე მისი და კულად რაჲამს გულისწმა-ყოს შეწვენამა და დაცვაჲ და დაფარვაჲ და ყოვლით კერძოვე განრიგებამა და ცხორებამა სულისა თვისსაჲ და გული მისი მარადის შეეკრას შიშსა და ზარსა მისსა, [ჲ] მაშინ ეუწყოს მას და ცნას ქეშმარიტად, ვითარმედ ზარი ესე და შიში, რომელ არს გულსა მი[ს]სა, მოასწავებს, ვითარმედ უქმს მას სხუადეკა შემწე, რამეთუ გული მისი წამებს შინაგანითა მით შიშითა, რომელი დადნე-ბის, რამეთუ ნაკლულ არს რომლითამე, და მისგან ვერ გულ-პყრობილ არს მინდობით კაცი იგი, არამედ უქმს მას შეწვენამა ღმრთისაჲ საცხორებელად, და რაჲამს გულისწმა-ყოს, ვითარმედ უქმს მას შეწვენამა ღმრთისა მიერი, განამრავლოს ლოცვაჲ, და რადენცა განამრავლოს ვედრებაჲ, დამდაბლდეს გონებამა. რამეთუ არავინ უღონოჲ და მთხოველი ჰპოვო მზუაობარი, არამედ მდაბალი და გული[თ] შემუსრვილი, და სული მდაბალი ღმერთმან არა შეუ-რაცხ-ყვის. ვიდრე არა დამდაბლდეს გული, არა დასცხრების სიარულისაგან. ხოლო სიმდაბლე შემკრებელი არს გონებისაჲ, და ოდეს დამდაბლდის კაცი, მუნთქუესვე მოიცვის იგი წყალობამან ღმრთისამან. მაშინ ცნას გულმან შე-წვენამა იგი ზეგარდამოჲ, რამეთუ პოვოს რაჲმე მან ძალი მისანდობელი გო-ნებასა შინა მი[ს]სა. და რაჲამს ცნას მიწვენამა იგი საღმრთოჲ, მოსრული შემ-წედ [247] ამალლებისა მისისა, მუნთქუესვე გული მისი აღივსოს სარწმუნოე-ბითა და მისგან ცნას, ვითარმედ ლოცვაჲ შესავედრებელი არს შეწვენისაჲ

2 -ვიქმნეთ B. 3 მამისა თანა| თანა მამით B: და სულით B. 5 წ'დისა ეფრემისი| მი-სივე C. 6 სინანულისათვის C; სიმდაბლისა|+ი"ვ B. თავი კ"წ, გუაჟურთხენ ო"ო C. 7 თუისი C. 8 ექმნეს B; კეთილისა B. 10 თუისი B: მაშინ|—B; თუისი C; დაჯსნილებისაგან B. 11 თუისი-სა C. 13 კაცი| იგი B. 14 უძლურებასა თვისსა B; თუისისა C; შეატყუას| + კაცმან B; თუი-სი C|—B. 17 თუისისა C: და ზარსა| — B. 19 მისსა B. 21 ნაკლულევან B; არს| ვარს C. 23 ღმრთისაჲ საცხორებელად... შეწვენამა| — B. 24 რადენცა B. 26 გულ-შემუსრვილი B. 27 სია-რულისაგან| სიხარულისაგან B. 28 დამდაბლდეს B. 31 მისა| თვისსა B.

და აღმომაცენებელი ცხოვრებისა, საუნჯე სასოებისა და ჯსნისა, ნავთ საყუდელი მძწვნარებასა ლელუათასა და სინათლე დაბნელებულთა, განმამდიერებელი უძღურთა, დამფარველი განსაცდელთაგან, სიმრთელე სნეულთა და ფარი ჯსნისა ჟამსა ბრძოლისასა, ისარი ლესული წინაშე პირსა მტერისასა.

- და ესე ყოველნი სათნოებანი კეთილნი პირველად ლოცვითა მოიგებიან და სასოებითა დამტკიცდებიან. და რაჟამს ესე მოიგის კაცმან, გონება მისი განმზიარულდის მინდობითა. და მაშინ იწყის მადლობად ღმრთისა ყოვლითა გულითა თჳსითა მზიარულებით. წერილ არს, ვითარმედ: „ყოველი რომელი ითხოვდეს შენგან, მიეცი; და, თუ ვინმე წარგილებდეს რასმე, ნუ აყენებ; და რომელსა ენებოს სესხების შენგან, ნუ მიიქცევი მისგან“¹⁾. ესე მცნებანი თუთუ-ულნი არიან განყოფილად, ხოლო მცნება შეერთებული ამას ზედა ესე არს [ჟ], ვითარმედ: „განყიდე ყოველი მონაგები შენი და განუყავ გლახაკთა და აღილე ჯუარი შენი და შემომიდეგი მე“²⁾. ხოლო ჯუარი, რომელი თქუა, მოთმინება არს განსაცდელთა და მწუხარებათა, რომელმან მისცა ყოველი მონაგები თჳსი გლახაკთა და აღილო ჯუარი თჳსი და შეუდგა, ამან ერთობით აღასრულნა ყოველნი მცნებანი, რომელი ებრძანა მას ზეგარდამო. და კუალად თქუა, ვითარმედ: მნებაჲს ყოველთა კაცთა ყოველსა ადგილსა აღჰყობაჲ ჯელთაჲ სიმართლით.

- და კუალად ამას ზედა ბრძანა შესლვაჲ საუნჯედ და ლოცვაჲ ფარულად, და კუალად მარადის ილოცევდით. აწ რომელი შევიდეს საუნჯედ და ილოცვიდეს მარადის, ამან აღასრულა ლოცვაჲ იგი, რომელ ბრძანა ყოველსა ადგილსა. და კუალად თქუა: ნუ ისიძავთ, ნუ კაც-ჰკლავთ, ნუ იმრუშებთ და ყოველთა მსგავსთა ამათთა, და რამეთუ დაარღვნით გულის-სიტყუანი თქუენნი სიმაღლისანი.

- აწ უკუე რომელმან დაარღვნეს გულის-სიტყუანი თჳსნი ყოვლისა ბოროტისანი, აღუსრულებიეს თქუმული იგი ზეგარდამო. ამისთჳს ღმრთის მოყუარენი [24^ბ] და მტკიცენი სარწმუნოებითა მოლუაწე არიან დაცვად მცნებათა მათ შეკრებულთა. მე ვჰგონებ, ვითარმედ სინანული ამით სამითა მცნებითა სრულ იქმნების, რაჟთა დაარღვნეს კაცმან გულის სიტყუანი თჳსნი ბოროტნი, და მარადის ილოცვიდეს, და მწუხარებათა და განსაცდელთა დაუთმოს მომავალთა. და ვერვინ შემძლებელ არს სრულებასა მიწვევად თჳნიერ ამათ სამთა საქმეთა სახელ-დებულთასა. მე ვითარ ვჰგონებ, ჯერ-არს და უღირს ყოველსა, კაცსა სინანული ცოდვილსა და მართალსა, რომელთა ჰნებაჲს, რაჟთა

1 და საუნჯე B; სასოებისა და ჯსნისა B. 2 მძწვნარებასა C; და განმამდიერებელი B. 3 და სიმრთელე B. 5 ესე]—B. 6 დამტკიცდებიან B; მოგის C. 8 თუისითა C 9 მიეც B; რასამე B. 10 ეასხების B; თითოეულნი B; თუითეულნი C. 11 არიან] ა C. 13 შემომიდეგ B; რ'ლი B. 15 თუისი C; თუისი C. 20 საუნჯესა B. 21 რ'ი B. 23 ყოველსა მსგავსსა B; ამათთა] ამათსა B+ნუ იქმთ B; დაარღუენით C. 25 დაარღუენეს C; თუისნი C] — B. 26 იმისთუისი C. 27 სარწმუნოებითა C. 29 იქმნების]+პირველად B; დაარღუენეს C; თუისნი C. 30-31 ~ მომავალთა დაუთმოს B. 31 თუინიერ C.

1) მათე 5, 42. 2) მარკოზ 10 21.

მშვდობასა ღირს იქმნენ, რამეთუ არავინ არს სრულ, რომლისამცა არა უნდა საქმე ამათ სამთა საქმეთაჲ, რომელ ვაჭყენენით.

აწ უკუე ვინაჲთგან დაიდვა საფუძველი სინანულისაჲ, ვაშენებდეთ ნაჲ ზედა საქმეთა კეთილთა სარწმუნოებითა ღმრთისაჲთა და სწავლითა ნათლის-ღებისაჲთა, რამეთუ ყოველსავე საქმესა საფუძველი ჯერ-არს დადებად და საფუძველ სინანულისა არს სარწმუნოებაჲ ღმრთისაჲ, და ერთი ნათლის-ღებაჲ [უ] მოსატევებელად ცოდვათა, და მას ზედა შენებად, ვითარცა ვის ენებოს კეთილისა საქმე და სათნოებაჲ სჯულიერი. ხოლო რომელთა კუალად შეავინებს წმიდაჲ იგი ნათლის-ღებაჲ გარდასლვითა მცნებათაჲთა და მიდევნებითა ცოდვისაჲთა, არღარა ჯერ-არს მეორედ ნათლის-ღებაჲ წყლითა. ხოლო მოცემულ არს ჩუენდა მეორედ ნათლის-ღებაჲ ცრემლითა სინანულისაჲთა მოსატევებელად ცოდვათა ჩუენთა, რომელნი შეგუენთხზენ უღებობით და დაქსნილობით, შურითა მტერისაჲთა შემდგომად ნათლის-ღებისა ჩუენისა.

არანედ ჯერ-არს ჩუენდა, რაჲთა მოვიპოვნეთ ცრემლნი მჭურვალენი გულითა ღმობიერიითა და სულითა მღვდარიითა. და ესრეთ დაუცადებელად ვიდრე განსლვადმდე ჩუენდა ამიერ სოფლით ვევედრებოდით ქრისტესა ღმერთსა ჩუენსა ცოდვილთა მწყალობელსა, რაჲთა მოგვტევენეს ბრალნი ჩუენნი და ღირს-მყუნეს სასუფეველსა მისსა, რაჲთა ვადიდებდეთ მას თანა მამით და სულით წმიდითურთ აწ და მარადის და უკუენითი უკუენისამდე, ამენ.

**თქუთული წმიდისა მჴრამისი
საჲსმ ცხორებითა**

[249] # კაცო უძლურო, უკუეთუ გნებაჲს პოვნად ცხორებაჲ, მოიგე სიმდაბლე და დაიცივე სარწმუნოებაჲ და მათ მიერ ჰპოვო წყალობაჲ და ნენდობაჲ და სიტყუათა ღმრთისაჲთა გულისკნის-ყოფაჲ. და კუალად, უკუეთუ გნებაჲს მოგებად ცხორებაჲ პირველად ყოვლისა მოიგე სიწრფოებაჲ და მით ვიდოდე წინაშე ღმრთისა. შეჰრაცხე თავი შენი მსგავსად ჯინკველისა და ვითარცა მწერისა და მტურერისა და სარასირისა შეურაცხად და ვითარცა ყოლად უმეცარისა, ვითარცა [ჩ]ჩული ყრმაჲ. მიეახლე ღმერთსა და ვიდოდე წინაშე ღმრთისა, რაჲთა ღირს იქმნე სიყუარულსა ღმრთისაჲგან, ვითარცა-ღა შობილი მშობელთაგან. თქუმულ არს, ვითარმედ უფალმან დაიცვნის [ჩ]ჩლნი, და რამეთუ ყრმაჲ სიწრფოებით, უტპობითა, მიეახლის ბოროტსა გუელსა და უპყრის ქედი მისი კელითა თვისითა და არარაჲ აენის მას, და კუალად უწყით სამე, ვითარ-

1 მშვდობასა C. 2 რომელნი B. 6 საფუძველი სინანულისა B. 7 აღშენებად B. 8 სჯულიერი B. 12 შეგუენთხუენიან B, შეგუენთხუენინ C; უღებებითა და დაქსნილობითა B. 15 მღუიძარიითა C. 17 მწყალობელსა]+ყოლადვე B; მოგუიტევენეს C. 20 წ'ლისა ეფრემისი მისივე C. 21 ცხორებითა]+ ი'ვ B, +გუაჲურთხენ ო'ო C. 22 ცხორებაჲ B. 23 და დაიცივე B. 24 ცხორებაჲ B; სიწრფოებაჲ] სიწრფელე B. 25 ღ'ისა]+და ნუ მეცნიერებით, რ' სიწრფელსა შეუდგეს სარწმუნოებაჲ. ხოლო წულილად მეცნიერებასა შეუდგეს ზუაობაჲ და ზუაობასა შეუდგეს განშორებაჲ ღ'ისაგან, ოდეს წარსდგე ლოცვად წ'ე ღ'ისა B. 26 ე'ა სარასირისა B. 27 და ე'ა ჩჩული B. 28 ღ'ისა] მისა B. 29 დაიცვნის B; ჩჩლნი B, ჩუილნი C. 30 სიწრფოებითა B. 31 თუისითა C.

მედ იგი ყრმაჲ ზამთრის სიცივესა იქცევიან შიშუელი; და მწჳსნი მოსიერ არიედ და სიცივე ევენბინ, და [ჩ]ჩული თოვლსა და მყინვარსა და სასტიკსა სიცივესა შიშუელი იქცევიან და არაჲ ევენბინ ყოლადვე, რამეთუ მოსიერ არნ იგი სხუთა სამოსლითა უხილავითა [ჟ] მცველისა მიერ მისისა, და ოდენ[ს] იხილნე გუამნი ყრმათა ჩჩულთანი და არარაჲ ვენებათაგანი შეეხებოდის მათ, გულსწჳმა-ყავ. ვითარმედ ღმერთი უზრუნავს და სცავს და ჰფარავს მათ ყოველთაგან ვენებათა და განსაცდელთა სიწრფოებისა და უმეცრებისა მათისათუს და უტებებისა. და მრავალთა ბრძენთა და მეცნიერთა და მოძღუართა სოფლისათა ესე გულსწჳმა-ყვეს და ნებსით დაუტევეს მეცნიერებაჲ მათი სოფლისაჲ და შეევედრნეს სიბრწნესა და მეცნიერებასა ღმრთისასა, და ნეფსით იქმნეს ყრმა ჩჩულ სიწრფოებითა, მაშინ ისწავეს მათ ქეშმარიტი იგი სიბრწნე უშრომელად, რომელი არლარა წარვალს.

აწ უკუე ევედრე ღმერთსა, რაჲთა მოგცეს შენ მიწვენაჲ სარწმუნოებასა ქეშმარიტსა. და ოდეს აგრძნე სიტკობებაჲ მისი თავსა შინა შენსა, არლარაჲ დაგაკლდებოდის შენ ქრისტეს მიერ, რომელი გენებოს და დაივიწყო ყოლადვე სოფელი და საქმენი მისნი. ანისთუს ყოლადვე ილოცვედი და ევედრებოდე ცრემლითა მჭურვალითა და ღმობიერითა გულითა მოსწრათედ, რაჲთა მოიღო; და ოდეს მოგცეს, არლარა დაშურე მერმე ყოლადვე. და ამისა მოღებასა ამით ღირს იქმნე, [აჟა] რაჟამს მიანდო ყოველი სასოებაჲ შენი მოწყალეთა ღმრთისათა სარწმუნოებით, და მინდობაჲ ღმრთისაჲ უმჯობეს არს შენდა მინდობასა მეცნიერებისა შენისასა. და ოდეს იხილოს ღმერთმან, ვითარმედ მისა ოდენ მინდობილ ხარ, მაშინ მოავლინოს შენ ზედა ძალი, რომელი შენ არა იცოდე, და იგი გფარვიდეს შენ. და იგრძნა უეჭუელად ძალი იგი, რომელი მოიწიის, რომელნი ღირს იქნნიან მიღებად მას. და ვითარცა აგრძნიან იგი, ოდესმე ცეცხლსა შევიდიან უშიშად და არა შეეხნა მათ, და ოდესმე სიღრმესა წყალთასა ზედა ვლენედ და არა დაინთქნიან და არცა ეკუთუელ იქმნიან, რამეთუ სარწმუნოებაჲ განაძლიერებნ მათ და არას ზრუნვიდიედ ხილვისათუს და საქმისა საშინელთა საქმეთათუს, ვიდრემდის არა განთავისუფლდის გონებაჲ მრავალთა გულის-სიტყუათაგან და მიიწიოს სიწრფობად უბიწოდ, ვერ შემძლებელ არს გრძნობად სულიერთა.

უკუეთუ უნდეს კაცსა ცნობად საშუებელთა მათ საუკუნეთა, აქაჲთ განიშორენი მრავალ-ფერნი გულის-სიტყუანი სასუფეველისათუს ცათაჲსა. იტყუან, ვითარმედ განზრახვაჲ არს სულიერი და ესე ვერ მოიგების საქმითა, არამედ მადლითა [ჟ] და ვიდრემდის არა განიწმიდნეს კაცმან გულის-სიტყუანი თუსნი, არა ღირს არს ქსენებადცა მისა, რამეთუ არა სწავლითა მოიგების იგი.

1 ერ იგი B; მწუისნი C. 2 ჩხული B, ჩული C. 3 სხუთა C. 4 ჩხულითანი C. 5 ზრუნავს B. 7 მათისათუს B. 11 ჩხული C. 14 და არლარა B. 15 დაგაკლდეს B. 16 ამისთუს C. 18 ამისა B. 23 იცოდი B; იგრძნე] B+შენ B. 26 დაინთქმიედ B. 27 იტუნუელ B; ზრუნვიედ B. 28 ხილვისათუს C; საქმისა]—B; საქმეთა B, საქმეთათუს C; განთავისუფლდეს B. 29 მრავალთაგან B; -სიტყუათა B. 30 ~ სულიერთა გრძნობად B. 31-32 ~ განიშორენ აქა B. 32 სასუფეველისათუს C; იტყუიან C. 34 განიწმიდოს B. 34-35 გულის-სიტყუანი თუსნი] გული თუსი B; 35 თუსნი C.

უკუეთუ მიიწიო უბიწოებასა, შეილო ჩემო, რომელი მოიგების სარწმუნოები-
საგან გულისა და კაცთა განშორებისა, და შეევედრო აღსარებასა უძლურე-
ბისასა სიწორფობით, სკხოვნდე წინაშე ღმრთისა კეთილად და იყო შენ უზრუნ-
ველ; ვითარცა-იგი მისდევნ აჩრდილი თქ[ს]სა გუამსა კაცისასა, ეგრეთვე წყა-
ლობაჲ ღმრთისაჲ—მდაბალთა. და უკუეთუ გნებავს მოგებაჲ ამათი, ნუ მისცემ
კელსა შენსა გულის-სიტყუათა უძლურთა. და უკუეთუ მოგიტყან შენ ყოველთა
ბოროტთა და განსაცდელთა მავნებელთა და გაშინებდენ ყოლადვე, ნუ მი-
ხედავ მათ და ნუცა რას ჰზრუნავ ნათთუს. უკუეთუ მინდობილ ხარ ღმრთისა,
ვითარმედ იგი შემძლებელ არს დაცვად შენდა და განგებად საქმეთა შენთა
და თუ მისა შედგომილ ხარ, ნურარას ზრუნავ მათთუს, არამედ არქუ სულსა:
მე ღმრთისა შემვივედრების თავი ჩემი ერთვე და იგი ყოველსავე მიეწიფე-
ბის; [251] მე არაჲ ვზრუნავ, ვითარცა ენებოს, ყოს. მაშინ იხილო სასწაუ-
ლითა შეწვენაჲ ღმრთისაჲ, ვითარ-იგი ქსნაჲ მისი მახლობელ არს ზათდა,
რომელთა ეშინის მისგან. და მადლმან მისმან გარე შეცენის იგინი უხილავად.
და არცა ჯერ-არს მცველისათუს, რომელ მოცემულ არს ჩუენდა, მარადის
ეკუ, ვინაჲჲგან ვერ ვხედავთ ჩუენ თუალითა ჩუენითა, რამეთუ უხილავ არს,
ვითარმცა ცუდ იყო. ნუ იყოფინ! და რამეთუ ოდესმე გამო-ცა-ჩნდის თუალ-
თა წინაშე, რაჲთა შენ ირწმუნო.

ოდეს განავდოს კაცმან ყოველი შემწე ხილული მისგან და სასოებაჲ
კაცთა მიმართ, და ღმერთი ხოლო მოიპოვოს სარწმუნოებითა და გულითა
წმიდითა, მუნთქუესვე მოიწიოს მისა მადლი და აჩუენოს ძალი თვისი მრავალ-
ფერითა შეწვენითა, პირველად საჩინოჲთა მით, რომლითა ჯორციელად ხედვი-
დეს შეწვენასა მი[ს]სა და ზრუნვასა მის[ს]ა მისთუს, რაჲთა მათ მიერ ეოწყოს მას
ძალი იგი ზრუნვისა ღმრთისაჲ მისთუს, რაჲთა საჩინოთაგან საქმეთა გულის-
წმა-ყოს ჰეშმარითად, ვითარ-იგი განემარჯუა ყოველი საქმე მისი უშრომელად
[25] და გარე წარჰყადნეს მრავალნი განსაცდელნი სახსენი ბოროტითა. და
მან არა უწყინ, რამეთუ ვერ აგრძნის. და სცაენ მას, ვითარცა დედა-მძღვე-
რომელი ანუკვებნ და შუებით ზრდინ და ზრუნვით პოხნ ყრმათა მათ, რო,
მელნი ერწმუნნიან; გინა ვითარცა დედაჲ შეილსა თქსსა სწყალობნ და ჰფარავნ
ველითა თვისითა, რაჲთა არაჲ ბოროტი ევენოს მას. და აღუხუნის თუალნი
მისნი და უჩუენის, ვითარმედ წარწყმედაჲ მისი მოახლებულ იყო. და გამო-
იყვანის დაფარულთაგან და განუხუნის წინაშე მის[ს]ა ნამალეენი იგი გულის-
სიტყუათანი ძნელოვანნი, რაჲთა მყის შინა გულისწმა-ყოს მეცრიერებაჲ მათი
და გამოაცხადნეს მის წინაშე ყოველნი საშალაენი ბოროტთა ეშმაკათანი და
ზაკულებაჲ გულის-სიტყუათა მათთაჲ და რომელი-იგი შეუდგეს მათ ბოროტი,

1 სარწმუნოებითა გულისაჲთა B. 2 განშორებისაგან B. აღსარებასა B. 4 და ე-იგი B
თვისი B. თუისა C. 8 ჰზრუნავ C.; მათთუს C. 10 ჰზრუნავ B, ზრონავ C. 13 მათა B. 14 მის-
გან] ღისა B; გარე შეიკენის B. 15 არცა] არა B. 16 იკუ B. ეკუი C.; ჩუენ] — B. 19 ~ მისგან
წი შემწე ხილული მისგან B. 21 თუისი C. 22-23 ჰხედვიდეს B. 23 მისსა B. 24 მისთუს C.
25 ~ ჰეშმარითად ყი საქმე B. 26 წარხადნის B. 27 იგრძნის B; შუებით] შეგუევით B.
28 ჰზრდინ B; ზრუნვითა B; პოხნ B. 29 ერწმუნნიან B; თუისსა B. 30 თუისითა B; არაჲ] არა
რაჲ B. 32 ნამალეენი] ნამარხენი B. 34 გამოაცხადნის B. 35 შეუდგეს C.

და მისცის მას გულისწმის-ყოფად ცნობად მათ ყოველთა და განაბრწყინვის მას შინა ნათელი იგი საიდუმლოდ, რომლისა მიერ მეცნიერ იქმნის ყოველთა დაფარულთა. და ამისგან ეუწყის, ვითარმედ ლოცვასა შინა მი[ს]სა მოეცემის ყოველი, რომელი ითხოვოს განმგებელისაგან თვისსა. [252] და ოდეს და-
 5 აჯერის მადლმან მინდობად ღმრთისა მხმართ, მაშინ იწყოს შეყვანებად გან-
 საცდელთა, რომელთა-იგი შემძლებელ არნ ტვრთვად. და მოსკის განსაცდელ-
 თა მათ შინა შეწევნად ცნობით, რადთა ესრეთ განიღიერდეს და მოიგოს
 10 სიბრძნე მტერთა მუჟრაცხ-ყოფად მინდობითა მისითა ღმრთისა მიმართ. და
 თვნიერ ამათსა ვერ შემძლებელ არს კაცი, რადთა განისწავლოს ბრძოლათა
 მიმართ სულიერთა და იცნას მომგებელი თვისი, და ცნენს საღმრთონი ძალნი
 და სრულ იქმნეს სარწმუნოებასა შინა თვისსა და ოდეს იბილოს მადლმან
 დაწყებად მას შინა საქმეთა ზუაობისა და ამპარტავანებიაათა, მიუტევენს
 განძლიერებად განსაცდელნი მის ზედა, რადთა შეუძლონ მას და რადთა ცნას
 15 უძლურობად თვისი და ივლტოდის და მიეახლოს და შეეცდროს ღმერთსა სიმ-
 დაბლით სარწმუნოებითა და სასოებითა ღმრთისაგანთა. მაშინ იქმნის კაცი იგი
 სრულ გამოცდილებითა და აღიწიის სიყუარულად. არა შემძლებელ არა კაცი
 ცნობად ძალსა ღმრთისასა შუებითა და განსუენებითა, [25] და არცა სახილ-
 ველ არს თუალვად და შეწევნად მისი თვნიერ უდაბნოს და დაყუდებასა და
 20 ადგილთა განშორებულთა მფოთთაგან და თანაქცევისა კაცთაგანსა. ნუ გიკვრნ
 შენ, რაგამს იწყო კეთილისა საქმედ და აღმოეცენენ შენ ზედა განსაცდელნი
 ბოროტნი და საშინელნი ყოვლით კერძოვე, რამეთუ ვერ ეგების კეთილისა
 საქმე თვნიერ ჭირისა და განსაცდელისა. რამეთუ რომელი კეთილისა საქმე
 იყოს მაგრიად და ძნელად, იგი შეწირულ არა წინაშე ღმრთისა, რამეთუ
 ყოველსავე კეთილისა საქმესა ძნელ ეწოდების და იწრო. ყოველსა რომელსა
 25 ჰნებავენ ღმრთის-მსახურებად ქრისტე იესუსს მიერ, იდევენ, რამეთუ ესრე
 თქუა ქრისტემან: „რომელსა ჰნებავენ შემოდგომაჲ ჩემდა, უარ-ყავნ თავი
 თვისი, აღიღენ ჯუარი თვისი და შემომიდეგინ მე; და რომელსა უნდეს განრი-
 ნებად სული თვისი, წარიწყმიდოს თავი თვისი, და რომელმან წარიწყმიდოს
 ჩემთვის, მან ჰოვოს იგი“¹). ამისთვის წინაგსწარვე გიჩუენა ღმერთმან გზად იგი
 30 იწროდ და საჭირველი, რადთა მის მიერ შეხვდე შენ ცხორებასა მას სა-
 უკუნესა. [253] რადსათვის-მე ოდეს დამდაბლდეს კაცი გონებითა, შემოკრბე-
 ბიან გულის-სიტყუანი. ვითარცა-იგი სული ვერ იხილვების და ვერცა საჩინო
 იქმნების თუალთა წინაშე ჯორციელთა, ეგრეთვე მდაბალი ვერ საცნაურ არნ
 კაცთა შორის ხილვითა კიდე ქცევისაგან შერეულებისა კაცთაგანსა.

¹ და მისცის მისცის B. 2 სადუმლოდ C. 3 მისსა B. 4 თვისისა C; დააჯეროს B. 6 ტური-
 თვად B. 9 თვნიერ C. 10 თვისი C. 11 ძალნი — B; თვისა C. 12 ამპარტავანებისათა B;
 მიუტევენს B. 14 უძლურობად B; თვისი C; სიმდაბლითა B. 15 სარწმუნოებითა) — B; იქმნეს B.
 18 თვნიერ C; უდაბნოსა B. 19 გიკვირნ C. 20 კეთილსა საქმესა B; აღმოეცენენ B. 22 თუი-
 ნიერ C; განსაცდელთა B. 24 იწოდების B. 25 გვს C. 26 ჰნებავენ B; შემოდგომად B. 27
 თვისი C; ჯუარი თვისი) ჯუარი B. 28 თავი თვისი) იგი B; წარიწყმიდოს) + თავითვისი B. 29
 ამისთვის C; გიჩუენა) + შენ B. 30 შეხუდე C. 31 რადსათვის-მე C; და შემოკრბებიან B. 33 მდაბალი
 B; არნ) არიედ B. 34 და კიდე B; და შერეულობისა B.

¹) მათე 16, 24-25.

და ესე არს ნებაჲ მდაბლისაჲ. უკუეთუმცა შესაძლებელ იყო, და-მცა-
 იმაღლა იგი გუამაჲ შინა თჳსსა. და ესე არს ქცევად მისი საცნობელთა მისთა
 თანა, რაჲთა არაჲვისგან საცნაურ იყოს. და ვითარმცა არა შერაცხილ არს
 იგი დაბადებულთა თანა, ეგრე შერაცხის თაჲი თჳსი და ჰნებაჲ, რაჲთა არა-
 ვინ იცნას, გინა. იხილოს იგი. მდაბალსა არა ჰნებაჲ ხილვად კრებული ერი-
 სსა და არცა ჰნებაჲ სმენაჲ ჳმასა მრავალ-მეტყუელთა და განმცხრომელთასა,
 და არცა უყუარნ შუებაჲ და განსუენებაჲ, რომლისაგან იქმნის უღბობაჲ
 და დაჳსნილობაჲ, არამედ უფროდსა ჰნებაჲ მას ყუდროებაჲ და დაწყნარე-
 ბაჲ [ვ] და უყუარნ შეურაცხებაჲ და სიგლასაჲ და დაწყნებაჲ უფროდს წარ-
 ჩინებულობისასა. და უხარინ ჳირსა ზედა უფროდს განსუენებისა, და არნ იგი
 ყოლადვე მოცალე და უზრუნველ და უშფოთველ საქმეთაგან ქუეყანისათა,
 და არა განუტევის გულის-სიტყუანი მისნი რორინებად გარე სადავე უღბე-
 ბით. ხოლო რომელი ეძიებნ მრავალთა საშუებელთა და ფრიადთა სანუაგეთა,
 იგი მუშაკი არს სიძვისა ეშმაკისაჲ. მრავალთა საქმელთა მჳამელი შეიგინის
 თჳნიერ ცნობისა მისისა, ხოლო კოტორი ჳმელი პურისაჲ ტაბლისაგან უბი-
 წოდასა განსუმედს სულსა ყოველთაგან ვნებათა. სულმან ნაყროვნისა ტაბლი-
 სამან და საქმელთა მისთამან აღუშფოთნის გულნი უბიწოთანი და რომელი
 მათდა ტაბლად მივიდეს, მსგავს არს იგი ძალსა, რომელი საწუნედ ლოკად
 მივიდის. ხოლო რომელსა მოუგვის ლოკვაჲ ყოველსა ეამსა, სული ტაბლისა
 მისისაჲ უსურნელეს არს მუშკისა. და რომელსა უყუარს ღმერთი, იგი ჰყუა-
 რობს მას. მსგავს არს საფასეთა მრავალთა ტაბლად იგი, [25, 4] რომელსა
 ინაჳ-იდგემნ მღჳძარენი და [მ]მარხველნი, მშრომელნი და მდაბალნი და სათ-
 ნონი. მიიწრაფე მათდა და მოილე ცხორებაჲ, და განაცხოველე მით მომკუდარი
 სული შენი, რამეთუ ჳრისტესა მათ თანა ინაჳ-უდგამს და იგი აკუროთხევეს
 ტაბლასა მათსა, რაჲთა შეცვალოს სიმწარე იგი შრომათა მათთაჲ სიტკობო-
 ბად გამოუთქუმელად, და მსახურნი სულიერნი ამწერობენ მათ და საზრდელსა
 მათსა წმიდასა. მე ვიცი მმათაგანი ერთი, რომელმან ცხადად იხილნა იგინი.
 ნეტარ არს, რომელმან დააყენა ჳირი თჳსი ნებსით გემოთა მათგან მოცე-
 მულთა დამბადებელისაგან, რამეთუ ჳამდენ იგინი კეთილთა მათ საუკუნეთა
 ტაბლისაგან ღმრთისა, რომლისაგან იზარდებიან ძალნი ნათლისანი. ნეტარ
 [არ]ს, რომლისა საზრდელი მისი არს პური იგი, რომელი ჳეცით გარდამოჳდა
 და მოსცა ცხორებაჲ სოფელსა. სული [მ]მარხველისაჲ სურნელ და გემოვან
 არს, და შემთხევეასა მი[ს]სა მზიარულ არიედ სათნონი, ხოლო ნაყროანსა ეშინინ
 მიახლოებად მისა და ლონე იძიის, რაჲთა არა ჳამოს მის თანა. სახე [მ]მარხ-
 ველისაჲ საყუარელ არს წინაშე ღმრთისა და რომელსა უყუარან გემონი,

1 და ესე] ესე B. 2 თუი"სა C; გუამსავე B. 3 თანა] შორის B. 6 სწადინ სმენად B; ჳმაჲ
 მრავალ-მეტყუელთაჲ და განმცხრომელთაჲ B. 7 უღბებაჲ B. 13 სანოვაგეთა B. 15 თუნიერ C.
 16 ყოველისაგან B; ვნებისა B. 17 აღაშფოთნის B. 18 მივიდის B; რ"ი საწუნედ ლოკად მივი-
 დის] საოსტიგნედ ლოკნად მისრულსა B. 20 მუშკსა B. 22 მღუიძარენი C. 23 მიისწრაფე B;
 მათდა] მათ თანა B; განაცხოველე B. 24 აკუროთხევეს B. 29 ჳამდეს იგი B. 32 ცხოვრება B;
 სულნელ B. 33 მისსა B; ნაყროვანსა B.

[ა] ივლტინ იგი მოძმეობისაგან მისისა. ფრად აქებს ქრისტე მყუდროთა და მღუმართა, ხოლო რომელი წარტყუენულ არს ეშმაკისაგან, და განცხრომითა და შეურაცხებითა არა ჰნებავს ყოლადღე მიახლებად მისი. ვისმე არა უყუარდეს მდაბალი და დაშნი, არამედ ამპარტავანსა და ზუავსა, რამეთუ უცხო არს იგი საქმეთაგან მისთა. ხოლო ჩუენ შევიყუაროთ სიმდაბლე და მოვიძულოთ ამპარტავანებად და ღმერთსა სათნო-ვეყუნეთ, რომლისაჲ არს ღიღებად უკუნითი უკუნისამდე, ამენ.

[269 ა] თქმული წმიდისა აბრაჰამ მონაზონისაჲ
[მონაზონთათჳს]

10 არა ჯერ-არს ჩუნდა მონაზონთა, რადთამცა მივსცენით თავნი თჳსნი ნებასა ჯორცთა ჩუნთასა. უკუეთუ ჰეშმარიტად გნებავს, ძმაო, რადთამცა იყავ. ერთი წმიდათაგანი, შეიშოსე საქურველი მარხვისაჲ და განძლიერდი ლოცვითა, და შეიკრძალე მოთმინებაჲ შიმშილისაჲ და ლუაწლი წყურბლისაჲ. რამეთუ გუამი განყენებული ნებათაგან ჯორციელთა, წმიდად იხილვებინ და
20 ჯორცნი, მოგინებულნი მარხვითა, უბიწოდ გამოჩნდიან. ხოლო გუამსა შინა მსუქანესა და ნუკვეულსა ეგზებინ დაუშრეტელად ალი იგი სიძვისაჲ. უკუეთუ გნებავს გზრგზნი წმიდათაჲ მიღებან, ჯერ-არს შენდა, რადთა შეიღწრო მუცელი და წინა-აღუდგე ნებასა ჯორცთა შენთასა და განსუენებასა გუამისასა და გულის-თქუმასა გულისა შენისასა ღლისა და ღამისასა. და ესე უწყოდე
20 ჰეშმარიტად, ვითარმედ არა მოიგების გზრგზნი თჳნიერ ტანჯვისა, და არცა ძლევად იქნების თჳნიერ ბრძოლისა, და არცა მოსაგებელი—თჳნიერ საქმისა, [270] და არცა განსუენებაჲ—თჳნიერ შრომისა, და არცა სიხარული—თჳნიერ მწუხარებისა, და არცა მხიარულებაჲ—თჳნიერ კმუნვისა. უკუეთუ გნებავს [ა] ძლევად ლუაწლისა და შემოსად ქალწულებისა გზრგზნი, იყავნ ბრძოლად შენი
20 თავსა შინა შენსა და ყოველი ლუაწლი შენი ნებისა შენისა მიმართ, და დაყენე თავი შენი ნებათაგან და ნუ შეუდგ მას, და ნუ გნებავენ ნუკვეად მისი. და ნუ მიენდვები თავს-მდებასა მისსა, რამეთუ მიენდვის და უტყუის, უქადის და ეცრუის, ეფუცის და არა დაადგრის, რამეთუ ეშინინ მარხვისაგან. და დადნების მღძძარებისაგან და უდებ არს ლოცვისათჳს. ეწყინების შრომაჲ და მიზეზობნ საღმობასა და ტკივილსა, ევლტის ყოველსა საქმესა სულიერებისასა. და უყუარს განსუენებაჲ ჯორციელი, სძულს დაყუდებად ღმრთისათჳს და ეყუარების ცუდი განცხრომაჲ და ლალობაჲ. და ამან უბადრუქმან იცის იგი, ვინ აღიყვანებს ზეცად, და ემოყურების და შეუდგს მას, რომელი შთაიყვანებს ქუესკენელთა ჯოჯოხეთისათა. რამეთუ ეშინის სწავლისაგან და ჰყუარობს

2 მღუმართა B; და განცხრომითა] განცხრომითა B. 3 შეურაცხებითა] შეებითა B. 8 მონაზონისაჲ] + თავი ლა C. 9 თუნისი C. 13 წმიდა B. 14 გუამსა შინა] ტანსა შინა B. 15 ~ ნუკვეულსა და მსუქანესა B; იგი] — B; და უკუეთუ B. 16 გუირგუინი C; მუცელი] — C. 18 და ესე] ესე B. 19 თუნიერ C. 20 თუნიერ C; საქმეთა B. 21 თუნიერ C. 22 კმუნვისა] კუვილისა B. 23 გუირგუინი C. 26 თავს-მდებებასა B; მიინდვის B; უტყუის B. 27 ეცრუვის B; დაადგრის B. 27-28 და დადნების მღძძარებისაგან] — C. 28 ლოცვისათუის C. 29 მიზეზობს B, 30 ღმრთისათუის C. 31 და ამაჲ] ამან C. 32 აღიყვანებს B.

მაქებელთა მისთა, და განშორებულ არს [უ] კეთილის მოქმედთაგან და უყუარან მზაკუარნი. სძულს მას დუმილი და უყუარს ზრახვაჲ ბოროტისაჲ, სირცხლისა და წარწყმედისაჲ. და ვითარცა ესმის სიტყუაჲ საღმრთოჲ, მუნთქუესვე დაჰჳსნდის და მოუძღურდის და დაეძინებიდ. და რაჲამს ესმის ცუდის მეტყუელებჲაჲ და ტყუილი, განელჳძის და მხიარულად ისმენნ.

და რაჲამს დადგის ლოცვად და ლამის თევად, მუნთქუესვე მოუძღურდის და დაჳსნდის ყოველი ძალი მისი, და ოდეს იმარხის, შეიმკუხის პირი თჳსი. და ოდეს იხილის საქმელი, განიხარის და მხიარულად შესცხრებინ თავსა თჳსსა, რაჲთამცა განუსუენა და არა მოაგინა. და რაჲდენცა განანრავლო განსუენებჲაჲ მისი, ვერ განძღების იგი. და უკუეთუ შეაიწრო და დააყენნ მისგან საშუებელნი და განსასუენებელნი დიდადნი, დაგჯერდების იგი მცირედსა, და რაჲამს მისცე მას მცირედი, იწყოს შენგან თხოვად დიდსა. [271] ოდეს შეიკრძალო იგი მარხვითა, შიმშილითა და წყურილითა, არარას სხუასა ითხოვდეს შენგან, თუნიერ პურისა და წყლისა ხოლო. და უკუეთუ მიუშუა განძღობად, გთხოვდეს მერმე სანუეაგეთა და სანუეკვართა. და რაჲდენცა მიუშუა და ანუეკვო, ეგეოდენცა შთაგჳადოს მან ქუესკენელად, და რაჲდენცა აქირგო, აღგიყუანოს სიმაღლედ. ხოლო საქმე ჳორციელებრი ფრად მარჯუე არს მის ზედა და სძულს სულიერი. ამისთჳს ნუ მისცემ ნებასა მისსა და ნუცა დაემორჩილები ნებასა მის[ს]ა, რამეთუ გამოცადის კაცისა გულის თქუმაჲ და ეგრეთცა ჰბრძავნ იგი და საქმე ჳორციელი მსწრაფლ უბრძანის აღსრულებად, ხოლო სულიერსა მიადროებნ და მრავალთა მიზეზთა და ცუდთა განზრახვათა მიზეზობნ. ხოლო დააყენე იგი ნებისაგან მისისა, რომელ არიან საქმელნი და სასუმელნი, ძილი და განსუენებჲაჲ, და გიძლევდეს. და მისა შემდგომად ილუაწე ლუაწელი იგი მეორე, და შეკარ გუამი შენი გლოითა და მწუხარებითა და დამოჰკიდე იგი ჯუარსა ზედა მარხვითა, ჯუარსა აცუენ გულის თქუმანი ბოროტნი [უ] შრომითა ჳორცთაჲთა და დასცხრენ ბრძოლანი მისნი შენგან.

ჯერ-არს შენდა, რაჲთა მარადის გული გითქუმიდეს პურისათჳს და არა ცოდვისათჳს, და გული გეტყოდის წყლისათჳს და არა ვნებათათჳს. უკუეთუ შეიყუარო თავი შენი და განუსუენო, მან შეგაწუხოს შენ და მოგიძლოს. და უკუეთუ პატივ-სცე, მან შეურაცხ-გყოს. უკუეთუ ანუეკვო, მოგტანჯოს; და უკუეთუ განჰჳსნე კრულებისაგან, მან უწყალოდ შეგკარას შენ, რამეთუ მეგობარი არს მედგარი და მოყუასი მზაკუარი. ითხოვს შენგან ნებასა მის[ს]ა, ღამე ძილსა, და განსუენებასა შინა დაილევდეს ცხორებისა ჩუენისა დღენი და ღამენი. და ამას შექცეულებასა შინა ეამსაცა ერთსა არა შეგვნდობს, რაჲთა

2 და სძულს B. 2-3 სირცხულისა B. 3 საღმრთოჲ C. 5 განელჳძის C, განილჳძის B. 7 დაჰჳსნდის B; შეიკმუნის B. 8 თუისი C. 10 შეაწრო C. 11 დიდადნი] ფრადნი B. 13 ითხოვს B 14 თუნიერ C] + ხოლო; B; ხოლო — B. 15 სანოვაგეთა B. 16 ეგოდენცა B; რაოდენცა B. 18 ამის-თუის C. 19 ნებასა მის[ს]ა] — B; გამოსცადის B. 24 გლოვითა B. 25 გულის-სიტყუანი B. 27 პურისათუის C. 33 დაილევდეს] + დღენი B; ჩუენისანი B; დღენი] — B. 34 შინა] — B; შე-გუინდობს C.

ნებად ღმრთისაჲ აღვასრულოთ. და უკუეთუ შენ განსძლიერდე მის ზედა და მცირედ მოთმინე იქმნე, სძლო მას და დაიმონო იგი. და ქრისტე შემწე გეყოს და მოგმადლოს ძლევად მისი, უკუეთუ მას მიენდო და გრწმენეს მაცხოვრებაჲ მისი ყოვლითა გულითა შენითა, გიგსნეს მან ყოვლისაგან ბოროტისა და ისმინოს შენი ყოველსა ეამსა თხოისა შენისასა, რამეთუ მისა შეუენის დიდებაჲ და პატივი მამისა თანა სულით წმიდითურთ აწ და მარადის და [უკუნითი უკუნისამდე, ამენ].

[272] ამონადჲ სიტყუანი

ოთხნი საქმენი არიან, უკუეთუ ამათგანი ერთიცა იყოს კაცისა თანა, ვერ შემძლებელ არს იგი კეთილისა რაჲსამე საქმედ და არცა შეიწირავს ღმერთი ლოცვასა მისსა.

პირველი: ამპარტავანებაჲ. ოდეს მოიგონოს კაცმან და თქუას, ვითარმედ კეთილად ცხოვრებს და ვითარმედ განგებაჲ მისი სათნო არს წინაშე ღმრთისა და კაცი აღეშენებთან დაყუდებითა მისითა და მარხვითა და ვითარმედ მრავალთაგან ცოდვათა განშორებულ არს კაცთაგან კიდე-ყოფითა და უდაბნოს დამკვდრებითა მისითა, უკუეთუ ესე განიზრახოს კაცმან გონებასა თუსსა, უწყოდენ, ვითარმედ არა დაიმკვდრებს ღმერთი მის თანა უკუნისამდე, რამეთუ გარე-მოქცევით ჯერ-არს მონაზონისა მოგონებაჲ სიტყუად, თუ რაჲმე კეთილისა საქმე ქმნეს, რაჲთა მარადის სიმდაბლით აბრალებდეს თავსა თუსსა და იტყოდის, ვითარმედ პირუტყუნიცა უმჯობეს არიან მისა და ვითარმედ არარაჲ საქმეთა მისთაგანი სათნო არს წინაშე ღმრთისა, და ყოველი კეთილისა საქმე მისი შეგინებულ არს წინაშე ღმრთისა, ვითარცა ძონძი წილოვნისა დედაკაცისაჲ, ვითარცა წინაწარმეტყუელი იტყუს, რამეთუ: უკუეთუ არა უფროჲს შეგინებულ[ა]ლად შეპრაცხოს თავი თუსი პირუტყუთა და ძალთა და მფრინველთა, არა შეიწირავს ღმერთი ლოცვასა მის[ს]ა, რამეთუ პირუტყუთა საცხოვართა, ძალთა და მფრინველთა არასადა უცოლავს და არცა განიკითხვიან. და ესე ცხად არს, ვითარმედ კაცი ცოდვილი [უ]უბადრუკეს არს უფროჲს პირუტყუთა, რამეთუ უმჯობეს იყო მისა, თუმცა პირუტყუ საცხოვართაგანი ყოფილ იყო და არამცა აღდგა მკუდრეთით და არამცა განიკითხა განიკითხვისათუს, რამეთუ საცხოვარნი არავის განიკითხვენ კაცთაგანსა და არცა ამპარტავნობენ, არამედ უფროჲსლა ჰყუარობენ მზრდელთა და საქმლისა მცემელთა მათთა, ხოლო კაცი არა ჰყუარობს დამბადებელსა თუსსა ჯერისაებრ, რომელი ზრდის და ჰფარავს მას.

1 განძლიერდე B. 2 მცირედ] — B. 3 მისი] მის ზედა B; მიანდო B; მაცხოვრებაჲ B. 4 ყოვლისა ბოროტისაგან B. 5 შენი] შენ B; თხოვისა B. 10 შეგწირავს C. 13 ცხოვრებს B; ვითარმედ] — B. 16 დამკუიდრებითა C. 17 თუისა C; დაიმკუიდრებს C, დაიმკვდროს B; ღწ B. 18 და სიტყუად B; თუ] უკუთუ B; 19 ~ კეთილისა რაჲსამე B; თუისა C. 20 ეტყოდის B. 21 სათნო] — სადა B. 21-22 და ყოველი... ღისა] — B. 24 იტყუის C; თუისი C. 28 უფროჲს C; პირუტყუი C. 30 განიკითხვისათუის C 31 ამპარტავანებენ B. 31-32 საქმელის-მცემელთა B. 33 ჰზრდის B.

მეორე საქმე. უკუეთუ კაცი იქსენებდეს ვისთხსმე ბოროტსა და ძკრი ზულსა ედვას მისთხს, დალათუ ვისმე თუალი მარჯუნაჲ მისი, წარმოეგდოს, არა აღიწვევის ლოცვაჲ მისი წინაშე ღმრთისა. ნუუკუე აცთუნებს ესე თავსა თხსსა, რამეთუ დალაცათუ მკუდარნი აღადგინნეს, არა უც ნაწილი ღმრთისა თანა [273] და არცა აქუს მას შენდობაჲ წის მიერ, უკუეთუ არა მოიქცეს და შეინანოს.

მესამე საქმე. უკუეთუ კაცი განიკითხვიდეს კაცთა შეცოდებულთა და იყოს იგი განმკითხველ, დალაცათუ მრავალნი სასწაულნი ქმნ[ნ]ეს, არა სთნავს ღმერთსა კეთილისა საქმე მისი და არცა შეიწირავს ლოცვასა მის[ს]ა, რამეთუ ქრისტემან ღმერთმან ჩუენმან თქუა: „ნუ განიკითხავთ, რაჲთა არა განიკითხნეთ“ ¹⁾. და ჯერ-არს ქრისტეანისა, რაჲთა არაჲინ კაცთაგანი განიკითხოს. რამეთუ მამაჲ არაჲის სჯის, არამედ ყოველი სასჯელი მისცა ძესა თხს[ს]ა ქრისტესა. და რომელმან განიკითხოს კაცი უწინარეს ქრისტეს განიკითხვისა, მტერ არს იგი ქრისტესა. რამეთუ ნრავალნი დღეს მპარავ და მეძავ არიან და ხვალე იქმნიან სათნო და მართალ. ჩუენ ცოდვათა მათთა ვხედვიდით, ხოლო სინანული მათი და კეთილისა საქმე ვერ ვცნით და უსამართლოდ განვიკითხვიდით.

მეოთხე საქმე. უკუეთუ ვისთანა-მე იყოს სიძულილი ძმისაჲ, არა შეწირულ არს ლოცვაჲ მისი წინაშე ღმრთისა, ვითარცა იტყჳს მოციქული: „ენასა ლათუ ანგელოზთასა ვიტყოდი და მაქუნდეს ლათუ სარწმუნოებაჲ, ვიდრე მათთა ცვალებამდე, და შე- ლათუ-ვაქამო [შ] ყოველი მონაგები ჩენი გლახაკთა და მივსცენე ჯორცნი ჩემნი დასაწუველად, და სიყუარული თუ არა მაქუნდეს, არარაჲ სარგებელ არს“ ²⁾.

* კითხვაჲ: ვითარ შემძლებელ არს კაცი, რაჲთამცა მისცა მონაგები თხსი გლახაკთა და არამცა აქუნდა სიყუარული, რამეთუ მოწყალემაჲ სიყუარული არს?

მიგებაჲ. — არა თუ გლახაკთა მოწყალემაჲ ხოლო არს სრული სიყუარული, არამედ რტომ ერთი არს სიყუარულისაჲ. რამეთუ მრავალნი განუყოფენ მონაგებსა მათსა გლახაკთა და სხუათა ჰმძლავრობენ და უსამართლოდ მოჰხუებენ მრავალთა და მრავალნი უცხოთა შეიწყნარებენ და მრავალთა სხუათათხს ძკრსა იქსენებენ, და რომელთამე განუსუენებენ, რომელთამე შეაწუხებენ. და მრავალნი უცხოთა სწყალობენ და თხსთა სძულობენ. ესე არა არს სიყუარული სრული, (ნუ იყოფინ!), რამეთუ სრულსა სიყუარულსა არაჲინ

1 ვისთხისმე C; ძიირი C. 2 მისთხის C; ~ მარჯუნე თუალი B. 3 უკუე]—B; აცთუნებ B. 7 მესამე] გ C. 8 ქმნეს B. 11 ჯერ-არს] არა ჯერ-არს B; რა... განიკითხოს] რამცა განიკითხა ვინმე B. 12 შჯის B. 15 იქმნიან B; ვხედვიდით B. 18 მეოთხე] დ C. 19 იტყუის C. 20 ლათუ] თუ B. 21 ცვალებამდე B. 23 არს] +ქე შეიწყალე მონაჲ შენი მღვდელი გრიგოლი. ან C (გადამწერის ხელითვე). 29 მონაგებთა D. 30 უცხოთა შეიწყნარებენ და მრავალთა] — D. 31 რომელთამე განუსუენებენ] — D. 32 და ესე D.

1) ლუკა 6, 37. 2) I კორ. 13, 1-3.

* ამას ქვემოთ ამ თავის ნაწილი C-ში არაა შესული. საერთოდ ამაზე წყდება C ხელნაწერი, ე. ი. ამით მთავრდება. შემდეგ კი გადამწერის ანდერძია. ქვემოთ წარმოიდგენილი ტექსტი მოყვანილია B ხელნაწერთი A - 56-თან შეჯერებული (D).

სძულნ, არავის აგინებნ, არავის განიკითხაზნ, არავის შეაწუხებზნ, არავის შეუ-
 რაცხ-ჰყოფნ, არცა მორწმუნესა, არცა ურწმუნოსა, არცა უცხოსა და არცა
 თვსთავანსა, არცა ცოდვილსა და არცა ბრალეულსა, არცა მეძავსა და არცა
 შეგინებულსა. არამედ უყუარედ ცოდვილნი და სწყალობზ ბრალეულთა და
 10 ლმობიერ არნ უდებთა ზედა და ელმინ სულმოკლეთათვს. ტირნ და იგლოვზ
 მათთვს და უფროვზ ხოლო კეთილის მოქმედთასა, ზრუნავზ ბოროტის მოქ-
 მედთა და ცოდვილთათვს. მსგავს არნ იგი ქრისტესა მქსნელსა ჩუენსა, რა-
 მელი მოვიდა წოდებად ცოდვილთა, და საყოფელთა მათთა შინა იყოფოდა,
 ჰამდა და სუმიდა მათ თანა და მის გამო ვისწავეთ სრული სიყუარული, რა-
 10 მეთუ თქუა: იყვენით მოწყალე, ვითარცა მამად თქუენი მოწყალე არს,¹⁾ რომელ
 არს ცათა შინა და წვზს კეთილის მოქმედთა ზედა და ბოროტის მოქმედთა²⁾
 ზედა და აღმოაბრწყინებზს მზესა მისსა ცოდვილთა ზედა და მართალთა.
 ეგრეთვე რომელსა აქუს სიყუარული სრული და ჰეშმარიტი ყოველივე უყუარზ
 და ყოველთავე სწყალობზ.

15 და კუალად მრავალნი არიან კაცთაგანნი, რომელნი ჰყოფენ გლახაკთ
 მოწყალეებასა და ამას ხოლო მარტოდ მინდობილ არიან და მრავალსა ცოდ-
 ვასა იქმან და მრავალთა კაცთა სძულობენ და ჯორცთა მათთა შეიბილწებენ.
 და ესენი[ნ] ესრეთ აცთუნებენ თავთა თვსთა და ჰგონებენ ქველის საქმიითა
 მათითა განმართლენ-სა. ნუ მწუხარე ხართ მკუდართა ზედა, რამეთუ ყოველნი
 20 კაცნი მოკუდებიან, არამედ მწუხარე იყვენით კაცსა ზედა, რომელი ცოცხალი
 მომკუდარ არს წინაშე ღმრთისა საქმეთაგან ბოროტთა. რომელსა ეშინის
 ღმრთისა, იგი არა შეწუხნების მსოფლიოვსა სიკუდილისაგან, არამედ შეწუ-
 ხნების სიკუდილსა ზედა მართლისასა, ხოლო მართალი იხარებზ სიკუდილისა-
 თვს, რამეთუ განსუენებად მივალნ. მწუხარე იქმნა ეგვრტე, ოდეს მოკუდა
 25 იოსებ, და მხიარულ იქმნა ქუეყანად იგი სიწმიდისად, რაჟამს შეიწყნარან
 ძუალნი მისნი.

პირველთა მათ ჟამთა, ოდეს მოკუდებოდეს პირველნი იგი მამანი გლო-
 ვით და ტირილით დაჰმარხვიდეს მათ, ხოლო ოდეს გალობითა და შესხმითა
 სულიერითა შეჰმურვენ მიცვალებულთა. ოდეს მოკუდა ნოვე, მართალ[ნ]ი
 30 იგლოვდეს მას ორმეოც დღე; და ოდეს მოკუდა აბრაჰამ, იგლოვდეს მას ორ-
 მეოც დღე; და ოდეს მოკუდა ისააკ, იგლოვდეს მას ორმეოც დღე; და ოდეს
 მოკუდა იაკობ, იგლოვდეს მას ოთხმეოც დღე; და ოდეს მოკუდა მოსე, იგ-
 ლოვდეს მას ას ორმეოც დღე; და ყოველნი ესე მოელოდეს მოსლვასა ქრის-
 ტესსა, რადთა მოსპოს გლოვად და ტირილი კაცთაგან; რამეთუ მოკუდა ჯორ-
 31 ცითა და აღდგა, და მის თანა აღადგინნა მკუდარნი. ნუ მწუხარე ხართ
 მკუდართა ზედა, და ნუცა მდიდარსა ზედა დაგლახაკებულსა, და ნუცა ჰა-
 ბუქსა აღსრულებულსა, არამედ მწუხარე იყავ კაცსა ზედა, რომელმან უეარ-ყოს
 სარწმუნოებად თვსი.

7 არს] არს D. 36-37 ჰაბუქსა D.

1) ლუკა 6,36. 2) მათე, 5,45.

ერთ არს ღმერთი და არა შეიცვალეზის, რომელმან-იგი განუმზადა სიკუდილი ყოველსა ჳორციელსა. ფიცხელ არს კლდე, ხოლო რკინამან განკუეთის იგი; ფიცხელ არს რკინაჲ, ხოლო ცეცხლმან დააღზის იგი. ფიცხელ არს ცეცხლი, ხოლო წყალმან დააესის იგი. ფიცხელ არს წყალი, ხოლო ქარმან განაჳმის იგი. მალე არს ქარი, ხოლო გულის-სიტყუანი კაცისანი უმაღლეს მისა არიან.

ჳკითხეზ მამათა მამასა შაკარის

გულის-სიტყუათათჳს მწიკულეანთა, ვითარ შვმღენან გულსა კაცისასა

მიუგო და ჳრქუა მათ: რაჲმს დასდგე შენ ლოცვად, გნებაჲსა, რაჲთამცა აღიყვანე გულის-სიტყუაჲ შენი წინაშე ღმრთისა? მყის წარიტაცოს გონებაჲ შენი ქუეყანად შენდა, და ჳბრძოლი გულის-სიტყუათა შენთა, რაჲთამცა უკუმოიყვანენეს იგინი და ღმრთისა მიიყვანენ. და მოაქციო მიერ გონებაჲ შენი და სხუაჲ გულის-სიტყუაჲ მოგიტდეს და სოფლად წარგიყვანოს. და კუალად ილუწიდე, რაჲთა მოაქციო მიერ.

და მოგიტდეს გულის-სიტყუაჲ სიძვისაჲ, და ჳბრძოლი, რაჲთა მოაქციო მიერცა. და კუალად მოგიტდეს გულის-სიტყუაჲ ვეცხლის-მიყუარებისაჲ, და კუალად მოგიტდეს შფოთებისაჲ და მწუხარებისაჲ და შენ მშდუობად მოაქცევდე და იგი კუალად განიზნეოდის სულთა მიერ უკეთურთა და იგონებდეს მრავალთა ცოდვათა. ხოლო შენ მოსწრაფებაჲ გიღირს, რაჲთა არა იძლიო საქმითა და ნუცა ადგილს-სცემ ეშმაკსა დამკვდრებად შენ თანა, არამედ წინააღლუდეგ, და ჳბრძოდე და ჳხადოდე ღმერთსა, რაჲთა მოგცეს შენ ძლევაჲ მის ზედა. რამეთუ ვერ შემძლებელ ხარ შენ განწმედად გულისა შენისა ძალითა შენითა. ოდეს გბრძოდის შენ ბოროტი გულის-სიტყუაჲ, დააგდე თავი შენი წინაშე ღმრთისა და დაუცხრომელად ევედრებოდე, რამეთუ იგი მხოლოჲ შემძლებელ არს განწმედად გულისა შენისა.

კუალად ჳკითხეს მასვე ბრძოლისათჳს ეშმაკთაჲსა.

ჳრქუა მათ: მანქანებით არს ბრძოლად ეშმაკისაჲ, არა ხოლო ქრისტიანეთა მიმართ არს, არამედ კერპთ მსახურთაჲცა და ყოველსა სოფელსა. ხოლო უკუეთუმცა შეენდობოდა ბრძოლად, მსაგასად ნებისა თჳსისა გან-მცა-რყუნა ყოველი ქუეყანაჲ მყისა შინა და წარწყმიდა ყოველი სულიერი ერთსა შინა ჟამსა, რაჲეთუ ნებაჲ ეშმაკისაჲ ესე არს, ხოლო არა შეენდობის ღმრთისა მიერ.

მეკეცემან რაჲმს ქმნის კეცის კურქელი და შედგის იგი საცხოზელსა, საზომით შეუდგის ქუეშე მისა და არა ფრიად აღუდგის, რაჲთა არა დაილევოს კეცის კური; და არცა დააკლის ალი, რაჲთა არა უმცხუარი დაშთეს და განარყუნეს. ეგრეთვე ვეცხლის მქედელმან, რაჲმს გამოადნობნ ოქროსა გინა ვეცხლსა, საზომით ჳბერავენ ბრძმედსა მას; უკუეთუ უფროჲს ჳომისა აღაგ-

ზნის, დადნის ოქრომ იგი და ვეცხლი და იქმნის ვითარცა წყალი და განი-
რყუნის. და კაცმან სავედარსაცა მსგავსად ძალისა თვისისა აპკიდის.

ესრეთვე ღმერთმან უწყის ძალი კაცისად და მსგავსად შეძლებისა მისისა.
მიუშუებს ბრძოლასა მის ზედა. ესრეთვე ქუეყანად არს: რომელიმე უქმი და
15 რომელიმე კეთილი, და რომელიმე სავენავე და რომელიმე საყანე და საიფქლე
და საქრთილე. ესრეთვე გულთა და გონებათა ჩუენთა ქუეყანად და ნებათა-
ჩუენთა ადგილი მრავალ-ფერ არს. ესრეთვე როცემიან კაცთა ნიქნი იგი ზე-
გარდამონი, რომელსამე სიტყუად და რომელსამე განყოფანი ენათანი და რო-
მელსამე კურნებად. და ვითარცა-იგი უწყის ღმერთმან შეძლება კაცისად და
20 მოთმინებად მისი ბრძოლათა და განსაცდელთა ზედა, ეგრეთცა მიუშუებს.
მტერთა ბრძოლად მისა და უფროდს ძალისა არა განცდის.

კუალად ჰკითხეს მისვე: ოდეს მიიღოს კაცმან მადლი რომლისათვისმე,
შე-მე-იცვალოსა მისგან სხუად ბუნებად?

მიუგო ბერმან და ჰრქუა: გამოცადის ღმერთმან ნებად კაცისად და ცნის,
15 რომელსა მიდრეკილ არნ ნებად მისი. და არნ ოდესმე, იზვის კაცი სულელი და
ნაკლული გონებითა, და მისა შემდგომად შეიცვალის სიბრძნედ და მეცნიე-
რად მრავალთა საქმეთა. და რომელიმე არნ ბუნებით მცირედ მეცნიერი. და
რომელიმე არნ უწყალოდ და უსახური, და მისა შემდგომად აღირჩიის სი-
მართლე და კეთილისა საქმე, და ღმერთმან შეიწყნარის იგი. და სხუად არნ
20 კეთილად განმგებელი, მორჩილი და ნებასა ღმრთისასა აღმასრულებელი, და არნ
ოდესმე შეიცვალის მტერისა მიერ მიდრეკითა ცოდვისადთა. ყოველი გონებად
აღამის ნათესავთად შეიცვალევის, რომელიმე კეთილი ბოროტად, და რომელიმე
ბოროტი კეთილად, მსგავსად ნებისა თვისისა. და რომელი არა ენებოს კაცსა,
არა მიუშუებს ღმერთი. ნებად კაცისად ვითარცა ფიცარი არს საწერელი
25 და რომელიცა გენებოს, დასწერო მას ზედა: თუ გინდეს სიტყუანი ცხოვრები-
სანი და თუ გინდეს—სიკუდილისანი; რომელიცა გინდეს დაწერად, შეიწყნა-
რებს იგი. ეგრეთვე გულ-მანკიერმან და ძკრის მოქსენემან, უკუეთუ მისცეს ნე-
ბად თვისი ღმერთსა, შეიცვალოს კეთილად და სახიერად.

ესრეთვე ჰხედავს ღმერთი ნებასა და გონებასა კაცთასა და მსგავსად მისა.
30 მისცემს ძალსა და შეეწყვის, და რომელთამე მიუშუებს ნებისა მათისაებრ.
მოციქულნი ოდეს წარავლინნა ქადაგებად ქალაქებსა და დაბნებსა, არა თუ
ყოველთა სნეულთა ჰკურნებდეს, არამედ რომელთამე; და ნუუკუე ენებაცა,
რადთა ყოველნი სნეულნი განკურნენ და ყოველნი მკუდარნი აღადგინენ, არამედ
არა მიელო ჰელმწიფებად, რადთა ყოველი ნებად მათი აღასრულონ, ვითარცა-
35 იგი ჰავლე, რაჟამს მთავარსა დამასკისასა მოეცვა და ენება შეპყრობად მისი.
უკუეთუმცა მადლი იგი ნებისა მისაებრ თანა ყოფილ იყო, ებრძანამცა, რადთა
მთავარი იგი ქვა იქმნეს, გინა გამოსლვასა მისსა დაეცეს ზღუდე წინამე
მის[ს]ა, არამედ მაშფალითა გარდაუტევეს ზღუდესა და წარვიდა.¹⁾ სადა უკუე
იყო ძალი, რომელი იყო მის თანა, არამედ განგებითა ღმრთისადთა იქმოდეს.
40 მოციქულნი სასწაულთა და ნიშთა. და არნ ეამი, ოდესმე ცნიან უძღურე-
ბად თვისი, რადთა იცნობოს სარწმუნოებად მორწმუნეთად..

10, 7 — 311, 12 ესრეთვე მოცემიან.. გვრჯნი მისი] — D.

¹ II კორინთ. 11, 32.

კაცი ბრძენი გასაცდელთა შინა არა წარჰკუთეს სასოებასა. უკუეთუ მოაწინეს შენ ზედა ეშმაკმან განსაცდელნი მრავალნი, ჯმა-ყავ ღმრთისა მიმართ შეწევნად და არქუ ეშმაკსა მას: დადაცათუ ბევრჯერ მოვეუდღე, არა ვანვეშორო მე ღმერთსა ჩემსა. და ოდეს დაუთმოს კაცმან ღმრთისათს განსაცდელთა, ჰრქუას ეშმაკსა: იხილეა, რაოდენნი განსაცდელნი და მწუხარებანი მიაწიენ მის ზედა და არა დაგემორჩილა, არამედ მე [მ] მსახურებს და ჩემგან ეშინის. ესრეთ სირცხულეულ იქმნა ეშმაკი. უკუეთუმცა ეცნა, ვითარმედ იძლევის იობის მიერ მართლისა, არამცა ბრძოლა-ეცა. ეგრეთვე სირცხულეულ იქმნების ყოველთა მიერ, რომელთა დაუთმონ განსაცდელთა და მწუხარებათა ღმრთისათს. მაშინ ეტყუნ მას ღმერთი: აჰა ეგერა მიგეც ჰელმწიფებაჲ მის ზედა განცდად და ვერ შეუძლე დაბრკოლებად მისა, არამედ უფროდსად განაშუენე გვრგვნი მისი. ვითარცა ზამთრისა შემოსლვასა ჰაერნი შეიცვალნიან, ეამ ერთ წუმნ და მერმე დასცხრის, ეამ ერთ ქრინ და მერმე დაყუდნის, ეამ ერთ ნეფხუავენ, მერმე დასცხრის, ესრეთვე მბრძოლნი სულისანი ოდესმე ეკუეთნიან და ოდესმე უკუნდგიან. ესრეთვე სულსა ზედა კაცისასა: ეამ ერთ არნ ქირსა შინა და განსაცდელსა და მოიწინიან მის ზედა ლელვანი საშინელნი, და კუალად მოიწიის მის ზედა შეწევნაჲ მადლისა მიერ ზეგარდამო და ალაესის იგი სიხარულითა საღმრთოთათა.

ჯერ-არს კაცისა, რაჟამს მოიწიოს მის ზედა განსაცდელი, რათათა არა მწუხარე იქმნეს. და ოდეს შეეწეოდის მას ნადლი ღმრთისა მიერ, არა აღზუავნეს, არამედ მწუხარებასა შინა მოელოდის სიხარულსა, და სიხარულსა შინა მწუხარებასა. განემზადე მისლვად ქალაქსა მას წმიდათასა სადა არა არს ქირი და მწუხარებაჲ, არამედ სიხარული და განსუენებაჲ. მრავლითა ბრძოლითა და შრავლითა შრომითა მოიგოს კაცმან გული წმიდაჲ და გონებაჲ უბიწოჲ. აბრაჰამ იყო მდიდარი, ხოლო მიწად და ნაცრად უწოდდა თავსა თუსსა წინაშე ღმრთისა. და ეგრეთვე დავით მეფე იყო, ხოლო მატლად და არა კაცად ჰხადოდა იგი თავსა თუსსა. და ეგრეთვე ყოველნი მოციქულნი და წინაწარმეტყუელნი და ყოველნი წმიდანი დაიმდაბლებდეს თავთა მათთა წინაშე ღმრთისა.

იხილეთ ქრისტე, ღმერთი ჩუენი, რომელსა სიმდაბლესა მოვიდა, რამეთუ მსგავს მონათა იქმნა და ყოველთა სნეულთა და უძლურთა ჰკურნებდა და კაცთაგან შეურაცხ-იყო. იხილე ვითარ დაღად-ყვეს მისთს: „ჯუარს-აცუ, ჯუარს-აცუ ეგე“ ¹⁾. და ვითარცა ბოროტის მომქმედმან მიიხუნა პატიენი იგი სიკუდილისანი მსაჯულისაგან და ნერწყუაჲ პირისაჲ და გვრგვნი ეკლისაჲ, და ყურიმლის ცემაჲ თავს-იღვა სიმდაბლით. აწ უკუეთუ ღმერთმან სიმდაბლით თავს-იღვა ვნებაჲ, შენ, რომელი-ეგე ბუნებისაგან მყარალისა აგებულ ხარ მოკუდავი, არა დაჰმდაბლდებია და არა თავს-იღება, ვითარცა ღმერთი ჩუენი, რომელი შენტუს დამდაბლდა? შენ თავისა შენისათს არა დაჰმდაბლდები, არამედ ჰზუაობ და ჰნაჲლოი და არა გნებავს აღხუზად ვნებათა მისთა, რათამცა განიკურნა

20 იქმნეთ D. 32 ჯუარს-აცვთ. ჯუარს-აცვთ D. 37 დაჰმდაბლდებია B, დამსდაბლდებია D. 38 დაჰმდაბლდები B.

¹⁾ იოანე 19, 6.

- წყლულებად შენი. უკუეთუ ოდესმე გიჩუენოს შენ ეშმაკმან კაცი მდიდარი მსოფ-
ლიო და გრქუას: ესევეთარი მდიდარ არს ესრეთ და ღმერთსა არას ჰმსახუ-
რებს, და შენ ჰგონებ თავსა შენსა ღმრთის მსახურად და ესრეთ გლახაკ ხარ, მიუგე
და არქუ მას: ესე სიმდიდრე მცირედ ჟამისაჲ არს და მერმე ცუდ იქმნების,
15 ხოლო მე ვეძიებ სიმდიდრესა მას საუკუნესა. და კუალად გიჩუენოს დედაკაცი
პირ-შუენიერი და გულსა შთაგიგდოს გულის-თქუმაჲ ნწიკულევიანი, ხოლო შენ
მიუგე და არქუ მას: ესე საქმე ბილწებისაჲ არს და მიიყვანებს ცეცხლსა ჯო-
ჯოხეთისასა საუკუნოდ. და მრავალთა საქმეთა ქუეყანისათა გიჩუენებს, ხო-
ლო შენ წინა-აღუდგებოდე ლოკვითა ღმრთისა მიმართ და იტყოდე მარადის:
20 გვედრები შენ, უფალო ღმერთო ჩემო, შემიწყალე მე. ესე იყავნ მარადის
სიტყუაჲ შენი ყოველსა შინა საქმესა შენსა დაუფიწყებელად დღე და ღამე.
ჯერ-არს მონაზონისა ყოველსა შინა საქმესა, რომელსა იქმოდის, კე-
თილსა იტყოდის ესრეთ, ვითარმედ: ყოლადვე არა მიქმნიეს კეთილი. უკუეთუ
ილოკვიდეს, იტყოდის, ვითარმედ: არასადა მილოცავს სულითა ქეშმარიტითა.
25 და უკუეთუ იმარხვიდეს, იტყოდის, ვითარმედ: არასადა მიმარხავს ნებისაებრ
ღმრთისა. უკუეთუ შურებოდის და იქმოდის სათნოებათა, იტყოდის, ვითარ-
მედ: არას კეთილისა საქმესა ვიქმ. ჯერ-არს რაჲთა ყოველთა დღეთა ესრეთ
იტყოდის, ვითარმედ: დღეს ვერ განვეერი ცოდვისაგან, ნუუკუე ხვალე განვეერი.
ვითარცა სახლსა ბნისასა, უკუეთუ ვინმე ცეცხლი შეახოს, არა დაივსოს, ვიდრე
30 არა ყოველივე დაიწვეს, ეგრეთვე არა განერეს სული ცოდვისაგან, თჳნიერ
მრავლისა. შრომისა და მღუძარებისა.

- ესე არს ბრძოლაჲ და ძლევაჲ მოლუაწეთაჲ, რაჲთა შევიდეს კაცი შინა-
გან გონებასა თჳსსა და ჰბრძოდის ეშმაკსა და მოიძულნეს ვნებანი და უვარ-
ყოს თავი თჳსი და განასხნეს ვნებანი ჯორცითანი და წინა-აღუდგეს გულსა მას
25 ბოროტსა. უკუეთუ გარეშე გუამი შენი დაიცვე სიძვისაგან და შინაგან გულის-
სიტყუთა ისიძვიდე, გისიძავს გულის თქუმითა შენითა, და არარას სარგებელ
გეყოს შენ ჯორცითა ქალწულებაჲ, არამედ ხარ შენ ქალწული, რომელი აცთუ-
ნის ჰაბუკმან და შეაგინის, შეურაცხ არნ იგი წინაშე დაწინდებულისა თჳსისა,
ვითარცა მეძავი. ეგრეთვე სული კაცისაჲ, რომელი ზიარ ექმნეს შინაგანთა
30 გულის თქუმათა ბოროტთა, მეძავ არს იგი წინაშე ღმრთისა, რამეთუ მრუ-
შებაჲ აღიზარდებინ გუამსა შინა და სიძვაჲ სულსა შინა, რომელი დაემორ-
ჩილის ეშმაკსა. რამეთუ სული ზიარი არს ღმრთისაჲ სიწმიდითა და ზიარი არს
ეშმაკისაჲ მიდრეკითა მრუშებისაჲთა.

- მრავალთა კაცთა მიიღეს მადლი და ქმნეს სასწაულნი მრავალნი, და მისა
35 შემდგომად უღებ იქმნეს ლოკვისათჳს და აღდგეს მათ ზედა ლელვანი სასტიკნი
და დაინთქნეს იგინი უფსკრულთა და წარწყმდეს. რომელი ქეშმარიტად მარ-
თალ არს, არს იგი მდაბალ ჯორცითა და გულის-სიტყუთა, და არავის განიკით-
ხავს, არცა ცოდვილსა და არცა სხუასა ვის. მრავალთა კაცთაგანთა მიიღეს
ნიკი მადლისაგან ღმრთისა და თქუეს გულსა თჳსსა, ვითარმედ განსრულებულ
არიან და არარაჲ უქმს მათ, მაშინ განძარცულ იქმნეს იგინი მადლისაგან
და წარწყმდეს.

არა უღირს მონაზონსა თქუმაღ, ვითარმედ სრულ არს იგი, არამედ კრძალვად და სიმდაბლე დღე და ღამე, რამეთუ ბრძოლისა მოსლვად არა შენ ზედა არს, ხოლო სიძულილი ბოროტისად შენ ზედა არს. და ოდეს გიხილოს შენ ღწერთმან, ვითარმედ გიყუარს იგი ყოვლითა გულითა შენითა, გიჴსნეს შენ სიკუდილისაგან. შრომად კაცისად უყუარს ღმერთსა და კაცსა უჴმს შეწევნად ღმრთისად. უკუეთუ არა მოჴბერონ ქართა და აღმოვიდენ ღრუბელნი და გარდამოჴდეს წჳმად, ცულ იქმნეს შრომად ქუეყანის მომქმედთად, რამეთუ უქმად დაშთეს დათესული იგი ქუეყანად. ეგრეთვე სული კაცისად, უკუეთუ არა მოიღოს მადლი ჴეცით გარდაღო, ვერ გამოიღოს მადლი ღმრთისა სათნოებათად. ესე არს შრომად კაცისად, რადთა მოიძულნეს ყოველი საქმენი ქუეყანისანი და მოიგოს ლოცვად და მარხვად და მღჳძარებად, და შეიყუაროს ღმერთი ყოვლითა გულითა თჳსითა და მოყუასი, ვითარცა თავი თჳსი. მაშინ მოჴბერონ ქართა და აღმოვიდენ ღრუბელნი სულისანი და წჳმანი მადლისანი, და გამოიღოს სულმან ნაყოფი სიტჳბოებისად შესაწირავად ღმრთისა. ვითარცა მუშაკმან, რაჲმს იხილის ვენაჴი ნაყოფისა გამოძღებულად, განმწიდის იგი, რადთა უმრავლესი ნაყოფი გამოიღოს, განსხლის და ნასხლევი იგი ცეცხლსა დაასხის, ეგრეთვე ღმერთმან ყოს. ყოველი კეთილი, რომელი ქმნეს კაცმან, უღირს, რადთა თქუას, ვითარმედ ღმრთისა შეწევნითა და ძალითა მისითა ვქმენ, და არა თუმცა ღმერთმან განმძღიერა, ვერ შემძღებელ ვარ მარხვად და ვერცა ლოცვად და ვერცა სოფლით განშორებად. და ოდეს იხილის ღმერთმან კეთილი ნებად კაცისად და მინდობად მისი ძალსა მისსა, მოსცის მას მადლი სულისა წმიდისად ჴეგარდამო და განაძღიეროს იგი ნაყოფის გამოღებად.

კჳალად ჰჳითხმს მას: რადხბათჳს როგველთა ბეგომ იხილმს ჴმცისა სიტჳბომგისად და არა განძღმს მისგან

მიუგო ბერმან და ჰრქუა: ღმერთმან უწყნის უძღურებანი კაცთანი, ვითარმედ მსწრაფლ აღზუავენების. ამისთჳს დააყენის მადლი მისი ჲათგან და მიუტევის შრომად კაცი. და ოდესმე მცირედ მიიღის კაცმან მადლისაგან და ვერგინ შემძღებელ არს მისა წინა-დადგომად სიჴადულისა და ჴუაობისაგან. ვითარ უკუეთუმცა განძღა, ვინმცა შეუძლო მიახლებად მისა, არამედ ღმერთმან ცნა უძღურებად კაცისად და იგი განაგებს დღეთა ჩუენთა მრავლითა განსაცდელითა, რადთა არა ავმალდღეთ, არამედ მარადის მდაბალ ვიყვენთ და ვეძიებდეთ შეწევნასა მისსა. ვითარცა კაცმან შიშუელმან და გლახაკმან ჰოვა ჰადვასიკი საესე ოქროდთა, და სიხარულითა და ჴუაობითა იწყო ღალადებად, ვითარმედ: ვბოვე მე ოქროდ დიდძალი, და მე ამიერთგან მდიდარ ვარ, ესმამცა ესე უფალსა მის ჰადვასიკისასა და მივიდა და მოულო იგი მისგან, და დაშთა იგი მწუხარებასა და სიგლახაკესავე შინა თჳსსა. და კჳალად სხუად მდიდარი განლაღებულ იქმნა და იწყო ყოველთა გინებად და შეურაცხებად და წუნობად ყოველთა კაცთა. ესმა მისთჳს მეფესა,

მიავლინა და წარიღო ყოველი საფასე მისი და მონაგები, და იქმნა იგი ყოველთა კაცთა უმდაბლეს არა ნებსით. ესრეთვე მადლისაგან ღმრთისა ოდესმე მიიღის კაცმან მცირედ და ვერ შეუძლის გონიერად პყრობაჲ მისი, არამედ მუნთქუესვე აღზუავნის და წარწყმდის მადლი იგი მისგან. კაცი ნებსით თუსით იქმს კეთილსა და ნებსით თუსით იქმს ბოროტსა. არნ ოდესმე და კაცმან შერაცხილმან და მთავართა ნაშობმან და დიდებულმან მონაგებითა ნებსით დაუტევის სიმდიდრე თუსი და სიგლახაკე აღირჩიის ღმრთისათუს, და უნდოფთა და შეურაცხითა სამოსლითა შეიმოსის და მისცის თავი თუსი სიმდაბლესა და შეურაცხებასა კაცთაგან პატიოსნებისა მის წილ პირველისა, და ეგრეთვე რომელთამე ნისცნიან თავნი თუსნი ნებსით ბოროტისა საქმესა და მრავალსა უსახურებასა და უბადრუკებასა, და ესრეთ აღასრულნიან დღენი მათნი.

ჯერ-არს მონაზონისა, რაფთა განუშორებელად აქუნდეს შიში ღმრთისაჲ გულსა თუსსა სარწმუნოებითა შეუორგულბელითა. ესევეთარი არაოდეს დაბრკოლდეს. მრავალნი კაცთაგანნი ევედრნეს ღმერთსა, და განულო მათ კარი წყალობისაჲ და სენი იგი დაუნჯებული, და სიხარულით იწყეს ლაღებად: საფასე გვაოვნის; და ვითარცა მცირედ უდებ იქმნენს, მიიღო მათგან საფასე იგი, და გამოისხნეს მიერ. მაშინ იწყეს მწუხარებით ბრალობად თავთა მათთა და იტყოდეს: ვაჲ ჩუენდა, რამეთუ ვპოეთ საფასე და უდებებითა ჩუენითა კუალად წავრწყმიდეთ იგი.

კაცმან ვინმე დიდებულმან მთავართა შვილმან, მდიდარმან ფრიად, განყიდა ყოველი მონაგები თუსი და განუყო გლახაკთა და განათავისუფლნა მონანი თუსნი და შეურაცხ-ყო სოფელი ესე და ყოველნი საქმენი მისნი, რამეთუ იყო იგი ბრძენ და მეცნიერ. და მცირედ შემდგომად შეპრაცხა თავი თუსი დიდსა საქმესა მიწვენად და აღზუავნა და მთავარდა იგი მთხრებლსა ბოროტსა და მწკრისა სიმყრალესა. და სხუამან კაცმან მისცა თავი თუსი ლუაწლსა წამებისასა და გუამი მისი მრავალთა სატანჯველთა. და შემდგომად მისა განჭდა სახელი მისი, ვითარმედ: ძლიერ არს იგი, და რამეთუ წარბნი და წამწამნი მისნი მოეწუნეს ცეცხლითა ტანჯვასა მას შინა უშჯულოთა მიერ. მაშინ იდიდებოდა იგი კაცთაგან და პატივ-სცემდეს მას მრავალნი ლოცვისა დაწყებასა. მაშინ აღზუავნა და უდებ იქმნა იგი და გონებაჲ მისი განშორებულ იქმნა ღმრთისაგან, და დაეცა იგი, ვიდრემდის ვერ შემძლებელ იყო სმენად სიტყუასა საღმრთოსა, და წარწყმდა.

სიტყუანი მამათანი შიშისათუს ღმრთისა

შიში ღმრთისაჲ მოიგების კსენებითა სიკუდილისაჲთა და კსენებითა აღდგომისაჲთა და განშორებითა მრავალ-მეტყუელებისაგან და გამოძიებითა გულის-სიტყუათაჲთა დილეულ და სამხრად და მწუხრი. რომელი ჰზრახეთ და რომელი გულსა მოგიჭდა, და რომელი საქმით აღასრულეთ. და უკუეთუ

კეთილად განვლეთ დღე იგი, ჰმადლობდი ღმერთსა. და კუალად შეეყავ კაცსა, რომელსა ღმრთისა ეშენოდის და ნუ განეშორები მისგან, ვიდრემდის ისწაო შიში ღმრთისაჲ. და რომელმან ესე არა ყოს, იგი განსდევნის შიშსა ღმრთისასა.

თქუა წმიდამან პავლე: რომელსა ჰრწმენეს, რამეთუ აღთქუმანი ღმრთისანი კეშმარით არიან ბრალეულთათვის, და გამოიხატენს იგინი მარადის წინაშე თუალთა მისთა, მან მოიგოს შიში ღმრთისაჲ.

თქუა წმიდამან დიადოხოს: ვერ შემძლებელ არს კაცი მოგებად შიშსა ღმრთისასა, უკუეთუ არა განეშოროს ყოელისაგან ზრუნვისა ამის საწუთროჲსა და არა დაჯდეს და დაეყუდოს მარტოდ.

თქუა წმიდამან კლემაქს: უკუეთუ სტიროდის კაცი ცრემლითა მჭურვალედ თავსა თვისსა ვითარცა მკუდარსა, მან უშვეს მას შიში ღმრთისაჲ.

თქუა წმიდამან საჰაკ: პირველი კეთილი არს შიში ღმრთისაჲ და ესე იშვების სარწმუნოებისაგან და დაეთესვის გონებასა, ოდეს განაგდოს კაცმან მისგან ყოველი შექცეულებად, საურავი ამის საწუთროჲსაჲ, და შეიკრიბნეს გულის-სიტყუანი თვისნი, განბნეულნი საქმეთა შინა ქუეყანისათა, და ზრუნვიდეს საუკუნოჲსა მისთვის მომავალისა.

თქუა წმიდამან ესაია: ჯერ-არს მისა, რომელი დაყუდებულ იყოს, რაჲთა მოიგოს შიში ღმრთისაჲ. ხოლო ესე უწყოდენ, ვიდრენდის გონებაჲ კაცისაჲ ცოდვასა მიდრეკილ იყოს და მხიარულად იქსენებდეს, არა არს მის თანა შიში ღმრთისაჲ, და რომლისა თანა არა არს შიში ღმრთისაჲ, ჰშორავს იგი წყალობასა მისსა.

თქუა წმიდამან პიმენ: უჯმს კაცსა მოგებად შიში ღმრთისაჲ და სიმდაბლე მარადის და არა განშორებად მისგან დღე და ღამე, ვითარცა საშუმინველი სულისაჲ დაუცადებელი, რომელ არს პირსა მისსა.

თქუა წმიდამან კლემაქს: რომელი არა აგრძნობს თავსა შინა თვისსა შიშსა ღმრთისასა, უწყოდენ მან, რამეთუ სული მისი მომკუდარ არს.

მანვე თქუა, ვითარმედ: არა გუაბრალებს ღმერთი, თუ რაჲსა სასწაულთა არა ვიქმოდეთ და რაჲსა დაფარულთა არა მეცნიერ ვიყუენით, ანუ რაჲსა გამოძიებისათვის ღმრთისა საშუაელი არა ვიცოდეთ. ხოლო ესე კეშმარითად გუაბრალოს, ვითარმედ: რაჲსა არა დავადგერით მწუხარებით და გლოვით ცოდვათა ჩუენთა ზედა ყოველთა დღეთა ცხოვრებისა ჩუენისათა.

თქუა მაქსიმოს: რამეთუ ესე არს შიში საღმრთოჲ, რაჲთა მარადის ზრუნვიდეს კაცი და ეკრძალებოდის, რაჲთა არა შევარდეს პატიეთა მათ საუკუნეთა, რომელნი მომავალ არიან ცოდვილთათვის მერმესა მას.

თქუა წმიდამან ბასილი: შიში ღმრთისაჲ არს მოლოდებად განსაცდელთაჲ, ვითარცა გუეშინინ მტეტთაგან და ჯელმწიფეთა, რაჲთა არა შეგუემთხვოს მათ ზიერ განსაცდელი.

თქუა წმიდამან გრიგოლი: შიში ღმრთისაჲ არს, ოდეს ვიხილნეთ აღთქუმულნი იგი სატანჯველნი ჯოჯოხეთისანი და განვეშორნეთ საქმეთაგან ჩუენთა ბოროტთა.

თქუა წმიდამან, ვითარმედ: შიში ღმრთისაჲ განსდევნის ყოველსა ბოროტსა და მოწყინებაჲ განსდევნის შიშსა ღმრთისასა.

თქუა წმიდამან პიმენ: ვითარცა კუამლმან განასხნის ფუტკარნი და გამოუღიან ნაშრომი იგი სიტკბოებისა მათისაჲ, ეგრეთვე განსუენებაჲმან ჯორცთამან განსდევნის შიში ღმრთისაჲ სულისაგან და წარუწყმიდის ყოველი საქმე კეთილისაჲ.

თქუა წმიდამან მოსე: ვერ შემძლებელ ხარ მოგებად შიშსა ღმრთისასა, უკუეთუ არა პირველად მოიგნე საქმენი მისნი. და საქმენი მისნი არიან ესე: ყოველსა უწინარეს დაყუდებაჲ, რომლისაგან იშვების ასკიაჲ სულიერი და ჯორციელი. და თარგმანებაჲ ამის ასკიაჲსაჲ საჯორციელოჲსაჲ ესე არს: ტაბლაჲ, რომელსა ზედა ჰგიედ ერთი ხოლო საქმელი, და ასკიაჲ სულიერი ესე არს, რაჲთა არარას საქმესა ზედა მხიარულ იყოს. და ამან ასკიაჲმან სულიერმან და ჯორციელმან შვის ტირილი, და ტირილმან შვის შიში ღმრთისაჲ და შიშმან შვის სიმდაბლე, და სიმდაბლემან იხილნის საქმენი მოწევნადნი პირველ მოსღვისა, და ამან ხილვამან შვის სიყუარული, რომლისა თანა არა არს საღმობაჲ და არცა ტკივილი. მაშინ ცნის კაცმან, ვითარმედ ჰშორავს იგი ღმერთსა. და რომელსა ჰნებაჲნ მიმთხუევად ამით კეთილითა და მიწევნად ამით სათნოებათა, დაუტრევენ ზრუნვაჲ ამის სოფლისაჲ და სიკუდილ განჰმზადუნ თავი თჳსი. და რაჲამს ილოცვიდეს და რაჲამს ეუწყოს მას, რომელი-იგი განაშორებს ღმრთისაგან და შეურაცხ-ყოს საწუთროჲ ესე, და მადლმან ღმრთისამან მიანიჭოს მას საქმედ სათნოებად. ხოლო ესემცა უწყვი, ძმაო, რამეთუ რომელი ჰამდეს და სუმიდეს უფროჲს ზომისა და უყუარდენ გემონი ამის სოფლისანი, ვერ ოდეს მიიწიოს იგი მოგებად სათნოებათა, რამეთუ არს იგი მონაჲ და მორჩილი ნებასა ჯორცთასა.

ჰკითხა ძმამან ბერსა: ვითარ შემძლებელ ვიქმნე წინა-აღმდგომად მრავალ-მეტყუელებასა და შეკრძალვად ენისა ჩემისა? მიუგო წმიდამან და ჰრქუა: გლოვითა. ჰრქუა მას ძმამან მან: და ვითარ შემძლებელ ვარ მე მოგებად გლოვისა და ვარ მე შორის კაცთა შემავალ და განმავალ? მიუგო ბერმან და ჰრქუა: ოდეს მოიკუეთოს კაცმან ნებაჲ თჳსი და არა ჰხედვიდეს კაცთა ცოდვასა, მაშინ შეიკრიბნეს გულის-სიტყუანი თჳსნი, და ოდეს შეჰკრიბნენ გულის-სიტყუანი, შვან მათ მწუხარებაჲ საღმრთოჲ, და მწუხარებაჲმან შვენეს ცრემლნი და გლოვაჲ.

და კუალად თქუა სიმდაბლისათჳს, ვითარმედ სიმდაბლე ორი არს და ამჰარტავანებაჲ ორი არს.

პირველი ამჰარტავანებაჲ ესე არს: ოდეს განლაღნეს კაცი ძმასა თჳსსა ზედა და შეურაცხ და დაკლებულ ყოს და არარად შეჰრაცხოს იგი და თავსა თჳსსა ჰხედვიდეს უდიდეს მისა. უკუეთუ არა განიღძოს და მოიქცეს, და მოიწიოს მის ზედა ამჰარტავანებაჲ მეორე. ხოლო მეორე ამჰარტავანებაჲ ესე არს: ოდეს აღზუავნეს კაცი და განლაღნეს ღმრთისა ზედა და ყოველნი დიდებანი და სათნოებანი აჩუენეს თავსა თჳსსა და არა ღმერთსა დამბადებულსა თჳსსა და წარწყმიდოს ყოველი კეთილისა საქმე. ესე არს თარგმანებაჲ ამჰარტავანებისა პირველისა და მეორისაჲ.

ხოლო ს ი მ და ბ ლ ე პ ი რ ვ ე ლ ი ესე არს: ოდეს იხილოს კაცმან ძმაჲ თჳსი უბრძნეს მისა და უმჯობეს და უალრეს მისა ყოველსა ზედა საქმესა და ვითარმედ არარაჲ იცის, ოდეს შეატყუას თავი თჳსი მოყუასსა თჳსსა. ესე არს სიმდაბლე პირველი. და ს ი მ და ბ ლ ე მ ე ო რ ე ესე არს, რაჲთა ყოველი კეთილი და დიდებაღმერთსა აჩემოს და შეცთომილებაჲ და შეურაცხებაჲ თავსა თჳსსა აჩემოს. ესე არს სიმდაბლე წმიდათაჲ, სრული და უბიწოდ სულსა შინა საქმეთაგან ნათლისათა. რამეთუ წმიდანი რაოდენცა მიეახლებიედ ღმერთსა, იხილნიედ თავნი თჳსნი უცოდველესად ყოველთა კაცთასა. და სიმდაბლე არს სიგლახაკე ჯორციელი, რამეთუ სიგლახაკე დაამდაბლებს ჯორცთა, და ოდეს დამდაბლდენ ჯორცნი, დამდაბლდის მათ თანა სულიცა. სიმდაბლე კემზარიტი ესე არს, რაჲთა არარად შეჭრაცხოს კაცმან თავი თჳსი და მოიკუეთოს ნებაჲ თჳსი ყოველსა და უდრტყნველად დაუთმოს ყოველთა განსაცდელთა, მომავალთა მის ზედა ვინაჲთვე.

თქუა ბერმან: არავის ზედა მოიწვევის განსაცდელი და მწუხარებაჲ ყოველსავე შინა საქმესა, თჳნიერ ზეგარდამო ღმრთისა მიერ უმჯობესისათვის. და რომელსა არა პრწმენეს ესე, მას არა პრწამს, ვითარმედ: ღმერთი მართლმსაჯულ არს და სიმართლით განაგებს.

თქუა მამამან პიმენ: ნებისა აღსრულებაჲ კაცისაჲ ზღუდე არს რვალისაჲ შორის მის[ს]ა და შორის ღმრთისა.

თქუა მაქსიმოს: რომელმან სძლოს ნაყოფანებასა, უძლევიეს ყოველთა ვნებათა. და რომელმან მოიგო სიმდაბლე, მოუგიან ყოველნი სათნობანი.

თქუა ბერმან: სამნი ესე საქმენი თავ არიან ყოველისა საქმისა. და ჯერ არს კაცისა, რაჲთა წინაშე თულთა მისთა გამოიწერნეს ყოველსა ეამსა: ჳსენებაჲ სიკუდილისაჲ ყოლადვე და ჳსენებაჲ სატანჯველთა მათ საუკუნეთაჲ და ყოფაჲ მარადის ღმრთისა თანა. და უკუეთუ არა მოიჳსენოს კაცმან სიკუდილი, ვერ შემძლებელ არს მოკუდინებად ყოველთა კაცთაგან; და უკუეთუ არა მოკუდეს ყოველთა კაცთაგან, ვერ შემძლებელ არს ყოფად ღმრთისა თანა.

თქუა წმიდამან კლემაქს: ჳსენებაჲ სიკუდილისაჲ არს განშორება ზრუნვასა ჯორციელებრსა და შეკრძალვაჲ გონებისაჲ და ლოცვაჲ მარადის დაუცადებელად.

მანვე თქუა: ვერ შემძლებელ არს კაცი გარდავლად დღესა ჯერისაებრ, უკუეთუ არა შეჭრაცხოს იგი უკუანაჲსენელად დღედ ცხოვრებისა მისისად.

შ ი ნ ა ა რ ს ი

შესავალი V—XXII
მამათა სწავლანი (ტექსტები) 1—317

1. თქუმული წმ. იოვანე ოქროპირისაჲ შიშისათჳს ღმრთისა და სინანულისა (1—12),
2. თქუმული მისივე მოთმინებისათჳს და ამის სოფლისა აღსასრულისათჳს და მოსლვისათჳს უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესა მეორედ განსჯად ცხოვლთა და მკუდართა. წიგნის კითხვისათჳს და დაყუდებისა (12—24),
3. თქუმული მისივე მარხვისათჳს (25—26),
4. თქუმული მისივე მარხვისათჳს და განწმედისათჳს სულისა და ძვრ-უკსენებლობისათჳს (26—44),
5. თქუმული მისივე დაბადებულისათჳს და წინამთვე განჩინებულისა კაცსა ზედა ღმრთისა მიერ კეთილისა და ბოროტისა, ვითარმედ არარაჲ არს (44—48),
6. სწავლაჲ წმიდისა იოვანე ოქროპირისაჲ სინანულისათჳს (49—56),
7. თქუმული წმიდისა იოვანე ოქროპირისაჲ სინანულისათჳს და ლოცვისა მოუწყინებელად (56—63),
8. თქუმული წმიდისა იოვანე ოქროპირისაჲ წყალობისათჳს ღმრთისა (63—66)
9. თქუმული წმიდისა იოვანე ოქროპირისაჲ თარგმანებაჲ იოვანე მახარებელისაჲ და პავლესი (67—73),
10. თქუმული წმიდისა იოვანე ოქროპირისაჲ სინანულისათჳს (73—83),
11. თქუმული წმიდისა იოვანე ოქროპირისაჲ მოწყალებისათჳს, მდიდრისა მისთჳს და ლაზარესთჳს გლაზაკისა (83—91),
12. თქუმული იოვანე ოქროპირისაჲ სოფლისა ამისთჳს წარმავალისა, სიკუდილისათჳს და საშჯელისა (91—100),
13. თქუმული წმიდისა იოვანე ოქროპირისაჲ სიტყჳსა მისთჳს მოციქულისა, რომელ თქუა, ვითარმედ «ქრისტემან მშჯდობა ყო სისხლითა თვისთა ცათა შინა და ქუეყანასა ზედა» (100—107),
14. ებისტოლუ წმ. იოვანე ოქროპირისაჲ, რომელი მიუწერა თევდორეს მთავარსა ჰრომისასა, რომელი მონაზონებით კულად იქცა სოფლადე (107—119),
15. ებისტოლუ წმ. იოვანე ოქროპირისაჲ თევდორესა მიმართ, რომელმან მონაზონებაჲ დაუტევა და ცოლი შეირთო, რომელი იყო დის წული იონან ჰრომთა პაპისაჲ (119—128),
16. თქუმული წმ. იოვანე ოქროპირისაჲ სინანულისათჳს (128—138),
თქუმული წმ. ბასილი ეპისკოპოსისაჲ სინანულისათჳს და სიკუდილისა (138—151),
18. თქუმული წმ. ბასილი ეპისკოპოსისაჲ შურისათჳს და სახშ სინანულისაჲ მორწმუნეთათჳს (151—161),
19. თქუმული წმ. მარკოზ მონაზონისაჲ მდურვაჲ და ყუედრებაჲ შრთიერთას თაეისა თვისსაჲ, სულისა და გონებისაჲ მხილებჲჲ სამართლად (161—166),
20. თქუმული წმ. მარტვრი მონაზონისაჲ სინანულუასაოჳს და სიმდაბლისა (166—182),
21. თქუმული წმ. საპაკ მონაზონისაჲ [დედათათჳს] (182—183),
22. სინანული წმ. ეფრემისი, ოდეს-იგი ტირილით ამხილებდა თაეა თჳსსა და გლოვით იტყოდა (183—187),
23. სწავლაჲ წმ. ეფრემისი მონაზონთა მიმართ ლა მარტოდ-მყოფთა (189)—189),

- 24. თქუმული წმ. ეფრემისი თარგმანებული მეექუსისა ფსალმუნისაჲ, მარხვისათჳს და სინანულისა (200—205),
- 25. თქუმული წმ. ეფრემისი სიყუარულისათჳს და სინანულისა (206—214),
- 26. თქუმული წმ. ეფრემისი სინანულისათჳს, ჯუარისათჳს და პარასკევისა და კურიაკისათჳს (214—219),
- ← 27. თქუმული წმ. ეფრემისი სიკუდილისათჳს და გამოსლვისათჳს სულისა ჳორცთაგან (220—227),
- 28. თქუმული წმ. ეფრემისი სიცილისათჳს და უკუროდ განცხრომისა (228—232),
- 29. თქუმული წმ. ეფრემისი მოძღურისა მის კურთხეულისაჲ [წესი და განგებაჲ საცთურთა ეშმაკისათაჲ] (232—245),
- 30. თქუმული წმ. ეფრემისი სინანულისათჳს (246—252),
- 31. სწავლაჲ წმ. ეფრემისი სინანულისათჳს (252—253),
- 32. თქუმული წმ. ეფრემისი მხილებისათჳს თავისა თჳსისა და აღსარებისათჳს ცოდვთა, რომელნი სიმდაბლით აჩვენა თავსა თჳსსა (259—263),
- 33. თქუმული წმ. ეფრემისი დიდების მოყუარეთათჳს მხილებაჲ (263—272),
- 34. თქუმული წმ. ეფრემისი მხილებაჲ მონაზონთა უდებთ და დაქსნილთა (272—283),
- 35. სწავლაჲ წმ. ეფრემისი მონაზონთათჳს და სინანულისა (284—297),
- 36. სწავლაჲ წმ. ეფრემისი სინანულისათჳს და სიმდაბლისა (297—299);
- ← 37. თქუმული წმ. ეფრემისი საცე ცხორებითა (299—304);
- 38. თქუმული წმ. აბრაჰამ მონაზონისაჲ მონაზონთათჳს (304—306);
- 39. ამონაჲს სიტყუანი (306—309);
- 40. ჰკითხეს მამათა მამასა მაკარის გულის-სიტყუათათჳს მწიკულევანთა, ვითარ შეველენ გულსა კაცისასა (309—313);
- 41. კუალად ჰკითხეს მას, რაჲსათჳს რომელთა გემოჲ იხილეს ზეცისა სიტკბობისაჲ და არა განძღეს მისგან (313—314);
- 42. სიტყუანი მამათანი შიშისათჳს ღმრთისა (314—317).

შინაარსი 319

შემჩნეული კორექტურული შეცდომები

გვ. ხტრიქ.	არის	უნდა იყოს
47, 3	სილალე	სილალე
66, 7	წმკაჲ	წკმაჲ
69, 5	შედგომად	შემდგომად
75, 29	მრწმანან	მრწმენან
189, 7	ჯორცა	ჯორცთა
209, 16	ქვეყნისანი	ქუეყნისანი
233, 20	გინვიკითხაჲ	განვიკითხაჲ
254, 18	გუგულების	გეგულების
255, 20	ღდეს	ღღეს

„ძველი ქართული ენის ძეგლები“

(საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამოცემა)

გამოვიდა

1. ხანმეტი ლექციონარი (ფოტოტიპირი რეპროდუქცია). გამოსცა და სიმფონია დაურთო ა. შანიძემ. თბილისი. 1944. 065+54 გვ. ფასი 30 მან.
2. ქართული ოთხთაყის ორი ძველი რედაქცია სამი შატბერდული ხელნაწერის მიხედვით (897, 936 და 973 წწ.). გამოსცა ა. შანიძემ. თბილისი, 1945. 064+384 გვ., 15 ტაბულითურთ. ფასი 120 მან.
3. გიორგი მთაწმიდელი, (ეხორებაჲ იოვანესი და ეფთჳმესი. გამოსაცემად დაამზადა ივ. ჯავახიშვილმა.— გ. მთაწმიდლის ენა «იოვანეს და ეფთვიმეს ცხოვრების» მიხედვით ა. შანიძისა. თბილისი, 1946. XVI + 172 გვ. ფასი 25 მან.
4. წიგნი ძუელისა აღთქუმისანი (978 წ. ხელნაწერის მიხედვით). ტ. I. ნაკვეთი 1: დაბადებისაჲ, გამოსლვათაჲ. გამოსცა ა. შანიძემ, თბილისი, 1947. XVI + 112 გვ.
5. ნაკვეთი 2: ლევიტელთაჲ, მსაჯულთაჲ, რუთისი, იობისი, ესაიასი. თბილისი, 1948. VIII + 80 გვ. (გვ. 113 — 192). ფასი 8 მან.
6. ი. იმნაიშვილი. ქართული ოთხთაყის სიმფონია-ლექსიკონი. თბილისი, 1948 — 1949. 032 + 840 გვ. ფასი 70 მან.
7. საქმე მოციქულთა (ძველი ხელნაწერების მიხედვით). გამოსცა ილია აბულაძემ. 1950. 034 + 224 გვ. ფასი 20 მან.
8. სწავლანი მამათანი (X ს-ის პირველი ნახევრის ხელნაწერის მიხედვით). გამოსცა ილია აბულაძემ. 1955. XXII + 319 გვ., 2 ტაბულითურთ ფასი 18 მან.